ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუბარი

3 – 4

2007

საუნჯე

(134)

მაისი,

ივნისი,

ივლისი,

აგვისტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი
ჟურნალი

დამფუძნებლები: საქართველოს მწერალთა
კავშირი და ჟურნალ „საუნჯის" redakcia

2007, 3–4

შინაარსი

პროზა და პოეზია

პაულო კოელიო. მოგვის ღღიური. რომანი. თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა** . . . 5

ანჯეი გურსა. ღექსები. პოლონურიდან თარგმნა **რენე კალანდიამ** 169

ვასილ ა. ღიმოვი. ექსპრომტი № 2. მოთხრობა. თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ** . 187

ღაღესტნური პოეზია. თარგმნა **სტეფანე მხ.რგრძელმა** 203

გაგრატ შინკუბა. გაპოგბილი ღვა. რომანი. თარგმნა **თამარ ჩიჯავაძემ** . . . 209

წერილები

რიშარდ კაპუშცინსკი. შაჰინშაჰი. (ღოკუმენტური პროზა). პოლონურიდან თარგმნა **ამბროსი გრიშიკაშვილმა** 224

გაგრიელ გარსია მარკესი. „იცხოვრო, რათა მოკვდე". ესპანურიდან თარგმნა **ნინო მეხტვერიშვილმა** 285

ლევ ტოლსტოი. და მაინც, რა ვაკეთოთ! თარგმნა **ანზორ სახვაძემ** . . . 300

შემეცნება

მირზაკარიმ ნორგეკოვი. სულიერის გამოცდილება, ანუ თვალის ახელის გასალეგი. რობორ გადავაგდოთ სათვალე. თარგმნა **ჯემალ ჭელიძემ** . . 304

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:
ელზა ახვლედიანი
მანანა ამისულაშვილი
ნანა ახოგაძე
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაჰნაზარი
ქეთევან ჩიჯავაძე

ვაჟა ჩორდელი
პ/მგ მდივანი

ფასი სახელშეკრულებო

ჩვენი მისამართია: თბილისი , 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელ.: 99-73-41, 33-46-80, 60-23-40.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 07. 2007 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24.02, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვ. 186.

შ. პ. ს. „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაულო კოელიო (ბრაზილია)

მოგვის დღიური

რომანი

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა

„მოგვის დღიური", ანუ „ლოცვადმავლობა" (1987 წ.), როგორც მეორენაირად იხსენებენ ამ წიგნს, ლეგენდარული სანტიაგოს გზით პაულო კოელიოს მოგზაურობის აღწერაა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ამ გზას მილიონობით ლოცვადმავალი იყო ადევნებული. ამ გზაზე მწერალი ხვდება მისტიკურ ეტიკ-მეგზურთ და დემონურ მაცნე-მაუწყებელთ, სწავლობს ჭეშმარიტების ბუნების გაგებას, შინაგანი ძალის შესაძენად ეცნობა მისტიკური RMA ორდენის სავარჯიშოებსა და რიტუალებს.

„მოგვის დღიურს" მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კოელიოს როგორც მწერლის ჩამოყალიბებაში. მართალია, ეს მწერლის პირველი წიგნია, მაგრამ სიღრმითა და საზრისის ძიებით იგი არაფრით ჩამოუვარდება ფენომენალურ „ალქიმიკოსს".

1986 წელს, როცა კოელიო ლოცვადმავლობდა, სანტიაგოს გზა სულ 400 პილიგრიმმა გაიარა. მომდევნო წელს „მოგვის დღიურის" გამოქვეყნების შემდეგ ეს გზა უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ლოცვადმავლის ფეხქვეშ მოექცა.

მიძღვნა

ლოცვადმავლობას თუ მწირობას, ანუ სულის ზრდასა და წმინდა ადგილთა მოლოცვას რომ ვიწყებდი, აგრე მეგონა, ეგ არის და ჩემი სიყმაწვილის ერთ-ერთი ყოვლის უფრო სანუკვარი ოცნება მისრულდება-მეთქი. შენ ჩემთვის მოგვი დონ ხუანი იყავი, და სასწაულებრივის ძებნა-ძიებაში კასტენადას საგა ცხადში გამოვიარე.

თუმცაღა ჩვეულ სიკერპეს არ იშლიდი და ჯიუტად უძალიანდებოდი შენი გმირად გახდომის ჩემს ყოველ საცადისს. ეს ამბავი ძალზე ართულებდა ჩვენს ურთიერთობას, ვიდრე არ შევიგნე, რომ ყოველივე სასწაულებრივი ჩვეულებრივი ადამიანების გზის ბინადარია. ამის შეცნობა თუ გაგება დღეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი

F10677
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავლადიდება გახდა, რაც ხელ-ფეხს მიხსნის რაგინდარა საქმის საკეთებლად. და სანამ პირში სული მიდგას, ის ბოლომდის ჩემთან იქნება.

ამიტომაც, ამ შეცნობა-გაგებისათვის მადლიერების ნიშნად — რა შეცნობა თუ გაგებაც აწ სხვა ადამიანთაც უნდა გავუზიაროთ, — ეს წიგნი შენ გეძღვნება, პეტრუს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინათქმა

წარმოიდგინეთ რამირ პირველის ზეობა, ბრძოლა ლოგრონიოსთან და თეთრონზე ამხედრებული იაკობი, რომელიც ძლევამოსილ ქრისტიანულ მხედრობას მეთაველობს და აბდურაჰმან მეორის წინამძღოლობით მოსაგრე მავრთ ამარცხებს. იმ შორეული ხანიდან მოკიდებული, ვისაც კი ადგილ-მამული ჰქონია კამპუს-სტელაში, სადაც ხსენებული ღირსმოსაგონარი ბრძოლა გაიმართა, მოციქულ იაკობს ყოველწლიურად სუყველა ღვინოსა და ხორბალს სწირავს. ბრძოლის შემდგომ მალევე, როს იქაურთ ირწმუნეს, რომ წმინდანის სხეული იქ იყო დამარხული, ეს პატარა ქალაქი სალოცავ ადგილად იქცა. 997 წელს მავრთ იავარყვეს ის ადგილი, 1809 წლიდან 1814 წლამდე ფრანგთ ეჭირათ იქაურობა, მაგრამ ეს უკვე წმინდა მხარე იყო, იქით მიმავალ გზებს კი მაგია, ანუ გრძნებით შემკვრელი ძალა იფარავდა. სუყველა გზა, ოღონდ ჩვენთა ოცნებათაკენ თუ მივყავართ, მაგიური, ანუ გრძნებით შეკრული გზაა.

ხოლო ვინც თავისი ოცნების ასახდენად მაგიას თუ გრძნებას არის აყოლილი, იმას გზა ეჭირვება. ადამიანის სული, რომელიც ადამპაპის დროიდან ყოველგვარ სახსარს ეძებს, რაც რამ წუთისოფლის საიდუმლოთა გამოცნობაში წაადგება, რაგინდარა სინათლეს იყენებს, უკეთუ იმ საიდუმლოთა გარემომცველი წყვდიადის გაფანტვა შეუძლია. მშვენიერიცა და საოცარიც ეს წიგნი იმით არის, რომ წამკითხველს გპირდება: შენს გასავლელ გზას ისე გაივლი, მზე მაღლა იქნებაო, შენს ოცნებასაც აიხდენ და შენს მახვილსაც ხელთ მოიგდებო.

სანტიაგო, ანუ წმინდა იაკობი უფროსი, ერთი თორმეტი მოციქულთაგანი, იოანეს ძმა და მებადური იყო. ქრისტე რომ შეიპყრეს, იერუსალიმი დაავდო, მაგრამ სიკვდილით რომ დასაჯეს, კვალად მიბრუნდა იქ და ახალი სარწმუნოების ქადაგად დაეცა. თანაც ისერიგად მგზნებარე შეიქმნა, რომ ჰესიოდე აგრიპამ სიკვდილი მიუსაჯა 44 წელს.

და როგორც სანტიაგოში, პაულო კოელიოშიც თვალადსაჩენია რწმენა და აღმაფრენა. როდესაც პაულოს გავეცანი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ვინმეს შეეძლო ჩემთვის ახალი და უცნობი სამყაროს აღმოჩენა. და, თექვსმეტი წლისანის სიყვარულისა და ორი წლისანია ფილოსოფიის მსგავსად, მან თვალცხადლივ დამანახვა, რომ ეს სოფელ-ქვეყანა ბევრად უფრო დიდი და განუზომელია, ვიდრე ჩვენ წარ-

მოგვიდგენია. იმისათვის, რათა დაფარულსა და დამალულს მიაგნო, მკაცრი ლოგიკის მოკავშირედ ზეშთაგონების თვალისმომჭრელი ცეცხლი უნდა გაიხადო. იმათ, ვინც თავისი ოცნების მოსახელთებელ გზაზეა შემდგარი, ტრადიციულ ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, შეუძლებელი უჩვეულო მოვლენები სულიერი მხედველობის შესაძლებლობას უქმნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პაულოსა და პეტრუსის საუბარ-საუბარში გზა თვითონ ჩვენშივე ჩნდება. აგერ, მიდიან, თავიანთ სავალს, თავიანთ საგზაურს მიჰყვებიან პეტრუსი და პავლე, პეტრე და პავლე. წმინდა პეტრე, იაკობი და იოანე არცროდის ეგრძნობიერებოდნენ წმინდა პავლეს — პირიქით: ვითარცა გულდაჯერებულნი კაბალისტნი ისინი ფრიად მნიშვნელოვან ხარკს უხდიდნენ ათასგვარ წარმართულ საიდუმლოებას. წმ. პავლე, რომელიც ინტელექტუალურად იმათზე მაღლა იდგა, რამეთუ გაცილებით უკეთ იცოდა ფილოსოფია და ბევრად უფრო განათლებული იყო, ძალაუნებურად იტანდა წყენას იმ ხალხისგან, ვინც აბრალებდა, ეგაო გნოზისით, ანუ ბერძნული მისტერიების სიბრძნით მოწამლულიაო. და სულაც არა შემთხვევითად ჰქვიათ პეტრე და პავლე „მოგვის დღიურში“ აღწერილ გზას ადევნებულთ. აგერ, მიდიან, მიბაასობენ დაგზიურებულნი, ცოტ-ცოტას ყლურწავენ კიდეც, ძალას იკრებენ და საკუთარი თავისთვის არცრა სამყაროს აღმოჩენა არ ეძნელბედებათ.

რწმენამ და სასოებამ (აღმაფრენამ) გულმოწყალებასთან (სიყვარულთან) უნდა მიგვიყვანოს. პაულო ამ სამივე ღირსებით მადლმოსილი ადამიანია. მერედა, განა რწმენამ არ შეახვედრა სანტიაგო ცხოვრებას? განა სასოებამ არ აადევნა გზას ცათაფრენაშემდგარი? ნუ დაგვავიწყდება, რომ ბერძნულად „ენთუზიაზმი“ ღვთაებრივის სინონიმია, ხოლო სიტყვასიტყვით „საკუთარ თავში ღმერთჩასახლებულს“ ნიშნავს. ჭარბად მადლცხებულია პაულო აგრეთვე სიყვარულით, რომელსაც ბერძნული ტრადიციის მიხედვით ყოფს ეროსად, ფილოსად და აგაპედ. ეს უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი — სიყვარულის იპოსტასი ოდესღაც ითარგმნებოდა როგორც „ტრაპეზი“, რაც უმალ პლატონის დიალოგთ გვახსენებს. პლატონის „ნადიმიც“ ხომ აგრეთვე უფრო თხრობაა, ვიდრე დიალოგი, მერე რა ვუყოთ, თუ გერმანელ ფილოსოფოსთ ლათინური ტრადიციით დამკვიდრებულ სიტყვა „ნადიმს“ სიტყვა „სიმპოზიუმი“ დაამჯობინეს. ამჟამად ნადიმობა და სიმპოზიუმი პრინციპულად სხვადასხვა ხასიათის მოვლენებია. მაგრამ საჭმლის მსგავსად, ცოდნა, რომელიც გვეძლევა, ხომ შეიძლება გავსინჯოთ, დავაჭაშნიკოთ, და თუ გვეგემა, მივირთვათ და შევირგოთ კიდეც. როგორც ცოდნა, ისე საჭმელი, სიყვარულის საგნისა არ იყოს, თვითონ ჩვენივე შემადგენელი ნაწილი ხდება. ბერძნები კიდევ ერთხელ გამოდგნენ მართალნი.

ასეთია „დღიური“. ეს საკუთარ თავთან შეხვედრაა. ეს დიდი ოცნებაა, რომელიც გრძელი და ძნელი გზის ბოლოში მოინაგრება. ამ გზის დაქნა სუყველას ძალუძს, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. კოელიო თავისი საყვარელი უილიამ ბლეიკივით ეუარება ადრინდელ ტრადიციას და თავის საკუთარსა ქმნის. მან გლამური, ანუ გრძნება, ქარიზმა-

ზე გაცვალა, სტერეოტიპები კი — მოელვარე სიმბოლოებზე. ხილული სამყაროს საგნები „დღიურის“ ავტორისთვის წარმოსახვის თვალითაც ჩანან. მოივარგა რა ბლეიკის გაკვეთილები, იგი თავისი საკუთარი, არანასესხები შემართებით აღიჭურვა და შეიძლო, რომ ერთმანეთის პირისპირ დაეყენებინა ვეფხვი (გამოცდილება) და კრავი (უმანკოება) და ორთავე განესაზღვრა როგორც ერთნაირად ძმაფიერი, რამეთუ ერთიცა და მეორეც „უკვდავის ხელით შექმნილა და თვალით დანახულა“. პაულო კოელიოს გზა თვალწარმტაცი და ნაყოფიერია — ალალი იყოს ჩვენი ტაში. ღმერთმა ქნას, თითოეულ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი საკუთარი გზა დაგვექნას.

კლაუდია კასტელო გრანკო

პირველსათქმელის მაგივრად, ანუ ოცი წლის შემდეგ

საფრანგეთის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქის ბაღში ვზივარ. და მთებს რომ გავყურებ, მაგონდება, როგორ ვიარე ფეხით ოცი წლის წინათ ამ მთებში, სანტიაგოს გზასთან პირველად შეუღლებულმა.

და დრო თითქოს უკან მიედინება: ცოტაც და, მოსაღამოვდება, მაგიდაზე ერთი ფინჯანი ყავა და ერთი ჭიქაც მინერალური წყალია, ირგვლივ ადამიანები ირევიან და ჟრიამულობენ. ამ სცენას მხოლოდ ამჯერად ლეონის დაბლობები უწევენ დეკორაციის მაგივრობას, და ყლერს ესპანური მეტყველება, კარზეა, ახლოვდება ჩემი დაბადების დღე, და უკვე გავლილ-დაკეცილია იმ გზის ნახევარზე მეტი, სანტიაგო-დე-კომპოსტელაში რომ მივყავარ. წინ ვიყურები და ვხედავ ერთფეროვან პეიზაჟსა და ეტიკს, ანუ მეგზურს, რომელიც აგრეთვე ყავას შეექცევა თითქოსდა არსაიდან უცაბედად გაჩენილ ბარში. უკან ვიყურები, და იგივე ერთფეროვანი პეიზაჟია, სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ მტვერში ჯერეთ კიდევ ჩანან ჩემი ლანჩების ანაბეჭდები, მაგრამ ისიც ცოტა ხნით: სანამ ჩამოღამდებოდეს, ქარი ეგრევე წაშლის ნაფეხურებს. აგრე მგონია, ყველაფერი მელანდება-მეთქი. მაინც რა მინდა, რა მესაქმება აქ? ეს კითხვა არა და არ მასვენებს, თუმცალა უკვე რამდენიმე კვირა გამოხდა.

რა მესაქმება და ჩემს მახვილს დავეძებ. რიტუალს ვასრულებ, RMA-ად წოდებული პატარა ორდენის რიტუალს, რომელი ორდენიც კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის და სხვა არცრა სასწაული არ იცის, არცრა საიდუმლო, თვინიერ სოფელ-ქვეყნის სიმბოლური ენის გაგების საცადისისა. ჩემის ფიქრით, შევცდი, ყოველგვარი სულიერი ძიება მოკლებულია აზრსა და ლოგიკას და ბევრად აჯობებდა, უკეთუ ბრაზილიაში ვიჯდებოდი და კვალად ჩემს საქმნელს მივხედავდი. მეეჭვე-

ბა, რომ გულწრფელი და უზაკველი ვიქნები სულიერ ძიებათა ჟამს, რამეთუ უზომოდ ძნელია პოვნა უფლისა, რომელიც ცხადად არცროდის არ გვეხილებ-გვენახვება, ძნელია აგრევე ლოცვად დგომა განსაზღვრულ დროს, ჭირს უჩვევ გზათა ზედა ხეტიალიც და იმ ბრძანებათა სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილება, სუყველა უკლებლივ უაზრო რომ მეჩვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, დიახ, სწორედ ეს მაფიქრებს — ჩემი გულწრფელობა მაეჭვებს. რაც ერთად მოვდივართ, პეტრუსი სულ მიმტკიცებდა, ეს გზა სუყოველ კაცს ეკუთვნისო, ეს გზა ჩვეულებრივი ხალხის გზააო, და თავისი ამ ჩიჩინით სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. მე კი მეგონა, ჩემი ეგზომ განუზომელი ძალისხმევა საჩინო რამ ადგილს მიმიჩენს-მეთქი იმ მცირეოდენ რჩეულთა შორის, რომელნიც სოფელ-ქვეყნის დიად არქეტიპთ მიახლოებიან. ჩემი ვარაუდით, ბოლოსა და ბოლოს უცილოდ დადასტურდებოდა სუყველა იმ ამბის ჭეშმარიტება, რომ ტიბეტელ ბრძენკაცთ არაერთი განმგებელთ-მოძღვარი ჰყავთ, რომ გრძნება-ჩხიბვით შეიძლება სიყვარულის იქ გამოხმობა, სადაც ურთიერთლტოლვა წამლადაც არა ჩანს, რომ ზოგ-ზოგი წეს-ჩვეულების აღსრულებისას უმალ მოისილავ, ვითარ გაიღება შენ წინაშე სამოთხის ბჭე-კარი.

პეტრუსმა კი, რჩეულნი არ არიანო, მითხრა. რჩეული, სხვათაგან გამოყოფილი და უპირატესია სუყველა, ვინც იმის მაგივრად, რომ თავს იმტვრევდეს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმებაო, რაღაცის ქმნას ანდა თავის გულში აღმაფრენის გაღვიძებას გადაწყვეტს. სამოთხის კარიბჭესთან რუდუნებას მივყავართ, უფალთან კი — ჩვენსავე გარდამქმნელ-გადამხალისებელ სიყვარულს. და სულიწმიდასთან უწინარესად აღმაფრენა გვაკავშირებს და არა ასჯერ თუ ათასჯერ გადაკითხული კლასიკური ტექსტები. სასწაულთაც იმის რწმენის წყურვილი ხდის შესაძლებელს, რომ თავად ცხოვრებაა სასწაული და არა ყბადაღებულნი „საიდუმლო რიტუალნი“ ანდა „კურთხევის წეს-ჩვეულებანი“. და ადამიანს ადამიანად მხოლოდ თავისი ბედისწერის აღსრულების გადაწყვეტილება აქცევს და არა წუთისოფლის იდუმალებისა გამო ტვინის ჭყლეტა თუ ჩირთიფირთი.

და აი აქა ვარ. უკან კი იმ გზის ნახევარზე ცოტათი მეტი დარჩა, რომელ გზასაც სანტიაგო-დე-კომპოსტელაში მივყავართ.

იმ დღეს ლეონში, აწ უკვე აგრე შორეულ 1986 წელს, ჯერეთ კიდევ არ ვიცი, რომ ექვს თუ შვიდ თვეში წიგნს დავწერ ყოველივე იმის შესახებ, რაც რამ ამ გზაზე მოვიხილე და განვიცადე, რომ ჩემს სულში უკვე ეპირება განძეულის საძებნელად წასვლას მწყემსი სანტიაგო, რომ ქალი, სახელად ვერონიკა, აბს აბზე გადაყლაპავს თავის მოსაკლავად, რომ პილარი მალე ჩაიმუხლებს რიო-პედრას ნაპირზე და ატირდება, და დღიურის წერას დაიწყებს. არცრა ეს ამბავი ჯერეთ კიდევ არ ვიცი. მხოლოდ გაღიზიანებასა და დაძაბულობას ვგრძნობ, და პეტრუსთან საუბრის გაბმის თავი არა მაქვს, რამეთუ ამწუთას მივხვდი: ველარცროდის ვერ მოვუბრუნდები ჩემს ძველ საქმეებსა და საზრუნავს, თუნდაც ამას მოჰყვეს გვარიანი თანხა ყოველი თვის ბოლოს,

ჩემი კარგი უცვლელი გუნება-განწყობილება და ის სამუშაო, რომელიც ჩემთვის უცხო არ არის და არცთუ ცუდად გამომდის. სხვა გზა არა მაქვს, უნდა გამოვიცვალო და დავიძრა ჩემი ოცნების მიმართულებით, რაგინდ უაზრო-ბავშვური და სრულიად აუხდენელიც არ უნდა ჩანდეს, — სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, **მწერალი უნდა გავხდე.** სულის სიღრმეში, საკუთარი თავის უჩუმრად, საწერად მუდამ მექაჩებოდა ხელი, მაგრამ ვერა და ვერ გამებედა ამ ტვირთის ზურგზე მოგდება.

პეტრუსი ბოლომდე ცლის თავის ყავასა და მინერალურ წყალს, მთხოვს დანახარჯის გადახდას და გზის მალევე განგრძობას, რაკი შემდგომ ქალაქამდე სულ რამდენიმე კილომეტრია დარჩენილი. ჩვენ გვერდით ამვლელ-ჩამვლელნი მიმოდიან, ერთმანეთში საუბრობენ, თან ცალი თვალით ორი შუახნის პილიგრიმისკენ იყურებიან და ალბათ ფიქრობენ: „ქვეყნად, იცოცხლე, ბლომად იპოვებიან შერეკილნი, რომელნიც მუდამ მზად არიან დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წარსულის გასაცოცხლებლადო“.* მზე უკვე შუბის ტარზე იხრება, სიცხე 27 გრადუსზე ნაკლები არ იქნება, მე კი მეათასედ ვეკითხები ჩემს თავს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმება-მეთქი.

მე რა, ცვლილებათა მომხრე ვიყავი? მგონი, რომ არა, თუმცაღა ამ გზამ საკსებით გამომცვალა. მე რა, საიდუმლოთა ამოცნობა მსურდა? ალბათ, დიახ, მსურდა, თუმცაღა ეს გზა უსუსტრად ჩამაგონებდა, ქვეყნად არცრა საიდუმლოება საერთოდ არ არისო, რამეთუ, ქრისტეს თქმით, არა არის რა დაფარული, რომ არ გაცხადდეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი პირიქით მოხდა მოსალოდნელთან შედარებით.

...ვდგებით და მდუმარედ განვაგრძობთ გზას. საგონებელსა ვარ მიცემული, ეჭვი და ურწმუნოება მტანჯავს, პეტრუსი კი ალბათ მილანში მიტოვებულ თავის სამუშაოზე ფიქრობს, ხოლო აქ იმიტომ აღმოჩნდა, რაკი ტრადიციის რაღაც წეს-ჩვეულებას მიჰყვევს, ოღონდ, უფრო შესაძლებელია, თავადაც იმას ელოდებოდეს, ნეტავი როდის დასრულდება ეს მოგზაურობა და როდის მივუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმიანობასო.

მთელ დანარჩენ დღეს დუმილში ვლევთ. იმხანად ჯერეთ კიდევ არ იყო ფიჭვური ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა. და ამიტომ ჩაკეტილნი ვართ ჩვენი იძულებული ურთიერთობის ნაჭუჭში. სანტიაგო-დე-კომპოსტელა ჯერეთ კიდევ წინ არის, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ გზა არა მარტო ამ ქალაქში, არამედ მსოფლიოს მრავალ სხვა ქალაქშიც მიმიყვანს. არც მე და არც პეტრუსს ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ლეონის დაბლობზე ჩამომდგარ ამ დაისის ჟამს იმის მშობლიურ მილანისკენაც მიჭირავს გეზი, სადაც ათ წელიწადში მოვ-

---

* იმ წელიწადს, როცა ლოცვად ვიყავი მავალი, სანტიაგოს გზაზე სულ 400 კაცმა გაიარა. 1999 წელს, არაოფიციალური ციფრით, აქ მოხსენიებულ ბართან დღეში 400 კაცი გადიოდა.

ხვდები, და უკვე ხელთ მექნება წიგნი, რომელსაც „ალქიმიკოსი“ ერქმევა. მივალ, მივდივარ ჩემი საკუთარი ბედ-იღბლის შესახვედრად, რომელზედაც აგრე ძლიერად ვოცნებობდი და რომელსაც აგრე ძმურად ვეუარებოდი.

მივალ, მივდივარ, რათა ჩემი ალორძინების ამბავი დავწერო.

პაულო კოელიო,

სენ-მარტენი, 2006 წლის იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ თქვეს: „უფალო, აჰა, აქ ორი მახვილია“. მან კი უთხრა იმათ: „კმარა“.

ლუკას სახარება 22:38.

პროლოგი

— აწლა ილონე რამე, შენ წინაშეა RAM თავისი საღმრთო სახით, შეახე ხელი ცხოვრების სიტყვას და მოინაგრე ძალა, რომელიც უფლისა მოწმეობისათვის დაგეჭირვება.

მოძღვარმა მაღლა აღმართა ჩემი ქარქაშიანი ახალი მახვილი. კოცონს მიმატებული ფიჩხი ტკრციალით აბრიალდა, რაც კარგის მომასწავებელი იყო: მაშასადამე, ერთი შვიდთა საიდუმლოთაგანი უნდა განგვეგრძო. დავიხარე და შიშველი ხელებით დავიწყე ჩემ ქვეშ მიწის თხრა.

რასაც გიყვებით, 1989 წლის 2 იანვრის ღამეს მოხდა, აგულიას ნეგრას (შავი ნემსები) სახელით ცნობილი მთაგრეხილის ერთ-ერთ მწვერვალზე ვიყავით ასულნი. ჩემ და მოძღვრის გარდა, ამ ამბავს ესწრებოდნენ: ჩემი ცოლი, ჩემი მოწაფე, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შერჩეული ყოლაუზი და უმსხვილესი კონგრეგაციის წარმომადგენელი, რომელი კონგრეგაციაც მთელი მსოფლიოს ეზოტერიკულ ორდენთ აერთიანებს და რომელსაც „ტრადიცია“ ჰქვია. ხუთივენი — ყოლაუზის ჩათვლით, წინასწარ გვყავდა გაფრთხილებული, რაც უნდა მომხდარიყო, — შევიკრიბენით RAM ორდენის ოსტატად ჩემი კურთხევის ცერემონიაზე.

და აი გავთხარე არცთუ ღრმა, მაგრამ საკმაოდ გრძელი ორმო. და ამ წამის მნიშვნელობის ღრმა შეგნებით ხელი შევახე მიწას, თანაც რიტუალურ ფორმულას წარმოვთქვამდი. ზედდატანებაზე თავს წამომადგა ცოლი და მახვილი გადმომცა, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ვიყენებდი, როცა კი ვმოგვობდი და სათანადო წესს რასმე ვასრულებდი. მრავალგზის აზარათავებული მახვილი ორმოში ჩავდე, მიწა

წავაყარე, მოვასწორე, და ამასობაში მიმოგონებად გამირბინა თავში სუყველა გადატანილმა განსაცდელმა, ყველაფერმა ერთად, რაც რამ შეცნობილი მქონდა, და არა ერთმა და ორმა იმ ზებუნებრივმა მოვლენამ, რომელთა გამოცდაც ჩემი ძველი ერთგული მახვილის წყალობით მესწავლა. აწ ამ ჩემს მახვილს მიწა შეჭამს — მსწრაფლ მკვეთელი ფოლადი და ვადის ხე, ანუ კოტა, იმ წყაროსთან ერთად ამოვიკვეთავენ, საიდანაც ისინი თავიანთ ძალას იცემდნენ.

მოძღვარი მომეახლოვა, ძირს, მიწაზე, ახალი მახვილი დადო — ზედ იმ ადგილას, სადაც ქვეშ ძველი ეფლა. სუყველა იქ დამსწრემ ფართოდ გაშალა ხელები, და მოძღვრის ნებით ჩვენ გარშემო უცნაური, არცრის გამსინათებელი, მაგრამ აშკარად ხილული შუქი გაჩნდა, და აწ, გარდა იმისა, რომ კოცონის უთვალავი მოყვითალო ათინათი გვაცისკროვნებდა, ყველანი რაღაც სხვანაირად გავბრწყინდით. მოძღვარმა თავისი საკუთარი მახვილი ამოიწვადა, ჯერეთ შუბლზედ შემახო, მერე ერთ მხარზე, მერე — მეორეზე, და წართქვა:

— RAM ორდენის ძალმოსილებითა და სიყვარულით ამიერიდან და სიცოცხლის ბოლომდე ამ საზოგადოების ოსტატად და რაინდად დამინიშნიხარ. R — regnum, A — agnus, M — mundi*. დაიხსომე, მახვილსა ამას ქარქაშის ტყვედ ნუ აქცევ, რამეთუ იარაღი უმოქმედობით ჟანგდება. ოღონდ, როს იშიშვლებ, უკან მანამ აღარ ჩააბრუნო, სანამ კეთილსა რასმე არ იზამ, გზას არ გააკაფვინებ და მტრის სისხლით არ გააძღობ.

და მახვილის წვერი ოდნავ წამკრა შუბლში. ამ წუთიდან ჩემი დუმილი აღარ ეგებოდა. რის თავიც მქონდა და რაც შემეძლო, უნდა გამომეჩინა. გარშემომყოფთაგან არცვის არ დავუმალავდი და არ დავუფარავდი სასწაულთა მოხდენის არცრა ახალშეძენილ ცოდნას. ამ წუთიდან მოგვი გავხდი, გრძნეული.

და ხელი გავიწოდე ახალი მახვილისკენ, რომლის მსწრაფლ მკვეთელი ფოლადიც არცროდის არ დალაბრდება და არ დაიკბილება, რომლის კოტავადის შავსა და წითელ ხეს ვერცროდის ვერ შეჭამს მიწა. მაგრამ როგორც კი ჩემი თითები ოდნავ შეეხნენ ახალ შავქარქაშიან მახვილს, მოძღვარმა ანაზდად წინ გადმოდგა ნაბიჯი და ისე მოწყვეტით დამადგა ფეხი ხელზე, რომ ტკივილისგან შევყვირე და ეგრევე გავუშვი მახვილს.

გაოგნებული, შემცბარი შევყურებდი მოძღვარს. უცნაური რამ შუქი გაქრა, და კოცონის ანარეკლში ის მოჩვენებასავით ჩანდა, სახის მოხაზულობა მთლად ფანტასმაგორიული გაუხდა.

ყინულოვანი მზერა რომ მიმომავლო, მან ჩემს ცოლს თავისთან მიუხმო და ახალი მახვილი გადასცა. მერე კი მე მომიბრუნდა:

— აიღე ეგ შენი ხელი, მაგან გაცდუნა! ტრადიციის გზა ერთი მუჭა რჩეულთა კი არა, სუყველას გზაა! თავი მგონიაობით ძლევამოსილად მიგიჩნევია, მაგრამ ეგ შენი ძლევამოსილება ჩირადაც არა ღირს,

---

* *Regnum* — ზეობა, *agnus* — ტარიგი, *mundi* — მშვიდობა (ლათ.).

რამეთუ სხვა კაცთა თანა გაუზიარებელია. ხელი არ უნდა წაგცდენოდა, უნდა უარგეყო, ვალდებული იყავი, და მახვილიც სამართლიანად დაგინარჩუნდებოდა, რადგან სულით სპეტაკი დამთებოდი. მაგრამ, რისაც მეშინოდა, გადამწყვეტ წამს წაბორძიკდი და წაიქეცი. ამად საკუთარი სიხარბისა გამო დასჯილი კვალად უნდა შეუდგე შენი მახვილის ძებნას. მედიდურობისა გამო დასჯილმა კი ჩვეულებრივ კაცთა შორის უნდა ეძებო. ხოლო სასწაულთმოქმედებით გატაცებისა გამო დასჯილს მრავალი დაბრკოლების გადალახვა და არცთუ ნაკლები სიძნელის დაძლევა მოგიხდება, სანამ იმას ისევ მოიპოვებდე, რაც ლამის სულ იოლად არ ჩაგივარდა ხელში.

მომეჩვენა, რომ ფეხქვეშ მიწა მეცლებოდა. კვლავინდებურად მუხლებზე ვიდექი. მეტყველების უნარი წამრთმეოდა და არაფერზე აღარ მინდოდა ფიქრი. ჩემი ძველი მახვილი მიწაში ეფლა და აწ უკვე ველარ მოვივარგებდი. ხოლო უახლოდ აღუჭურველი თავად სათავეს მივუბრუნდი და ამწუთას ყოვლის უფრო ჩვეულებრივ კაცად ვიქეცი — უმწეო და უძლურ კაცად. გულსავსების დღეს, კურთხევის ჟამს ხელზე რომ შემდგა, მოძღვარმა უკან მომისროლა — სიძულვილისა და დედამიწის სამყაროში გადამიძახა.

ყოლაუზმა კოცონი ჩააქრო. ცოლი წამოდგომაში შემეშველა. ხელთ ჩემი ახალი მახვილი ეჭირა, რომელსაც, ორდენის კანონთა თანახმად, თითსაც ვერ დავაკარებდი, უკეთუ მოძღვარი ნებას არ დამრთავდა. ყოლაუზის ფარანს მდუმარედ ადევნებულთ ტყე გავიარეთ და ვიწრო ყამირგზაზე დავეშვით, სადაც მანქანები გვეყენა.

არცვინ არ გამომშვიდობებია. ცოლმა მახვილი საბარგულში ჩადო და მანქანა დაქოქა. სანამ ის ოკრობოკრო და ოღროჩღრო ადგილთ ნელა უვლიდა გვერდს, კრინტი არცვის დაგვიძრავს.

— დაწყნარდი, — მითხრა მან გულის გასაკეთებლად. — დარწმუნებული ვარ, რომ იპოვი.

მოძღვარმა რა გითხრა-მეთქი, ვკითხე.

— სამი რამ მითხრა. ჯერეთ ერთი, თბილად უნდა გვცმოდა, რადგან ზემოთ იმაზე მეტად ციოდა, ვიდრე მეგონაო. მეორეც, რაც მოხდა, სულაც არ აკვირვებს: მსგავსი რამ თურმე ბევრს გადახდენია მანდ, სადაც შენ იყავი, და მესამეც, შენი მახვილი განსაზღვრულ საათს, განსაზღვრულ დღეს და იმ გზის განსაზღვრულ წერტილში დაგელოდება, რომელი გზის გავლაც მოგიწევს. ვერ გეტყვი, არ ვიცი, რა დღე და საათი იქნება. მან მხოლოდ ის ადგილი დამისახელა, სადაც მახვილი უნდა გადავმალო, რათა მერე შენ მოიძიო.

— რა გზა უნდა გაიაროსო, რა თქვა? — ვკითხე აფორიაქებულმა.

— გასაგებად არ განუმარტავს. მარტო ის მითხრა, ესპანეთის რუკაზე შუა საუკუნეების დროინდელი გზა იპოვოს, რომელსაც **სანტიაგოს გზა** ჰქვიაო.

●

ბაჰადასის აეროპორტში მეგბაჟე დიდხანს ათვალიერებდა მახვილს, მერე კი მკითხა, რა მიზნით მიგაქვთ, რას უპირებთო. „ისეთს არაფერს, — მივუგე. — მეგობრები დაგვპირდნენ, შეგიფასებთო, ჩვენ კი აუქციონზე გავიტანთ-მეთქი“. ტყუილი წაგვადგა: [illegible] — გვირჩია, მახვილი დეკლარაციაში შეიტანეთ და აქეთობისას [illegible] რასმე წააწყდეთ, დეკლარაცია წარმოადგინეთო.

ავტომობილების გამქირავებელი კომპანიის დახლთან მივედით და დავადასტურეთ ჩვენი დაკვეთა ორი მანქანის დაქირავების თაობაზე. სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით და სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდოდით, რესტორანში წახემსება გადავწყვიტეთ.

მთელი ღამე თვალი არ მოგვეხუჭა — გადაფრენის შიშმა თავისი ქნა, გულს გვიწვრილებდა იმის წინათგრძნობა, რაც მიწაზე დაშვების მერე გველოდა, მაგრამ ახლა ორივენი აწრიალებულნი ვიყავით: ძილი არც ერთს არ გვეკარებოდა.

— დაწყნარდი, — მეათასედ მიმეორებდა ცოლი. — საფრანგეთში რომ ჩახვალ, იქ სენ-ჟან-პიე-დე-პორში მადამ დებრილს მონახავ. ის მოგიძებნის საჭირო ხალხს, ვინც სანტიაგოს გზაზე დაგაყენებს.

— შენ რას იზამ? — მეათასედ ვკითხე, თუმცა პასუხი წინასწარ ვიცოდი.

— რას ვიზამ და იქ წავალ, სადაც წასასვლელი ვარ და იმას ვიზამ, რაც დამევალა. მერე რამდენიმე დღე მადრიდში დავრჩები და დავბრუნდები ბრაზილიაში. იქაურ საქმეებს უშენოდაც მივხედავ და არცთუ შენზე უარესად.

— ეჭვიც არ მეპარება, — უნდომანდოდ მივუგე, რადგან არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკის გაგრძელება.

თუმცაღა მოსვენება მქონდა დაკარგული ბრაზილიაში დარჩენილი საქმეებისა გამო. აგულიას ნეგრასზე მომხდარი ამბის შემდეგ უკვე ორ კვირაში ყოველივე ზედმიწევნით ვიცოდი, რაც კი რამ სანტიაგოს გზას შეესებოდა, ოღონდ მთელი შვიდი თვე გახდა საჭირო, ვინემ ყველაფერზე ხელს ავიღებდი და გზას დავემწყემსებოდი. ფეხს მანამ ვითრევდი, ვაჯანჯლებდი წასვლას, სანამ ერთხელაც დილით ცოლმა არ მითხრა, დრო იწურებაო. უკეთუ გუდანაბადს არ ავიკრავდი და გზას არ დავადგებოდი ტრადიციაც გულიდან გადამვარდებოდა და RAM ერდენიც. მოძღვარმა შეუსრულებელი რამ დამაკისრა და ჩემი ცხოვრების წესსა და რიგს აგრე ჰაიჰარად ვერ უკუვაგდებ-მეთქი, ვცადე ცოლისთვის ჩემი მდგომარეობის ახსნა. ცოლმა პასუხად გამიღიმა და მითხრა, ტყუილად ნუ ედები ღობე-ყორეს, მთელი ეს შვიდი თვე სულ წასვლა-არწასვლაზე ფიქრობ და სხვა რამ არც გაჯავრებსო. მერე, ვითომც არცრა განსაკუთრებული ამ ამბავში არ იყო, ორი ავიაბილეთი აიღო უკვე გაფრენის თარიღალნიშნული.

— აქ რომ ვართ, სულ შენ გამოა, — პირქუშად ვეუბნებოდი ახლა რესტორნის მაგიდასთან მჯდარი. — მგონი, სწორად არ მოვიქეცი, როცა სხვას გადავაწყვეტინე მახვილის საძებნელად ჩემი წასვლის ამბავი.

ცოლმა, სისულელის ლაპარაკს ის გვირჩევნია, რაც მალე დავემშვიდობებით ერთმანეთს, ჩვენ-ჩვენს მანქანებში ჩავსხდებით და წავალთ-წამოვალთო.

— ნუ იგონებ, შენს გადასაწყვეტს არცროდის ვისმეს არ გადაწყვეტინებდი, მით უმეტეს, ამისთანა მნიშვნელოვან საქმეში. წავედით. უკვე გვიანია. — მითხრა ცოლმა და წამოდგა, ჩანთის [illegible] გადაიგდო და სადგომისკენ გაეჩქარა.

არ შემიჩერებია, არ წახვიდე-მეთქი, არ მითქვამს, ჩემთვის ვიჯექი მაგიდასთან და ვუყურებდი, როგორ დაუდევრად მიჰქონდა იღლიაში ამოჩრილი ჩემი მახვილი: ცოტაც და, დაუცურდებოდა. უეცრად შეჩერდა, მაგიდასთან მობრუნდა და ხმიანად ჩამბროშტნა. ამ კოცნამ უცებ მიმახვედრა: ესპანეთის იქით გზა არა მქონდა. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იქნებ ყირამალაც დადგეს და ჩაიფუშოს, მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმულია. და ცოლი გულში ჩავიხუტე, ამ ჩახუტება-ჩაკონებაში მთელი ჩემი სიყვარული ჩავაქსოვე, და ვილოცე ყველაფრისათვის, რაც რამ მწამდა, სუყველასათვის, ვისაც ვენდობოდი, და ზეცას შევევნუკვე, ცოლთან და მახვილთან ერთად დაბრუნება შემაძლებინე-მეთქი.

— მართლა, ლამაზი მახვილია, არა? — მეზობელი მაგიდიდან მომესმა ქალის ხმა.

— კარგი, ეგრე იყოს, — გამოეხმიანა მამაკაცის ხმა. — ზუსტად მაგისთანას გიყიდი. აქ სადაც კი სუვენირებით ვაჭრობენ, სუყველგან სავსეა ეგენი.

საჭესთან ერთი საათის ჯდომამ დაღლილობაც მაგრძნობინა და უძილოდ გატარებული ღამეც. და, გარდა ამისა, აგვისტოს პაპანაქებისგან ისე იყო ჰაერი გავარვარებული, რომ, მართალია, თავისუფალ გზატკეცილზე კი მიქროდა, მაგრამ მანქანამ გადახურება დაიწყო. მცირე ხნით ერთ-ერთ პატარა დაბაში ჩამოხდომა გადავწყვიტე: გზის მაჩვენებლები იუწყებოდნენ, რომ ეს დაბა ეროვნული ძეგლი იყო. და დამრეცი გორაკის ფერდობს რომ შევუდექი, მეხსიერებაში ერთხელ კიდევ გადავჩხრიკე ყველაფერი, თუ რამ სანტიაგოს გზაზე გამეგონა.

როგორც მუსლიმური ტრადიცია ითხოვს, რომ სუყოველი მართლმორწმუნე ცხოვრებაში თუნდაც ერთხელ წინასწარმეტყველი მუჰამადის კვალდაკვალ უნდა შევიდეს მექასა და მედინაში, ამისდა მსგავსად ქრისტიანობის პირველმა ათასწლეულმა სამივე წმინდანთაგან პატივმოსილი სამი გზა იცოდა, რომელთა ზედაც მავალ ყოველთაგანს ღვთის კურთხევა და ცოდვათა გამოსყიდვა ელოდა. პირველი გზა რომში მიდიოდა წმინდა პეტრეს ტაგრუცთან: ამ გზას დამწყემსებულთ თავიანთ სიმბოლოდ ჯვარი აირჩიეს და **რომეირო** შეირქვეს. მეორე გზას იერუსალიმში მიჰყავდა მლოცველნი უფლის საფლავთან; ამ გზით მავალნი **პალმეიროდ** იწოდებოდნენ იმ პალმის რტოთა სამახსოვროდ, რომელი პალმის რტოებითაც ქალაქის მცხოვრებნი ქრისტეს გამოცხადებას მიემშვიდობებოდნენ. დაბოლოს, მესამე გზა წმინდა იაკობის — ჩვენებურად სანტიაგოს — გვამთან ბოლოვდებოდა; ის გვამი იბერიის ნა-

ხევარკუნძულზე იმ ადგილას იყო დაფლული, სადაც ერთხელ ღამით მავანმა მეხრემ მოიხილა, ვითარ დაჰკაშკაშებდა მინდორს მცხინვარე ვარსკვლავი. თქმულებისდაკვალად არა მარტო სანტიაგო, არამედ თვით ყოვლადწმინდა ქალწული სუფევდა იმ მხარეში მაცხოვრის სიკვდილისათანავე, იქაურთათვის ღვთის სიტყვა მიჰქონდა და მოაქცევდა, მოაქცევდა სარწმუნოებად. ადგილსა ამას კომპოსტელა ეწოდა — ამ სახელში გაერთიანებულია სიტყვები „კამპო“, ანუ „მინდორი“, და „ესტრელა“, რაც ვარსკვლავს ნიშნავს, — და მალე დაბად გადაიქცა, სადაც ქრისტიანული სამყაროს ყოველი მხრიდან თავს იყრიდნენ ლოცვადმავალნი, რომელთაც **პილიგრიმთ** უხმობდნენ, და ამ ლოცვადმავალთ, ანუ მწირთ, თავიანთ სიმბოლოდ ნიჟარა გაიხადეს

უმაღლესი გაფურჩქვნის ხანაში, რაც XIV საუკუნეზე მოდის, ირმის ნახტომს თუ ცის იკანკლედს (ღამ-ღამ ლოცვადმავალთ ადგილ-მდებარეობის გარკვევაში რომ შეეწეოდა) ევროპის ყოველი კუთხიდან წლითიწლობით მილიონზე მეტი კაცი იყო ადევნებული. და ამჟამადაც მისტიკოსნი, მორწმუნენი თუ სწავლულნი ფეხით გადიან შვიდას კილომეტრს, საფრანგეთის დაბა სენ-ჟან-დე-პორს ესპანეთში* მდებარე წმ. იაკობ კომპოსტელელის ტაძრისგან რომ აშორებს. ფრანგი მღვდლის ემერიკ პიკოს წყალობით — მან 1123 წელს წმინდა ადგილნი მოილოცა კომპოსტელაში — ეს გზა ახლაც ზუსტად იგივეა, რომელიც შუა საუკუნეებში მრავალ სხვასავით განვლეს კარლ დიდმა, წმინდა ფრანცისკ ასიზელმა, დედოფალმა იზაბელა კასტილიელმა, ხოლო ჩვენს დროში — პაპმა იოანე XXIII.

საქმე ის არის, რომ პიკომ თავის მოგზაურობაზე ხუთი წიგნი დაწერა და როგორც წმ. იაკობის თავგამოდებული მიმდევრის — პაპი კალიკსტე II თხზულებანი, ისე წარმოადგინა, რის გამოც ხსენებულ წიგნთ მოგვიანებით „Codex Calixtinus“ ეწოდა. მეხუთე წიგნში პიკო ჩამოთვლის იმ ბუნებრივ ნიშნებს, წყარო-ფშნებს, სასნეულოებს, ქარვასლა-ფუნდუკებსა და ქალაქებს, რაც რამ გზად მოიხილა. ხელმძღვანელობს რა პიკოს შენიშვნებით, საზოგადოება „Les Amis de Saint-Jacques“, ანუ „წმინდა იაკობის მეგობარნი“, სულ იმის თვალყურის დევნებაშია, რომ არ განადგურდეს და პირველსახეშენარჩუნებული დარჩეს ამ გზის თითოეული ნიშანსვეტი, რომელიც კი ლოცვადმავალთ ადგილ-მდებარეობის გარკვევაში ეხმარება.

სანტიაგოს ხატი ფრიად წაადგა ესპანელთ XII საუკუნეში, როცა დაიწყო რეკონკისტა, ანუ ომი მავრებთან, რომელთაც ნახევარკუნძული დაიპყრეს. სანტიაგოს გზის მთელ სიგრძეზედ რამდენიმე სამხედრო-რელიგიური რაინდთა ორდენი გაჩნდა, და მოციქულის ნეშტი ძალუმ, თუმცაღა იმ არანივთიერ თილისმად გადაიქცა, ესპანელთ მომხდურ

---

* საფრანგეთის მიწა-წყალზე გამავალი სანტიაგოს გზა რამდენიმე გზისგან შედგება, რომლებიც თავს იყრიან ესპანეთის ქალაქ პუენტე-დე-ლა-რეინაში. ქალაქი სენ-ჟან-პიე-დე-პორი ერთ-ერთ ამ გზაზეა. ეს გზა არც ერთადერთია და არც ყველაზე უფრო გამოცოცხლებული.

მუსლიმთ რომ აგერიებინებდა, ისინი კი, მუსლიმნი, თავიანთი მხრივ, ირწმუნებოდნენ, ვითომ ფასდაუდებარი რამ წმინდა ნაწილის — თვით წინასწარმეტყველი მუჰამადის ხელის მქონებელნი იყვნენ. ხოლო, რაჟამს რეკონკისტა ძლევამოსილად გასრულდა, რაინდთა ორდენთ ახალი ძალა შეიძინეს, რომ თვითონ სახელმწიფოსთვისაც საშიშარნი შეიქმნენ, და, რათა ამ ორდენთა და არისტოკრატიას შორის ეჭვიანობა არ ჩამოვარდნილიყო, საქმეში „კათოლიკე მეუფეთა" [illegible] და საჭირო. ამა მიზეზისა გამო ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა სანტიაგოს გზა, და თუ არა მხატვრული გენიის იშვიათი გამონათებანი — როგორიც, მაგალითად, ბუნიუელის „ირმის ნახტომი" ანდა ხუან მანოელ სერატის „მწირია", — დღეს ცოტა ვისმესღა თუ ეხსომებოდა, რომ ამ გზას ათასობით ადამიანი იყო დამწყემსებული, რომელთაც წაღმართ ამერიკა გააკაცრიელეს.

დაბას, სადაც მივედი, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ერთ პატარა ბარს მივადექი, შუა საუკუნეების დროინდელ ძველ შენობაში შეყუჟულს. მასპინძელს ტელევიზორისთვის თვალი არ მოუშორებია — რაღაც სერიალს უჩვენებდნენ, — ისე შემეხმიანა, ახლა სიესტაა, ბატონო, და მარტო დამთხვეული თუ გავა გარეთ ამისთანა პაპანაქებაშიო.

რამე გამაგრილებელი მომიტანე-მეთქი, ვუთხარი, და ეკრანს მივაჩერდი, მაგრამ ჩემი აზრები სადღაც შორს ქროდნენ. მთელი არსებით იმის ფიქრში ვიყავი, რომ გაივლიდა კიდევ ორი დღე-ღამე და XX საუკუნის მიწურულს ბედის ვარსკვლავი მცირე რამ ნაწილს მარგუნებდა დიდი კაცობრიული გამოცდილებისას, თვით იმ გამოცდილებისას, რომელმაც ტროიდან წამოიყვანა ულისე, ლამანჩში ახეტიალა დონ კიხოტი, ქვესკნელში ჩაიყვანა ორფევსი და დანტე, სოლო ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის საძებნელად გაუყენა გზას. მე კი უცნობიდუმალისკენ ვეპირებოდი წასვლას.

ცოტა გონს რომ მოვეგე, მანქანასთან მივბრუნდი. ჩემს მახვილს გინდაც ვერ მივაკვლიო, სანტიაგოს გზით სიარული უთუოდ იმით გასრულდება, რომ საკუთარ თავს მაინც ვიპოვი.

სენ-ჟან-პიე-დე-პორი

ქალაქის მთავარ ქუჩაზე ბერიკები და მესაკრავენი მოძრაობდნენ, რომელთაც ზოგს წითელი, ზოგს მწვანე და ზოგსაც თეთრი ტალავერი ემოსა, ანუ აქ საფრანგეთის ბასკონიის ყველანაირ ფერს მოიხილავდით. კვირადღე იყო. ორი დღე და ღამე საჭესთან ნაჯდომს ერთი სული მქონდა, სანამ ხალხის ზეიმს შევუერთდებოდი. თუმცა წინ მადამ

დებრილთან შეხვედრა მელოდა. დუნდგოში გავლა ჭირდა, მაგრამ მაინც ფრთხილად მივარღვევდი, თუმცა ხან ვინ შემიკურთხავდა, ხან ვინ და, როგორც იყო, ქალაქის ძველ უბანში გავედი, სადაც მადამ დებრილი მეგულებოდა. აქაც კი, პირენეებში, ამ სიმაღლეზე, კარგა გვარიანად ცხელოდა, და, მანქანიდან რომ გადმოვედი, წურწურით გამდიოდა ოფლი.

კარზე დავაკაკუნე. კიდევ ერთხელ. კიდევ. ჩამიწყდა არსებულ. გულდამძიმებული და დაბნეული ვიდექი. როგორც ცოლმა მითხრა, მგონი, სწორედ დღეს უნდა ვყოფილიყავი აქ. მაგრამ მერე რა, კაცი-შვილი არ მეხმიანებოდა. იქნებ ისიც იქ არის, ბერიკაობის მონაწილეა, ანდა იქნებ ძალიან გვიან მოვედი და ამიტომ აღარ მხვდება. სანტიაგოს გზა ისე გასრულდა, ჯერეთ არც დაწყებულა.

უეცრად კარი ყუნწამდის გაიღო, და გარეთ პატარა გოგოცუნა გამოვარდა. მოულოდნელობისგან შემკრთალმა დამტვრეული ფრანგულით ვკითხე, მადამ დებრილის ნახვა თუ შეიძლება-მეთქი. გოგოცუნამ გაიცინა და თითი შიგნითა სახლისკენ გაიშვირა. მხოლოდ ახლალა მივხვდი ჩემს შეცდომას: კარი, რომელსაც უზარმაზარ შიდა ეზოში შევყავდით, სადაც შუა საუკუნეების ყამინდელი აივნიანი სახლები ემწკრივნენ, თურმე ღია იყო, მე კი შელება ვერ გავბედე.

ეზოში შესული იმ სახლისკენ გავემართე, საითაც წელან გოგოცუნამ თითი გაიშვირა. შევედი. მავანი ხნიერი დედაკაცი, გვარიანად ჩასუქებული, ბასკურად თათხავდა ერთ წიწლიკანა ყმაწვილს, რომელსაც მუქი თაფლისფერი თვალები ჰქონდა. სხვა რა გზა იყო, დავდექი და დავუწყე ლოდინი, სანამ ურთიერთობა გაირკვეოდა, და ბოლოს და ბოლოს გაირკვა: საწყალი ბიჭი თათხვა-თათხვით სამზარეულოში მიაბრძანეს. დიასახლისი მხოლოდ მაშინლა მომიბრუნდა და ისე, რომ არც უკითხავს, რა გნებავთო, მსუბუქად მუჯლუგუნის კვრით მეორე სართულზე ამიყვანა, რომელიც მთლიანად ერთი პატარა ოთახისგან შედგებოდა. ეს იყო წიგნებით, სანტიაგოს გამოსახულებებითა და გზასთან დაკავშირებული ათასგვარი სამახსოვრო ნივთებითა თუ საგნებით გადაჭედილი კაბინეტი. დიასახლისმა თაროდან წიგნი გადმოიღო და, ჩემთვის დაჯდომა არც შემოუთავაზებია, საწერ მაგიდასთან მოეწყო.

— თქვენ, ალბათ, კიდევ ერთი პილიგრიმი ხართ, — მითხრა მიუკიბავ-მოუკიბავად. — სიაში უნდა შეგიყვანოთ.

იმის შემდეგ, რაც თავი წარვუდგინე, **ვიეირები** თუ ჩამოიტანეო, მკითხა. ეს ვიეირები დიდი ნიჟარებია, უსაღმრთოესის, ანუ წმინდანის საფლავზე ლოცვადმავალთ რომ ესიმბოლოება, და ღვთისმლოცველთ ერთმანეთის ცნობაში ეხმარება.* სანამ ესპანეთში წამოვიდოდი, ჯე-

---

* სანტიაგოს გზამ ერთადერთი კვალი დატოვა ფრანგულ კულტურაში, თანაც მის იმ სფეროში, ეროვნული სიამაყის საგანს რომ წარმოადგენს — გასტრონომიაში: „*coquilles Saint-Jacques*", ანუ საგარცხლურები, რაც სუფრაზე ნიჟარით მოაქვთ (აქაც და შემდგომაც, თუ საგანგებოდ მითითებული არ არის, ვისია, შენიშვნები ავტორს ეკუთვნის).

რეთ კიდევ შინ, ბრაზილიაში, მოვინახულე ყოვლადწმინდა ქალწულის ტაძარი, რომელიც აპარესიადა დე ნორტეს სახელით არის ცნობილი, და ვიყიდე იქ ეგრეთ წოდებული **ვიზიტაცია** — წმ. ელისაბედთან სტუმრად მისული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სამ ნიჟარაში იყო ჩასმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლამაზია, მაგრამ მკვიდრი ვერ არის, — განმიცხადა ლისმა და უკანვე მომცა ნიჟარებიანი ხატი. — ადვილი შესაძლებელია, რომ გზაში დაგეშალოს.

— არ დამეშლება. მოციქულის ტაგრუცთან დავდებ.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ მადამ დებრილი დიდ დროს არ დამითმობდა. მალევე გადმომცა ბარათი, რომლის წყალობითაც გზის გასწვრივ განლაგებულ მონასტრებში თავის შეფარება შემეძლო, ზედ სენ-ჟან-პიე-დე-პორის ბეჭედიც დაასვა, რათა დაედასტურებინა ადგილი, საიდანაც ღვთისმლოცველობა დავიწყე, და, დამილოცნიხარო, მითხრა, აწ წადი, გზას ბარაქა დააყარეო.

ეტიკი სადღაა, მეგზური-მეთქი, ვკითხე.

— ახლა რა, ეტიკიც მომინდომე? — გაიკვირვა მან, თუმცა თვალები რაღაც სხვაგვარად გაუბრწყინდა.

და ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ზოგი რამ ძალიან მნიშვნელოვანი ვიგულმავიწყე. სიჩქარეში პაროლის მსგავსი, რომლის მეოხებითაც იცნობიან ისინი, ვინც ტრადიციის ორდენთ მიეკუთვნება, ანდა ადრე მიეკუთვნებოდა. ამ დაუდევრობის გამოსწორებას დავეშურე და ის სიტყვა-ნიშანი წამოვიღელლელ. მადამ დებრილმა ეგრევე გამომგლიჯა ხელიდან ბარათი.

— ეს თქვენ არ დაგჭირდებათ, — თქვა მან და დაზვინული ძველი გაზეთების ქვეშიდან მუყაოს კოლოფი გამოაცურა. — იმის მიხედვით ივლით და შეიარაქათებთ, როგორადაც თქვენი ეტიკი ვადაწყვეტს.

კოლოფიდან მან შლაპა და კაპიუშონიანი ლაბადა ამოიღო — ორივ ძველი, მაგრამ მშვენივრად შენახული. შუა ოთახში დადექით, მთხოვა, და ლოცვა დაიწყო. მერე თავზე შლაპა დამახურა და მხრებზე ლაბადა მომასხა. შევამჩნიე, რომ შლაპის ცასა და ლაბადის კალთას ნიჟარები ჰქონდა ჩაკერებული. დიასახლისს ლოცვა არ შეუწყვეტია, ისე აიღო კაბინეტის კუთხეში მიყუდებული არგანი და მარჯვენა ხელში დამაჭერინა. არგანზე წყლის პატარა მათარა იყო მიმაგრებული. რაღა თქმა უნდა, ალბათ, მაგრა გამოვიყურებოდი: ქვეშ ჯინსი-ბერმუდები და „I LOVE NY“ წარწერიანი მაისური მეცვა, ზემოდან კი — შუა საუკუნეების სამოსელი მემოსა.

მადამ დებრილი ზედ მომადგა, ორივე ხელი თავზე დამადო და, თითქოს ტრანსშიაო, წართქვა:

— აგრემც წმინდა მოციქული იაკობი გფარავდეს; ნეტამც ეპოვნინებინოს ის ერთადერთი რამ, რასაც ეძებ და რაც უნდა აღმოაჩინო; ნუმც გაჭიანურებულა შენი მგზავრობა, ნუმც შეწყვეტილა ვადამდე და იმდენ ხანს გაგრძელებულიყოს, რამდენსაც გზის წესი და რიგი, გზის აუცილებლობა მოითხოვს... მდუმარედ დაემორჩილე ეტიკსა შე-

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბიბლიოთეკა

ნსა, თუნდაც ისეთი რამ გიბრძანოს, რომ ის ბრძანება მომაკვდინებელ საფრთხედ, მკრეხელობად ანდა აბდაუბდად გეჩვენოს. დაიფიცე, ყველაფერს გავუგონებ და დავუჯერებ-თქო.

დავიფიცე.

— აგრემც გარდასულ დროთა ღვთისმლოცველნი სულ ეფარავდეს. შლაპა მზისგან და ავ აზრთაგან დაგიცავს, ლაბადა — ტერთაგან და ბედითი საქციელისგან. ნუმც დღე მოგკლებოდეს და ნუმც ღამე ლოცვა-კურთხევა უფლისა, სანტიაგოსი და ყოვლადწმინდა ქალწულისა. ამინ.

და კვალად ისეთივე გახდა, როგორიც ადრე იყო — ფიცხლავ და არცთუ გაუღიზიანებლად შლაპაც მომხადა, ლაბადაც და კოლოფში ჩატენა. მათარამიმაგრებული არგანი ისევ კუთხეში მიდგა და, დარწმუნდა რა, რომ პაროლი დავიხსომე, წასვლა მიბრძანა, რამეთუ ჩემი ეტიკი თურმე სენ-ჟან-პიე-დე-პორიდან ორიოდ კილომეტრში მიცდიდა.

— ორკესტრთ ვერ ეგუება, გაგონებაც არ უნდა, — ამიხსნა მადამ დებრილმა. — თუმცაღა მუსიკას ორი კილომეტრის მანძილზეც ვერ დაემალება, რაღა პირენეები და რაღა საუკეთესო რეზონატორი.

და კიბე-კიბე სამზარეულოსკენ გაეჩქარა, რა არი ცოტა კიდევ ეჯენჯა თვალებნალვლიანი ყმაწვილი. მანქანას რა ვუყო-მეთქი, დავეკითხე უკვე წამავალი. გასაღები დატოვეთო, მირჩია მადამ დებრილმა, ვინმე გადააყენებსო. მანქანის საბარგული ავხადე, დახვეულსაძინებელტომრიანი ტავარჯუხი ამოვიღე, ნიჟარებში ჩასმულ ღვთისმშობელს რაც შეიძლება ღრმად მივუჩინე ადგილი, ტავარჯუხი ზურგზე მოვიგდე და, აჰა-მეთქი, გასაღები გავუწოდე დიასახლისს.

— ციხესიმაგრის კედლის გასწვრივ გაუყევით ქუჩას ზედ ქალაქის კარიბჭემდე და გახვალთ კიდეც ქალაქიდან, — მითხრა მან. — ოღონდ სანტიაგო დე-კომპოსტელაში რომ მიხვალთ, ჩემ მაგივრად წაიკითხეთ „ავე მარია“. უამრავჯერ მითელია ეგ გზა, აწ კი იმასღა ვჯერდები, რომ ახალ პილიგრიმთა თვალებში ვკითხულობ აღტაცებას, რასაც თავად უკვე ველარ განვიცდი — ხანი თავისას შვრება. უამბეთ ჩემი ნათქვამი მოციქულს და კიდევ ისიც უთხარით ჩემზე, მალე მოვა-თქო, ოღონდ სხვა გზით მოვა-თქო, ის გზა ბევრად მოკლეა და უფრო ადვილად მივალ...

ქალაქი ესპანური კარიბჭის გავლით დავტოვე, რომელიც ოდესღაც რომაელთა ლეგიონთ ჰქონდათ ამოჩემებული, შემდგომ — კარლ დიდის რაზმთ და ნაპოლეონის პოლკთ. მდუმარედ მივდიოდი, შორიდან მუსიკის ხმა მეყურებოდა, — და უცებ სენ-ჟან-პიე-დე-პორის შორიახლო შემორჩენილ ძველი დასახლების ნანგრევებთან ისერიგად ავღელდი, თვალზე ცრემლი მომადგა. იქ, იმ ნაოხართან, თითქოს თავრეტი დამესხა, დავრაცრაცდი — ხუმრობა ხომ არ იყო, ცოტაც და, სანტიაგოს გზას დავადგამდი ფეხს.

დილის შუქით გაცისკროვნებულმა პირენეების პანორამამ, რომელი შუქის ციალიც თითქოს კიდევ უფრო ძლიერდებოდა მუსიკის ხმა-

თაგან, ისეთი შეგრძნება გამიჩინა, რომ რასლაც დასაბამიერს და კაცთა მოდგმისგან ფარსაგად დავიწყებულს ვუბრუნდებოდი. მაგრამ რა იყო ეს, გაგებაში არ ვიყავი. ამ უცნაურმა და უჩვეულოდ ძლიერმა შეგრძნებამ ამასწრაფა, ფეხი ამაჩქარებინა, რა არი რაც შეიძლება მალე მივსულიყავი იქ, სადაც, მადამ დებრილის თქმით, ეტიკი მელოდებოდა. ნაბიჯი არ შემინელებია, ეგრევე გავიძრე მაისური და ტავერჯუში ჩავტენე, რომლის თასმებიც სულ უფრო მაგრად მაჭერდა შიშველ მხრებზე, სამაგიეროდ სიარულში მოფლეშილ სპორტულ ჩლარტებს ფეხზე ვერცა ვგრძნობდი. ორმოც წუთში, სანამ ერთ მიგდებულ ჭას მივადგებოდი, ჯერეთ კლდესავით აყუდებულ უზარმაზარ სიპ კაჭარს გვერდი ავუქციე. ჭასთან ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი იჯდა — შავთმიანი, ბოშასა ჰგავდა — და ხალთაგუდაში იქექებოდა.

— მშვიდობა მითქვამს, — ვუთხარი ესპანურად იმ მოწიწება-მოკრძალებითა და რიდით, რასაც მუდამ ვგრძნობ, როცა კი ახალ ვისმე ვეცნობი. — ალბათ, მე მიცდი. პაულო ვარ.

მან თავის საქმიანობას თავი მიანება და თხემით ტერფამდის ცივად და სულაც არა გაკვირვებულმა შემათვალიერა. მეც მომეჩვენა, რომ საიდანლაც ვიცნობდი ამ ადამიანს.

— ჰო, შენ გიცდი, ოღონდ არ მეგონა, თუ აგრე ადრიანად დამადგებოდი. რა გინდა?

ამ კითხვისგან რამდენადმე დაბნეულმა, მივუგე, მგონი, შენა ხარ ის კაცი, ვინც მახვილის საძებნელად ირმის ნახტომის კვალდაკვალ უნდა ვამყვეს-მეთქი.

— ეგ რა ბედენაა, — თქვა მან. — თუკი გინდა, გიპოვი. გინდა? ოღონდ ახლავე გადაწყვიტე.

უცნაური საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ დადებული ფიცი მახსოვდა და ჰოობის თქმას იმ აზრით დავეპირე, რომ მახვილის პოვნის თავის თავზე აღების შემთხვევაში უამრავ დროს დამიზოგავდა და მალე დავბრუნდებოდი ბრაზილიაში, სადაც ის ადამიანები მელოდნენ და ის საქმეები, რომელთა დავიწყებაც არ შემეძლო. არ გამოვრიცხავდი, რომ იქნებ სულაც ხრიკს რასმე მიმართავდა, მაგრამ პასუხი ვითომ მაინც რატომ არ უნდა გამეცა?! და ის იყო პირი დავაღე, რათა მეპასუხა, მინდა-მეთქი, რომ ჩემს ზურგს უკან ხმა გაისმა, რომელმაც ძლიერი აქცენტით წარმოთქვა ასეთი რამ: „იმის გასაგებად, მთა მაღალია თუ არა, ზედ ასვლა აუცილებელი არ არის“.

ეს პაროლი იყო! შემოვბრუნდი და დავინახე ორმოციოდე წლის კაცი, ხაკისფერი ბერმუდები და ოფლით გაჟღენთილი მაისური ეცვა. დაჟინებული მზერა მიეცივებინა ბოშისთვის. ნახევრად შეჭაღარავებული იყო, სახეგარუჯული. მივხვდი, რომ სიჩქარეში უსაფრთხოების ელემენტარული წესები ვიგულმავიწყე და, ცოტას გაწყდა, სხეულიცა და სულიც პირველსავე შემხვედრ უცნობს არ ჩავუგდე ხელში.

— ხომალდს ნავსადგურში არცრა ხიფათი არ ემუქრება, მაგრამ იმისთვის კი არ შეუქმნიათ, რომ ღუზაზე იდგეს, — გასაგონად გავეხმიანე.

ამაობაში კაცი თვალს არ აცილებდა ბოშას, ის კი — კაცს. რამდენიმე წუთს უცქერდნენ ისინი ერთმანეთს და ამ ურთიერთღირლიტში

არც შიში ჩანდა, არც გამოწვევა. მერე ბოშამ ხალთაგუდა ძირს დადო, ერთი აგდებულად გაიღიმა და სენ-ჟან-პიე-დე პორის მიმართულებით დაიძრა.

— მე პეტრუსი* მქვია, — ჩაილაპარაკა კაცმა, როცა ბოშა კაჭარს მიეფარა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ავუქცევ[illegible] — სხვა დროს უფრო ფრთხილად იყავი.

ბოშისა და თვით მადამ დებრილისგან განსხვავებით, ის თითქოსდა კეთილად განწყობილი მეჩვენა. მან მიწიდან აიღო ხალთაგუდა, რომლის წინა მხარეს ნიჟარა იყო გამოსახული, — იქიდან ღვინიანი ბოთლი ამოაძვრინა, მოსვა და გამომიწოდა. მეც მოვსვი და, ის ბოშა ვინ იყო-მეთქი, ვკითხე.

— ვინაიდან საზღვრიდან შორს არა ვართ, ამ გზას უკვე დიდი ხანია, რაც ბასკონიის ესპანური ნაწილის კონტრაბანდისტები და ტერორისტები ეტანებიან, — ამიხსნა პეტრუსმა. — პოლიცია აქ თითქმის არცროდის არ არის.

— ეგ ვერაფერი პასუხია. რა ვიცი, ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით კი უცქეროდით და. მეც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეცნაურება. ალბათ, ამიტომაც მივმართე.

პეტრუსმა ერთი ჩაიფხუკუნა და, წასვლა სჯობს წარმავალისაო, თქვა. ავიკარი გუდა-ნაბადი, და დავიძარით. ოღონდ ამ ჩაფხუკუნებამ ცხადი გახადა ჩემთვის, რომ მეგზურ-ყოლაუზი ჩემი იმაზევე ფიქრობდა, რასაც მე ჩავეგდე საგონებელში.

ორივენი ეშმაკს ვიყავით გადაყრილნი.

რამდენიმე ხანს მდუმარედ მივაბიჯებდით, და მადამ დებრილის სიმართლეში დავრწმუნდი: სამ კილომეტრზეც ხმიანობდა ორკესტრი, რომელიც განუწყვეტლივ უკრავდა. ძალიან მინდოდა, რომ შევკითხვოდი პეტრუსს, ვინა ხარ და საიდან ხარ, რას საქმიანობ და აქ როგორ მოხვდი-მეთქი, მაგრამ წინ ერთად გასავლელი შვიდასი კილომეტრი გვედო, და ვიცოდი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგებოდა ის წუთი, როცა ყველა ამ კითხვას პასუხი გაეცემოდა. თუმცა ბოშა თავიდან არ გამომდიოდა, ასე რომ, მაინც ვერ მოვითმინე და დავარღვიე დუმილი:

— პეტრუს, რატომღაც მგონია, რომ ის ბოშა ეშმაა, უწმინდური.

— ჰო, ეშმაა. — და ამ სიტყვების გაგონებაზე შიშისა და შვების ნაზავი გრძნობა დამეუფლა. — ოღონდ არა ის ეშმა, რომელსაც ტრადიციით იცნობდი.

ტრადიციით კი ეშმა სულია, არც კეთილი და არც ბოროტი: ჰგონიათ, სულ ის ინახავს, რაც რამ ქვეყანაზე საიდუმლოა, ადამიანის შეგნებისთვის მისაწვდომი, ძალაც ერჩის და განაგებს კიდეც მატერიალურ სამყაროს. დაცემული ანგელოზია, თავის თავს კაცთა მოდგმას

---

* სინამდვილეში პეტრუსი კი არა, სხვა სახელი ჰქვია. ვინაიდან არ მინდოდა ამ ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, სახელი გამოვუცვალე — თუმცა ეს თითქმის ერთადერთი შემთხვევაა მთელ ამ წიგნში.

აკუთვნებს და მუდამ იმის მომხრეა, რომ ადამიანს ურთიერთხელსაყრელი, ასე ვთქვათ, პირობებით გაურიგდეს — მიმციას მომცია უნდაო, ანუ შენც გამიწიე სამსახური და მეც გაგიწევო.

მაგ ბოშას ეშმაკისგან რა განასხვავებს-მეთქი, დავეკითხე.

— ჯერ სადა ხარ, გზაში ეგეთები ბლომად შეგვხვდებიან, — გაიცინა პეტრუსმა. — თავად მიხვდები სხვაობას. მანამ კარგად ... მოახელო, სცადე იმასთან შენი საუბრის სრულად გახსენება.

მეხსიერებაში იმ ორიოდ საცოდავ წინადადებას დავუწყე ჩხრეკა, მე და ბოშამ ერთმანეთში რომ გავცვალ-გამოვცვალეთ. მგონი, შენ გიცდიდიო, მითხრა, ფიქრი ნუ გაქვს, მახვილს გაპოვნინებო.

ეგ სიტყვებიო, მომიგო პეტრუსმა, ზედგამოჭრილი იმ ქურდის სიტყვებია, რომელსაც დანაშაულზე წაასწრესო, — ბოშა ხომ სხვის ტავარჯუსს ქექავდაო, — მაგ სიტყვებით იმას დროის მოგება და უკან დასახევი გზის პოვნა უნდოდაო. ამასთანავე, იქნებ სულაც სხვა, ბევრად უფრო ღრმა რამ აზრი ჩადოო: მაგ სიტყვებით ბოშამ სწორედ ის გითხრა, რისი თქმაც სჭირდებოდაო.

— რომელი ერთი ვირწმუნო?

— ერთიცა და მეორეც. ნივთიერი სამხილით მოხელთებულმა ბაცაცამ ასლი ის სიტყვები გითხრა, რა სიტყვებითაც უნდა მოემართა შენთვის. მან, ეტყობა, თავიც იქო საზრიანობისათვის, ნამდვილად კი მხოლოდ და მხოლოდ ზენარი ძალის იარაღი იყო. ჩემს გამოჩენაზე რომ დამფრთხალიყო და მოეკურცხლა, ეს ლაპარაკი აღარ დაგჭირდებოდა. მაგრამ შემხვედა თუ არა, იმის თვალებში ეშმის სახელი ამოვიკითხე, რომელსაც ბევრჯერ შეხვდები გზაში.

პეტრუსის აზრით, ეს შეხვედრა კეთილის მომასწავებელი რამ ნიშანი იყო, რამეთუ ეშმამ ამთავითვე გამოიმჟღავნა თავი.

— ასეა თუ ისე, ამოიგდე თავიდან ეგ შენი ბოშა, რადგან, როგორც უკვე გითხარი, მაგისთანა ბევრი შეგხვდება შენს გზაზე. იქნებ ეგ ყველაზე მთავარიც არის, მაგრამ ერთადერთად ნუ წარმოიდგენ.

მწირი მცენარეულობა, მსგავსი იმისა, უდაბნოში იშვიათად რომ გვხვდება, კორომებმა, ანუ აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარმა ხეებმა შეცვალეს. ალბათ, პეტრუსი მართალია: მოსახდენი თავისთავად უნდა მოხდეს. დროდადრო იგი დუმილს არღვევდა და იმ ადგილებში მომხდარ ისტორიულ ამბებს ყვებოდა, რა ადგილებსაც გზადაგზა გავდიოდით. ერთხელაც ის სახლი მოვიხილე, სადაც დედოფალმა სიკვდილის წინ უკანასკნელი ღამე გაატარა, არ გამომპარვია არც ჭიუხზე შესკუპებული პატარა სამლოცველო — იმ წმინდანის განმარტოებული სავანე, რომელ წმინდანსაც იქაური მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სასწაულმოქმედად მიიჩნევდა.

— სასწაულმოქმედება დიდი საქმეა. შენ რას იტყვი? — დამეკითხა ჩემი მეგზური.

ჰოობა ვუთხარი, ოღონდ დავძინე, არცროდის ცხოვრებაში ნამდვილი სასწაული არ მინახავს-მეთქი. ჩემთვის ტრადიციის სწავლება უფრო ინტელექტუალური თვალსაზრისით ხდებოდა, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი მახვილის პოვნისთანავე მეც შევიძლებ იმის ქმნას, რასაც ჩემი მოძღვარი იქმს-მეთქი.

— ... თუმცა არც სასწაულია, რაც ჩემს მოძღვარს ხელეწიფება, ვინაიდან არც ერთი ჩემი მოძღვრისმიერი სასწაული არცრა ბუნების კანონს არ ცვლის და არც კიდევ ეწინააღმდეგება იმ კანონთ. ის დალოცვილი ოდენ იყენებს ამ იდუმალ ძალებს, რათა... — და ენა მუცელში ჩამივარდა, რამეთუ არ შემეძლო ახსნა, რარიგ ახერხებდა ჩემი მოძღვარი სულთა ხორცშესხმას, საგანთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადებ-გადმოდებას და, როგორც არაერთხელ მევსწრებივარ, — ღრუბლიან ამინდში მოქუფრული ცის გაიალკიალებას და ლაჟვარდის ნაფთევებისა თუ გუბეების გამოჩენას.

— ეგება მაგას სულაც იმიტომ შვრება, რა არი დაგანახვოს, ხედავ რა ცოდნა და ძალა მაქვსო? — ივარაუდა პეტრუსმა.

— ეგება-მეთქი, — მივუგე არცთუ მაინცდამაინც გულდაჯერებულად.

და იქვე ქვაზე ჩამოვსხედით, რადგან პეტრუსმა, სიარულში მოწევას ვერ ვიტანო, ფილტვებში ნამეტანი ბევრი ძირფი ჩამდის, ბოლი კი გულს მირევსო, თქვა.

— დიახაც მაგიტომ არ გადმოგცა შენმა მოძღვარმა მახვილი. იმიტომ რომ არ იცი, რარიგ ახერხებს მაგ საოცარ ამბებს. იმიტომ რომ მთავარი დაგვიწყებია — შეცნობის გზა სუყველასთვის ხსნილია, ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ადამიანთათვისაც. ამ ჩვენი მოგზაურობის დროს ზოგიერთ რამ სავარჯიშოსა და რიტუალს გასწავლი, რაც RAM ორდენში მიღებულია. სუყოველ ადამიანიშვილს თავისი არსებობის ამა თუ იმ ჟამს საცნაური უხდება სულ ცოტა რომელიმე სავარჯიშო თუ რიტუალი. და, უნდა ითქვას, უკლებლივ, უგამონაკლისოდ, სუყველას აკვლევენ ისინი, ვინც ეძიებს, ვინც მოთმინებითა და ჯიუტად ეძიებს. მოპოვებით კი იმ გაკვეთილებიდან მოიპოვებენ, რომელთაც ცხოვრება გვაძლევს.

RAM ორდენის რიტუალები ისერიგად უბრალოა, რომ შენისთანა ადამიანებს, ანუ ყველაფრის გართულება ვისაც გიყვართ, ხშირად უყურადღებოდ გრჩებათ, არცრად მიგაჩნიათ. თუმცა სწორედ იმ რიტუალების წყალობით ეძლევა ადამიანს ყველაფრის მიღწევის საშუალებაცა და შნოც — ყველაფრისა, გესმის? — რაც კი სწადს.

იესო ქება-დიდებას ასხამდა ზეციურ მამას, ოდეს მოიხილა, რომ თავისი მოწაფენი სასწაულთ ახდენდნენ და სატკივართ კურნავდნენ, და მადლსა სწირავდა დამბადებელს, რამეთუ ღმერთმა მწიგნობართა და ბრძენთ დაუმალა ეს საიდუმლონი, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანთ კი გაუმხილა, ბოლოსა და ბოლოს, თუკი ადამიანს ღმერთი სწამს, ისიც უნდა სწამდეს, ვალდებულია, რომ ღმერთს სამართალი არ ეშლება.

პეტრუსი სავსებით მართალი იყო. ნამდვილად უმაღლესი უსამართლობა იქნებოდა, უკეთუ ჭეშმარიტი შეცნობა თუ შემეცნება ოდენ განსწავლულ კაცთ შეეძლებოდათ, ვისაც დროცა აქვს და არც ფულზე შეიჭრის ხელს ძვირფასი წიგნების შესაძენად.

— სიბრძნის ჭეშმარიტი გზა ოდენ სამი ნიშნით იცნობა, — განაგრძობდა პეტრუსი, — ჯერ ერთი, აგაპეთი, ანუ სიყვარულით უნდა დაიწყოს, ოღონდ ამაზე მოგვიანებით გიამბობ. მეორეც, ცხოვრე-

ბაში პრაქტიკულად უნდა გამოგადგეს, სხვანაირად სიბრძნე უსარგებლო, გამოუსადეგარი გახდება და დაჟანგდება, დალაბრდება, ვითარცა მახვილი, რომელიც ერთხელაც არ მოუქნევიათ. მესამეც, ეს ისეთი გზაა, რომელზედაც შენ შემდეგ სხვანიც შეძლებენ გავლას.

მთელი დარჩენილი დღე ვიარეთ, და მხოლოდ დაისის ჟამს, მზემ მთათა მწვერვალებს მიღმა რომ იწყო დახდომა, გადაწყვიტა პეტრუსმა მუხლიდან ქარის ამოღება. ჩვენ გარშემო უკანასკნელ მზის სხივებში ჯერეთ ისევ ბრწყინავდნენ პირენეების ყველაზე მაღალი მწვერვალები.

პეტრუსმა მთხოვა, რომ მიწის პატარა ნაჭერი მომეკალიფებინა და ზედ მუხლი მომეყარა.

— RAM ორდენის პირველი საიდუმლო ალორძინების უნარია. ამ საქმეში ზედიზედ შვიდი დღე უნდა ირუდუნო, თანაც სულ იმის ცდაში უნდა იყო, რომ მუდამ ახლებურად, სხვაგვარად შეიგრძნო სამყაროსთან შენი პირველი კავშირი. ხომ გახსოვს, რარიგ გეძნელებოდა იმის გადაწყვეტა, რომ ყველაფრისთვის თავი მიგენებებინა და აქ ჩამოსულიყავი, რათა სანტიაგოს გზას დამწყემსებოდი და შენი მახვილი გეპოვა. მაგრამ ეგ გაძნელება მხოლოდ და მხოლოდ იმ ამბავმა წარმოქმნა, რომ საკუთარი წარსულის ტყვე იყავი. დამარცხება უკვე ბევრჯერ გენახა და ახალი მარცხი გაშინებდა; რაღაც-რაღაცები უკვე მოპოვებულად გიჩნდა და მონაპოვრის დაკარგვისა გეშინოდა. თუმცა-ღა მახვილის პოვნის სურვილმა მაინც გადაძალა და გადაწონა ყოველივე დანარჩენი. და რისკის გაწევა გადაწყვიტე.

დავეთანხმე, ოღონდ დავძინე, რაც რამ შიში მიხსენე, არც ერთი დღესაც არ მასვენებს-მეთქი.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ვარჯიში ნელ-ნელა მოგხსნის ტვირთს, რომელიც თავად მოიგდე ზურგზე.

და პეტრუსმა მიჩვენა RAM ორდენის პირველი საიდუმლო — მარცვლის სავარჯიშო.

— ამით დაიწყე.

თავი ისე დავდრიკე, მუხლებს შუა მოვიქციე, ღრმად ჩავისუნთქე და დავიწყე რელაქსაცია. სხეული ეგრევე დამემორჩილა — ალბათ, იმიტომ, რომ მთელი დღე ვიარეთ და ქანცგაწყვეტილი ვიყავი. ცხადად მეყურებოდა მიწის ხმა — ყრუ და ხრინწიანი ხმა — და თანდათან გამარცვლება, მარცვლად გადაქცევა დავიწყე. არცრაზე ვფიქრობდი. ირგვლივ ბნელოდა, და მიწის შუაგულში ძილი მერეოდა. წამერთ რაღაც შეინძრა. ეს რაღაც ნაკვთმა — ჩემი არსების რაღაც უმცირესმა ნაწილმა სცადა ჩემი გამოფხიზლება და თან მეჩიჩინებოდა, აქედან უნდა ახვიდე, რადგან „იქ, ზემოთ“ რაღაცა სხვა ამბავიაო. მე თავი საძილედ მიკვდებოდა, მაგრამ უმცირესი ნაწილი თავისას არ იშლიდა — და აკი მიაღწია კიდეც იმას, რომ თითები გამიცივდნენ, თითებმა ხელები ამიმოძრავეს, ოღონდ ეს არც თითები ყოფილა და არც ხელები, ეს პაწაწკინტელა, ერთი ბეწო ღივი იყო, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა დედამიწის ძალას, რათა „იქ, ზემოთ“ აეღწია. ვიგრძენი, როგორ აჰყვა სხეული ხელების მოძრაობას. სუყოველი წამი მარადიულობად

ჩანდა, მაგრამ მარცვალს დაბადება და იმის გაგება ეჭირვებოდა, რა იყო თავად და რას წარმოადგენდა. გასაოცარი ძალისხმევით ჯერეთ თავმა, მერე კი მთელმა ტანმა იწყო წამოწევა. ოღონდ ნელა, საშინლად ნელა, და, სანამ წამოვიმართებოდი, იმ ძალის დაძლევა მიხდებოდა, ქვევით, სიღრმეში, ისევ დედამიწის ღურღუმში რომ მიწევდა, სადაც ჯერეთ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მშვიდად მეძინა [illegible] ქილით. ვატყობდი, რომ ვიმარჯვებდი, ჩემი გამქონდა, და ანაზდეულად თითქოს რაღაცა გატყვრა, აინგრა, და წელში გავსწორდი, გავიმართე, და ის ძალა, რომელიც კვალად მიწისკენ მხრიდა და მდრეკდა, გაქრა. მოკლედ, ამოვხეთქე მიწა და იმას მივეახლოვე, რაც „იქ, ზემოთ" იყო.

„იქ, ზემოთ" კი მინდორი დამხვდა. მზის სითბო ვიგრძენი, კოღოს წუილი და შორიახლო ჩამდინარე წყლის ზვირთის დგაფუნი მომეყურა. თვალებდახუჭული მძიმე-მძიმედ წამოვდექი. მეჩვენებოდა, ცოტაც და, წონასწორობას დავკარგავდი, კვალად მიწაში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ სინამდვილეში ზრდას განვაგრძობდი, ტანსა ვყრიდი. მალე ხელებიც გავშალე, ტანში გავიმართე და ვიდექი აგრე, აღორძინებული, ოცნებად კი ისლა დამრჩენოდა, რომ გარედანაც და შიგნიდანაც მზის შუქის კაშკაშა ნიალვართ განვებანე, რომელი შუქიც ოდენ იმას მენუკვოდა, ოღონდ მეგვარა და მეხარა, ოღონდ ღრმად დავფესვიანებულიყავი, ტანი ამეყარა და თვით ცისთვის მიმეწვდინა ტოტები. სულ უფრო და უფრო ვიძაგრებოდი, ვიჭიმებოდი, რამდენი კუნთიც მქონდა, სუყველა ერთად მტეხდა, და ვგრძნობდი, ამ გამაღლება-გამაღლებაში იმსიმაღლე გავხდი, თუ მოვინდომებდი, მთებსაც ჩავიკრავდი გულში. და ტანი ჩემი კვალად სულ ზევით-ზევით და სულ სიგანეში მიიწევდა, სანამ კუნთების ტკივილი ისე აუტანლად არ მექცა, რომ ველარ გავუძელი და შელონებულმა შევყვირე.

და გავახილე თვალები. პეტრუსი წინ მედგა, ილიმოდა და ეწეოდა. დღის შუქი ჯერეთ კიდევ ძალას ინარჩუნებდა, მაგრამ გაკვირვებული და გასახტებული დავრწმუნდი, რომ ჩემ მიერ გონებაში წარმოდგენილი მზე ცაზე უკვე აღარ იყო. აგიწერო, რა გრძნობებითაც ვიყავი-მეთქი შეპყრობილი, დავეკითხე ჩემს მეგზურ-ეტიკს, პასუხად მან თავი გააქნია:

— ეგ ყველაფერი ძალიან პირადულია, შენი გრძნობები შენადვე უნდა დაიტოვო. მე, აბა, როგორ განვსჯი, რასაც შენ განიცდიდი? შენი გრძნობები შენია, ჩემი ხომ არ არის.

მერე, ღამის თევით აქ დავრჩებითო, თქვა. იქვე პატარა კოცონი დავანთეთ, რაც ბოთლში ღვინო იყო დარჩენილი, გამოვცალეთ, და ხელდახელ რამდენიმე სენდვიჩი გავამზადე, ბატის ღვიძლის პაშტეტიანი, ანუ ფრანგული foie-gras, რომელიც სენ-ჟან-პიერ-დე-პორში მისვლის წინადღეს ვიყიდე. პეტრუსმა ფშანში ორიოდ მოზრდილი თევზი დაიჭირა და კოცონზე შეწვა. ნავახშმნი ჩვენ-ჩვენს საძილე ტომრებში შევწექით.

ცხოვრებაში ბევრი რამის მომსწრე და მნახველი ვარ, მაგრამ სანტიაგოს გზაზე გატარებულ ამ პირველ ღამეს ვერცროდის დავიწყებ. ზაფხულის ღამე ცივი გამოდგა, პირში კი ჯერეთ ისევ ვგრძნობდი იმ ღვინის გემოს, რომლითაც პეტრუსი გამიმასპინძლდა. მიოლაცას ავყურებდი, და ჩემს თავზე გადაჭიმული ირმის ნახტომი სრულად მახილვებინებდა მთელ მანძილს, რომლის გავლაც გველმოდენა ... ვითარებაში ამ საზარელ სივრცეს იქნებ ნაღველი, უიღბლობის-შიში და საკუთარი არარაობის შეგნებაც ჩაენერგა ჩემში. მაგრამ ახლა ახლად გაჩენილი მარცვალი ვიყავი. ჩემდა უნებურად აღმოვაჩინე, რომ რაც არ უნდა კარგი, რაც არ უნდა წყნარი იყოს მიწაში ძილი, ცხოვრება ბევრად მშვენიერია „იქ, ზემოთ". და აღორძინებითაც იმდენჯერ ავღორძინდები, რამდენჯერაც მოვიპრიანებ, — მანამდე, სანამდეც ჩემი ხელები არ მოიცავენ მთელ დედამიწას, საიდანაც მოვლინებულვარ.

„მარცვლის" სავარჯიშო

ძირს მუხლებზე დაეშვი. მერე ჩაცუცქდი, ჩაპუპუზდი და ისეთნაირად დაიხარე, თავი მუხლებს რომ შეეხოს. ახლა მუხლებზე შემოიხვიე ხელები და ჩანასახის მდგომარეობაში ჩაიყენე თავი. და მოდუნდი, მოეშვი, ნუ იქნები დაჭიმული და დაძაბული. ისუნთქე ღრმად და მშვიდად. მალე თავს პაწაწინა მარცვლად იგრძნობ ნიადაგის სიმყუდროვესა და იდუმალებაში. შენ გარშემო ყველაფერი სითბოს ასხივებს და საამო შეგრძნებას შეგრძნებაზე გძღვნის. ღრმა, გულის ძილსა ხარ მიცემული. მაგრამ აგერ თითი გაგენძრა. მარცვალს მარცვლობა აღარა სწადს — დაბადება სურს. ნება-ნება იწყებ ხელების გატოკებას, და სხეული თანდათან გისწორდება, წელში იმართები, თუმცა კვლავინდებურად ჩაცუცქული ხარ. მძიმე-მძიმედ დგები. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი წარმოდგენილი გაქვს მარცვლად, რომელიც ღივდება და ის ღივი ნიადაგის სიღრმიდან ჯიუტად ცდილობს თავის ამოყოფას.

აწ უკვე სამზეოზე მოვლინების ჟამი დამდგარა. ნელა წამოიმართები. სხეულის სიმძიმე ჯერეთ ერთ ფეხზე გადაგაქვს, მერე მეორეზე. და წონასწორდები, როგორც ის ღივი თუ ღოჯი, სასიცოცხლო სივრცე ბრძოლით რომ მოიპოვა. აგერ, უკვე ფეხზე ხარ მთელი ტანით ამართული. წარმოიდგინე, რომ შენ გარშემოა მინდორ-ველი, მზე, წყალი, ქარი, თავს დაგტრიალებენ ფრინველნი. უკვე ნახარები ღივი ხარ, მიწის ზედაპირზე ამოსული, აღმონაცენი. ნება-ნება აღმართე ხელები ცისკენ. მერე წაეპოტინე, წაეტანე, რაც ძალი და ღონე გაქვს, წაეწოდე, ვითომ საცაა უზარმაზარ ცხრათვალა მზეს უნდა მისწვდე, რომელიც თავს დაგკაშკაშებს, თავისკენ გიზიდავს და ძალ-ღონეს გმატებს. სხეული სუფ უფრო და უფრო გეჭიმება, ყოველი კუნთი გიხევდება, შენ

კი იზრდები და იზრდები, ტანსა ყრი — და ორთოდენა ხდები, ვეებერთელა, დაძაბულობა მატულობს და უკვე გაუსაძლისია, საშინლად მტკივნეული. როს იგრძნობ, რომ ტკივილის ატანის თავი აღარა გაქვს, — წამოიყვირე და გაახილე თვალები.

ეს სავარჯიშო შვიდი დღე ზედიზედ ერთსა და იმავე დროს გაიმეორე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოქმედი და ნაქმედი

ექვსი დღე პირენეებში ვიარეთ, ვინ მოთვლის, რამდენჯერ დავითავდაღმართეთ და რამდენჯერ შევიაღმართეთ, და მუდამ, როგორც კი მზე ყველაზე მაღალ მწვერვალთ ოქროთი ავარაყებდა, სავარჯიშო გაიმეორეო, მთხოვდა პეტრუსი. მესამე დღეს გზაზე შეხვედრილმა ყვითელმა ბეტონის ნაჭერმა გვამცნო, რომ საზღვარი გადავლახეთ და იმიერიდან ესპანეთის მიწაზე მივაბიჯებდით. ჩემმა ეტიკმა ნელინელ ამოიდგა ენა და თავის თავზე ზოგი რამ მიამბო — თურმე იტალიელი იყო და სამრეწველო დიზაინის* სპეციალისტი. „იმდენი საქმის მიტოვება მოგიხდა, რათა პილიგრიმს მახვილის საძებნელად გამომყოლოდი, ალბათ, შეწუხებული ხარ, არა?“ — დავეკითხე.

— უნდა ზოგი რამ აგიხსნა, — მომიგო მან. — მე სულაც იქ არ მოგდევ, სადაც შენი მახვილია. ის მხოლოდ და მხოლოდ შენ უნდა იპოვო. მე აქ მარტო იმისთვის ვარ, რათა სანტიაგოს გზით გატარო და RAM ორდენის მცირეოდენი რამ სიბრძნე გადმოგცე. თუ როგორ გამოიყენებ ჩემს რჩევა-დარიგებას თუ დათათბირებას შენი მახვილის მოსაპოვებლად, შენ იცი და შენმა ფხიანობამ.

— ჩემს კითხვაზე მაინც არ მიპასუხე.

———————

* კიდევ ერთხელ უნდა დავადასტურო, თუ რა მართალია კოლინ უილსონი, რომლის აზრითაც, სამყაროში შემთხვევით არაფერი არ ემთხვევა ერთმანეთს. ერთხელ საღამოს მადრიდის სასტუმროში, სადაც ჩამოვხტი, ჰოლში რომ ვიჯექი და გაზეთებს ვფურცლავდი, ყურადღება მივაქციე პრინც ასტურიელის პრემიის მინიჭების გამო დაბეჭდილ რეპორტაჟს — მიქცევით კი ყურადღება იმიტომ მივაქციე, რომ დაჯილდოებულთა რიცხვში იყო ჩემი თანამემამულე ჟურნალისტი რობერტო მარინიო. წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ბანკეტის მონაწილეთა ამსახველ სურათს დავაკვირდი და ერთ-ერთ მოხდენილ სმოკინგიან მამაკაცში ჩემი მეგზურ-ეტიკი ვიცანი. სურათის წარწერა გვამცნობდა, რომ ეს იყო „ერთი ყველაზე გამოჩენილი ევროპელი დიზაინერთაგანი“.

— კაცი მოგზაურობაში ვერ ატყობს, ისე იბადება მეორედ. სულ ახალ და ახალ ვითარებაში ხვდება. ერთ ქალაქია დღეს მეორე ქალაქია დღე უცვლის, გარშემო უმეტესად უცხო მეტყველება ესმის. ის ჩვილ ყრმასა ჰგავს, დედის საშოდან ეს-ეს არის მოვლენილს. და მეტ ყურადღებას უფრო იმას უთმობს, რაც ირგვლივ აკრავს, რადგან იმაზეა დამოკიდებული, გადარჩება თუ არა. სუყოველი კაცის ემბრიონის ფრთხილი და გულისხმიერია, ვინაიდან გაჭირვების ჟამს [illegible] და აღუპყრონ ხელი. და ზეციერთა წამიერ წყალობას ლხინად აღიქვამს და, სანამ პირში სული უდგას, არ იგულმავიწყებს.

ამავე დროს, რამდენადაც იმისთვის ყოველივე უცხო და ახალია, ის ოდენ სილამაზეს ამჩნევს და ბედნიერია უკვე იმიტომ, რომ ცოცხალია. ამ მიზეზით რელიგიური მწირობა, ანუ წმინდა ადგილთა მოლოცვა, მუდამ იყო ჩაწვდომის ერთ-ერთი ყოვლის უფრო პირდაპირი და მოკლე გზა. სიტყვა „ცოდვა", ლათინურად „pecus", თავდაპირველად „მტკივან ფეხს" ნიშნავდა, ესე იგი ფეხს, რომელსაც გზის დაკეცვის უნარი არ შესწევს. ცოდვისგან თავის დასაღწევად კი სულ წინ სიარულია საჭირო, რა ახალ და უჩვეულ ვითარებაშიც არ უნდა მოხვდე, უნდა შეეთვისო და შეეგუო, თანაც არ დაგავიწყდეს, ცხოვრება მოიეფეა, და რაც შეიძლება მეტი და მეტი ლოცვა-კურთხევა უნდა გაამეტებინო.

ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ვღელავ იმ ხუთი თუ ექვსი პროექტისა გამო, რომელთაც თავი მივანებე, რათა შენთან ერთად დავდგომოდი ამ გზას.

პეტრუსმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და მზერა იმ მთის წვერზე შეაჩერა, სადაც თხები ძოვდნენ. ერთ-ერთი, ჩანს, ყველაზე ყოჩაღი, ისეთ ჭიუხზე ამძვრალიყო, გაგიკვირდებოდა, ან როგორ მოხვდა იქ, ან როგორ უნდა ჩამოსულიყო. ნეტავი რას იზამს-მეთქი, სანამ ამ საგონებელში ვიყავი, თხამ ისკუპა და ჩემთვის უხილავი წავარნითა თუ კლდის ქიმ-ქიმ დაეშვა, არვეს შეერია. ჩვენ გარშემო სოფელქვეყანა გაურკვეველ ფორიაქს შეეპყრო და ისეთნაირად სუნთქავდა, დაშოშმინებისა არცრა ეტყობოდა რა — ჯერეთ ზრდაც უნდა განეგრძო და ქმნაც, რისთვისაც უსუსტარი მოძრაობა და მოძრაობა იყო გარდაუვალი. შეგრძნება იმისა, რომ ბუნება სასტიკია, ჟამისად დიდი მიწისძვრის ანდა მომაკვდინებელი ქარაშოტის დროს ჩნდება, მაგრამ ახლა მივხვდი — რაც ხდებოდა, ეს მხოლოდ გზის დაუდგრომლობა თუ დაუდეგრობა იყო. თვით ბუნებაც მუდმივად გზაშია, მუდმივად წვდომის ძიებაშია.

— ბედნიერი ვარ, აქ რომ აღმოვჩნდი, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა. — იმიტომ რომ, რა საქმეაც მივატოვე, ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, ხოლო რა საქმეთაც ამ მოგზაურობის შემდეგ გავასრულებ, ბევრად უკეთესი იქნება.

მახსოვს, კარლოს კასტანედას რომ ვკითხულობდი, ძალიან მინდოდა ძველ შამან დონ ხუანთან შეხვედრა. და ახლა, იმის ხილვისას, თუ როგორ გასცქეროდა მთებს პეტრუსი, მომეჩვენა, რომ გვერდით ვიღაც მედგა, ვინც ძალიან ჰგავდა ამ პერსონაჟს.

მეშვიდე დღის მიწურულს, ხშირი ფიჭვნარი რომ გავიარეთ, ერთი გორაკის წვერზე მოვექეცით. აქ კარლ დიდს ესპანეთის მიწაზე თავისი პირველი ლოცვა აღევლინა, და ძველ ობელისკზე გამოყვანილი ლათინური წარწერა ითხოვდა, რომ ამ მოვლენის [illegible] ნიშნავად ყველა გამვლელს ხმამაღლივ ან თავისთვის წაეკითხა [illegible] რეგინა...“ მე და პეტრუსმა ყურად ვიღეთ ეს მოწოდება. [illegible] ეტიკამ სავარჯიშოს უკანასკნელად გამეორება მიბრძანა.

ქარი ქროდა, ციოდა. ის იყო დაუარება დავაპირე, ჯერეთ ადრეა, რა არი, სამი საათია-მეთქი, მაგრამ პეტრუსმა, სიტყვას ნუ მიტრიზავებ, ქენი, რასაც გეუბნებიანო.

და მუხლებზე დავეშვი. ყველაფერი ჩვეულებრივი წესით ხდებოდა მანამ, სანამ ხელები არ გავშალე და მზე არ წარმოვიდგინე. და რაწამსაც უზარმაზარმა მნათობმა ჩემ წინ ცხრავე თვალი ააბრიალა, ვიგრძენი, რომ უკიდურესად უჩვეულო აღტყინება მიპყრობდა. ჩემი კაცობრიული მეხსიერება თანდათან ქრებოდა და სავარჯიშოს უკვე ველარ ვასრულებდი, თითქოს ნამდვილად ხედ ვიქეცი. და ძალიანაც კმაყოფილი ვიყავი ამით, უფრო მეტიც — თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მოკაშკაშე მზე თავისი ღერძის გარშემო ბრუნავდა, რაც ადრე არცროდის არ ყოფილა. აგრერიგად გულსავსემ უფრო განზე გავშალე ტოტები, რომელთა ზედაც ქარი ფოთოლთ ბნელხმიანად აშრიალებდა, და გავიტრუნე, ნეტავი ამ ადგილიდან ფეხი ალარ მომაცვლევინა-მეთქი, ვნატრობდი. უცებ რაღაც შემეხო, ვიგრძენი, — და იმწუთას, თვალის დახამხამებაში, ჩამობნელდა.

ეგრევე ვჭყიტე თვალები. პეტრუსი ლოყებზე ხელებს მიტყაპუნებდა, ხანაც ანგარიშმიუცემლად მანჯღრევდა, მაჯანჯღარებდა.

— არ დაგავიწყდეს, რისთვის ხარ აქ მოსული! — მრისხანედ იმეორებდა იგი. — არ დაგავიწყდეს, რომ კიდევ ბევრი რამის შეცნობა მოგიწევს, სანამ შენს მახვილს მიაგნებდე!

ქარი ძვალ-რბილში მატანდა, და აძაგძაგებული მიწაზე დავჯექი.

— მუდამ აგრეა ხოლმე?

— თითქმის მუდამ, — მომიგო პეტრუსმა. — მეტადრე შენისთანებისთვის, ვინც წვრილმანების ტყვეობაში ექცევით და მთავარს ივიწყებთ.

მან ტავარჯუხიდან სვიტერი ამოიღო და გადაიცვა. მეც პერანგი გადავიცვი ფეხბურთელის მაისურზე, რომელსაც „I LOVE NY“ ეწერა. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ „ბოლო ათი წლის მანძილზე არნახულად ცხელ ზაფხულში“ — როგორც დაახლოებით იუწყებოდნენ გაზეთები — სიცივე ამიტანდა. სქელი პერანგი ქარისგან კი მიცავდა, მაგრამ ნაბიჯი ავაჩქაროთ-მეთქი, ვთხოვე პეტრუსს, რა არი ცოტა გავხურებულიყავი.

გზა დათავქვევდა, და სიარული გაადვილდა. აგრერიგად იმიტომ გავითოშე-მეთქი, ვარაუდი გამოვთქვი, რაკი უხეიროდ ვიკვებებით, მარტო თევზზე და ხიჩატელზე* ვართ-მეთქი. პეტრუსმა ამიხსნა, მაგრამ-ტომ კი არ გაითოშე, უკვე ძალიან მაღლა ამოვედით და მთამ გიხადო.

ხუთასიოდე ნაბიჯის შემდეგ გზა უხვევდა — და იქ უკვე [illegible] შეიცვალა გარემო. თვალწინ გადაგვეშალა ალაგ-ალაგ [illegible] რაკებიანი ვრცელი ტრამალი. მარცხნივ კი გზა ქვემოთ ეშვებოდა, სადაც ორასიოდე მეტრში საკვამურებაბოლებული კობწია ქათქათა ქალაქი გაჭიმულიყო.

წამერთ ნაბიჯი ავაჩქარე, მაგრამ პეტრუსმა შემაჩერა.

— აწ, მგონი, ზუსტად ის დროა, რომ RAM ორდენის მეორე საიდუმლოს გაზიარო, — მითხრა მან, მიწაზე დაჯდა და მანიშნა, შენც დაჯექიო.

სხვა რა გზა იყო, დავემორჩილე, თუმცა არ მესიამოვნა, რომ შევყოვნდით. საკვამურებაბოლებული პატარა ქალაქი ანდამატური ძალით მიზიდავდა თავისკენ და უცებ წამომაგონდა, რომ მთელი ერთი კვირა ადამიანების თვალის დამკვრელი არ ვიყავი და ან ტრიალ მინდორში ვათევდი ღამეს ღია ცის ქვეშ, ანდა მუხლჩაუხრელად მივუყვებოდი გზას მზის დახდომამდე. გარდა ამისა, სიგარეტი გამომელია და საშინელი რამ თუთუნის დალევა მიხდებოდა, რომელ თუთუნსაც პეტრუსი გრეხდა და ისე ეწეოდა. ოცი წლის თუ ხარ, არც ცარიელი თევზის ჭამა გიჭირს და არც ღამე საძილე ტომარაში შეძრომა, ის კი არა, მოგწონს კიდევაც, ოღონდ აქ და ახლა, სანტიაგოს გზაზე, ყოველივე ამას ცოტა ძალისხმევა რომ უნდოდა. სანამ პეტრუსი, ჩემდა გულის გამაწყალებლად, თუთუნს იმზადებდა, მე იმაზე ვოცნებობდი, ერთი ჭიქა ღვინით შევმთბარიყავი ტავერნაში, სადამდეც სულ ხუთი წუთის სავალილა იყო.

მაგრამ პეტრუსს აშკარად არ სციოდა თავის სვიტერში, თავი მშვიდად ეჭირა და უგულისყურობ გაჰყურებდა თვალგადაუწვდენელ ვაკიანს.

— ჰა, როგორ მოგეწონა პირენეებზე გადასვლა? — მკითხა მან ცოტა ხანში.

— ძალიანაც მომეწონა, — მივუგე უნდომანდოდ, რაკიღა ლაპარაკის გაგრძელება არ მინდოდა.

— მოსაწონი რომ არ ყოფილიყო, ერთი დღის სავალს ექვსი დღის სავალად არ გამოვიზოგავდით.

ყურებს არ დავუჯერე, ეს რა მითხრა-მეთქი, მაშინ მან რუკა ამოიღო და ჩვენ მიერ გამოვლილი მანძილი მიჩვენა — ჩვიდმეტი კილომეტრი. ალმართ-დალმართი, რასაკვირველია, გზას აჭიანურებდა, მაგრამ ექვს საათზე მეტი იმის გავლას მაინც არ უნდოდა.

*** არ ვიცი, რა ერქვა ამ მოწითალო ველურ ხილს, მაგრამ პირენეებში ჩემი ხეტიალის დროს იმდენი ვჭამე, ახლაც გული მერევა იმის მარტო დანახვაზეც კი.**

— შენ ისე ხარ გართული იმ შენი მახვილის ძებნით, რომ ზოგი რამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამოგეპარა — იმისკენ სვლაა საჭირო. შენ მარტო სანტიაგო გახსოვდა, მარტო სანტიაგოს იყავი მიჩერებული — ის კი აქედან არა ჩანს, — და ვერ ამჩნევდი: ზოგ-ზოგ ადგილს ოთხჯერ-ხუთჯერ გავდიოდით, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან.

მხოლოდ ახლალა, პეტრუსის სიტყვების შემდეგ, გამოგონდა, რომ პირენეების ყველაზე მაღალი მწვერვალი — მონტე-იჩაშეგი — დროდადრო მარცხნიდან ჩანდა, დროდადრო მარჯვნიდან. თუმცა, ამ ამბისთვის ყურადღება რომც მიმექცია, მაინც ვერ მივხვდებოდი, ერთ ადგილას ვტრიალებდით თუ არა.

— ხან რომელი გზით მომყავდი და ხან რომლით, ხანაც იმ საიდუმლო ბილიკთ მოვდევდით, კონტრაბანდისტები რომ იყენებენ. შენ ვალდებული იყავი, რომ ეს შეგემჩნია. მაგრამ იმიტომ ვერ შეამჩნიე, რომ შენთვის არ არსებობდა თვითონ გზის პროცესი. არსებობდა მხოლოდ საბოლოო წერტილში მისვლის შენი სურვილი.

— ვთქვათ, და მაინც რომ მივხვედრილიყავი?

— მაშინ სხვა ხერხს რასმე მოვიგონებდი, გზაში შვიდ დღეზე ნაკლები რომ არ ვყოფილიყავით, რადგან RAM ორდენის საიდუმლოთა მიხედვით ასლი ეს ვადაა დაწესებული.

გაოცებისგან სიცივეც ვიგულმავიწყე და ქალაქიც.

— მიზნისკენ როცა მიდიხარ, — განაგრძობდა პეტრუსი, — ძალიან მნიშვნელოვანია იმ გზისთვის ყურადღების მიქცევა, რომელსაც მისდევ. გზა — დიახაც გზა — გვიკრნახებს მუდამ ყველაზე საუკეთესო მარშრუტს და გვამდიდრებს, როდესაც ვთელავთ და ვკეცავთ. უკეთუ ამას სექსს შევადარებთ, შეიძლება თქმა: წინასწარი ალერსი ბევრად უფრო მძაფრსა და ძლიერსა ხდის ორგაზმს. ამას სუყველა დაგიდასტურებს.

იგივეა მიზანიც, რომელიც დასახული გაქვს. ის იქნებ კარგიც გამოდგეს ანდა უარესიც — იმისდა მიხედვით, თუ რა ზა გაქვს არჩეული მიზნის მისაღწევად, და იმისდა კვალად, თუ როგორ გაივლი ამ გზას. ამიტომაც არის ეგზომ მნიშვნელოვანი RAM ორდენის მეორე საიდუმლო. ამ საიდუმლოს აზრი ის არის, დაფარულსა და დამალულს იქ მივაკვლიოთ, რასაც ყოველდღიურად ვხედავთ და თვალი ისე გვაქვს შეჩვეული, ველარც კი ვამჩნევთ.

და პეტრუსმა სიჩქარის სავარჯიშო მასწავლა.

— ქალაქში, სადაც ყოველდღიურად უამრავი საქმე გვაქვს, ამ სავარჯიშომ სულ ოცი წუთი უნდა დაიჭიროს. მაგრამ, რადგან მე და შენ სანტიაგოს საოცარ გზას მივდევთ, ჩვენ ერთ საათს წაგვართმევს.

ამასობაში კვლავ სიცივემ ამიტანა, და პეტრუსს მავედრებელი მზერა მივაპყარი. მაგრამ იმან ისე დაიჭირა თავი, ვითომ ვერც მამჩნევდა, რა დღეში ვიყავი: წამოდგა, ტავარჯუხი მოიკიდა, და სასოწარმკვეთი ზოზინით შევუდექით ქალაქამდე დარჩენილი ორასი მეტრის გავლას.

თავდაპირველად მხოლოდ ტავერნას გავცქეროდი — ძველებურ ორსართულიან სახლაკს, რომელსაც ხის აბრა ჰქონდა კარებზე მიკრული: მალე ისე ახლოს მივედით, სახურავქვეშ ამოკვეთილი აშენების

წელიც გავარკვიე — 1652. ვმოძრაობდით, მაგრამ მეჩვენება, რომ ადგილიდან არ ვიძვროდით. პეტრუსი ძლივს მიათრევდა ფეხებს, მეც უკან მივჩანჩალებდი. მერე ხალთაგუდიდან საათი ამოვიღე და მაჯაზე შევიბი.

— ეგრე უფრო უარესია, — მითხრა მან. — იმიტომ ერთმანეთს მუდამ ერთსა და იმავე რიტმში არ მდინარებს. დროის რიტმს ჩვენ ვსაზღვრავთ.

და წამისწამ საათის ცქერამ პეტრუსის სიმართლეში დამარწმუნა. რაც უფრო ხშირ-ხშირად დავყურებდი ციფერბლატს, მით უფრო ნელა მიღოლავდა ისარი. მეც ავდექი და ჩემი ეტიკის რჩევას დავყევი, საათი შევიხსენი და ჯიბეში ჩავიდე, გულისყურის სხვა რამეზე გადატანა ვცადე: თვალიერება დავუწყე გარემო პეიზაჟს, ვაკვირდებოდი ყოველ ქვას, რომელიც კი ფეხებში მედებოდა, თუმცა თვალი ერთთავად ტავერნისკენ გამირბოდა — და დავრწმუნდი, რომ ერთი მტკაველი რა არის, ერთი მტკაველითაც არ ვიყავით მიახლოებულნი. მერე ახლა მევე დავუწყე ჩემს თავს რაღაც-რაღაცა ამბების მოყოლა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, სავარჯიშო ისე მაფორიაქებდა, თავი სად მება, აღარ ვიცოდი. და როცა ველარ მოვითმინე და კვლავ ამოვიღე საათი, დავინახე, რომ მხოლოდ თერთმეტი წუთი გასულიყო.

— წამებად ნუ იქცევ ეგ სავარჯიშო, მაგისთვის სულაც არ მოუგონიათ, — შემეხმიანა პეტრუსი. — შენთვის უჩვევ სიჩქარეში ტკბობის მოპოვებას ეცადე. ყოველდღიურობის ნირის შეცვლით თავს ახალ კაცად იშობ. ერთი სიტყვით, თავად გადაწყვიტე.

ბოლო წინადადება ისე ლბილად წარმოთქვა, ცოტა გულზე მომეშვა. მეტი რა გზა მქონდა, თუკი ჩემი გადასაწყვეტი იყო, გარემოებით უნდა მესარგებლა. მეც ავდექი და ერთი ღრმად ჩავისუნთქე, თავს ძალა დავატანე, რომ არც არაფერზე მეფიქრა და ისეთ მდგომარეობაში ჩავმდგარიყავი, როცა დრო სადღაც შორს იდენდა და მე არანაირად არ შემეხებოდა. სულ უფრო მეტად ვწყნარდებოდი და თანდათან სრულიად სხვა თვალით მოვიხილე ყოველივე, რაც ჩემ გარშემო იყო. და წარმოსახვა, ადრე ჩემს წინააღმდეგ ამბოხებული, ახლა მოკავშირე მიხდებოდა. გავცქეროდი ჩემ წინ გაშლილ პატარა ქალაქს და ათასგვარ ამბავ-ხაბარს ვუგონებდი: ვფიქრობდი, როგორ დაეფუძნებინათ და რარიგ აეშენებინათ, როგორ დადიოდნენ გზად იქ წმინდა ადგილთა მოსალოცავად მავალნი და პირენეების ცივ ქართაგან შეცივებულნი რარიგ შეჰხაროდნენ იქაურთა სითბოსა და სტუმართმოყვარეობას. და დადგა ის წუთიც, რაჟამს ამ პატარა ქალაქში რაღაც ბრძნული და იდუმალი ძალის სუფევა ვიგრძენი. და ჩემმა წარმოსახვამ მთელი ის არემარე რაინდებით აავსო, ის მიდამო კი ბრძოლის ველად აქცია. თვალცხადლივ ვხედავდი, ვითარ ელავდნენ მზეზე ფოლადისპირიანი მახვილნი, ცხადადვე მესმოდა მეომართა საბრძოლო საძახელი. და პატარა ქალაქი უფრო დიდ რაღაცად წარმომიდგა, ვიდრე ნანინანატრ ადგილად, სადაც ერთ ჭიქა ღვინოსა და თბილ საბან-ზედსახურს შემომთავაზებდნენ, — ახლა ის ისტორიული ნიშანსვეტი გახდა იმ

ადამიანის საგმირო საქმეთა აღსანიშნავად, ვისაც ყველაფერზე ხელი აეღო იმის გულისათვის, რათა ამ დასაკარგავში დამკვიდრებულიყო. მივხვდი, თუ რა იშვიათად ვაქცევდი ყურადღებას ჩემ გარშემო განფენილ სოფელ-ქვეყანას.

ხოლო სინამდვილის აღქმის უნარი რომ დამიბრუნდა, უკვე ტავერნის კართან ვიდექით და პეტრუსი მეპატიჟებოდა.

„სიჩქარის“ სავარჯიშო

ოცი წუთის განმავლობაში ორჯერ შეამცირეთ ის სიჩქარე, რა სიჩქარითაც ჩვეულებრივ მოძრაობთ. ყურადღებით დააკვირდით ყველაფერსა და ყველას, რაც და ვინც თქვენ გარშემოა — საგნებს, ბუნებას, ადამიანთ. საუკეთესოა ამ სავარჯიშოსთვის საღილთუკან დრო.

სავარჯიშო იმეორეთ ერთი კვირა.

— გეპატიჟები, — მითხრა პეტრუსმა. — დავლიოთ და ცოტა ადრე დავწვეთ დასაძინებლად, რადგან ხვალ დიდ მოგზაურობა უნდა წარგადგინო.

მთელი ღამე უსიზმრო ძილქუში მაწვა. და როდესაც რონსევალად წოდებულ პატარა ქალაქს დღის შუქმა პირი ჩამობანა, პეტრუსმა ჩემი ნომრის კარს მოაკაკუნა. ღამე ტავერნის მეორე სართულზე გავათიეთ, რომელიც სასტუმროს მაგივრობასაც ეწეოდა.

თითო ფინჯანი შავი ყავა დავლიეთ, ზეითუნიანი პური მივაყოლეთ და გზას გავუდექით. მივხვდი, რომ რონსევალი პატარა მივარდნილი ქალაქი არ იყო, როგორც თავდაპირველად მეგონა: იმხანად, როცა სანტიაგო-დე-კომპოსტელას უამრავი ლოცვადმავალი მიაწყდა, იქ, რონსევალში, იდგა იმ მხარეში ყველაზე უფრო დიდი მონასტერი, რომელიც მიწებს თვით ნავარის საზღვრამდე ფლობდა. ამის კვალი დღევანდლამდეა შემორჩენილი — აქა-იქ კიდევ შეხვდებით სახლებს, ადრე სამონასტრო სავანეს რომ ეკუთვნოდა. ერთადერთი „საერო“ ნაგებობა ტავერნა იყო, სადაც ღამე გავატარეთ.

ნისლში სამონასტრო ეკლესიამდე მივედით. შევედით. რამდენიმე თეთრ-სპეტაკად მოსილი მონაზონი მოვიხილეთ. ისინი დილის პირველ მესას ასრულებდნენ. გაგებით არც ერთი სიტყვა არ გამეგებოდა, რამეთუ ისინი ბასკურად ლოცულობდნენ. პეტრუსი მერხზე ჩამოჯდა და თავის გვერდით დაჯდომა მთხოვა.

ეკლესია თავისი სიგანე-სიმაღლით უზარმაზარი იყო და იქ გამოფენილ ხელოვნების ფასდაუდებელ ნაწარმოებთ თვლა არა ჰქონდა. პეტრუსმა ჩურჩულით მითხრა, რომ ეს საუფლო სახლი პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მეფეთა და დედოფალთა შე-

მოწირულობით აეშენებინათ, ხოლო ადგილი ასაშენებლად ოდესღაც თვით კარლ დიდს შეერჩია. მთავარ საკურთხეველთან რონსევალელ ყოვლად წმინდა ქალწულს — რომლის ხატი ვერცხლისგან იყო ჩამოსხმული, სახე კი კეთილშობილი ჯიშის ხეთაგან გამოეკვეთათ — ხელთ, სპეკალთაგან ქმნილი ყვავილებით დამშვენებული რტო ეჭირა, ლის სურნელმა თუ კილამონმა, დიდებულმა გოთიკამ და ბლოცველთა გუნდმა ისეთ მდგომარეობაში ჩამაგდო, ადრე ტრადიციის რიტუალთა შესრულებისას რომ განვიცდიდი ხოლმე.

— მოგვი სადღაა? — მოვიკითხე, პეტრუსის მიერ წინადღეს ნათქვამი რომ გამახსენდა.

მან უსიტყვოდ წამისყოფით მიმანიშნა ერთ ხეხელა შუახნის სათვალიან მონაზონზე, რომელიც მთავარ საკურთხეველს გარშემოვლებულ გრძელ მერხზე სხვებთან ერთად იჯდა. ნუთუ შესაძლებელია: ბერი ერთჟამიერად მოგვიც იყოს? ძალიან მინდოდა, რომ ეს მესა რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, მაგრამ პეტრუსმა ხომ მითხრა, დროის დინებას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ განვსაზღვრავთო, და ჩემი გულის მღრღნელი მოუთმენლობის წყალობით მსახურება ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

როცა ბოლოსა და ბოლოს უკანასკნელი სიტყვები მიწყდა, პეტრუსმა მერხზე მიმატოვა და თვითონ მონაზონთა კვალდაკვალ უკანა კარით გავიდა. ვათვალიერებდი ტაძრის ბრწყინვალე მორთულ-მოკაზმულობას და მესმოდა, რომ უნდა მელოცა, მაგრამ ლიტონი სიტყვით ღვთის მოწოდებას ვერა და ვერ ვახერხებდი. მთელი გულისყური ველარაფერზე ვერ გადამქონდა: წმინდანთა გამოსახულებანი იმ უსასრულოდ შორეულ დროებათა კუთვნილებად მეჩვენებოდნენ, რომელი დროებანიც ჩავლილია და აღარცროდის დაბრუნდებიან, როგორც რომ კვლავ აღარცროდის აღარ დადგება სანტიაგოს გზის ოქროს საუკუნე.

პეტრუსი კარებში გამოჩნდა და უსიტყვოდ მიხმო.

მონასტრის შიდა ბაღში შევედით. შუაში შადრევანი იდგა, ქვის ფიალის ქიმზე ჩამომჯდარი გვიცდიდა სათვალიანი მონაზონი.

— მამაო ჰავიერ, ეს ის პილიგრიმია, რომელზეც გელაპარაკეთ, — წარმადგინა პეტრუსმა.

მონაზონმა ხელი გამომიწოდა; მივემშვიდობეთ ერთმანეთს, და გავჩუმდით. ველოდებოდი, ცოტაც და, რაღაცა მოხდება-მეთქი, მარტო მამლების ყივილი და ხანაც იმ ქორ-ბურაულთა კიპკიკი ისმოდა, ყოველდღიური ნადირობისთვის გასაფრენად რომ ემზადებოდნენ. მონაზონი გაუგებარი გამომეტყველებით შემომცქეროდა — დაახლოებით ისევე, როგორც მადამ დებრილი, როცა ძველი სიტყვა წარმოვთქვი, — და, ბოლოს, მაინც პირველმა დაარღვია ხანიერი და შემღონებელი დუმილი:

— ვგონებ, ძვირფასო, ცოტა არ იყოს, ადრე დაგიწყია ტრადიციის საფეხურთა ავლა.

უკვე ოცდათვრამეტი წლისა ვარ და სუყველა ორდალია* პატიოსნად გამოვიარე-მეთქი, მივუგე.

— სუყველა, ოღონდ ერთის გამოკლებით — უკანასკნელისა და ყოვლის უფრო მნიშვნელოვნის გარდა, — წართქვა მან, და ისევ ისე გულგრილად მიმზერდა. — უიმისოდ კი, რაც რამ გისწავლია, არცრად არა ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგიტომაც ვადგივარ სანტიაგოს გზას.

— ეგ არცრის საწინდარია. გამომყევით.

პეტრუსი ბაღში დარჩა, მე კი მამა ჰავიერს ავედევნე. რამდენიმე დახურული ტალანი რომ გავიარეთ და გვერდი ავუქციეთ იმ ტაგრუცს, სადაც მეფე სანჩო მძლავრის ნეშტი ესვენა, ერთ მცირე საჟამნოში მოვხვდით, რომელიც რონსევალის მონასტრის ძირითად შენობათაგან რამდენადმე მოშორებით იდგა.

შიგ არცრა იყო, ერთი მაგიდის გარდა, რომელზედაც წიგნი და მახვილი ეწყო. მაგრამ ის ჩემი მახვილი არ ყოფილა.

მონაზონი მაგიდას მიუჯდა, ჩემთვის დაჯდომა არ შემოუთავაზებია. მერე ერთი ბღუჯა რაღაც ბალახი მოივარგა და ცეცხლი წაუკიდა, საჟამნო კვამლის მსუბუქმა სურნელმა მოიცვა. წამისწამ მომხდარი სულ უფრო და უფრო მახსენებდა მადამ დებრილთან შეხვედრას.

— უწინარესად უნდა გაგაფრთხილოთ, — წართქვა მამა ჰავიერმა. — წმინდა იაკობის გზა ოთხთაგან მხოლოდ ერთია. ეს **ყვავის** გზაა. თქვენთვის ძლიერების მომნიჭებელი კია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარი არ არის.

— დანარჩენი სამი რომელიღაა?

— ორი მაინც ცნობილია თქვენთვის. პირველი იერუსალიმის, ანუ **გულის,** გრაალის გზაა: ის სასწაულთა ქმნის უნარს განიჭებს. მეორე რომის, ანუ **ჯვრის** გზა სხვა სოფელ-ქვეყნებთან ურთიერთობას გასწავლის.

ერთი აგურიღა გვაკლია, და ბანქოს დასტაც მთლიანად შეივსებოდა-მეთქი, — გავიხუმრე.

— მართალი ბრძანდებით, — გაიცინა მამა ჰავიერმა. — ეგ საიდუმლო გზაა. თუკი ოდესმე მოგიხდათ მაგ გზით სიარული, კრინტი არ უნდა დაძრათ, ვალდებული ხართ. ჯერ მაგას თავი დავანებოთ. სად არის თქვენი ნიჟარები?

ტავარჯუხი გავხსენი და ვიზიტაციის ღვთისმშობლის ხატიანი ნიჟარები ამოვიღე. მონაზონმა ისინი მაგიდაზე დააწყო, ხელები ზედ მიმოატარა, ნებისყოფა სრულად დაძაბა და შენც ეგევე გაიმეორეო, მთხოვა. კეთილსურნელება სულ უფრო მძაფრდებოდა, თვალები გახე-

---

* **ორდალია — შუა საუკუნეებში ბრალდებულის გამოცდა ცეცხლით, გახურებული შანთით და მდუღარე წყლით. ვინც წამებას გაუძლებდა, უდანაშაულოდ ჩათვლიდნენ. ცნება გაჩნდა წმინდა ტრიბუნალის, ანუ ინკვიზიციის ხანაში.**

ლილი გვქონდა. და უცებ შევამჩნიე, რომ ზუსტად იგივე მოვლენა ხდებოდა, რაც იტატიაიაში* — სამივე ნიჟარაში შუქი ჩადგა, რომელიც არცრას ასინათებდა. მამა ჰავიერის ხორხიდან ამოსულმა ხმამ წარმოთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქ იქნება.

ეს იყო ფრაზა ბიბლიიდან. ხმა კი განაგრძობდა:

— ხოლო სადაც გულია, ქრისტეს მეორედ მოსვლის აკვანიც აქ იქნება. ვითარცა ეს ნიჟარები, ლოცვადმავალიც მხოლოდ და მხოლოდ გარსია. ოდეს გარსი გაიხევა, რაც ცხოვრების ზედა ფენაა, თავად ცხოვრება გამოჩნდება, რაც **აგაპესგან**** შედგება.

როგორც კი მონაზონმა ხელები მოაშორა, ნათება გაქრა. მერე ჩემი სახელი, მაგიდაზე რომ წიგნი იდო, იქ ჩაწერა. მთელ სანტიაგოს გზაზე ჩემი სახელი სამად სამჯერ დაინუსხა—მადამ დებრილის წიგნში, მამა ჰავიერის წიგნში და — უკვე მერე — ძლევამოსილების წიგნში ჩემივე ხელით.

— მორჩა და გათავდა, — ჩაილაპარაკა მონაზონმა. — გზა ხსნილი გაქვს. ყოვლადწმინდა ქალწულმა რონსევალელმა და წმინდა იაკობმა დაგლოცონ.

— სანტიაგოს გზა მთელ ესპანეთში ყვითლად არის აღნიშნული, — წართქვა მან, როცა ისევ იქ მივბრუნდით, სადაც პეტრუსი გველოდა. — უკეთუ გზა აგებნეთ, ამ ნიშნით დაუწყეთ ძებნა — ხეებზე, ქვებზე, გზის მაჩვენებლებზე, — გიწადმართებენ, სწორ გეზს გაპოვნინებენ.

— ეგ არ მაშინებს, კარგი ყოლაუზი მყავს.

— ეცადე, რომ უწინარესად საკუთარი თავის იმედი გქონდეს. მაშინ ალბათ ალარ მოგიწევს ექვსი დღე ზედიზედ პირენეებში ტრიალი.

ჩანს, პეტრუსს უკვე ეთქვა ჩემი დაუდევრობის ამბავი.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, და ჩვენ ჩვენს გზას დავემწყემსეთ. რონსევალიდან რომ გამოვდიოდით, ნისლი უკვე მთლად გაიფანტა. თვალწინ ლარივით სწორი გზა გადაგვეჭიმა, და ყვითელ ნიშანთ დავუწყე ძებნა, რომელთა შესახებაც პადრე ჰავიერმა გაიხსენა. ტავარჯუს დამძიმება შევატყვე — მართალია, პეტრუსმა დამიშალა, არ გინდაო, მაგრამ ტავერნაში ერთი ბოთლი ღვინო მაინც ვიყიდე. რონსევალის შემდეგ მთელი ჩვენი გზის სიგრძეზე კიდევ ბევრი ქალაქი უნ-

---

* იტატიაია — აგულიას ნეგრას (შავი ნემსები) მწვერვალის მეორე სახელწოდება (ბრაზილია).

** აგაპე — ანტიკური ცნებაა, მოყვასის სიყვარულს ნიშნავს. ბერძნულ ფილოსოფიაში განასხვავებდნენ „აგაპე"-ს ცნებას, როგორც მოყვასის საკეთილდღეოდ მიმართულ მოქმედ სიყვარულს, და „ეროს"-ის ცნებას, როგორც კმაყოფილების მომგვრელ ვნებიან სიყვარულს.

და შეგვხვდეს, თუმცა ჭერქვეშ ძილი თიოქმის აღარსად არ მომიწევს.

— პეტრუს, რატომ იყო, რომ პადრე პავიერი ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს მოსვლა ახლა ხდებოდეს?

— ეგრეა, ეგრე. ეგ მუდამ ხდება. ამაშია შენი მასწავლის საიდუმლოება.

— და კიდევ... მგონი, მოგვს შეგახვედრებო, ქრისტესსო, მითხარი, სინამდვილეში კი მონაზონს შევხვდი. რა აქვს საერთო კათოლიკურ ეკლესიასთან მაგიას?

პასუხად პეტრუსმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

— ყველაფერი.

სისასტიკე

— აგერ აქ, ამ ადგილას გაიგმირა სიყვარული, — თქვა გლეხმა ბერიკაცმა და თითი კლდის ძირას შეყუჟულ პატარა სალოცავისკენ გაიშვირა.

ხუთი დღე ზედიზედ მუხლი არ ჩაგვიხრია, გაჩერებით მხოლოდ იმის გულისთვის შევჩერდით, რათა ცოტა წაგვეხემსა და წაგვეძინა. პეტრუსი თავის ცხოვრებაზე ბევრს არას მიყვებოდა, უფრო მეტად ბრაზილიასა და ჩემს სამუშაოზე მეკითხებოდა. ხშირად მეუბნებოდა, რომ მოსწონდა ჩემი ქვეყანა, და კორკოვადოს მთაზე ხელებგაშლილი ქრისტე მაცხოვარი ბევრად უფრო ესათნოებოდა, ვინემ ჯვარცმულად გამოსახული. პეტრუსი ყველაფრის მიმართ იჩენდა გულისყურს, მაგრამ მეტადრე ბრაზილიელ დიაცთ უტრიალებდა, ესპანელი ქალებივით ლამაზები არიან თუ არაო, კითხულობდა ცნობისმოყვარეობაატანილი. სიცხე იმხანად მართლაც გაუსაძლისი დაიჭირა, და თითქმის სუყველა სახემს-სასაუზმესა და პატარა სოფელში, გზად სადაც კი ვჩერდებოდით, ხალხი ერთპირად გვალვას უჩიოდა. პაპანაქებისა გამო ესპანელებსავით ჩვენც სიესტის დაცვა დავიწყეთ და დღის ორი საათიდან ოთხამდე ვისვენებდით, როცა მზე ნამეტნავად აჭერდა.

იმ დღეს ზეთისხილის კორომს შევაფარეთ თავი, სადაც გლეხმა ბერიკაცმა ღვინო მოგვართვა. ესპანელთ ჩვეულებად მოსდევთ ყოველგვარ ამინდში ღვინის სმა, ასე რომ ვერც გაგანია სიცხე უშლით ხელს — უკვე არა ერთი და ორი საუკუნეა, რაც ამ წესსა და რიგს ულალატოდ იცავენ.

— რა იგულისხმეთ, აქ სიყვარული გაიგმირაო, რომ თქვით? — დავეკითხე ბერიკაცს, რადგან მომეჩვენა, რომ ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი.

— მრავალი საუკუნის წინათ სანტიაგოს გზით ერთი ლოცვადმავალი პრინცესა, სახელ-გვარად ფელიცია აკვიტანელი, უკან რომ ბრუნდებოდა, უცაბედად ყველაფერს დაეუარა დედამიწის ზურგზე და

საცხოვრებლად აქ დარჩენა გადაწყვიტა. აქ სიყვარული გაიგმირა-მეთქი, რომ ვთქვი, ის იყო, იმაზე ვთქვი — მთელი თავისი სიმდიდრე უქონელთ დაურიგა, თავად კი უმწეოთა მოვლა-პატრონობას მიჰყო ხელი.

პეტრუსი თითქოს გულგრილად კი იქცეოდა, ბერიკაცს [illegible] ყურს არ უგდებდა, მაგრამ, თუთუნს მოსაწევად რომ იმზადებდა, [illegible] ვატყვე, რომ სმენად იყო ქცეული.

— და მაშინ პრინცესას მამამ თავისი ვაჟი, ჰერცოგი გილიერმო, გაგზავნა დის შინ წასაყვანად. ფელიციამ კი უარი სტკიცა, არ გამოგყვებიო. რაკი დაყოლიების იმედი გადაეწურა, გაშმაგებულმა ჰერცოგმა ღვიძლი და პირდაპირ ემაგ ეკლესიაში გაგმირა, აქედან რომ მოჩანს. ეგ ეკლესია კი ფელიციამ თავისი ხელით ააგო, რათა ადგილი ჰქონოდა, სადაც უპოვართ უწამლებდა და ღმერთს ლოცვას აღუვლენდა.

როცა ჰერცოგი გონს მოეგო და მიხვდა, რაც ჩაიდინა, ადგა და მოსანანიებლად რომში წავიდა პაპთან. პაპმა საკანონოდ, ანუ ცოდვის შესანანებელ გადასახადად, იმავე სანტიაგოს გზით წმინდა ადგილთა მოლოცვა განუწესა. და სწორედ მაშინ მოხდა ფრიად საგულისყურო რამ: ჰერცოგი უკვე უკან რომ ბრუნდებოდა, ზუსტად ამ ადგილას ანაზდად იგივე დაემართა, რაც ერთხელ იმის დას მოუვიდა. აქედან ფეხი აღარ მოუცვლია, ფელიციას აშენებულ მაგ ეკლესიაში დარჩა და მთელი სიცოცხლე ღარიბ-ღატაკთ შეეწეოდა.

— ეგ ნაცვალგების კანონია, — გაიცინა პეტრუსმა.

ბერიკაცმა ჩემს ეტიკს ვერ გაუგო, მაგრამ მე მივხვდი, რისი თქმაც უნდოდა. გზადაგზა ჩვენ არაერთხელ მოგვსვლია თეოლოგიური კამათი ღვთისა და ადამიანის ურთიერთობაზე. ტრადიციაში მუდამ არის უფალთან კავშირი, თუმც სულაც არა უბრალო-მეთქი, ჩემსაზე ვიდექი ხოლმე. უფლისკენ მიმავალ გზას არცრა საერთო არა აქვს სანტიაგოს გზით იმ ლოცვადმავლობასთან, — თავის მღვდლებმოგვებიანად, ბოშებ-ეშმაკებიანად და სასწაულმოქმედ წმინდანებიანად — რასაც ამჟამად ვასრულებთ-მეთქი, ვეუბნებოდი. მეჩვენებოდა, რომ ეს ყოველივე პრიმიტიული და ქრისტიანობასთან ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული იყო. გულს მაკლდა ის ხიბლი, ლაზათი და აღტყინება, ტრადიციის რიტუალთ რომ ახასიათებდა. პეტრუსი სულ იმის მტკიცებაში იყო, სანტიაგოს გზის მთავარი ღირსება სისადავეაო. ამ გზით სიარული სუყველას ფეხეწიფება, რამეთუ თავისი არსით გასაგებია სულაც არა დიდ სიბრძნეში გაწაფული ჩვეულებრივი ადამიანისთვის, და ამიტომაც მხოლოდ ასეთ გზას შეუძლია ჩვენი უფალთან მიყვანაო.

— ღმერთი შენცა გწამს და მეცა მწამს, — თქვა ერთხელ პეტრუსმა. — ასე რომ, ღმერთი ორივესთვის არსებობს, შენთვისაც და ჩემთვისაც. მაგრამ, თუკი ვისმე არა სწამს, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ღმერთმა არსებობა შეწყვიტა. ეს აგრეთვე არც იმას ნიშნავს, რომ ურწმუნო ადამიანი ცდება.

— ეგ როგორ? მაშ, აბა, ღვთის არსებობა ადამიანის სურვილსა და პირადულ ძალაზეა დამოკიდებული?

— ოდესღაც ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც სულ გადაბმულად სვამდა, გამოფხიზლება რა იყო, არ იცოდა, მაგრამ ყოველ საღამოს ძილის წინ სამჯერ უნდა წაეკითხა „ავე მარია“. დედამ ბავშვობიდან მიაჩვია ამ ამბავს. ის კი არა, გალეშილიც რომ იყო და პირში ენა არა ჰქონდა, ძილის წინ აუცილებლად სამჯერ ლოცულობდა ამ ლოცვას, თუმცა ღმერთი სულაც არა სწამდა. რომ ეკლესიაში ტრადიციის ერთ-ერთ რიტუალს ვესწრებოდი და ძველთა სულს დავეკითხე, ჩემი მეგობარი ამჟამად სად არის-მეთქი. შენს მეგობარს არცრა უჭირს, ნათელშიაო, მიპასუხა სულმა. აი ხომ ხედავ, ურწმუნო კი იყო, მაგრამ ყოველდღე ლოცულობდა და ცხონდა.

ისტორიამდელ გამოქვაბულის ადამიანს ღმერთის ხილვა ბუნების ამა თუ იმ მოვლენაში შეეძლო — ჭექა-ქუხილში, ქარიშხალში, მიწისძვრაში. რაკი ღმერთის ხელი ბუნების მოვლენებში დაინახა, ადამიანმა ღმერთის ყოფნა მალე ცხოველებშიც შეამჩნია, მერე კი კორომნიც, ანუ ჯგუფად მდგარნი ხენიც, საღმრთოდ მიიჩნია, იქაც ქვეყნის დამდგენის ძალა დაიგულა. ძველ ისტორიაში ისეთი დროებანიც ყოფილა, როცა ღმერთის პოვნა მარტო კატაკომბებში შეიძლებოდა, თუმცა მაშინაც კი, უკეთუ სიყვარულის სახეს შეიძენდა, ღმერთი თავისი თავით ავსებდა ძეხორციელის გულს და არცროდის არ იღლებოდა ამ საქმიანობით.

ჩვენს დროში გადაწყვიტეს, რომ ღმერთი მარტოოდენ კონცეფციაა, რომლის სამართლიანობის დამტკიცებაც სამეცნიერო მეთოდებით არის შესაძლებელი. თუმცაღა, როგორც კი ამ წერტილს აღწევს, ისტორია უკან ტრიალდება და ყოველსავე თავიდან იწყებს. ასეთია ნაცვალგების კანონი. პადრე ჰავიერმა იესოს სიტყვები რომ მოივარგა, სადაც ჩვენი საუნჯეა, ჩვენი გულიც იქ არისო, დიახაც სიყვარულისა და კეთილ საქმეთა მნიშვნელობის უსაკუთრესად აღნიშვნა ეწადა. უფლის სახეს იქ მოიხილავ, სადაც იმის ხილვა გსურს. და რომც ვერ მოიხილო, მნიშვნელობა არა აქვს — ოღონდაც ამ დროს კეთილს რასმე საქმეს უნდა ასხამდე ხორცს. ფელიცია აკვიტანელმა ეს ეკლესია რომ ააგო და უპოვართ ხელი აღუპყრო, მან ვატიკანელი ღმერთი იგულმავიწყა და ქვეყნის დამდგენის ძალა სრულიად მარტივად და ყოვლის უფრო ბრძნული ხერხით — სიყვარულით გამოავლინა. ასე რომ ბერიკაცი სავსებით მართალი იყო, როცა ამბობდა, აქ სიყვარული გაიგმირაო.

ბერიკაცი ამასობაში თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა, რადგან ჩვენი საუბრის არც ერთი სიტყვა არ ესმოდა.

— შურისგებისა თუ სამაგიეროს კანონმა თავისი ქნა, როცა ფელიციას ძმამ იმ კეთილ საქმეთა განგრძობის აუცილებლობა იგრძნო, რომელი საქმენიც თავად შეწყვიტა. ყოველივე ნებადართულია და შეიძლება, გარდა ერთისა: არამც და არამც არ ეგების სიყვარულის გამოვლინების შეწყვეტა. თუკი ეს მაინც მოხდა, ვინც ავად ჩარია სიყვარულში ხელი, აღორძინებითაც იმანვე უნდა ააღორძინოს.

ჩემს ქვეყანაში სამაგიეროს მიზღვის კანონი იმ აზრით ესმითმეთქი, ავუხსენი, რომ აწინდელ ცხოვრებაში ვინც შეჭირვებულია და

იტანჯება, წინარე ცხოვრების შეცდომებისთვის აგებს პასუხს და ამ-
გვარად ისჯება-მეთქი.

— ეგ სისულელეა! — მომიგო პეტრუსმა. — ღმერთმა შურის-
გება არ იცის. ღმერთი სიყვარულია. ერთადერთ სასჯელად ის მხო-
ლოდ იმას იყენებს, რომ სიყვარულს ვინც ნირს უცვლის, თავადვე აღვი-
ორძინებინებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ ბერიკაცმა, უკაცრავად ვარ, მაგრამ წავალ, ჩემს საქმეს მი-
ვხედავო, თქვა. ჩიტს აფრენა უნდოდა, ხელის აქნევას უცდიდაო, პე-
ტრუსსაც ისე დაემართა ბერიკაცის ნათქვამზე. იმის წასვლა იყო, და
ჩვენც ჩვენს გზას ბარაქა დავაყარეთ.

— სიტყვების ფუჭი სარჯვაა, — წარმოთქვა პეტრუსმა, ზეთის-
ხილის კორომს რომ მივუყვებოდით. — ღმერთი ჩვენ გარშემო ყვე-
ლაფერშია. ის უნდა იგრძნო ან განიცადო. სულ ტყუილად ვეცადე.
რომ ეს რაც შეიძლება მალე გამეგებინებინა შენთვის. ვერც ლოგი
კურმა მსჯელობამ მიშველა. განაგრძე სავარჯიშო — „სიჩქარე", ივა-
რჯიშე და ღღითი ღღე სულ უფრო ცხადად იგრძნობ შენ გვერდით
ყოვლადძლიერის ყოფნას.

ორ ღღეში შენდობის წვერად წოდებულ მთას ზედ მოვექეცით.
ასვლას რამდენიმე საათს მოვუნდით, ხოლო ზემოთ რომ აღმოვჩნდით,
მთვრალი ტურისტების დანახვამ შემაცბუნა — მზეზე ირუჯებოდნენ
და ლუდსა სვამდნენ. სუყველა მანქანაში რადიო ბოლომდე ამოეწიათ,
ყურთასმენა აღარ იყო. მთის წვერზე თურმე სხვა მოკლე გზაც ამო-
დიოდა, და ისინი იმ გზით ამოსულიყვნენ.

— აგრეა ახლა ყველგან, — დაასკვნა პეტრუსმა. — შენ კი,
ალბათ, ფიქრობდი, რომ აქ სიდის რომელსამე რაინდს მოიხილავდი,
მავრთა გზა-კვალის მოდარილეს.

დაშვებისას უკანასკნელად შევასრულე სავარჯიშო — „სიჩქარე".
თვალწინ კიდევ ერთი ტრიალი ტაშირი გადაგვეშალა, ცისფერი მთე-
ბით შემოქობილი, სადაც მარტო გვალვისგან დახრუკული იშვიათი
მცენარეულობა ჩანდა. ხის ჭაჭანება არ იყო, ხირხატი ნიადაგი აქა-
იქ ნარ-ეკალს დაეფარა. სავარჯიშოს შემდეგ პეტრუსმა რაღაცა მკი-
თხა ჩემს სამუშაოზე, რომელიც უკვე კარგა ხნის გადავიწყებული მქო-
ნდა. შუა გზაში მიტოვებული ჩემი საქმეებისა გამო თითქმის აღარც
ვღელავდი. მხოლოდ საღამოობით თუ შემახსენებდა ხოლმე თავს სა-
ფიქრალი და ისიც უკვე უმნიშვნელო მეჩვენებოდა. მომწონდა, რომ
აქ ვიყავი და სანტიაგოს გზას მივუყვებოდი.

ჩემი გრძნობები პეტრუსს რომ გავუზიარე, გამეხუმრა, ემანდ
ფელიცია აკვიტანელის ამბავი არ დაგემართოსო.

მერე დაფერხდა და, ტავარჯუხი ძირს დადეო, მთხოვა.

— გარშემო მიმოიხედე და მარჯვე რამ ორიენტირი მოინიშნე, —
მითხრა მან.

კარგა შორს ეკლესია რომ ჩანდა, იმის თავზე აღმართული ჯვარი
შევარჩიე.

— თვალი არ მოსწყვიტო, ისე იცქირე იქით, მთელი გულისყური კი ჩემს სიტყვებზე გადაიტანე. თუნდაც სხვა რამ გრძნობაც გაგიჩნდეს, ყურადღებას ნუ მიაქცევ. რასაც მე გეტყვი, მარტო ისა ქენი.

მოშვებული, მოდუნებული ვიდექი და ჯვარს თვალს არ ვაშორებდი, პეტრუსი კი ზურგიდან წამომადგა, კეფასა და კისერს შუა წერტილი მიპოვნა და თითი დამაჭირა.

— გზა, რომელსაც შენ მიჰყვები, ძლიერებას ... მხოლოდ იმ სავარჯიშოებს გაგაცნობ, რომელთაც ურთიერთდამოკიდებულება აქვთ მაგ ძლიერებასთან. ამჟამინდელი ჩვენი მოგზაურობა თავდაპირველად წამებად იმიტომ გეჩვენა, რაკი მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევა ოცნებად გქონდა გადაქცეული, ახლა კი უკვე კმაყოფილებას განიჭებს. აწ ძიების სიხარულსაც განიცდი და თავგადასავლებითაც ტკბები. თანაც გზადაგზა შენს თავში რაღაც მნიშვნელოვანს აღივებ — შენს საკუთარ ოცნებებს აჯეჯილებ.

ოცნებას არცროდის არ უნდა დაეუარო! ოცნებები ისევე კვებავენ ჩვენს სულს, როგორც რომ საზრდო კვებავს სხეულს. ცხოვრებაში რამდენჯერაც არ უნდა წავიმტვრიოთ კისერი და რამდენჯერაც არ უნდა გაგვიცრუვდეს იმედი, მაინც უნდა ჯიუტად ვიოცნებოთ. თუ ეს არ გვიხერხდება, მაშინ გულგრილობა გვიპყრობს და **აგაპე** ველარ დაისადგურებს ჩვენს სულში. ამ მინდვრებზე, ახლა ჩვენ თვალწინ რომ გაშლილან, ბევრი სისხლია დაღვრილი. აქ ესპანელთ არა ერთი და ორი სასტიკი ბრძოლა გაუმართავთ მავრთა წინააღმდეგ. ვინ იყო მართალი, ვის მხარეზე იყო სამართლიანობა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს — მთავარია იმის გაგება, რომ ორივე მტრული მხარე **სამართლიან ომს** ეწეოდა.

სამართლიან ომს ჩვენი ოცნებების გულისთვის ვეწევით. როცა საგმირო საქმეთა დროებაში — მოხეტიალე რაინდთა ჟამს — ეს უბრალო ამბავი იყო. ჯერ კიდევ ბევრი იპოვებოდა დასაპყრობი მიწა, გასაქანი ჰქონდა ღვაწლსა და გმირობას. მაგრამ დღეს, როცა აგრერიგად შეიცვალა ცისქვეშეთი, ეს **სამართლიანი ომი** ბრძოლის ველებზე კი არა, ჩვენს სულებშია.

სამართლიან ომს ჩვენი ოცნებების გულისთვის ვეწევით. როცა როგორც იტყვიან, ახალუხლები ვართ და ჩვენი ნანატრ-ნაწადის ხორცის შესხმას ვიწყებთ. გაბედულება, იცოცხლე, არ გვაკლია, მაგრამ აზრიანად ბრძოლა არ ვიცით. მერე, მოგვიანებით, რის ყოფით ნელ-ნელა ვსწავლობთ ბრძოლის ხელოვნებას, ოღონდ იმ დროისთვის შემართებასა და სითამამეს ვკარგავთ, რაც ბრძოლისთვის ფრიად აუცილებელია. ამიტომ საკუთარ თავს ვუპირისპირდებით და საკუთარი თავის წინააღმდეგ ვიწყებთ ბრძოლას. საკუთარი თავის მტრები ვხდებით. და ვამტკიცებთ, ვითომ ის ჩვენი ბავშვური ოცნებები სისულელე იყო, რომელთა ცხოვრებაში განხორციელებაც შეუძლებელია, ანდა ვითომ ყოველგვარ ოცნებას გამოუცდელობა და ცხოვრების უცოდნელობა აჩენს. რაღა ბევრი გავაგრძელო, ვდგავართ და უმოწყალოდ ვხოცავთ ჩვენს ოცნებებს, რადგან **სამართლიან ომში** ჩართვა გვეშინია.

პეტრუსმა თითი უფრო მაგრად დამაჭირა. მაშინ შევნიშნე, რომ ეკლესიის თავზე აღმართულმა ჯვარმა მოხაზულობა შეიცვალა, და ფრთაშესხმულ ძეხორციელად გადაიქცა. ანგელოზად. წამერთო თვალები დავახამხამე, და ჯვარი ისევ ჯვარი გახდა.

— პირველი ნიშანი იმისა, რომ საკუთარი ოცნების კვლავ [illegible] წყეთ, — განაგრძობდა პეტრუსი, — ის არის როცა [illegible] ვაჩენთ, რომ დრო არა გვყოფნის. ყველაზე უფრო დატვირთულ და მოუცლელ ადამიანთ, რომელთაც ვიცნობდი, ყოველთვის ჰყოფნიდათ დრო თავიანთი უამრავი საქმის თავდასადგმელად. ისინი კი, ვინც სულ ცუდობაშია, თავს მუდამ დაღლილად გრძნობენ, ჩხირიც რომ გადააბრუნონ, დღე ნამეტანი მოკლეაო, ჩივიან. სინამდვილეში კი უბრალოდ სამართლიან ომში ჩაბმა აშინებთ.

მეორე ნიშანი იმისა, რომ ოცნება გველუპება, გამოცდილების შეძენაა. ამ დროს ცხოვრებას ერთ დიდ თავგადასავლად აღარ აღვიქვამთ და ის აზრი გვიჩნდება, რომ ძალიანაც ბრძნულად, სამართლიანად და სწორად მოვიქცევით, თუკი ცხოვრებისგან მეტისმეტად ბევრს არ მოვითხოვთ. როცა ჩვენი ყოველდღიური არსებობის კედლიდან გარეთ თავის გამოყოფას ვცდილობთ, ჩვენამდე მტვრისა და ოფლის სუნი აღწევს, ვხედავთ მეომართა მწყურვალ მზერას, გვესმის შუბ-ოროლთა ლეწვის ხმა, შევიგრძნობთ დამარცხების სიმწარეს. მაგრამ ვერა და ვერ გაგვიგია ის დიდი სიხარული, რომელიც პირთამდე უვსებს გულს სუყველას, ვინც იბრძვის, რამეთუ იმ მებრძოლთათვის მნიშვნელობა არა აქვს არც გამარჯვებას და არც დამარცხებას — მნიშვნელობა მხოლოდ იმასა აქვს, რომ ისინი **სამართლიან ომს** ეწევიან.

დაბოლოს, დაკარგული ოცნების მესამე ნიშანია, დამშვიდება. ცხოვრება კვირა საღამოს ემსგავსება: ცხოვრებისგან ბევრს არცრასღა ვითხოვთ, მაგრამ შეწირვითაც თითქმის არცრასა ვწირავთ. თავი უკვე მოზრდილად მიგვაჩნია, მოწიფულად, და ჩვენი ფიქრით, ბოლოს და ბოლოს დამთავრდა ბავშვური ოცნებობანას და ყმაწვილკაცური ოცოზოდობის ხანა, და მხოლოდ და მხოლოდ იმას ვესწრაფვით, როგორც იტყვიან, რამენაირად წარვემატოთ სამუშაოსა და პირად ცხოვრებაში, და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა აქვს, როცა ჩვენი ტოლები უცებ აცხადებენ, რომ ცხოვრებისგან კიდევ რაღაცა უნდათ. სულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, ნამდვილად ვხვდებით, რაც ჩვენს თავს ხდება, და ისიც ვიცით: იმიტომ ხდება, რა არი უარი ვთქვათ ჩვენი ოცნებისათვის ბრძოლაზე — უარი ვთქვათ **სამართლიან ომში** ჩაბმაზე.

სამრეკლოს მოხაზულობა თუ მოყვანილობა კვლავ და კვლავ იცვლებოდა, ახლა იმის მაგივრად ფრთებგაშლილ ანგელოზსა ვხედავდი. თვალებს ხამუშ-ხამუშ ვახამხამებდი, მაგრამ ანგელოზი არა ქრებოდა. ძალიან მინდოდა, რომ პეტრუსთან ერთად მემსჯელა იმაზე, რასაც ვხედავდი, მაგრამ სათქმელის დამთავრება ვაცალე.

— როცა ოცნებაზე ხელს ვიღებთ და სიმშვიდეში ვივანებთ, — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ პეტრუსმა, — წყნარი ცხოვრების მოკლე ჟამი გვიდგება. მაგრამ მერე ერთიანად დახოცილი ოცნებები ლპობასა და ხრწნას იწყებენ, მთელ არსებობას გვიშხამავენ და გვიწამლავენ, თა-

ვდაპირველად ჯერ ახლობლების მიმართ ვხდებით სასტიკნი, შემდეგ კი საკუთარი თავის მიმართაც. დიახაც მაშინ უჩნდებათ ადამიანთ ათასგვარი სულიერი და ხორციელი სატკივარი. ჩვენს სილაჩრეს სწორედ იმ ამბავთან მივყავართ, რასაც ვერიდებოდით, როცა ბრძოლაზე ხელს ვიღებდით, — გულგატეხილობასთან და მარცხთან მივყავართ. ხოლო ძემდგომ, ერთ მშვენიერ დღეს, დამპალ ოცნებათა სიმყრალე ეთიდაპირ აუტანელი ხდება, სულს გვიხუთავს და სიკვდილს გვანატრებინებს, სიკვდილს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გვიხსნის ჩვენი თავდაჯერებულობისაგან, ჩვენი საქმეებისაგან და კვირა საღამოების მომაკვდინებელი სიმშვიდისაგან.

აწ დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად ვხედავდი ანგელოზს, და ყური ველარ მივადევნე, რასაც პეტრუსი ამბობდა. მან, ჩანს, იგრძნო ეს ჩემი უგულისყურობა, რამეთუ კეფიდან თითი ამაღო და დადუმდა. მოჩვენებამ კიდევ რამდენიმე ხანს გასტანა და გაქრა. იმის ადგილას კვლავ სამრეკლო გაჩნდა.

მცირე ხანს ორივენი ვდუმდით. პეტრუსმა თუთუნი დაგრიხა და გააბოლა. მე ხალთაგუდიდან ღვინიანი ბოთლი ამოვიღე და მოვიყუდე. ღვინო თბილი იყო, თუმცა თავისი გემო არ დაჰკარგოდა.

— რა მოიხილე? — მკითხა პეტრუსმა.

ანგელოზის ამბავი ვუთხარი. თანაც დავუზუსტე, როგორც კი თვალებს დავახამხამებდი ხოლმე, მოჩვენება უმალ ქრებოდა-მეთქი.

— შენც უნდა ისწავლო **სამართლიანი ომი.** ცხოვრების ასავალ-დასავალი უკვე არ გეშლება, თუ აგტეხა, იცი, როგორც უნდა მოიქცე, არცრა გამოწვევასაც არ გაექცევი, ფათერაკებისთვისაც მზადა ხარ, ოღონდ ზებუნებრივის აღიარება ჯერ კიდევ არა გწადს.

პეტრუსმა თავისი ტავარჯუსიდან წვრილმანი რაღაც ამოიღო და გამომიწოდა. ოქროს ქინძისთავი იყო!

— ეს ბებიაჩემის ნაჩუქარია. RAM ორდენში სუყველა ბრძენკაცს ჰქონდა მსგავსი წვრილმანი რამ. ამას „სისასტიკის წვერი" ჰქვია. შპილზე პირველად რომ მოიხილე ანგელოზი, თვალებს არ უჯერებდი, ვინაიდან ის ისეთი რამ იყო, რასაც მიჩვეული არა ხარ. ცამყარის შენეულ სურათში ეკლესია ეკლესიაა, მოჩვენებანი კი მხოლოდ იმის შემდეგ ჩნდებიან, ტრადიციის წეს-ჩვეულებანი რომ აღგაგზნებენ.

არა, ეგრე არ არის-მეთქი, სიტყვა გავუტრიზავე, ჩემი მოჩვენება იქნებ სულაც იმან გამოიწვია, რაკი კეფასა და კისერს შუა განსაზღვრულ წერტილში თითს მაჭერდი-მეთქი.

— სწორი ხარ, მაგრამ ეგ არაფერს არ ცვლის. ფაქტი ის არის, რომ შენ უარყავი მოჩვენება. ფელიცია აკვიტინელსაც, ალბათ, მსგავსი რამ მოეჩვენა, და მთელი თავისი სიცოცხლე იმას შესწირა. რასაც ის სჩადიოდა, საბოლოოდ ყოველივე სიყვარულის მოქმედება იყო. იგივე მოსდის სუყოველ ადამიანს ღღენიადაგ: ჩვენ მუდამ ვიცით, რომელია ყოვლის უფრო უკეთესი გზა, მაგრამ ყველაზე ჩვეულს მივდევთ.

პეტრუსმა გზა განაგრძო, და მეც უკან ავედევნე. ოქროს ქინძისთავი, რომელიც ხელში მეჭირა, მზის სხივებზე ელავდა.

— ჩვენი ოცნების გადარჩენის ერთადერთი ხერხი საკუთარი თავის მიმართ სულგრძელობის გამოჩენაა. თვითგვემის სულ მცირე ცდაც კი უცილობლად უნდა ჩავახშოთ! და რათა ვიგრძნოთ, რა სასტიკი ვართ საკუთარი თავის მიმართ, სულიერი ტანჯვა-წამების განცდის სუყოველი ცდა — სულერთია, რამე დანაშაულით იქნება გამოწვეული, ეს სულიერი ტანჯვა-წამება, სირცხვილით, გაუბედაობით, თუ სილარბით — ფიზიკურ ტკივილად უნდა ვაქციოთ. სულიერი ტკივილის ფიზიკურ ტკივილად გადაქცევისას იმის ცხადად დანახვის შესაძლებლობა გვეძლევა, თუ რარიგ გვვნებს და გვაზნევს სულიერი ტკივილი.

და პეტრუსმა **სისასტიკის სავარჯიშო** შემასწავლა.

„სისასტიკის“ სავარჯიშო

ყოველთვის, როგორც კი თავში ისეთი რამ მოგივა, რაც საკუთარ თავზე ცუდს გაფიქრებინებს, — გინდ ეჭვიანობა იყოს, გინდ საკუთარი თავის სიბრალული, შური, ანუ მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა, სიძულვილი და ასე შემდეგ, — ადექი და:

სალოკი თითის ფრჩხილი ცერის ძირა ნუნაში შეისე და მანამ აჭირე, სანამ ძლიერ ტკივილს არ იგრძნობ. მთელი გულისყური იმ ტკივილზე გადაიტანე: ის შენი სულიერი ტანჯვა-წამებს შესატყვისი იქნება. სავარჯიშოს შესრულება მხოლოდ მაშინ შეწყვიტე, როცა ავი აზრები შეგეშვებიან.

ეს იმდენჯერ გაიმეორე, რამდენჯერაც აუცილებელი გახდება, სანამ მსგავსი აზრები თავს არ დაგანებებენ (თუნდაც ამისათვის კვლავ და კვლავ მოგიხდეს ფრჩხილის მთელი ძალით დაჭერა). დროთა განმავლობაში მტანჯველი აზრები სულ უფრო იშვიათად შეგაწუხებენ და ბოლოს და ბოლოს მთლად გაქრებიან, მაგრამ ვიდრე არ გამქრალან, სავარჯიშო უეჭველად უნდა შეასრულო, როგორც კი საჭიროებას იგრძნობ.

— ძველად ამისთვის ოქროს ქინძისთავს იყენებდნენ, — თქვა მან.— ჩვენს დროში კი ყველაფერი შეიცვალა, ზუსტად ისევე, როგორც სანტიაგოს გზის გარემო პეიზაჟი.

პეტრუსი მართალი იყო. ახლა, როცა მთებიდან დავეშვით, ზემოდან რაც ვაკიანად ჩანდა, ღადირი, ანუ გორაკთა წარზიდული სერი გამოდგა, პირდაპირ ჩვენ ცხვირწინ აღმართული.

— გაიხსენე, როდის იყავი დღეს შენი თავის მიმართ სასტიკი, და შეუდექი ამ ვარჯიშს.

ვცადე გახსენება, მაგრამ ვერცრა წამომაგონდა.

— მუდამ ეგრეა. სწორედ მაშინ ვხდებით კეთილნი საკუთარი თავის მიმართ, როცა სიმკაცრეა საჭირო.

უცებ გამახსენდა, როგორ მოვინათლე თავი ჩერჩეტად, როცა დავინახე, რომ ის მანძილი, რომელიც მე რის ვაივაგლახით ავიარე შენდობის წვერამდე, ტურისტებს მანქანებით არხეინად ამოვივლიდნენ. და გულისხმას ჩავხვდი, მოვსაზრე, რომ უსამართლოდ და სასტიკად მოვექეცი ჩემს თავს: ტურისტები ხომ უბრალოდ გასართობად და მზის მოსაკიდებლად ეძებდნენ ადგილს, მე კი ჩემს მახვილს დავეძებდი. რასაკვირველია, იმწუთას მართლაც ჩერჩეტად ვიგრძენი თავი, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ ვიყავი შტერი და ჩერჩეტი. ფრჩხილი ძალდაძალ შევასე ცერის ძირა ნუნას, და მწვავე ტკივილი ვიგრძენი. იმისდა მიხედვით, რარიგადაც გულისყური გადამქონდა ტკივილზე, შესაბამისად თანდათან ის შეგრძნებაც მინელდებოდა, რომ ჩერჩეტი ვიყავი.

პეტრუსს წვლილად, დოსტოლრივ ჩავუწიგნე ეს ჩემი ამბავი, მან პასუხად გაიცინა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს.

იმ საღამოს ფრიად მოხერხებულ სასტუმროში გავჩერდით ერთ პატარა სოფელში, სადაც ის ეკლესია იდგა, რომლის სამრეკლოც შორიდან დავინახე. ნავახშმევს, საჭმელს უფრო კარგად მოვინელებთო, სოფლის შუკა-შუკა გასეირნება გადავწყვიტეთ.

— საკუთარი თავის ვნების მრავალ ხერხს შორის ყველაზე მტკივნეული ის არის, სიყვარულს რაც ეხება. რატომღაც მუდამ გვაწვალებს ის ამბავი, თუ ვისმე არ ვუყვარვართ, ანდა თუ ვინმემ მიგვატოვა, ან, პირიქით, თუ ვინმე გადაგვეკიდა და თავს არ გვანებებს. თუ მარტონი ვრჩებით, ახლა სიმარტოვე გვაწვალებს და გვტანჯავს, თუ ვქორწინდებით, ცოლქმრობას უმალ მონობად ვაქცევთ. საშინელებაა, საშინელება! — ბრაზიანად წარმოთქვა პეტრუსმა.

მალე იმ მოედნამდე მივედით, სადაც ის ეკლესია იდგა, რომელიც გზიდან თვალში მომხვდა. პატარა ეკლესია იყო, უბრალოდ ნაგები, არავითარი ხუროთმოძღვრული ზედმეტობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. სამრეკლოს შპილი თითქოს ცას მიბჯენოდა. იქნებ ანგელოზი კიდევ დავინახო-მეთქი, თვალი გავაფაციცე, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა.

პეტრუსი ჯვარს უმზერდა, და მომეჩვენა — ეგ ნამდვილად ხედავს-მეთქი ანგელოზს, მერე უცებ ხმა ამოიღო, და მივხვდი, რომ ვცდებოდი.

— ოდეს ძე ღვთისა დედამიწაზე ჩამოვიდა, თან სიყვარული მოგვიტანა. მაგრამ ადამიანთ სიყვარული უმსხვერპლოდ და უტანჯველად არ ესმით, და ამიტომაც მალე ჯვარს აცვეს იესო. სხვაგვარად არცვის ირწმუნებდა იმ სიყვარულს, ქრისტემ თან რომ მოგვიტანა, რამეთუ ადამიანები მიჩვეულნი არიან ტანჯვას თავიანთი ყოველდღიური ვნებებისა გამო.

ქვის ყორეზე ჩამოვსხედით და თვალი ეკლესიისკენ გაგვექცა. პეტრუსმა კვლავ დაარღვია დუმილი.

— პაულო, იცი, რას ნიშნავს სიტყვა „ბარაბა“? ბარ ძეს ნიშნავს, ხოლო აბა — მამას.

პეტრუსი გაშტერებული უცქეროდა სამრეკლოს წვერზე აღმართულ ჯვარს. თვალები უბრწყინავდნენ, და ვიგრძენი: რაღაცით იყო აღფრთოვანებული. ეგების, თუმცა მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, იმ სიყვარულით, რომლის გამოც ამდენს მიამბობდა.

— განგებულება ღვთაებრივი დიდებისა ეგზომ ბრძნული იყო! — წარმოთქვა მან, და უკაცრიელი მოედანიც დაბგერდა, თითქოს დაეთანხმაო. — როდესაც პონტოელმა პილატემ ხალხს არჩევანი მოსთხოვა შესთავაზა, მან სინამდვილეში არცრა არჩევანი არ დაუტოვა სამსჯავროზე თავშეყრილთ. მან ხალხის წინაშე ორნი გამოიყვანა: ერთი გაშოლტილი იყო და ძლივს იდგა ფეხზე, ხოლო მეორე, ბარაბა, როგორც ავაზაკს შეეფერება, ყინჩად თავაწეული გაჯგიმულიყო. ღმერთმა უწყოდა, რომ ხალხი სუსტის სიკვდილს ირჩევდა, რათა ზეციერს ამგვარად დაემტკიცებინა თავისი სიყვარული.

— მაგრამ, იმისდა მიუხედავად, ხალხი ვის აირჩევდა, სულერთია, ჯვარზე მაინც ძე ღვთისა უნდა გაეკრათ, — აგრე გაასრულა თავისი სათქმელი პეტრუსმა.

ᲛᲐᲪᲜᲔ-ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ

— აქ მებოძირია, სად სანტიაგოს მიმავალი გზანი თავს იყრიან მრავლად.

პუენტე-დე-ლა-რეინას დილის კისკასზედ მივადექით — ქალაქის ეს სახელწოდება იმ აღალმის ცოკოლზე, ანუ ზეძირკველზე იყო ამოჭრეთილი, რომელიც შუა საუკუნეების დროინდელ სამოსელში გამოწყობილ ლოცვადმავალს — პილიგრიმს წარმოსახავდა: თავზე სამკუთხა ქუდი ეხურა, მხრებზე კაპიუშონიანი ლაბადა ესხა, კალთებში ნიჟარებჩაკერებული, ხელთ არგანი ეპყრა. ეს ძეგლი იმ უდიდესი, ოღონდ აწ თითქმის დავიწყებული ლოცვადმავლობის პატივისცემის ნიშნად იყო დადგმული, მე და პეტრუსი ერთად რომ ვაღორძინებდით.

წინა ღამე ერთ-ერთ მონასტერში გავატარეთ, რომლისნაირიც ბევრი დგას მთელი გზის გასწვრივ. მნათემ, პირმღიმარობით მოგვიკითხა თუ არა, გაგვაფრთხილა, სააბატოში დუმილის აღთქმას ვიცავთო. ერთმა ახალგაზრდა ტაბლისმიმგებელმა, ანუ მასპინძელმა ბერმა ცალ-ცალკე სენაკები მიგვიჩინა, სადაც მხოლოდ ის ნივთები მოიძებნებოდა, რაც აუცილებლად საჭიროა: კაბიჩა, ანუ ერთგვარი ხის საწოლი, ძველი, მაგრამ გაქათქათებული ზეწრებით გაწყობილი, წყლიანი ტაკუკი, ანუ სურა, და პატარა ტაშტი, ხელ-პირის დასაბანად. არც არავითარი წყალსადენის ონკანი იქ არ იყო და არც არავითარი ცხელი წყალი, გარედან კარზე სამონასტრო ტრაპეზის განრიგი ეკიდა.

დათქმულ დროს სატრაპეზოში ჩავედით. დუმილის აღთქმისა გამო მონაზვნები ერთმანეთში მხოლოდ და მხოლოდ მზერის წყალობით

ურთიერთობდნენ, და მომეჩვენა, რომ თვალები სუყველას უფრო მეტად უბრწყინავდათ, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანთ. ვიწრო ტაბლებზე უკვე დაელაგებინათ საზრდელი. ჩვენ მიხაილსფერსამოსიანი მონაზონთა გვერდით დავსხედით. პეტრუსი მოპირდაპირედ დაგებულ ტაბლასთან მოხვდა და იქიდან მანიშნა თავისი გასაჭირი, და უმალ მივხვდი, რისი გაგებინებაც სურდა: კვდებოდა, ისე უნდოდა მოწევა. ბავრამ როგორც ჩანდა, დილამდე ვერას გახდებოდა. იგივე მელოდა მეც, და მთელი ძალით კარგა ღრმად შევირჭე სალოკის ფრჩხილი ცერის ძირა ნუნაში. არ მიხდოდა, რომ ეგზომ ამაღლებული გარემოება საკუთარი თავის მიმართ სისასტიკის გამოვლენით ჩამეშხამებინა.

ვახშმად ბოსტნეულის შეჭამანდი, თევზი, პური და ღვინო მოიღეს. პურის გატეხამდე ლოცვა აღავლინეს, და ჩვენც შევუერთდით, მონაზონთა კვალდაკვალ ვიმეორებდით სიტყვებს. მერე, სანამ ჩვენ ვტაბლობდით, ანუ ვჭამდით, ერთ-ერთი მონაზონი კორინთელთა მიმართ წმ. პავლეს წერილს კითხულობდა:

— არამედ სოფლის უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეერცხვინა ბრძენკაცნი, და სოფლის უძლურნი ამოარჩია ღმერთმა, რათა შეერცხვინა ძლიერნი, — მალლად სუსტი ხმით წარმოთქვამდა მონაზონი. — ჩვენ უგუნურნი ვართ ქრისტეს გულისთვის... და გავხდით განახვეტი სოფლისა, ყველაფრის ნაგავი დღესაქმამდე... რადგან ღვთის სასუფეველი არის არა სიტყვაში, არამედ ძალაში.

წმ. პავლეს შეგონებანი მთელი ვახშმის მანძილზე გაისმოდა და სატრაპეზოს შიშველი კედლები თითქოს ბანს აძლევდნენ.

პუენტე-დე-ლა-რეინაში რომ შევდიოდით, მე და პეტრუსი სწორედ ბერებთან გატარებულ წინა დამეზე ვმსჯელობდით. ვაღიარე, რომ მალულად გავაბოლე ჩემს სენაკში და შიშს ვყავდი ატანილი, ემანდ მონასტრის ბინადართაგან ვინმემ სიგარეტის ბოლის სუნი არ იკრას-მეთქი. პეტრუსმა მხოლოდ გაიცინა — და ვეჭვობ, რომ ისიც ჩემსავით მოიქცა თავის სენაკში განმხოლოებული.

— წმ. იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში განმარტოვდა, ხოლო ქრისტე ცოდვილთა შორის ქადაგებდა და მთელი ცხოვრება ხიზნობდა, — წამოიწყო პეტრუსმა. — მეც ეს გზა მგონია უპირატესი.

და მართლაც, უდაბნოში გატარებული დროის გარდა, იესო მუდამ ხალხში ტრიალებდა.

— იმისი პირველი სასწაული ვიღაცის სულის ცხონება, სნეულთა განკურნება და ეშმაკის განკვეთა კი არ ყოფილა, არამედ წყლის თავანკარა ღვინოდ გადაქცევა იყო, რაც იმ უბრალო მიზეზისა გამო მოახდინა, რომ მასპინძელთ ღვინო შემოაკლდათ.

ამის თქმა იყო და პეტრუსი ეგრევე შედგა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, შევცბი, და ადგილზევე გავშეშდი. ხიდის ყურთან ვიდექით, რომელ ხიდსაც თავისი სახელი დაენათლებინა მთელი დაბა-ქალაქისათვის. პეტრუსი წინ გზას არ უყურებდა, მდინარის პირას ორი პატარა ბიჭი ბურთს რომ აგორებდა, იმათ არ აცილებდა მზერას. ბიჭები რვაათი წლისანი იქნებოდნენ, ეტყობოდათ, რომ ვერც გვამჩნევდნენ. ხიდ-

ზე ასვლის მაგივრად პეტრუსი რატომღაც ნაპირისკენ დაეშვა და ბიჭებთან მივიდა. მე, როგორც ყოველთვის, ახლაც უკან ავედევნე, ხმაამოუღებლად მივყვებოდი, არცრა მიკითხავს.

ბიჭები კვლავინდებურად ყურადღებას არ გვაქცევდნენ, პეტრუსი ძირს დაჯდა და იმათ თამაშს დაუწყო ყურება, ხოლო ბურთი ჩვენ ახლო რომ დაეცა, დაავლო ხელი და მე გადმომიგდო.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ბურთი ჰაერშივე დავიჭირე და, აბა, რა მოხდება-მეთქი, ხელიდან არ გავუშვი. უფროსი ბიჭი დაგეზილი წამოვიდა ჩემკენ. ვიფიქრე, გადავუგდებ-მეთქი, მაგრამ პეტრუსი ისე უცნაურად იქცეოდა, გადავწყვიტე, მოდი, ჯერეთ გავარკვევ, რა ხდება-მეთქი.

— მომე, ძია, ჩემი ბურთი, — მითხრა ბიჭმა, რომელიც ორ მეტრში იდგა ჩემგან, და შევაცქერდი, თვალი შევაცივ. ჩემდა გასაკვირად, რაღაც მეცნო ამ პატარა ბიჭში. იგივე განცდა დამეუფლა, რაც ბოშის დანახვისას დამემართა.

ბიჭუნამ რამდენჯერმე გამიმეორა, ბურთი დამიბრუნეო, მაგრამ ყური რახან არ ვათხოვე, დაიკუზა და ქვას წამოავლო ხელი.

— გადმომიგდე, თორემ, იცოდე, შიგ შუბლში მოგხვდება! — შემიყვირა გაბრაზებულმა.

პეტრუსი და მეორე ბიჭი დუმილით გვადევნებდნენ თვალყურს. მუქარამ, ცოტა არ იყოს, გული მომაყვანინა.

— არ გაბედო. თუ მომარტყი, ვერ გადამირჩები, — ვუთხარი გამოსასროლად ქვამომარჯვებულს.

ბიჭი ჩემმა ნათქვამმა შეაფრთხო, ქვა დააგდო და ახლა სხვა ხერხი სცადა მოსადგომად.

— აქ პუენტე-დე-ლა-რეინაში ერთი კიდობანაკია, ზანდუხჩა, მდიდარ პილიგრიმს ეკუთვნის. ნიჟარებზე და ხალთაგუდებზე გატყობთ, თქვენც მოგზაური მლოცველები ხართ. თუ ბურთს დამიბრუნებთ, იმ კიდობანაკს მოგცემთ. ნაპირზე ქვიშაშია ჩაფლული.

— მე ეს ბურთი უფრო მჭირდება, — ვუთხარი, ოღონდ მაინცდამაინც მაგრად ნათქვამი არ გამომივიდა.

ისე, მართალი რომ ითქვას, რასაკვირველია, კიდობანაკის მოცემა მერჩივნა. თანაც მომეჩვენა, რომ ბიჭი ტყუილს არ ამბობდა. მაგრამ პეტრუსს ბურთი, ალბათ, რაღაცისთვის სჭირდებოდა, ასე რომ იმისი განაწყენება არ მინდოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი ეტიკი იყო, მეგზური.

— რად გინდა, ძია, ბურთი? — მწვიტინებდა ბიჭი. — შენ დიდი კაცი ხარ. მთელი ქვეყანა მოვლილი გაქვს. მე კი ჩვენი მდინარის მეტი არაფერიც არ მინახავს. მარტო მაგ ბურთით ვერთობით ბიჭები. მოგვეცი რა, გეხვეწები.

ბიჭის სიტყვები გულზე მომხვდა. მაგრამ ამ მდგომარეობამ და გრძნობამ, თითქოს, არ ვიცი, წაკითხული, არ ვიცი, განცდილი რომ მქონდა, კვლავ უარი მათქმევინეს.

— ვერა, ვერ მოგცემ, ეს ბურთი მე მჭირდება! ფული არ გირჩევნია? ახალს იყიდი. ეს უკვე ჩემია.

ამის თქმა იყო, და დრო თითქოს წამიერ გაჩერდა. თუმცა პეტრუსი გვერდით არ მედგა და კისერზე თითს არ მაჭერდა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი უეცრად შეიცვალა — თვალის დახამხამებაში შიშის მომგვრელ გადახრუკულ უდაბნოში აღმოვჩნდი, ვერც ერთ მხარეს თვალს ვერ ვატანდი, იქ არც პეტრუსი იყო, არც მეორე ბიჭი, უმცროსი. მხოლოდ ის ბიჭუნა მედგა გვერდზე, წელან ბურთზე ერთმანეთს ელაპარაკებოდა. ახლა უფრო დიდი ჩანდა, სიბრაზეგადავლილი, გამომეტყველებადაამინებული. ოღონდ თვალებში ცბიერება ჩასდგომოდა, და ამან რატომღაც შემაკრთო.

მოჩვენებამ სულ ერთ წამს გასტანა. მერე ისევ პუენტე-დე-ლარეინაში გავჩნდი — იმ ადგილში, სადაც თავს იყრის სანტიაგოს სუყველა გზა, ევროპის სხვადასხვა მხრიდან მომავალი. ჩემ წინ პატარა ბიჭი იდგა, ბურთი დამიბრუნეო, მეხვეწებოდა, და გულის ამაჩუყებლად ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

პეტრუსი მომეახლოვა, ბურთი გამომართვა და ბიჭს გადასცა.

— აბა, სად არის შენი დაპირებული კიდობანაკი თუ ზანდუხჩა? — ჰკითხა მან ბიჭს.

— რა კიდობანაკი, რის ზანდუხჩა? — გაიკვირვა ბიჭმა, მერე ხელი წაავლო თავის ამხანაგს, და ორივენი გაიქცნენ, წყალში მოადინეს ტყაპანი.

ჩვენ ნაპირიდან გზაზე ავედით და ხიდზე გადავედით. ის იყო პეტრუსისთვის უნდა მეკითხა, რა მოხდა-მეთქი, და ისიც უნდა მეთქვა, როგორ აღმოვჩნდი უდაბნოში, მაგრამ მან უცაბედად სიტყვა გადააბრუნა, გეზი შეუცვალა ლაპარაკს, მაგაზე მერე ვისაუბროთ, როცა აქაურობას გავეცლებითო, მითხრა.

ნახევარ საათში გზის იმ მონაკვეთს მივაღწიეთ, სადაც რომის ქვაფენილია შემორჩენილი. იქვე ახლოს ძველი ხიდის ნანგრევებზე მოვეწყეთ სასაუზმოდ, საჭმელი ბერებმა გვინუზლეს — ჭვავის პური, იოგურტი და თხის ყველი.

— მითხარი ერთი, რატომ არ აძლევდი, რად გინდოდა ის ბურთი? — მკითხა პეტრუსმა.

მე სულაც არ მინდოდა, ოღონდ შენ ისე იქცეოდი, მომეჩვენა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბისთვის გჭირდებოდა-მეთქი, განვუმარტე.

— ეგ მართლა მნიშვნელოვანი ამბავი გამოდგა. მაგან შენი პირადი დემონი დაგამარცხებინა.

ჩემი პირადი დემონი? არცრა უფრო უცნაური არა გამიგონია რა მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძილზე! ექვს დღეში, რაც აქეთ-იქით დავბორიალობთ პირენეებში, უკვე მოვასწარი შეხვედრა გრძნეულ მღვდელთან, რომელსაც არცრა უგრძნეულია, და კარგა გვარიანად გადატყავება ცერისა, რომელსაც მუდამ ვიჯიჯგნი, როცა კი შავნაღვლიანობა მიპყრობს, ანდა რამე დანაშაულის, ან არასრულფასოვნების გრძნობა მიჩნდება. თუმცაღა პეტრუსი ამ საქმეში მართალი გამოდგა — ცუდს რასმე ბევრად უფრო იშვიათად ვფიქრობ საკუთარ თავზე. მაგრამ რაღაც პირადი დემონი რომ არსებულა, აქამდე არცროდის არ მსმენია, და ამ სიახლის მონელება ადვილი არ იყო.

— დღეს იმ ხიდთან უჩვეულო სიცხადით ვიგრძენი, თითქოს ვილაცა გვედგა გვერდით და რაღაცის გამო გვაფრთხილებდა. თანაც ის გაფრთხილება უფრო მეტად შენ გეკუთვნოდა და არა მე, რადგან ძალიან მალე სწორედ შენ მოგელის **სამართლიანი ომი.**

სანამ არ გასცნობიხარ შენს პირად დემონს, ის ჩვეულებრივ [illegible] მელიმე შენი ახლობელი ადამიანის სახით წარმოგიდგება. [illegible] გავიხედ-გამოვიხედე, და როგორც კი ის ორი მობურთალი პატარა ბიჭი დავინახე, ვიფიქრე, რომ იქნებ სწორედ იმ ბიჭების საშუალებით მოეხერხებინა იმას შენი გაფრთხილება. მაგრამ ეს უბრალოდ წინათგრძნობა იყო. დარწმუნებით კი, ნამდვილად შენს პირად დემონთან რომ გვქონდა საქმე, მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა შენ ბურთის დაბრუნებაზე უარი უთხარი.

მე კიდევ ერთხელ გავუმეორე პეტრუსს, ბურთი შენი გულისთვის არ დავუბრუნე, მეგონა, რაღაცისთვის გჭირდებოდა-მეთქი.

— მე მჭირდებოდა? სიტყვაც არ დამცდენია.

უცაბედად გული წამომერია. შესაძლოა, სულაც საჭმლის ბრალი იყო, რომელსაც დაქიმითებული ვეცი უზმოდ ერთი საათის სიარულის შემდეგ. და ამასთანავე ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ის ბიჭი სადღაც მყავდა ნანახი.

— შენმა დემონმა სამივე კლასიკური ხერხი მოსინჯა: მუქარაც, დაპირებაც და თავის შეცოდებაც. მოსალოცად გაქვს საქმე, — ჩინებულად გეჭირა თავი.

ამის თქმა იყო, და წამომაგონდა, როგორ ჰკითხა პეტრუსმა ბიჭს კიდობანაკის ამბავი. იმ დროს, როცა ის ეკითხებოდა, გადავწყვიტე, რომ ბიჭს არცრა სათქმელი არა ჰქონდა — უბრალოდ გამაცურა. თუმცა, შესაძლოა, იმ კიდობანაკში თუ ზანდუხჩაში მართლაც რამე რელიკვიაა-მეთქი, ვფიქრობდი, ვინაიდან, ჩემი ვარაუდით, დემონებს ტყუილი დაპირება არ უნდა სცოდნოდათ.

— როცა ბიჭმა წმინდა ნაწილთა ამბავი ვერ გაიხსენა, შენი დემონი უკვე გაქრა, — თქვა პეტრუსმა.

და იქვე დასძინა:

— სწორედ ის დროა, უკანვე გამოიხმო, ძალიან წაგადგება.

ძველი ხიდის ნანგრევებზე ვისხედით. პეტრუსმა ნასუფრალ-ნახორხალი ერთად მოაგროვა და ქაღალდის პაკეტში ჩაყარა, რომლისთანა პაკეტებითაც ბერებმა მოგვამარაგეს. გარშემო რაც მომცრო მინდვრები იყო, ყველგან გუთნეული გაეშალათ და კვალში გუთნისდედები მისდევდნენ, თუმცა ისინი ჩვენგან იმდენად შორს იყვნენ, არ მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. ნახნავი მიწა და ტალღა-ტალღა მიყრილი გორაკები ერთობლივად საოცარ სურათსა ქმნიდნენ. იქვე ჩვენს ფეხებთან თითქმის უხმაუროდ დიოდა გვალვისგან გვარიანად ჩამოკლებულ-დამშრალი ნაკადული.

— სანამ სოფლად გავიდოდა, იესო ჯერ უდაბნოში წავიდა და იქ დაელაპარაკა თავის პირად დემონს, — განაგრძო პეტრუსმა. — მან იმისგან გაიგო ყოველივე, რისი გაგებაც კაცხორციელთა შესახებ აუცილებელი იყო. ოღონდ დემონს ნება არ მისცა, რომ თამაშის თავისი წესები მოეხვია — და დიახაც ამით მოერია იმას.

ერთმა პოეტმა ოდესღაც თქვა, ადამიანი კუნძული როდიაო.* **სამართლიანი ომის** გადასახდელად მხარდაჭერა გვჭირდება. მეგობრები უნდა გვყავდნენ. უკეთუ ისინი ჩვენ გვერდით არ აღმოჩნდებიან, ჩვენს მთავარ იარაღად მარტოობა უნდა ვაქციოთ. და მაშინ რაც ბარს გვარტყია, ყოველივე შეგვეწევა მთავარი მიზნისკენ წინ წაწევაში. ჩვენ გარშემო კი რასაც ხელს დავადებთ, ის გამოგვაჩენინებს **სამართლიან ომში** გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო გამბედაობას. ეამბიხრდ, ანუ იმის შეუგნებლად, რომ ყველაფერი და ყველას თავი გვჭირდება, უბრალოდ ყოყოჩა მკვეხარებად გადავიქცევით და ბოლოს და ბოლოს დიახაც ყოყოჩობა და ქედმაღლობა დაგვღუპავს, რამეთუ მეტისმეტად თავდაჯერებულმა მეომარმა ვაითუ ვერც შენიშნოს ბრძოლის ველზე დარწყმული უამრავი მახე.

პეტრუსის მიერ მეომრებსა და ბრძოლაზე ჩამოგდებულმა სიტყვამ კვლავ წამომაგონა კარლოს კასტანედა თავის დონ ხუანიანად. და ამ დროს ჩემდა უნებურად ამეკვიატა ფიქრი: „ნეტავი ბებერი შამანი დილაადრიანად, სისხამზე თუ აწყებინებდა მეცადინეობას თავის მოწაფეს, ჯერეთ კიდევ მანამდე, სანამ ის თავის საუზმეს მოინელებდა?“

ამასობაში პეტრუსი განაგრძობდა:

— ფიზიკური სოფლის საზღვრებს გარეთ, რომელი სოფლის ძალებსაც ვეყრდნობით, ჩვენ გვერდით ორი ძირითადი სულიერი ძალა სუფევს: ანგელოზი და დემონი. ანგელოზი ღვთიური მადლის გამოვლინებაა, ნიადაგ გვიცავს, იმას გამოხმობა არ უნდა. ანგელოზის სახე სულმუდამ ჩანს, ოღონდ თუ სოფელ-ქვეყანას სიყვარულით უმზერ. იმის დანახვა ყველგან შეგიძლია, მდინარის დაკლაკნილ კალაპოტშიც, მინდვრად გამოსულ გლეხკაცშიც და ლურჯ ცაზე აცურებულ ღრუბლებშიც. ანგელოზის სახის ანაბეჭდს ინახავს უცნობ რომაელ ლეგიონერთა ხელით აგებული ეს ძველი ხიდიც. ჩვენი წინაპრები იმას მფარველ ანგელოზს უხმობდნენ.

დემონიც ანგელოზია, ოღონდ დამოუკიდებელი, მეამბოხე ანგელოზი. მე უფრო მაცნე-მაუწყებლად მირჩევნია იმისი მოხსენიება, რადგან ის აბამს კავშირს შენსა და გარესკნელს შორის. ძველად იმის განსახიერებად ითვლებოდა მერკური, ანუ ერმი, ჰერმესი, ღმერთების მაცნე-მაუწყებელი. არე იმის საქმიანობისა მატერიალური, ნივთიერი სოფელ-ქვეყანაა. იმისთვის თვალის შესწრება შეიძლება, მაგალითად, ეკლესიის ოქროკაზმულ მორთულობაში, რადგან ოქრო მოიპოვება მიწაში, ხოლო დემონი მიწისქვეშა სამეფოს ნაშიერია. ის ყოველგვარ საშუშაოშია დაბუდებული, ფულთან ჩვენს ურთიერთობაშიც. თუ გავათავისუფლებთ და გავუშვებთ, ჩვეულებრივ ქრება. თუ განვდევნით, ყოველსავე კარგს დავკარგავთ, რის სწავლებაც კი იმას შეუძლია, რადგან დემონი მრავლისმცოდნეა და ჩინებულად ერკვევა ამ სოფელ-ქვეყნის ამბებშიც და ამსოფელქვეყნელთა ასავალ-დასავალშიც. ოღონდ თუ ერთი მოგვხიბლა და თავისი ძლიერების ბადეში გაგვხვია, ველარც და-

---

* ინგლისელი პოეტის ჯონ დონის (1572-1631) გამოთქმა.

ვუსხლტებით, თავისად გაგვიხდის, და აღარც **სამართლიან ომს** გადაგვახდევინებს.

ასე რომ, მაცნე-მაუწყებელთან ურთიერთობის ერთადერთი სწორი მეგობრობა, ყურად ღება იმისა, რასაც გირჩევს, ანუ როგორც ძველად იტყოდნენ, რასაც გივაზირებს, და თუ აუცილებელია, მეოხების თხოვნა, ოღონდ თამაშის წესები არამც და არამც არ უნდა აკარხანებინო. შენ სწორედ აგრე მოექეცი იმ პატარა ბიჭს. არაფრის დიდებით არ უნდა დავუშვათ, რომ მაცნე-მაუწყებელმა თავისი წესები მოგვახვიოს: ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, გაგება, თუ რა გვინდა, და მეორეც, სახელის ცოდნაც და სახით ცნობაც იმისი.

— მერე მაგას როგორ გავიგებ? — დავეკითხე გაოცებული.

და მაშინ პეტრუსმა მაცნე-მაუწყებლის რიტუალი შემასწავლა.

— ამის შესრულება უკეთესია საღამოთი ან ღამით. დღეს, თქვენი პირველი შეხვედრის დროს, ის თავის სახელს გაგიმხელს. საიდუმლოდ შეინახე, არცვის არ გააგებინო, მეც კი. ვისაც შენი მაცნე-მაუწყებლის სახელი ეცოდინება, ის თავის ხელქვეითად გაქცევს.

პეტრუსი წამოდგა, და გზა განვაგრძეთ. მალე ერთ მინდორს მივადექით, სადაც ადგილობრივი გლეხები ოფლს ღვრიდნენ. მივემშვიდობეთ და ჩვენს საგალს მივყეთ.

— თვალსაჩინოებისთვის შეიძლება თქმა, რომ ანგელოზი შენი აბჯარ-აბგარია, მაცნე-მაუწყებელი კი — შენი მახვილი. აბჯარი ყოველგვარ ვითარებაში გიცავს, ხოლო მახვილი, ადვილი შესაძლებელია, რომ გაგანია ბრძოლაში დაკარგო, არც ის არის გამორიცხული, იმით უნებლიეთ მეგობარი შემოგაკვდეს და, გარდა ამისა, იმას თავისი პატრონის წინააღმდეგ დატრიალებაც შეუძლია. რისთვისაც ინებებ, მახვილს იმისთვის გამოიყენებ, ოღონდ... ზედ დაჯდომა არა ღირს, — და პეტრუსმა გადაიხარხარა.

დაბა-ქალაქში სადილად გავჩერდით. ახალგაზრდა ოფიციანტი, რომელიც გვემსახურებოდა, მეტად ცუდ გუნებაზე იყო. არც კითხვებზე გვაძლევდა პასუხს და თეფშებსაც დაუდევრად აწყობდა, ხოლო ყოველივე ამასთან ერთად ისიც მოახერხა, რომ პეტრუსს პირდაპირ შორტზე გადაასხა ყავა. მაშინ კი ჩემი ეტიკი სრულიად გარდაისახა — გამძვინვარდა და დაწესებულების პატრონის მოყვანა მოითხოვა, მაჩვენეთ ერთი, ვინ აჩერებს ამ თავგასულ, უნიათო და უზრდელ ოფიციანტსო, ხმამაღლა გამოხატავდა თავის აღშფოთებას. პეტრუსს მამაკაცთა ტუალეტში მოუხდა გასვლა და შორტის გახდა, შეფუცხუნებულ მეპატრონეს კარგა ხანს გამოჰყავდა ყავის ლაქა, მერე გაატანა და გარეთ გაკიდა შარვალი გასაშრობად.

სანამ ველოდით, როდის მოიყვანდა ნაშუადღევის მცხუნვარე მზე — ორი საათი იყო — პეტრუსის შორტს წესრიგში, საკმარისი დრო მქონდა ჩვენი დილანდელი საუბრის ასაწონ-დასაწონად. რაც პეტრუსმა მდინარის პირას შეხვედრილ ბიჭზე თქვა, ვაღიარე, რომ ბევრი რამ ყურადსაღები იყო. მით უმეტეს, უდაბნო და ვიღაცის სახე მომელანდა. მაგრამ მაცნე-მაუწყებლის ამბავი კი რამდენადმე პრიმიტიულად მეჩვენა. XX საუკუნის მცხოვრები სულ ოდნავადაც წიგნიერი ადამიანი-

სთვის ნამდვილად უკვე არაფრის მთქმელია ჯოჯოხეთის, ცოდვისა თუ ეშმაკის ცნებები. ტრადიციაში, რომლის მოძღვრებასაც მნიშვნელოვნად უფრო დიდხანს მივდევდი, ვიდრე სანტიაგოს გზას, მაცნე-მაუწყებელი, პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად, ეშმაკის სახელით ცნობილი სულია, დედამიწის ძალთა განმგებელი, რომელიც მუდამ ადამიანის სასარგებლოდ მოქმედებს. ამ სულს ხშირად იყენებენ მაგიურ ადათ-წესებში, მაგრამ არცროდის არ მიმართავენ როგორც მეგობარს ანდა მრჩეველს ყოველდღიურ ცხოვრებაში. პეტრუსი კი ჩემს დარწმუნებას ცდილობდა, რომ მაცნე-მაუწყებელთან მეგობრობა კეთილად წამადგებოდა და, თუ მარჯვედ გამოვიყენებდი ამ მეგობრობას, სამსახურშიც წარვემატებოდი და საერთოდ — სოფელ-ქვეყანაშიც. თვითონ ეს იდეა გულწრფელად მიწიერი, და კიდევ მეტიც — ბავშვურად მიამიტური მეჩვენა.

მაგრამ მადამ დებრილს რახან შევფიცე, მეგზურს სიტყვის შეუბრუნებლად დავემორჩილები-მეთქი, ფიცს სად გავექცეოდი. და კვლავ მომიხდა ფრჩხილის შეთხრა ანთებიან და გასისხლიანებულ თითში.

„მაცნე-მაუწყებლის“ რიტუალი“

1. დაჯექი და სრულად მოდუნდი, რაც შეიძლება გაიფანტე გონება, თავი არ შეიკავო, აზრები თავისუფლად მიუშვი ნებაზე. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყე გულში გამეორება: „მოვდუნდი, ძილქუშმა წამიღო“.

2. როცა იგრძნობ, რომ გონებაში სხვა, უცხო აზრები აღარ დაგრჩა, შენგან მარჯვნივ აბურბურებული ცეცხლის ალი წარმოიდგინე. თითქმის ხანძარი. მერე წყნარად თქვი: „ჩემი ქვეცნობიერებისათვის თავის ჩენა მიბრძანებია. მიბრძანებია აგრეთვე, რომ თვითონაც გაცხადდეს და თავისი მაგიური საიდუმლონიც გააცხადოს“. მერე სულ ცოტა დაიცადე, მარტო, ცეცხლს დაჰყარე გულისყური. უკეთუ სახე რამ გაჩნდა, ის შენი ქვეცნობიერების გამოვლინება იქნება. ეცადე იმ სახის დახსომებას.

3. შენგან მარჯვნივ ცეცხლი არ ჩააქრო და დაიწყე ისეთივე, როგორც იტყვიან, დოჩხაურის, ანუ აბურბურებული ცეცხლის ალის წარმოდგენა მარცხნივაც. როცა ეს ალიც აკაშკაშდება, წყნარად, რაც შეიძლება დინჯად წარმოთქვი შემდეგი სიტყვები: „დაე მფარავდეს მაცნე-მაუწყებლისგან მოხმობილი ძალა ტარიგისა, რაც გამოვლენილია სუყოველ საგანსა და სუყოველ მშვინვიერ-სულდგმულში! გამომეცხადე აწვე (მაცნე-მაუწყებლის სახელი)“!

4. დაელაპარაკე მაცნე-მაუწყებელს, რომელიც ორ ცეცხლს შუა უნდა გამოჩნდეს. ემსჯელე შენს გადასაჭრელ ამბებზე, რჩევა სთხოვე და უბრძანე, თუ რამ უცილობლად საბრძანებელია.

5. როცა საუბარს დაამთავრებთ, მაცნე-მაუწყებელს გზა გაუთავაზე და უთხარი: „მადლობას გწირავ ტარიგის სასწაულისთვის, აგრერიგად რომ მომახდენინე! დაე უმალ დამიბრუნდეს ჩემი (მაცნე-მაუწყებლის სახელი), როცა კი არ უნდა ვუხმო, და, სადაც არ უნდა იყოს, დაე მფარავდეს ყოველ ჩემს საქმეში!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნა:

პირველი გამოხმობისას (თუ პირველი გამოხმობებისას — ეს იმ ადამიანზეა დამოკიდებული, ვინც რიტუალს ასრულებს), როცა გულისყურს იკრებ, — მაცნე-მაუწყებლის სახელს ნუ წარმოთქვამ. უბრალოდ თქვი ხოლმე „ივი“. თუ რიტუალი სწორად შესრულდა, მაცნე-მაუწყებელმა მაშინვე ტელეპატიურად უნდა გაცნობოს თავისი სახელი. თუ სეანსი არ გამოგვივიდა, მანამ იმცდელე, სანამ იმის სახელს არ შეიტყობ, და მხოლოდ მაშინ გაუბი საუბარი. რაც უფრო ხშირად ვასრულებთ რიტუალს, მით უფრო ძლიერად იგრძნობა მაცნე-მაუწყებლის ჩვენ გვერდით ყოფნა და მით უფრო სწრაფად მოქმედებს ივი.

— ისე არ უნდა ვცემოდი, — თქვა პეტრუსმა, როგორც კი კაფედან გამოვედით. — იმან ყავა მე კი არა, იმ ქვეყანას გადაასხა, რომელიც აგრერიგად მოსძულებია. ეს სოფელ-ქვეყანა უზარმაზარია, და ბევრ ისეთ რასმე იტევს, რაზედაც იმ ჩვენს ოფიციანტს წარმოდგენაც არა აქვს. მონაწილეობით კი იმის მონაწილეობა იმ სოფელ-ქვეყნის საქმეებში იმით განისაზღვრება ,რომ ყოველდღე სისხამზე დგება, კაფეში ფეხათრეული მიდის, იქ სრულიად შემთხვევით შესულ ხალხს ემსახურება, ხოლო ღამით სარცხვინელს ხელით იწვალებს, რასაც ძველები ხელითდაცემას, ჩუკენობას ეტყოდნენ, ქალებზე ოცნებობს, რომელთაც ვერცროდის შესწვდება.

დადგა დრო, როცა ჩვეულებრივ ვიფერხებდით დასასვენებლად და ჩვენს სიესტას ვიწყებდით ხოლმე. ამჯერად კი პეტრუსმა გზის გაგრძობა გადაწყვიტა. ჩემი თავშეუკავებლობისთვის ვისჯებიო, თქვა. და თუმცა მე ცუდი არცრა ჩამიდენია, მაგრამ, სხვა რა ჩარა იყო, მაინც კუდში უნდა ავდევნებოდი და მეჩანჩალა თაკარა მზეში. გზაში **სამართლიან ომზე** და იმაზე ვფიქრობდი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მიმოფანტული მილიონობით ადამიანი ბევრ ისეთ საქმეს ჩაჰკირკიტებდა რაც გულზე სულაც არ ეხატა. მერე რა ვუყოთ, თუ სისასტიკის საკარჯიშოს გამო ცერიდან სისხლი მდიოდა, სამაგიეროდ ის საკარჯიშო ნამდვილად წამადგა. მივხვდი, როგორ ვღალატობდი საკუთარ თავს, როცა ხან იმისთანა საქმეს ვკიდებდი ხელს, სულ რომ არ მიტაცებდა, და თანაც ისეთ გრძნობებს მიჩენდა, რაც არაფერში რომ არ მჭირდებოდა. და ვინატრესავით, ნეტავი პეტრუსი სხვა რამეშიც გამოდგეს-მეთქი მართალი, კერძოდ: მაცნე-მაუწყებელი ნამდვილად არსებულიყო და პრაქ-

ტიკულ საქმეებზე დავლაპარაკებოდი, ყოველდღიური გადასაჭრელი ამბების მოგვარებაში მეოხება მეთხოვნა. და ამიტომაც ერთი სული მქონდა, სანამ მოსალამოვდებოდა.

ამასობაში პეტრუსი ისევ და ისევ ოფიციანტზე მსჯელობდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, დაირწმუნა თავი, [illegible] მოიქცა, ხოლო თავისი ეს მოსაზრება ამ შემთხვევის შესაფერი სახალხოებისეული ამბით გაამაგრა:

„— ქრისტემ მრუშს მიუტევა, ხოლო ლეღვის ხე დასწყევლა, რაკი იმ ხემ არცრა ნაყოფი არ მიაგო. არც მე ვაპირებ დაუსრულებლად მადლის მქმნელად და კეთილმოწყალედ ყოფნას.

საქმე დამშია! მერე რა კოხტად გამოსდის ყველაფერი. ბიბლია კიდევ ერთხელ წამოიშველა.

ესტელიას რომ მივაღწიეთ, თითქმის ცხრა საათი იყო. შხაპი გადავივლე, და საჭმელად ჩავედით.

ამ გზის პირველი გზამკვლევის ავტორი ემერიკ პიკო ესტელიას აღწერდა, როგორც „ფრიად ნაყოფიერ ადგილს, სადაც კარგ პურს აცხობენ, ჩინებულ ღვინოს, ხორცსა და თევზს მოგართმევენ. წყალი მდინარე ეგაში კამკამა და ანკარაა, რასაცა შინა გასჭვირს ნათელი, ვითარ ბროლი“.

მდინარის წყალზე ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ რესტორნის მენიუს რაც შეეხება, პიკო მართალი გამოდგა, თუმცაღა რვა საუკუნეა გასული. დავსხედით თუ არა, ჩაშუშული ცხვრის ფეხი და ღვინო „რიოხა“ შემოგვთავაზეს, მეტად ილბლიანი წლის მოსავლისა. სუფრას კარგა ხანს შევრჩით, როგორც იტყვიან, ხან იმ მთისა ვთქვით, ხან ამ ბარისა, და თან სიამოვნებით ვწრუპავდით შუმ ჭაჭანაურს. დაბოლოს, პეტრუსმა ახლა კი დროა შენი წასვლისა შენს მაცნე-მაუწყებელთან პირველი კავშირის დასამყარებლადო.

ცოტა ხანს ქალაქში ვიწრიალეთ, შესაფერ ადგილს ვარჩევდით. აქა-იქ ვიწრო შესახვევები პირდაპირ მდინარისკენ ეშვებოდნენ — მთლად როგორც ვენეციაშია, და გადავწყვიტე, რომ სადმე მდინარის პირას მომეკალათებინა. რაკი იცოდა, რომ ცერემონიის დროს თავხელმარტოკა უნდა ვყოფილიყავი, პეტრუსი ფეხს ითრევდა, შორიახლო მომდევდა.

დიდხანს ვიჯექი და უბრალოდ გავყურებდი მდინარეს. წყლის ჩხრიალის ხმას სულ უფრო და უფრო შორს მივყავდი ამ სოფელ-ქვეყნიდან და ღურღუმ სიმშვიდეში ვიძირებოდი. თვალებდახუჭულმა ჩემგან მარჯვნივ ცეცხლის პირველი სვეტი წარმოვიდგინე. ჯერეთ გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე მომიმარჯვდა.

რიტუალით დაწესებული სიტყვები წარმოვთქვი თუ არა, ცეცხლი მარცხნივაც გაჩნდა, ნამდვილი დოჩხაური. ორ ცეცხლს შუა განათებული სივრცე სრულებით ცარიელი იყო. მე კვლავ იქით განვაგრძობდი ცქერას და ვცდილობდი, რომ არც არაფერზე მეფიქრა, რა არი გამო-

ჩენის საშუალება მიმეცა მაცნე-მაუწყებლისთვის. მაგრამ იმის მაგივრად ჩემ თვალწინ ანაზდად ნაირ-ნაირი მოჩვენებები ჩნდებოდნენ — პირამიდაში შესასვლელი, ოქრომოსილი ქალბატონი, ცეცხლის გარშემო მოროკავი ვილაც შავკანიანები. სახეები მსწრაფლ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, და მე ჩემდათავად ხელს არ ვუშლიდი. თავდაპირველად ჩემ თვალწინ გზის ის მონაკვეთები გაკრთნენ, პეტრუსთან ერთად რომ გამოვიარე, — გზაწვრილები, სასაუზმეები, ტყის ბარდნარები, — და მერე უეცრივ, სავსებით არათანამიმდევრულად, ორ ცეცხლის სვეტს შუა გამოჩნდა ის გადაბუგული უდაბნო, რომელიც დილით მოვიხილე. იქ, პირდაპირ ჩემკენ მზირალი, სახესანდომიანი კაცი ვინმე იდგა, თუმც თვალებში ცბიერების ნაპერწკლები უროკავდნენ.

მან გამიცინა, მეც პასუხად ღიმილი შევაგებე ტრანსიდან გამოუსვლელად. აი, თავმოხინძული გუდა მიჩვენა, მერე გახსნა და შიგ ისე ჩაიხედა, მე რომ არა დამენახა რა. შემდეგ გონებაში სახელი „ასტრაინი“* გამიჩნდა.

გულში იმნაირად წარმოვიდგინე ეს სიტყვა, რომ იმისი გამოსახულება ცეცხლის სვეტებს შუა აცეკვდა; მაცნე-მაუწყებელმა პასუხად თავი დამიქნია, რაც დასტურს ნიშნავდა, სწორედ გამიგეო, — და ახლა უკვე სახელიც ვიცოდი, რა ერქვა.

სავარჯიშოს დამთავრების დროც დადგა. რიტუალით დაწესებული სიტყვები წარმოვთქვი და ცეცხლი ჩავაქრე — ჯერეთ მარცხნივ, ხოლო მერე მარჯვნივ. და გავახილე თვალები — ჩემ წინ მდინარე ეგა დიოდა.

— ბევრად უფრო ადვილი საქმე გამოდგა, ვიდრე მეგონა, — იმის შემდეგ ვუთხარი პეტრუსს, ყველაფერი ზუსტად რომ აღვუწერე, რაც რიტუალის დროს ხდებოდა.

— ეგ შენი პირველი კავშირი იყო. აუცილებლად უნდა გასცნობოდი და დამეგობრებოდი. მაცნე-მაუწყებელთან ბაასი და საუბარი სარგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგიტანს, თუკი ყოველდღე გამოუხმობ და დაწვრილებით იმსჯელებ შენს გადაუჭრელ ამბებზე. არ იგულმავიწყო, უტყუარი და ნატყუარი შეწევნის ერთმანეთისგან გარჩევაც უნდა ისწავლო. ყოველი შეხვედრისას მახვილი ხელსატაცად გქონდეს.

— მახვილი ჯერეთ არა მაქვს, და ხელი რას უნდა ვტაცო, — გავუტრიზავე სიტყვა.

— მით უკეთესი, — ის დიდად ვერცრას გავნებს. მაგრამ სულერთია, — მაინც არაფერი არ შეარჩინო.

რიტუალის შემდეგ პეტრუსს დავცილდი და სასტუმროში, ანუ, როგორც აქ ძველებურად ეძახდნენ, უცხოთსადგურში დავბრუნდი. უკვე ლოგინში ვიწექი, რომ ის საწყალი ოფიციანტი წამომაგონდა, რომელიც სადილობისას გვემსახურა. და გავიფიქრე, ნეტავი ერთი ისევ

---

* **რასაკვირველია, ეს გამოგონილი სახელია.**

მიმიყვანა იქ და იმ ყმაწვილკაცისთვის მაცნე-მაუწყებლის* რიტუალი მასწავლებინა-მეთქი. ერთი სული მქონდა, სანამ გავაგებინებდი, რომ ადამიანს ყველაფრის შეცვლა შეუძლია თავის ცხოვრებაში, თუკი მართლაც ძალიან მოინდომებს. ისე, კაცმა რომ თქვას, უცვლელი მაინც რატომ მომეპრიანა მთელი ქვეყნიერების გადარჩენა? მე ხომ ჯერეთ ჩემი თავის გადარჩენაც მიჭირს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული

— მაცნე-მაუწყებელთან ლაპარაკი სულაც არ ნიშნავს სულების სამყაროს შესახებ შეკითხვებს, — მიხსნიდა მეორე დღეს პეტრუსი. — მაცნე-მაუწყებელი მხოლოდ ერთ როლს ასრულებს: ის მატერიალურ სამყაროში გვეხმარება. და დახმარებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ძალუძს, უკეთუ ზუსტად იცი, რა გინდა.

დაბა-ქალაქში იმის გულისთვის გავჩერდით, რათა ცოტა რამ დაგველია. პეტრუსმა ლუდი შეუკვეთა, მე მინერალური წყალი მოვითხოვე. მაგიდასთან მჯდარი ჩემდა უნებურად ვაყოლებდი თითს ჭიქის დაორთქლილ ზედაპირს, რაღაც აბსტრაქტული ფიგურები გამომყავდა, გუნებაზე ვერ ვიყავი.

— შენ ამბობ, რომ მაცნე-მაუწყებელმა იმ ბიჭში იმიტომ გამოიცვლინა თავი, რადგან რაღაცის გამო ჩემი გაფრთხილება უნდოდა?

— დიახ, და თანაც ძალიან სასწრაფოდ, — დამიდასტურა პეტრუსმა.

ჩვენ კიდევ ვილაპარაკეთ მაცნე-მაუწყებლებზე, ანგელოზებსა და დემონებზე. ჩემთვის ძნელი იყო ტრადიციის მისტიკური რიტუალების მიმართ ეგზომ პრაქტიკული მიდგომის გაზიარება. პეტრუსი ჯიუტად ამტკიცებდა, ადამიანი თავის წილ მისაგებელს მუდამ უნდა მოითხოვდესო. მაშინ იესოს სიტყვები შევახსენე იმის თაობაზე, რომ უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში.

---

* მაცნე-მაუწყებლის რიტუალში ჩემი პირველი ცდის ეს აღწერა სრული არ არის. სინამდვილეში პეტრუსმა დაწვრილებით ამიხსნა იმ მოჩვენებათა და მიმოგონებათა აზრი, ცეცხლის სვეტებს შორის რომ გაკრთნენ ჩემ თვალწინ, ამიხსნა აგრეთვე იმ გუდის მნიშვნელობაც, რომელიც ასტრაინმა მიჩვენა. მაგრამ მაცნე-მაუწყებელთან ყოველი ადამიანის შეხვედრა რახან სულ სხვადასხვაგვარია, ვარჩიე, რომ თხრობა ჩემი პირადი გამოცდილებით არ დამეტვირთა, რათა ნეგატიური აზრით არ მომეხდინა ზეგავლენა სხვათა გამოცდილებაზე.

— მაგრამ იესო ჰგონებდა, რომ ის კაცი, ვინც თავისი ბატონის ვერცხლს ვერცხლი მიუმატა, საზღაურს იმსახურებდა. და ხალხს მარტო იმიტომ კი არ სჯეროდა ქრისტესი, რომ ენამჭევრი იყო და დამაჯერებელი ლაპარაკი იცოდა, — იმას კიდევ სასწაულთა ქმნაც და თავის მიმდევართა დაჯილდოებაც მოეთხოვებოდა.

— აბა, აბა, ჩემს დაწესებულებაში უფალს ნუ ბილწავ, — ... ჩაგვერია ბარის პატრონი, რომელიც თურმე ყურს გვიგდებდა.

— არცვინ არ ვბილწავთ, — მიუგო პეტრუსმა. — ქრისტეს წაბილწვა, როცა ქრისტეს სახელი გვაკერია პირზე, ცოდვის ჩადენას ნიშნავს. გაიხსენე, რა მოხდა ოდესღაც ამ მოედანზე.

ბარის პატრონი წამიერ ჩაფიქრდა. მერე ფიცხლად წარმოთქვა:

— მე მაგ საქმეში სრულებით, არ ვურევივარ. მაშინ სულ პატარა ბიჭი ვიყავი.

— დამნაშავენი, რა თქმა უნდა, მუდამ სხვები არიან, — წაიბურტყუნა პეტრუსმა.

ბარის პატრონი სამზარეულოში გავიდა. მხედველობაში რა გქონდა-მეთქი, ვკითხე პეტრუსს.

— ორმოცდაათი წლის წინათ, ჩვენს კულტურულ XX საუკუნეში, მოედანზე, ამ დაბა-ქალაქში ბოშა ცოცხლად დაწვეს. კუდიანობა დააბრალეს, ნაწილნი ზიარებისა, ანუ წმინდა საუფლო ძღვენი შებღალაო. იმ ათასგვარ სიმხეცეში, რაც მაშინ ხდებოდა, სამოქალაქო ომის ჟამს, ეს შემთხვევა მალე მიივიწყეს. ამჟამად აღარცვის არ ახსოვს, აქაურთა გარდა.

— შენ როგორღა გაიგე?

— სანტიაგოს გზით აქ უკვე გავლილი ვარ.

ცარიელ ბარში ვისხედით და ვსვამდით, მზე ულმერთოდ აჭერდა, სიესტის დრო იყო. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდა ბარის პატრონი, ოღონდ მარტო კი არა, სამრეველო მღვდლის თანხლებით.

— ვინა ბრძანდებით? — მკაცრად გვკითხა პადრემ.

პეტრუსმა ჩვენს გუდახალთებზე ამოქარგული ნიჟარები უჩვენა. მთელი თორმეტი საუკუნის სიგრძეზე ამ ბარის, ანუ, უფრო სწორად, სატრაპეზოს გვერდით გზად დადიოდნენ პილიგრიმნი, და ადათ-წესი ყოველგვარ ვითარებაში სტუმართმოყვარეობის, ესე იგი ტაბლაკეთილობის გამოჩენას ითხოვდა. მღვდელმა კილოს დაუწია.

— როგორ მოხდა, რომ სანტიაგოს გზით მავალ მსხემთ იესოს ძრახვა იკადრეთ? — ისეთნაირად გვითხრა, თითქოს კატეხიზისის ერთ-ერთი კითხვა ჩაიკითხაო.

— არც ერთ ჩვენგანს იესო არ უძრახავს. ჩვენ იმ დანაშაულთ ვძრახავდით, ვითომ ქრისტეს გულისთვის რომ სჩადიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი დანაშაული იყო იმ ბოშისთვის ანგარიშის გასწორება, რომელიც ამ მოედანზე დაწვეს.

რაკი პეტრუსის ტავარჯუხზე ნიჟარის ნიშანი დაინახა, ბარის პატრონმაც უფრო თავაზიანად დაგვიწყო ლაპარაკი.

— იმ ბოშის მიერ ნაქნარი ჯადო დღესაც ისევ ისეა, — ჩაილაპარაკა მან მღვდლის გამკიცხავი მზერის ქვეშ.

პეტრუსი დაგულისყურდა. მღვდელი ზოგიერთ უგუნურ მრევლთაგანზე ალაპარაკდა, უაზრო ზღაპართ ჰყვებიან, რომელთაც ეკლესია არა ცნობსო. მაგრამ ბარის პატრონი თავისას განაგრძობდა:

— სიკვდილის წინ იმ ბოშას აქაურთათვის დაუბარებია, თქვენი ქალაქის ყველაზე ნორჩი მცხოვრები ვინც არის, [illegible] ეშმში გადავლენ, რაც ჩემში ეშმაკებიაო. ხოლო როცა ის [illegible], დაბერდება და მოკვდება, ეშმაკნი ახლა სხვა ბალღში გადაინაცვლებენო. და აგრე იქნება დაუსრულებლადო.

— ჩვენში ნიადაგი ისეთივეა, როგორიც ამ მხარის სუყველა სხვა დაბა-ქალაქშია, — ბრაზგარეული ხმით წარმოთქვა მღვდელმა. — რაღა ჩვენ და რაღა სხვანი. გვალვისგან ყველანი ერთნაირად ვიტანჯებით. ხოლო სხვაგან თუ კარგი მოსავალია, არც ჩვენ ვუჩივით მოუსავლიანობას. მთავარია, ამინდი შეგვწეოდეს. ჩვენში არაფერი ისეთი არ ხდება, რაც გარშემო სადმე არ მომხდარა ან არ მოხდება. ასე რომ ამ კაცის მონაყოლი მტკნარი სისულელეა.

— არაფერი ისეთი იმიტომ არა ხდება, რაკი ჯადოს გავემიჯნეთ, — შეესიტყვა ბარის პატრონი.

— ოჰო! მაშ, აბა, ნება გვიბოძეთ და შეგვახედეთ, რა ჯადოა მაგისთანა! — თქვა პეტრუსმა.

მღვდელმა ჩაიცინა და, რას ამბობენ, თვითონაც არ იციანო, თქვა, ბარის პატრონმა კი პირჯვარი გადაიწერა. ოღონდ ადგილიდან ფეხი არც ერთს არ მოუცვლია.

პეტრუსმა ანგარიში გაასწორა და კვლავ თავისაზე დადგა, იქნებ, ვინმე გამოგვყვეს და ის შეჩვენებული თუ ჯადონაქნარი კაცი გვაჩვენოსო. მღვდელმა აწ ბოდიში მოიხადა, უნდა წავიდე, ეკლესიაში გადაუდებელი საქმე მელოდებაო, და ისე უმალ გაქრა, ხმის ამოღება ვერცვინ ვერ მოვასწარით.

ბარის პატრონმა დამფრთხალმა შეხედა პეტრუსს.

— ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა ჩემმა ეტიკმა. — თქვენ მარტო ის სახლი გვიჩვენეთ, სადაც ჯადოა დაბუდებული. ჩვენ კი შეეცდებით, რომ კრულება ავხსნათ და იმისგან ვიხსნათ ქალაქი.

ბარის პატრონი ჩვენთან ერთად გამოვიდა მტვრიან, შუადღის ალმურადენილ ქუჩაში. ქალაქის განაპირამდე გამოგვყვა და დაგვანახვა ის სახლი, რომელიც სხვათაგან გვერდზე იდგა თითქმის ზედ გზის პირას.

— საჭმელსაც აქ გადავცემთ ხოლმე, ტანსაცმელსაც, ყველაფერს, თუ რამ საჭიროა, — ბოდიშიანი კილოთი წარმოთქვა მან. — ჩვენი პადრე კი აქამდეც არ მოდის.

ბარის პატრონს დავემშვიდობეთ და სახლისკენ წავედით. ის კიდევ ცოტა ხანს იდგა, ეტყობა, იფიქრა, სახლს გვერდს აუვლიან და თავიანთ გზას გაუყვებიანო, მაგრამ პეტრუსს გვერდის ავლა არც უფიქრია, ეგრევე კარს მიადგა და დააკაკუნა. მე უკან მივიხედე — ბარის პატრონი აღარსად ჩანდა.

კარი ვინც გაგვიღო, შესახედად სამოცდაათი წლის დედაკაცი იქნებოდა. თითქოს სტუმრების მისვლა გაუხარდაო, დედაკაცის გვერდით კუდს აქიცინებდა ვეებერთელა შავი ნაგაზი. დიასახლისმა, რა გნება-

ვთო, იკითხა და, სარეცხი მაქვს, თანაც ცეცხლზე საჭმელი მიდგასო, დასძინა. ჩვენი მისვლა რაღაც არ გაჰკვირვებია. ბევრ ჭერის მაძიებელ პილიგრიმს, ვისაც ყური არ მოუკრავს ამ კრულებისა თუ ვადოს ამბისთვის, ამ კარზე, ვინ იცის, რამდენჯერ დაუკაკუნებია-მეოქი, ვივარაუდე გულში.

— ლოცვადმავალი ხალხი ვართ, კომპოსტელაში მივდივართ. ... ტა ადუღებული წყალი გვინდა. — სთხოვა პეტრუსმა. — ვიცი, უარს არ გვეტყვით.

დედაკაცმა, რომელსაც აშკარად უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, შინ შეგვიშვა. გაწკრიალებულ, მაგრამ ღარიბულად გაწყობილ პატარა სასტუმრო ოთახში შევედით. იქ ერთი დაგლეჯილტყავიანი დივანი, კომოდი, პლასტიკატგადაკრული მაგიდა და ორი სკამი იდგა. კომოდზე იესოს წმინდა გულის გამოსახულება, ზოგიერთი წმინდანის ხატი და სარკის ნატეხთაგან ნახელოვნები ჯვარცმა ეწყო. ოთახში ორი კარი იყო, ერთ-ერთი, როგორც მივხვდი, საძინებელში გადიოდა. დიასახლისი პეტრუსთან ერთად მეორე, განის კარით სამზარეულოში გავიდა.

— ადუღებული წყალი როგორ არა გვაქვს, — თქვა დედაკაცმა. — რამეში ჩაგისხამთ და წადით, გზას ბარაქა დააყარეთ.

მე ვეებერთელა ნაგაზთან მარტო დავრჩი. ძაღლი კუდს აქიცინებდა, წყნარად იქცეოდა და ცხოვრებით აშკარად კმაყოფილი იყო. დედაკაცი მალევე შემობრუნდა, ხელში წყლით სავსე ძველი თანაჯა, ანუ თუნუქელა ეჭირა, რომელსაც პეტრუსს აჩეჩებდა.

— წაიღეთ ეს ადუღებული წყალი და წადით! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

მაგრამ პეტრუსი ადგილიდან არ იძვროდა. მან ტავარჯუხიდან ერთი ჩაყრა ჩაის პარკუჭუნა ამოიღო, მდუღარეში ჩააგდო და სტუმართმოყვარეობისთვის მადლობის ნიშნად ჩაით უნდა გაგიმასპინძლდეო, უთხრა დედაკაცს.

დედაკაცმა უხალისოდ და უნდომანდოდ მაინც მოიტანა ორი ფინჯანი და პეტრუსთან ერთად მიუჯდა მაგიდას. მე თან ნაგაზს ვათვალიერებდი, თანაც იმათ საუბარს ვუგდებდი ყურს.

— ქალაქში მითხრეს, რომ ამ სახლს ჯადო აქვს ნაქნარი. — ფრიად დარბაისლური კილოთი დაიწყო პეტრუსმა.

ამის თქმა იყო, და ძაღლს ცეცხლი ჩაუდგა თვალებში. თითქოს მიხვდა, რაც ითქვა, დიასახლისი მაშინვე წამოდგა მაგიდიდან.

— ეგ სიცრუეა! ძველი ბრმარწმენაა! თუ შეიძლება, მალე მიირთვით თქვენი ჩაი. ათასი საქმე მაქვს სახლში.

ნაგაზმა იგრძნო, რომ დიასახლისს გუნება-განწყობილება შეეცვალა. გაინაბა და ყურები დაქვიტა. პეტრუსი კი ისე იჯდა, ვითომც არაფერიც არ მომხდარაო. ჩაიანი ფინჯანი პირთან კი მიიტანა, ოღონ არც მოუსვამს, ეგრევე დადგა მაგიდაზე.

— ძალიან ცხელია, — თქვა მან. — ცოტა გაცივდეს.

მაგრამ დედაკაცი მაგიდასთან აღარ დამჯდარა. ჩანდა, ჩვენი იქ ყოფნა ძალიან არ უნდოდა, თავ-პირი ჩამოსტიროდა და ალბათ ნანობდა კიდეც, რომ საერთოდ ზღურბლზე ფეხი გადმოგვადგმევინა. შემამჩ-

ნია, ძაღლს თვალს რომ არ ვაშორებდი, და ნაგაზს თავისთან დაუძახა. ისიც უმალ დაემორჩილა, ოღონდ ისევ ჩემკენ მობრუნდა და მომაჩერდა.

— აი რატომ ჩასახლდა შენი მაცნე-მაუწყებელი გუშინ ამ ბიჭში სწორედ ამიტომ, — თქვა პეტრუსმა.

ანაზდად მივხვდი, რომ სულაც მე არ [illegible] ნაგაზს. ზღურბლს როგორც კი გადმოვაბიჯე, იმან დამაბ[illegible] თვალის არიდების საშუალება არ მომცა. დიახაც ნაგაზი მიყურებდა და მასრულებინებდა თავის ნებას. რაღაც ძლიერი მოთენთილობა ვიგრძენი. ძილი მომერია, აქვე ამ გადატყავებულ დივანზე მიგდება და დაძინება მომინდა, მზარავდა ისევ სიცხეში თრევა. უცნაური რამ ხდებოდა ჩემს თავს და ვიგრძენი, რომ ცოტაც და რაღაც მახეში მოვხვდებოდი. ნაგაზი კი ისევ ისე მომჩერებოდა, და რაც უფრო ხანიერ მიყურებდა, მით უფრო მინდებოდა ძილი.

— ჰა, დალიე, — მითხრა პეტრუსმა და ჩაიანი ფინჯანი გამომიწოდა, — რახან სენიორას ჩვენი დიდხანს დარჩენა არ უნდა.

მცირედ კი შევყოყმანდი, მაგრამ მაინც ავიღე ფინჯანი, და ცხელი ჩაის ერთმა ყლუპმა ცოტა გრძნობაზე მომიყვანა. რაღაცის თქმა დავაპირე, კითხვა მინდოდა, ძაღლს რა ჰქვია-მეთქი, მაგრამ ხმამ მიღალატა. რაც პეტრუსს ჩემთვის არცროდის არ უსწავლებია, რაღაც ისეთმა გაიღვიძა და მძიმედ იჩინა ჩემში თავი. ანაზდად ლაპარაკის დაუოკებელი სურვილი ვიგრძენი. პირზე მომადგნენ სრულიად უცნობი სიტყვები, რომელთა აზრი თავად არ მესმოდა. ერთი გაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, პეტრუსმა ჩაიში ნამდვილად რაღაც ჩამიყარა-მეთქი. გარემომცველი საგნების მოხაზულობა ნელ-ნელა იდღაბნებოდა და ძლივს მესმოდა, რა ჯიქურ მიმართავდა დედაკაცი პეტრუსს, ჩემი სახლიდან ახლავე მიბრძანდითო. მეყსეულად უცნაური, ანგარიშმიუცემელი ლხინითა და სიამით ავივსე. და გადავწყვიტე, რომ მაინც წარმომეთქვა ხმამაღლა ის უცნობი სიტყვები, პირზე რომ მომდგომოდნენ.

მარტო ნაგაზსღა ვარჩევდი მკაფიოდ. და როგორც კი ორიოდე სიტყვა წარმოვთქვი გაუგებარ ენაზე, პასუხად ღრენა შემომესმა. ძაღლს ჩემი ენა ესმოდა! აღგზნებული სულ უფრო ხმამაღლა და სწრაფად ვმეტყველებდი. ძაღლი ალაზე დაჯდა, ეშვები დაკრიჭა, ახლა უკვე დასტურ ის სათნო ოთხფეხი აღარ იყო, პირველად რომ ვნახე, ახლა ავად და თვალბედითად მიყურებდა და არც გამიკვირდებოდა, თუ ამ წუთში მეცემოდა კიდეც. მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემივე წარმოთქმული სიტყვები მიცავდნენ, და სულ უფრო მაღლად ვლაპარაკობდი, თანაც ვგრძნობდი, რომ რაღაც ახალი, ადრე ჩემთვის უცნობი ძალა გადმომჩქეფდა და ის არ აძლევდა ნაგაზს ჩემზე მოვარდნის ნებას.

ამ წუთიდან, რაც კი რამ ხდებოდა, ყოველივე დაყოვნებულ გადაღებას დაემსგავსა. ვხედავდი, როგორ მოიწევდა ჩემკენ დიასახლისი, რომელიც რაღაცას გულშემზარავად კიოდა, როგორ მომადგა ზედ და მუჯლუგუნის კვრით როგორ მაგდებდა გარეთ. ვხედავდი, როგორ სტაცა პეტრუსმა ხელი და როგორ შეაკავა. ძაღლი კი არცვის არ აქცევდა ყურადღებას. პირდაღრენილი და ეშვებგადმოყრილი კვლავინდებურად მარტო მე მიყურებდა. ერთი ცდა ვცადე, იქნებ რო-

ბორმე ჩავხვდე იმ ენას, რომელზედაც ვლაპარაკობ-მეთქი. მაგრამ როგორც კი ვჩერდებოდი და ამ ამბავს ვუფიქრდებოდი, ჩემს შიგნიშიგან ძალა კლებულობდა, ნაგაზი კი მიახლოვდებოდა. მაშინ ეზაში გარკვევის ყოველგვარ ცდაზე ხელი ავიღე და რაც ძალი და ღონე მქონდა, უცნობი სიტყვების წამოყვირება დავიწყე, დედაკაცი კი მოქალაქილს მეუბნებოდა! ნაგაზმა დაიყეფა, მაგრამ ვიცოდი: სანამ ელაპარაკობდი, არცრა მემუქრებოდა. ულუმელად, ანუ მოულოდნელად ვიღაცის კისკისი გაისმა, გაგებაში არ ვიყავი, მეჩვენებოდა თუ მართლა კისკისებდა ვინმე.

მერე თვალის დახამხამებაში და ერთჟამიერად მოხდა ყველაფერი — ოთახში ქარი შემოვარდა, ნაგაზმა კი დაიყმუვლა და დასაძგერებლად ისკუპა ჩემკენ. მე სახეზე ხელი ავიფარე, რაღაც წამოვიყვირე და შესაბმელად მოვემზადე.

ნაგაზი მთელი თავისი სიმძიმით დამეძგერა და დივანზე ზღარბანი მოვადინე. რამდენიმე წამს ერთმანეთს პირდაპირ თვალებში ვუცქეროდით, მერე ნაგაზი გადახტა და გარეთ გავარდა.

უცებ რატომღაც გული ამომიჯდა, მდუღარება წამსკდა და ავზლუქუნდი. ჩემი ახლობლები წამომაგონდნენ, ცოლი, მეგობრები. ერთდროულად უდიდეს სიყვარულსაც განვიცდიდი და რაღაც გაუგებარ ბედნიერებასაც, რომელიც ერთბაშად გაჩნდა, როგორც კი მოულოდნელად ყველაფერს მივხვდი იმ ოთხფეხზე.

პეტრუსმა მკლავში ხელი გამომდო და გარეთ წამიყვანა, უკნიდან დედაკაცი გვჯგვლემდა. ქუჩაში ირგვლივ მიმოვიხედე: არსად ძაღლის ჭაჭანება არ იყო. პეტრუსზე ჩამოკიდებული სულ ვტიროდი მთელი ის დრო, ვიდრე თვალისმომჭრელი მზისგან ალმურადენილ გზას მივუყვებოდით.

გზის შემდეგი მონაკვეთი მეხსიერებიდან ამომვარდა. რომ გამომელვიძა, შადრევანთან ვიწექი. პეტრუსი სახეზე წყალს მასხამდა, კეფას მისველებდა. ცოტა დამალევინე-მეთქი, ვუთხარი, არ შეიძლებაო, ამიხსნა, ერთი ყლუპიც თუ მოსვი, ეგრევე გული აგერევაო. ოდნავი გულის ზიდილი კი მქონდა, მაგრამ საერთოდ თავს ჩინებულად ვგრძნობდი — ამქვეყნად ყველასა და ყველაფრის მიმართ აუწერელი სიყვარულით ყელამდე ვიყავი სავსე. გარშემო ვიყურებოდი და ყურს ვუგდებდი გზის ორსავე მხარეს წამოზრდილ ხეებს, მზერით ვესიყვარულებოდი იმ პატარა შადრევანს, რომელთანაც შევჩერდით, ვგრძნობდი გრილი ნიავის ალერსიან ქროლას, ტევრში რომ ჩიტები გალობდნენ, ის გალობაც მესმოდა. ირგვლივ ყველაფერში ჩემი ანგელოზის სახეს ვხედავდი, ყველაფერი პირწავარდნით ისე იყო, როგორც პეტრუსი მიხსნიდა. მერე იმ დედაკაცის სახლის ამბით დავგულისყურდი, დიდი ხანია, რაც იქიდან წამოვედით-მეთქი, ვკითხე, სულ თხუთმეტი წუთიაო, მიპასუხა.

— ალბათ, გაგება გინდა, რა მოხდა, არა? — დამეკითხა პეტრუსი.

მართალს თუ ვიტყვი, ახლა ეს ამბავი ჩემთვის სულერთი იყო. უბრალოდ ვიდექი და შევხაროდი სიყვარულის იმ გრძნობას, მთელი ჩემი არსება რომ მოეცვა. ნაგაზიც, დედაკაციც და ბარის პატრონიც შორს

დარჩნენ ჩემგან — უკვე მკრთალ მოგონებად მეჩვენებოდა თავს გადანახადი, რასაც არცრა საერთო არა ჰქონდა იმასთან, ახლა რომ განვიცდიდი. თავს საუცხოოდ ვგრძნობ, გზა განვაგრძოთ-მეთქი, მივუგე პეტრუსს.

აღარ დავყოვნებულვართ, წამოვდექით და კვალად სანტიაგოს გზას დავემწყემსეთ. ახალ გრძნობათაგან ისე ვიყავი [illegible] დღის მთელი დარჩენილი ნაწილი ვდუმდი. ხან თავში გამიელვებდა ხოლმე აზრი, რომ პეტრუსმა ჩაიში რაღაცა ჩამიყარა. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ვხედავდი მთებს, ფშანაკადულებს, გზის პირებში ათასფრად ამოჩუხჩუხებულ ნაირ-ნაირ ყვავილთ. და ყველგან ჩემი ანგელოზის კვალსა ვგრძნობდი.

სალამოს რვა საათისთვის სასტუმროს რომ მივადექით, ჯერეთ კიდევ ნეტარების მდგომარეობაში ვიყავი. თუმცა შეგრძნებათა სიმძაფრემ რამდენადმე იკლო. მისვლისთანავე სასტუმროს პატრონს მივაწოდე ჩემი პასპორტი, რომელიც რეგისტრაციისთვის სჭირდებოდა.

— ძალიან კარგი, ბრაზილიიდან ბრძანებულხართ! მე იქ ნამყოფი ვარ. იპანემაზე ვცხოვრობდი სასტუმროში.

ამ უადგილო, უაზრო შეტყობინებამ წამერთ რეალობაში დამაბრუნა. როგორი ამბავია — წმინდა იაკობის გზას მიუყვები და უცებ მრავალი საუკუნის წინათ დაარსებულ პატარა დაბაში გადააწყდე სასტუმროს პატრონს, რომელიც თურმე იპანემის პლაჟზე ისვენებდა.

— ბარემ დავილაპარაკოთ, — ვუთხარი პეტრუსს, — ძალიან მინდა იმის გაგება, რაც დღეს იქ მოხდა.

ნეტარების გრძნობა წარსულს ჩაბარდა, გაქრა. საქმეში გონება ჩაერთო და გონებასთან ერთად განუცდელის შიშიც დამიბრუნდა. ამას გარდა, უმწვავესი და გადაუდებელი მოთხოვნილება გამიჩნდა, რომ კვლავ მეგრძნო ფეხქვეშ ნიადაგი.

— ვახშმის შემდეგ, — გაისმა პასუხად.

პეტრუსმა მასპინძელს ტელევიზორის ჩართვა სთხოვა. ოღონდ უხმოდ. ეს ყველაზე საუკეთესო საშუალებაა, რომ მეტისმეტად ბევრი არა შემეკითხო რაო, რადგან ეკრანზე დანახული შენს ყურადღებას მიიქცევსო. მერე კი, ყველაფერი წვლილად მიამბე, რაც დაგამახსოვრდაო. დამახსოვრებით ყველაფერი მახსოვს, გარდა იმისა, შადრევნამდე როგორ მივედით-მეთქი, ვუთხარი.

— ეგ არც მნიშვნელოვანია, — მიპასუხა პეტრუსმა.

ტელევიზორის ეკრანზე რაღაც ფილმი დაიწყო ქვანახშირის შახტებზე. მსახიობთ საუკუნის დამდეგის სამოსელი ემოსათ.

— გუშინ, ზეშთაგონებამ რომ ჩამჩურჩულა, შენს მაცნე-მაუწყებელს სასწრაფოდ რაღაცის შეტყობინება უნდაო, აშკარა გახდა, რომ შენი ბრძოლა სანტიაგოს გზაზე საცაა დაიწყება, შენ აქ იმიტომ ხარ, რათა შენი მახვილი მოიძიო და RAM ორდენის რიტუალები შეისწავლო. მაგრამ ყოველთვის, როცა კი მეგზურს თუ ეტიკს, როგორც გინდა, ისე თქვი, ლოცვადმავალი ამ გზით მოჰყავს, ისინი — თუნდაც ერთხელ — გაუთვალისწინებელ მდგომარეობას რასმე აწყდებიან. ამ

მდგომარეობის აზრი იმის პრაქტიკული შემოწმებაა, თუ რა შეისწავლა ლოცვადმავალმა. შენს შემთხვევაში მსგავსი შემოწმება იმ ნაგაზთან შეხვედრა გამოდგა.

შებმა-შეტაკების დეტალებსა და იმ ამბავსაც, თუ დემონები სწორად ცხოველებად რატომ გვეჩვენებიან, მერე აგიხსნი. ან კი ერთი რამის გაგებაა მთავარი, ანუ ის დედაკაცი უკვე შეეჩვია თავისებურ ... გარშემომყოფთა დამოკიდებულებას თავის მიმართ ის ისე ... როგორც ჯეროვანს და ნორმალურად მიაჩნდა. მან ისწავლა მცირედით დაკმაყოფილება, თუმცა ცხოვრება, ჩვენდა გასაკვირად, სულგრძელია და მუდამ ჩვენი დასაჩუქრების მოწადინეა.

ის საცოდავი ეშმაკთაგან რომ დაცალე და უწმინდურება დააყრევინე, მაგით თავისი ჩვეული სამყაროს შინაგანი წონასწორობა დაურღვიე. როგორმე ერთხელ ერთად განვსაჯოთ, რატომ არიან ზოგჯერ ადამიანები ეგზომ სასტიკნი თავიანთი თავის მიმართ. ხშირად, როცა ცდილობ, იქნებ რამენაირად დაარწმუნო მავანნი და მავანნი, თქვენს ცხოვრებაში ადგილი სიკეთესაც და სულგრძელობასაც მოეძებნოთ, ისინი თვითონ ამ აზრს უარყოფენ, როგორც ეშმაკისეულ მონაჩმახს. და მცირედითაც კმაყოფილნი არიან, ვინაიდან წაგებისა ეშინიათ. მაგრამ კაცი თუ **სამართლიან ომში** ჩაბმას აპირებს, ეს ქვეყანა ფასდაუდებელ საუნჯედ უნდა ესახებოდეს, რომელი საუნჯეც მხოლოდ იმის მოლოდინშია, რომ აღმოაჩინონ და ბრძოლით მოიპოვონ.

გესმის თუ არა, რატომ ხარ აქაო, სანტიაგოს გზას რატომ ადგახარო, მკითხა პეტრუსმა.

რატომ და, ჩემს მახვილს ვეძებ-მეთქი, მივუგე.

მერედა, რისთვის გიხდა ის შენი მახვილიო, მითხრა.

რისთვის და, ტრადიციის ძალასა და სიბრძნეს მაზიარებს-მეთქი.

ვიგრძენი, რომ პეტრუსი დიდად არ გაუხარებია ჩემს პასუხს. მაგრამ ის მაინც თავისას განაგრძობდა:

— შენ აქა ხარ, და შენი ჯილდოს მიღებას ესწრაფვი. რაკი ერთი გაბედე და ირწმუნე შენი ოცნება, ახლა ყველაფერს ღონობ, რათა აიხდინო კიდეც. რასაკვირველია, ბევრად აჯობებდა, უკეთუ უკეთესად გაიაზრებდი, რისი გულისთვის ეძებ იმ შენს მახვილს, და ამას ჯერ კიდევ მანამ იზამდი, სანამ იპოვიდე. ოღონდ ერთი რამ, რაც უეჭველად შენ სასარგებლოდ მეტყველებს, ის არის, რომ ჯილდოს მიელტვი. სანტიაგოს გზას მეტადრე იმიტომ ასდევნებიხარ, რაკი შენი მომწირნეობისა და რუდუნებისთვის საზღაურის მიღება გწადს. შეგამჩნიე: ჩემგან ნასწავლ სუყოველ საკარჯიშოს ჯიუტად ასრულებ, ანუ რაც რამ ახალ ჩვევას იძენ, უმალ საქმეში გამოყენებას ცდილობ. ეს ძალზე პოზიტიური მიდგომაა.

ერთადერთი, ჯერსანად თუ რამე გაკლია, ეს RAM ორდენის რიტუალთა შენს საკუთარ ინტუიციასთან შეხამების უნარია. ყური დაუგდე შენი გულის ხმას — დიახამც ის გასწავლის სწორ გზას და მახვილს გაპოვნინებს. უკეთუ გულის ხმის გაგონებას ვერ შეიძლებ, RAM ორდენის სუყველა რიტუალი და საკარჯიშო ერთიანად ტრადიციის უსარგებლო სიბრძნეში ჩაიკარგება.

პეტრუსი ამის თაობაზე ადრეც მელაპარაკა, ოღონდ სხვაგვარად, და თუმც თანახმა კი გავუხდი, მაგრამ ახლა სულ სხვა რამის გაგონებას ვისურვებდი. ორი გარემოება ამ ამბავში აუხსნელი ჩანდა: უცნობი ენაკავი, რომელზედაც ვმეტყველებდი, და გაუგონარი გრძნობა სიყვარულისა და ის ბედნიერება, რაც ძაღლის გაგდებისთანავე განვიცადე.

— ლხინთა და სიამით შენი ავსება იმით იყო გამოწვეული, რომ **აგაპემ** შეგიპყრო.

— შენ უკვე პირველად არ ახსენებ მაგ აგაპეს, ოღონდ ერთი წესიერად ვერ ამიხსენი, რა არის მაგისთანა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ეგ სიყვარულის რაღაც უმაღლესი ფორმაა.

— მართალი ბრძანებაა. დადგება დრო და ნამდვილ სიყვარულსაც ჩახვდები, რომელი სიყვარულიც სულ ერთიანად ნთქავს მყვარებელს. ჯერხანად კი იმას დასჯერდი, რომ ეს სიყვარული თავის ნებაზე გამოვლინდა შენში.

— რაღაც მსგავსი უწინაც განმიცდია, ოღონდ ძალიან წამიერად და ცოტა სხვაგვარად. ასეთი რამ ჩვეულებრივ მაშინ მომსვლია, პროფესიულად რომ წარვმატებულვარ, ანდა რომელსამე საქმეში გამიმარჯვია, ან თუ მიგრძნია, რომ ფორტუნა მწყალობდა. ოღონდ როცა კი ამგვარი გრძნობა გამჩენია, ყოველთვის გული დამსურვია და ჩამთხრობია, რადგან ამ გრძნობის სრულად დახარჯვა მაფიქრებდა — ვაითუ ჩემს ბედნიერებას სხვათა თვალში შური აღეძრა და ვაითუ არც ვიყავი ამ ბედნიერების ღირსი.

— **აგაპეს** ვინც არ განიცდის, სუყველა ზუსტად ეგრე იქცევა, — მიპასუხა მან, ტელევიზორის ეკრანს მიჩერებულმა.

მაშინ აღარ დავაყოვნე და, ანაბდეულად რომელ ენაზე ავლაპარაკდი-მეთქი, ვკითხე.

— ეგ ამბავი ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო, — მომიგო პეტრუსმა. — ვინაიდან სანტიაგოს გზისთვის უცხო რამ პრაქტიკას შემასწარი. ეგ ქარიზმაა, ზეგარდმო ნიჭი, ანუ ღვთის საბოძვარი, და RAM ორდენის რიტუალებში მოქცეული, რომელი რიტუალებიც რომის გზაზეა წარმოქმნილი.

ქარიზმის თაობაზე ზოგი რამ გაგონილი მქონდა, მაგრამ პეტრუსს უფრო წვლილად განმარტება ვთხოვე.

— ეგ სულიწმიდის ნიჭთ, ანუ საბოძვართ ეკუთვნის, ნიჭი თუ საბოძვარი კი ღვთის მადლია, რაც ადამიანებში ვლინდება, თანაც სულ სხვადასხვანაირად: ზოგს განკურნების ნიჭი დაჰყვება, ზოგს სასწაულთა მოხდენისა, ზოგსაც მერმისის განჭვრეტისა. შენ კი ენაკავთა ნიჭი გებოძა, იგივე, რა ნიჭიც მეერგასე დღეს, ანუ სულიწმიდის მოფენის დღეს, მოციქულთ ეწყალობათ.

უცნობ, თუ უფრო სწორად, იდუმალ ენაზე ლაპარაკის უნარს სულიწმიდასთან პირდაპირი ურთიერთობა გვანიჭებს. ეს ენა განკუთვნი-

ლია ერთად თავმოყრილი, მოჯარული ზღვა ხალხის წინაშე ქადაგებისთვის, ეშმათა გაძევებისთვის — როგორც ეს შენს შემთხვევაშიც მოხდა, — და აგრეთვე უჩვეულო სიბრძნის ნიშანია. ამ გზაზე გაბრიელ ბულმა დღეებმა და RAM ორდენის რიტუალებმა, რომელთაც გულმოდგინედ სწავლობდი, იმ საფრთხესთან ერთად, რომელშიც [illegible] ვდასხმამ ჩაგაგდო, შემთხვევით გააღვიძეს შენში ენაკავთა ნიჭი. [illegible] სამუდამოდ — ცოტა ხნით. უნდა იცოდე, ის ალარ დაგიბრუნდება, უკეთუ, მასვილს რომ იპოვი, რომის გზით წასვლას არ გადაწყვეტ. მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს ამბავი კეთილის მომასწავებელია.

ვიდექი და დადუმებულ ეკრანს შევცქეროდი. ქვანახშირის მაღაროების ნაცვლად ეკრანზე ერთმანეთის მონაცვლე კადრები კრთოდნენ — კაცები და ქალები გაუთავებლად რაღაცას ლაპარაკობდნენ, ლაქლაქებდნენ, დავობდნენ, დროდადრო კი ერთმანეთს კოცნიდნენ.

— და კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა, — დასძინა პეტრუსმა. — გამორიცხული არ არის, რომ ისევ შეხვდე იმ ძალს. ოღონდ მერე ნოლა ეცდები შენში ამ ნიჭის გაღვიძებას — მაინც არა გამოგივა რა. ზეშთაგონებით მოიქეცი. მე კი ამჯერად RAM ორდენის კიდევ ერთ სავარჯიშოს შეგასწავლი, რაც ინტუიციას, ალღოს ავითარებს. ინტუიციის წყალობით შენი სულის საიდუმლო ენას დაეუფლები, ხოლო ის ენა მთელი შენი ცხოვრება გზად და ხიდად დაგედება.

პეტრუსმა სწორედ მაშინ გამორთო ტელევიზორი, როცა ცოტა თავი და ბოლო გავუგე სიუჟეტს. მერე ბართან მივიდა და ერთი ბოთლი მინერალური წყალი იყიდა. ცოტა დავლიეთ და ქუჩაში გავედით, დარჩენილწყლიანი ბოთლი პეტრუსმა თან წამოიღო.

სუფთა ჰაერზე დავსხედით და რამდენსამე ხანს ვდუმდით. ჩამიჩუმი არ ისმოდა, ღამეულ ცაზე ირმის ნახტომის ციალმა კვლავ გამახსენა სანუკვარი მიზანი — მასვილის პოვნა.

ოდნავ მოგვიანებით პეტრუსმა **წყლის სავარჯიშო** ამიხსნა.

— რაღაც დავიღალე, წავალ, დავიძინებ, — თქვა მან. — ოღონდ შენ დღესვე შეასრულე სავარჯიშო. შენი სულის სიღრმეში ჩაბუდებული ინტუიცია, ანუ ძველების ენაზე ჩმუნვა, გრძნობით მიხვედრა, თუგინდ ალღო თქვი, უნდა გამოაღვიძო. ლოგიკა ნუ გაგიტაცებს, რადგან წყალი მედინი, ანუ მდინარი მატერიაა, მეტად ძნელი დასამორჩილებელია, სამართავად კი კიდევ უფრო ძნელი სამართავია. თუმცა თანდათან, ნელ-ნელა, ნიბა-ნება სწორედაც წყალი დაგეხმარება სოფელქვეყანასთან ახალი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებაში.

და ვიდრე კარებს მიეფარებოდა, დააყოლა:

— ნაგაზი სუყველას როდი ეხმარება.

სავარჯიშო ინტუიციის განსავითარებლად („წყლის“ სავარჯიშო)

შეარჩიე სწორი ზედაპირი, რომელიც წყალს არ უშვებს, და წყალი ზედ ისე დაასხი, პატარა გუბურა გაჩნდეს. რამდენსაც ხანს უბრალოდ უცქირე წყალს. მერე რაღაც ჩიჩხინი დაუწყე, გუბურაში ზანს რასმე დაისახავ. მაგალითად, უმიზნოდ გაავლ-გამოავლე ზედ ხელი, არცრა სურათის მოხაზვაზე იფიქრო.

ეს სავარჯიშო ერთი კვირა ყოველდღიურად შეასრულე, ათ წუთზე ნაკლები დრო არცროდის დაუთმო.

არავითარ პრაქტიკულ შედეგებს არ ესწრაფო, ამ სავარჯიშომ უბრალოდ თანდათანობით უნდა გაგიკვითაროს ინტუიცია, ალლო. როცა შენი ინტუიციური უნარი სხვა დროსაც იჩენს თავს (მეცადინეობის დროის გარდა), მუდამ ენდე.

ვიჯექი და ღამის სიგრილეს შუბლმიშვერილი ჩემებურად ვნეტარებდი. სასტუმრო სხვა სახლებისგან განზე იდგა, ასე რომ ქუჩაში მარტოდმარტო ვიყავი. და წამომაგონდა აქაური სასტუმროს პატრონი, რომელიც იპანემის პლაჟზე ისვენებდა: აქ, ამ გვალვიან და გავარვარებული მზისგან გადაბუგულ ადგილას რამ ჩამოიყვანაო, ალბათ, იფიქრა-მეთქი ჩემზე, უნებლიეთ გავიცინე გულში.

რადგან მეც ძილი წამომერია, სასწრაფოდ ვარჯიშის დაწყება გადავწყვიტე. დარჩენილი მინერალური წყალი პლასტმასის ბოთლიდან ცემენტის იატაკზე დავასხი და საჭიროებისდაგვარი პატარა გუბურა გავაჩინე. თავში არავითარი მოსაზრება არა მქონია, თუ რა უნდა მექნა, და ამას არც ვესწრაფოდი. ჩავცუცქდი და თითი გრილი წყლის ზედაპირს მივავლ-მოვავლე, მაინცდამაინც დიდ დროს არ გაუვლია, და ვიგრძენი, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში ვექცეოდი, რაც ძალიან ჰგავდა იმ შეგრძნებას, რასაც ცეცხლის ყურებისას განვიცდით. არცრაზე ვფიქრობდი, უბრალოდ, ვთამაშობდი — წყლის პატარა გუბურას ვეთამაშებოდი. გუბურის საზღვრებიდან სხვადასხვა მხარეს რამდენიმე ხაზი გავავლე, და გუბურა სველ, ნოტიო მზეს დაემსგავსა. მაგრამ სუყველა ხაზი მალევე გაქრა, ისევ გუბურაში ჩაიწურა. მერე გუბურას ხელისგულით ტყაპუნი დავუწყე — და პაწაწინა მუქ ვარსკვლავებად ქცეული აშხეფებული წყლის წვეთები ცემენტის ნაცრისფერ ზედაპირს წინწკლავდნენ. კიდევ კარგა ხანს ვატყაპუნე ხელი სულ ერთიანად ჩანთქმულმა ამ უსაგნო მეცადინეობასა თუ სავარჯიშოში, რასაც არავითარი საგანგებო რამ მიზანი არა ჰქონია რა, მაგრამ სიამოვნებას მგვრიდა. გონება მთლიანად გამომეთიშა, და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რასაც ადრე ხანგრძლივი რელექსაციისა და მედიტაციის გზით ვაღწევდი. თანაც, ამავე დროს, სადღაც შიგნიშიგან, სადაც ჩემი ცნობიერება ვერც ატანდა, როგორც ვგრძნობდი, ჩემში უცნობი რამ ძალა იღვიძებდა, რომელიც მზად იყო თავის გამოსავლინებლად.

გუბურას ხანიერად ვეთამაშე — აშკარად მიჭირდა სავარჯიშოს შეწყვეტა. უკეთუ პეტრუსი რაღაც მსგავს რასმე ჩვენი მოგზაურობის

დასაწყისშივე შემასწავლიდა, ამ ამბავს უეჭველად დროის ფუჭ ხარჯვად ჩავთვლიდი. მაგრამ ახლა, როცა არა ერთ უცნობ ენაკავზე ვმეტყველებდი და ავსულ ქასქანჯიელთაც ვდევნიდი, პატარა გუბურის წყალი წამერთ იმ ძაფად იქცა — თუნდაც სუსტ ძაფად, — რომ მის ნახტომთან რომ მაკავშირებდა, რომელიც თავს დამკაშკაშებდა. წყალში არეკლილი ვარსკვლავები უცნობ თანავარსკვლავედებად ... დებოდნენ, და ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ დროს ... კი არ ვკარგავდი, არამედ სრულიად ცამყართან ურთიერთობის მავან ახალ ენასა ვქმნიდი. ეს დასტურ სულის ის საიდუმლო ენა იყო, რომელიც ყველასა აქვს, ოღონდ ცოტა ვისმე თუ ეყურება.

რომ გამომელვიძა, კარგა გვიანი იყო. სასტუმროს შესასვლელის თავზე დაყენებული ნათურა უკვე ჩაექროთ, ჩემს ნომერში სულ ფეხაკრეფით შევედი. ოთახში კვლავ ვუხმე ასტრაინს. უმალ გამომეცხადა და ბევრად უფრო მკაფიოდ ჩანდა, ვიდრე სულ პირველად, და შევბედე — ცოტა რამ მახვილზეც ვუამბე და ცხოვრებაში რისი მიღწევაც მინდოდა, ისიც ვუთხარი. ეს ჩემი მაცნე-მაუწყებელი ჯერხნობით არ მეპასუხებოდა, მაგრამ პეტრუსმა როგორც ამიხსნა, უკეთუ ასტრაინს ცისმარე დღე გამოვუხმობდი, თანდათან ის ჩემს მხარდამჭერ ცოცხალ და აქტიურ ძალად გადაიქცეოდა.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

ლოგრონიო სანტიაგოს გზაზე მდებარე ერთ-ერთი მოზრდილი ქალაქია, უკეთუ სათვალავში არ ჩავალთ პამპლონას, სადაც არ გავჩერებულვართ. როს მოსალამოებულზე ლოგრონიოს მივაღწიეთ, იქ თურმე დიდ ზეიმს რასმე ეპირებოდნენ, და პეტრუსის წინადადება იყო, რომ თუნდაც დილამდე მაინც დავყოვნებულიყავით ქალაქში.

რაკილა ამ ხნის განმავლობაში მრავალ სოფელ ადგილას სიწყნარესა და სიმშვიდეს მივეჩვიე, პეტრუსის იდეას სულაც არ აღუფრთოვანებივარ. ნაგაზთან რომ ამბავი შემემთხვა, იმის მერე უკვე ხუთი დღე იყო გასული, ყოველ საღამოს ვეძახდი ასტრაინს და წყლის სავარჯიშოს ვასრულებდი. ამ ხუთმა დღემ სულიერად დამაწყნარა და დამამშვიდა, რადგან შევიგნე, რომ სანტიაგოს გზა ფრიად მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში, და ახლა სულ უფრო ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რაც უნდა მერე მექნა, როცა ლოცვადმავლობა გასრულდებოდა. თუმცა უდაბური ადგილიც ბევრი გამოვიარეთ და მცირე საჭმლითაც თავი ძლივს გაგვქონდა, მუდამ დღე გაუთავებელი სიარულით ქანცგაწყვეტილნი ხომ ფეხზე ძლივს ვიდექით, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მშვენიერი იყო.

ხოლო ლოგრონიოს რომ მივადექით, ყოველივე უკან დარჩა, მინდვრების ცხელი, ოღონდ კამკამა ჰაერის ნაცვლად ახლა ბენზინის ბოლს ვსუნთქავდით, ქალაქი გაზეთებისა და ტელევიზიების ხალხს

ეპყრა, ირგვლივ მანქანების ტევა არ იყო. პეტრუსი პირველსავე ბარში შევიდა, რათა გაეგო, რა ხდებოდა.

— რა, არ იცით? პოლკოვნიკი მ. დღეს ქალიშვილს ათხოვებს! — უთხრა პეტრუსს ბარმენმა. — მთავარ მოედანზე ყველა მსურველისთვის პურმარილს გაშლიან, ასე რომ დღეს ადრე [illegible].

სასტუმროში, ცხადია, ადგილები არ იყო, [illegible] და ბოლოს მოვახერხეთ და ერთი ხნიერი ცოლ-ქმრის ოჯახში მოვეწყეთ, რომელ ცოლ-ქმარზეც აშკარად შთაბეჭდილება მოახდინეს პეტრუსის ტავარჯუხზე გამოსახულმა ნიჟარებმა. შხაპი გადავივლე, წამოვიცვი ის ერთერთადი შარვალი, თან რომ მქონდა წამოღებული, და ქალაქში გავედით.

თავიანთ შავ ფრაკებში ოფლმოდენილი ათობით მსახური და ოფიციანტი საბოლოოდ აპეწიან-ალაზათიანებდა მთელ მოედანზე დადგმულ მაგიდებს. ესპანეთის ტელევიზიის გადამღებთა ჯგუფი საქორწილო ზეიმის სამზადისს იღებდა. ჩვენ პატარა ვიწრო ქუჩას გავყევით, რომელიც სანტიაგო ელ რეალის სამრევლო ეკლესიისკენ მიდიოდა, სადაც ცერემონია უნდა დაწყებულიყო.

ეკლესიასთან სულ ერთიანად გამოწკეპილ-გამოპრანჭული ქალაქელი ხალხი გროვდებოდა. ქალებს სიცხისაგან სახეზე მაკიაჟი ადნებოდათ, თეთრად გამოკვანწული ბავშვები მოუსვენრად ცქმუტავდნენ და ჭუჭყუნებდნენ. ატკრციალდა ფეიერვერკი, ვეება შავი ლიმუზინი მთავარ შესასვლელთან მიგორდა. სასიძო მობრძანდა. ეკლესიაში ჩემი და პეტრუსის ადგილი აღარ იყო, ასე რომ, მოედანზე მიბრუნება გადავწყვიტეთ.

პეტრუსმა გარეშემო ხეტიალი მოიპრიანა და წავიდა, მე კი ერთერთ მერხზე ჩამოვჯექი, ცერემონიის დამთავრებასა და ბანკეტის დაწყებას დაველოდე. გვერდით ბატიბუტის გამყიდველი მედგა თავის ხონჩიანად: ჩანდა, ცოტაოდენი ფულის შოვნას იმედოვნებდა, როცა ხალხი ეკლესიიდან გარეთ გამოიხენცებოდა.

— ქორწილის სტუმრები ბრძანდებით? — დაგულისყურდა მებატიბუტე.

— არა, პილიგრიმები ვართ, კომპოსტელაში მივდივართ, — მივუგე.

— მადრიდიდან იქით პირდაპირი მატარებელი მიდის, ხოლო პარასკევს თუ წახვალთ, სასტუმროში უფასო ნომერი შეგხვდებათ.

— კი, მაგრამ ჩვენ ლოცვადმავლობას ვასრულებთ.

მებატიბუტემ ალმაცერად გადმომხედა და ხმაში პატივგარეულმა წარმოთქვა:

— ლოცვადმავლობას მხოლოდ წმინდანები ასრულებენ.

გადავწყვიტე, არ შევკამათებოდი ამ საკითხისა გამო. არცრა მიკითხავს, ისე მაუწყა, ჩემი ქალიშვილი უკვე გათხოვდა და გამოთხოვდა კიდეცო.

— ფრანკოს დროს მეტი ზნეკეთილობა იყო, — დაიჩივლა მან, — მაშინ ოჯახურ კავშირს ფასი ჰქონდა.

მართალია, უცხო ქვეყანაში კი ვიყავი და აჯობებდა, თუ პოლიტიკაზე სიტყვას არ ჩამოვაგდებდი, მაგრამ მებატიბუტემ ისეთი რამ

თქვა, უპასუხოდ ვერ დავტოვებდი. მეც ავდექი და პირდაპირ მივახალე, ფრანკო დიქტატორი იყო და ამიტომ იმის დროს უკეთესი ვერც ვერაფერი ვერ იქნებოდა, ვიდრე ღღეს არის-მეთქი.

მებატიბუტე წამოჭარხლდა.

— ეგეთი ვინა ბრძანდებით, რომ ეგრე ლაპარაკობთ?

— ბრძანება რა შუაშია, თქვენი ქვეყნის ისტორია ვიცი. ... ცნობილია, რომ ხალხი აქ თავისუფლებისთვის იბრძოდა. წამიკითხავს იმ მრავალი დანაშაულის შესახებაც, ფრანკოელნი ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს რასაც სჩადიოდნენ.

— წაგიკითხავთ? მე კი, ღღეის ამას იქით იცოდეთ, სწორედ იმ ომში ვიბრძოდი! ლაპარაკის უფლება იმიტომ მაქვს, რომ აქ ჩემი ახლობლების სისხლია დაღვრილი. სულაც არ დავეძებ, რომელი წიგნიდან რა ამოგიკითხავთ, — მე მხოლოდ ჩემი ოჯახის მდგომარეობა მანაღვლებს. დიახ, ფრანკოს წინააღმდეგ ვიბრძოდი, გამარჯვებით კი იმან გაიმარჯვა, მაგრამ უკეთესი ცხოვრება დადგა. გაჭირვებული კაცი არ მეთქმის, ჩემი ფარდული მაქვს, ბატიბუტს ვყიდი. და სოციალისტების მთავრობა, ახლა სათავეში რომ არის, არც არაფერში არ წამდგომია.ამისთანა მძიმე ცხოვრება არცროდის არა ყოფილა.

უცაბედად პეტრუსის ნათქვამი წამომაგონდა იმის თაობაზე, რომ ადამიანებს ხშირად ცხოვრების ნასუფრალით უხდებათ თავის გატანა. კონფლიქტი კიდევ უფრო არ გავამწვავო-მეთქი, ავდექი და სხვა მერხზე გადავჯექი.

პეტრუსი როგორც კი მობრუნდა, მებატიბუტესთან ჩემი დავის ამბავი უკლისად ჩავუწიგნე.

— მოსაზრებათა განხილვა მუდამ ერთსა და იმავე რასმე ემსახურება, — თქვა მან. — ამდაგვარი განსჯა-განხილვა ადამიანებს ეხმარება საკუთარი თავის დაჯერებაში, რომ ისინი მართალნი არიან. ასე რომ იცოდე, მე იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ და არ მეგონა, თუ ფაშისტებს მხარს უჭერდი.

— რას ლაპარაკობ?! — აღშფოთებულმა ვუთხარი.

— რას ვლაპარაკობ და, ეგ მებატიბუტე საბოლოოდ დაარწმუნე, რომ ფრანკო კარგია. ადრე იქნებ არც გაეგებოდა, რატომ იყო კარგი. ახლა უკვე იცის.

— მართლა? მაინც რამდენი ხანია, რაც იტალიის კომუნისტური პარტიის წევრთ სულიწმიდის მადლისა გჯერათ?

— კაცნი ვართ, გვინდა, არ გვინდა, მუდამ გვაფიქრებს, რას იტყვიან მეზობლები ჩვენზე, — გაიცინა მან და პაპი წარმოსახა, აივნიდან ხალხის მაკურთხებელი.

და ცაში კვლავ აიჭრა უამრავი შუშხუნა, ხოლო მემუსიკენი ესტრადაზე ავიდნენ და საკრავების აწყობას შეუდგნენ. ზეიმის დაწყებას აღარცრა უკლდა.

ცას თვალს ვერ ვაშორებდი. ბინდი ხშირდებოდა, აქა-იქ პირველი ვარსკვლავები დაჩნდნენ. პეტრუსი ოფიციანტის საძებნელად წავიდა და ორი ღვინით სავსე პლასტმასის ჭიქა მოიტანა. ერთი მე გამომიწოდა და თან დააყოლა:

— ამბობენ, ზეიმის დაწყებამდე, ცოტას დალევა საქმეს ადგებაო
რა იცი, მებატიბუტე იქნებ დაგავიწყოს კიდეც.

— ის ისედაც უკვე დავიწყებული მყავს!

— მაგ ამბავს მთლადაც ნუ გააარაფრებ! რაც მოხდა, ეს სიმბოლური გზავნილია: იმის ნიშანია, რომ არასწორად მოიქეცი, ეგრეა. მუდამ სხვათა ჩვენს რჯულზე მოქცევას ვესწრაფვით, ვცდილობთ, რომ ჩვენს მსოფლგაგებას ვაზიაროთ ისინი. ჩვენი აზრით, რაც უფრო მეტი ადამიანი ირწმუნებს ჩვენს სასოება-სარწმუნებელს, მით უფრო მალე იქცევა სინამდვილედ ჩვენი ესა თუ ის წარმოდგენა. არაფერიც.

მიმოიხედე გარშემო. საცაა დიდი დღესასწაული დაიწყება. საზეიმო ცერემონია. დღეს ერთდროულად სულ სხვადასხვაგვარ ოცნებებსა და იმედებს ესხმის ხორცი: მამას ქალიშვილის გათხოვების იმედი უსრულდება, ქალიშვილის გაბედნიერების იმედი, სასიძოს დაოჯახების იმედი, რაც ძალიან კარგია, რადგან სუყველა ცალ-ცალკე ოცნებობდა და ახლა უნდათ, რომ სხვათაც დაანახვონ, როგორ აუხდათ ოცნებები. ეს ზეიმი სულაც იმიტომ არ ეწყობა, რათა ვინმე რამეში დაარწმუნონ, ამიტომაც აქ ნაღდი ლხინი და მხიარულება იქნება. ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ აქ ის ადამიანები არიან თავშეყრილნი, ვინც **სამართლიან ომს** ეწეოდა თავისი სიყვარულის გულისთვის და გაიმარჯვა.

— მაგრამ, პეტრუს, სანტიაგოს გზით რომ მიგყავარ, განა შენც რალაცაში ჩემს დარწმუნებას არა ცდილობ?

მან ყინულივით ცივი მზერა შემავლო.

— მე მარტოოდენ RAM ორდენის საქმიანობას გასწავლი. მახვილის საპოვნელად კი გულის სიღრმეში დაფარული გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება უნდა შეიცნო.

პეტრუსმა ხელი ცისკენ აიშვირა, სადაც უკვე მკაფიოდ ჩანდნენ ვარსკვლავები.

— ირმის ნახტომი კომპოსტელასკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს. არ არის რელიგია, რომელსაც სუყველა ვარსკვლავის ერთად თავმოყრა შეეძლოს. ხოლო ასეთი რამ თუკი მოხდებოდა, ცამყარი გიგანტურ სიცარიელედ გადაიქცეოდა და თავისი არსებობის აზრს დაკარგავდა. თითოეულ ვარსკვლავს — და თითოეულ ადამიანს — თავისი საკუთარი სივრცე და თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. არიან ცისფერი, ყვითელი, მწვანე და წითელი ვარსკვლავები, არიან ავრეთვე კომეტები, ანუ კუდიანი ვარსკვლავები, მეტეორები, ანუ ცისიერნი, მეტეორიტებად რომ ცვივიან დედამიწაზე, არსებობს უამრავი ვარსკვლავიერი ნისლოვანება და უამრავივე ბაკმი, ანუ ხილული ნათლის სარტყელი, პლანეტათა თუ ცთომილთა გარეშემო მოვლებული. რაც რამ აქედან, დედამიწიდან, ჩანს როგორც ერთგვაროვანი დიდძალი პაწაწინა ლაქა, სინამდვილეში ყველაფერი უთვალავი სხვადასხვა საგანი და მოვლენაა მიმოფანტული სივრცეში, რომლის არსშიც ჩაწვდომა კაცობრიული გაგების უნარს აღემატება.

და კვლავ ტკრციალით აიჭრა ცაში ურიცხვი ფერადი შუმსუნა, რომელთაც წამიერ ვარსკვლავნიც კი დაჩრდილეს. მოციმციმე მწვანე ნაპერწკლების ბურჯღალი გადაშლილი ჩამოწვიმდა მიწაზე.

— წელან ფეიერვერკის მხოლოდ ხმის გაგონება შეგვეძლო, ახლა კი, როცა ბინდი ჩამოწვა, უკვე დანახვაც შეგვიძლია, — თქვა პეტრუსმა. — და ეს ერთადერთი რამ ცვლილებაა, რასაც შეიძლება რომ სასოებდეს ადამიანი.

ნეფე-პატარძლის ეკლესიიდან გამოსვლას ერიამულითა და შეძახილებით შეხვდა ხალხი, ზოგნიც სულ ახლოს მიიჭრნენ [illegible] ბლუჯა აყრიდნენ ბრინჯს. დედოფალს, თექვსმეტიოდე [illegible] გოგოს, მაგრად ჩაევლო ხელი კოხტად გამოწყობილი ნეფისთვის. ახალჯვარდაწერილთ უკან მაყრიონი მოჰყვა, და ყველანი მოედნისკენ გაემართნენ.

— აგე პოლკოვნიკი... აუ, რა კაბა აცვია პატარძალს! რა ლამაზია! — დაიყვირეს ბავშვებმა ჩვენ შორიახლო.

სტუმრებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს მაგიდებთან, ოფიციანტებმა ღვინო დაასხეს, იგრიალა ორკესტრმა. მებატიბუტეს გარშემო პატარებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, სუყველანი ერთდროულად აწვდიდნენ ხურდა ფულს, სიმინდიან პაკეტებს ართმევდნენ და ძირსა ფანტავდნენ. მომეჩვენა, რომ ლოგრონიოელთათვის, ამ საღამოს მაინც, მთელმა დანარჩენმა ქვეყნიერებამ — თავის პრობლემებიანად: უმუშევრობითა თუ ატომური ომის მუქარით, მრავალი ბოროტმოქმედებითა და ათასი სხვა უბედურებით — უბრალოდ შეწყვიტა არსებობა. დღეს აქ ზეიმია, მოედანზე დადგმულ მაგიდებთან ყველასთვის მოიძებნება ადგილი, და არცვინ დაჩაგრულად არ იგრძნობს თავს.

ჩვენკენ მეტელევიზიეთა პატარა ჯგუფი გამოეჩქარა, და პეტრუსი სწრაფად შებრუნდა, ზურგი შეაქცია. მეტელევიზიენი ჩვენი გვერდის ავლით ერთ-ერთ სტუმარს მიადგნენ, რომელიც ჩვენგან ორიოდე ნაბიჯზე უჯდა მაგიდას. შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი: ანტონიო მანოლო იყო, რომელიც მეხიკოში მყავდა ნანახი როგორც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოსულ ესპანელ გულშემატკივართა თავკაცი. ინტერვიუ რომ დამთავრდა, მივედი მანოლოსთან და, ბრაზილიიდან ვარ-მეთქი, ვუთხარი, რის პასუხადაც მან ვითომც გულისწყრომით მომიგო, თქვენ მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ტურში ესპანელთ გოლი მოგვპარეთო.*

მაგრამ მერე გულში ჩამიკრა და დასძინა, ბრაზილიას მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები მალე კვლავაც გამოუჩნდებიანო.

— მითხარი ერთი, თამაშის ყურებას როგორღა ახერხებ, თუ მინდვრისკენ სულ კურთუკულმა, ზურგშექცეული დგახარ და შენს ტორსიდას დირიჟორობ? — ვკითხე ალალად დაგულისყურებულმა.

ეს ამბავი ყოველთვის მაკვირვებდა, როცა კი მატჩების ტრანსლაციას ვუყურებდი.

———————

* 1986 წელს მეხიკოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრისას ესპანელთა მიერ გატანილი ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა, რადგან ვერ დაინახა რომ ძელზე ასხლეტილი ბურთი ჯერ კარის ხაზს გადასცდა და მერელა გამოგორდა უკან.

— ტყუილია უფრო მეტი სიამე, ვიდრე ჩვენს ფანატებში გამარჯვების რწმენის მხარდაჭერაა.

და მერე, თითქოს ისიც სანტიაგოს გზას იყო ადევნებული, წარმოთქვა:

— რწმენის უქონელ **ტორსიდას** უკვე პრაქტიკულად მოგებული მატჩის ჩაფლავება შეუძლია.

მანოლოს ახლა სხვა ადამიანები შემოეხვივნენ, საუბარი გაუბეს, მე კი ვიდექი და რაც იმან მითხრა, იმაზე ვფიქრობდი. ის არცროდის დამწყემსებია სანტიაგოს გზას, მაგრამ ესმოდა, რა არის **სამართლიანი ომი.**

პეტრუსი სადღაც ხეების ჩრდილს თავშეფარებული აღმოვაჩინე, სადაც, ალბათ, სტუმრებისკენ მიმართულ სატელევიზიო კამერებს ემალებოდა. მხოლოდ როცა იუპიტერები ჩაქრნენ, მაშინღა გადაწყვიტა მან თავშესაფრიდან გამოსვლა და ცოტა მოწყდა, მოეშვა. თითო ჭიქა ღვინო კიდევ ავიღეთ, მე კანაპედან ჩვენთვის თეფში მოვახელე, პეტრუსმა კი მაგიდასთან ადგილი გამოძებნა, სადაც სხვა სტუმრებთან ერთად მოვეწყეთ.

ახალგაზარდაწერილნი უკვე ჭრიდნენ ვეება საქორწილო ღვეზელს. სტუმრები ხმამაღლივ ულოცავდნენ გაბედნიერებას.

ერთმანეთი, ალბათ, ნამდვილად უყვართ-მეთქი, ვთქვი.

— რა თქმა უნდა, უყვართ, — დასტური დამცა მუქ კოსტიუმში გამოწკეპილმა კაცმა, გვერდით რომ მიჯდა. — აბა, როგორ? სხვა მიზეზით რა, განა ვისმე მოჰყავს ცოლი?

უცებ მეგატიბუტეზე ჩემი და პეტრუსის ლაპარაკი გამახსენდა, და ხმამაღლა პასუხის გაცემას მოვერიდე. მაგრამ ჩემი მეგზური არ გაჩუმებულა.

— მაინც რომელი სიყვარული გაქვთ მხედველობაში: **ეროსი, ფილოსი თუ აგაპე?**

ჩემ გვერდით მჯდომ კაცს სახეზე გაოგნება აღებეჭდა. პეტრუსი წამოდგა, სასმისი შეავსო და, ცოტა გავიაროთო, შემომთავაზა.

— სამივე ბერძნული სიტყვა სიყვარულს აღნიშნავს, — დამიწყო ახსნა მან. — რასაც დღეს მე და შენ ვხედავთ, ეს ეროსია, ანუ ორი ადამიანის დამაკავშირებელი სიყვარულის გრძნობა.

ნეფე-დედოფალი ფოტოგრაფს ულიმოდა და მილოცვებს შეჰხაროდა.

— ამ ორთ, მგონი, მართლაც უყვართ ერთმანეთი, — თქვა მან. ნეფე-პატარძალს თვალშეჩერებულმა. — და სჯერათ, რომ თავიანთი სიყვარული სულ უფრო გაძლიერდება. მალე ესენი დედ-მამას გამოეყოფიან და თვითონ მიხედავენ თავიანთ ოჯახს, ერთად გასწევენ ცხოვრების ჭაპანს. ერთ უღელში შებმა კი აკეთილშობილებს და ღირსეულსა ხდის სიყვარულს. ნეფე ჯარში წავა თავისი ვალის მოსახდელად. პატარძალი კი შინ დატრიალდება, რაც ოჯახისთვის საჭიროა, ყველაფერს ისწავლის და კარგი დიასახლისი დადგება, რადგან პატარაობიდანვე ამზადებდნენ ამ ამბისთვის. მოსიყვარულე ცოლ-ქმარს მალე შვილებიც დაეხვევიან, და ორივენი ალალად მიიჩნევენ, რომ რაღაც ახალი შექმნეს. ერთი სიტყვით, ეს წყვილი **სამართლიან ომში** ჩაებმება. და

თუნდაც კარგა ბლომად თავსატეხიცა და თავსამტვრევიც გაუჩნდეთ, არაფერია, მაინც სვეებედნიერნი იქნებიან.

თუმცა საქმე იქნებ სულ სხვანაირადაც წარიმართოს. კაცმა ვაითუ თავი შეზღუდულად იგრძნოს, რადგან თავისი ეროსის, ანუ სხვა ქალთა მიმართ თავისი სიყვარულის გამოხატვის უფლება არ ექნებოდეს, მა კი ვაითუ დაიდარდოს, ქმრის გულისთვის ბრწყინვალე ვარიანტი დავკარგეო. მაშინ იმის მაგივრად, რომ კვლავაც ის აზრი უტრიალებდეთ, მხარიმხარმიცემულნი რაღაცას საერთოს, საზიაროს ვქმნითო, პირიქით, ერთიც გაქურდულად იგრძნობს თავს, მეორეც და დაასკვნიან, ჩვენს სიყვარულს აზრი არა აქვსო. ამ დროს ეროსი, ანუ ის მთავარი რამ, რაც ამ ორ ადამიანს აერთიანებდა, თავის მეორე მხარეს, ანუ ცუდ პირს გამოაჩენს. და ყოვლის უფრო კეთილშობილური გრძნობა, უფალმა კაცთათვის რომ განჭვრიტა, მძულვარებისა და ნგრევის წყაროდ იქცევა.

გარშემო მიმოვიხედე, და დავინახე, რომ დამსწრეთაგან ბევრი იყო **ეროსით** გადაჯაჭვული. წყლის სავარჯიშომ გულის ხმა გამომიღვიძა და ადამიანთ ახლა სულ სხვანაირად ვხედავდი. არ ვიცი, გზაში გატარებულმა მარტოობის გრძელმა დღეებმა იჩინეს თავი, თუ იქნებ, სულაც RAM ორდენის პრაქტიკა გამოვლინდა ამდაგვარად, მაგრამ ჩემთვის ცხადი გახდა, რასაც პეტრუსი აღწერდა როგორც **სიკეთის ეროსს** და **ბოროტების ეროსს.**

— ერთი რამ ფრიად საგულისყურია, — განაგრძო მან, ისევ ნეფე-დედოფალზე თვალშეჩერებულმა. — **ეროსი** — მნიშვნელობა არა აქვს კეთილია თუ ბოროტი — ყველა ადამიანს სხვადასხვა ევლინება. ეს იმის მსგავსი რამ ამბავია, რასაც წელან ვარსკვლავებზე გეუბნებოდი. **ეროსის** გვერდის ავლა არცვის არ ძალუძს. **ეროსი** სუყველას სჭირდება, თუმცა ის ხშირად გვაიძულებს, რომ თავი ამ სოფელ-ქვეყნისგან მოწყვეტილად და მარტოობის მახეში გაბმულად ვიგრძნოთ.

ორკესტრმა ვალსი დაუკრა. სტუმრები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ასფალტის პატარა მოედანზე ესტრადის წინ, სადაც ორკესტრანტები ისხდნენ. ღვინოს უკვე თავისი ექნა, ირგვლივ ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ჩემი ყურადღება ერთმა ცისფერკაბიანმა ქალიშვილმა მიიპყრო: ამ ქორწილს ის, მგონი, იმისთვის ელოდა, რა არი ცეკვის საშუალება მისცემოდა — ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ ვალსში ვისმე დაებზრიალებინა, ვის ჩასახუტებლად გამოწვდილ მკლავებსაც ჯერეთ კიდევ გოგოობისას ზმანებებში ხედავდა. ქალიშვილი თვალს არ აცილებდა მეგობარ ბიჭებში ჩამდგარ ერთი ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილ ჭაბუკს. ბიჭები რაღაცას უყვებოდნენ ერთმანეთს და ვალსის დაწყება არც შეუმჩნევიათ. არ შეუმჩნევიათ ბიჭებს აგრეთვე ის ცისფერკაბიანი ქალიშვილიც, იქვე შორიახლო რომ იდგა და იმედის თვალით უცქეროდა ერთ იმათგანს.

ჩემდა უნებურად შემომაწვა ფიქრი პატარა ქალაქების ცხოვრებაზე და ქორწინებაზე, რაზეც მავანი და მავანი ბავშვობიდანვე ოცნებობს.

ცისფერკაბიანმა ქალიშვილმა შემამჩნია, რომ ვუთვალთვალებდი და თავის დაქალთ მიაშურა. როგორც კი ის გაუჩინარდა, იმისგან თვალდადგმულმა ჭაბუკმა უმალ ძებნა დაუწყო, ხან საით, ხან საით. მაგრამ დარწმუნდა თუ არა, თავის დაქალებშიაო, ისევ შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდა.

პეტრუსს ორივენი დავანახვე. იმანაც ცოტა ხანს უყურა, როგორ აპარებდნენ ისინი თვალს ერთმანეთისკენ, მერე ის-ის იყო გვერდზე გადადგმული ღვინიანი სასმისი პირთან მიიტანა და თქვა:

— ეგენი ისე იქცევიან, თითქოს თავიანთი სიყვარულისა რცხვენიათო.

ვიღაც გოგონა, ჩვენ გვერდით რომ იჯდა, ერთობ თვალებდაჭყეტილი გვიყურებდა მე და პეტრუსს. ის დაახლოებით ორჯერ ახალგაზრდა იყო ჩვენზე. პეტრუსმა სასმისი ასწია, ვითომ იმის სადღეგრძელოსა სვამდა. გოგონამ შეცბუნებულმა გაიცინა, მერე იქვე ახლოს მსხდომი მშობლებისკენ გაიშვირა ხელი, როგორც ჩანს, გვანიშნა, არ შემიძლია, ვერ მოვალ თქვენთანო.

— ეს უკვე ლამაზი მხარეა სიყვარულისა, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა. — ტრფიალია ორი უცხოტომელის მიმართ, საიდანღაც რომ მოსულან, ხვალ კი ისევ განაგრძობენ გზას იმ თვალგადაუწვდენელ სოფელ-ქვეყანაში, სადაც მოხვედრას იქნებ ოცნებობდეს კიდეც ეგ სახემცინარი ცირა.

ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ ღვინოს პეტრუსიც შეექეიფიანებინა.

— დღეს უნდა სიყვარულზე ვილაპარაკოთ! — შესძახა ჩემმა მეგზურმა იმაზე უფრო ხმამაღლა, ვიდრე საჭირო იყო. — მოდი და ნამდვილ სიყვარულზე ვილაპარაკოთ, იმ სიყვარულზე, რომელსაც უჭირავს ეს ქვეყნიერება, და რომელიც ჭეშმარიტად აბრძენებს ადამიანთ!

ერთ კარგად ჩაცმულ ქალს, ჩვენ გვერდით რომ მიმოდიოდა, თითქოს აინუნშიც არ მოსდიოდა ეს ბედნიერი დღე, ხან ერთ მაგიდასთან მიდიოდა, ხან მეორესთან და ჭიქებს, ჭურჭელს, სუფრის იარაღს ასწორებდა, აწესრიგებდა, რაც თავითავს არ იყო მოყვანილი.

— ხედავ ემაგ ქალს? — დამეკითხა პეტრუსი, — სუფრის იარაღს თავის ადგილს რომ უჩენს? როგორც გითხარი, **ეროსს** მრავალი სახე აქვს, და ეგ ერთ-ერთია. აგრე გამოიყურება უბედური სიყვარულის, ანუ იმედგაცრუებისა თუ გულგატეხილობის ერთი ვარიანტთაგანი. ეგ ქალი, რასაკვირველია, ნეფესაც აკოცებს და პატარძალსაც, ოღონდ გულში ღრმად არის დარწმუნებული, რომ ქორწინება ყულფში თავის გაყოფაა. ხომ ხედავ, როგორ აწესრიგებს გარშემო ყველაფერს, ხელშეუხებელი არცრა დარჩა მაგიდებზე, და ამას იმიტომ სჩადის, რაკი ჩილიც, — ისე გამოიყურება საყოველთაოდ მიღებული **ეროსი.** ეს საერთ-ერთ ცოლ-ქმარზე მიმანიშნა: ქმარი განსაკუთრებულად არცრით გამოირჩეოდა, ხოლო ცოლი ზომაზე მეტად იყო შელებილიცა და გაჩეჩილიც, — ისე გამოიყურება საყოველთაოდ მიღებული **ეროსი.** ეს საზოგადოებრივი პირობითობისთვის გადახდილი ხარკია, რომელშიც ვნების ნატამალიც არ ურევია. აგრეა, როცა ცოლი თავის როლს კისრუ-

ლობს, გარესკნელთან, ანუ გარესამყაროსთან ყოველგვარ კავშირს წყვეტს და უარს ამბობს **სამართლიან ომზე.**

— შენს მსჯელობაში, პეტრუს, რაღაც ბევრი სიმწარეა. ნუთუ ამ-ათგან აღარავის შველა აღარ შეიძლება?

— რასაკვირველია, შეიძლება. იმ ცირას, ჩვენ რომ [illegible] ვეი-პრაწავდა ანდა ახალგაზრდებს, რომლებიც ცეკვავდნენ, [illegible] გაეგებათ, რა არის **სიკეთის ეროსი.** და თუკი თვალთმაქცურად არ მო-იქცევიან სიყვარულის მიმართ, როგორც უფროსი თაობა იქცეოდა და სცოდავდა, სულ სხვანაირი გახდება ჩვენი წუთისოფელი.

მან ხნიერი წყვილი დამანახვა, ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომარე.

— ეგენი სხვათ არა ჰგვანან. მაგათ არც ყალბობისა ეტყობათ რა-მე, არც სიმრუდისა. გლეხები ჩანან. შიმშილი თუ გაჭირვება მუდამ იძულებულსა ხდიდა, რომ ერთმანეთის მხარდამხარ ეშრომათ. მაგათ იგივე აქვთ ნასწავლი, რასაც შენ ახლა სწავლობ როგორც RAM ორ-დენის პრაქტიკულ გამოცდილებას, თუმცაღა გაგონილიც კი არა აქვთ ამ ორდენის ამბავი. რადგან ეს ქვეყანა ოდენ საგარჯილოდ უჩანთ, ეგენი სიყვარულს თავიანთი გარჯიდან და შრომიდან ხაპავენ, შრომა-გარჯაში იხვეჭენ სიყვარულისთვის საჭირო ძალას. ამ შემთხვევაში **ეროსი** თავის ყველაზე უფრო მშვენიერ სახეს აჩენს, რამეთუ **ფილოსს** ერწყმის.

— ეგ რაღაა?

— რაღაა და სიყვარულია, რომელიც მეგობრობის სახეს იძენს. ეს იგივეა, რასაც მე განვიცდი შენ მიმართ და ბევრი სხვა ადამიანის მიმა-რთაც. როცა **ეროსის** ცეცხლი აღარ გიზგიზებს, ქორწინებას ნგრევის-გან **ფილოსი** იცავს.

— აბა, აგაპე?

— მაგაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. **აგაპე** სიყვარულის ორსავე სხვა ფორმაშია — **ეროსშიც, ფილოსშიც,** — ოღონდ შენთვის ეს ჯერჯერო-ბით მხოლოდ სიტყვებია. წამო, ჩვენც საერთო ლხინს შევუერთდეთ, აგრე აჯობებს. ხოლო ყოვლისმომცველ სიყვარულზე მოდი, ნუ ვილა-პარაკებთ.

და პეტრუსმა კიდევ დაისხა ღვინო.

მოედანზე გამეფებული საზეიმო განწყობილება გადამდები გა-მოდგა. პეტრუსი კარგა გვარიანად შეთვრა, და პირველად, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ ერთხელ უკვე ამიხსნა, — RAM ორდენის პრაქტიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ იმის ძალა ჩვეულებრივ ადამიანთ შესწევთო.

და ამ საღამოს პეტრუსი ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ადამიანად მეჩვენებოდა, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა იმათგან, ვინც გარს გვეხვია. ყველას ეფერებოდა, ესიყვარულებოდა, ყველას მხარზე ურტყამდა ხელს და ყველას ებაასებოდა, ვისაც კი იმასთან ლაპარაკი ეწადა. ცოტა უფრო გვიან ისე დათვრა, მხარში შევუდექი და ბორძიკ-ბორძიკ ძლივს მივიყვანე სასტუმროში.

სასტუმრომდე დიდი გზა არა გვქონდა გასავლელი, მაგრამ მაინც მოვასწარი შექმნილი ვითარების გააზრება. ჩემი მთვრალი მეგზურის მხარდაყრდნობილი უცებ მივხვდი: მთელი ჩვენი მოგზაურობის მანძი-

ლზე პეტრუსს ერთხელაც კი ოდნავადაც არ უცდია, რომ ჩემზე უფრო აღმატებული, უფრო ბრძენი და უცოდველი გამოჩენილიყო. ის მხოლოდ RAM ორდენის პრაქტიკით შეძენილ თავის გამოცდილებას მიზიარებდა. ოღონდ ამასთანავე მუდამ ხაზს უსვამდა, მე ისევთავე ვარ, როგორიც სუყველაა, ვინც **ეროსიც** უწყის, **ფილოსიც** და **ავავეცლ**

და ამ ამბავმა ძალა გამიათკეცა.

სანტიაგოს გზა ჩვეულებრივ ადამიანთ ეკუთვნით.

ალმაფრენა

„უკეთუ ადამიანთა და ანგელოზთა ენით ვლაპარაკობ... წინასწარმეტყველების ნიჭიც რომ მქონდეს... სრული რწმენაც რომ მქონდეს, ხოლო სიყვარული არა მქონდეს, არარაობა ვიქნებოდი“.

პეტრუსი კვლავ იშველიებდა წმ. პავლეს, რომელიც, როგორც ის ფიქრობდა, ყოვლის უკეთესად გადასცემდა ხალხს ქრისტეს სიტყვებს. მთელი დილა წინ ვიარეთ, ხოლო სადილთუკან მდინარის პირას სათევზაოდ მოვეწყვეთ. ანკესს ერთი თევზი არ გაჰკარებია, მაგრამ პეტრუსს ეს სულაც არ ანაღვლებდა. რადგორც ის ამბობდა, თევზაობა ადამიანისა და სოფელ-ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი სიმბოლოა: რისი მიღწევაც გვინდა, ვიცით, და თუკი საჭირო შეუპოვრობას გამოვიჩენთ, მივაღწევთ კიდეც ჩვენსას, ოღონდ მიზნამდე როდის მივალთ — ეს უკვე ღვთის წყალობაზე ჰკიდია.

— სანამ რაღაცას მნიშვნელოვანს გადავწყვეტდეთ, სასარგებლოა რისამე აუჩქარებელ ჭვრეტას მივცეთ თავი. — თქვა პეტრუსმა. — ბუდას მიმდევარნი ბერნი მიყურადებულნი არიან, როგორ იზრდებიან მთები, მე კი თევზაობას ვამჯობინებ.

მაგრამ ამგვარ პაპანაქებაში წითელ მცონარ თევზთ, თითქმის წყლის ზედაპირზე რომ დაცურავდნენ, სატყუარას გადაყლაპვა არ სურდათ. ადგილის გამოცვლა საქმეს არა შველოდა. ამიტომაც იქვე ახლოს გასეირნება ვარჩიე. და ძველი გაფერანებული სასაფლაოს ალაყაფის კარებამდე მივედი ზედ მდინარესთან — ეს ალაყაფის კარები წარმოუდგენლად დეფერხინა იყო, დიდი და სრულებით არ შეეფერებოდა იმ ერთ მტკაველ მიწას, ფავნისად, ანუ სასაფლაოდ რომ გამოეყოთ, — მერე კი ისევ პეტრუსთან მივბრუნდი, რომელიც კვლავ ანკესმოვარგებული იჯდა. და შეეკითხე, იცოდა თუ არა რამე ამ ფავნის-სასაფლაოს შესახებ.

— ეგ ძველად პილიგრიმთა სასნეულოს ალაყაფის კარები იყო, — მიპასუხა მან. — ის სასნეულო დიდი ხანია, რაც დაიკეტა, მერე კი ვილაცას აზრად მოუვიდა მაგ კარების ჭიშკრად გამოყენება, ხოლო ჭიშკრის უკან სასაფლაოს მოწყობა.

— რომელიც იმ სასნეულოსავით გავერანდა.

— რას იზამ, ამქვეყნად ყოველივე ხანმოკლეა.

როცა ვუამბე, რა საზიზღრადაც იქცეოდა გუშინ ქორწილში, როგორ ძრახავდა და კილავდა სუყველა იქ დამსწრე სტუმარს, პეტრესი განცვიფრდა. მან დარწმუნება დამიწყო, რასაც გუშინ ვამბობდი, ეს ეცრა იმაზე მეტია და არცრა იმაზე ნაკლები, ცხოვრებაში მე და მენ რაც განგვიცდიაო. ყველანი **ეროსს** დავეძებთ, და მერე, როცა **ეროსი ფილოსად** იქცევა, გვგონია, სიყვარული მოკვდაო. არ გვესმის, რომ სწორედაც ფილოსს ძალუძს სიყვარულის უმაღლეს ფორმასთან — **აგაპესთან** ჩვენი მიყვანა.

მიამბე მაგ **აგაპეზე** რამე-მეთქი, ვთხოვე.

პეტრუსმა, **აგაპეზე** ლაპარაკს აზრი არა აქვს, თავად უნდა განიცადოო, მომიგო პასუხად. და დღეს, თუ მოხერხდა, შეეცდები, რომ **აგაპეს** ერთ-ერთი რომელიმე მხარე გიჩვენოო. ოღონდ იმისათვის, რათა ეს მოხერხდეს, ჩვენი გარემომცველი ცამყარი — როგორც რომ თევზაობისასაც — ჩვენს მხარეზე უნდა იყოს, რა არი წაგვეშველოს სასურველის მიღწევაშიო.

— მაცნე-მაუწყებელი გშველის, ხელს გიმართავს, მაგრამ არის ისეთი რამ, რაც მაცნე-მაუწყებლის ძალის საზღვრებს გარეთაც არის, შენი ნება-სურვილის ძალისაც და თვითონ შენისაც.

— რა არის მაგისთანა?

— რა არის და, ღვთიური ნაპერწკალი. რომლის მადლითაც წარემატება ადამიანი.

როცა მზემ ცოტა შეასუსტა თავისი აუტანელი მცხუნარება, კვლავ სანტიაგოს გზას დავუბრუნდით. იმჟამად სრულიად უკაცრიელი, ის მინდვრებსა და ვენახებზე გადიოდა. მალე გზატკეცილი გადავჭერით — ისიც სრულიად უდაბური — და ისევ ტყე-ტყე წავედით. შორს სან-ლორენსის მთის, კასტილიის სამეფოს ყველაზე მაღალი წერტილის, მწვერვალი მოჩანდა. მე ძალიან გამოვიცვალე იმის მერე, რაც პეტრუსს პირველად სენ-ჟან-პიე-დე პორში შევხვდი. ბრაზილია და ყველა ჩემი წამოწყებული და შუაგზაზე მიტოვებული საქმე, ადრე აგრერიგად რომ მაღელვებდა, აწ სულ გადამავიწყდა. ერთადერთი, რაც ცოცხალი რჩებოდა, ჩემი მიზანი იყო, და ყოველდამ ხანგრძლივ ველაპარაკებოდი ასტრაინს, რომელიც სულ უფრო საცნაური და ახლობელი მიხდებოდა.

ვხედავდი, როგორ გამუდმებით მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით, და შევამჩნიე, რომ მარჯვენა თვალი ნერვიულად უთამაშებდა, ხოლო თუ ჩემს მოსაზრებას რასმე ან ვარაუდს ვიმეორებდი, რათა დავრწმუნებულიყავი, გავაგებინე-მეთქი, ბაგეზე დამცინაცი ღიმილი უჩნდებოდა. ჯერეთ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ — ლოცვადმავლობის დასაწყისში — სერიოზულად ვშიშობდი, რომ გზის ბოლომდე მისვლას ვერ შევძლებდი. იმ დღეს, როცა გზად რონსევალს გავდიოდით, ყოველივე სამომავლო რამ საშინელ სევდასა მგვრიდა, და დაუყოვნებლივ სანტიაგოში მოხვედრა მინდოდა, კვალად ჩემი მახვილის ხელში ჩაგდების ჟინი მკლავდა და ერთი სული მქონდა, მალე ჩაებმულიყავი იმ ბრძოლაში, რომელსაც პეტრუსი **„სამართლიან ომს“** ეძახდა. აწ კი ცივილიზაციის სუყოველი სიკეთე, რომელთა განშორებაც ეგზომ ძნელი

იყო, გულიდან გადამვარდნოდა. და ამწუთას შეყოლიებული ვყავდი მხოლოდ ჩემ ზემოთ მობდღვრიალე ცხრათვალა მზეს და აგაპეს შეცნობის მძაფრ წადილს.

ძალე ღელე-ხევში დავეშვით, ღელეს გადავედით და რის ცაივაგლახით ავიარე ციცაბო ნაპირი. აქ ადრე, ალბათ, ფრიალდეფ... დიოდა წყალუხვი ბობოქარი მდინარე, ავად რომ ბურღავდა... ღრმად ჩამარხულ ათასნაირ წიაღისეულ საიდუმლოთა ძებნაში. აწ კი ის მდინარე ღელედ ქცეულიყო, რომლის გადავლაც სულ ადვილად შეიძლებოდა თავთხელში. მაგრამ იმისგან გათხრილი ღრმა კანიონი — წყლის მთავარი ნაჯაფარ-ნამუშაკევი — შემორჩა, ასე რომ მოპირდაპირე ნაპირზე ასვლა სულაც არ იყო იოლი. სწორად ბრძანა პეტრუსმა ამ რამდენიმე საათის წინათ: „ამქვეყნად ყოველივე ხანმოკლეაო“.

— პეტრუს, ოდესმე თუ გყვარებია ვინმე?

ეს კითხვა თითქოს თავისით მომწყდა ბაგეთაგან, და მევე გამიკვირდა ჩემი სითამამე. ამ წუთამდე თითქმის არც არაფერი არ ვიცოდი ჩემი მეგზურის პირადი ცხოვრების შესახებ.

— თუ ქალებზე მეკითხები, ისინი ბევრნი მყავდნენ. სუყველა ნამდვილად მიყვარდა. ოღონდ **აგაპეს** შეცნობა მარტო ორთან მეწერა.

პასუხად მე ჩემი ამბავი მოვაყოლე. ისე ხშირად ვმიჯნურდებოდი, მეშინოდა, ვაითუ არჩევანი ვერავისზე ვერ შევაჩერო-მეთქი, ვუთხარი. და თუკი კვლავაც ასეთნაირად გაგრძელდა, მარტოსული სიბერე მელოდება, რაც ძალიან მაშინებს-მეთქი.

— მომავლელ ქალს დაიჭერ ვისმე, — გაიცინა პეტრუსმა. — თუმცა არა მჯერა, რომ სიყვარული წყნარი სავანე იქნება შენთვის სიცოცხლის ბოლოს.

შებინდება დაახლოებით ცხრა საათზე დაიწყო. ვენახები უკან დარჩა, და თითქმის უდაბურ ადგილს მივდევდით. გარეშემო მიმოვიხედე და შორს კლდეებს შუა ერთ პატარა სავანეს ვკარი თვალი, რომლის მსგავსიც ბევრი გვხვდებოდა გზაში. ცოტა კიდევ ვიარეთ, მერე ყვითლად დათარჯულ მარშრუტს გადავუხვიეთ და ქოხს რასმე მივუახლოვდით.

ზედ რომ მივადექით, პეტრუსმა რალაც სახელი დაიძახა — ვერ გავარჩიე, რა სახელი, — და შედგა მიყურადებული. პასუხი არცვის არ გაუცია. პეტრუსმა კვლავ დაუძახა, და კვლავაც არავინ არ გამოხმაურებია.

— კარგი, მაინც შევიდეთ, — გადაწყვიტა მან. და შევედით.

ოთხი შეთეთრებული კედელი. ღია კარი — უფრო სწორად, კარი საერთოდ არ ება, შესასვლელს ერთ ანჯამაზე ჩამოკონწიალებული ნახევარმეტრიანი ფიცარი ჰქონდა აფარებული. შიგ პირველად ყვერბი მოგვხვდა თვალში, საცეცხლური, ძირს, სოხანეზე, რამდენიმე ჯამი ეწყო. ერთ-ერთში ხორბალი ეყარა, მეორეში — კარტოფილი.

უჩუმრად დავსხედით. პეტრუსმა გააბოლა და, უნდა დავუცადოთო, თქვა. დაღლილობისგან ფეხებს ველარ ვგრძნობდი, რაკი დავჯექი,

ადგომა ალარ მინდოდა, მაგრამ რაღაც მაფორიაქებდა ამ ქოხში, მოუსვენრად ვიყავი. გვერდით პეტრუსი რომ არ მყოლოდა, ეს მოუსვენრობა უთუოდ შიშად გადამექცეოდა.

— ვინც აქა ცხოვრობს, ძილით სადღა სძინავს? — ისე, ხიტყვაპე ვიკითხე.

— მანდ, სადაც შენა ზიხარ, — მიპასუხა პეტრუსმა და ... მიმითითა.

გადაჯდომა დავაპირე, მაგრამ მან არ დამანება. არ გადაჯდეო, მიბრძანასავით. გარეთ, ალბათ, სუსხმა იმატა, რადგან სიცივემ ამიტანა.

თითქმის მთელი ერთი საათი ვიცადეთ. პეტრუსმა კიდევ ორჯერ გასძახა ვილაცას, შემდეგ კი გაჩუმდა. ის იყო გავიფიქრე, ახლა კი ჩვენს გზას გავუდგებით-მეთქი, რომ პეტრუსი მოულოდნელად აძრახდა:

— აქ **აგაპეს** ორი გამოვლინებიდან ერთ-ერთია, — მაუწყა მან და მესამე სიგარეტის ნამწვი ჩააქრო. — არა ერთადერთი, ოღონდ ყოვლის უფრო ხალასი. **აგაპე** არის სრულქმნილი სიყვარული, ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც სულ ერთიანად ნთქავს იმ ადამიანს, ვისაც ჩაუსახლდება. ვინც **აგაპე** შეიცნო, ის ხედავს, რომ ამქვეყნად, სიყვარულის გარდა, არცრას მნიშვნელობა არა აქვს. ამდაგვარ სიყვარულს განიცდიდა ქრისტე ადამიანთა მიმართ, და იმისი სიყვარული იმზომ ძლიერი იყო, რომ საწუთრო წალმა შეატრიალა, ისტორიის ჩარხის ბრუნვა შეცვალა. მან თავისი განდგომილობით ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც მბრძანებელთა ამა სოფლისათა მთელი თავიანთი სპა-ჯარებიანად ვერ შეიძლეს.

ცივილიზაციის ათასწლოვანი ისტორიის სიგრძეზე ბევრ ადამიანს მოუხდა ყოვლისმომცველი სიყვარულის შეცნობა. და ისინი სოფელ-ქვეყნისთვის იმზომ ბევრის მიცემას ეპირებოდნენ, — სოფელ-ქვეყანა კი ძალიან ცოტას ითხოვდა, — რომ ჩვეულებრივ მიდიოდნენ უდაბნოებსა და სადმე განმარტოებულ სავანეებში, რადგან სიყვარული, რომელსაც ისინი განიცდიდნენ, სუყველას ცვლიდა, ასხვაფერებდა, ისინი წმინდა განდეგილნი ხდებოდნენ, რომელთა სახელები დღესაც ვუწყით.

მე და შენ, სულ სხვაგვარი აგაპეს მიმყოლთ, იმ ადამიანთა მკაცრი, დუხჭირი ცხოვრება იქნებ შემზარავადაც მოგვეჩვენოს. მაგრამ ყოვლისმომცველი სიყვარულით შეპყრობილთათვის ყოველივე დანარჩენი — აბსოლუტურად ყოველივე — სავსებით კარგავს თავის მნიშვნელობას. ეს ადამიანები მარტო ამ სიყვარულის გულისთვისღა ცოცხლობენ.

პეტრუსმა მიამბო, რომ ამ ქოხში ცხოვრობდა ვინმე ბერი, სახელად ალფონსო, რომელსაც კომპოსტელაში თავისი პირველი ლოცვადმავლობის დროს შეხვედროდა, როცა ის თურმე ახლომახლოში საზრდოდ კენკრასა და ხიჩატელს რასმე აგროვებდა. ჩემი მეგზური, რომელიც ჩემზე ბევრად განათლებული კაცი იყო, მიყვებოდა პეტრუსი, ალფონსოს მეგობარი გამოდგაო, ასე რომ სამივემ ერთად შევასრულეთ **რიტუალი აგაპე,** ანუ **ცისფერი სფეროო.** ასეთი მართლაც

საოცარი რამ შთაბეჭდილება ჩემს ცხოვრებაში არცრას მოუხდენიაო, აღიარა პეტრუსმა. ის კი არა, ახლაც რომ ვასრულებ ამ სავარჯიშოს, ეს ქოხი და თვითონ ალფონსო რომ არ წარმომიდგეს, არ შეიძლებაო. არასოდეს ადრე არა მსმენია, რომ პეტრუსს ასეთ მღელვარედ და გზნებით ელაპარაკოს.

— **აგაპე** ყოვლისმომცველი სიყვარულია, — ერთხელ გაიმეორა მან, თითქოს ამ ფრაზამ ყველაზე უკეთესად განსაზღვრა სიყვარულის ეს უჩვეულო ნაირსახეობა, — მარტინ ლუთერ კინგმა ერთხელ როგორლაც შენიშნა, როცა ქრისტე ამბობდა, გიყვარდეს მტერი შენიო, მხედველობაში **აგაპე** ჰქონდაო. იმიტომ რომ „შეუძლებელია შენი მტრის სიყვარული, ვინც შენი ბოროტმოხარულია, ვინც სულ იმის ცდაშია, რომ ჩვენი ისედაც არცთუ იოლი ცხოვრება სრულიად გაუსაძლისი გახადოს“, მაგრამ **აგაპე** ბევრად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი აზრით გაგებული სიყვარული, რომელიც ვინმესადმი შინაგან სწრაფვას ან ლტოლვას გულისხმობს. ამ გრძნობის წყალობით, სულ ერთიანად რომ გვიპყრობს და არცრა თავისუფალ უჯრედს წამლადაც არ გვიტოვებს, უმალ იცარება აგრესიის ყოველგვარი საცადელი.

შენ უკვე ისწავლე საკუთარი თავის აღორძინება, შენი თავის მიმართ სისასტიკის უარყოფა, შენს მაცნე-მაუწყებელთან ურთიერთობა. მაგრამ რასაც ახლა აკეთებ, და ისიც, რასაც სანტიაგოს გზის გავლის შემდეგ მიაღწევ, აზრს მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუ იმ ყველაფერს ყოვლისმომცველი სიყვარული გააცისკროვნებს.

შენ აგაპეს ორ იპოსტასზე ლაპარაკობდი-მეთქი, შევახსენე პეტრუსს. და რახან განდეგილი არა ხარ, როგორც ჩანს, რაც პირველ ფორმას იყენებ-მეთქი.

— ბატონი ბრძანდები. შენცა და მეც, და იმ ხალხის უმრავლესობა, ვინც სანტიაგოს გზას ადგას და RAM ორდენის პრაქტიკას სწავლობს, აგაპეს სხვაგვარად განვიცდით — ის აღმაფრენად, ანუ შთაგონებულად გვევლინება.

ძველად ამ შთაგონებას ტრანსის, ანუ ექსტაზის — ღმერთთან კავშირის სახე ჰქონდა. აღმაფრენა ის აგაპეა, რომელიც მიმართულია რაღაც ნივთიერისა თუ გონების თვალით განჭვრეტილისკენ. ეს ყველას გამოვლილი გვაქვს. როს ვინმე გვიყვარს ან რაღაცა მთელი სულითა და გულით გვწამს, თავს წუთისოფლის ბორბალზე უფრო ძლიერად ვგრძნობთ და გასაოცრად გულდაჯერებულნი ვხდებით, რაც იმის შეგნებიდან გამომდინარეობს, რომ ვერცვინ რწმენას ვერ შეგვირყევს. ეს უჩვეულო ძალა ბევრს რასმე დროულად და მართებულად გვაწყვეტინებს, და უკვე მიზანმიღწეულთ ხან თავად გვიკვირს, რაც შევძელით და გავახერხეთ. შეძლებით კი იმიტომ შევძელით, რომ როცა **სამართლიან ომს** ეწევი, არცრა დანარჩენს მნიშვნელობა აღარა აქვს, და აღმაფრენის ტალღა ჩვენი მიზნისკენ მიგვაქანებს.

აღმაფრენა მთელი თავისი ძალმოსილებით ჩვეულებრივ ჩვენი ცხოვრების პირველ წლებში ვლინდება. იმხანად ჯერ კიდევ **ფუფალად** სახელდებული ზეციერის ხმა გვესმის და თამაში ისე გვიტაცებს, რომ თოჯინები ცოცხლდებიან, ხოლო კალის ჯარისკაცუნები ნამდვილ ჯა-

რისკაცთ არ ჩამოუვარდებიან. ქრისტე რომ ამბობდა, **სასუფეველი** ცათა შინა ყმაწვილთ ეკუთვნითო, აღმაფრენად გამოვლენილი აგაპე ჰქონდა მხედველობაში. ყმაწვილთ აინუნშიც არ მოსდიოდათ არც სასწაულნი, რომელთაც ის ახდენდა, არც იმის სიბრძნე, არც ფარისეველნი, არც მოციქულნი. ყმაწვილნი თამაშ-თამაშ აღმაფრენიდან ქრისტესთან.

პეტრუსს გულახდილად გავუზიარე, რაც მხოლოდ დღეს გახდა ჩემთვის ცხადი: სანტიაგოს გზამ სულ ერთიანად შემიპყრო. ესპანეთის ცის ქვეშ პეტრუსთან ერთად გატარებულმა დღეებმა და ღამეებმა თითქმის გადამავიწყეს მახვილი, რომელსაც დავეძებდი, და ისინი მექცნენ ღირებულ და თავისებურად ერთადერთ შთაბეჭდილებად. ყოველივე დანარჩენმა კი თავისი წინანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

— აგერ დღეს მე და შენ თევზაობა გვინდოდა, თევზი კი ანკესს არ მოჰყვა, — განაგრძო პეტრუსმა. — ჩვენი აღმაფრენა ჩვეულებრივ ამდაგვარ წვრილმან და ნაკლებმნიშვნელოვან უსიამოვნებათა მსხვერპლი ხდება, რომელი უსიამოვნებანიც არცრა სახსენებელია სიცოცხლის სიდიადესთან შედარებით. აღმაფრენას ხშირად სულ უმნიშვნელო რამ მარცხი ან ის ხელის მოცარვა გვაკარგვინებს, რაც გარდაუვალია **სამართლიან ომში.** და რადგან ვერ გაგვიგია, თუ რაზომ დიდია აღმაფრენის ძალა, რომელსაც გამარჯვებისკენ მივყავართ, ამიტომაც არცთუ იშვიათად ხელიდან ვუშვებთ, შეველევით ხოლმე და, ის კი არა, ვერც ვამჩნევთ, რომ იმასთან ერთად ხელიდან გვისხლტება ცხოვრების ჭეშმარიტი აზრიც. მერე კი ვდგავართ და ლამის მთელ ქვეყნიერებას დავაბრალოთ ჩვენი ნაღვლიანობაცა და მოწყენილობაც, ჩვენი მარცხიცა და ზიანიც. არადა არ გვინდა იმის გაგება რომ ჩვენივე მიზეზით დავკარგეთ ეს აღმაფრენად გამოვლენილი მომსვრელ-გამაცამტვერებელი და ყოვლისგამამართლებელი ძალა — **აგაპე.**

ანაზდად მდინარის პირას მიგდებული სასაფლაო გამახსენდა. უაზროდ დეევერხინა, დიდი ალაყაფი დაკარგული აზრის სრული განსახიერება იყო. იმ ალაყაფის უკან მხოლოდ მკვდრები დარჩენილიყვნენ.

პეტრუსი თითქოს მიმიხვდა მიმოგონებას, რაღაც მსგავს ამბავზე ალაპარაკდა.

— იმ დღეს, ალბათ, ძალიან გაგიკვირდა, ოფიციანტს რომ ვეცი, რომელმაც ყავა გადამასხა შორტზე. მართალი გითხრა, ჩემი ჭუჭყიანი საგზაო შარვლის დარდი სულაც არა მქონია, უფრო იმ ბიჭის მდგომარეობამ შემაწუხა, — თვალებზე შევატყვე, რომ აღმაფრენა, როგორც გადაჭრილი ვენიდან სისხლი, ისე გადმოსდიოდა. სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე ჭაბუკი ჩემ თვალწინ ნელ-ნელა გვამი ხდებოდა, ცხედარი, რადგან **აგაპეს** ძალას კარგავდა. ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს და ბევრ რამესთან შეგუებას მივეჩვიე... მაგრამ შეხედულებამაც და საქციელმაც იმ ბიჭისამ, რომელსაც ამქვეყნად არცთუ ცოტა სიკეთის ქმნა შეეძლო, მომშალა და თავზარი დამცა. ოღონდ ვიცი, რომ ჩემმა გულისწყრომამ გულში გადარჩენილი ნაპერწკალი გამოულვიძა და შეუჩერა, თუნდაც მცირე ხნით, **აგაპეს** სიკვდილი.

შენ რაც გეხება, უნდა იცოდე, — როცა ეშმაკის განდევნა შეი-

ძელი, რომელიც ნაგაზად მოგევლინა, აგაპე ყველაზე უფრო ხალასი სახით განიცადე. მართლაც ვაქკაცურად მოიქეცი, და ვამაყობ, რომ შენი ყოლაუზი ვარ, მეგზური. ამიტომაც, რაც ამ გზას ფავადექი, პირველად შევასრულებ შენთან ერთად მომდევნო საგარჯიშოს.

და შემდეგ პეტრუსმა **აგაპეს რიტუალი — ცისფერი სფეროს საგარჯიშო** შემასწავლა.

— წაგეხმარები, აღმაფრენას გამოგაღვიძებენ და ძალთან შევქმნი ძალას, რომელიც ცისფერი სფეროს სახით მთელ დედამიწას მოიცავს, — მითხრა მან. — რითაც დაგიმტკიცებ, თუ რა დიდი პატივისცემის გრძნობით ვარ გამსჭვალული როგორც შენი პიროვნების, ისე შენი ძებნა-ძიების მიმართ.

აქამდე პეტრუსს არანაირად — არც ცუდად, არც კარგად — არ გამოუთქვამს თავისი აზრი, როგორ ვასრულებდი სავარჯიშოებს. მან დამამყარებინა პირველი კავშირი ჩემს მაცნე-მაუწყებელთან და დროულად გამომიყვანა ტრანსიდან, როდესაც სავარჯიშო — „მარცვალს" ვასრულებდი, მაგრამ არცერთხელ არ გამოუხატავს თავისი რამენაირი დამოკიდებულება ჩემი რომელიმე წარმატებისა თუ მიღწევის მიმართ. ვინ იცის, რამდენჯერ ვუთხარი, რატომ არ მეკითხები, როგორ ვმეცადინეობ, რას ვაკეთებ-მეთქი, ის კი მუდამ ერთსა და იმავეს მეუბნებოდა, როგორც შენს მეგზურსა და ეტიკს, ერთადერთ მოვალეობად მაკისრია, რომ ამ გზით გატარო და RAM ორდენის პრაქტიკა შეგასწავლოო. ხოლო მიხარია თუ არ მიხარია, როცა წარემატები ხოლმე, ან მწყინს თუ არა მწყინს, როცა რასმე თავს ვერ ადგამო, ეგ ჩემი პირადი საქმეაო.

და ამიტომ რახან მითხრა, მომდევნო სავარჯიშოს შენთან ერთად მეც შევასრულებო, უცებ თავში დამკრა, ეტყობა, პეტრუსი ჩემით მთლად გულსავსედ ვერ არის-მეთქი. ყველაზე კარგად, რასაკვირველია, მე თავად ვიცოდი, რაშიც სუსტი ვიყავი და ხშირად ვეჭვობდი, ვაითუ სანტიაგოს გზა ბოლომდე ვერც გამატაროს-მეთქი. ერთი დაპირება დავაპირე, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ მეთქვა, მაგრამ სიტყვა შუაზე გამაწყვეტინა.

— ნუ იქნები სასტიკი შენი თავის მიმართ, თორემ ისე გამოვა, რომ წინა გაკვეთილები არ აგითვისებია. კეთილად მოექეცი საკუთარ თავს, დაიჯერე, რომ დაიმსახურე და მაღალი შეფასების ღირსი ხარ.

„ცისფერი სფეროს" სავარჯიშო

მოხერხებულად მოეწყე და მოდუნდი. არავითარი ფიქრი, ნურაფერზე ნუ იფიქრებ.

1. შეიგრძნე, რა სასიხარულო ამბავია, ცოცხალი რომ ხარ. გული მოსიყვარულე და ლაღი იქონიე, აპყე შენს გულს და თავი მეცხრე ცაზე მოაქცევინე, სადაც ყოველდღიური ცხოვრების პატარ-პატარა პრობლე-

მები უმნიშვნელონი და არაფრის მთქმელნი ჩანან. შენი ბავშვობის დროინდელი რომელიმე სიმღერა გაიხსენე და წაიღიღინე. წარმოიდგინე, რომ გული გიდიდდება, გეზრდება და თანდათან ჯერ მთელ ოთახს, მერე კი მთელ სახლსაც, სადაც ბინა დაგიდვია, — კაშკაშა ცისფერი ნათლით ავსებს.

2. ამ წუთამდე რომ მიხვალ, იგრძნე შენ გვერდიფ[illegible] ყოფნა (ანგელოზთა ან სხვა არსებათა), რომელნიც გწამდნენ შენს ბავშვობაში. ეცადე, რომ დაინახო, როგორ გიახლოვდებიან ისინი ყოველი მხრიდან, გიღიმიან, რწმენასა და ნდობას გიმტკიცებენ.

3. შემდეგ წარმოიდგინე, როგორ მოგადგნენ ზედ ისინი, სუყველა თავზე ხელს გადებს და ერთპირ გისურვებენ სიყვარულს, მშვიდობას, სრულიად სოფელ-ქვეყანასთან თანაზიარობას — ეს წმინდანთა ზიარებაა, შვიდთა საიდუმლოთავანი.

4. ეს შეგრძნება როს გაგიმძაფრდება, წარმოიდგინე, რომ შენი წიალ-გვამის გავლით, როგორც მოციაგე მდინარე, დის ცისფერი ნათლის ღვარი. ეს ნათელი მთელ შენს სახლს მოედება, მერე გარემო სახლებს, მთელ ქალაქს, სრულიად ქვეყანას. დაბოლოს, უზარმაზარ ცისფერ სფეროდ გადაიქცევა, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოიცავს. ეს დიდი სიყვარულის გამოვლინებაა, რაც შენი ყოველდღიური ცხოვრების საზღვართ გადადის, სულს გიმხნევებს და ძალ-ღონეს გმატებს, ენერგიით გმუხტავს და გამშვიდებს.

5. განაგრძე მეცადინეობა, ყველაფერი იღონე, რომ არამც და არამც არ ჩაგიქრეს ეგ მთელ ქვეყნიერებას მოდებული ნათელი, ანუ შენი გადახსნილი გულიდან ამოფრქვეული სიყვარული. სავარჯიშოს ამ ნაწილის შესრულება საჭიროა არანაკლებ ხუთი წუთის განმავლობაში.

6. ნელა და თანდათან გამოდი ტრანსიდან და ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდი. წმინდანთა გუნდი კვლავაც შენ გვერდით დარჩება. ცისფერი ნათელი ისევ მთელ ქვეყნიერებას იქნება მოდებული.

ეს რიტუალი შეიძლება, სასურველიც კია, რომ ერთმა არ შეასრულოს. ასეთ შემთხვევაში მონაწილენი ხელიხელჩაკიდებულნი არიან მთელი სავარჯიშოს მანძილზე.

თვალებზე ცრემლი მომადგა. პეტრუსმა ხელი მომკიდა და ქოხიდან გამომიყვანა. ღამე დღეს ჩვეულებრივზე ბევრად ბნელი იყო. გვერდიგვერდ დავსხედით და სიმღერა წამოვიწყეთ. ჰანგი ჩემში თავისთავად იბადებოდა, ისიც ხალისიანად ამდევდა. სიმღერასთან ერთად წებინებსა ვკარი და სუსტი ტაშის ხმაში თან მთელი ტანით ვირწეოდი. ტაშის ხმა ნელ-ნელა მატულობდა, საგალობლად ქცეული სიმღერა კი ღამეულ წყვდიადში სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, უდაბურ მინდორ-

ველს ეფრქვეოდა და უსიცოცხლოდ აყუდებულ კლდეებში ხმიანობდა.

უცებ ჩემ თვალწინ წმინდანთა სახეები გაჩნდნენ, ხატები — პატარაობაში სუყველა მწამდა, ოღონდ მერე ცხოვრებამ [illegible] — და მაშინ მივხვდი, რაოდენ ბევრი რამ დავკარგე, როცა ჩემში **აგაპეს** ნაწილი ჩავკალი. მაგრამ აწ ყოვლისმომცველი სიყვარული სულგრძელად დამიბრუნდა, და წმინდანთა გუნდი ცით ისევ [illegible] და ნაზად ჩამომლიმოდა, როგორც ამას არაერთხელ შევსწრებივარ ჩემს პატარაობაში.

ხელები გავშალე, **აგაპეს** ძალას თავისუფლად დინების საკალი დავუგდე; და ცისფერი ნათლის იდუმალმა ღვარმა განმიბანა სული, თუ რამ ცოდვა მქონდა სულ ჩამომრეცხა. ჩემგან გამომავალმა ნათელმა ჯერეთ შემოგარენი დატბორა, მერე სრულიად ქვეყნიერებას მოედო, და ავტირდი. ავტირდი, რადგან ჩემში მკვდრეთით აღდგა ის **ალმაფრენა,** რომელსაც ბავშვობაში განვიცდიდი, სიცოცხლეს კვლავაც ყრმად მოვევლინე, და ამ წუთისოფელში ალარაფერს არ შეეძლო ჩემი ვნება. უეცრად ვიგრძენი, რომ მარჯვნივ ვილაცა მედგა გვერდით. ვიფიქრე, ალბათ, ჩემი მაცნე-მაუწყებელი თუ მოვიდა-მეთქი, რამეთუ მხოლოდ იმას შეეძლო ამ კაშკაშა ცისფერი ნათლის ხილვა, აგრერიგად რომ ილვრებოდა ჩემში და თანაც გადმოედინებოდა ჩემგან მთელი ქვეყნიერების დასატბორავად.

ნათელი სულ უფრო კაშკაშებდა, და ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ის, მთელ ქვეყნიერებას მოდებული, ახლა სუყველა ჭერქვეშ აღწევდა, თუ სადმე ერთი სახლი იდგა. ყოვლის უფრო მივარდნილ და ყრუ ადგილთ ასინათებდა და დედამიწის ზურგზე თითოეულ ცოცხალ არსებას, თითოეულ მშვინვიერს თუნდაც წამიერად მაინც ეხებოდა.

... ვილაცამ თავისი ხელები წააშველა ჩემს აპყრობილ, თითქმის თვით ცამდე აწვდილ ხელებს. და იმწუთას ცისფერი ნათლის იმისთანა ნიალვარი მეტაკა, მიკვირს, ცნობა როგორ არ წამერთვა. მაგრამ მაინც შევძელი და ნიალვრად მოვარდნილ ცისფერ ნათელს კიდევ რამდენიმე წამს გავუძელი, ვიდრე სულ არ მიწყდა და მიჩუმდა ჩემში აყლერებული მუსიკა.

სრულ უილაჯობას კი ვგრძნობდი, ოღონდ ამავე დროს საოცრად თავისუფალი და უბედნიერესი კაცი ვიყავი იმის გამო, რაც ერთი წამის წინ განვიცადე, და ერთბაშად მოვეშვი. ხელები, რომელთაც ორსავე მხრიდან ვეჭირე, მომეხსნა. მივხვდი, რომ მარცხნივ პეტრუსი იყო და სულის სიღრმეში უკვე საცნაურ-ვიყავი, ვინც მარცხნივ მედგა.

თვალები გავახილე და ჩემ გვერდით მართლაც ბერი ალფონსო დავინახე. მან გამიღიმა და ესპანურად მითხრა, საღამო მშვიდობისაო. პასუხად მეც ღიმილი შევაგებე, მერე ხელი გამოვართვი და მაგრად მივიკარი გულზე. არ შემწინააღმდეგებია, ოღონდ მალევე ფრთხილად გამაშვებინა.

კრინტი არ დაგვიძრავს. ცოტა ხნის შემდეგ ალფონსო წამოდგა და თავის გზას გაუყვა ხირხატ ვაკიანზე. მიმავალს თვალი გავაყოლე და მანამ ვუცქირე, სანამ სულ არ გაუჩინარდა სიბნელეში.

მაშინ პეტრუსმა დუმილი დაარღვია, ოღონდ ალფონსოზე სიტყვა არ დასცდენია.

— რაც შეიძლება სწირად იმეორე ეს სავარჯიშო და ავაპე ყველავ გაცოცხლდება შენში. არ დაივიწყო, მუდამ შეასრულე შენს ცხოვრებაში ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის წინ, ყოველ მოქმედებაურობის დაწყებამდე, ძლიერი სულიერი დაძაბულობს ჟამს. თუკი შესაძლებლობა მოგეცა, ყოველთვის ვინმე შენს სათნო ადამიანთან ერთად შეასრულე. ამ რიტუალს მარტოკაცი არ უყვარს.

ჩემ წინ უწინდელი პეტრუსი იდგა: მოძღვარი, ინსტრუქტორი და მეგზური, რომლის შესახებაც თითქმის არაფერიც არ ვიცოდი. სუყველა ის გრძნობა, რაც მან განდეგილის ქოხში გამოაჩინა, უკვე გაქრა. თუმცა, სავარჯიშოს შესრულების დროს ხელით რომ ვეჭირე, მაინც ვიგრძნე, რა დიდი სულის ადამიანიც იყო.

გარეთ დიდხანს არ დავყოვნებულვართ, ისევ განდეგილის ქოხში შევბრუნდით, სადაც ჩვენი ხაბაკხუბაკი გვქონდა დატოვებული.

— მასპინძელი დღეს აღარ მოვა, ასე რომ, აქ ჩვენ მოგვიწევს წოლა, — თქვა პეტრუსმა და სოხანეზე დასაძინებლად მოეწყო.

მეც გავშალე ჩემი საძილე ტომარა, ბოთლიდან ცოტა ღვინო მოვსვი და შევწექი. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ **ყოვლისმომცველი სიყვარულის** ნიაღვართან ერთად საშინელმა დაღლილობამ მშთანთქა და დამძირა. ოღონდ ეს დაღლილობა სასიამოვნო იყო, არავითარ დაძაბულობას არა ვგრძნობდი, და სანამ ძილს თავს მივცემდი, კიდევ გავიხსენე ის ხმელ-ხმელი დაფანჩული ბერი, გვერდით რომ მეჯდა და მშვიდობის საღამო მისურვა. სადღაც გარეთ, წყვდიადში, მიაბიჯებდა იგი ახლა მთლად ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლმოდებული. იქნებ იმიტომაც მეჩვენებოდა ეს ღამე აგრერიგად ყურჭივით ჩაკუნაპეტებული, რომ სულ იმან შეიწოვა ამ ჩვენი უბარაქო წუთისოფლის მთელი ხათელი?

სიკვდილი

— ლოცვადმავალნი ბრძანდებით? — გვკითხა მოხუცმა დიასახლისმა, რომელმაც დილის ყავა მოგვართვა.

ეს ამბავი ასოფრად სახელდებულ დაბაში მოხდა, სადაც კოკრეჭინა სახლებია, ფასადებზე გერბებგამოსახული, ხოლო მოედანზე შადრევანია, რომლის წყლითაც წელან ჩვენი მათარები ავავსეთ.

მოხუც დიასახლისს თავისი ვარაუდი რომ დავუდასტურეთ, სახე პატივისცემითა და სიამაყით გაუბრწყინდა.

— ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, დღე არ ყოფილა, რომ აქ სანტიაგოს გზით მიმავალ ვინმე პილიგრიმს არ შემოევლო. არ ვიცი, რა

მოხდა ომის შემდეგ, როცა ფრანკო გაბატონდა, მაგრამ ლოცვადმავალთა ლიანგი საგრძნობლად შეწყდა. ალბათ, ავტოსტრადა თუ გაიყვანეს. ახლანდელნი უმანქანოდ ნაბიჯს აღარ ადგამენ.

პეტრუსს ხმა არ ამოუღია — ამ დილით რაღაც მარცხენა ფეხზე ადგა და უყმურ გუნებაზე იყო. მე კი დავეთანხმე, [illegible] ახლისს და წარმოვიდგინე ახალი ასფალტდაგებული მაგისტრალი, კაპოტებზე ნიჟარებგამოხატული ავტომობილები, მონასტერთა კარიბჭეებთან დადგმული სუვენირების კარვები.

საუზმეს რომ მოვრჩი — ერთ ფინჯან რძიან ყავასა და ზეითუნის ზეთიან პურის ნაჭერს — ემერიკ პიკოს გზამკვლევს ჩავხედე, წაკითხული ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ დღის მეორე ნახევარში სანტო-დომინგო-დე-ლა-კალსადას მივაღწევდით, ხოლო ღამეს, როგორც ჩანდა, ერთ-ერთ იმ ციხე-დარბაზში გავითევდით, რომლისთანა ციხე-დარბაზებიც ესპანეთის მთავრობამ კეთილმოწყობილ სასტუმროებად აქცია. მერე საფულეც მოვიჩხრიკე და შევამჩნიე, რომ დღეში მუდამ სამჯერ კი ვჭამდით, მაგრამ ფული იმაზე მნიშვნელოვნად ნაკლები გვეხარჯებოდა, ვიდრე ჩვენი ანგარიშით უნდა დაგვხარჯოდა. გვინდოდა თუ არ გვინდოდა, ჩანს, დრო დადგა, როცა ცოტა უნდა მოგვეგიჟიანებინა თავი და რაღაც უჩვეულო რამ გვეღონა, რათა არც ერთ სხვა ორგანოსა და ასო-ნასხამს კუჭთან შედარებით თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო.

გაღვიძებითაც დღეს უცნაური გრძნობით შეპყრობილს გამეღვიძა — ვითომ რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დაუყოვნებლივ სანტო-დომინგოში უნდა მოვხვედრილიყავი, — ამ გრძნობამ ორი დღის წინათაც განმაცდევინა თავი, როცა სავანეს მივადექით, და თითქოს აღარ უნდა განმეორებულიყო. პეტრუსიც ჩვეულებრივზე უფრო მელანქოლიური და სიტყვაძვირი ჩანდა, ნუთუ ალფონსოსთან გუშინწინდელი შეხვედრაა ამის მიზეზი-მეთქი, გავიფიქრე. ძალიან მინდოდა, რომ ასტრაინისთვის მეხმო და გავსაუბრებოდი ამა ამბისა გამო. მაგრამ ჯერეთ ერთი, ჩხიბვა-სახვრას არცროდის დილაობით არ მოვყოლილვარ, მეორეც, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამას რამე აზრი ექნებოდა.

მოკლედ, ყავა შევსვით და გზას დავემწყემსეთ. გავცდით ერთ შუა საუკუნეების ჟამინდელ ნაშენებ სახლს, ფრონტონზე გერბგამოსახულს, ლოცვადმავალთათვის აგებულ, აწ კი უკვე ნადგურცემულ ფუნდუკს, ანუ უცხოთსადგურს, უკან მოვიტოვეთ ქალაქის ფარგლებში გაშენებული კარგა გვარიანად მოზრდილი ბაღნარიც. და ის იყო მინდორ-მინდორ სიარულის პროცესში ჩაღრმავებას ვეპირებოდი, რომ მარცხენა ფერდმა საშინლად გამჭვალა, გამივლის-მეთქი, მაინც არ შემინელებია ნაბიჯი, მაგრამ პეტრუსმა ხელი წამავლო და მომწია.

— ნუ გარბიხარ, — მითხრა მან. — გაჩერდი და მიიხედე.

ერთი წაყრუება წავუყრუე, ვითომ ვერ გავიგონე, რაც მითხრა და, უნდა ვიარო-მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ მუცელში ისეთნაირად მომიარა, ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა. ერთი-ორი წუთი თავს ვირწმუნებდი, სულ იმ ზეითუნის ზეთში დამბალი პურის ბრალია-მეთქი, თუმცა რა აზრი ჰქონდა თავის მოტყუებას. არ ვიცოდი თუ რა, რაც დაძაბულობას და შიშს მოსდევს?!

— მიიხედე! — პეტრუსის ხმა უჩვეულოდ დაჟინებული იყო. — მიიხედე და შეხედე, სანამ გვიან არ არის.

მეც ეგრევე მივიხედე. ჩემგან მარცხნივ სიცხისგან შეშაქული ხეებში გავერანებული რამ სახლი იდგა. ერთ-ერთ ტოტებდაკრუნჩხულ ზეთისხილსა და იმ სახლს შუა დაყუნცული ნაგაზი თვალებიდან მაჭამდა.

შავი ნაგაზი იყო. ზუსტად იგივე, რომელიც იმ დღეს ... ...

თანადო მოყვასი გამომიჩნდა, მეგობარი, რომელმაც ჩემი მხარე დაიჭირა ამ უაზრო და უსარგებლო შეტაკებაში. და სილუეტი როგორც კი ადგილიდან დაიძრა, იმწუთას ისევ ძაღლის მზერის არეში მოვხვდი. მან უცებ თავი ჩაღუნა, მერე წამოხტა, სახლის უკან გავარდა, თვალს მიეფარა.

და მხოლოდ მაშინღა შემეკუმშა შიშისგან გული. [illegible] მეცნიერულად თუ ვიტყვით, იმისთანა ტახიკარდია ამივარდა, ვიფიქრე, ალბათ, გული წამივა და ზღართანს მოვადენ-მეთქი. ვგრძნობდი, როგორ ატივტივდა ჩემ თვალწინ ყველაფერი. და გზისკენ გავიხედე, რომელსაც სულ რამდენიმე წუთის წინათ მე და პეტრუსი მოვდევდით, — გავიხედე, რათა იმ ქალის სილუეტი მომეხილა, ვინც ძაღლის ძლევა შემაძლებინა.

ქალი მონაზონი გამოდგა. ასოფრას მხარეს მიდიოდა, სახე არ დამინახავს, მაგრამ ხმა მახსოვდა, და ვიაზრიკვალე, მოვსაზრე, რომ ოცი წლისაზე ცოტა მეტის თუ იქნებოდა. გავყურებდი და ძლივს ვარჩევდი გზაწვრილს, რომელსაც ის მიუყვებოდა.

— ეგ იყო... მაგან მიშველა, — ვბუტბუტებდი ჯერეთ კიდევ რეტდასხმული.

— ამ ქვეყანას ისედაც არ აკლია არც გამოცანები და არც სასწაულები, ასე რომ უფანტაზიოდ თუ იოლად გახვალ, აჯობებს, — თქვა პეტრუსმა და ხელი გამომდო. — ეგ ქალი კანიასის მონასტრიდან მოდიოდა. იქამდე ხუთი კილომეტრი მაინც იქნება. რა თქმა უნდა, აქედან არა ჩანს.

ჩემს გულს ისევ ბაგაბუგი გაჰქონდა, და ისევ ვერ ვიყავი კარგად. მომხდარი და განცდილი ჯერეთ ვერ მომენელებინა, ამიტომაც ხმას არ ვიღებდი და არც არანაირ ახსნა-ანმარტებას არ ვითხოვდი. მიწაზე დავჯექი, და პეტრუსმა წყლით დამისველა შუბლი და კეფა. გამახსენდა — ასევე იქცეოდა, როცა ჯადონაქნარი დედაკაცის სახლიდან გამოვედით, მაგრამ მაშინ თუმცა კი ვტიროდი, ოღონდ თავს კარგად ვგრძნობდი. ახლა ყველაფერი პირიქით იყო.

პეტრუსმა ცოტა სულის მოთქმა შემაძლებინა. ცივმა წყალმა გულისრევა გამიჩერა. თანდათან თვალში გამოვიხედე და, როცა საბოლოოდ გამოვმჯობინდი, ჩემმა მეგზურმა, გზა განვაგრძოთო, მთხოვა, და მეც დავემორჩილე. მაგრამ თხუთმეტ წუთში კვლავ სრული უილაჯობა მომერია. ორივენი ჯვრით შემკობილ ბოძკინტთან დავსხედით, — ამდაგვარი ქვის ნიშანსვეტებით იზომებოდა შუა საუკუნეებში სანტიაგოს გზის მონაკვეთები.

— შიშმა უფრო მეტი გავნო და **გაზნია,** ვიდრე ძაღლმა, — თქვა პეტრუსმა, სანამ ჭარს ვიღებდი.

ერთი სული მქონდა, სანამ ამ უცნაური შეხვედრის მიზეზს ბოლომდე ჩავწვდებოდი.

— ცხოვრებაშიც და სანტიაგოს გზაზეც ბევრი რამ ისეთი ხდება, რაც ჩვენს ნება-სურვილზე სულაც არა ჰკიდია. ხომ გახსოვს, პირველად რომ შევხვდით, გითხარი, ბოშის გამოხედვაში იმ დემონის სახელი ამოვიკითხე, რომელსაც აუცილებლად გადაეყრები-მეთქი. ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ის დემონი ძაღლად მოგე-

ვლინებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე არაფერი არ გითხარი, და მხოლოდ მერე, იმ დედაკაცის სახლში რომ მივედით და შენ პირველად გამოხატე ყოვლისმომცველი სიყვარული, დავინახე შენი მტერი. გამოგდებით კი გამოაგდე ძაღლი, მაგრამ ის აღარ მიგიყოლებია, სად უნდა წასულიყო, გახსოვს? არადა ამქვეყნად არაფერი არ იკარგება, ყველაფერი ერდვნება, სხვანაირდება. შენ ღორებში არ შეგირეკავს ეშმაკთა ლეგიონი, როგორც ქრისტე მოიქცა. შენ უბრალოდ კუდი ამოაძუებინე ძაღლს. და აწ ამღვრეული ძალა გიდგას კვალში. სანამ შენს მახვილს იპოვიდე, უნდა გადაწყვიტო, რა გინდა — ამ ძალას უნდა დანებდე, თუ უნდა გადასძლიო, აჯობო.

თავს უკვე უფრო მხნედ ვგრძნობდი. საგზაო ბოძკინტის ცივმა ქვამ, რომელსაც ბეჭებით ვიყავი მიყრდნობილი, სულთქმა გამიადვილა. პეტრუსმა კიდევ ცოტა ცივი წყალი შემასვა და განაგრძო:

— გათანგულობა იმან იცის, როცა ადამიანები ამქვეყნიურ ძალებს ველარ ერევიან. ბოშის ჯადომ თუ კრულვამ სამუდამოდ ჩაუსახლა შიში იმ დედაკაცს, შიშმა კი ბზარი გაუჩინა, საიდანაც სიკვდილის მაცნემ შეაღწია. ეს ამბავი არც მაინცდამაინც ხშირად ხდება, ოღონდ არც ძალიან იშვიათად. და უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, რარიგ უპასუხებ შენთა მოყვასთა მუქარას.

ამჯერად მე თავად წამომაგონდა იობის წიგნიდან ერთ-ერთი ბიბლიური მუხლი: „რადგან მეწია შიში, რომელიც მაძრწუნებდა, და რაც მაშინებდა, ის მომივიდა“.

— სანამ მუქარა ყურად არ გიღია, არცრა გემუქრება. **სამართლიან ომში** ჩაბმისას ნურცროდის ნუ იგულმავიწყებ ამ ამბავს. და ისიც მუდამ გახსოვდეს, რომ უკან დახევა, ისევე როგორც შეტევა, ბრძოლის უცვლელი ნაწილია. ხოლო გულშემხარავი და შემაძრწუნებელი შიში კი — არა.

იმწუთას მე არავითარ შიშს არა ვგრძნობდი-მეთქი, თავადვე გაკვირვებულმა ვუთხარი პეტრუსს.

— მესმის. სხვაგვარად ნაგაზი ეგრევე მოგვარდებოდა. და საეჭვოა, რომ იმ შეტაკებაში გაგემარჯვებინა. ვინაიდან არც ნაგაზი ყოფილა შიშატანილი. პირდაპირ გასაოცარია, რარიგ შეხვდი მონაზვნის გამოჩენას. ნამდვილად წინათგრძნობამ გაგიმართლა. შენმა ნაყოფიერმა წარმოსახვამ უყოყმანოდ გადაგაწყვეტინა, რომ ვიღაც მოგევლინა ხელის ასაპყრობად. დიახაც მაგ შეუყოყმანებლობამ გიხსნა. თუმცაღა, ღმერთი მაღლიდან იყურება, ეგ შენი უჭოჭმან-უყოყმანობა სრულიად ცრუ რასმე საფუძველს ეყრდნობა.

პეტრუსი მართალი იყო. ერთი გულიანად გადავიხარხარე, და ისიც ამყვა სიცილში. მერე წამოვდექით და გზა განვაგრძეთ. უკვე სიმსუბუქესაც ვგრძნობდი და სიმხნევესაც.

— კიდევ ერთი რამის ცოდნა გჭირდება, — თქვა პეტრუსმა. — ნაგაზთან ორთაბრძოლა საარვისოდ არ დამთავრდება — აქ შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვება ან დამარცხება. ნაგაზი ისევ გამოჩნდება, და დაუმარცხებელი არ გაუშვა. საქმე დამში მოიყვანე. არადა მაგ ნაგა-

ზის აჩრდილი სიცოცხლის ბოლო დღემდე თავს არ გაგანებებს, სულ კვალდაკვალ აგედევნება.

ჯერეთ კიდევ მაშინ ბოშასთან შეხვედრის შემდეგ, პეტრუსმა, ვიცი, მაგას რაცა ჰქვიაო, მითხრა და ახლა ვკითხე სახელი.

— ლეგიონია მაგის სახელი, — მომიგო ჩემმა ყოლეგამ. — ვინაიდან, ეგენი ბევრნი არიან.

მიწას, რომელსაც მივყვებოდით, გლეხკაცნი თესვისთვის ამზადებდნენ. ალაგ-ალაგ ადამპაპის დროინდელ ტუმბოებს მართავდნენ — ხირხატ, ანუ ქვავნარ ნიადაგთან ბრძოლის თავიანთ ოდინდელ იარაღს. სანტიაგოს გზის ორსავე მხარეს გროვა-გროვა ეყარა აგროვილი ქვები. იქნებ კაცს ისიც კი ეფიქრა, გზის გასწვრივ ერთ გაბმულ კედელს რასმე აშენებენო. თვითონ მინდვრებიც ნაირ-ნაირი ქვებით იყო მოფენილი, ადგილ-ადგილ უცხოდ მოოჭვილი გეგონებოდა. ვინ იცის, უკვე რამდენი საუკუნეა, რაც ამ ხირხატ მინდვრებს ამუშავებენ-მეთქი, ვფიქრობდი გულში, და მაინც ამოდის და ამოდის სულ ჯურა-ჯურა ქვა, რომელსაც თუ არ ააგროვებს და არ გაიტანს, გლეხკაცს ერქვნის სახნისსაც პირს მოუტეხს, დაუაბედებს. ეს ბრძოლა ყოველ წელიწადს იწყება, ბოლო კი არცროდის არ ექნება.

პეტრუსი ჩვეულებრივზე უფრო წყნარი ჩანდა, და გამახსენდა, რომ დილიდანვე სიტყვა თითქმის არ დასცდენოდა. სამიჯნო ბოძკინტებთან ჩვენი საუბრის შემდეგ მან პირში წყალი ჩაიგუბა და, თუკი რასმე ვეკითხებოდი, უმეტესად ბასუხის ღირსად არა მხდიდა. მე კი უფრო უკეთ მინდოდა შეტყობა, თუ რას ნიშნავდა „ეშმაკთა ლეგიონი". მან ჯერეთ კიდევ ადრე ამიხსნა, რომ თითოეულ ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ თითო მაცნე-მაუწყებელი ჰყავს. მაგრამ ახლა აშკარად არ იყო ამაზე სალაპარაკოდ განწყობილი, ასე რომ უფრო ხელსაყრელი შემთხვევისთვის დაცდა გადავწყვიტე.

მალე რომელიღაც გორაკს მოვექეცით თავზე, და იქიდან სანტოდომინგო-დე-ლა-კალსადას ეკლესიის სამრეკლო გამოჩნდა. ამ სანახაობამ კიდევ უფრო გამომაყოჩაღა; ჩემდა უნებურად **„პარადორას"** სიმყუდროვესა და მაგიურ გარემოზე ოცნებამ გამიტაცა, რომელი **„პარადორაც"** ერთი იმ შუა საუკუნეების ციხე-დარბაზთაგანი იყო, ესპანეთის ხელისუფალთა მზრუნველობამ კომფორტაბელური სასტუმროები რომ გახადა. ჩემი თვალით წაკითხული მაქვს, რომ თავად წმინდა დომინიკეს აუგია აქ უცხოთსადგური, სადაც ერთხელ კომპოსტელაში გზად მიმავალ ფრანცისკ ასიზელსაც დაულამებია. ამ ამბის მიმოგონებამ ახალი ძალ-ღონით ამავსო და ფრთები შემასხა.

უკვე საღამოს შვიდი იქნებოდა, პეტრუსი რომ დაფერხდა. გამახსენდა რონსევალი, იმჟამინდელი მყოვარი გზა, როცა ერთი ჭიქა ღვინო სანატრელი გამიხდა, რათა გავმთბარიყავი, და, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა გავიფიქრე ეს ჩემი მეგზურ-ეტიკი ამჯერადაც მსგავს რასმე ხომ არ მიპირებს-მეთქი-.

— ერთი მაცნე-მაუწყებელი არცროდის მოგეშველება მეორე მაცნე-მაუწყებლის დამარცხებაში. მაცნე-მაუწყებელთ არ უწყიან, რა

არის კეთილი და ბოროტი, თუმცა, ტყუილია, იმათ რომ ერთმანეთის ერთგულება იციან. ასე რომ ნაგაზთან შეტაკებისას ასტრაინის დამარ-ბების იმედი ნუ გექნება, — წართქვა პეტრუსმა.

ოლონდ ახლა უკვე მე არ ვიყავი ლაბარაკის ხასიათზე, რაც შეიძ-ლება მალე მინდოდა სანტო-დომინგოში მისვლა.

— მიცვალებულთა მაცხე-მაუწყებელნი შიშატანილი ადამიანის სხეულს ეტანებიან, იქ იბუდებენ. სწორედ იმიტომ არიან ეგზომ ბევ-რნი, ვინაიდან ლეგიონია იმათი სახელი. იმათ დიაცთა შიში იჩვევს, იშინაურებს. სივრცეში მარტო ერთი მოკლული ბოშის მაცნე-მაუწყე-ბელი კი არა, სხვანიც ბევრნი დაძრწიან და მიწიერ ძალებთან შეხვედ-რა-ურთიერთობის ხერხს ეძებენ.

მხოლოდ აწღა ინება პეტრუსმა ჩემს შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ანუ როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, სიტყვისგება. მაგრამ მეჩვენე-ბოდა — თითქოს სულ სხვა რამის თქმა უნდოდა ჩემთვის.

— მაინც რა გინდა, პეტრუს? — დავეკითხე არცთუ უწყინრად.

ჩემს მეგზურ-ეტიკს არცრა უპასუხნია. გზიდან გადავიდა და, მი-ნდორში რომ ოლე იდგა, მარტოხე, აქედან ათიოდე ნაბიჯზე, იქით წა-ვიდა. ბებერი, ფოთოლგაძარცული ხე საცოდავად გამოიყურებოდა. პე-ტრუსს, გამომყევიო, არ დაუძახია, და არც გავყოლილვარ, ისევ გზაზე დავრჩი. და უცნაური რამ სცენის მოწმე გავხდი: პეტრუსმა გარშემო შემოუარა ოლეს, თან მიწას ჩასცქეროდა, და რამდენიმე სიტყვა იხმა-მყივარა. მერე მანიშნა, მომიახლოვდიო.

— დაჯექი, — მიბრძანა მან, და ხმა ახლა სულ სხვაგვარად უჟ-ღერდა: არ ვიცი, ალერსიანად, არ ვიცი, ბრალგარეულად. — ამაღამ აქ დარჩები. ხვალ სანტო-დომინგო-დე-ლა-კალსადაში შევხვდებით.

და სანამ რისამე თქმას მოვასწრებდი, განაგრძო:

— ამ დღეებში — თავს დავდებ, რომ დღეს არამც და არამც არ მოხდება, — შენს მთავარ მტერთან მოგიწევს შეტაკება სანტიაგოს გზა-ზე, და ეს მტერი ნაგაზია. როცა ის დღე დადგება, დარწმუნებული იყა-ვი, რომ ახლომახლო გავჩნდები და, რაც იმ შეტაკებისთვის ძალ-ღონე დაგჭირდება, უხვად აღგჭურავ. დღეს კი შენს სხვა მტერს და ავის მნდომს შეხვდები. იმას შენი მოსპობაც შეუძლია, შენს ულალატო ამხა-ნაგად გახდომაც. იმ მტრის სახელი სიკვდილია.

— ადამიანი დედამიწის ზურგზე ერთადერთი სულდგმულია, რო-მელსაც შეგნებული აქვს, რომ ოდესმე უნდა მოკვდეს, — განაგრძო-ბდა იგი. — ამის გამო, მხოლოდ ამის გამო მივაგებ უდიდეს პატივს ადამიანთა მოდგმას და ამიტომ მჯერა კიდეც, რომ ადამიანს მომავა-ლი აწმყოზე შეუდარებლად უკეთესი ექნება. მართალია, მან იცის, ჩემი დღეები დათვლილიაო, მართალია, ერთხელაც, როცა სულაც არ ეგონება, ყველაფერს ბოლო უნდა მოელოს, მაგრამ ის თავის წუთი-სოფელს მაინც ბრძოლად აქცევს, თანაც ისე ღირსეულად, თითქოს უკვდავი არსება იყოს. რაც ზოგიერთის თვალში ამაო სიქადულად თუ ზვაობად მოჩანს — თუნდაც, ვთქვათ, ის სწრაფვა, რომ ჩვენი ხსოვნა ჩვენს შვილებში ან ჩვენს ქმნილებებსა თუ ნაქმედში დავტოვოთ, ან ისე ვიცხოვროთ, ჩვენ რომ წავალთ, ამქვეყნად ჩვენი კეთილი სახელი

დარჩეს, — მე ადამიანური ღირსების კვინტესენციად მიცნია.

ადამიანი მაღალი, ნაზი არსებაა, ამიტომაც მუდამ იმის ცდაშია, რომ თავის თავს როგორმე დაუმალოს სიკვდილის დიადი აუცილებლობა. ადამიანს, როგორც სიკვდილის შვილს, აზრადაც არ მოსდის, რომ სწორედ სიკვდილი აგულიანებს ყოველივე იმისკენ, ოსტატურად შესაქმნელად, რასაც ის ცხოვრებაში იქმს. დედის მუცლიდან შობილს თავზარსა სცემს წყვდიადში ნაბიჯის გადადგმა, ტანჯავს მძვინვარე შიში უცნობისა და შეუცნობლის წინაშე, და მარტოოდენ ერთადერთი ხერხი, რაც ამ შიშს უმკლავდება, იმის დავიწყებაა, რომ წუთისოფლის დღეებდათვლილი სტუმარი ხარ. რახან სიკვდილის გარდაუვალობა შეიგნო, ადამიანს ისიც უნდა ესმოდეს, მაგრამ არ ესმის, რომ მეტის გაბედვა ძალუძს, რომ ყოველდღიურად სულ მეტის და მეტის მოპოვებასა თუ მონაგრებას უნდა ესწრაფოდეს — რადგან სიკვდილი თუ უცილოა, მაშ დასაკარგავი არცრა ჰქონია.

პეტრუსი გაჩუმდა. სანტო-დომინგოში ღამის თევა უკვე შორეულ ამბად მეჩვენებოდა. ჩემი მეგზურის თითოეული სიტყვა ღრმად ჩამბეჭდვოდა გულში. ცის დასავალზე, პირდაპირ ჩვენ თვალთა წინ მზემ კვდომა დაიწყო. ეგება ეგეც პეტრუსს უგდებდა ყურს?

— სიკვდილი ჩვენი ერთგული თანამგზავრია, რამეთუ ის ააზრიანებს ჭეშმარიტად ჩვენს ცხოვრებას. ოღონდ სიკვდილის უტყუარი სახის გასარჩევად ჯერ სუყველა ის საშინელება და შიში უნდა შევიცნოთ, რაც თითოეული ადამიანის სულში იღვიძებს სიკვდილის თუნდაც მარტო ხსენების დროს.

პეტრუსი ხის ძირში დაჯდა და, შენც დაჯექიო, მანიშნა. მივუჯექი თუ არა, გული გადამიშალა, წელან ამ ხეს იმიტომ შემოვუარე, რათა ცხადად წარმომედგინა, რაც რამ თავს გადამხდა, როცა თავად ვიყავი ლოცვადმავალი და სანტიაგოს გზას პირველად მოვდევდიო. მერე ტავარჯუხიდან ორი ბუტერბროდი ამოიღო, სადილობის უკან ნაყიდი.

— მაგ ადგილას, სადაც ახლა შენ ზიხარ, დამუქრებით არცრა გემუქრება, — მითხრა მან და ის ორი ბუტერბროდი მომცა. — აქ არც შხამიანი გველებია და ნაგაზიც ხელახლა მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს შენზე თავდასხმას, როცა თავისი დღევანდელი მარცხის ამბავს იგულმავიწყებს. იყავი შენთვის უშიშრად. არც ვინმე მძარცველნი შეგაწუხებენ, არც თულ-ავაზაკნი. საშიში შენთვის მხოლოდ ერთი რამ არის — ისევ შენი საკუთარი შიში.

და პეტრუსმა კიდევ ისიც მითხრა, ამ ორი დღის წინათ შენ ისეთი რამ განიცადე, რაც არც თავისი სიშმაგით, არც თავისი სიცხადით სიკვდილს არ ჩამოუვარდებაო, — ყოვლისმომცველი სიყვარული მოიხილეო, და წამიერადაც არ შემდრკალხარ, არ შემკრთალხარ, არ გიმხდალია, რამეთუ სიყვარულის თაობაზე წინასწარ აკვიატებული ავი აზრი არა გქონიაო. სიკვდილის მიმართ კი ყველანი ათასგვარი ცრურწმენითა თუ ბრმარწმენითა ვართ შეპყრობილნი, რადგან ვერ შეგვიგნია, რომ სიკვდილი **აგაპეს** მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლინებააო.

მე-მეთქი, მივუგე, მაგიისთვის მიძღვნილმა წლებმა თითქმის მთლიანად გამათავისუფლეს სიკვდილის შიშისაგან-მეთქი, და მართალი უნ-

და გითხრა, როგორ და რისგან მოვკვდები, თვითონ სიკვდილზე ბევრად უფრო მაშინებს-მეთქი.

— რას იზამ, მაშ, აბა, ამაღამ სიკვდილის ყველაზე მეტად შემზარავი სახე ნახე, — მითხრა პეტრუსმა და — „ცოცხლად დამარხულის“ სავარჯიშო შემასწავლა.

— ამას მხოლოდ ერთხელ იზამ, — დასძინა მან, სანამ მე სავარჯიშოს ვიმახსოვრებდი, რომელიც ძალიან მაგონებდა თეატრალურ ეტიუდს. — ჭეშმარიტება უნდა გამოაღვიძო, რაც რამ სულში შიში გაქვს, სულ უნდა შეანჯღრიო, რათა სავარჯიშომ შენი სულის თვით ფესვებს ჩაატანოს, — და მაშინ ჩამოეხსნება საშინელებას ნიღაბი, სიკვდილის კეთილ ხატს რომ მალავს.

პეტრუსი წამოდგა. და იმის სილუეტი დაისის შუქით მოგიზგიზე ცის ფონზე ჩემი ეტიკის ფიგურა თანდათან დიდი და დიდი ხდებოდა, უჩვეულოდ შთამბეჭდველი.

— კიდევ ერთი რამ უნდა გკითხო.

— რა?

— ამ დილას რაღაც უცნაურად დუმდი. და ჩემზე ადრე იგრძენი ნაგაზის გამოჩენა. რა იყო, როგორ მოხდა?

— როცა მე და შენ ერთად განვიცდიდით ყოვლისმომცველ სიყვარულს, ჩვენ აბსოლუტს ვიზიარებდით. იგი ადამიანთა უტყუარ არსს ავლენს, გვიჩვენებს, რარიგ დაუსრულებლად ეხლართება ერთმანეთს აურაცხელი მიზეზი და შედეგი, და იმასაც ცხადყოფს, როგორ ეხმაურება ერთის სრულიად უმნიშვნელო მოძრაობა მეორეს სიცოცხლეს. და დღეს დილით აბსოლუტის ეს გამოძახილი ჯერ კიდევ მკაფიოდ ისმოდა ჩემს სულში: მე არა მარტო შენი, არამედ ამქვეყნად ყოველივე არსებულისა მესმოდა, თან არც დრო ყოფილა ჩემთვის დაბრკოლება, არც სივრცე. აწ ამ გამოძახილსა თუ ნახმევს სული ხდება და მხოლოდღა იმის მერე გამოცოცხლდება, როგორც კი ყოვლისმომცველი სიყვარულის სავარჯიშოს შეავასრულებ.

სათქმელი დაასრულა თუ არა, გამახსენდა, რა პირქუში იყო პეტრუსი იმ დილით. უკეთუ სუყველაფერი მართალია, რასაც ლაპარაკობს, ქვეყნიერება ამჟამად ძალიან მძიმე დღეში ყოფილა.

— „პარადორაში“ დაგელოდები, — მითხრა მან უკვე მიმავალმა. — პორტიეს ვეტყვი შენს სახელს.

მზერა გავაყოლე ნაბიჯაჩქარებულს და მანამ მივაცილებდი თვალგადევნებული, სანამ სულ არ მიიმალა. ჩემ მარცხნივ მინდორი მინდორს მისდევდა: გლეხკაცთ თავიანთი დღიური საქმე მოეთავებინათ და უკვე შინ წასვლას ეპირებოდნენ. სავარჯიშოს შესრულება იმ დროისათვის გადავწყვიტე, როცა ღამის წყვდიადი მთელ სოფელ-ქვეყანას დაძირავდა.

დაწყნარებული ვიყავი. სანტიაგოს უჩვეულო გზას რაც დავადექი, იმ წუთიდან პირველად აღმოვჩნდი სრულ მარტოობაში. წამოვდექი, ცოტა გავიარე, მაგრამ ისე სწრაფად ბნელდებოდა, შემეშინდა, ეშანდ გზა არ ამებნეს-მეთქი, და კვლავ ხის ძირში დაბრუნება ვამჯობინე. და ვიდრე თვალს ჯერეთ კიდევ შეეძლო ზოგი რამის გარჩევა, გულში მაინც განვსაზღვრე მანძილი ხიდან გზამდე. არცრა სინათლე

არა მჭრიდა თვალს, მაგრამ ცის კამარაზე ახლახან ამოცურებული ახალშობილი მთვარის შუქი საკმარისზე მეტი იყო, რათა გამერჩია ბილიკი და სანტო-დომინგოსკენ გავყოლოდი.

კვლავინდებურად უშიშრად ვიყავი, ასე რომ თავდაპირველად მეგონა, წარმოსახვის ერთობ დაძაბვა მომიწევს-მეთქი, რათა სულში მტანჯველი სიკვდილის შიში გამომელვიძებინა. არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წელიწადი გვიცხოვრია ამ ქვეყნიერებას წყვდიადში რომ ახვევს, ღამეს თან სუყველა ის შიში მოაქვს, რაც კი ბავშვობიდან ჩვენში ჩაბუდებულა. და ბინდის გახშირებასთან ერთად ვგრძნობდი, რომ მყუდროებას ვკარგავდი.

მთელ ტრიალ მინდორში თავხელმარტოკა ვიყავი და რომც მეყვირა, არცვინ არსით არ შემეხმიანებოდა. და გამახსენდა, კინალამ წერილი რომ წავიღე დღეს დილით. არასოდეს, ცხოვრებაში ჯერეთ არასოდეს არ განმეცადა ამისთანა გულის ფანცქალი.

რომ მოვმკვდარიყავი? მოვკვდებოდი და სიცოცხლეც დამთავრდებოდა — ასეთია ყველაზე ლოგიკური დასკვნა. იმ დროის მანძილზე, რაც ტრადიციის გზით ვიარე, უკვე არაერთხელ მომიხდა სულებთან საუბარი. სიკვდილის შემდგომ რომ სიცოცხლე არსებობს, ამაში სრულიად დარწმუნებული ვიყავი, ოღონდ ერთხელაც კი არ გამჩენია კითხვა, თუ როგორ ხდება ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლა. რარიგად არ უნდა იყოს ადამიანი ამ ამბისთვის შემზადებული, მაინც საშინელებაა სულისა და ხორცის გაყრაზე გაფიქრებაც კი.

თუკი, მაგალითად, დღეს დილით მოვკვდებოდი, აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებოდა აღარც სანტიაგოს გზას, აღარც სწავლის წლებს, აღარც ახლობელთა მონატრებას, აღარც ქამარს მიბმულ ქისაში გადანახულ ფულს. უცაბედად ყვავილი წამომაგონდა, ქოთანში მოყელყელავე ჩემს საწერ მაგიდაზე რომ იდგა ბრაზილიაში. ის, რასაკვირველია, ჩემ შემდეგაც იარსებებდა, — ისიც და სუყველა სხვა მცენარეც ამქვეყნად, სუყველა ავტობუსიც, ქუჩის კუთხეში მიკუნჭული მემწვანილეც, თავის მწვანილეულს მუდამ საძჯერ ძვირად რომ ყიდის, და მეტელეფონე ქალიც, ცნობარში აღუნუსხავ ნომრებს რომ გვატყობინებს.

ყოველივე ამ წვრილმანმა, რაც უმალ გაქრებოდა, თუკი ამ დილით სიკვდილი მომაკითხავდა, უცებ უდიდესი აზრი და მნიშვნელობა შეიძინა ჩემს თვალში. დიახაც ეს წვრილმანები მარწმუნებენ და არა ვარსკვლავები, არა მონაგრებული სიბრძნე, რომ სული მიდგას და ცოცხალი ვარ.

სულ ჩამობნელდა, და ოდენ ცის დასალიერზელა ვარჩევდი ქალაქის ჩირაღდნების სუსტ ნათებას, მიწაზე დავწექი და ჩემ მაღლა ტოტებს დავუწყე ცქერა. ჩემამდე უცნაური რამ ბგერები აღწევდნენ — უცნაური და სულ ნაირგვარი. როგორც ჩანს, ღამის ნადირი გამოვიდა სანადიროდ. უკეთუ პეტრუსი ჩემისთანა ადამიანია, ხორცისგან და ძვლებისგან შემდგარი, შეუძლებელია, რომ ყოვლისმცოდნე იყოს. ვინ ჭკუათმყოფელი იკისრებს თავდებობას და იტყვის, აქ შხამიანი გველი არ იცისო?! ახლა მგელს არ იტყვით, ამოუწყვეტელ ევროპულ მგელს? ვაითუ ჩემი სუნი იკრეს და უკვე აქეთ მოყმუიან? და უცებ სულ სხვა-

ნაირი ხმა გაისმა — თითქოს ტოტი ჩამოტყდაო, — რამაც გული ისევ გადამიქანა.

ცოტა ხანს დაძაბული ვუგდებდი ყურს და თან ვფიქრობდი, გადადება აღარ ეგების, სავარჯიშო რაც შეიძლება მალე უნდა შევასრულო, და სასტუმროს მივაკითხო-მეთქი. მოვეშვი, ხელები გულზე დავიკრიფე, როგორც მიცვალებულმა. წამიერ გვერდით რაღაც გავიგონე ვაიმე-მეთქი, გავიველ გულში და ერთ მუქარაზე წამოვფრინდი.

არსად არცრა იყო. ღამე მძიმე-მძიმედ აპირთავებდა და აპირთავებდა სივრცეს, თან ადამიანისთვის დამახასიათებელი შიში და ზარი მოჰქონდა. კვლავ გავიშოტე მიწაზე და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ სავარჯიშოსთვის აღმძვრელ ბიძგად მექცია ყოველგვარი შიშის შემოტევა და მივხვდი, რომ ღამის სიგრილის მიუხედავად, ოფლმა დამასხა.

გულხელდაკრეფილმა წარმოვიდგინე: კუბოს თავსახურს ახურავენ, კუთხეებში ჭანჭიკებს უყრიან, არ ვიძვრი, მაგრამ ცოცხალი ვარ და ერთი ხული მაქვს, სანამ ჩემს ახლობელთ ვეტყოდე, ყველაფერს ვხედავ, ყველანი მიყვარხართ-მეთქი, — ოღონდ ბგერები ვერ გამომითქვამს, ტუჩებს ვერ ვიმორჩილებ. მამაჩემი და დედაჩემი თავებს იხოცავენ, მეგობრები კუბოს გარს შემორტყმიან, მაგრამ მაინც მარტოდმარტო ვარ! ამდენი მოსიყვარულე ადამიანი მახვევია და არცვის იმის გაგების თავი არა აქვს, რომ ჯერეთ კიდევ ცოცხალი ვარ, რომ ამქვეყნად ყველა ჩემი საქმე, რაც განზრახული მქონდა, ჯერეთ კიდევ თავითავს არ მომიყვანია. ჯიუტად ვლამობ თვალების გახელას, კუბოს თავსახურის დარახუნებას ანდა სხვა რამ ნიშნებას, რომ ცოცხალი ვარ. მაგრამ ამაოდ.

ვგრძნობ, როგორ ირწევა კუბო, — უკვე სასაფლაოზე წამიღეს. მესმის, როგორ ხრჭიალებენ ლითონის სახელურები, მესმის სამგლოვიარო ასაბიის მონაწილეთა ფეხის ხმა და ლაპარაკიც. აგერ, ვილაცამ, ვახშმის ცოტა გადადება მოგვიწევსო, თქვა, მეორემ კი, ნამიტანი ადრე მოკვდაო, შემიბრალა. ყვავილების სუნმა ღამის დამახრჩოს.

წამომაგონდა, ერთი-ორჯერ როგორ გავუარშიყდი ვილაც ქალებს, და იმის შიშით, ვაითუ თვალში არ მოვუვიდე, ხელი მკრან-მეთქი, შევეშვი, თავი გავანებე. მერე ახლა ერთი ჩემი დაუმთავრებელი საქმე მომაგონდა, სულ რომ მეგონა, მოვასწრებ-მეთქი. ცოტაც და, გული გამისკდება, ისე მეცოდება ჩემი თავი, ოღონდ მარტო იმიტომ კი არ მეცოდება, რაკი ცოცხლად ჩამდებენ მიწაში, არა — უფრო იმიტომ, რომ ცხოვრება შიშსა მგვრიდა. მერე რა, თუ ვინმე „არას" მეტყოდა ანდა დაწყებული საქმე თავისთავს ვერ მოვიყვანე?! მთავარია, ადამიანი სრულად დატკბეს სიცოცხლით. აი ვწევარ ახლა ლუსკუმაში ჩაჭედილი, და უკვე შეუძლებელია წაგებულის ამოგება და სიმამაცის გამოჩენა, ადრე უნდა მეფიქრა.

აწ მე ისა ვარ, ვინც საკუთარი თავის იუდად ვიქეცი, ვინც საკუთარ თავს ვუღალატე. აწ მე ისა ვარ, ვისაც თითიც ველარ გამინძრევია, ვინც უხმოდ ვითხოვ შეწევნას, გარეთ კი ადამიანები ყოველდღიურობის ყლარტსა და ჭაობში ფართხალებენ, საღამოსთვის გეგმებს აწყობენ, ჭიტა ვარსკვლავებს ასცქერიან, თავაწეულნი დგანან

მაღალი სახლების წინ, რომელთაც მე ველარ დავინახავ. ლამის დამა-
ხრჩოს ამისთანა უსამართლობისა გამო ყელში ბურთივით გაჩხირულ-
მა გრძნობამ: რა ხდება? მე ცივ მიწაში უნდა ჩავწვე, სხვებმა კი კლა-
ვინდებურად უნდა იცხოვრონ? ამას მირჩევნია, რომ დედამიწა გასკ-
დეს და, ვინც კი ერთი ხომალდის გემბანზე შევყრილვართ, ყველანი
ერთად ჩავცვივდეთ იმ შავ ნაპრალში, სადაც ა[illegible]ქანები.
მიშველეთ! ცოცხალი ვარ! არ მომკვდარვარ, და თავი ჯერეთ კიდევ
მიმუშავებს.

კუბო სამარის პირას დადგეს. საცაა მიწაში ჩამდებენ. ცოლს მა-
ლე აღარც ვეხსომები, სხვას გაჰყვება, და მალე ერთად დახარჯავენ იმ
ფულს, რომელსაც რის ვაივაგლახით ვაგროვებდით და ვინახავდით
მთელი ეს წლები! თუმცა, საქმე რა, ფულშია? არა, ხალხო და ჯამაა-
თნო, ცოლის გვერდით ყოფნა მინდა, ცოცხალი ვარ, ცოცხალი!

ტირილი მესმის, და ვგრძნობ, როგორ ჩამომიგორდა ქუთუ-
თოთაგან ორი კურცხალი. ვინმე ახლა კუბოს რომ ახდიდეს, დამინა-
ხავენ აცრემლებულს და მიშველიან. მაგრამ ახდიდეს კი არა, უკვე
სამარის ძირზე დამიშვეს. ანაზდად სულ ჩამობნელდა. წელან, სანამ
თავსახურავი მჭიდროდ არ მეხურა, ცოტა შუქი კიდევ შემომდიოდა,
აწ კი სრულ წყვდიადში ვარ. მესმის, რა ბრახაბრუხით მაყრიან მიწას
ნიჩბებმოვარგებული მესაფლავენი. მე კი სული მიდგას! ცოცხლად ვარ
დამარხული! ჰაერი არა მყოფნის, ყვავილების სუნს ველარ ვიტან. ნა-
ბიჯების ხმა აირია — ხალხი იშლება. თავბრუ მესხმის. ვერ გავნძრე-
ულვარ. თუკი სუყველა წავა, ღამე მით უფრო ვის რასლა გავაგონებ!

ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა. ჩემი ცნობიერების ყრუ დრტვი-
ნვა არცვის ყურს არ მისწვდენია. წყვდიადსა და მარტოობაში ვარ
დარჩენილი და ვგრძნობ, როგორ მემღვრევა გონება ჰაერის ნაკლე-
ბობისა და ყვავილთა გამაბრუებელი სუნისაგან. მოულოდნელად
ჩქროსავით რამ ხმა მეყურება, ადრე რაც არა მსმენია: მატლებს ფუ-
ილი გააქვთ! ცივი, ნოტიო მატლები ზედ დამფუთფუთებენ და მზად
არიან ჩემს შესაჭმელად. ცხადია, ცოცხალი უფრო ვეგემრიელები. რაც
ძალი და ღონე მაქვს, ვიძაგრები, რა არი თითი მაინც გავანძრიო, მა-
გრამ გახევებული სხეული არ მომდევს. მატლები უკვე სახეზეც დამ-
დიან, კისერსაც მისინჯავენ, შარვალშიც მიძვრებიან. ერთმა სწორი
ნაწლავიც მიპოვა, მეორე ნესტოში შემიცოცდა. მიშველეთ! ცოცხლად
მხრავენ! ვყვირი, ვიჭაჭები, მაგრამ იყვირე რამდენიც გინდა — არც-
ვინ გამგონი არა ჩანს.

ნესტოდან მატლი ყანყრატოში გადამდის. ვგრძნობ, რარიგ ჩა-
მეხრახნა ყურში კიდევ ერთი. რა ვქნა, როგორ ვუშველო თავს?! რო-
გორ ამოვიდე აქედან?! ღმერთი მაინც სად არის, რატომ არ ესმის
ჩემი ხმა?! საცაა ეს ქვეწარმავალი ჭიაჭუანი ყელს გამომაჭამენ, და
მერე რაღას ვიყვირებ! უკვე ყოველმხრივ შემომესივნენ, ადგილი აღარ
დამიტოვეს გულ-გვამში შეუძრომელი: ზოგი ყურებიდან მიძვრება,
ზოგიც პირიდან, ის კი არა, შარდსადენ მილსაც მიაგნეს, მთელ გულ-
მუცელში ვგრძნობ ამაზრზენ ფუთფუთს. უნდა ვიყვირო! როგორმე
უნდა დავიხსნა თავი! არადა, როგორი ამბავია — სველ და ბნელ
სამარეში ვგდივარ, ზედ მიწა მაყრია და მატლები მჭამენ.

ჰაერი არა მყოფნის... როგორმე უნდა ავმოძრავდე! როგორმე კუბო უნდა გავანგრიო! ღმერთო, ყოველადძლიერო, მომეცი განძრევის ძალა! **აქედან უნდა დავაღწიო თავი! უნდა დავაღწიო... როგორმე გავინძრევი! გავინძრევი! ცოტაც კიდევ... ცოტაც კიდევ...**
აკი ვთქვი, გავინძრევი-მეთქი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბო სულ ფიცარ-ფიცარ დაიშალა და მიმოიფანტა, სამარეც გაქრა, და მთელი მკერდით ჩავისუნთქე სანტიაგოს გზის გრილი ჰაერი. სულ ერთიანად ვკანკალებდი, ოფლში ვცურავდი. გავინძერი და მივხვდი, რომ დედის ხსენი არ შემრჩენოდა. ჯანდაბას, რაც იყო, იყო! მთავარია, რომ ცოცხალი ვარ!

ცახცახატანილი კი ვიყავი, მაგრამ არცრა მიღონია იმის დასაცხრომად. განუზომელმა შინაგანმა სიმშვიდემ მომიცვა, როცა ვიგრძენი, რომ გვერდით ვილაც მედგა. თავი მივაბრუნე და ჩემი სიკვდილის სახე მოვიხილე. არა, ეს ის არ იყო, ჩემი წარმოსახვით შექმნილი და ჩემივე შიშისაგან შობილი სიკვდილი, რომლის მოსვლასაც სულ რამდენიმე წუთის წინ ტანი მიგრძნობდა, — არა, ეს ჭეშმარიტად ჩემი სიკვდილი მომეახლა, სათანადო მოყვასი და კეთილი მრჩეველი, რომელიც ერთი წამითაც შეკრთომის ნებას არ მომცემს.

ამიერიდან და საკვლავოდაც ის უფრო მეტად შემეწევა, ვიდრე პეტრუსის ხელი და რჩევა-თათბირი. ის ნებას არ დამრთავს, რომ „მერესთვის“ შემოვიტოვო რამე, რისი გაღებაც ამჯერად ეგების. ის არამც და არამც განზე არ დამაყენებს ყოველდღიურ ბრძოლათაგან, ის აუცილებლად გამამარჯვებინებს **სამართლიან ომში.**

დღეის ამას იქით რასმე რომ ჩავიდენ თავს აღარცროდის ურიგმარიგობაში არ დავიდანაშაულებ, რამეთუ აგერ ის წინ მიდგას და მეუბნება, ოდეს ამა სოფლით გაღმა გაგაბიჯებინებ, თან ყოველთა ცოდვათაგან უმძიმესი ცოდვის, ანუ სინანულის თრევა აღარ დაგჭირდებაო. ვუცქერი ამ დალოცვილის ალერსიან სახეს, ვიცი, რომ უამისობა არ იქნება, ბევრიც რომ ვეცადო, ვერსად ვერ გავექცევი, და ვიდრე ჩემი დროა, ხარბად უნდა დავეძაბრო უკვდავების წყლის მჩქეფარე წყაროსთვალს, ანუ ჩვენს წილ წუთისოფელს.

და ღამემ აღარცრა საიდუმლო არ შეირჩინა, აღარცრა შიში. ბედნიერ და მშვიდობიან ღამედ იქცა. ცახცახმა გამიარა, წამოვდექი და იქითკენ წავედი, სადაც გლეხკაცთ თავიანთი ტუმბოები დაეტოვებინათ. რაც ზედ შარვალი მეცვა, გავიხადე და გავრეცხე, ხალთაგუდიდან კი სხვა ამოვიღე და ჩავიცვი. მერე ისევ ხესთან მივბრუნდი, პეტრუსის მიერ დატოვებული სენდვიჩებით ცოტა თავი მოვიმაგრე. და, კაცობას ვფიცავ, ჩემს სიცოცხლეში უფრო გემრიელად არაფერი არ მიჭამია, იმიტომ რომ ცოცხალი ვიყავი, იმიტომ რომ სიკვდილი აღარ მაშინებდა.

დასაძინებლად იქვე ხის ძირას მივწექი. და არცროდის წყვდიადში თავი ესოდენ მოსვენებულად არ მიგრძნია.

„ცოცხლად დამარხულის“ სავარჯიშო

მიწაზე დაწექი და მოდუნდი. ხელები მიცვალებულივით გულზე დაიკრიფე.

წარმოიდგინე შენი დაკრძალვა მთელი თავიანთ წვრილმანებით, ვითომ ხვალ უნდა დაგმარხონ, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სამარეში ცოცხლად ჩაგასვენებენ.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ წარიმართება სრულად პროცედურა: წესის აგება, გამოსვენება, კუბოს მიტანა სასაფლაოზე, სამარეში კუბოს ჩაშვება, მატლები — სულ უფრო ძლიერად ძაგრავ კუნთებს და ჯიუტად, ოღონდ უშედეგოდ ცდილობ განძრევას.

ვერა და ვერ ინძრევი. უკვე მეტის მოთმენის თავი აღარა გაქვს და მთელი ტანის მოძრაობით მიაშსხვრ-მოამსხვრევ კუბოს, ერთს ღრმად ჩაისუნთქავ — და განთავისუფლდები. ეს მოძრაობა დიდ ეფექტს მოახდენს, თუკი თან გულ-გვამიდან წამოსული ყვირილისდამაგვარი უგვანი რამ ხმიანობა ეხლება.

სისუსტენი

მე და პეტრუსი ცის დასალიერამდე გადაჭიმული პურის ყანის შუაგულში ვიდექით, რომელი ყანის მოსაწყენ ერთფეროვნებასაც შუა საუკუნეების ჯვარგამოსახული ბოძკინტი არღვევდა — ლოცვადმავალთა გზის ნიშანსვეტი. იმ ბოძკინტს რომ მივადექით, პეტრუსმა მუხლი მოიყარა და ,შენც დაიმუხლეო, მთხოვა.

— მოდი ვილოცოთ. იმ ერთადერთი რამისთვის ვილოცოთ, რასაც თავისი მახვილის მპოვნელი პილიგრიმის დამარცხება შეუძლია, — ადამიანის დამახასიათებელ სისუსტეთათვის ვილოცოთ. რა სრულყოფილადაც არ უნდა ფლობდეს ის პილიგრიმი დიდ მასწავლებელთაგან ნამოძღვრალ ბრძოლის ხელოვნებას, ერთ-ერთი თავისივე ხელი შეიძლება რომ უბოროტეს მტრადაც გადაექცეს. მოდი ვილოცოთ, რომ შენი მახვილი, — თუკი, რასაკვირველია, იპოვე — მუდამ იმ ხელში გეპყრას, რომელიც არ შეგარცხვენა.

დღის ორი საათი გახდა. პეტრუსმა სრულ სიჩუმეში დაიწყო:

— უფალო, შეგვიწყალე ჩვენ, რამეთუ სანტიაგოს გზას ადევნებულნი ლოცვადმავალნი ვართ, და ამად მანკიერებაც ბევრი გვახლავს და სისუსტეც. ისერიგად მოგვანაყოფიერე ენით აუწერელი წყალობა შენი, რომ ვერცროდის ვერ შევიძლოთ შეძენილი ცოდნის საკუთარი თავის წინააღმდეგ წარმართვა.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც საკუთარი თავი იბრალება, ვინც ჰგონებს, რომ თვითონ ძალიანაც კარგია, ხოლო ცხოვრება ექცევა უსამართლოდ და სულაც არ იმსახურებს იმას, რაც იმის თავს ხდება, — რამეთუ ვერცროდის ვერ შეიძლებს სამართლიან ომში ჩაბმას. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც სას-

ტიკად ექცევა საკუთარ თავს, ვინც თავის საქციელში ოდენ ვერაგობასა და სიბოროტეს ხედავს, ვინც წუთისოფლის სუყოველ უსამართლობაში თავისთავს ადანაშაულებს. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...თქვენს თავზე თმაც კი დათვლილია“.

შეიწყალე ყოველნი, ვინც მბრძანებელია, და ისინიც, ვინც ერთ კვირადღეს, როცა ყველაფერი დაკეტილია და წასვლითაც ვერსად ვერ წასულა. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვისაც სამუშაკო წმიდათაწმიდად მიუჩნევია, ვინც თავისი სიშლეგის საზღვართ ჯიქურ გადადის და ბოლოს ან ვალებში ეფლობა, ან თავისივე ძმად ხმობილთა შეწევნით ჯვარზე აღმოჩნდება ხოლმე. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...იყავით გონიერნი ვითარცა გველნი და უმანკონი ვითარცა მტრედნი“.

შეიწყალე სიკვდილისშვილი, ვისაც მთელი ქვეყნიერების ძლევა ძალუძს, ხოლო თავის თავთან სამართლიანი ომის მოგების ძალა არ შესწევს. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც სამართლიან ომში თავის თავს მორევია, აწ კი სადმე ცხოვრების კუთხე-კუნჭულსა და ბარებშია ატუზული, იმიტომ რომ ქვეყნიერებას ვერა სძლია. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს, ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც შიშით ხელში ვერ აუღია კალამი ანდა ფუნჯი, საჭრეთელი ანდა სხვა რამ იარაღი, რადგან ჰგონია, რომ იმაზე ბევრად უფრო ადრე და ბევრად უფრო კარგად უკვე სხვამ გაართვა ამ დანიშნულებას თავი, ვინც ღირსად არ მიიჩნევს თავის თავს ხელოვნების კურთხეულ სრასახლში შესასვლელად. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც გაბედა და ხელში აიღო კალამი ანდა ფუნჯი, საჭრეთელი ანდა სხვა რამ იარაღი, მაგრამ თავიანთ შთაგონებას თვითკმაყოფილებისა და სხვათა მიმართ თავიანთი უპირატესობის უბადრუკ და უსახურ ფორმაში აქცევენ. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...არ არის რამ საიდუმლო, რომ არ გაცხადდეს, და არც რამ დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც არც სასმელ-საჭმელი აკლია და ყველაფერი თავზე საყრელი აქვს, მაგრამ უბედური და მარტოსულია თავის სიმდიდრეში. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც მარხულობს და ითმენს, ვანიკითხავს და კრძალავს, რისა გამოც თავს სიწმინდეზე დებს და შენს სახელს მოედნებზე მოიხსენიებს. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... უკეთუ მე ჩემსავე თავს ვმოწმეობ, მოწმეობა ჩემი არ არის ჭეშმარიტი“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც სიკვდილისა ეშინია, ვინც არ უწყის, უკვე რაოდენ ბევრი სამეფო გაცამტვერდა, უკვე რაოდენ ბევრი მკვდარი მოკვდა, ვინც უბედურია იმის გაფიქრებით, რომ ერთხელაც სოფელს ბოლო უნდა მოეღოს. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი

მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც მრავალი თავისიანის სიკვდილს მოესწრო, თვითონ კი თავი სიკვდილუხდელი ჰგონია. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს".

შეიწყალე ყოველნი, ვინც სიყვარულის აბრეშუმის [illegible]ში გაბმულა, ვისაც ვისიმე ბატონად მიუჩნევია თავი, [illegible] იტანჯება, ვინც სამსალათი იკლავს თავს და იდაგვის, ეწამება, ვინაიდან ვერ მიმხვდარა, რომ სიყვარული ისევე ცვალებადია, როგორც ქარი და ყოველივე არსებული ამ ქვეყანაზე. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც შიშისაგან კვდება, ემანდ ვინმე არ შემიყვარდესო, და სიყვარულს უარყოფს ვითომ ჭეშმარიტი სიყვარულის გულისთვის, რომლის გაგებაშიც არ არის. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „...ვინც შესვამს წყალს, რომელსაც მე მივაწვდი, საუკუნოდ არ მოსწყურდება".

შეიწყალე ყოველნი, ვინც დამდგარა და ცამყარის საიდუმლოს სულ უბრალოდ ხსნის, ვისთვისაც ღმერთი ოდენ ჯადოსნური კვერთხია, ვისაც ადამიანი ოდენ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაჩენილი ჰგონია, რადგან თავად ყრუა ციური მუსიკის მოსასმენად. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც ბრმამორწმუნეობას შეუპყრია და თავის რეტორტათა შიგან სინდიყის ოქროდ ქცევას ცდილობს, ვინც იმ წიგნების ციხე-კოშკში ჩაკეტილა, სადაც ტაროს საიდუმლოთა და პირამიდათა ძლევამოსილების ამბავია მოთხრობილი. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი".

შეიწყალე ყოველნი, ვინც თავისი თავის გარდა, ვერა ხედავს ვერავის, ვინც თავისი ლიმუზინის ფანჯრებიდან ისე გასცქერის სხვა კაცთ, როგორც შორ და დაშორებულობისა გამო გაბუნდოვანებულ პეიზაჟს, ვინც ზედა სართულზე კონდიციონერიან კაბინეტშია გამომწყვდეული და მდუმარედ იტანს ყოვლისშემძლეობის ლიტონ წამებას. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც გულმოწყალე და სულგრძელია, მთელ თავის ავლადიდებას ალალად გასცემს და ბოროტის დამარცხების ერთადერთ გზას სიყვარულში ეძიებს. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „ვისაც ქისა აქვს, აიღოს, ასევე გუდა. ხოლო ვისაც არა აქვს, თავისი ტანსაცმელი გაყიდოს და მახვილი იყიდოს".

უფალო, შეგვიწყალე ჩვენ, ვინც ვეძიებთ და ვსასოებთ შენგან გაცხადებული მახვილისა ხელში აღებას, შეიწყალე მთელ დედამიწის ზურგზე მიმოფანტული მართალი და ცოდვილი ხალხი. რამეთუ საკუთარი თავი ვერ გვიცნია და ხშირადრე ვგონებთ, რომ ტანთ გვაცვია, არადა შიშველნი ვართ; სულ გვგონია, რომ დანაშაული რამ ჩავიდინეთ, არადა ვილაც გადავარჩინეთ. ნუ გვიგულმავიწყებ შენს გამოუთქმელ მადლში ნურცვის ჩვენგანს, — ვისი ხელიც, მახვილისა მპყრობელი, — ერთჟამიერად ანგელოზის ხელიც არის და დემონის ხელიც. რამეთუ ამა სოფელ-ქვეყნად დავმკვიდრებულვართ, აქა ვრჩებით და გვეჭირვება თავი შენი, თავი შენი და სამართალი შენი, ის კი

გვაუწყებს: „...ოდეს უქისოდ, უგუდოდ და უხამლოდ გაგზავნიდით, გაკლდათ რამე?“

პეტრუსმა ლოცვა გაასრულა. კვალად ისეთივე სიჩუმე იდგა. ჩემი მეგზური თვალგაშტერებული გაჰყურებდა ჩვენ გარშემო ამზეკაბანებულ პურის ყანას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონაგარ-ნასისხლი

იმ დღის ბოლოს ერთი ციხის ნაშალს მივადექით, რომელი ციხეც ადრე თურმე ტამპლიერთა ორდენს ეკუთვნოდა; ეს ადგილი სულის მოსათქმელად ზედგამოჭრილი გვეჩვენა და დავფერხდით. პეტრუსმა თავის უცვლელ სიგარას მოუკიდა, მე სადილიდან შემორჩენილი ღვინო გამოვწრუპე. მერე გარშემო მიმოვიხედე — თვალი შევავლე გვერდიგვერდ მიდგმულ რამდენიმე გლეხურ კარ-მიდამოს, ციხის გოდოლს, გადაშავებული ანეულის ტალღიან ზედაპირს. მოულოდნელად ჩემგან მარჯვნივ ციხის კედლების ნანგრევებიდან მწყემსი ვინმე გამოჩნდა თავის ცხვრებიანად. ცის კამარას დაისის ცეცხლი ეკიდა, და ცხვრის ჩლიქით აყენებულ მტვრის კორიანტელში ყველაფერი სიზმრისეულად შინისლული და დაბუნდებული იყო... არემარე ჯადოსნურ სურათს რასმე ჰგავდა. მწყემსმა ხელი აგვიწია, მოგვემშვიდობა. ჩვენც ხელის აწევითვე მივესალმეთ.

ცხვრებმა გვერდით ჩაგვიარეს და თავიანთ გზას გაუყვნენ. პეტრუსი წამოდგა. ძალიან შთამბეჭდველი სანახაობა იყო.

— წავედით! უნდა ვიჩქაროთ, — თქვა მან.

— რატომ?

— იმიტომ! შენ რა, არ გესმის, ნამეტანი რომ გავიგრძელეთ სანტიაგოს გზა?

მაგრამ რაღაც მიკარნახებდა, რომ ჩემი მეგზურის უცაბედი აჩქარება იდუმალ უკავშირდებოდა მწყემსისა და ცხვრების მაგიურ გამოჩენას.

ორ დღეში სამხრეთით აყუდებული მთების ძირას აღმოვჩნდით, რომელი მთებიც ნირს უცვლიდნენ პურის ყანების თვალგადაუწვდენელი სივრცის ერთფეროვნებას. კორტოსებ-ბორცვებიანი დაბლობი ადგილ-ადგილ ბადრე ჰავიერის მიერ ხსენებული ყვითელი ნიშნებით იყო მოფენილი. პეტრუსმა კი დაადო თავი და არცრა უთქვამს, არცრა აუხსნია, სულაც გვერდი აუარა იმ ნიშანთ, ჯიუტად გაუტია ჩრდილოეთისკენ. შეცბუნებულმა რამდენჯერმე ვკითხე, საით მივდივართ-მეთქი, იმან კი, მეგზური მე ვარ და მომყევი, ვიცი, საითაც მივდივართო, ცოტა არ იყოს, ბრაზი დაიტყო ხმაში.

ნახევარ საათზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნებოდა გასული, როცა ჩანჩქერის ხმაურისდამაგვარი ჩხრიალი გაისმა. გარშემო მარტო მზისგან გადამწვარი ყანობირი ჩანდა, და გავიფიქრე: ალბათ, თაველთავთავთ თუ აშრიალებს-მეთქი ქარი. მაგრამ ხმაური ყოველ გადადგმულ ნაბიჯთან ერთად თანდათან ძლიერდებოდა, [illegible] სულ არ გამიქრა: ჩვენ თვალწინ ნამდვილად ჩანჩქერი გ[illegible] წყალუხვი, ჩაბარუხი. საოცრება კი ის იყო, რომ თავი აქეთ-იქით ბევრი ვატრიალე, მაგრამ ახლომახლო მთა ვერ შევამჩნიე, საიდანაც წყალს ვარდნა შეეძლო.

მხოლოდ ერთი დაფერდებული გორაკის კინჭუხთხემი რომ გადავიარეთ, მაშინლა მივხვდი მისახვედრს და სუნთქვა შემეკრა ბუნების ამ უჩვეულო ქმნილება-ნაქმედის ხილვით აღტაცებულს: ხუთსართულიანი სახლის დამტევნელ ღრანტეებში წყალი დუღდა და გადმოდუღდა დედამიწის გულისკენ დაქანებული. ამ ერთობ დევერხინა ღრანტობ-დარანის ნამხლვლევ ნაპირთ კი ხშირად ატეხილი ხასხასა შალდაყი მოსდებოდა, აჩოყებული და გაბარდნული. რაც გასაოცრად განსხვავდებოდა იმ შემჭკნარ-შეჭმაქული მცენარეულობისგან, გზადაგზა არცთუ იშვიათად ფეხქვეშ რომ გვედებოდა.

— ქვემოთ აქედან ჩავალთ, — თქვა პეტრუსმა.

და დავეშვით, ნელ-ნელა, გვერდულად, და უმალ ეიულ ვერნი გამახსენდა — მეჩვენებოდა, რომ დედამიწის გულისკენ მივემართებოდით. ციცაბო ფერდობზე დაშვება იოლი არ იყო: ემანდ არ დავგორდეთ-მეთქი, ხან რომელ ეკალბარდს ვეჭიდებოდი, ხან რომელ ეკალჯაგს, ხანაც ალაგ-ალაგ გამოშვერილ ბასრ ქვის ლოჯთ ვებღაუჭებოდი. ასე რომ, როცა ძირს ჩავაღწიეთ, ხელები სულ მთლად დაგაზულ-დაკაწრული მქონდა.

— ბუნების საოცარი ქმნილებაა, — თქვა პეტრუსმა.

დაუთანხმებლობა არ ეგებოდა. შუაგულ უდაბნოში გაჩენილი ეს ოაზისი, მთელი თავისი აღალანებულ-აბიბინებული მცენარეულობით, წყლის ნაშიშხალ-ფარდახტი ზედ უთვალავ ცისარტყელად რომ დასციმციმებდა, ახლოს ისეთივე თვალწარმტაცი იყო, როგორიც ზემოდან ჩანდა.

— აქ ბუნება თავის ძალას აჩენს, — დაბეჯითებით წარმოთქვა პეტრუსმა.

მართალი ხარ-მეთქი, დავეთანხმე.

— და ჩვენც ჩვენი ძალის გამოჩენის საშუალებას გვაძლევს. წამო, კლდე-კლდე ავყვეთ ჩანჩქერს, წყლის ღვარის გასწვრივ.

ერთხელ კიდევ შევათვალიერე სურათი, რომელიც ჩემ თვალწინ გადაშლილიყო, აწ უკვე აღარ მხიბლავდა ტურფა ოაზისი, ბუნების ეს უცხოდ განატიფებული იკლიკანტური სიჩქარე თუ ნაოცნებარ-გამონაგონი. თავაბლეჩილი ვიდექი თხუთმეტმეტრიანი კედლის წინ, საიდანაც გამაყრუებელი ჩხრიალ-გრიალით მოექანებოდა ნიაღვარი. პატარა ტბა, რომელსაც ქვემოთ ეს ნიაღვარი ქმნიდა, ღრმა არ იყო — კაცის სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ მგრგვინავი წყალი ღრადო-დარან-

ში მიექანებოდა და ღმერთმა უწყის, სად, რომელ უფსკრულში ინთქმებოდა. კლდე ფრიალო და პიტალო იყო, სიპი, ხელის მოსაჭიდს ადგილად ვერ უპოვიდი, ტბას კი სიმარჩხისგან ძირი უჩანდა, ხე რომ, თუ დაგორდებოდი, განწირული იყავი — წყალი ზღართანს ვერ შეგიმსუბუქებდა. ნამდვილად შეუსრულებელი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი.

ჩემდა უნებურად ხუთი წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა, როდესაც უაღრესად საშიში რიტუალის შესასრულებლად აგრევე სიმაღლეზე ასვლა იყო საჭირო. მოძღვარმა მაშინ არჩევნის შესაძლებლობა მომცა — გინდ ადი, გინდ — არაო. იმ დროს ბევრად ახალგაზრდა კაცი ვიყავი, თანაც ჩემი მოძღვარი ქვეყანაზე ყოვლის უძლიერესი მეგონა, ტრადიცია კი — მთლად სასწაულთათვის შექმნილი, და აგრერიგად გატაცებულმა გადავწყვიტე, რომ უკან არ დამეხია. ყველაფერს რომც თავი დავანებოთ, ჩემი სიქველისა და ვაჟკაცობის გამოჩენა მინდოდა.

ერთი საათის ბღოტიალის შემდეგ, როცა დავალების ყველაზე რთული ნაწილი უნდა შემესრულებინა, ისეთი ქარი ამოვარდა, ძირს რომ არ დავგორებულიყავი, იმ პატარა ბუსნოს დავებღაუჭე, რომელზედაც ვიდექი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თითქმის იმწუთასვე ვიგრძენი, რომ ვიღაც ხელს მაშველებდა, მიჭერდა, რათა ქარს ქვევით არ წაველე. თვალები რომ გავახილე, ჩემ წინ მოძღვარი იდგა.

მან რამდენჯერმე ააქნია ხელები და ქარი მოულოდნელად ჩადგა. მერე, თითქოს ფრთები გამოისხაო, წარმოუდგენელი სისხარტით ჰკრა კამარა, — რომელ სისხარტეშიც ხანისად ლევიტაციის გამომუშავებული ჩვევა, ანუ ჰაერში ცორვა-ლივლივის უნარი მჟღავნდებოდა, — ცქვიტად დაეშვა მთიდან და, მომყევიო, მიბრძანა.

ფეხებაკანკალებული ძირს რომ ჩავედი, გაბრაზებულმა ვკითხე, ქარი რატომ მანამ არ ჩააყენე, სანამ დამეძგერებოდა-მეთქი.

— ეგრე მინდოდა, განგებ დაგაძგერე, — იყო პასუხი.

— რათა დაგეღუპე, არა?

— რათა გადამერჩინე. სხვანაირად მთის წვერზე ვერ ავიდოდი. როცა შეგეკითხე, მთაზე ასვლა გინდა თუ არა-მეთქი, შენს ვაჟკაცობას კი არა, სიბრძნეს ვამოწმებდი. შენ იმ ბრძანებას ასრულებდი, რომელიც მე არ მიბრძანებია შენთვის. ლევიტაციის ხელოვნება თუ გეცოდინებოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ სიმამაცისა თუ სიჩაუქის გამოჩენა შენ იქ ამჯობინე, სადაც მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონიერება იყო საჭირო.

და მაშინ იგი მოგვთა ამბავს მომიყვა, რომელი მოგვნიც გონების თვალის ახელისას კეთილგანმსჯელობის უნარს კარგავდნენ და თავიანთ საკუთარ ძლიერებას ველარ განასხვავებდნენ თავიანთივე მოწაფეთა ძლიერებისგან. ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთში, ტრადიციის შესწავლას რომ მივუძღვენი, სამ უდიდეს მოძღვართან მომიხდა შეხვედრა — ერთი იმათგანი იყო ჩემი საკუთარი მოძღვარიც, — სამთავეს თავიანთი ფიზიკური ძლიერების ისეთ სფეროებში გადატანა ხელეწიფებოდა, რომელთა ხილვაც ჩვეულებრივ ადამიანს სიზმარშიც კი

არ შეუძლია. ჩემი თვალით ვხედავდი არა ერთსა და ორ სასწაულს, ჩემი ყურით ვისმენდი მომავლის არა ერთსა და ორ ზუსტ წინასწარმეტყველებას, ვიცნობდი გარდასულ რეინკარნაციათა მთელ წყებას. ჩემმა მოძღვარმა ორი თვით ადრე მითხრა არგენტინელთაგან მალვინის კუნძულების დაპყრობის ამბავი. მან დაწვრილებითვე მიამბო, როგორ მოხდებოდა მოვლენათა განვითარება და ასტრალურ თალსაზრისით ამიხსნა შეიარაღებული შეტაკების მიზეზები.

თუმცა იმ დღიდან იმასაც ვამჩნევდი, რომ ისეთი მოგვნიც არიან, რომელთაც, ჩემი მოძღვრის თქმით, „გონების თვალის ახელისას კეთილგონიერება დაუკარგავთ". ისინი თითქმის ყველაფერში — თავიანთ ძლიერებაშიც კი — მოძღვართ არ ჩამოუვარდებოდნენ: სხვის ნათქვამს არ ვამბობ, მე თვითონ მოვიხილე, უკიდურესი კონცენტრაციის თხუთმეტი წუთის განმავლობაში, როგორ გააღივა და ამოზარდა, აღმოაცენა ერთ-ერთმა მოგვმა მიწაში ჩაგდებული მარცვალი. მაგრამ იმანაც და ზოგიერთმა სხვამაც უკვე სიგიჟემდე და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს არაერთი თავიანთი მოწაფე. ზოგ-ზოგნი იმ მოწაფეთაგან ფსიქიატრიულ კლინიკებში მოხვდნენ, და ერთი შემთხვევა თვითმკვლელობითაც კი დასრულდა. ეს მოგვნი ტრადიციის „შავ სიაში" შეიყვანეს, თუმცა ყველას კონტროლი შეუძლებელი იყო, ასე რომ, რამდენადაც ვიცი, ზოგიერთნი დღესაც განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას.

მთელმა ამ მიმოგონებამ წამერთ გამიელვა თავში, როგორც კი თვალი შევავლე ჩანჩქერს, რომლის ძლევაც ყოველგვარ ადამიანურ ძალას აღემატებოდა. კიდევ ისიც გავიფიქრე, რა ხანია, რაც მე და პეტრუსი ერთად მოვდივართ-მეთქი, გამახსენდა შავი ნაგაზიც, მე რომ მეცა, ჩემი მეგზურისთვის კი არცრა უვნია, გამახსენდა რესტორანში ჩვენი მომსახურე ოფიციანტის ამბავიც, გამახსენდა აგრეთვე, როგორ წავუქეიფეთ ქორწილში. გამახსენდა და ჩემდა უნებურად წარმოვთქვი:

— პეტრუს, ცოცხალი თავით ამ ჩანჩქერზე ამსვლელი არა ვარ. მხოლოდ ერთადერთი მიზეზისა გამო: შეუძლებელი ამბავია.

მან არცრა მიპასუხა. ბალახზე დაჯდა. მეც დავჯექი. თითქმის მეოთხედი საათი დუმილში გავატარეთ. და რახან მივხვდი, რომ დუმილი ფარ-ხმალს მაყრევინებდა, პირველი ავძრახდი:

— ამ ჩანჩქერზე ასვლა არ მინდა, ვიცი, ჩამოვვარდები. ვიცი, არ დავიღუპები: როცა ჩემი სიკვდილის ხატი მოვიხილე, დღეც დამეთქვა, რომელ დღესაც ის ჩემს წასაყვანად უნდა მოვიდეს. თუმცა, ამ სიმაღლიდან ჩამოვარდნილი, ალბათ, მთელი ცხოვრება ხეიბარი დავრჩები.

— ეჰ, პაულო, პაულო... — პირმოიმარმა შემომხედა მან და სულ მთლად გადასხვაფერდა: ხმაში ყოვლისმომცველი სიყვარულის კილო აუჟღერდა, თვალებში კი ციაგი გაუჩნდა.

— ალბათ, ფიქრობ, რომ შენი მორჩილების ფიცსა ვტეხ, რომელიც გზის დასაწყისში მოგეცი, არა?

— არა, შენ ფიცს არა ტეხ. შენში ახლა შიში კი არა, უბრალოდ სულიერი უხალისობა ლაპარაკობს. და არც ისა მგონია, რომ ჩემზე გეფიქროს, უაზრო რამ მიბრძანაო. ჩანჩქერზე ასვლა იმიტომ არ გინდა, რაკილა ახლა უთუოდ შავ მოგვთა* ამბავი გაგახსენდა. თუკი რასმე დამოუკიდებლად გადაწყვეტ, ფიცის გატეხას სრულებითაც არ ნიშნავს. ლოცვადმავლის ამ უფლებას არცვინ საეჭვოდ არა ხდიდა.

ჯერეთ ჩანჩქერს შევხედე, მერე — პეტრუსს. ხან ავწონე, ხან დავწონე, არის თუ არა ჩანჩქერზე ასვლის რამენაირი შესაძლებლობა-მეთქი, და ვერცრა შესაძლებლობა ვერ დავინახე.

— ყურადღებით მისმინე, — განაგრძო მან. — პირველი მე წავალ და არავითარ ზეუნარს არ გამოვიყენებ. წავალ და ავალ კიდეც. და თუ მე მხოლოდ იმიტომ შევძლებ ასვლას, რაკი ვიცი, ფეხი სად უნდა დავადგა, შენც შეძლებ. შენ მარტო ჩემი ყოველი მოძრაობის გამეორება მოგიწევს. ამრიგად, გისპობ რისამე გადაწყვეტის უფლებას. ხოლო, თუკი არც იმის შემდეგ ამოხვალ, უკვე წყალზევით ასულს რომ დამინახავ, ცხადია, ფიცის გატეხა გამოგივა.

და სპორტული ფეხსაცმლის გახდა დაიწყო. პეტრუსი სულ ცოტა ათი წლით მაინც იქნებოდა ჩემზე უფროსი, ასე რომ, უკეთუ მან შეძლო ასვლა, როგორც იტყვიან, საპასუხოდ სათქმელი აღარცრა დამრჩებოდა. ჩანჩქერის მარტო შეხედვაზედაც კი გულის კოვზის ქვეშ საშინელმა სიცივემ გამკრა.

მაგრამ პეტრუსი არ იძვროდა. ფეხთგახდილი ისევ თავის ადგილას იჯდა. მერე ცას ახედა და აძრახდა:

— აქედან რამდენიმე კილომეტრზე 1502 წელს ერთ მავან მწყემსს ყოვლადწმინდა ქალწული გამოეცხადა. დღეს სწორედ გზის ყოვლადწმინდა ქალწულის დღეობაა, და ჩემს ღონისძიებას იმას ვუძღვნი. შენც ამასვე გირჩევ. მარტოოდენ ბასრ ქვათაგან ნაღლეტი და დაგაზულ-დაკაწრული შენი ხელ-ფეხის ტკივილს ნუ მიუძღვნი მაცხოვრის დედას. თუმცაღა, მთელი კაცობრიობა აგრე იქცევა, ოდენ თავის ტანჯვასა და წამებას სძღვნის ყოვლადწმინდა ქალწულს. ვერა, ვერცრა დასაძრახს ვერა ვხედავ ამ ძღვნობაში, მაგრამ მაინც ვგონებ, იგი ბევრად უფრო გაიხარებდა, უკეთუ ადამიანები არა მარტო თავიანთ დარდსა და მწუხარებას, არამედ მეტ სიხარულს შესძღვნიდნენ.

სრულებით არ ვიყავი განწყობილი საუბრის განსაგრძობად და კვალად ვეჭვობდი, რომ ჩემს ეტიკს სადმე ასვლის ძალა შესწევდა. რაღაც ოინს თუ მიწყობს-მეთქი, ვფიქრობდი, და გულის სიღრმეში მწამდა, რომ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელში განგებ მხვევდა, რათა მერე ის ექნევინებინა, რისი ქმნაც არ მეწადა. და აგ-

---

* ტრადიციაში ეს სახელი იმ მოგვთ ეარქვათ, რომელთაც ზემოთ გადმოცემული მიზეზებისა გამო დაკარგეს მაგიური კავშირი მოძღვრებასთან. ტერმინი გამოყენებულია აგრეთვე იმ მოგვთა მიმართაც, ვინც შემეცნების პროცესში იმის შემდეგ გაჩერდა, როგორც კი მხოლოდ დედამიწის ძალების დამორჩილება შეიძლო.

რერიგად დაეჭვებულმა წამიერ მაინც მივლულე თვალები და გზის ყოვლადწმინდა ქალწულს ვუხმე. თანაც აღვუთქვი, თუკი მე და პეტრუსი ამ ციცაბოზე როგორმე ავბლოტდით, აქ ისევ დაგბრუნდებიმეთქი.

— რაც რამ აქამდე გისწავლია, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, უკეთუ საქმეს მოახმარ. მგონი, უკვე ათასჯერ მქონია შენთვის ნათქვამი, რომ სანტიაგოს გზა იმ ხალხის გზაა, ვინც ერთობლივ მოქმედებს. გინდ სანტიაგოს გზაზე და გინდ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვენგან შეძენილი სიბრძნე მარტო მაშინ არის ფასეული, როცა ის ჩვენს მოძმესა თუ თვისტომს ძნელბედობის ჟამს წაადგება. აბა, რა საჭირო იქნებოდა ჩაქუჩი, თუკი ლურსმანი არ გვექნებოდა? გინდა ლურსმანი რომც ყოფილიყო, ხოლო ჩაქუჩს მარტო ეტრაბახა, მე ვერანაირი ლურსმანი ვერ გამიძლებს, ორი დარტყმით სადაც მინდა, იქ ჩავარჭობო, ის არც მაშინ ელირებოდა რამედ, როგორც უმიზნო, და უაზრო საგანი. ჩაქუჩი უნდა მოქმედებდეს. თავი პატრონის ხელს უნდა მიანდოს, და თავისი დანიშნულება შეასრულოს.

ჩემდა უნებურად იტალიაელი მოძღვრის ნათქვამი წამომაგონდა: ხმალი მუდმივად თუ არ შეამოწმე და არ გამოსცადე, ქარქაშის ტყვედ დარჩენილს ფხა დაუჟანგდებაო.

— ჩანჩქერი ის შესაძლებლობაა, სინამდვილეში და რიტუალურად რომ შეგამოწმებინებს ყოველსავე, რაც კი რამ გისწავლია და შეგიცნია, — განაგრძობდა ამასობაში ჩემი მეგზური. — ერთ რასმე სასიკეთოს მაინც აუცილებლად ინიშნება: რახან შენი სიკვდილის დღე უკვე უწყი, მაშასადამე, აღსასრულის შიში ველარ გაგაშეშებს, როცა ცქაფად დაგჭირდება იმის მიხვედრა, თუ რას უნდა დაეყრდნო და დაებჯინო. ოღონდ უნდა გახსოვდეს, რომ წყალთან გექნება საქმე და წყლის კვალობაზე უნდა იმოძრაო. ამიტომ, თუ ცუდი რამ აზრი მოგივიდა, უმალ ფრჩხილი იტაკე ბერა თითის ნუნაში, და რაც მთავარია — მთელი შეღმართი ყოვლისმომცველ სიყვარულს დანდობილმა აიარე, რამეთუ დიახაც ის წარმართავს და ამართლებს სუყველ შენს ნაბიჯს.

პეტრუსი გაჩუმდა. პერანგი გაიძრო, შორტიც მიაყოლა, დედიშობილა შევიდა პატარა ტბაში, ერთი ჩაიყურყუმელავა და ხელები ცისკენ აღაპყრო. ვხედავდი, რომ ტკბებოდა და ნეტარებდა ათასფრად აშხეფებულ გრილ წყალში.

— კიდევ ერთი რამეც უნდა გითხრა, — თქვა პეტრუსმა, ვიდრე ჩანჩქერის ფარდას ამოეფარებოდა. — ეს წყალი იმასაც გასწავლის, როგორ უნდა გახდე ოსტატი. მე ასვლას დავიწყებ, მაგრამ მე და შენ წყლის კედელი გაგვყოფს. შენ ვერ დამინახავ, ფეხს სად დავადგამ და ხელებით რას ჩავებღაუჭები. ზუსტად აგრევე მოწაფე ვერცროდის ვერ შეძლებს თავისი მასწავლებლის მოძრაობათა ზედმიწევნით გამეორებას. რადგან სუყველას თავისი შეხედულება აქვს ამ სოფელ-ქვეყანაზე, დაბრკოლებათა გადალახვისა და მოპოვება-მონაგრების თავისი ხერხი აქვს. სწავლება იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას უჩვენო, დაანახვო, რაც შესაძლებელია. სწავლა კი იმას ნიშნავს, რომ იმ ვიღაცამ ის შესაძლებელი თავისად გაიხადოს.

ნათქვამისთვის აღარცრა დაუმატებია, პეტრუსი წყალვარდნილს უკან მოექცა და ასვლა დაიწყო. როგორაც დაბინდულ მინაში, ისეა ვხედავდი, მხოლოდ სილუეტს ვარჩევდი, მაგრამ მაინც დარწმუნდი, რომ აღმა მიცოცავდა. ნელა, ოღონდ ჯიუტად. რაც უფრო ცოტა რჩებოდა თავამდე, მით უფრო მეტად მიპყრობდა შიში — სუფთა ტანში მეც ხომ კვალდაკვალ უნდა მივყოლოდი. და დადგა კიდეც ქვეზე საშინელი წამი: საჭირო იყო წყლის სქელი კედლის გავლა, წყალი კი ისეთი ღვართაშით გადმოჩქეფდა, ვაითუ წაექცია პეტრუსი და ძირს ზღართანი მოედინებინა. მაგრამ მალე თავი წყალზევით გამოუჩნდა, და წამიერ მომეჩვენა, რომ ჩანჩქერი პეტრუსს მხრებიდან გადმოსჩანჩქარებდა ვერცხლისფერ მოსასხმად. ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა: მან სწრაფად აზიდა ტანი, არ ვიცი, რას მოეჭიდა — და უკვე ფეხმოკიდებული წყლის ღვარს მიეფარა. მერე თვალთაგან დამეკარგა.

დაბოლოს, ზევით გამოჩნდა, თხემზე. სველი ტანი მზეზე უბრწყინავდა. იღიმებოდა.

— აბა, ჰე! — ჩამომძახა და ხელი დამიქნია. — შენი ჯერია!

დასტურ ჩემი ჯერი იდგა. ან უნდა ავბღოტებულიყავი, ან არადა სამუდამოდ უარი უნდა მეთქვა ჩემს მახვილზე.

გავიხადე და ისევ შეეეველრე გზის ყოვლადწმინდა ქალწულს. ბევრი აღარ მიყოყმანია, ეგრევე გადავეშვი ტბაში და ჩავიყურყუმელავე. ცივი წყლისგან მთელი სხეული დამეძაგრა, მაგრამ უმალ თავით ფეხამდე სიცოცხლის უჩვეულო სიხარულის შეგრძნებით განვიმსჭვალე და ჩანჩქერისკენ წავედი გულმოცემული.

სულ ერთიანად აჩქეფებულ-ამხეფებულმა ცინცხალმა წყალმა ცხადში დამაბრუნა, ანუ ის უსაზრო გრძნობა ჩამინერგა, აგრერიგად რომ ადუნებს ადამიანს სწორედ მაშინ, ოდეს ყოვლის უმწვავესად ეჭირვება თავისი რწმენაც და თავისი ძალაც. მივხვდი: ღვართაში, ანუ წყლის მოწოლა, ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე ადრე მეგონა, — და თუ ვარდნილი წყალი მკერდზე მომეხეთქებოდა, ეგრევე წამაქცევდა, თუმცა ლიპ ქვაზე კი არა, ტბის ძირზე მყარად მედგა ფეხი. წყლის ღვარს მოვუარე და კლდესა და წყალს შუა მოვექეცი, ვიწრო სივრცეში, სადაც მხოლოდ ჩემი სხეული ეტეოდა, კლდეს მჭიდროდ მიკრული. და უცებ აღმოვაჩინე, რომ ამოცანა არც ისეთი რთული იყო, როგორც შორიდან ჩანდა.

წყალი კლდის კალთას ზედ არ ეცემოდა და, რაც ტინის კედლად წარმომედგინა, ის არ გამოდგა, — ადგილ-ადგილ ფოსო-ბელღოჯთაც მოვატანე თვალი, ნაბზართაც და წამონაშვერთაც. კინაღამ თავში სისხლი ამივარდა იმის გაფიქრებისას, რომ სულ ტყუილუბრალოდ უარვყოფდი ჩემს მახვილს, თუკი შიშატანილი ვერ ავბღოტდებოდი ამ კლდეზე, არაფრით რომ არ განსხვავდებოდა იმ კლდეთაგან, რომელთა ზედაც არაერთხელ ვიყავი ასული. და პეტრუსის ხმა ჩამომესმა: „ჰა, რაღას უცდი? ხომ ხედავ, როცა ამოცანა გადაწყვეტილია, უკვე ადვილზე ადვილი გეჩვენება, არა?“

თითქმის ზედ ავეკარი ნოტიო კლდეს და დავიწყე ასვლა. ათ წუთში მთელი მანძილი ავიარე. გზის ბოლო მონაკვეთიღა მქონდა დარჩენილი, ანუ ის ადგილი, სადაც წყალი დიოდა, სანამ ძირს ჩაჩქერალდებოდა. მაგრამ მთელი ამოვლილი გზა ნანაჯოგიანად დაკარგავდა აზრს, უკეთუ ვერ გადავლახავდი ამ პატარა მონაკვეთს. [illegible] გამარჯვებისგან რომ მყოფდა. აქ იბადებოდა ასლი მთავარ[illegible] თანაც ვერ დავინახე, როგორ გაართვა პეტრუსმა თავი ამ ადგილს, და ამიტომ მხოლოდღა ჩემი სიჩაუქის იმედად უნდა ვყოფილიყავი. ერთად მოვუყარე თავი მთელ ჩემს გამარჯვების რწმენას, კეთილი დასასრულის სასოებაც წამოვიშველე და კვლავ ვუხმე გზის ყოვლადწმინდა ქალწულს, რომლის შესახებაც უწინ გაგონილიც კი არა მქონდა რა. მერე ნელა, ძალიან ფრთხილად შევუშვირე თავი წყლის ამქუხარებულ ნიაღვარს.

და წყალმა მშთანთქა, ყოველი მხრიდან და თავით ფეხამდე დამბურა, შუქს ჩამოეფარა. მძვინვარე ღვართაშის ქვეშ რის ვაივაგლახით ვებღაუჭებოდი კლდეს და თავი ისე მქონდა დახრილ-დადრეკილი, რომ მცირეოდენი რამ საჰაერო დამეტოვებინა. უსიტყვოდ ვიყავი მინდობილი ჩემს ხელთა და ფეხთ, რომელ ხელთაც ოდესღაც უკვე სჭეროდათ ჩემი ძველი მახვილი, ხოლო ფეხთ სანტიაგოს გზა საკმარისად ეგემნათ. ოთხივენი ჩემი მეგობრები იყვნენ და აკი არც უღალატიათ. მაგრამ წყლის ნიაღვარი გამაყრუებლად მქუხარებდა, და მალე სუნთქვა გამიძნელდა. გადავწყვიტე, რომ თავით წინ ნიაღვარში შევჭრილიყავი, და რამდენიმე წამს უცებ თვალთ დამიბნელდა.

რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელებითა და ფეხებით ვებღაუჭებოდი კლდეს, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჩანჩქერის მქუხარებას სადღაც შორს, იდუმალ დასაკარგავში მივყავდი. და გინდ წამიერადაც თუ დავნებდებოდი ამ მსახვრელ, წარმტყვევნელ ძალას, უმალ იქ აღმოვჩნდებოდი, სადაც არცრას აქაურს აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. სულაც არაადამიანური ძალისხმევა არც იყო საჭირო, რათა კლდეს ჩემი ხელებიც შერჩენოდნენ და ფეხებიც, და მყის დაისადგურებდა სიმშვიდე და მყუდროება.

მაგრამ არა, ჩემს სურვილს არც ხელები აყვნენ ჩემი და არც ფეხები, ოთხივენი წინ აღუდგნენ მომაკვდინებელ ცდუნებას. და თავმა ისევე მძიმე-მძიმედ იწყო ნიაღვრიდან ამოყურყუმელავება, როგორადაც წელან ჩაყურყუმელავდა. არ დავმალავ, უღრმესი მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალე ჩემი სხეულის მიმართ, რომელიც აგრერიგად წამომეშველა საბედისწეროდ ახირებულს — რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჩანჩქერის კლდოვან კალაპოტს ავყოლოდი მახვილის ძებნა-ძიებაში.

და როგორც კი თავი ჩანჩქერზევით დაჩნდა, დავინახე, რარიგ დამნათოდა ცხრათვალა მზე, და ერთი ღრმად ჩავისუნთქე. ჰაერმა ჯავარზე მომიყვანა. ირგვლივ მიმოვიხედე, იქვე ერთი ფეხის გადადგმაზე ის თავკვეთილა დავლანდე, ვაკიანი გორა, მე და პეტრუსმა რომ გამოვიარეთ. უკვე გზის ბოლოში ვიყავი გასული. ერთი სული მქონდა, რასმე მოვჭიდებოდი და ტანი წამომეზიდა, წამოვზეზევებულიყავი,

მაგრამ წყლის ნიაღვარში ვერცრა ოღროს ვარჩევდი, ვერცრა ჩოღროს. არა, მოპოვება-მონაგრების ჟამი ჯერეთ არ დამდგარიყო, და სწრაფვას ალაგმვა უნდოდა. ყოვლის უფრო საძნელო წინ მელოდა: წყალი ისეთი მძვინვარე ღვართაშით მეხლებოდა მკერდზე, ცოტაც და, ეკენ ჩამიტანდა, ძირს ჩამახეთქებდა, საიდანაც ჩემი ნაოცნებარის ფეხდაფეხ დევნა გავბედე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრებსა და მეგობრებზე ფიქრის დრო არ იყო, და გვერდზე გახედვა არ შემეძლო, რათა დამენახა, რომ პეტრუსი შემართული იდგა და ხელის წაშველებას არ დამიყოვნებდა, თუკი დაცურებას დავიწყებდი. მაგას, ალბათ, უთვალავჯერ აქვს-მეთქი ამოვლილი ეს კლდიანი გვერდობი, ანუ ფხაკო, ვფიქრობდი გულში, და ჩემი ვარაუდით, აუცილებლად უნდა სცოდნოდა, რომ სწორედ აქ და ახლა მეჭირვებოდა ხელის აპყრობა. მაგრამ, როგორც ჩანდა, პეტრუსს მივეტოვებინე. ან იქნებ არც მივეტოვებინე და სადმე გვერდითაც მედგა, მაგრამ თავი ვერ მიმებრუნებინა, რათა წონასწორობა არ დამკარგვოდა. ყველაფერი თავადვე უნდა მომეღონისძიებინა. მარტოდმარტოს უნდა მომერეწა და მომენაგრებინა ჩემი მოსარეწ-მოსანაგრებელი, ჩემი ნასისხლი, ანუ სისხლით და ბრძოლით მოსაპოვებელი.

ორივე ფეხი მაგრად დავაყრდნე კლდის წამონაშვერს და იმასვე ცალხელჩაჭიდებულმა მეორე გავითავისუფლე, რომლის საშუალებითაც წყალთან შერიგება ვცადე. წყალს კი მცირე რამ წინააღმდეგობაც ვეღარ უნდა გაეწია, რადგან უკიდურესად ძალღონემოკრებილი ვმოქმედებდი. ეს რაკი უწყოდა, ხელი მყის თევზად მექცა, რომელიც ვითომ დანებდა დინებას, მაგრამ იცოდა, სადაც უნდა მიეცურა. და წამომაგონდა პატარაობისას კინოში ნანახი: ტოფობისას ქვირითის დასაყრელად გამალებული ორაგულები ზედ როგორ აფრინდებოდნენ ჭორომთ — იმათაც თავიანთი მიზანი ამოძრავებდათ და ვალდებულნი იყვნენ, რომ იმ მიზნისათვის მიეღწიათ.

ხელი ნელ-ნელა, თითქოს თავისთავად, ჩემგან სავსებით დამოუკიდებლად, იწევდა მაღლა-მაღლა, სრულიად წონადაკარგული, და აი, ბოლოს, ამოვყავი კიდეც წყლიდან, ამოვყავი და, როგორც კი დასაყრდენი მოვიძიე, სხვას რასმე კი არა, მხოლოდ იმას, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს თევზად ქცეულ ხელს ვანდე ჩემი სხეულის ბედი. აი ბავშვობის დროინდელი კინოსურათის ორაგულივით იმანაც კვლავ ჩაყვინთა წყალში პატარა ბაქანთან, ანუ კლდეში მცირე რამ ვაკესთან, და ფათურით დაუწყო ძებნა წერტილს რასმე, რომელსაც უნდა დავნდობოდი ბოლო, დამაგვირგვინებელი ნახტომისთვის.

მაგრამ კლდე სარკესავით მოეპიტალოებინა წყალს, რომელსაც საუკუნეთა სიგრძეზე ერეცხა ეს ალმა ამართული ტინი. თუმცა აქ უთუოდ უნდა ყოფილიყო ან ბელღოჯი, ანდა ნაბზარ-ნაპრალი მაინც — თუკი პეტრუსმა შეძლო ზევით ასვლა, მეც უნდა შევძლო. გული გასკდომაზე მქონდა: ვიცოდი, რომ ბოლო ნაბიჯიღა დამრჩენოდა, არადა სწორედ ამ დროს ღალატობს ადამიანს ძალა, და თავისი თავის რწმენასაც ამ დროს კარგავს. ერთხელ უკვე დამემართა აგრე — ოკეანის ჭრელთავა ტალღებს გავუძელი, მცირე ზვირთცემაში მოყოლილი კი

ვიხრჩობოდი. მაგრამ სულ მუდამ ერთსა და იმავეს ხომ არ უნდა ველოდო და ტყუილად ხომ არ დავადექი სანტიაგოს გზას — დღეს აუცილებლად უნდა გავიმარჯვო!

თავისუფალი ხელი პიტალო კლდეზე მისხლტებოდა, ფეხი კი წამისწამ მაღლა მიწევდა. ვგრძნობდი, რომ ტანი მიშეშდებოდა და აღარ მემორჩილებოდა, ხოლო ფეხებს დაწყებულ კრუნჩხვებს ვიტანდი. წყალი საზარდულშიც ღონივრად მცემდა, და აუტანელი ტკივილი მიპყრობდა. და აი მაინც მოვახერხე და ტინში მცირე რამ ნაღრანტს მივაგენი, მართალია, ცოტაოდენ გვერდზე იყო, მაგრამ ვიცოდი, იმისი დროც მოვიდოდა, და მეორე ხელის საყრდენად გამომადგებოდა. წინასწარ განვსაზღვრე ის ადგილიც, სადაც უნდა მოვხვედრილიყავი, თავისუფალი ხელი კი ისევ გადარჩენის გზას ეძებდა. პირველისგან სულ რამდენიმე სანტიმეტრში კიდევ ერთი საყრდენი წერტილი მელოდა.

აგერ ისიც. და იმ ალაგს მოვატანე თვალი, საუკუნეთა განმავლობაში სამსახურს რომ უწევდა სანტიაგოს გზას ადევნებულ ლოცვადმავალთ. მივხვდი თუ არა ამას, მთელი ძალ-ღონით ჩავებღაუჭე მეორე საყრდენ წერტილს. კლდის წამონაშვერს ჩარიდებული ხელი კი გაშმაგებულმა წყლის ღვართქაფმა უკან გადამიგდო, მაგრამ მხარი ისეთნაირად მოვიქნიე, კამარა შევკარი — და ხელი იქ აღმოჩნდა სადაც უნდა აღმოჩენილიყო. მერე მთელი ჩემი სხეული ერთ მუქარაზე გადაევლო ხელთაგან გაკვალულ გზას და იმათ კვალდაკვალ უკვე წყალზევით თხემზე გადაეშვა.

ბოლო ნაბიჯი, დიდი ნაბიჯი გადმიდგა. სხეულმა გააპო წყალი, და უკვე მომდევნო წამს შმაგი ჩანჩქერი მდოვრ, თითქმის შეუჩმნევლად მდინარ ღვარად გადაიქცა. ღონემიხდილი ნაპირზე მივეგდე. მზე დამჩქეფდა და მათბობდა, და გამახსენდა, რომ გავიმარჯვე და რომ სიცოცხლე ჩემში სრულებითაც არანაკლებ დუღდა, ვიდრე იქ, ქვევით, ჩაბარუხის ძირას გაჩენილ პატარა ტბაში. წყლის ხმაურმა ვერ დაახშო პეტრუსის ნაბიჯები.

სული მიმდიოდა ფეხზე წამოსადგომად, რათა ჩემი მეგზურისთვის ჩამეწვლილა, რა სიხარულითაც ვიყავი პირთამდე სავსე, მაგრამ გატანჯული სხეული აღარ მნებდებოდა.

— იწექი, იწექი, დაისვენე, — მითხრა მან. — ღრმად სუნთქვას ეცადე.

დავუჯერე და მყის უსიზმრო გულის ძილში დავიძირე. ხოლო როცა გამომელვიძა, მზე სრულიად სხვა წერტილიდან ანათებდა, პეტრუსი კი უკვე ჩაცმული იყო, ჩემს შარვალსა და მაისურს მაწვდიდა და, ჩვენი წასვლის დროაო, მეუბნებოდა.

— ძალიან დავიღალე.

— ნუ ღელავ. ახლავე გასწავლი, ენერგია როგორ უნდა შეიწოვო ყველაფრისაგან, რაც ჩვენ გარშემოა.

და მან *RAM* **სიოს ქიქინი** მასწავლა.

ამ სავარჯიშოს სულ ხუთი წუთი ვასრულებდი, და მართლაც მოვითქვი სული. წამოვდექი, ჩავიცვი, ჩემს სალთაგუდას დავწვდი.

— მოდი აქ, — მითხრა პეტრუსმა.

ფლატიანის ნაპირთან მისულმა ჩემს ფეხებთან გადამქუსარე ჩანჩქერს ჩავხედე და ვკითხე:

— რატომ არის, რომ აქედან სრულებითაც ძნელი დასაძლევი არა ჩანს? არადა ქვევიდან დაუძლეველი რად გვეჩვენება?

— სავსებით მართალს ამბობ. აქედან რომ დამენახვებინა, ვილად შენი ღალატი გამომივიდოდა. ვერცრა შენს შესაძლებლობასა და შეძლებას ვერ შეაფასებდი.

ჯერეთ კიდევ სისუსტეს ვგრძნობდი. და სავარჯიშო გავიმეორე. ნელინელ ცამყართან ერთსულოვნებას მივაღწიე და ისიც მსწრაფლ შემომეჭრა სულში. ეს სიბრძნე რატომ წინათვე არ მასწავლე, ვკითხე პეტრუსს, სანტიაგოს გზაზე ხომ დაღლაც ბევრი შემხვდა და სულიერი უხალისობაც-მეთქი.

— იმიტომ რომ ეგეთი რამ ადრე არ გამოგიმჟღავნებია, — სიცილით მომიგო ეტიკმა და, ასტორგაში ნაყიდი გემრიელი ბისკვიტები კიდევ თუ შემოგრჩაო, დამეკითხა.

„RAM ᲡᲘᲝᲡ ᲥᲘᲥᲘᲜᲘᲡ“ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘ

ღრმად ამოისუნთქე, შეეცადე ფილტვების სრულ დაცლას. მერე ნელ-ნელა ისევ ჩაისუნთქე, ერთდროულად ხელები აღმართე. ჩასუნთქვისას მთელი გულისყური იმ შეგრძნებაზე გადაიტანე, რომ ცამყართან ერთად შენს შიგანს აღწევს სიყვარული, მშვიდობა, შეხმატკბილებულობა.

სუნთქვა შეაყოვნე და რაც შეიძლება დიდხანს არ დაუშვა ხელები, ინეტარე შინაგანი და გარეგანი შეხმატკბილებულობით. ზღვრის დადგომას როცა იგრძნობ, სწრაფად ამოისუნთქე და ერთდროულად წარმოთქვი სიტყვა „RAM“.

იმეორე ხუთი წუთის განმავლობაში.

ᲡᲘᲒᲘᲣᲔ

სამი დღე გადაბმულად ვიარეთ, მუხლი არ ჩაგვისრია, რასაც „მარშნახტომს“ თუ დავარქმევდით, ზედგამოჭრილი იქნებოდა: პეტრუსი დილაუთენია მაყენებდა, დაფერხებით კი მხოლოდ საღამოს ცხრაზე ვიფერხებდით. დაღლილ მუხლთაც ქარს მარტო მაშინ ვაღებინებდით და ისიც ძალიან ხანმოკლედ, როცა ცოტა უნდა წაგვეხემსა, ანუ როგორც პეტრუსი იტყოდა ხოლმე, მუცლისთვის ბოძი შეგვედგა, მით უმეტეს, რომ დღის მეორე ნახევარში „სიესტაზე“ მან უკვე კარგა ხნის წინათ

თქვა უარი. ზოგჯერ მეჩვენებოდა — ის რაღაც იდუმალ პროგრამას ასრულებდა, რომელიც მე არ უნდა მცოდნოდა.

გარდა ამისა, იგი საერთოდ საოცრად შეიცვალა. თავდაპირველად ამას იმ ეჭვიანობას ვაბრალებდი, ჩანჩქერზე ასვლის გამო, რომ გამიჩნდა მაგრამ მერე მივხვდი, რომ აგრე არ იყო. ხშირად [illegible] უსაბაბოდ ფხუკიანობდა და დღის განმავლობაში რამდენჯერ [illegible] ებოდა საათზე. მეც ავდექი და თავისი საკუთარი სიტყვები გავახსენე: აკი „დროის" ცნებას ყველა ადამიანი თავისთვის თვითონ განსაზღვრავს-მეთქი.

— შენ დღითი დღე სულ უფრო ჭკუაში ვარდები, — მიპასუხა მან. — ვნახოთ, როცა დაგჭირდება, საქმეში როგორ გამოიყენებ მაგ შენს ჭკუას.

მაგრამ ერთხელ საღამო ჟამს ჩვენი მუხლჩაუხრელი სიარულისგან ისეთი უილაჯობის გრძნობა დამეუფლა, უბრალოდ ფეხზე ველარ ვდგებოდი. მაშინ პეტრუსმა, პერანგი გაიხადე და ხის ტანს ხერხემლით აეკარი, მითხრა. სულ რამდენიმე ხანს ვიდექი ხის ტანს ხერხემალაკრული და ერთბაშად უკეთესობაც ვიგრძენი და მხნეობაც. პეტრუსმა ამიხსნა, მცენარეებს, მეტადრე კი ბიბერ ხეებს, ჰარმონიის გადაცემის უნარი აქვთ, თუკი ადამიანი ხის ტანს ნერვული ცენტრით მიეყრდნობაო, და რამდენიმე საათს ზედმიყოლებით ათას რასმე მიამბობდა ფლორის ფიზიკურ, ენერგეტიკულ და სულიერ თვისებებზე.

ეს ყველაფერი თავის დროზე სადღაც უკვე წაკითხული მქონდა და ამიტომ არც არაფერს ვიწერდი. თუმცა პეტრუსის ნაუბარს უქმად არ ჩაუვლია — მივხვდი, რომ სულაც არ იყო ჩემზე გაჯავრებული. თუკი სიტყვაძვირობდა, ყოველთვის გაგებით ვეკიდებოდი, ისიც უფრო თბილად და კეთილმოსურნედ მექცეოდა, რამდენადაც თავისი ამჟამინდელი გამუდმებულად ცუდი გუნება-განწყობილება ამის ნებას აძლევდა.

ერთხელაც გზად ერთ ხიდს მივადექით — უზომოდ დიდს იმ პატარა მდინარისთვის, რომელზედაც ის იყო გადებული. კვირადღე დაგვესწრო, თანაც სისხამი დილა, ამიტომაც ქალაქში არც ერთი კაფე და ბარი ჯერეთ არ გაეღოთ. მივედით და მდინარის პირას დავსხედით.

— ადამიანსა და ბუნებას მსგავსი რამ ახირებულობა სჩვევიათ, — ვცადე სიტყვის ჩამოგდება.

— ადამიანი დიდებულ ხიდებს აგებს, ბუნება კი მიმართულებას უცვლის მდინარეებს.

— ეს მდინარე გვალვისგან არის გათავთხელებული, — მომიგო პეტრუსმა. — გაათავე ეგ შენი სენდვიჩი, წასვლის დროა.

აგრერიგად თუ რატომ ჩქარობდა, გაგება გადავწყვიტე.

— რატომ ვჩქარობ და, კარგად მოგეხსენება, რა ხანია, რაც აქა ვარ, სანტიაგოს გზაზე, — მიპასუხა მან. — იტალიაში კი უამრავი საქმე მაქვს თავითავს მოუყვანელი. მალე დაბრუნება მინდა.

ამ სიტყვებმა ვერ დამარწმუნეს. იქნებ მართალიც მითხრა, მაგრამ მთელი სიმართლე არა თქვა. როგორც კი ჩაძიება დავუპირე, პეტრუსმა სიტყვა გადააბრუნა.

— იცი რამე ამ ხიდზე?

— არაფერიც არ ვიცი. წყლის დონეს მართლა გვალვისაგან რომც დაეწია, ხიდი მაინც ნამეტანი დიდია. ჩემი ფიქრით, მდინარემ [illegible]-პოტი შეიცვალა.

— მაგაზე ვერაფერს ვერ გეტყვი. — მომიგო პეტრუსმა [illegible] ეს ხიდი სანტიაგოს გზაზე ცნობილია როგორც „ღირსებისა [illegible] ველ-მინდვრებზე ოდესღაც სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული სვებებსა და ვესტგოთებს შორის, მერე კი მეფე ალფონს მესამის მეომრები მავრთ ებრძოდნენ. ამოდენა ხიდი სულაც იქნებ იმიტომ გადეს, რათა სისხლის მდინარეებს ქალაქი არ დაეტბორათ.

ამ, ჩემი აზრით, უადგილო ხუმარსიტყვას ყური წავუგდე. პეტრუსი, ცოტა არ იყოს, დაბნეული, გაჩუმდა, მაგრამ მერე ისევ განაგრძო:

— თუმცა არც ვესტგოთების ურდოებს და არც ალფონს მესამის ძლევამოსილ მხედრობას არ უნდა უმადლოდეს ეს ხიდი თავის სახელწოდებას. აქ უფრო სიყვარულისა და სიკვდილის ამბავია.

სანტიაგოს გზა რომ გაჩნდა, აქეთ მთელი ევროპიდან დაიძრნენ ლოცვადმავალნი, რომელთა შორისაც იყვნენ მღვდლები, დიდგვაროვნები და თვით მეფენიც კი, ვისაც წმინდა იაკობისთვის პატივის მიგება სურდა. აქვე აღმოჩნდნენ — თანაც კარგა ბლომად — ავაზაკნიც. ცნობილია ძალიან ბევრი შემთხვევა, როცა ისინი თავს ესხმოდნენ ლოცვადმავალთა ულამ-ქარავანთ და არცრა თითზე გადასახვევს აღარ უტოვებდნენ. მით უმეტეს, შავ დღეში ჰყავდათ გზას მარტოდმარტოდ ადევნებულნი.

ყველაფერი მეორდება-ძეთქი, გავიფიქრე.

— და ამიტომ, — განაგრძობდა თხრობას პეტრუსი, — რამდენიმე კეთილშობილმა რაინდმა ლოცვადმავალთა დაცვა გადაწყვიტა, და თითოეულმა გზის მცირე რამ მონაკვეთი შეირჩია, რაზედაც პასუხს აგებდა. მაგრამ მსგავსად იმისა, როგორც მდინარეები იცვლიან დინებას, იცვლება კაცობრიული იდეალიც. ბოროტმოქმედნი რაინდებმა გაყარ-გამოყარეს, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა: ახლა ერთმანეთში მოუვიდათ ჩხუბი და რიალი იმის გულისათვის, თუ ვის უნდა რქმეოდა გზის ყველაზე უფრო ჩაუქი და სახელოვანი დამცველი. ძალიან მალე სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა. ორივე მხრიდან იარაღი მუსაიფობდა. ავაზაკთ ისარგებლეს ამ შინაშუღლით და კვლავ დაუსჯელად დაიწყეს გზებზე პარპაში.

აგრე გაგრძელდა კარგა ხანს — მანამ, სანამ ერთ ლეონელ რაინდს მავანი ასული არ ჩაუვარდა გულში. რაინდს დონ სუერო დე კინიონესი ერქვა, მდიდარიც იყო, ძლიერიც და ყოველნაირად ცდილობდა იმ ასულის ხელისა და გულის მონადირებას. მაგრამ ის ასული — რომლის სახელიც ყამთააღმწერელს არ შემოუნახავს — გულგრილად შეხვდა რაინდის სიყვარულს და, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა ცეცხლმოკიდებულ მიჯნურს.

ვკვდებოდი, ისე მინდოდა გაგება, რა იყო საერთო გათხოვებაზე უარის თქმასა და მოხეტიალე რაინდთა შეხლა-შემოხლას შორის. პეტრუსმა დაგულისყურება შემატყო და დამპირდა, ყველაფერს გიამბობ,

რაც მერე მოხდა, ოღონდ მორჩი მაგ შენი სენდვიჩის ჭამას, წასვლა ავიჩქაროთ, გზას ბარაქა დავაყაროთო.

ეგრე დედაჩემი მეუბნებოდა ხოლმე ბავშვობაში-მეთქი, ვუთხარი.

ბოლო ლუკმა გადავყლაპე, ხალთაგუდა მხარზე მოვიგდე, და მძინარე ქალაქის ქუჩა-შუკებს გავუყევით.

— ჩვენმა რაინდმა, — განაგრძო პეტრუსმა, — ბევრ-ბევრ-ბევრ-

აკაკვინებდა, მეორე დილით სახელიანი გაიღვიძებდა და იმიერიდან დიდებით მოსილი ივლიდა ქვეყანაზე. ოღონდ მეტოქენი თუ მარტოოდენ დიდების მაძიებელნი იყვნენ, თვითონ კინიონესი ბევრად უფრო ამაღლებულ მიზანს ესწრაფოდა — თავისი სატრფოს გულის დაპყრობა ეწადა. და დიახაც, ეს იდეალი ხდიდა ამ გამიჯნურებულ რაინდს ველს.

9 აგვისტოს ყოველგვარი ბრძოლა და ჭიდილი გასრულდა, და სანტიაგოს გზის რაინდთაგან ყველაზე ქველ და მამაც რაინდად დონ სუერო დე კინიონესი აღიარეს. იმ დღიდან უკვე კაციშვილი ველარ ბედავდა ტრაბახს, ესა ვარ და ისა ვარო, და კეთილშობილი რაინდნი ერთმანეთს კი აღარ ებრძოდნენ, ახლა სუყველას საერთო მტერი ჰყავდა — ლოცვადმავალთა მძარცველი ავაზაკი, რომელიც ავად მომრავლებულიყო. აგრე დაედო დასაბამი სანტიაგოს რაინდულ ორდენს.

ამასობაში ქალაქი გავიარეთ. უცებ უკან მიბრუნება და მრავალჭირგადახდილი ხიდისთვის ახალი თვალით შეხედვა მომინდა. მაგრამ პეტრუსმა წინ გამაშურა.

მერე რა ბედი ეწია-მეთქი დონ კინიონესს, ვკითხე.

— რა ბედი ეწია და სანტიაგო-დე-კომპოსტელაში წავიდა, ოქროს სირზა, ანუ ფარღული შესძღვნა წმინდანს. ის სირზა-ფარღული დღესაც ამშვენებს იაკობ უმრწემესის აღალმას.

— ეგ კი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ელირსა თუ არა იმ ასულის ხელი და გული-მეთქი, გეკითხები.

— ჰოო, მაგას ნამდვილად ვერ გეტყვი. იმხანად მატიანეს მხოლოდ მამაკაცნი წერდნენ. და, როგორც ჩანს, დაუბოლოებელი დატოვეს ეს love story.

დონ სუერო დე კინიონესის ამბის მოყოლა რომ გაასრულა, ჩემი ეტიკი კვლავ დუმილში გამოიკეტა. ასე რომ, მომდევნო ორი დღე ხმაამოუღებლივ და თითქმის დაუფერხებლად ვიარეთ. ბოლოს, მესამე დღეს, პეტრუსმა სისწრაფე შეანელა. ამ ერთ კვირაში მაინც სულ წამერთვა ილაჯი, დაიჩივლა, თანაც აღარც იმ ხნისა ვარ, რომ ამხელა გზა აგრერიგად აჩქარებული ნაბიჯით ვკეცოო. მე კი ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ცრუობდა: სახის გამომეტყველებით დაღლილზე მეტად უფრო შეფიქრიანებული ჩანდა — თითქოს ელოდა, რომ რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო.

იმ დღით ფონსებადონში შევედით. კარგა მოზრდილი დაბა იყო, ოღონდ სულ მთლად დაქცეული. ქვის სახლების კრამიტიანი სახურავები სიძველისგან დაწოლილიყო, სის ნივნივები დამპალიყო. ერთი ბოლოთი დაბა ღრმა ხევს ებჯინებოდა, პირდაპირ ჩვენ წინ კი, მთის უკან, ლოცვადმავალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო საგზაო ნიშანი — „რკინის ჯვარი“ იდგა. ახლა უკვე მე ვიჩენდი მოუთმენლობას და ვჩქარობდი, რათა მალე მივსულიყავი ამ არცრის მსგავს მონუმენტთან: ათმეტრიან ძირაქვაზე დაფუძნებული რკინის ჯვარი აქ ჯერეთ კიდევ ანტიკური ხანიდან იყო აღმართული — ესპანეთში შეჭრილმა კეისარმა

ის მერკურის პატივისცემის ნიშნად დადგა. წარმართული ტრადიციისამებრ ლოცვადმავალნი კვარცხლბეკთან შორიდან მოტანილ ქვასა დებდნენ. გარშემო ბლომად ეყარა ნამტვრევი კრამიტიც, ანუ ფარჩიმი, ერთი ცალი სამახსოვროდ თან წამოვიღე.

და ნაბიჯი ავაჩქარე, მაგრამ შევამჩნიე, რომ პეტრუსი ძალიან ნელა მოდიოდა, რათა თვალი მიმოევლო ნანგრევებისთვის, დაშლილ-დაფურცლული წიგნები მოეჩხრიკა, მერე კი სულაც ფესი მოირთხა მოედანზე, რომლის შუაშიც ჯვარი იდგა — ოღონდ სისა.

— მოდი, ცოტა შევისვენოთ, — თქვა ჩემმა ეტიკმა.

ჩემი ვარაუდით, ერთი საათი რომც დავყოვნებულიყავით, რკინის ჯვართან მისვლას დაბნელებამდე მაინც მოვასწრებდით.

მეც იქვე გვერდით მივუჯექი და თვალი ჩემ წინ გადაშლილ ნგრევა-ღვევისა და უდაბურების სურათს მივაშტერე. მსგავსად იმისა, როგორც მდინარეები იცვლიან კალაპოტს, ადამიანებიც ცვლიან მშობლიურ ადგილთ. სუყველა ეს სახლი მკვიდრად იყო ნაგებ-ნაშენი და ცოტა დრო როდი გავიდა, ვიდრე დაილრიცებოდნენ და დაიქცეოდნენ. უნებლიეთ ჩნდებოდა კითხვა: რამ დაატოვებინა აქაურთ ესოდენ კურთხეული ტაშირი?

— შენ რა, დონ სუერო კინიონესს გიჟად მიიჩნევ? — მკითხა პეტრუსმა.

— არა, — ვუპასუხე და თან დავფიქრდი: მართალი ვუთხარი თუ არა-მეთქი.

— მე კი გიჟი მგონია. იმას ისეთივე სიგიჟე სჭირდა, როგორც ალფონსოს შეჰყროდა. ხომ გახსოვს, რომელ ბერზეც გეუბნები? ის სიგიჟე მეცა მჭირს და ყველაზე ძალიან ჩემს ნახატებში ვლინდება. შენცა გჭირს, მახვილის საძებნელად გზას გადებულს. სულში სუყველას გვინთია წმინდა სიგიჟის ცეცხლი და გვდაგავს. **აგაპე** კი ჩაქრობის საშუალებას არ აძლევს.

არადა ამ ცეცხლის გასაჩაღებლად და ასაგიზგიზებლად სულაც საჭირო არ არის ამერიკის დაპყრობა ანდა წმინდა ფრანცისკ ასიზელის მიბაძვით ჩიტებთან საუბარი. საღმე კუთხე-კუნჭულში ატუზულ მემწყვანილესაც შეუძლია თავის თავში ამ სიგიჟის აღმოჩენა და გამოვლენა, თუკი მოსწონს, რასაც იქმს. **აგაპე** ადამიანურ წარმოდგენათა და ცრუ რწმენათა ზემოთ და გარეთ სუფევს და, თავისი თვისებებისდა თანახმად, ერთი სულიერიდან მეორეს გადაეცემა, რადგან სოფელ-ქვეყანას მწვავედ ეჭირვება იგი.

პეტრუსმა კიდევ ისიც მითხრა, რომ ცისფერი სფეროს წყალობით ჩემს თავში **აგაპეს** გაღვიძება შევძელი. მაგრამ, რათა არ ჩაგიქრეს, შენი ცხოვრების შეცვლა არ უნდა გეშინოდესო. რასაც იქმ, თუკი მოგწონს — ჩინებულიაო, თუ არ მოგწონს — არცროდის არის გვიან რისამე შეცვლაო. რაკი შენს ცხოვრებაში ცვლილებათა შესაძლებლობას არ გამორიცხავ, საკუთარ თავს ნოყიერ ნიადაგად აქცევ და შემოქმედებითი აღმაფრენის თესლის აღმოცენებას ხელს უწყობ.

— რაც კი რამ შენთვის მისწავლებია, ცხადია, **აგაპეს** ჩათვლით, აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუკი შენი თავის კმაყოფილი ხარ. და თუ გულნაკლულად გრძნობ თავს — სავარჯიშოები, რომელთაც დაუფლებული ხარ, გარდაუვალად მიგიყვანენ ცვლილებათა აუცილებლობამდე, ხოლო იმისათვის, რათა სუყველა ეს სავარჯიშო ცუდად არ [illegible] ალდეს, იმ ცვლილებებს უეჭველად მოხდენის საშუალება [illegible]

მერწმუნე, ადამიანის ცხოვრებაში არ არის იმაზე უფრო ძნელი დრო, ვიდრე ის წამია, როცა **სამართლიან ომს** ხედავს, მაგრამ გრძნობს, რომ არც ცხოვრების შეცვლის თავი აქვს და არც კიდევ ამ ომში ჩაბმის ძალა შესწევს. როცა ასეთი რამ ხდება, მონაგრებული სიბრძნე კი არა რგებს, არამედ ვნებს მომნაგრებელს.

კვლავ თვალი მიმოვავლე ფონსებაღონს. ვინ იცის, აქაურთ ეგება — სუყველამ ერთბაშად და ერთსულ — უეცრად მწვავედ იგრძნეს ცვლილებათა გარდაუვალი საჭიროება. იქნებ პეტრუსმა სულაც განგებ და წინასწარი განზრახვით მომიყვანა ამ ნადგურცემულ ადგილას, რათა სწორედ აქ ეთქვა თავისი გულისპასუხი?

— არ ვიცი, ვერ გეტყვი აქაურ ამბავს, — თქვა პეტრუსმა. — ადამიანთ ხშირად ბედი აიძულებს და ის ახდენინებს ცვლილებებს, მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობ. მე მხედველობაში მაქვს იმის შეგნებული და გარკვეული სურვილი, რომ წინ აღვუდგეთ და ავუმხედრდეთ ყოველსავე, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში გულსავსედ ვერა გვხდის, ვერ გვაკმაყოფილებს.

ჩვენი წუთისოფლის გზაზე მუდმივად ვაწყდებით უძნელეს ამოცანებს. აი თუნდაც ჩანჩქერზე ისე ასვლა თქვი, რომ ძირს არ ჩაგიტანოს. ასეთ დროს შენი შემოქმედებითი აღმაფრენა უნდა ამოქმედო. შენ მაშინ სიცოცხლესა და სიკვდილს შუა იდექი, ან ერთი უნდა აგერჩია, ან მეორე, ფიქრის დრო კი არა გქონდა: და **აგაპეს** მდგომარეობამ ერთადერთი გზა გიჩვენა.

მაგრამ ცხოვრებაში ისეც ხდება, როცა საჭიროა არჩევა, რომელ გზას უნდა დაადგე. ცხოვრება ამ ამოცანებს ჩვენ წინაშე ყოველდღიურად და ყოველ სფეროში აყენებს: ხან შეყვარებულთან უთანხმოებას გამოგვიტყვრენს, ხან კომერციულ კომბინაციას, ხანაც საზოგადოებაში შეხვედრას რასმე. და სუყველა ის წვრილ-წვრილი გადაწყვეტილება, რომელთაც ყოველწუთიერად ვიღებთ, იქნებ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანსაც ნიშნავდეს. როცა დილით სამსახურში მიდიხარ, რა სახის ტრანსპორტს აირჩევ, ძალიან ბევრია იმაზე დამოკიდებული, მთელი და უვნებელი მიხვალ შენი კანტორის კარამდე თუ ავარიაში მოხვდები. ეს ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რარიგ შეუძლია სულ უბრალო გადაწყვეტილებას ადამიანის ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა.

პეტრუსი ლაპარაკობდა, მე კი ჩემს თავზე ვფიქრობდი. ჩემი მახვილის საძებნელად მე არჩევანი მოვახდინე და სანტიაგოს გზას დავადექი. მახვილზე უფრო მნიშვნელოვანი რამ ახლა ჩემთვის არცრა იყო — გველის ფხაშიც რომ დამჭირვებოდა გაძრომა, მაინც უნდა მეპოვა.

გადასაწყვეტი სწორად უნდა გადაეწყვიტა და ეს ჩემი გულისნადები პეტრუსს ჩავუწვლილე.

— სწორი გადაწყვეტილება რომ მივიღოთ, ერთადერთი ხერხი ის არის, ვიცოდეთ, რომელი გადაწყვეტილებაა მცდარი, — მომიგო მან. — არცრამ არ უნდა შეგაშინოს, ჯერ მეორე გზა უნდა შეიცნო და ამის მერე უნდა გადაწყვიტო გადასაწყვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მან ჩრდილების სავარჯიშო შემასწავლა.

დასასრულ, მითხრა:

— შენი ამოცანაა მახვილის პოვნა.

მეც დავეთანხმე.

— მაშ, დაუყოვნებლივ შეასრულე ეს სავარჯიშო. მე ცოტას გავიცლი. როცა მოვბრუნდები, მეცოდინება, რომ გადასაწყვეტი გადაწყვიტე და უკან აღარ დაიხევ.

გამახსენდა, როგორ მოჩქარეობდა პეტრუსი მთელი ეს დღეები. გამახსენდა ჩვენი ბოლო საუბარი ნადგურცემულ ქალაქში. მომეჩვენა, დროის მოგებას ცდილობს, რათა თავადაც რამე გადაწყვიტოს-მეთქი თავისთვის. გული მომეცა და სავარჯიშოს შევუდექი.

რა არი ჰარმონია დამემყარებინა ჩემსა და იმ ყოველსავე შორის, რაც ჩემ გარშემო იყო, რამდენიმე RAM სიოს ქიქინი შევასრულე. მერე საათზე დრო დავნიშნე — თხუთმეტი წუთი — და ჩრდილთ დავაცქერდი — დაქცეული სახლების, ქვებისა და ხის, ჩემს ზურგს უკან აღმართული ძველი ჯვრის ჩრდილთ. ამ ცქერა-ცქერაში კი მივხვდი, თუ რა ძნელია გაგება, სახელდობრ რაზე ფიქრობ. ადრე ეს აზრი არცროდის თავში არ მომსვლია. როცა მრგვალ ორძელზე ფიქრობ, ის სწორკუთხა ხდება, უსწორმასწორო ქვები ბურთივით მრგვალდებიან. აგრე გრძელდებოდა პირველი ათი წუთი. გულისყურის მოკრება არ გამძნელებია — ამოცანამ უმალვე გამიტაცა. მერე მახვილის ძებნა-ძიებისას მიღებულ მცდარ გადაწყვეტილებაზე დავიწყე ფიქრი. აურაცხელმა იდეამ გამიარა გონებაში: სანტიაგოში ავტობუსით ჩასვლის შესაძლებლობიდან ცოლთან დარეკვის ვარიანტამდე, და ტელეფონთან მოსულს თავს თუ შევაცოდებდი, ჩემი სიყვარულითა და სიბრალულით გულაჩუყებული როგორმე გამომეტეხა, სადა ჰქონდა გადამალული მახვილი.

„ჩრდილების“ სავარჯიშო

მოდუნდი.

ხუთი წუთი შენ გარშემო თვალი არ მოაშორო არც საგნებისა და არც ადამიანების ჩრდილთ. ეცადე, რომ ზუსტად განსაზღვრო, იმათი რა ნაწილია განათებული.

მომდევნო ხუთი წუთი, ამ მეცადინეობის შეუწყვეტლივ, მთელი გულისყურის იმ პრობლემაზე გადატანას ეცადე, რომელიც გადაწყვე-

ტას ითხოვს, და ყოველი ღონე იხმარე, რომ გადაწყვეტილების ყველა შესაძლო მცდარი ვარიანტი იპოვო.

და ბოლო ხუთი წუთი, კვლავ ჩრდილთა ცქერა-ცქერაში, იმაზე იფიქრე, რა სწორი გადაწყვეტილებანი დარჩა. მერე ისინი ერთიმეორის მიყოლებით მოსპე, სანამ ერთადერთიღა არ დარჩება, რომელიც სწორედ გადასაწყვეტ პრობლემას ეხება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

... უკან მობრუნებულ პეტრუსს ღიმილიანი შევხვდი.

— რას იტყვი? — მკითხა მან.

— ახლა უკვე ვიცი, როგორ თხზავდა აგათა კრისტი თავის რომანებს, — მივუგე ხუმრობის კილოთი. — მცდარ ვერსიას ყველაზე უფრო სწორ ვერსიად აქცევდა. ჩანს, ჩრდილების სავარჯიშოს ტექნიკას ფლობდა.

მაინც სად არის შენი მახვილიო, მკითხა პეტრუსმა.

— არა, ჯერეთ ყველაზე უფრო უსაზრო ვერსიას გეტყვი, რომელიც ჩრდილების ცქერა-ცქერაში დავამუშავე. ამ ვერსიის მიხედვით, მახვილი სანტიაგოს გზის გარეთ არის...

— გენიოსი ხარ. ბოლოს და ბოლოს მიხვდი, რომ ამდენი ხანი მახვილის ძებნა-ძიებაში ვართ. მე მეგონა, ეს ამბავი ჯერ კიდევ ბრაზილიაში გითხრეს.

— ... და გადამალულია საიდუმლო რამ ადგილას, სადაც ჩემს ცოლს არ მიესვლება. მახვილი სრულიად ღიად დევს, ოღონდ ისეა შეხამებული და შერწყმული ყველაფერთან, რაც გარს აკრავს, რომ ადამიანს თვალში არა ხვდება.

ამჯერად პეტრუსს ჩემი გაბიაბრუება არ დაუწყია, და განვაგრძე:

— და რამდენადაც დიდი უაზრობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ის კაცრიელ, ანუ კაცმრავალ ადგილას არის გადამალული, მაშასადამე, სადმე თითქმის უკაცრიელ ადგილას უნდა ვიგულოთ. გარდა ამისა, რათა ჩემთვის განკუთვნილი მახვილი ვინმე თვალის დამდგმელს იმ უტყუარ ესპანურ დაშნათაგან ვერ გაერჩია, რომელთაც სუვენირებად ყოველ ნაბიჯზე ყიდიან, ამიტომ ის იქ უნდა მოვიძიოთ, სადაც ადამიანები ცივი იარაღის ნაირ-ნაირ სტილსა და სახეობაში მაინცდამაინც ვერ ერკვევიან.

— შენი ფიქრით რა, აქ სადმეა?

— არა, აქ არ არის. არამც და არამც არ შეიძლებოდა ამ სავარჯიკაცრიელ ანუ კაცმრავალ ადგილას არის გადამალული, მაშასადამე, ის უთუოდ სადმე ამ დაბისნაირ ქალაქში ან სოფელშია, ოღონდ არა მცხოვრებთაგან მიტოვებულში. უმოსახლო და დაცარიელებულ ქალაქში მახვილი უეჭველად მიიქცევდა როგორც პილიგრიმთა, ისე ჩვეულებრივ მოგზაურთა ყურადღებას. ძალიან მალე ის უკვე რომელსამე ბარში ეკიდებოდა კედლის დასამშვენებლად.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა პეტრუსმა, და შევამჩნიე, რომ ნამდვილად კმაყოფილი იყო ჩემით ანდა იმ სავარჯიშოთი, რომელიც აგერ სულ ახლა შემასწავლა.

— ერთი რაღაც კიდევ... — დავძინე.

— რა?

— მოგვის კუთვნილი მახვილისთვის ყოვლის უფრო უკადრისი ადგილი საერო ადგილი იქნებოდა. ის წმინდა ადგილას უნდა იყოს. ეკლესიაში, მაგალითად,— იქიდან იმის გატაცებას კაციშვილი ვერ გაბედავს. ამრიგად: სადმე სანტიაგოს ახლოს მდებარე რომელიღაც ეკლესიაში, ყველას დასანახად, ოლონდ გარემომცველ სივრცეს ჰარმონიულად შერწყმული დევს ჩემი მახვილი. მაშასადამე, გზად რამდენი ეკლესიაც შეგვხვდება, ყველგან უნდა შევიდე.

— არ არის საჭირო, — თქვა პეტრუსმა. — მოვა დრო და გაიგებ, რაც გასაგებია.

— თუ კაცი ხარ, მითხარი ერთი, თავდაპირველად ისე რატომ ვჩქარობდით, ახლა კი ამდენი ხანი აქა ვყურყუტებთ?

— როგორი პასუხი იქნება ყველაზე უსწორო?

წამიერად ჩრდილთ შევავლე თვალი. პეტრუსი მართალი იყო. ტყუილუბრალოდ არ შევყოვნებულვართ — ამ ამბავს თავისი მიზეზი ჰქონდა.

მზე მთების უკან დახდა, მაგრამ შუქი ჯერეთ კიდევ საკმარისზე მეტი იყო, რათა ზოგი რამ მოგვესწრო და თავითავს მოგვეყვანა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, რომ მზე ზედ ადგა რკინის ჯვარს, რომლის ნახვაც აგრერიგად შეოცნებებოდა, არადა — სულ რამდენიმე ასეულ მეტრში იყო ჩემგან. დაყოვნების მიზეზის გაგება კი მაინც არ მასვენებდა: მთელი კვირა მუხლჩაუხრელად ვიარეთ. მერედა მიზანი? მიზანი, ეტყობა, ის იყო, რომ აქ ამ დღეს და ამ დროს უნდა ვყოფილიყავით.

სიტყვის ჩამოგდება ვცადე, იქნებ დრო მალე გავიდეს-მეთქი, მაგრამ პეტრუსი დაძაბული და ამღვრეული იყო. გუნებაარეული და პირქუფრი ადრეც ბევრჯერ მინახავს, მაგრამ არ მახსოვს, რომ ოდესმე ესოდენ დაძაბული ყოფილიყო. არა, ვტყუი! მახსოვს, როგორ არ მახსოვს? მაშინ რომელიღაც პატარა ქალაქში ვიყავით — სახელწოდება გულიდან გადამვარდა — კაფეში ყავასა ვსვამდით, დილა იყო... ჯერეთ კიდევ მანამ, სანამ...

უცებ ჩემდა უნებურად შევბრუნდი. და აგერ ისიც. ნაგაზი.

სწორედ ის, პირველი შეხვედრისას რომ წამაქცია, ხოლო მეორედ ილაჩრა და გაიქცა. მესამედაც თუ მოგიხდა იმასთან შეხვედრა, უსიკვდილოდ წაგეშველებიო, შემპირდა პეტრუსი. თავი კი მივატრიალე დაგულებული ეტიკისკენ, მაგრამ გვერდით არავინ არ მედგა.

ნაგაზს თვალი თვალში გავუყარე, და უამრავმა ვარიანტმა გამირბინა თავში, თუ რარიგ უნდა მოვქცეულიყავი ასეთ ვითარებაში. არც ერთი არ ვინძრეოდით, გაშეშებულნი მივშტერებოდით ერთმანეთს, და ამ წაბზირებულ მზერათა ჭიდილმა წამიერ ვესტერნის სცენა გამახსენა. თუმცა იქ ორთაბრძოლაში ადამიანები ეჭიდებოდნენ თუ ერკინებოდნენ ერთმანეთს: ადამიანისა და ნაგაზის შებმა ჯერეთ არცვის თავში არ მოსვლია — ნამეტანი დაუჯერებელი რამ იქნებოდა. მე კი აწ მხეცის პირისპირ ვიჯექი და სინამდვილეში განვიცდიდი მას, რაც კინოში უხვირო გამონაგონად გამოჩნდებოდა.

და ჩემ წინ ის იყო, ვისი სახელიც ლეგიონია, რამეთუ ისინი ბევრნი არიან. იქვე გვერდით ერთი ოხერ-ტიალი სახლი იდგა, უპატრონო. თუკი ვიყოჩაღებდი, სახურავზე ასვლას მოვასწრებდი, იქ კი ლეგიონი

ველარ მომწვდებოდა, რომელიც ძაღლის სხეულში იყო გამომწყვდეული და შეძლებითაც მხოლოდ ძაღლისოდენი შეეძლო.

მაგრამ მტრულად მზირალი მსეცისთვის კვლავინდებურად თვალგასწორებულმა გაქცევა გადავიფიქრე. სანტიაგოს გზას ადევნებულს ბევრჯერ განმეცადა ამისთანა შიშიანი წუთი, და ახლა ისევ [illegible] სანამდე ჩემს მახვილს ვიპოვიდე, მტერთან შეხვედრას ვერ ავცდები — ან უნდა ვძლიო, ან უნდა, უნდა დავმარცხდე. როგორც ჩანს, თავი უნდა გადავდო და შევება, სხვა გზა არ არის. თუ გავიქცევი, მახეში გავებმები. ნაგაზი ამის მერე იქნებ აღარც გამოჩნდეს. მე კი სულ შიშატანილმა უნდა ვიარო თვით სანტიაგო-დე-კომპოსტელამდე. მერეც მთელი ღამეები სიზმრად უნდა მემაჯლაჯუნოს, ყოველ წუთს სულ იმის ცდაში უნდა ვიყო, ან ახლა გამოჩნდება, ან ახლა-მეთქი, და სამარის კარამდე ზარსდომილმა უნდა ვწიო წუთისოფლის ჭაპანი.

ვიდრე ამ საგონებელში ვიყავი, ნაგაზი გაინძრა. და ელდანაცემს ერთი ფიქრიღა შემრჩა — შებრძოლება, რის წუთიც, პოეტის თქმისა არ იყოს, ცოტაც და, დადგებოდა. პეტრუსი სადღაც მიფანიერდა, მარტო დამტოვა. როგორც კი შიში ვიგრძენი, ნაგაზი ღრენა-ღრენით წამოვიდა ჩემკენ. ეს ყრუ, მოგუდული ღრენა უფრო მეტად მოქმედებდა, ვიდრე თავზარდამცემი ყეფა, და შიში გამიძლიერდა. რახან თვალებზე შემატყო, რა დღეშიც ვიყავი, ნაგაზმა კამარა შეკრა.

და შურდულის ქვის სიძლიერით მეცა მკერდში. წამაქცია და ზედ შემდგა. აწ ბუნდადღა მახსოვდა სიკვდილთან ჩემი შეხვედრა და ისიც, რომ ასეთი ბოლო არ მელოდა, მაგრამ შიშმა სულ ერთიანად ამიტანა, და ნაგაზის მოგერიებას ვილა ჩიოდა, ნეტავი როგორმე ყელი და სახე მაინც დამეცვა. დაგლეჯილმა ფეხმა ისე შემაღონა, სისხლიან ნაკბილარზე ჩემდა უნებურად ხელი მივიჭარე. ნაგაზმა დაუცველი ყანყრატო დამინახა თუ არა, უმალ ჩაფრენა სცადა. სწორედ ამ დროს მიწაზე აფათურებული ჩემი ხელი ქვას წამოედო, რომელიც მყის მუჭაში მოვიქციე და — ეტყობა, სასოწარკვეთილებამ მომამძლავრა თუ რა იყო, ულმერთოდ დავუწყე ნაგაზს რტყმა.

ძაღლი განზე გახტა — უფრო მოულოდნელობამ დააფრთხო, ვიდრე ტკივილმა — და წამოხტომა მოვახერხე. ის კვლავ უკან-უკან იწევდა, და იმის სისხლისაგან გაწებოვნებული ქვა აღმაფრთოვანებდა. ადრე ნამეტან პატივისცემას შთამაგონებდა ამ მხეცის ძალა, და ამიტომაც კინაღამ მახეში გავები. არადა ჩემზე უფრო ძლიერი ვერ იქნება! მკვირცხლი — კი, ბატონო, ყოჩაღიც, ოღონდ ძლიერი ვერა, რადგან ტანითაც მეტი ვარ და წონითაც. შიში დაოკდა, აღარ მატულობდა, მაგრამ თავს ველარ ვიჭერდი და ქვაჩაბღუჯული მხეცზე არანაკლებ თავად ვიღრინებოდი. ნაგაზმა კიდევ ცოტა დაიწია უკან და გაირინდა.

ის თითქოს ჩემს აზრებს კითხულობდა. რა სიცხადეც ოდენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ეუფლება, იმ სიცხადით ვგრძნობდი საკუთარ ძალას, მაგრამ თანაც მესმოდა, რამდენად უსაზრო იყო ნაგაზთან ჩემი შებრძოლება. სიძლიერის შეგრძნება მაბორგებდა, მაბობოქრებდა, გაუკაცრიელებული ჭალაქიდან კი თბილმა ქარმა წამოუბერა. ვიგრძენი, რა მოსაწყენი ხდებოდა ამ ორთაბრძოლის განგრძობა: ერთს

გავუქანებდი ნაგაზს შუბლში ქვას — და გამარჯვებაც მე დამრჩებოდა. და უცებ ყველაფერი ყელში ამომივიდა. მხოლოდ ერთი რისამესლა მნდომელი ვიყავი — ძაღლისგან დაგლეჯილი ფეხისთვის მიმეხედა და ერთხელ და სამუდამოდ შევშვებოდი ამ უაზრო თავგადასავლებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდათ სულელურ გზებზე სულელურ მახვილთა ძებნა-ძიებაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მაგრამ ესეც მახე იყო. ნაგაზი კვლავ წინ გამოიჭრა და ძირს დამცა. ამჯერ სულ ადვილად მოახერხა ქვისთვის თავის არიდება და ისეთნაირად გამკრა კბილი ხელზე, რომ მოკუმშული თითები გამეშალა და ჩემი საჭურველ-იარაღი გამვარდა. სხვა რა ჩარა იყო, შიშველი ხელებით დავუწყე ბუბნა, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვავნე, ერთი ეგ იყო, ჩემს სხეულზე კბილი არ მოვაკიდებინე. მეტი არაფერი. სამაგიეროდ თავისი ბასრი კლანჭებით სულ შემომაფლითა მთელი ტანსაცმელი და ხელებიც კარგა გვარიანად დამისისხლიანა; ცხადი იყო, რომ მალე ქვეშ ამომიდებდა.

და უცაბედად საღლაც ჩემ შიგნიშიგან ხმა გავიგონე, რომელი ხმაც მეუბნებოდა, ეგ თუ მოხდა, ბრძოლაც დამთავრდება, და ცოცხალი გადარჩებით. დამარცხებული, ოღონდ ცოცხალი. დაგლეჯილი ფეხი მღრღნიდა, დაგაზულ-დაღადრული სხეული მეწვოდა, ცეცხლი მეკიდებოდა. ხმა ჯიუტად შემაგონებდა ბრძოლის დამთავრებას, და აწ უკვე მივხვდი, ვისი ხმაც იყო — ასტრაინი, ჩემი მაცნე-მაუწყებელი მეძრახებოდა. ნაგაზი წამიერად გაიცქნაფა, თითქოს ისიც უსმენდა ასტრაინს, მე კი კვლავ ყოველივეზე ხელის აღების ეინმა შემიპყრო. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. მერე რა, თუ ბევრმა ამ ცხოვრებაში თავისი მახვილი ვერ იპოვაო, ჩამჩიჩინებდა ასტრაინი. რაც მართალია, მართალია, მეც უარს არ ვიტყოდი, თუ ჩემს ჭერქვეშ აღმოვჩნდებოდი, ჩემს ცოლთან, თუ დავწვრილშვილდებოდი და იმას ვიზამდი, რაც მენდომებოდა. როდემდე შეიძლებოდა ამდენი გიჟობა, ჩანჩქერებიან კლდეებზე ბობღვა და ნაგაზებთან ღონეში გაჯიბრება! უკვე მეორედ გამიჩნდა ეს ფიქრი, ოღონდ ახლა უკვე ჯიუტად ჩამეჭიდა თავში. დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ რამდენიმე წამში დავყრიდი ფარ-ხმალს.

გაუკაცრიელებული ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში რაღაც ხმაური გაისმა, თრიალი, და ნაგაზმა ყურები ცქვიტა, ყურადღება იქით გადაიტანა. მეც თავი შევაბრუნე და მწყემსს მოვკარი თვალი, მინდვრიდან ცხვარს მოერეკებოდა. და მყის გამახსენდა, რომ ის ერთხელ უკვე ნანახი მყავდა — მაშინ ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევებთან შემოგვხვდა. ნაგაზი ცხვრების დანახვაზე ეგრევე თავს გადამეევლო და შესატევად მოემზადა. ეს ჩემი ხსნა იყო.

მწყემსმა შეპყვირა — ცხვრები გაიფანტნენ. ნაგაზმა ჯერეთ ვერ მოასწრო მივარდნა, მე კი ცხვრებისთვის ცოტა შორს წასვლის დრო რომ მიმეცა, ნაგაზს უკანა მარცხენა ფეხში წავწვდი. ერთ-ორ წუთს მაინც გავუწევ-მეთქი წინააღმდეგობას, ვიფიქრე, რახან ვიგრძენი,

რომ გულში იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა, — საკმაოდ აბსურდული — მწყემსი წამეშველება და დამიხსნის-მეთქი. და წამიერ ის იმედიც, დამიბრუნდა, რომ ჩემს მახვილსაც მოვინაგრებდი და RAM ძლიერებასაც შევიმატებდი,

ნაგაზი ფეხის წართმევას ცდილობდა. ახლა უკვე იმისთვის მტერი ვი არა, გულდასაწყვეტი, საწყენი დაბრკოლება ვიყავი. [illegible] იმას სჭიროდა, თვალწინ ჰყავდა. მაგრამ არ ვუშვებდი, ისევ ფეხით მეჭირა და ველოდი, როდის წამომეშველებოდა მწყემსი, ის კი არ მეშველებოდა, უცდიდა, ცხვრები შორს გაიქცნენო, არადა — ისინი არსად მირბოდნენ.

დიახაც, ჟამის ამ ერთმა მესამოცედმა ნაწილმა იხსნა ჩემი სული. რაღაც უზომო ძალამ იწყო ჩემში ადიდება, ოღონდ ახლა ეს ძლიერების ის ილუზია არ იყო, რომელიც კაეშანსა და იარაღის დაყრის სურვილს აჩენს. კვლავ მომესმა ასტრაინის ჩურჩული, მაგრამ უკვე სულ სხვა რამეზე უბნობდა. ეს სხვა რამ კი ის იყო, რომ წუთისოფელს იმავე იარაღით უნდა წინაღვუდგეთ, რა იარაღითაც წუთისოფელი თავს გვესხმის. მაშასადამე, რათა ნაგაზი მომეგერიებინა, ნაგაზად უნდა გადავქცეულიყავი.

ეს ნამდვილად იგივე სიგიჟე იყო, რაზედაც დილით მელაპარაკებოდა პეტრუსი. და ნელინელ განაგაზება დავიწყე. კბილები დავკრიჭე, ავღრინდი და ყოველ ჩემს ნაღრენ ბგერასა თუ კაპუნში მძულვარება ჟონავდა. თვალმოკვრით მოვასწარი შეშინებული მეცხვარის სახის დანახვა და არც ის გამომპარვია, რომ მეც ისევე გამიფრთხა ცხვარი, როგორც წეღან ნაგაზმა გააფრთხო.

ეს ცვლილება შეამჩნია ლეგიონმაც. შეამჩნია და თვითონაც შეფრთხა. მაშინ — ბრძოლის მთელი დროის განმავლობაში პირველად — შეტევაზე გადავედი. კბილებდაღრჭენილი ვეცი ლეგიონს, ფრჩხილები ჭანგებსავით გამოვაჩინე და ყელში წასაჭერად დავუმიზნე, — ანუ იგივე ვქენი, რასაც იმისგან ველოდი — და თან შიშის ქარი მივლიდა ტანში. გამარჯვების ყოვლისმომცველი ჟინის გარდა აღარცრას ვგრძნობდი. ყოველივე დანარჩენმა მნიშვნელობა დაკარგა. წამისყოფით ნაგაზი მიწას გავაკარი და მთელი სხეულით ზედ დავაწექი. ნაგაზი ფართხალებდა, დასხლტომას ცდილობდა და ფართხალ-ფართხალში სულ დამასისხლიანა, ხან სად გამომდო კლანჭები, ხან სად, მაგრამ არც მე ვაკლებდი — ვკბენდი კიდეც და, რაც შემეძლო, ფრჩხილებით ვღადრავდი. ვიცოდი, თუკი დამისხლტებოდა, მალე ისევ გამოჩნდებოდა და ამიტომ ხელიდან გაშვება არ მინდოდა. მტრისთვის აწვე უნდა გამეჩეჩქვა თავი და მომესპო.

ნაგაზის თვალებში შიშის გაკრთომა შევამჩნიე. ახლა მე გავხდი ნაგაზი, ის კი ჩემს თვალში ადამიანად გადაიქცა. თვით ის შიში თუ ზარი, ადრე მე რომ მბრჯღალავდა, ახლა ნაგაზში მძვინვარებდა — და აძალიანებდა, ასე რომ ბოლოს მაინც გასხლტა. მაგრამ გაქცევის საშუალება არ მივეცი და ნახევრად დანგრეული სახლის დაბალი ზღუდის

უკან გადავუძახე, სადაც ხევი გადიოდა. იქიდან ის ამომსვლელი აღარ არის. იქ ოდესმე მოიხილავს თავისი სიკვდილის ხატს.

უცაბედად მივხვდი, რომ რაღაც აგრე არ იყო საქმე. ძალ-ღონის საოცარი მოჭარბება ვიგრძენი. გონება დამენისლა, თვალწინ გამირბინა ბოშის სახემ და კიდევ რამდენიმე ბუნდმა სახემ, დაეჭარდავისახე ლეგიონად. სწორედ აქედან წარმოდგებოდა ჩემი ეს ახალშემატებული ძლიერება. ჩემ თვალწინ გარბენილმა სახეებმა ბედის ანაბარა მიაგდეს უბედური ნაგაზი, რომელიც ერთ-ორ წამში სადმე უფსკრულში ჩაიჩეხებოდა. და ჩემში ჩასახლდნენ. ჯერეთ კიდევ გავლილი არ მქონდა უმწეო ქმნილების ჩემს გემოზე დატოტნის სურვილი. „შენ ხარ თავადი, ეგენი შენი ლეგიონია“, — მომესმა ასტრაინის ჩურჩული. თუმცა თავადობა სულაც არ მინდოდა და, გარდა ამისა, შორზე შორი მხრიდან მოძღვრის მედგარი ხმა მეყურებოდა — შენ მახვილს უნდა მიაგნო, მეუბნებოდა ის ხმა. როგორმე კიდევ ერთ წუთს უნდა გამეძლო. არამც და არამც არ უნდა მომეკლა ეს ნაგაზი.

მწყემსს ალმაცერად გავხედე და იმის მზერაში ჩემი აზრების დასტური ამოვიკითხე. რადგან ახლა ჩემი უფრო მეტი შიში ჰქონდა, ვიდრე ნაგაზისა.

უცებ თავი ცუდად ვიგრძენი — თვალები ამიჭრელდა. მაგრამ გონების დაკარგვის დრო არ იყო. უგრძნობლად დარჩენილს ჩემში ჩასახლებული ლეგიონი მძლევდა, ბოლოს მომიღებდა. გადაწყვეტილება იყო საპოვნელი. ახლა მხეცს კი არა, იმ ძალას ვიყავი შებმული, რომელმაც იმის ნებით დამიპყრო. თითქოს ბამბის ფეხებზე ვიდექი და, რათა არ წავქცეულიყავი, კედელს მივეყრდნე, მაგრამ ჩემს სიმძიმეს ვერ გაუძლო და გადაწოლილი კედლის ნანგრევ-ნაშალში პირქვე დავემხე მიწას.

მიწა. ლეგიონი მიწაა, მიწის ნაშობია, დედამიწის მუცლის ნაყოფია. სხვადასხვაგვარ ნაყოფს — კეთილსა და უკეთურს — მოგვანაყოფიერებს იგი, ოღონდ მხოლოდ იგი. საბრძანის-სამკვიდრებელი აქა აქვს, აქედან მართავს ცამყარს ანდა, პირიქით, იქნებ ცამყარი მართავს თვითონ იმას. **აგაპე** თითქოს შიგნიშიგან ამიფეთქდა და ფრჩხილები მთელი ძალით დავარჭე მიწას. თანაც ავყმუვლდი, ჩემი ყმუილი ალიკვალად ჰგავდა იმ ყმუილს, ნაგაზისგან რომ გავიგონე მაშინ, როცა პირველად გადავეყარე, და ვიგრძენი — ჩემსხეულგავლილი ლეგიონი მიწაში ჩავიდა, რადგან ჩემ შიგან **აგაპე** სუფევდა, ლეგიონს კი არ ეწადა, რომ თავად ის ყოვლისმომცველ სიყვარულს შთაენთქა, ასეთი იყო ჩემი ნება, სწორედ ამ ნებამ მომაკრებინა ბოლო ძალ-ღონე და შემაბრძოლა გულყრას, ჩემი ნება კი იგივე ნება იყო **აგაპესი,** ჩემს სულში ფესვგამდგარი, რომელიც წინააღმდეგობას მაწევინებდა, ამასთანავე, თახთახმა ამიტანა, თავით ფეხამდე ვთახთახებდი.

ლეგიონი ძალისძალად მიიწევდა მიწაში. ხიდება დამეწყო, გულის რევა, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ მეზრდებოდა **აგაპე,** როგორ მომჟონავდა ფორებიდან. ჩემი სხეული კი თახთახს განაგრძობდა, და კარგა

ხანმა გაიარა, ვიდრე ვიგრძნობდი, რომ ლეგიონი თავის საუფლოს დაუბრუნდა.

ამას მაშინ მივხვდი, როცა ლეგიონმა თავისი ბოლო კვალი ჩემი თითების წვერებზე დატოვა და გადაიხვეწა. დაგლეჯილ-დალადრეული ძლივს წამოვჯექი და უცნაური რამ სურათი მოვიხილე: გასისხლიანებული ნაგაზი კუდს აქიცინებდა, მწყემსი კი დაფეთებულიყო ბოდა.

— გეტყობა, რაღაც შეგყვა საჭმელში, — ისე თქვა მან, თითქოს საკუთარი თვალებისთვის დაჯერება არ უნდოდა. — მაგრამ რახან ამოიღე, გაგივლის.

მე თავი დავუკანტურე. იმან მადლობა გადამიხადა, რომ ჩემი წყალობით ვერ მიეტია „ჩემი" ძაღლი, და წავიდა, გაირეკა ცხვარი.

ზედდატანებით პეტრუსიც გამოჩნდა. ხმა არ ამოუღია, პერანგზე პატარა ნაჭერი ჩამოიხია და ჯერეთ კიდევ სისხლმდინარი იარა გადამიხვია. მერე, ცოტა ავჩქარდეთო, თქვა და, ისეთი არაფერი მომხდარა, უარესიც შეიძლებოდაო, ნათქვამს დააწონა.

— ისე, საცოდავად კი გამოიყურები, — მითხრა პირმლიმარმა: ბოლო დროს ეგზომ იშვიათი კარგი გუნება-განწყობილება დაბრუნებოდა. — დღეს რკინის ჯვართან თუ არ გამოჩნდები, კარგს იზამ. თორემ ნამდვილად დააფრთხობ ტურისტებს.

ტურისტები სულ ფეხებზე მეკიდნენ. წამოვდექი, მტვერი ჩამოვიბერტყე, მივხვდი, რომ ნაკბენი ფეხი სიარულს არ მიშლიდა. პეტრუსმა RAM სიოს ქიქინის რიტუალი შეასრულეო, მირჩია და ჩემს ხალთაგუდას წამოავლო ხელი. საკარჯიშოს შესრულების შემდეგ თავი სრულიად სოფელ-ქვეყანასთან შეხმატკბილებულად ვიგრძენი. ნახევარ საათში რკინის ჯვართან ვიქნებით.

ვიცი, ოდესმე ფონსებადონი ნანგრევებიდან აღდგება — ლეგიონმა იქ ბლომად დატოვა თავისი ძლიერება.

ბრძანება და მორჩილება

რკინის ჯვართან პეტრუსმა ძლივძლივობით მიმათრია: იარა ისე გამიმიზეზდა, ფეხს ველარ ვადგამდი. ყურადღებით რომ აწონ-დაწონა, თუ რა ზარალი მომადგა ნაგაზისგან, ჩემი ეტიკის აზრით, მანამ უნდა მეწამლა, სანამ კარგად არ მოვმჯობინდებოდი, რათა სანტიაგოს უჩვეულო გზა განმეგრძო. იქვე მახლობლად ერთი პატარა სოფელი იყო, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ ის ლოცვადმავალნი, ვინც ღამის წყვდიადში მთების გადავლას ვერ ბედავდა. პეტრუსმა ადგილობრივი მჭედლისგან ორი პატარა ოთახი იქირავა და იქ დავბინავდით.

ჩემს ამჟამინდელ სადგომ-სამყოფელს ვერანდა ჰქონდა მიშენებული — ჭეშმარიტად რევოლუციური არქიტექტურული სიახლე, რომელიც VIII საუკუნეში აქედან გავრცელდა მთელ ესპანეთში. ვერანდიდან კარგად ვხედავდი ღადირს, ანუ გორაკთა წარზიდულ ქედს, და მესმოდა, რომ ადრე თუ გვიან ის უნდა გადამელახა, რაც სანტიაგოში აღმოვჩენილიყავი. საწოლზე მივეგდე თუ არა, ძილში ჩავეფალ და გაღვიძებით მეორე დღეს გამეღვიძა — ცოტას კი მაყიჟინებდა, მაგრამ თავს ჩინებულად ვგრძნობდი.

პეტრუსმა თავწყაროდან წყალი მოიტანა, რომელ წყაროსაც იქაურნი „უძირო ჭას" უხმობდნენ, და ნაკბენები მომბანა. ხოლო სალამო ხანს იქვე ახლოდან მავანი დედაბერი მოიყვანა. ორთავემ ერთად ნაკბენ-ნაღადრებზე სამკურნალო ბალახებისგან დამზადებული მალამო რამ წამცხო, ექიმბაშმა დედაბერმა კი რაღაც მწარე ნაყენიც შემასვა. მახსოვს, პეტრუსი პირდაპირ მოითხოვდა ჩემგან, დადექი და მანამ ილოკე ეგ შენი იარები, სანამ ლოკვა-ლოკვაში სუყველა პირს არ შეიკრავსო. პირში ისეთი გემო მქონდა, თითქოს მოტკბო რამ ლითონი შედო და, ის კი არა, მაზიდებდა კიდეც, თუმცა ჩემი ეტიკი მარწმუნებდა, საკუთარი ნერწყვი გამაუსნებოვნებლად მოქმედებს და შესაძლო დაჩირქებას თავიდან აგაცილებსო.

მეორე დღეს სიცხე მომცა. პეტრუსი და დედაბერი იარებზე ცხელსაფენებს მადებდნენ, ნაყენს მასმევდნენ, მაგრამ ტემპერატურა — თუმცა არც მაინცდამაინც მაღალი — არ მივარდებოდა. მაშინ ჩემმა ეტიკმა სახვევი მასალისთვის სოფლის ბოლოში მდებარე სამხედრო ბაზას მიაშურა — მთელ სოფელში წამლად ვერ იშოვიდი ერთ ნაჭერ მარლას ანდა წებოვან სალბუნს.

და ერთ-ორ საათში მარლა-სალბუნიანად დაბრუნდა, თანაც ვიღაც ახალგაზრდა სამხედრო ექიმიც წამოეყვანა, რომელმაც გამოკითხვა დამიწყო, ახლა სად არის ის ძაღლი, შენ რომ დაგკბინაო.

— შენი იარა-ჭრილობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ძაღლი ცოფიანი ყოფილა, — თავისი საქმის ფრიად მცოდნე კილოთი დაასკვნა მან.

— როგორ გეკადრებათ, — შევესიტყვე, — ვეთამაშებოდი და ცოტა მეტი მოუვიდა... ძველი ნაცნობი ძაღლია.

მაგრამ ჩემი ნათქვამი ოფიცერმა ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა. ახლავე შრატი უნდა გაგიკეთოო, და დაუყოვნებელი ჰოსპიტალიზაციის მუქარით, როგორც იყო, ერთ ნემსზე დამიყაბულა. მერე ისევ, არა, მაინც მითხარი ძაღლი სად არისო, ატყდა.

სად არის და ფონსებადონში-მეთქი, ვუთხარი.

— ფონსებადონი დაქცეულია. იქ ძაღლს რა უნდა, — თქვა ყოვლისმცოდნე ექიმმა, და თან ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვითომ ტყუილში დაგიჭირეო.

მაშინ რამდენჯერმე თვალსაფრივ მოსაჩვენებლად დავიკვნესე, და პეტრუსმა ოფიცერი ოთახიდან მიაბრძანა. თუმცაღა, მან ყველაფერი დატოვა, რაც საჭირო იყო — სტერილური ბინტი, სალბუნი და ჭრილობის სწრაფად პირის შემკვრელი მალამო.

მაგრამ პეტრუსსა და ექიმბაშ დედაბერს ის მალამო არ გამოუყენებიათ. იარებზე სამკურნალო ბალახების ახალი **პორცია** დამადეს და ბინტით შემიხვიეს, რამაც ძალიან გამახარა, რადგან ძაღლის ნაკბილართა ლოკვა აღარ მომიწევდა. ღამით ორთავე მკურნალმა ჩემი საწოლის წინ დაიმუხლისთავა, თან ხელებს თავზემოთ მატარებდნენ და ლოცვებს ხმამაღლა კითხულობდნენ. რომ შევეკითხე, ვინ ლოცვებია-მეთქი, რაღაც ბუნდოვნად ქარიზმა და რომაული გზა ახსენეს.

ორ დღეში უკვე წამოვზეზეურდი. ფანჯარასთან რომ მივედი, დავინახე, როგორ დადიოდნენ ჯარისკაცები კარდაკარ და როგორ ჩხრეკდნენ გორაკებზე შეფენილ კორომთ.

რას დადიან, რას ეძებენ-მეთქი, ვკითხე.

— სადღაც ახლომახლოში ცოფიანი ძაღლი გამოჩენილა, — იყო პასუხი.

იმავე დღეს მჭედელმა, ვინც ოთახები მოგვაქირავა, მკაცრად გაგვაფრთხილა, რომ, როგორც კი სიარულს შევიძლებდი, მე და პეტრუსს დაუყოვნებლივ დაგვეტოვებინა სოფელი. იქაურთ თურმე სულ ზეპირად იცოდნენ ნაგაზის ამბავი და შიშობდნენ, ვაითუ ცოფი მომრეოდა და იმ არემარეში სუყველასთვის ყელი გამომეღადრა. პეტრუსი და ბებერი ექიმბაში ბევრს ელაპარაკნენ მჭედელს, როგორც მასპინძელს, ნამუსზე შეგდება მოუნდომეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: ის მაინც თავისაზე იდგა, უნდა წახვიდეთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვითომ თავისი თვალით მნახა, მძინარეს როგორ მდიოდა პირიდან დუჟი.

ვერავითარი დასაბუთება ვერ მშველოდა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ ძილში სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც ხან იქნებ დუჟიც წამოუვიდეს, დორბლიც და სხვა ბევრი რამ უცნაურობაც დაემართოს, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ღამე ჩემი ეტიკი და ექიმბაში დედაბერი ისევ თავზე დამადგნენ და ლოცვას მოჰყვნენ, დილით კი კოჭლობ-კოჭლობ-კოჭლობით ისევ სანტიაგოს უჩვეულო გზას დავადექი.

ჩემმა სალმობა-გასატკივრებამ ძალიან ხომ არ შეგაწუხა-მეთქი, დავეკითხე პეტრუსს.

— ვინც სანტიაგოს გზას არიან ადევნებული, იმ ხალხისთვის ერთი რამ წესია, რაზედაც შენთვის ადრე არა მითქვამს რა, — მომიგო მან. — ის წესი გვაუწყებს, რომ ლოცვადმავლობის შეწყვეტის ერთადერთი საპატიო მიზეზი ავადმყოფობაა. აგრე სწრაფად რომ არ მომჯობინებულიყავი და სიცხიანობისთვის თავი ვერ დაგელწია, სრული საფუძველი გვექნებოდა, რომ სწორედ აქ, ამ სოფელში, დაგვემთავრებინა ჩვენი მოგზაურობა.

ოღონდ თან გარკვეული სიამაყით დააწონა, ჩემმა ლოცვამ გაჭრაო. მე კი დავრწმუნდი, რომ პეტრუსისთვის ეს შემართება ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩემთვის.

გზა ამჯერად დალმართს მისდევდა, და პეტრუსმა გამაფრთხილა, აგრე კიდევ ორი დღე და ღამე გაგრძელდებაო. აწ უკვე ჩვეულებრივ რიტმს დავუბრუნდით და დღის მეორე ნახევარში, როცა მზე ულმერთოდ აჭერდა, სიესტა გვშველოდა. ჩემი ტავარჯუხი პეტრუსს მოჰქონდა — მე ჯერეთ კიდევ გამოსაჯანსაღებლის მდგომარეობაში ვიყავი.

თუ არ ავჩქარდებოდით, არც არაფერი დაშავდებოდა, რადგან დანიშნული შეხვედრა უკვე შედგა.

რაც დრო გადიოდა, თანდათან სულ უფრო მხნედ ვგრძნობდი თავს და მეამაყებოდა, რომ ჩანჩქერქვეშ კლდეზე ავედი და გზის დემოხს ვძლიე. თუმცა წინ ყველაზე უფრო საძნელო საქმე [illegible] ჩემი მახვილი უნდა მეპოვა. გულისნადები პეტრუსს ჩავ[illegible]

— მართალი ხარ, ლამაზად გაიმარჯვე, ოღონდ ყველაზე უფრო მთავარ საქმეში ვერ წარემატე, — თავისი პასუხით მან ცივი წყალი გადამასხა ეგრევე.

— რას მიქარაგმებ?

— იმას გიქარაგმებ, რომ მტერთან შებმის ზუსტი დრო ვერ გამოიცანი. მე ეს მარშ-ნახტომი იმისთვის მოვაწყე, ამასაც უნდა მიმხვდარიყავი, შენ კი მარტო ის ფიქრი გაგიჩნდა, რომ შენს მახვილს ვეძებდით და ეგ იყო. მითხარი ერთი, აბა, რა ოხრად უნდა მახვილი იმ კაცს, ვინც არ იცის, მტერს სად გადაეყრება?

— ის მახვილი ჩემი ძლიერების იარაღია.

— ნამეტანი დარწმუნებული ხარ შენს ძლიერებაში. ჩანჩქერმა, RAM რიტუალებმა, შენს მაცნე-მაუწყებელთან დალაპარაკებამ სულ დაგავიწყეს ის ამბავი, რომ მტრის დასამარცხებლად მტერია საჭირო. და ისიც გულიდან გადაგიგდეს, იმასთან შეხვედრა რომ გქონდა დანიშნული. სანამ ხელი შენი მახვილს ჩაბლუჯავდეს, მანამ უნდა იცოდინო, სად არის მტერი და პირისპირ სად უნდა გადაეყარო. მახვილს მარტოოდენ გაკვეთა შეუძლია. მაგრამ გაკვეთამდე, სანამ მოიქნევდე, ხელი უკვე გამარჯვებულია ან დამარცხებული.

კი, ბატონო, ლეგიონს უმახვილოდ სძლიე. ჩვენს ძებნა-ძიებაშიც რაღაც მუღამია, რისი მიკვლევაც ჯერხანად ვერ მოგიხერხებია. არადა უიმისოდ ვერცროდის ვერ იპოვი, რასაც ეძებ.

მე ხმას არ ვიღებდი. როგორც კი ვირწმუნებდი ხოლმე, მიზანთან უკვე ახლოსა ვარ-მეთქი, პეტრუსი მუდამ ჯიუტად შემაგონებდა, რომ ჩვეულებრივი ლოცვადმავალი ვიყავი, ხოლო რისამე სანუკვარის მისაგნებად ხან რა მაკლდა და ხან რა. და ის აღტყინება, რასაც ამ საუბრამდე ერით წუთით ადრე განვიცდიდი, უკვალოდ გაქრა.

კვლავ სანტიაგოს უჩვეულო გზას გავედე, და ნაღველი მომეძალა. ამ გზით, რომელსაც ახლა მივკეცავდი, თორმეტი ასეული წლის სიგრძეზე მილიონობით ადამიანს გაევლო — ერთნი თუ სანტიაგო-დეკომპოსტელაში მიდიოდნენ, მეორენი იქიდან ბრუნდებოდნენ. ყველა ამ ადამიანისთვის დანიშნულების ადგილას მისვლა მხოლოდ დროის ამბავი იყო. მე კი ტრადიციის მახეები და ხაფანგები სულ ახალ და ახალ დაბრკოლებებს მალახვინებდნენ, ხან რა ახალ და ახალ განსაცდელთ მახვედრებდნენ, ხან რა ხიფათ-ფათერაკთ.

დავიღალე-მეთქი, ვუთხარი პეტრუსს, და გრილოში დავსხედით. გზის პირად, ორსავე მხარეს, მაღალი ხის ჯვრები ემწკრივნენ. პეტრუსმა ორივე ტავარჯუხი მიწაზე დადო და განაგრძო:

— მტერი მუდამ ჩვენს სუსტ ადგილს პოულობს — გინდ ფიზიკური ტკივილის შიში თქვი და გინდ სიხარული ჯერ კიდევ მოუპოვე-

ბელი გამარჯვებისა გამო. ანდა ბრძოლისთვის ზურგის შექცევა, როცა გვეჩვენება, რომ საქმე იმად არა ღირს.

ჩვენი მტერი ბრძოლაში მხოლოდ მაშინ ებმება, როცა ჩვენს თამარცხებაშია დარწმუნებული. თანაც ზედ იმ დროს, როს გაყოყლოჩინებულთ თავი უძლეველი გვგონია. ბრძოლაში მუდამ ჩვენი სიმტკიცე-გილის დაცვასა და დაფარვას ვცდილობთ, არადა მტერი დაუცველ ადგილზე გვირტყამს, დაუცველს კი იმ ადგილს იმიტომ ვტოვებთ, რაკიღა დარწმუნებული ვართ, შეუვალიაო. და ბოლოსა და ბოლოს ვაგებთ ბრძოლას, რადგან ის ამბავი ხდება, რაც არამც და არამც არ უნდა მომხდარიყო: მტერს თავადვე ავარჩევინეთ ბრძოლის ხერხი.

რასაც პეტრუსი უბნობდა, ყველაფერი თან ახლდა ნაგაზთან ჩემს ბრძოლას. და ამავე დროს გაგონებაც არ მინდოდა, რომ ვინმე მტერი მყავდა და უნდა მებრძოლა იმ ჩემს ავის მნდომთან. თუმცა მალევე მივხვდი, რომ პეტრუსი **სამართლიან ომს** გულისხმობდა, მე კი ტყუილად მეგონა, სიცოცხლისთვის ბრძოლაზე მელაპარაკა-მეთქი.

— მართალი ხარ, — მითხრა მან იმის მერე, ჩემი ნაგუმანევი რომ გავუზიარე. — მაგრამ **სამართლიანი ომი** მთლად ეგრე არ უნდა გავიგოთ. შებრძოლება ცოდვის ჩადენას არ ნიშნავს. შებრძოლება ნიშნავს სიყვარულის მოქმედებას. მტერი ზუსტად ისევე გვავითარებს და სრულგვყოფს, როგორც შენ ნაგაზი მოგექცა.

— მგონი, შენ არცროდის ხარ კმაყოფილი, მუდამ რაღაცას ისაკლისებ. ჩემი მახვილის მულამზე მიამბე რამე, თუ კაცი ხარ.

პეტრუსმა, ეგ ჯერ კიდევ მაშინ უნდა გცოდნოდა, სანამ გზას დაადგებოდიო. და მტერზე მსჯელობა განაგრძო:

— მტერი **აგაპეს** ნაწილია და იმად გაგვჩენია, რათა მკლავიც გამოგვიცადოს, ნებაც და მახვილის ფლობის ხელოვნებაც. უნებლიეთ და შემთხვევით კი არა, ის განზრახ და განგებ არის ჩვენს ცხოვრებაში ჩაწერგილი, ისევე როგორც ჩვენა ვართ იმის ცხოვრებაში დაწიდნული. და ეს განზრახულება უნდა აღსრულდეს. ამიტომ არცრა არის და არცრა შეიძლება იმაზე უარესი, ვიდრე ბრძოლისთვის თავის არიდებაა. ეს გაცილებით უარესია, ვინემ დამარცხება, ვინაიდან მარცხი ხან გაკვეთილს შეიცავს, ბრძოლის ველიდან გაქცევით კი საქვეყნოდ ვაცხადებთ ჩვენი მტრის გამარჯვებას.

აღარ მოვერიდე, ავდექი და პირდაპირ ვუთხარი, ძალიან მაკვირვებს ძალადობის გასამართლებელი ეგრეთი ლაპარაკი-მეთქი, თანაც ვინმე სხვისგან კი არა, შენგან, ვინც ქრისტეს მოძღვრებასთან ესდენ მკვიდრად ხარ დაკასშირებული-მეთქი.

— აბა, კარგად დაუკვირდი, რაოდენ საჭიროა ქრისტესთვის იუდა, — მითხრა მან. — იესო მტერს თუ არ გაიჩენდა, სხვანაირად იმის ბრძოლას ამქვეყნად არავინ არ განადიდებდა...

გზის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯვრები კი თვალადსაჩენსა ხდიდნენ, რისგან დგებოდა ეს დიდება. სისხლისგან, ღალატისგან, ღვთის ანაბარად დაგდებისგან. წამოვდექი და, გზა განვაგრძოთ-მეთქი, ვთქვი.

და სიარულში ვკითხე, რას უნდა ეყრდნობოდეს ბრძოლაში ადამიმკვიდრად ხარ დაკავშირებული-მეთქი.

— თავის აწმყოს. ყოვლის უკეთესი მოზავე-მოკავშირე ადამიანისთვის ის საქმეა, რომელსაც ამჟამად ადგას, რადგან იმ საქმეშია **აგაპე**, ანუ ალმაფრენით გამარჯვების წადილი.

და კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა: მტერი იშვიათად განასახიერებს ბოროტებას. მტერი იმისათვის გვინდა, რა არის ქარქაშის ტყვედ არ დაგვრჩეს მახვილი და არ დაგვიჟანგდეს, რკინის ფასი არ მოედოს.

ამის თქმა იყო, და გამახსენდა, ქალაქგარეთ სახლს რომ ვაშენებდით, ჩემმა ცოლმა ერთხელ არც აცივა, არც აცხელა და ერთ-ერთი ოთახის განლაგების შეცვლა მოიპრიანა. მე მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, ერთი ნაცნობი კალატოზი ჩამერთო საქმეში. ასე, სამოცი წლის კაცი იქნებოდა. მომისმინა, ამხედ-დამხედა და სულ სხვა, ბევრად უკეთესი გამოსავალი შემომთავაზა, რის მიხედვითაც უკვე ამოშენებული კედელი უნდა გამოგვეყენებინა. ამ ამბავმა ჩემი ცოლი მართლაც აღაფრთოვანა.

პეტრუსი თავისი მიკიბულ-მოკიბული სიტყვა-პასუხით იქნებ ამავე აზრის გამოხატვას ცდილობდა: თუ მტრის დამარცხება გვინდა, იმ საქმის ძალა უნდა გამოვიყენოთ, რა საქმესაც იმჟამად ვადგავართო.

ჩვენც ერთი ასეთი რამ მოგვიხდა-მეთქი, კალატოზის ამბავი ვუთხარი.

— ცხოვრება მოცემითაც მეტს გვაძლევს და სწავლებითაც უფრო მკვიდრად გვასწავლის, ვინემ სანტიაგოს უჩვეულო გზა, — მომიგო ჩემმა ეტიკმა. — ოღონდ მაინცდამაინც კარგად ვერ ვითვისებთ ცხოვრების გაკვეთილებს.

გზის გასწვრივ კვლავინდებურად ჯვრები ემწკრივნენ. ეტყობა, ვილაც ზეადამიანური ძალის მქონე ლოცვადმავალს უნდა აღემართა ეს მძიმე და მაგარი ხის ძელები. მიწაში ღრმად ჩასმულ ჯვრებს ერთმანეთისგან ზუსტად ოცდაათი მეტრი აშორებდა და ყველაზე ბოლოს თვალი ვერც სწვდებოდა. ეს ჯვარ-ძელები რას უნდა ნიშნავდნენ-მეთქი, დავეკითხე პეტრუსს.

— თითოეული ეგ ძელი ძველი, აწ ხმარებიდან გასული წამების იარაღია, — მომიგო მან.

— მერედა, აქ რა დანიშნულება აქვთ?

— ჩემი ვარაუდით, ვილაცას აღთქმული ჰქონდა. თუმცა, აბა, რა ვიცი?

ერთ გადაქცეულ ჯვართან ცოტა შევანელეთ ნაბიჯი.

ჩანს, ხე დამპალა-მეთქი, ვთქვი.

— ეგეც იმ ხისაა, რომლისაც დანარჩენია. ისინი კი არ დამპალან.

— მაშ, აბა, მიწაში საკმაოდ ღრმად არ ჩაუსვამთ.

პეტრუსი შეჩერდა და მიმოიხედა. მერე მხრიდან გუდა მოიხსნა, დაჯდა. საქციელს ვერ მივუხვდი — შესვენებით ხომ აგერ სულ ახლახან შევისვენეთ და თითქმის ინსტინქტურად ნაგაზს დავუწყე ძებნა.

— შენ ის უკვე დაამარცხე, — ჩაილაპარაკა პეტრუსმა, თითქოს ჩემს გულში იჯდა. — აჩრდილებისა კი ნულარ გეშინია.

— მაშ, რაღად გავჩერდით?

მან წამისყოფით მანიშნა, გაჩუმდიო, და თავადაც რამდენიმე წუთს კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ მე კვლავ ნაგაზის გამოჩენის ჟამ-ლმა შიშმა შემიპყრო, და ამიტომ ისევ ფეხზე ვიდექი, ველოდი, როდის ინებებდა ხმის ამოღებას პეტრუსი.

— რამე თუ გეყურება? — მკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— არა. არაფერი. მარტო სიჩუმე მესმის.

— ღმერთმა ქნას, ისერიგად გავნათლებულიყავით, სიჩუმე გაგ-ვეგონოს. არ შეცდე, მე და შენ მხოლოდ ადამიანები ვართ და ჯერ სა-კუთარი ლაქლაქის გაგონებაც კი ვერ გვისწავლია. შენ არასოდეს გიკითხავს, წინასწარ როგორ ვიგრძენი ლეგიონის გამოჩენა. ახლა გეტყვი — სმენით ვიგრძენი. ხმა მანამდე ბევრად ადრე მომესმა, მე და შენ ჯერ კიდევ ასტორგაში ვიყავით. და სწორედ მაშინ ავაჩქარე ნაბიჯი, რადგან ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ ჩვენი გზები ფონსებადონში გადაიკვეთებოდა. შენც იმასვე ისმენდი, რასაც მე, ის-მენდი, ოღონდ არ გეყურებოდა.

ყოველივე აღბეჭდილი და განსახიერებულია ბგერებში. ადამიანის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. ვისაც ყურისგდება არ შეუძლია, იმისთვის გაუგებარია სუყველა ის რჩევა-დარიგება, რასაც ცხოვრება ყოველწუთიერად გვიკარნახებს. ვისაც ყოფიერების ხმაური ესმის და ეყურება, მარტო იმას ძალუძს სწორი გადაწყვეტილების მიღება.

პეტრუსმა, დაჯექი და ნაგაზი გულიდან გადაიგდეო, მიბრძანასა-ვით. მერე ახლა სანტიაგოს გზის ერთი ძალზე უბრალო და მნიშვნე-ლოვანი რიტუალი უნდა შეგასწავლოო, მითხრა.

და ყურისგდების სავარჯიშო მასწავლა.

თანაც დააწონა, ახლავე შეასრულეო.

მეც დავემორჩილე. ჯერეთ ქარის ხმა მესმოდა, მერე შორიდან ქა-ლის ხმა მომეყურა, ცოტა ხანში კი მივხვდი, რომ მიწიდან რაღაც ამ-ოცენდა. სავარჯიშო მართლაც ადვილი იყო და თავისი სიმარტივით მხიბლავდა. მიწას როგორც კი ყური დავადე, უმალ ყრუ ბუყბუყი მო-მესმა, და მალე უკვე ყველაფერს ცალ-ცალკე ვარჩევდი: უქარობაში ფოთოლი რომ არ იძვროდა, იმის შარიშურსაც, შორეულ რასმე ხმასაც, ჰაერში ფრინველთა ფრთების ფათქუნსაც. მაგრამ რაღაც მცირე რამ ნადირის ღრენა რომ გაისმა, ვერ გავარჩიე, სახელდობრ რა ნადირი იყო. სავარჯიშოს თხუთმეტმა წუთმა უცებ გაირბინა.

— თანდათან დარწმუნდები, რომ ეს სავარჯიშო სწორ გა-დაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება, — ისე მითხრა პეტრუსმა, არ უკითხავს, რა გესმოდაო. — **აგაპე** ცისფერი სფეროს წყალობით მეტ-ყველებს, აგრეთვე მხედველობისა და შეხების, ყნოსვისა და სმენის წყალობით. გულის წყალობითაც. დიდი-დიდი ერთ კვირაში ხმებს უკ-ვე გაიგონებ — პირველად ცოტა ყრუ და მორცხვ ხმებს, მაგრამ თან-დათანობით იმ ხმათაგან ბევრს რასმე მნიშვნელოვანს გაიგებ. ოღონდ შენს მაცნე-მაუწყებელთან ფრთხილად იყავი — ის აუცილებლად შეეც-დება შენს შეცბუნებასა და დაბნევას. მაგრამ რაკიღა ენას უსწავლი, საშიში აღარ იქნება.

„ყურისგდების“ სავარჯიშო

მოდუნდი. თვალები დახუჭე.

ეცადე, რომ რამდენიმე წუთში სულ ერთად მოუყარო თავი ყველა ბგერას, რაც შენ ირგვლივ გაისმის, ვითომ დიდ ორკესტრს რასმე უსმენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან თითოეულ ბგერას ცალ-ცალკე გაარჩევ. შენც ადექი და თითოეულზე გადაიტანე გულისყური, ვითომდაც მუსიკალური საკრავის სოლო პარტიას ისმენ. ყველა დანარჩენ ბგერას ნუ აღიქვამ, ეცადე.

თუკი ამ სავარჯიშოს ყოველდღიურად გაიმეორებ, მალე ხმების გაგონებასაც ისწავლი. თავდაპირველად ეს ამბავი შენი წარმოსახვის თამაშად მოგეჩვენება. მაგრამ მერე გაიგებ, რომ ეს ხმები იმათ ეკუთვნით, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება, და ყველანი ერთად ისინი წარმოქმნიან დროის მეხსიერებას.

ამ სავარჯიშოს შესრულება მანამ არ ეგების, სანამ შენი მაცნე-მაუწყებლის ხმას არ შეიცნობ.

მინიმალური ხანგრძლივობა ათი წუთია.

პეტრუსმა კიდევ ისიც მკითხა, მესმოდა თუ არა მტრის მხიარული მოწოდება, ქალის მიპატიჟება ანდა ჩემი მახვილის ხვაშიადი.

— მხოლოდ ქალის ხმა მესმოდა შორად, — მივუგე. — ალბათ, ვინმე გლეხის ქალი თუ ეძახდა შვილს.

— მაშ, მაგ წაქცეულ ჯვარს შეხედე და გონებაში კვლავ წამოაყენე.

ეგ რა სავარჯიშოა-მეთქი, ვკითხე.

— შენი აზრის ძალას გაწამებინებს.

მიწაზე დავჯექი და იოგის პოზა დავიჭირე. ვიცოდი, იმის მერე, რასაც უკვე მივაღწიე, ჩანჩქერსა და ნაგაზთან ორთაბრძოლის მერე — არც ამისი ქმნა გამიჭირდებოდა. ჯვარს წავაბზირდი, ჟინიანად დავუწყე მზერა, როგორც იტყვიან, თვალებად დავიცალე. თან წარმოვიდგინე, როგორ დავაგდებდი ჩემს სხეულს, დავწვდებოდი ხის ძელს და ასტრალური სხეულის ჭაპანწყვეტით წამოვაყენებდი. ტრადიციის გზას გადებულს ბევრი ამისთანა წვრილ-წვრილი „სასწაული“ უკვე არაერთხელ მომეხდინა — თვალწაბზირებულ მზერა-მზერაში სირჩაც მრავლად შემომსხვრეოდა და კულაც, ფაიფურის პეპერებიც, ის კი არა, ზოგი რამ საგნისთვის მაგიდაზე ადგილიც გამომიცვლია, გადამიადგილებია. ეს ყველაფერი უბრალო მაგიური ოინები იყო, რაც ძალის დაუფლებას სულაც არ ნიშნავდა, თუმცა „მიწიერთა“ დარწმუნებაში ძალიან მეშველებოდა. მართალია, ადრე ამგვარ ვეება რამესთან, როგორიც ეს ჯვარი იყო, ურთიერთმოქმედება არც მეცადა, მაგრამ ვიცოდი — რახან პეტრუსმა მიბრძანა, ამასაც მოვახერხებდი.

მთელი ნახევარი საათი ვიჯახირე. ხან რა ვიპეიტრე, ხან რა. ასტრალურ მოგზაურობასა და თვითშთაგონებასაც მივმართე. გავიხსენე როგორ ერეოდა ჩემი მოძღვარი სიმძიმის ძალას, და იმ სიტყვების გამეორება ვცადე, ის რომ წარმოთქვამდა ხოლმე. მაინც ვერაფერს გავ-

ხდი. ბოლოს უკიდურეს კონცენტრაციას მივაღწიე, ჯვარი კი არა და არ იძვროდა ადგილიდან. მაშინ ასტრაინს ვუხმე — და ისიც ცეცხლის სვეტებში გამოჩნდა. მაგრამ ჯვარი ვახსენე თუ არა, ეგ საგანი ზიზღისა მგვრისო, მიპასუხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრუსმა შემანჯღრია და ტრანსიდან გამომიყვანა.

— გეყოფა, გაწყალდა გული, — თქვა მან. — რახან ჯვარი აზრის ძალით ვერ წამოგიყენებია, მაშ, აბა, საკუთარი ხელებით სცადე.

— რა?

— ქენ, რასაც გეუბნებიან!

და უცებ შიშმა ამიტანა — ჩემ წინ სასტიკი და წარბშეუხრელი კაცი იდგა, რომელიც სრულებით არა ჰგავდა იმას, ვინც ცოტა ხნის წინათ მზრუნველად დამტრიალებდა თავს და მწამლობდა ნაგაზისგან მოწყლულს. ალარ ვიცოდი, რა მეთქვა, რა მელონა.

— ახლავე შეასრულე, — მკაცრად თქვა მან. — გიბრძანებ!

ხელ-ფეხი ჯერეთ ისევ დაბინტული მქონდა — ნაგაზთან შეტაკების შედეგი იოლი არ გამოდგა. ყურისგდების სავარჯიშო კი შევასრულე, მაგრამ ყურებს მაინც არ ვუჯერებდი. აბა, შემხედე, რა დღეში ვარ-მეთქი, მდუმარედ შევაცოდე პეტრუსს თავი. თუმცა გული ვერა და ვერ მოვულბე. კვლავ ცივად და უგრძნობლად მიყურებდა — ელოდა როდის დავემორჩილებოდი.

გაჭრა, უკვალოდ დამეკარგა ჩემი ეტიკი და მეგობარი, რომელმაც ჩემთან ერთად გამოიარა მთელი ეს გზა, რომელმაც შემასწავლა RAM რიტუალები და მართლაც საოცარ ამბებს მომიყვა სანტიაგოს გზაზე, — უწინდელი პეტრუსის ნაცვლად ჩემ წინ ახლა სულ სხვა კაცი იდგა და როგორც ბატონი მონას, ისე მიცქეროდა, ჯიუტად ითხოვდა თავისი აბსურდული ბრძანების შესრულებას.

— რაღას უყურებ?

ამის თქმა იყო, და ჩანჩქერი გამახსენდა. გამახსენდა, როგორ შემეპარა ეჭვი პეტრუსში, მან კი სულგრძელობა გამოიჩინა, სიყვარული მაგრძნობინა და საკუთარ მახვილზე უარის თქმა ამიკრძალა. და გახცვიფრებული ვიყავი, როგორ შეეძლო ასერიგად კეთილშობილ ადამიანს ჩემდამი ახლა აგრე ულმობლად მოქცევა და იმ საშინელების განსახიერება, რის საშუდამო უკუგდებასაც ცდილობს კაცობრიობა, — მხედველობაში მაქვს ადამიანის დათრგუნვა თავისივე მოყვასის მიერ.

— პეტრუს, მე...

— დამემორჩილე, თორემ სანტიაგოს გზა აქავე დამთავრდება, ამ ადგილას.

შიში, რომელსაც პეტრუსი მგვრიდა, იმაზე ბევრად ძლიერი იყო, ჩანჩქერთან რომ განვიცდიდი, და რა თავზარსაც საერთოდ ნაგაზი მცემდა, ისიც მოგონილი იყო ამ შიშთან. სასოწარკვეთილმა ბუნებასა და დავუწყე ვედრება, ეგება რაღაც ისეთი მანიშნო, რომ დავინახო ან გავიგონო ამ უაზრო ბრძანების რამე გამამართლებელი-მეთქი. მაგრამ ირგვლივ ყველაფერი დუმდა. სხვა გზა არ იყო: ან უნდა დავმორჩილებოდი პეტრუსს, ან სამუდამოდ უნდა დამევიწყებინა ჩემი მახვილი. კვლავ მივაშვირე ჩემს მეგზურს დალადრულ-დაგაზული ხელები, მაგ-

რამ მან წამერთ მიწაზე მოირთხა ფეხი და თავისი ბრძანების აღსრულებას დაუწყო ლოდინი.

რაც არის, არის, უნდა დავემორჩილო-მეთქი, გადავწყვიტე.

მივედი, წაქცეულ ჯვარს ფეხი წავცხე, რათა გამეგო, რამდენად მძიმე იყო, მაგრამ ძელს თავის განივ-გადანაჭდობაზე ვერ ვუყავი. ხელები ამ დღეში რომც არ მქონოდა, ალბათ, მაინც ვერ ავწევდი, ახლა ხომ ნამდვილად უაზრობა იყო წაქცეული ჯვრის წამოყენებაზე ფიქრი. არადა, რახან დამორჩილება გადავწყვიტე, რაღაც უნდა მეღონა. თუკი საჭირო გახდებოდა, თავიც უნდა შემეკლა, ოფლი სისხლის წვეთებად უნდა მეპკურებინა მიწისთვის, ვით იესო ქრისტეს, ზუსტად ამისთანავე სიმძიმის მზიდველს, ოღონდაც ღირსება არ შემელახა პეტრუსის წინაშე. იქნებ მაშინ მაინც შემიბრალოს და დამხსნას ამ გამოცდას-მეთქი, ვფიქრობდი.

ჯვარი შიგ ძირში იყო გადამტყდარი, მაგრამ ჯერეთ კიდევ ეჭირა დაჩენჩილ ბოჭკოვან მერქანს. რით გადამეჭრა ხელთ არცრა გამაჩნდა. თან ტკივილს ვებრძოდი, თანაც მკლავები მოვხვიე ძელს და ჩემი ჭკუით მოგლეჯა დავუპირე, დაგაზულ-დაღადრული ხელისგულებით შეხებას ვერიდებოდი. თუმცა არც ერთი წინამხარი უკეთეს მდგომარეობაში არა მქონდა, ასე რომ ტკივილისგან ერთი ისეთი შევყვირე, ჩემი ცოდვით, როგორც იტყვიან, მაღლა ცა იწვოდა, დაბლა დედამიწა. პეტრუსს კი ისევ ისე გულგრილად ეჭირა თავი. მაშინ დავიფიცე, ჩემს კვნესა-ვაებას გულში ჩავიკლავ და ამ კაცს აღარ გავაგონებ-მეთქი.

მივხვდი, რომ ჯვარი უწინარესად დაჩენჩილი ძირისთვის უნდა მომეგლიჯა. მერე უკვე ორმოს გავთხრიდი და ჯვარს შიგ ჩავდგამდი, მიწას მივაყრიდი. ჯაყვა რომ ჯაყვაა, ისიც არა მქონდა, ამიტომ პირბასრი ქვით შევიარაღდი, კბილი კბილს დავაჭირე და დაჩენჩილ-დაძენძილ ბოჭკოვან ძირს გადაჭრა დავუწყე.

ბასრი სალი ქვა გამჭრეობით კი გამჭრეობდა, პირს იკიდებდა დაჩენჩილ ძირზე, მაგრამ ტკივილი უარდაუარ მიმძაფრდებოდა. საქმეს მალე თუ არ მოვუღე ბოლო, იარა იარაზე გამეხსნება და საერთოდ ველარაფერს გავხდები-მეთქი, ვიფიქრე. თუმცაღა პირიქით მოვიქეცი: ისე მაინცდამაინც ვერ ავჩქარდი, რომ საქმე მანამ მომეთავებინა, სანამ ტკივილი დამძალავდა. წამისყოფით მაისური გავიძრე და ხელებზე დავიხვიე, — რა არი, ისედაც დაგაზულ-დაღადრულს უარესი არ მომსვლოდა. ამჯერად ნაფიქრმა გამიმართლა — ჯერეთ ერთი ნაჩენჩი ბოჭკო გაიგლიჯა, მერე მეორე, ახლა კიდევ უფრო ბასრი ქვა შევარჩიე. რამდენჯერაც სამუშაოს ვწყვეტდი, იმდენჯერ მეჩვენებოდა, რომ ხელახლა ველარ მივუბრუნდებოდი, რადგან ძალა აღარ მეყოფოდა. მაინც ვძალადობდი. კიდევ რამდენიმე ბასრი ქვა მოვიძიე, გვერდით დავიწყე და შიგადაშიგ ვცვლიდი, აღარ ვჩერდებოდი იმ იმედით, რომ მუშაობაში გახურებული ხელი ისე აღარ შემაღონებდა.

ბოლოს, ერთი, ყველაზე სქელი ბოჭკოლა დარჩა, არა და არ ეჭრევინებოდა ჩემს ბასრ ქვას. ტკივილი კი თანდათან მატულობდა და უფრო გამალებით დავიწყე გარჯა. ველოდი, რომ სულ ახლოს იყო ის წუთი, როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდებოდა. ამიტომ როგორმე

დრო უნდა მომეგო. მეც ვიდექი და ვჭრიდი, ვბალთავდი, ვხერხავდი ჯვრის ძირს, სანამ არ ვიგრძენი, რომ ბინტქვეშ რაღაცა მეონავდა და ხელის მოძრაობას მიშლიდა. სისხლი წამომივიდა-მეთქი, ვიფიქრე, და შევეცადე, რომ აღარ მეფიქრა, რაც შერჩენილი ძალა და ღონე მქონდა, ერთიც გავუსვი ქვა, და ის ბოჭკო თუ ჩინჩლიც დამნებდა. [illegible] მერე ჩქარ-ჩქარა გავსწორდი წელში და საოცრად აგზნებულმა წიხლი ვკარი ძელს, რომელმაც ამდენი მაწვალა.

და ბოლოს და ბოლოს თავის ძირს მოწყვეტილმა ჯვარმა ზღართანი მოიღო მიწაზე.

მაგრამ ჩემი ცის გახსნა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. საქმეს კვლავ შევუდექი თუ არა, ხელმა იმისთანა ღრღნა დამიწყო, როგორც იტყვიან, გული ძაფზე გამივიდა. შეღონებულმა მზერა პეტრუსისკენ გავაპარე — ალბათ, თვალს არ მაცილებს-მეთქი, მეგონა, იმ დალოცვილს კი გულიანად ეძინა. ერთი ფიქრით ვიფიქრე, მოდი სულაც მოვატყუებ და ისე დავაყენებ ამ ჯვარს, მაგან ვერც გაიგოს-მეთქი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ პეტრუსს ვერანაირად ვერ მოვატყუებდი, რადგან ის ჯვარი მაინც მარტო ჩემი დასაყენებელი იყო.

მერე ყვითელ, გამომხმარ ნიადაგს დავხედე. როგორც ჩანდა, კვლავაც ქვების გამოყენება მომიწევდა. მარჯვენა ხელის ხმარება უკვე აღარ შემეძლო: მეტისმეტად მაღონებდა. მაისური ნელ-ნელა შევიხსენი და დავინახე, რომ სისხლი კარგა უხვად მომჟონავდა ბინტიდან, არადა ამ დროისთვის ყველა იარა უკვე მოშუშებული მქონდა. პეტრუსმა სიბრალული არ უწყოდა.

შესაფერისი ქვით შევიარაღდი — უფრო მოზრდილი და მაგარი მოვიძიე. მაისური ახლა მარცხენა ხელზე დავიხვიე და ჯვრის ერთ-ერთ ბოლოში დავიწყე მიწის ჩიჩქნა. პირველად საქმე კარგად აეწყო, მაგრამ მერე და მერე შეფერხდა; მიწა მეტისმეტად გაქვავებული იყო. ვთხრიდი, ვთხრიდი, ორმო კი ერთი გოჯითაც ვერ ჩავაღრმავე. საქმეს ის გარემოებაც ართულებდა, რომ ორმო საკმაოდ ვიწრო უნდა გამოსულიყო, რათა ჯვარი მჭიდროდ ჩამჯდარიყო, ასე რომ მიწის ამოღება ძალიან ჭირდა. სისხლი აღარ მომჟონავდა, მაგრამ რაღაც გულის ამრევი მქენჯნავი სუნი დამიტოვა. რახან მარცხენა ხელით მუშაობას მიჩვეული არ ვიყავი, ქვა წამდაუწუმ თითებიდან მისხლტებოდა.

რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ამბავი, თქმა მიჭირს. ისე მთელ საუკუნედ მეჩვენებოდა. ქვით ორმოს ვაღრმავებდი თუ ორმოს ვიწრო ყელიდან მიწის ამოსაყრელად შიგ ხელს ვყოფდი, სულ პეტრუსზე ვფიქრობდი. შიგადაშიგ გავხედავდი ხოლმე, რა უშფოთველად ეძინა, და მთელი გულით მძულდა. არცრა ჩიჩქნის ხმა აწუხებდა, არც ის ბოღმა, მე რომ აგრერიგად ვანთხევდი. ჩანს, ტყუილუბრალოდ არ იქცევა ასეთნაირად-მეთქი, გულში ვლაპარაკობდი, ოღონდ ვერა და ვერ მივმხვდარიყავი, რა ედო სარჩულად ჩემს მონურ მორჩილებას და იმისგან ჩემი ამგვარი დამცირების მისწრაფებას. და ასეთ დროს მიწის მაგივრად ჩემ წინ იმის სახეს ვხედავდი და გაცეცხლებული იმას ვურტყამდი ქვას, გაცეცხლება კი აშკარად მშველოდა მიწის უფრო ღრმად ჩათხრა-

ში. ახლა ყოველივე დროის ამბავია, ადრე თუ გვიან ჩემსას მაინც მივაღწევ-მეთქი, გავიფიქრე.

ამის გაფიქრება იყო, და ქვა რაღაც მაგარს მოხვდა, გალეწრიალდა და კიდევ ერთხელ გამვარდა თითებიდან. რისაც შეშინოდა, სწორედ იმას გადავაწყდი — რამდენიმე საათის მძიმე მუშაობის შემდეგ ორმოში პიტალო ლოდმა ამოყო თავი, რომელსაც ვერც ავლიდებდი და ვერც გვერდს ავუვლიდი.

წამოვდექი, შუბლზე ოფლი მოვიწმინდე და ფიქრი დავიწყე, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი. ჯვარს ჩასასმელად სხვა ადგილას ველარ გადავიტანდი, თავი აღარა მქონდა, ყველაფრის თავიდან დაწყებაც ნამდვილად აღარ შემეძლო, რადგან ვიგრძენი, რომ მარცხენა ხელი, როგორც კი ოდნავ შვება მივეცი, თანდათან მიბუჟდებოდა, რამაც ტკივილზე მეტად შემაშფოთა. თითებს ჯერეთ ისევ კი ვამოძრავებდი, მაგრამ უცაბედად შიშმა შემიპყრო, ვაითუ ეს ხელიც ამ საქმეს ვამსხვერპლო-მეთქი.

თვალი ჩემდა უნებურად რის ვაივაგლახით ამოჩიჩქნილი ხნარცვისკენ გამექცა, არა, ნამდვილად არ იყო საიმისოდ ღრმა, რომ იმსიმძიმე ჯვარი დაეჭირა.

„მცდარი მოსაზრება სწორ გზაზე გაგვიყვანს". წამომაგონდა პეტრუსის ეს სიტყვები და ზედვე ჩრდილების სავარჯიშოც გამახსენდა. გამახსენდა აგრეთვე, რა ჯიუტად იმეორებდა, RAM რიტუალთ მხოლოდ მაშინა აქვთ აზრი და მნიშვნელობა, თუ ისინი ცხოვრების მიერ ყოველდღიურად წამოჭრილ ათასგვარ კითხვაზე პასუხის გაცემაში წაგვადგებიანო. ჩემი ფიქრით, ახლაც უნდა წამდგომოდნენ, ამ აბსურდულ ვითარებაში.

„მცდარი მოსაზრება სწორ გზაზე გაგვიყვანს". მცდარი მოსაზრება იქნებოდა ჩემგან ჯვრის სხვა ადგილას გადატანის მცდელობა: ამის ძალა უკვე აღარ შემწევდა. არასწორი იქნებოდა მიწის თხრის განგრძობაც და ორმოს ჩაღრმავებაც.

მაგრამ თუ ორმოს ჩაღრმავების შემდგომი ცდა უმართებულო და მცდარი იყო, მაშასადამე, სწორი იქნებოდა მიწის შემაღლება, აკოკოლავება. ოღონდ როგორ?

და უეცრად პეტრუსის მიმართ ძველმა სიყვარულმა შემიპყრო. მართალი უთქვამს-მეთქი, ვამბობდი გულში. მიწა უნდა შემემაღლებინა. მორჩა და გათავდა!

მეც დავდექი და, თუ რამ ირგვლივ ქვა რამ ეგდო, სულ ორმოს გარშემო მოვაგროვე ნათხარ მიწაზე. მერე ძლივს, ნაილაჯევად წამოვუწიე ჯვრის ძელს ბოლო და ქვათაგან აკოკოლავებული ბოლცომის, ანუ მომაღლო ადგილის შუაში დავდე.

ახლა უკვე მარტო ჯვრის დაყენებაღა მრჩებოდა. ერთი გაბრძოლებაც, და ბოლოში გავიდოდი! მაგრამ ერთი ხელი ჩემი იყო თუ არა, ვერა ვგრძნობდი, მეორე კი საშინლად მტკიოდა. თანაც კიდევ ორივე დაბინტული მქონდა. სამაგიეროდ მეიმედებოდა მაგარი ზურგი, რომელიც ნაგაზის ბრჭყალებს მეტ-ნაკლებად გადამირჩა — ერთ-ორ ნაღ-

ადრს არად ვაგდებდი. თუკი ჯვარს როგორმე მხარს შევუდგამდი, და წამოვაყენებდი, ეგების ბოლოთი ორმოში ჩამეგდო კიდეც.

და გულდაღმა წავწექი, ვგრძნობდი, როგორ გაჰქონდა კბილებში მიწას კაწაკუნი და როგორ მიცვიოდა თვალებში. დაბუქებული ხელი უკანასკნელად დაიძაგრა, ოდნავ წამოსწია ჯვარი, და ეგრეთ ... მოვჩნდი. ძალიან ფრთხილად ავეკარი ხერხემლით მომრგვალო ძელს. რასაკვირველია, მძიმე იყო, გვარიანადაც მძიმე, მაგრამ ადამიანის ძალას მაინც ვერ აღემატებოდა. გავიხსენე „მარცვლის" სავარჯიშო და თავი ჩანასახად წარმოვიდგინე, თანაც ჯვარი ზუსტად ზურგის შუაში მოვიქციე. რამდენიმეჯერ მომეჩვენა, რომ ცოტაც და, დამიცურდებოდა, მაგრამ სხეულის მდგომარეობის ცვლას ვასწრებდი და წონასწორობას აღვადგენდი ხოლმე. ბოლოს ემბრიონის პოზაში გავშეშდი, შუბლი თითქმის მუხლებს შევახე და ამასთანავე ჯვარი ზურგით მეჭირა. ძელის ბოლო ერთი წამოდება ქვის ბოლცომს წამოედო, მაგრამ ჯვარი არ დამცურებია.

კიდევ კარგი, კაცობრიობა არა მყავს გადასარჩენი-მეთქი, ვფიქრობდი გულში ნახევრად გასრესილ-გაჭყლეტილი როგორც თვითონ ჯვრის, ისე ყოველივე იმის სიმძიმისაგან, რასაც ის განასახიერებდა. და გამახსენდა ზურგზე ჯვარმოკიდებული ძეხორციელი, რომლის დაწყლული ხელებიც — ჩემი ხელებისგან განსხვავებით — ვერ გადაურჩა მქისე, ხენეში ხის მტანჯველ-მტკივნეულ შეხებას. მაგრამ უკვე მომდევნო წუთსვე უცებ გამიქრა ეს ვაი-ვაგლახთან შერეული აღტყინება, რადგან ძელი კვლავ შემიქანდა ზურგზე.

და მაშინ წელში გაშლა და აღორძინება დავიწყე. უკან მიხედვა არ შეიძლებოდა, და ამიტომ ორიენტაცია მხოლოდ ხმის მიხედვით შემეძლო, სმენით სამყაროს აღქმის ხელოვნებას კი პეტრუსის წყალობით დაუფლებული ვიყავი — ამ დალოცვილს თითქოს გულმა გაუგო, რომ სულ მალე შეცნობის ეს გზა-სახსარიც დამჭირდებოდა, და აკი შემასწავლა კიდეც ყურის დაგდების სავარჯიშო. ტანით ვგრძნობდი, როგორ ერჭმოდა მძიმე ჯვარი თავისთვის გამზადებულ ქვის წიალს და როგორ ნელ-ნელა სწორდებოდა, იმართებოდა, თან მეც ამ გამოცდისგან მათავისუფლებდა, თვითონაც კვლავ სანტიაგოს გზას შემოვლებული უცნაური ჩარჩოს ნაწილი ხდებოდა.

კიდევ ერთი მუქარალა ყო საჭირო, და საქმე დამში მოვიდოდა. თუ ჩავცუცქდებოდი, ჯვარი ზურგიდან დამისხლტებოდა და ორმოში ჩაცურდებოდა. თითო-ოროლა ქვა კი გაგორდ-გადმოგორდა, მაგრამ ახლა უკვე თავად ჯვარი მშველოდა, მთელი თავისი სიმძიმით განკუთვნილი ადგილისკენ დაძრული. და რახან ისე აღარ მემძიმებოდა, მივხვდი, რომ ძირი ორმოში ჰქონდა ჩაყოფილი. შორს აღარ იყო გადამწყვეტი წუთი, რომელმაც ჩანჩქერი და ის ამბავი გამახსენა, როგორ უნდა გამეევლო წყლის ნიაღვრის ქვეშ.

ეს გადამწყვეტი წუთი თანაც ყველაზე უფრო ძნელი წუთიც იყო, ვინაიდან ადამიანს მოპოვებულის დაკარგვა აშინებს და, სანამ ეს არ მომხდარა, მზად არის ფარ-ხმლის დასაყრელად. და კვლავ ავფორიაქდი, კვლავ გულზე შემომაწვა ამ ჩემი წამოწყებული საქმის მთელი უაზრობა: არადა, მართლაც, რა წაქცეული ჯვრის წამოყენება ამიტყ-

და, უკეთუ ერთადერთ ჩემს მიზნად მესახებოდა საკუთარი მახვილის პოვნა და ამქვეყნად სუყველა ჯვრის დამხობა, რათა ქრისტე-მაცხოვარი მკვდრეთით აღმდგარიყო სააქაოში. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთბაშად გავსწორდი წელში და ჯვარი იქ ჩავურბენ-სადაც უნდა ჩაცურებულიყო, ჩემთვის კი ერთხელ კიდევ გახდა ხათელი: ვინც ამ გამასავათებელი სამუშაოს დროს ჩემს ყოველ მოქმედებას წარმართავდა, სახელად ბედი ერქვა.

ერთი თალია მომეჩვენა, რომ ჩემი ერთბაშად წელში გასწორება საქმეს ფარსაგად ვერ წაადგა და საცა იყო, შექანებული ჯვარი ისევ უკან ზურგზე დამეცემოდა, მაგრამ წამიერ ყრუ ხმა შემომესმა და ვისაზრე, დამთავრდა, ძელის ბოლო ორმოს ძირს ჩაეხეთქა-მეთქი.

მძიმე-მძიმედ მოვტრიალდი, ჯვარი ოდნავ კი ირყეოდა, ოღონდ უკვე აღმართული იყო. ქვის ბოლცომში ამოზრდილივით იდგა. ბოლცომიდან ჩამოვარდნილი რამდენიმე ქვა ჩქარა-ჩქარა ისევ გარშემო შემოვუწყე და ჯვარს ავეკარი, შემოვეჭდე, შემოვეხვიე, რა არი აღარ ელაყლაყა. ამწუთას ის ჩემთვის ცოცხალი და თბილი არსება გახდა; და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მთელი ამ ჩემი მძიმე სამუშაოს განმავლობაში ნაღდ მეგობრობას მიწევდა. ხელი ფრთხილად გავუშვი და ძირში ფეხით ქვები მივახვეტე.

ერთხანს ჩემი რუდუნების ნაყოფის მზერით ვტკბებოდი, სანამ დაღადრული ხელების ტკივილმა არ მაგრძნობინა თავი. პეტრუსს ჯერეთ კიდევ ეძინა. ზედ მივადექი და ფეხსაცმლის ჭვინტი ოდნავ წავკარი.

თვალები ჭყიტა თუ არა, ჯვარს შეხედა და თქვა:

— ძალიან კარგია. მაგ შენს ხელებს პონფერადაში მივხედავთ. ახლად შევახვევინებთ.

ტრადიცია

ღმერთმანი, ხის წამოყენება მერჩივნა. არადა მხარზე ჯვარგადებულს მეჩვენებოდა, რომ ადამიანები ვითომც მსხვერპლად მწირავდნენ.

ირგვლივ მიმოვიხედე, და ეს-ეს არის ნათქვამი ჩემი თითოეული სიტყვა სიცარიელეში გამოეკიდა. ჯვრის ამბავმა საღლაც შორს გადაინაცვლა, თუმცაღა სულაც გუშინ იყო მომხდარი. და საერთო არცრა ჰქონდა რა შავი მარმარილოთი გაწყობილ ჯაკუზიან სააბაზანოსთან, სადაც თბილ წყალში ვნებივრობდი და თან ბროლის სასმისიდან თავანკარა „რიოხას" ვწრუპავდი. პეტრუსს ვერ ვხედავდი — ის სასტუმროს ნომერში იყო, რომელ დიდებულ სასტუმროშიც ჩამოვხდით.

— მაინცდამაინც ჯვარი რატომ უნდა წამომეყენებინა?

— პორტიე რის ვაივაგლახით დავარწმუნე, რომ მაწანწალა არ იყავი, — გამომძახა მან ოთახიდან.

გამოცდილებით ვიცოდი, — პეტრუსი თემას თუ შეცვლიდა, ჩაციება ამაო იყო. აბაზანიდან ამოვედი, გრძელი შარვალი და ახალი პერანგი ჩავიცვი. ფრთხილად შევიხსენი ბინტი, მეგონა, ალბათ, ყველა იარამ პირი გაიხსნა-მეთქი. თუმცა ცოტა სისხლი მარტო იქ გამომსვლოდა, სადაც ქერქი იყო ამძვრალი. თუ რამ ნაგაზის ნაკბილარი მქონდა, უკვე ხელახლა შუშდებოდა, პირს იკრავდა, და თავს ჩინებულად ვგრძნობდი.

ვახშმობით სასტუმროს რესტორანში ვივახშმეთ. პეტრუსის მიერ შეკვეთილ საფირმო კერძს — **პაელიუს ვალენსიურად*** — ხმის ამოუღებლად მოვულხინეთ და ზედ ფუცხუნა „რიოხა" დავაყოლეთ. ჭამას რომ მოვრჩით, პეტრუსმა გასეირნება შემომთავაზა.

სასტუმროდან გავედით და რკინიგზის სადგურისკენ გავწიეთ. პეტრუსი, თავისი ჩვეულებისამებრ, მდუმარებდა, და მთელი გზის სიგრძეზე კრინტი არ დაუძრავს. როცა ჭუჭყიან, მანქანის ზეთის სუნით გაჟღენთილ ლიანდაგებზე აღმოვჩნდით, ის ერთი დეევერხინა ლოკომოტივის შორიახლო ჩამოჯდა და თქვა:

— აქ ვიყოთ.

მაგრამ მე სულაც არ მინდოდა ახალი შარვლის გასვრა და არ დავმჯდარვარ. ხომ არ აჯობებდა, რომ პონფერადას მთავარ მოედანზე გავსულიყავით-მეთქი, ვუთხარი.

— სანტიაგოს გზა თავდება, — მიპასუხა პეტრუსმა. — ხოლო ჩვენი სინამდვილე ვინაიდან ამ რკინიგზის ვაგონებს უფრო ეახლოვება, ვიდრე იმ თვალწარმტაც და უშფოთველ ხედებს, რომელთა ხილვითაც ჩვენი მოგზაურობის დროს ვტკბებოდით, სწორედ აქ ლაპარაკი ბევრად უპრიანი იქნება.

პეტრუსმა, ეგ შენი სპორტული ფეხსაცმელი და პერანგი გაიხადეო, ბრძანების კილოთი მითხრა. მერე წინამხარზე სახვევი მომიბოჭა, ძალიან მოჭერილი გაქვსო, ოღონდ შებანდულ მტევნებს ხელებისას არ შეხებია.

— ნუ ღელავ, — მითხრა, — ახლა ხელები აღარ დაგჭირდება. ჩასაჭიდებელი არაფერი აღარ გექნება.

ის რაღაც უჩვეულოდ დადინჯებული იყო და ისე მრავლისმეტყველად უბნობდა, ჩემდა უნებურად შევშფოთდი, — ემანდ მნიშვნელოვანი რამ ამბავი არ მოხდეს-მეთქი.

პეტრუსი ისევ თავის ძველ ადგილას დაჯდა და კარგა ხანს მიყურა. მერე აძრახდა:

— გუშინდელ ამბავზე არაფერს არ გეტყვი. რაცა ღირხარ, თავადვე შეიგნებ, ოღონდ ეს მხოლოდ იმხანად მოხდება, თუკი ოდესმე, როგორც ლოცვადმავალი, რომის გზას დაადგები, რომელსაც სხვანაირად ქარიზმისა და სასწაულთა გზაც ჰქვია. მარტო ერთს გეტყვი: ისი-

---

* ბრინჯის კერძი ბოსტნეულით, ხორცითა და თევზით.

ნი, ვისაც თავი ყოვლისმცოდნედ მიაჩნიათ, იმ დროს არიან გაუბედავნი, როცა უნდა მბრძანებლობდნენ, და მაშინ ჭირვეულობენ, როცა უნდა მორჩილნი იყვნენ. სხვას რომ რამე უბრძანონ, ერცხვინებათ, ხოლო სხვამ თუ რამე უბრძანათ,, ეთაკილებათ. ნურასოდეს მოიქცევი ამ ხალხივით.

ნომერში თქვი, სიბრძნის გზას მსხვერპლთან მივყავართო. ეგ შეცდომაა. შენი მოწაფეობა თუ შეგირდობა გუშინ არ დამთავრებულა — ჯერ კიდევ მახვილი გაქვს საპოვნელი და იმ მახვილში რა მუღამიც დევს, ისიც უნდა ამოიცნო. RAM რიტუალები ადამიანს **სამართლიან ომში** აბამენ და ცხოვრებაში გამარჯვების მეტ შესაძლებლობას უქმნიან. რაც რამ შენ გუშინ შეიცანი, მხოლოდ და მხოლოდ **რომის გზისთვის** მოსამზადებელი გამოცდა იყო. თუ მოინდომებ, ცხადია, და რა დაგიმალო, ნამდვილად ვნაღვლობ, რომ მაგისთანა აზრი მოგივიდა თავში.

და პეტრუსის ხმაში მართლაც ნაღველი ყღერდა. უცაბედად მომაგონდა: მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთად ვიარეთ, ნამდვილად ყველაფერს საეჭვოდ ვხდიდი, რასაც ის მასწავლიდა. დიახ, კასტენადა კი არ ვიყავი, რომელიც ძლევამოსილ მორჩილებაში აღიქვამდა დონ ხუანის ყოველ რჩევა-დარიგებას, არამედ RAM რიტუალთა დიდ სისადავეს დაპირისპირებულ ქედმაღალ მეამბოხედ ვგრძნობდი თავს. სწორედ ახლა, ამწუთას მინდოდა ამის თქმა, მაგრამ მესმოდა, რომ უკვე ძალიან გვიან იყო.

— დახუჭე თვალები! — თქვა პეტრუსმა. — RAM სიოს ქიქინი შეასრულე და შეეცადე, რომ შეუხმატკბილდე მთელ ამ მანქანის ზეთის სუნით გაჟღენთილ რკინეულობას. ეს ჩვენი სოფელ-ქვეყანაა. სანამ მე იმას არ დავასრულებ, რაც დავალებული მაქვს, თვალებს უფრო ადრე ნუ გაახელ, და კიდევ ერთ სავარჯიშოს შეგასწავლი.

მეც მთელი გულისყური **სიოს ქიქინზე** გადავიტანე, თვალები დავხუჭე და ვიგრძენი, როგორ მიდუნდებოდა თანდათან სხეული. მეყურებოდა ქალაქის გნიასი, შორიდან აღწევდა ძაღლის ყეფა, ხოლო სადღაც იმ ადგილის გვერდით, სადაც მე და პეტრუსი ვიყავით, რაღაც ყრუდ ბუყბუყებდა. ანაზდად ჩემი ეტიკის ხმაც შემესმა: იმ იტალიურ სიმღერას ღიღინებდა, რომელ სიმღერაზედაც ჩემი ბავშვობის ჟამს სუყველა გიჟდებოდა პეპინო დი კაპრის შესრულების წყალობით. სიტყვებს ვერ ვარჩევდი, მაგრამ მელოდიამ სულში მიმოგონება ამიფორიაქა და როგორღაც დამაწყნარა კიდევაც.

— ამ ცოტა ხნის წინათ, — აძრახდა პეტრუსი, სიმღერა მოათავა თუ არა, — მილანის პრეფექტურაში ჩემი პროექტის წარდგენას რომ ვაპირებდი, ჩემმა მოძღვარმა მაუწყა, მავანმა და მავანმა ტრადიციის გზა ბოლომდე გაიარა და თავისი მახვილი მაინც ვერ იპოვაო. რა ვქნა, ახლა სანტიაგოს გზა უნდა გავავლევინოო.

ამ ამბავს სულაც არ გავუკვირვებივარ: რაღაც მსგავს რასმე წუთი წუთზე ველოდი, რადგან ჩემი ამოცანა ჯერ არ შემესრულებინა — ცაზე გაჭიმული ირმის ნახტომისთვის, ანუ იერუსალიმის გზისთვის, არც ერთი ლოცვადმავალი არ ამედევნებინა ისე და იმგვარად, როგორც

რომ თავის დროზე თავად ვიყავი სხვისაგან ადევნებული. არ გავკვირვებულვარ, ოღონდ ავღელდი: რაკი პირველად და ერთადერთხელ მომიწევდა ამ საქმის ქმნა, და არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა, რადგან ასეთი მისია შესასრულებლად სულაც არ იყო ადვილი.

მე კი მართლაც გაკვირვებული დავრჩი, ვინაიდან მეგონა, რომ პეტრუსს მსგავსი რამ ერთხელ კი არა, უკვე ათასჯერ მაინცა [illegible]

— შენ მოხვედი, მეც ავდექი და წამოგიყვანე, — განაგრძობდა იგი. — ვალიარებ, თავიდან ძალიან გამიძნელდა, იმიტომ რომ შენ სწავლების უფრო ინტელექტუალური მხარე გაგულისყურებდა, ვიდრე ჭეშმარიტი საზრი გზისა, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანთა გზაა. ალფონსოსთან შეხვედრის შემდეგ ჩვენი ურთიერთკავშირი უფრო მკვიდრი და კიდევ უფრო საზრიანი გახდა, მე კი ვირწმუნე, რომ შენი მახვილის საიდუმლოს ამოგაცნობინებდი. მაგრამ არა, არ გამომივიდა, როგორც ჩანს, მარტოს მოგიწევს ამ საქმის დამში მოყვანა. და თანაც ეტყობა, გავნერვიულდი, რადგან **სიოს ქიქინს** გულისყური ველარ დავყარე. პეტრუსმა, ალბათ, იგრძნო, ჩემი აფორიაქება — კვლავ წამოიწყო ძველი სიმღერა და მანამ მღეროდა, სანამ არ მოვდუნდი და არ მოვეშვი.

— თუ საიდუმლოს ამოიცნობ და მახვილს იპოვი, მაშასადამე, RAM ხატსაც აღმოაჩენ და ძალთაძალსაც დაეუფლები. ოღონდ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის: მთელი სიბრძნის მისაღწევად სხვა სამი გზის გავლა მოგიწევს, ერთ-ერთი იქნება იდუმალი გზა, რომელზედაც ამ გზაზე უკვე გავლილი კაციც ვერ გაგიყვანს. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩვენ ახლა ერთხელღა შევხვდებით.

გული შემეკუმშა და ჩემდა უნებურად გავახილე თვალები. პეტრუსს შუქი ეფინა, რომელი შუქიც ადრე მხოლოდ მოძღვრისგან მოდიოდა.

— დახუჭე თვალები! — და თქმისთანავე დავემორჩილე.

მაგრამ გული ჩემი აღარ იყო და ველარც გულისყურს ვიკრებდი. ჩემი თანამგზავრი კვლავ იტალიურად ამღერდა და მოვახერხე მოდუნება, ოღონდ ერთბაშად ვერა.

— ხვალ ბარათს რასმე მიიღებ და იქ ეწერება, სადაც ვიქნები. ეს იქნება ნადური ანუ კოლექტიური ინიციაციის ცერემონია, ცერემონია, რომელიც იმართება ტრადიციის პატივისცემის ნიშნად. იმ მამათა და დედათა პატივისცემის ნიშნად, რომელთაც მთელი ამ ასწლეულების სიგრძეზე სიბრძნის, **სამართლიანი ომისა** და **აგაპეს** ცეცხლი არ ჩაუქრიათ. შენ შეგიძლია, არც დამელაპარაკო. შეკრების ადგილი წმინდაა და იმ რაინდთა სისხლით არის შეღებილი, ტრადიციის გზით რომ იარეს და თავიანთი ფხაასხმული მახვილებითაც კი ვერ გააპეს წყვდიადი. რაც იმათ მსხვერპლი გაიღეს, ამაო არ ყოფილა, რის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთიც ის არის, რომ ამდენი საუკუნის შემდგომ სულ სხვადასხვა გზით ნავალი ადამიანები მოვლენ, რათა კეთილად მოიხსენიონ ისინი. ეს ფრიად მნიშვნელოვანია და, მოძღვარიც რომ გახდე, არცროდის არ უნდა იგულმავიწყო ერთი რამ: შენი გზა მრავალთაგან ოდენ ერთია, რომელსაც ყოველთა

დამბადებელთან მიჰყავხარ. იესომ როგორლაც თქვა: „მამაჩემის სახლში ბევრი სავანეაო“, ხოლო მან უწყოდა, რასაც უბნობდა.

და პეტრუსმა ერთხელ კიდევ გამიმეორა, ხვალ უკანასკნელად შევხვდებითო.

— დადგება დღე, და ჩემგან ნაბარათევი მოგივა, სადაც ჩემი თხოვნა იქნება შენდამი, რომ შენც ვიღაცას ისევე გაუწიო მეგზურობა სანტიაგოს გზაზე, როგორც მე გიწევდი. და აი სწორედ მაშინ მიხვდები ამ მოგზაურობის დიდ საიდუმლოს, საიდუმლოს, რომელსაც ახლა გაგიმხელ, ოღონდ მარტო სიტყვიერად. ამ საიდუმლოს ისე ვერ გაიგებ, თუ თავად არ იგრძენი, თავად არ განიცადე.

პეტრუსი დადუმდა. პაუზა იმდენი ხანი გაგრძელდა, რომ ვიფიქრე, ან ლაპარაკი გადაიფიქრა, ანდა საერთოდ დეპოდან გავიდა-მეთქი. ძალიან მინდოდა თვალების გახელა და გაგება, რა ხდებოდა, მაგრამ ნებისყოფა დავძაბე და მთელი გულისყური *RAM* **სიოს ქიქინზე** გადავიტანე.

— ეს საიდუმლო იმაში მდგომარეობს, — გაისმა ბოლოსა და ბოლოს პეტრუსის ხმა, — რომ რისამე სწავლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სხვას ასწავლი. ჩვენ ერთად გამოვიარეთ სანტიაგოს გზა და სანამ შენ RAM რიტუალთ სწავლობდი, მე ამ რიტუალთა იდუმალ აზრს ვწვდებოდი. შენი სწავლებით მე თავად ვსწავლობდი. მე შენი ეტიკი ვიყავი და ამიტომაც შეგძელი ჩემი საკუთარი გზის პოვნა. უკეთუ მოახერხებ და შენს მახვილს მიაკვლევ, მაშინ სხვასაც უნდა ასწავლო ამ გზის დიდი სიბრძნე. და მხოლოდ როცა ეს მოხდება და სხვის მოძღვრობას იკისრებ, მაშინღა შეიძლებ სუყველა კითხვაზე შენს სულში სუყველა პასუხის წაკითხვას. ისე, მართალი თუ გინდა, ყველამ ყველაფერი ჯერ კიდევ მანამდე ვიცით, სანამ ვინმე ამაზე სიტყვას ჩამოგვიგდებს. ცხოვრება მხოლოდ იმის შეგნებაშია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში სოლომონობაც შეგვიძლია, სიბრძნის თვალსაზრისით, და ალექსანდრე მაკედონელობაც, ძლევამოსილების თვალსაზრისით. ოღონდ ამას მაშინ ვიგებთ, როცა სხვას ვისმე უნდა ვასწავლოთ და ისეთ სახიფათო მოგზაურობას შევუდგებით ხოლმე, როგორიც მე და შენ ეს-ეს არის დავასრულეთ.

ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ მახსოვს ესოდენ მოულოდნელი დამშვიდობება. ვისთანაც კი ასეთი ახლო ურთიერთობა დამიმყარებია, ვისზედაც კი მიფიქრია, მიზნამდე ერთად მივალთ-მეთქი, თვალებდახუჭული შუა გზაზე დავუგდივარ მანქანის ზეთის სუნით გაჟღენთილ ამ სარკინიგზო ჩიხში. მე არ მიყვარს თქმა, მშვიდობით-მეთქი, — განაგრძობდა პეტრუსი, — ვინაიდან მგრძნობიარე ვარ, როგორც სუყველა იტალიელი. წესისა და რიგის მიხედვით შენი მახვილი მარტომ უნდა იპოვო, რადგან მხოლოდ აგრერიგად ირწმუნებ შენს ძლიერებას. მე რაც უნდა გადმომეცა, ყველაფერი გადმოგეცი. ერთი მარტო ცეკვის სავარჯიშოლაა დარჩენილი, რომელსაც ახლა შეგასწავლი, რათა ხვალ ცერემონიაზე შეასრულო.

მცირე ხანს გაჩუმდა და დასძინა:

— დაე, რაც სადიდებელია, ყველაფერი იდიდოს უფალში. ახლა უკვე შეგიძლია თვალების გახელა.

პეტრუსი თბომავლის ბუფერზე იჯდა. არც არაფრის თქმა ანა მსურდა, ვინაიდან მეც მგრძნობიარე ვიყავი — როგორც სუყველა ბრაზილიელი. სინდიყის ნათურა, რომელიც გვანათებდა, აციმციმდა, და სადღაც შორს საყვირის ხმა გაისმა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მატარებელი მალე შემოვიდოდა.

მაშინ პეტრუსმა „ცეკვის“ სავარჯიშო მიჩვენა.

„ᲪᲔᲙᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ

მოდუნდით. თვალები დახუჭეთ.

ეცადეთ, როგორმე გაიხსენოთ ის მელოდია, სიცოცხლეში პირველად რომ გაიგონეთ. თქვენთვის წაიღიღინეთ, თანაც ნელინელ თქვენი სხეულის რომელიმე ნაწილი: ფეხი, ხელი, თავი, მუცელი და ა. შ. ააყოლეთ ამ მელოდიის ტაქტს.

ხუთ წუთში ღიღინი შეწყვიტეთ და ყური მიუგდეთ იმ ხმაურს, თქვენ გარშემო რომ ისმის. მერე ისეთი რამ ღონე უნდა იღონოთ, რომ ის ხმაური რაღაც მელოდიად იქცეს, და თქვენც ცეკვით აჰყევით, ოღონდ უკვე მთელი სხეულით. არც არაფერზე არ იფიქროთ, მაგრამ თავში სპონტანურად რა სახეებიც გაგიჩნდებათ, ეცადეთ, რომ გაიხსენოთ ისინი.

ცეკვა უსასრულო გონთან ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

სავარჯიშოს ხანგრძლივობა თხუთმეტი წუთია.

— და კიდევ ერთ რასმე გეტყვი, — თითქოს ჩემი თვალების სიღრმეში რისღაც წაკითხვა სურდა, ისე დასძინა მან. — ჩემი პირველი ლოცვადმავლობის დამთავრებისთანავე უზარმაზარი სურათი დავხატე, სადაც სუყველაფერი ავსახე, რაც კი რამ აქ გადამხდა. ეს ჩვეულებრივ ადამიანთა გზაა და თუკი მოინდომებ, შენც იმისვე ქმნა შეგიძლია. ფუნჯის ხელი თუ არ იცი, მოთხრობა დაწერე ანდა სულაც ბალეტისთვის შეთხზე მუსიკა, და მაშინ ადამიანები — მნიშვნელობა არა აქვს, სად იმყოფებიან ისინი — შეძლებენ წმინდა იაკობის გზის, ირმის ნახტომის, სანტიაგოს უჩვეულო გზის გავლას.

მატარებელიც გამოჩნდა. პეტრუსმა განშორებისას ხელი დამიქნია და ლიანდაგებზე ჩამომდგარ ვაგონებს შორის გაქრა. მე კი ისევ ისე ვიჯექი, ყურს ვუგდებდი რკინის ლიანდაგებზე მოდაგადუგე ბორბლების ხმაურს და ვცდილობდი ირმის ნახტომის საიდუმლოს ჩაწვდომას,

რომელი ნახტომის ვარსკვლავთაც მომიყვანეს აქ, მდუმარედ ადევნებულთ სიმარტოვეს — უცვლელ და საყოველთაო კაცობრიულ ხვედრს.

ბარათში, რომელიც მეორე დილით აღმოვაჩინე, მხოლოდ ეს ეწერა: „სალამოს 7. ტამპლიერთა კოშკი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი დარჩენილი დღე ქალაქში ვიხეტიალე, სამჯერ მაინც გავიარ-გამოვიარე ყურითყურ ანუ კიდით კიდემდე, და თვალი სულ იქით გამირბოდა, შორს რომ კოშკი ჩანდა, სადაც სალამოთი უნდა ვყოფილიყავი. ტამპლიერთა, ანუ ტაძრის რაინდთა ორდენი, მუდამ ძლიერად მიფორიაქებდა წარმოსახვას, ხოლო პონფერადაში მდებარე კოშკი აქ, სანტიაგოს გზაზე, იმათი ყოფნის ერთადერთი კვალი არ იყო. იმ ცხრა რაინდის ნებით შექმნილმა ორდენმა, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ჯვაროსნული ლაშქრობანი არ შეეწყვიტათ, საკმაოდ მალე გაავრცელა თავისი ზეგავლენა მთელ ევროპაზე და ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა წეს-ჩვეულებებსა და ზნეობაში. იმ დროს, როცა იმჟამინდელი ფეოდალური ზეპური საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავის მოხარკეთა და ყმათა ხარჯზე მარტოოდენ გამდიდრებაზე ოცნებობდა, ტაძრის რაინდნი თავიანთ სიცოცხლეს, თავიანთ სარჩო-საბადებელსა და თავიანთ სამხედრო სიქველეს ერთ საქმეს ახმარდნენ — იერუსალიმში მიმავალ გზაზე შემდგარ ლოცვადმავალთ იცავდნენ და ამაში ცდილობდნენ სულიერების იდეალის მოპოვებას, რომელი იდეალიც სიბრძნის ძიებაში უნდა შესწეოდათ.

1118 წელს ჰუგო დე პაინმა თავის რვა ამხანაგთან ერთად ერთერთი ნაოხარი კოშკის ეზოში კაცობრიობის მიმართ სიყვარულის ფიცი დადო. ორი საუკუნის შემდგომ დედამიწის სუყველა კუთხეში უკვე ხუთასზე მეტი სავანე იყო, რომელთაც იმის გაერთიანება შეძლეს, რაც ადრე შეუთავსებელი ჩანდა — სამხედრო სამსახური და რელიგიური მსახურება გააერთიანეს. ორდენის წევრთა კეთილმოქმედებისა და ათასობით ლოცვადმავლის შეწირულობათა წყალობით ორდენი ძალიან მალე ზღაპრულად გამდიდრდა, თანაც კიდევ მრავალგზის ფულით უმართავდა ხელს მუსულმანთაგან გაძარცულ ქრისტიანთ. იმდენად თვალადსაჩენი და უზადო იყო ტაძრის რაინდთა პატიოსნება, რომ მეფენი და წარჩინებულნი თავიანთ განძეულთ იმათ ანახვინებდნენ, ხოლო შორეული მოგზაურობისას თან საბუთი მიჰქონდათ, როგორც ამ თავიანთი ქონების მოწმობა, რომლის გადაცვლაც ლითონის ფულზე ყველგან შეიძლებოდა, სადაც კი მეტაძრეთა სავანე შეხვდებოდათ. აგრე გაჩნდა თამასუქი, დღესაც რომ ვიყენებთ.

ხოლო ღვთისმოსაობამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ტამპლიერთ იმ დიდი ჭეშმარიტების შეგნებაში, რომელ ჭეშმარიტებასაც წუხელ პეტრუსი ჩამჩიჩინებდა: „მამაჩემის სახლში ბევრი სავანეაო“. ისინი რელიგიური შულლისთვის ბოლოს მოღებასა და ერთღმერთობის პრინციპზე დამყარებული სამი უმნიშვნელოვანესი რჯულმოძღვრების —

ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანობის გაერთიანებას ცდილობდნენ. და თავიანთ, საჟამნო-ეგვტერთ მრგვალგუმბათიანთ აგებდნენ, სოლომონ მეფის ტაძარს რომ აგვირგვიანებდა, იმნაირგუმბათიანთ, მუსულმანური მეჩეთების რვაკუთხიან კედლებიანთ და ქრისტიანული ტაძრებისთვის დამახასიათებელ ნავებიანთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცაღა მალე ტამპლიერთ, როგორც ყოველივეს, რაც თავის დროს ცოტათი უსწრებს, ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა. მონარქთ შეშურდათ ტამპლიერთა სიმდიდრეც და ეკონომიკური სიძლიერეც, ხოლო კათოლიკური ეკლესია ამ ტაძრის რაინდთა რელიგიურმა გულახდილობამ შეაშფოთა. და 1307 წლის 13 ოქტომბრის პარასკევს ვატიკანმა და ძირითადმა ევროპულმა ქვეყნებმა შუა საუკუნეების ერთ-ერთი გრანდიოზული პოლიციური ოპერაცია განახორციელეს — ღამით ორდენის პირველი პირები დაიჭირეს და ციხეში ჩაყარეს. სუყველას ერთპირ ბრალად დასდეს, რომ სატანას ეთაყვანებოდნენ, ცილსა სწამებდნენ იესო ქრისტეს, ეწეოდნენ შავ ღვთისმსახურებას, რასაც თან სდევდა თავაშვებული ღრეობა, და სჩადიოდნენ სოდომურ ცოდვას. ამას მოჰყვა შესმენილთა გაუგონარი ტანჯვა-წამება, განკვეთა, სხვა ათასგვარი სიმუხთლე, და შედეგად ტაძრის ორდენი სულ ამოიშალა შუა საუკუნეების მატიანიდან. ორდენის განძეული ხელისუფალთ მიითვისეს, გადარჩენილნი რაინდნი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ხოლო ორდენის უკანასკნელი მეთაური ჟაკ დე მოლე ცოცხლად დაწვეს პარიზის მოედანზე. სიკვდილით დასჯის წინ რაინდს უთხოვია, პირი ნოტრ-დამის ტაძრის საკრეკლოთა მხარეს მაქნევინეთო.

ესპანეთმა კი, რომელიც სწორედ ამ დროს ბრძოლას — რეკონსკისტას — ეწეოდა მავრთა წინააღმდეგ იბერიის ნახევარკუნძულის დასაბრუნებლად, შესაძლებლად მიიჩნია მთელი ევროპიდან აქ თავმოყრილ ტამპლიერთა შეკედლება. და მალე ტაძრის რაინდნი სხვა ესპანურ რაინდულ ორდენებში გაერთიანდნენ. ამ ორდენთა შორის სანტიაგოს ორდენი ლოცვამავალთა უსაფრთხოებაზე აგებდა პასუხს.

აი რა აზრები მიტრიალებდა თავში, როცა ზუსტად საღამოს შვიდზე ტაძრის ძველი კოშკის მთავარ ჭიშკარში შევედი, რომელ კოშკშიც შეხვედრა მქონდა დანიშნული.

არავინ არა ჩანდა. ნახევარი საათი ვიყურყუტე, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, სანამ არ გადავწყვიტე, რომ ნამდვილად დრო ამერია — ცერემონია დილის შვიდისთვის, ანუ ხვალისთვის ყოფილა-მეთქი დანიშნული. მაგრამ ის იყო წასვლა დავაპირე, რომ ორი მავანი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელთ ერთსაც ჰოლანდიური დროშა ეჭირა, მეორესაც, ხოლო სამოსელზე ნიჟარები — სანტიაგოს გზის სიმბოლოები ჰქონდათ ამოქარგული. ისინი მომეახლოვნენ, დავილაპარაკეთ და მივხვდით, რომ ერთსა და იმავე ამბავს ვუცდიდით. შვებით ამოვისუნთქე, რახან დავრწმუნდი, არც არაფერი არ ამრევია-მეთქი.

ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ მოდიოდა ახალი სტუმარი — ჯერეთ ავსტრალიელი მოვიდა, მერე ხუთი ესპანელი, კიდევ ერთი ჰო-

ლანდიელი. თუ ცერემონიის დროის თაობაზე რამდენიმე ურთიერთშეკითხვას არ ჩავთვლით, — თურმე მარტო მე არ მაწუხებდა ეჭვი, — ერთმანეთში საუბარი არ გაგვიბამს. ყველანი ერთად დავსხედით ნახევრად მიმონგრეულ პატარა ეზოში, სადაც ადრე სახორაგე ჰქონოდათ, და დაცდა გადავწყვიტეთ, ვნახოთ, შემდგომ რა მოხდებოდა. ფუხი არცვის არ უნდა მოგვეცვალა თუნდაც კიდევ მთელი ერთი დღე და მთელი ერთი ღამე გეცადა.

მაგრამ რამდენადაც მოლოდინი კარგა ხანს გაგრძელდა, ლაპარაკი მაინც ჩამოვარდა იმის თაობაზე, თუ ვინ რა მიზეზით ვიყავით აქ მოსული. აი მაშინ შევიტყვე, რომ სანტიაგოს გზას ბევრი ორდენი იყენებდა, უმეტესად ტრადიციასთან დაკავშირებული. აქ მოგროვილ ხალხს გამოვლილი ჰქონდა ინიციაციათა მრავალი გამოცდისა და წეს-ჩვეულების დარჯაკი, რასაც მე ძალიან დიდი ხნის წინათ გავეცანი ბრაზილიაში. ასე რომ პირველი გზის უმაღლეს ხარისხს მხოლოდ მე და ავსტრალიელი ვეძიებდით. ის წვრილმანებს არ იყო გამოდევნებული, მაგრამ მივხვდი, რომ იმისი რიტუალები ძალიან განსხვავდებოდნენ RAM ორდენის რიტუალთაგან.

და დაახლოებით 8:45 რომ გახდა, როცა ბოლოსა და ბოლოს თავი მოვიყარეთ, რათა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე გვესაუბრა, გონგსაც დაჰკრეს. ხმა კოშკის ყოფილი საჟამნოდან მოისმა და ჩვენც ყველანი იქით გავეშურენით.

რაც იქ მოვიხილეთ, ყოველივემ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. საჟამნო, — ანუ ნაოხარი, რადგან მარტო ნანგრევებიღა იყო დარჩენილი, — უამრავი კერეონით გაენათებინათ. იმ ადგილას, სადაც ოდესღაც საკურთხეველი იდგა, ფოლადის ჩაფხუტიანები და ჯაჭვის პერანგიანები გაჯგიმულიყვნენ. შვიდნი იყვნენ, შვიდივენი მახვილ-დარაკიანები. სუნთქვა შემეკრა: მომეჩვენა, რომ დრო უკან წაედინა, და ერთადერთი, რამაც ჩვენს სინამდვილეში დამაბრუნა, ჩვენი საკუთარი ტანსაცმელი იყო — ჯინსები და ნიჟარებამოქარგული პერანგები.

კერეონთა მკრთალ შუქშიც კი შვიდ ტამპლიერთაგან ერთ-ერთში პეტრუსი ვიცანი.

— თქვენ-თქვენს მოძღვრებთან მიდით, — წარმოთქვა ყველაზე უფროსი ვინცა ჩანდა, იმან. — მარტო იმათ უყურეთ თვალებში. განიძარცვენით და იბოძეთ ახალი სამოსელი.

მე პეტრუსს მივეახლოვე და თვალებში შევხედე. ის ერთგვარ ტრანსში იყო და, მგონი, ვერც მიხვდა, წინ ვინ ვედექი. თუმცაღა თვალებში ნაღველი ამოვუკითხე — სწორედ ის ნაღველი, წინა ღამეს ხმაში რომ უჟღერდა. განვიძარცვე, და პეტრუსმა სურნელნაპკური ტუნიკა გამომიწოდა, წარმდინარე, ანუ, როგორც ძველები იტყოდნენ, სამოსელი გრძლადმთრევი. ვიფიქრე, ამ მოძღვართაგან ერთ-ერთს ერთზე მეტი მოწაფე უნდა ჰყავდეს-მეთქი, მაგრამ სახელდობრ რომელს, ველარ შევამოწმე, რადგან პეტრუსს წაბზირებულ თვალს ვერ ვაცილებდი.

მღვდელმთავარმა საჟამნოს შუაში გასვლა ინება ჩვენი, ხოლო ორმა რაინდმა ლოცვა-კურთხევით მაგიური წრის შემოხაზვა დაიწყო:

— ტრინიტას, სოზერ, მესია, ემანუელ, საბახ, ადონია, ათანატოს იესო...

და მალე, ჩვენი უცილო დაცვის ნიშნად, წრე შეიკრა. წრის შემვრისთანავე შევამჩნიე, რომ ოთხნი შემოსილნი იყვნენ თეთრი ტუნიკებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ სრული უბიწოების აღთქმა ჰქონდათ დადებული.

— ამიდეს, თეოდონიას, ანიტორ, — წარმოთქვა მღვდელმთავარმა. — ანგელოზებრივი ძალით, უფალო, ვიმოსები ხსნის სამოსლით და დაე ყოველივე, რასაც კი ვისურვებ, აცხადდეს შენის ნებით, სამგზის წმინდაო ადონაი, მარადიულიმც ყოფილიყოს მეუფება შენი.

და მან ჯაჭვის პერანგზე თეთრი ლაბადა მოისხა, რომლის მხარზედაც ტაძრის ორდენის წითელი ჯვარი იყო ამოქარგული. დანარჩენ რაინდთაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

ზუსტად ცხრა იყო — დადგა მერკურის, ღვთაებრივი მაცნის საათი. და კვლავ ტრადიციის წრის შუაში ვიდექი. საჟამნოში კეთილსურნელებას აკმევდნენ — გუნდრუკს, რეჰანს, პიტნას. დაიწყო დიდი შელოცვა, გრძნებით შეკვრა, ჩხიბვა. სუყველა რაინდი ერთპირად წარმოთქვამდა:

— დიდო და ძლევამოსილო მეფეო ნ., რომელიცა ზენაარსის ნებითა ზეობ მთისა და ბარის ყოველთა სულთა ზედა, და მეტადრე — აღმოსავლეთის მეუფების ჯოჯოხეთურ ორდენსა ზედა, გაფიცებ (გამოტოვებულია), გამოჩნდი და აღასრულე ნება ჩემი, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ზენაარსისა და, თუკი რამ სუფევს ზეცასა შინა, დედამიწასა ზედა და ქვესკნელსა შიგან, ყოვლისა დამბადებლის, შემოქმედისა და მბრძანებლის ძლიერებითა.

ღრმა სიჩუმემ მოგვიცვა ყველანი და, მართალია, ვერ ვხედავდით, მაგრამ მაინც ვიგრძენით იმისი იქ ყოფნა, ვისაც გამოუხმეს. ამგვარი იყო საიდუმლოს კურთხევა, ნიშანი, რომელიც მაგიურ რიტუალთა განგრძობის უფლებას გვაძლევდა. მსგავს ცერემონიებში მრავალგზის მიმეღო მონაწილეობა და იმათი შედეგები მუდამ ბევრად განსაცვიფრებელი იყო, ვიდრე ახლა, ამჯერად. მაგრამ, ეტყობა, ტაძრის კოშკის საჟამნომ ცოტა შემიფუცხუნა წარმოსახვა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ვხედავდი, როგორ დაქარქარებდა საჟამნოს მარცხენა კუთხეში თითქოსდა წინათ არცროდის ჩემგან არნახული უცხონაკრტენიანი რამ ფრინველი.

მღვდელმთავარს მაგიური წრე არ გადმოუბიჯებია, ისე გვასხურა აიაზმა. მერე წმინდა ტუშით იატაკზე ის 72 სახელი გამოიყვანა, რომელთაც ტრადიციაში ღმერთს უხმობენ.

და სუყველამ — ლოცვადმავალთაც და რაინდთაც — დავიწყეთ ამ წმინდა სახელთა წარმოთქმა. კერეონთა ალს ტკაცატკუცი გაუდიოდა, და ეს იმის ნიშანი იყო, რომ სული, რომელსაც ვულოცავდით, გვემორჩილებოდა.

დადგა ცეკვის ჯერიც. ახლალა მივხვდი, რატომ მასწავლა პეტრუსმა წინადღეს სრულიად სხვა ცეკვა. ეგზომ განსხვავებული იმისაგან, რომელსაც მიჩვეული ვიყავი ცერემონიის ამ ეტაპზე.

წესები ჩვენთვის არცვის არ უკარნახია, მაგრამ თითოეულმა თავადაც იცოდა, რომ არ შეიძლებოდა ამ დამცველი წრიდან გასვლა, რადგან, რაინდთაგან განსხვავებით, არც ერთს სამოსელზე ფაჭვის პერანგი არ გვეცვა. თვალით გავზომე წრეხაზის რადიუსი და ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც პეტრუსმა მასწავლა.

და დავიწყე ბავშვობის მიმოგონება. სადღაც სულის სიღრმეში ქალის შორეული ხმა ამიბგერდა, ქალი იმ სიმღერას ღიღინებდა, რომელსაც ფერხისას აყოლებენ. მუხლი მოვიყარე, მოვიბღუნძე, ღივს რასმე დავიმსგავსე თავი და მალე ვიგრძენი კიდეც, როგორ ამითამაშდა მკერდი — ჯერეთ მარტო მკერდი, რახან სახადელზე ვიყავი მოსული, სრულად მივენდე ტრადიციის რიტუალს.

მაგრამ აი მელოდია ჩემ შიგან შეიცვალა, მოძრაობაც მკვეთრად ამიჩქარდა და თავდავიწყება დამეწყო, აღტყინებამ შთანთქა. ყოველივე წყვდიადში დაიძირა და სხეული შემიმჩატდა, გამიუწონავდა. ფრთაშესხმულმა აგატის ტბის აყვავებული მინდვრების თავზე გავინავარდე და იქ შევხვდი პაპაჩემსა და ბიძაჩემს — ჩემს ბავშვობაში ორთავე ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის. თვალდათვალ ვიჭერდი, რარიგ იძვროდა დრო, გზათა დაძონძილ ქსოვილში შეფუთული, რომელი გზანიც ერთმანეთში ირეოდნენ, ერთიმეორეში გადად-გადმოდიოდნენ, სხვაობით თუმცა სხვაობდნენ, ოღონდ ბოლოს მაინც ერთი მთლიანობა ხდებოდნენ.

მცირე რამ დროის შემდეგ წითლად გაბდღვრიალებულმა ავსტრალიელმა ჩამიქროლა.

მომდევნო ხატი, მთლიან სახედ რომ მომეკლინა, ზიარებისთვის განკუთვნილი ჯამფილა იყო და დისკოსი — ლანგარი, რომლითაც წირვის ჟამს მღვდელი მრევლს წმინდა ძღვენს, შესაწევარს ნაწილ-ნაწილ ურიგებს — და ისე დიდხანს მედგა ის თვალწინ, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის. ერთი პირობა ამ სახის გაშიფვრაც კი დავაპირე, მაგრამ ვერ შევძელი, თუმცა არც ვეჭვობდი, რომ რაღაცნაირად ჩემს მახვილთან იყო დაკავშირებული. მერე დავინახე, როგორ გაიელვა RAM ხანჯლის შვილმა წყვდიადში, ჯამფილისა და დისკოსის გაქრობის შემდეგ რომ ჩამოწვა. ხანჯლის შვილის პირი მომეახლოვა და ჩვენგან გამოხმობილი სულისა და ჩემი ძველი ნაცნობის სახედ იქცა. ოღონდ ამასთან, ამ სახესთან, არანაირი კავშირი არ წარმოქმნილა, და ესეც წყვდიადში შთაინთქა, რომელი წყვდიადიც ხან ჩნდებოდა და ხან ქრებოდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ცეკვა. მაგრამ აი უეცრად ხმა გაისმა:

— იაჰვე, ტეტრაგრამატონ...

ტრანსიდან გამოსვლა არ მინდოდა, მაგრამ ხმა თავისას გაიძახოდა:

— იაჰვე, ტეტრაგრამატონ...

და მღვდელმთავრის ხმა ვიცანი. ის მეც და სუყველ გარშემო მყოფს გვაძალებდა ტრანსიდან გამოსვლას, რაც ჭკუიდან მშლიდა. ტრადიცია ჩემი ყოფიერების ფესვ-ბორჯად რჩებოდა, და კვლავ ~~ხიბამდეილეში~~ დაბრუნება არა მსურდა. მღვდელმთავარი კი თავისაზე იდგა:

— იაჰვე, ტეტრაგრამატონ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ველარ დავიჭირე, ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ძირამდე დავეშვი და ისევ მაგიურ წრეში აღმოვჩნდი, ძველი კოშკის საყამნოში.

ჩვენ — ლოცვადმავალთ — ერთმანეთს გადავხედეთ. ამ გადასვლის მოულოდნელობა-უგრძნეულობამ ყველას გული გვატკინა. ავსტრალიელისთვის ძალიან მინდოდა თქმა, გნახე-მეთქი. მაგრამ თვალებით რომ შევხვდით ერთმანეთს, მივხვდი, რომ ამის საჭიროება არ იყო. იმასაც ნანახი ვყავდი.

რაინდნი გარს შემოგვეხვივნენ და მანამდე არახუნეს ყურთასმენის წამლებად მახვილნი ფარებზე, სანამ მღვდელმთავარი არ აძრახდა:

— სულო ნ., რახან ნებასა ჩემს დაჰყე და მოხველ აქ, საზეიმო ვითარებაში გაძლევ განშორების უფლებას, ოღონდ არცრა არ უნდა ავნო და არ დააზიანო არცა მხეცი, არცა ადამიანი. წადი-მეთქი, გეუბნები, ოღონდ მზად იყავ უკან მოსაბრუნებლად პირველი დაძახებისთანავე — ოდეს ტრადიციის წმინდა რიტუალთა შესაბამად კვლავ მოგიხმობთ აქ. გაფიცებ — განგვშორდი მშვიდად და წყნარად, და დაე შენსა და ჩემს შორის მიწყივ და სარწმუნოდ განისვენებდეს საღვთო ზავი. ამინ.

•

წრე განიხვნა, სუყველამ დავიჩოქეთ, თავები დავხარეთ. ერთ-ერთმა რაინდმა ჩვენთან ერთად შვიდჯერ წაიკითხა „მამაო ჩვენო“, შვიდჯერვე „ავე მარია“. მღვდელმთავარმა ამას კიდევ შვიდგზის „ვესავ“ მოაყოლა. და თქვა, რომ აგრე ინება ყოვლადწმინდა ქალწულმა ხეველმა, რომლის გამოცხადებაც იუგოსლავიაში 1982 წლიდან აღინიშნებოდა. ახლა ჩვენ ქრისტიანულ რიტუალს ვიწყებდით.

— ენდრიუ, ადექი და მოდი აქ, — თქვა მღვდელმთავარმა.

ავსტრალიელი საკურთხეველს მიეახლოვა, რომლის წინ შვიდი რაინდი იდგა.

და ერთ-ერთმა — ალბათ, იმისმა ეტიკმა — ჰკითხა:

— ძმაო, გეჭირვება თუ არა სახლი?

— დიახ, — მიუგო ავსტრალიელმა.

და მაშინ მივხვდი, რომ ტაძრის რაინდის კურთხევას ვესწრებოდით.

— უწყი თუ არა, რაოდენ მძიმეა ტვირთი იქ შემსვლელთათვის? თვით ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე, — მიუგო ავსტრალიელმა.

— ღვთის გულისთვის ყველაფრის გადასატანად მზად ვარ და მწადს, რომ სამუდამოდ მსახური და მონა გავუხდე საუფლო სახლს, თვით ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე, — მიუგო ავსტრიელმა.

ამას მოჰყვა რიტუალურ შეკითხვათა მთელი წყება. ზოგთ ამ ჩვენს ამჟამინდელ წუთისოფელში უკვე დაკარგული ჰქონდათ აზრი, ზოგიერთი კითხვა კი გამსჭვალული იყო ღრმა რწმენითა და სიყვარულით. ენდიუ თავჩაქინდრული უპასუხებდა სუყველა კითხვას.

— ღირსეულო ძმაო, ნამეტან ბევრსა რასმე ითხოვ, რამეთუ ჩვენი რელიგიის ოდენ გარესაფარველსა ხედავ, გარსს — ლამპრს ცხენთ და თვალმიმტაც სამოსელს, — ჩაილაპარაკა ჩემმა ეტიკამ. — მაგრამ არ უწყი, რაოდენ მკაცრია ჩვენი ტიპიკონი, და ამად შენთვის, შენი თავის ბატონისთვის, იოლი არ იქნება სხვათა მორჩილ-მსახურად ყოფნა. იშუიათადღა თუ შეიძლებ საკუთარი ჭკუით რისამე ქ�. შენ აქ დარჩენა გენდომება, მაგრამ ზღვას აქეთ დაგატოვებინებენ, შენ აკრა შეგიყვარდება, მაგრამ ტრიპოლის ანტიოქიის ანდა სომხეთის გზას გაგიყენებენ. და ოდეს საძილედ მოგიკვდება თავი, მთელი ღამის თეთრად გათენება მოგიწევს, ხოლო როს ძილი არ გენდომება, დაწექი და დაიძინეო, გიბრძანებენ.

— საუფლო სახლის ჭერქვეშ ყოფნა მწადს და რა ვქნა, — მიუგო ავსტრალიელმა.

მეჩვენებოდა, რომ გარდასულ დროთა რაინდნი, ოდესღაც ამ კოშკის ბინადარნი, კეთილი თვალით უმზერდნენ კურთხევის ცერემონიას. კერეონთ განუწყვეტლივ გაჰქონდათ ტკაცატკუცი.

ავსტრალიელი, რომელსაც კიდევ რამდენიმეჯერ შეეკითხნენ გამაფრთხილებლად, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, არცრა განსაცდელს არ ვუფრთხი, რამეთუ ჩემი სურვილია საუფლო სახლის ჭერქვეშ ყოფნაო. ბოლოს ავსტრალიელის ეტიკა მღვდელმთავარს მიუბრუნდა და გამოსაცდელის ყველა პასუხი გაიმეორა. მაშინ მღვდელმთავარმა დიდი ამბით ჰკითხა ენდრიუს, თანახმა ხარ თუ არა რომ ამა სახლის სუყოველ წესს და რიგს დაემორჩილოო.

— დიახ, მოძღვარო, თანახმა ვარ, უკეთუ ღვთის ნება იქნება. მამაზეცაერის წინაშე, თქვენსა და ძმათა ჩემთა წინაშე მორჩილად გთხოვთ და უფლისა ჩვენისა და ყოვლადწმინდა ქალწულის სახელით მოგიწოდებთ, რომ თქვენი საზოგადოების წყალი გადამასხათ და მომფინოთ ამა სახლის სულიერი მადლი, როგორაც რომ ყოველ ადამიანს, ვისაც აქ მსახურად და მონად ყოფნა სწადს აწ და მარადის, თავისი სიცოცხლის ბოლომდე.

— უფლისა სიყვარულის გულისთვის შემოიყვანეთ ჩვენს საზოგადოებაში კაცი ესე, — ჩაილაპარაკა მღვდელმთავარმა.

ამის თქმა იყო, და რაინდთ მახვილნი იშიშვლეს და ცად აღაპყრეს. მერე დაუშვეს, ენდრიუს თავის გარშემო ფოლადის გვირგვინისდამაგვარი რამ წარმოქმნეს. კერეონთა ბრიალში მახვილთა პირთ ოქროსფად დაიწყეს ბდღვრიალი, და რაც აქ ხდებოდა, ყველაფერმა მღვდელმსახურების ხასიათი შეიძინა.

მოძღვარი მედიდურად მიეახლოვა ავსტრალიელს და მახვილი გაუწოდა.

ვილაცამ ზარი დაარისხა და ძველი კოშკის კამარებქვეშ რეკვის ნახმევი დაირხა. სუყველამ თავი დავხარეთ, და ამის გამო რაინდნი თვალთაგან დაგვეკარგნენ. და როს თავი ისევ წამოვწიეთ, ათნიღა ვიყავით დარჩენილი — ავსტრალიელი რაინდთ გაჰყოლოდა რიტუალურ ნადიმზე.

სამოსელი გამოვიცვალეთ და ერთმანეთს შინაურულად დავემშვიდობეთ. ცერემონია გვარიანად გაჭიანურებულიყო — უკვე თენდებოდა. ჩემი სული უსაზღვრო მარტოობამ მოიცვა.

ვიდექი და შევნატროდი ავსტრალიელს, რომელმაც თავისი მახვილი დაიბრუნა და გზის ბოლოს მიაღწია. მე კი კენტად [illegible] ამიერიდან აღარც ვინმე ეტიკობას გამიწევდა და აღარც [illegible] ვარსკვლავს წარმართავდა, რადგან ტრადიციამ — სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ შორეულ ქვეყანაში არსებულმა, — უარმყო, მომიწყვიტა, ხოლო უკან დასაბრუნებელი გზა არ მიმასწავლა. და თუმცა სანტიაგოს უცხოგვარ გზას კი ვიყავი ადევნებული, რომელიც ჯართლაც სიარულმა დალია, მაგრამ ვერც ჩემი მახვილის საიდუმლო და ვერც იმისი პოვნის ხერხი ვერ შევიტყვე.

ზარი კი ისევ რეკავდა. კოშკიდან რომ გამოვედი, — უკვე კარგა გათენებული იყო, — მივხვდი, რომ რეკვა მახლობელი ეკლესიიდან ისმოდა და მრევლს ცისკრის ლოცვაზე უხმობდა. ქალაქი თვალებს იფშვნეტდა, იფხიზლებდა და ემზადებოდა სამუშაო კვირისთვის, უიღბლო სიყვარულისთვის, შორიელი ოცნებებისთვის, გაუსწორებელი ანგარიშებისთვის. და არც ზარს, არც ქალაქს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ ღამეს კიდევ ერთხელ გაიმართა ძველი რიტუალი და, რაც ასწლეულთა მანძილზე მკვდრად ითვლებოდა, ყოველივე კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს, განახლებას და ადასტურებდა თავის მოურეველ ძალუმობას.

ᲡᲔᲒᲠᲔᲘᲠᲝ

— პილიგრიმი ხართ? — მკითხა პატარა გოგომ, გოგუცანამ, რომლის გარდა ამ პაპანაქება გადამუადღევებულზე ვილიაფრანკა-დელ-ბიერსოს თითის სიგრძე ქუჩა-შუკაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

ხმა არ გამიცია, ისე შევხედე. გოგუცანამ — აბრანძული, თვალად რვა წლისა იქნებოდა — შადრევანთან მოირბინა, სადაც სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი.

ერთადერთი ჩემი საზრუნავი ის იყო, რაც შეიძლება რომ მალე მივსულიყავი სანტიაგო-დე-კომპოსტელაში და დამემთავრებინა ეს ჩემი ახირებული ხეტიალი. ვერა და ვერ ვივიწყებდი კოშკში ცერემონიის დროინდელ პეტრუსის ნაღვლიან ხმასა და გაუცხოებულ მზერას — მეჩვენებოდა, რომ რაც რამ იმან ჩემს დასახმარებლად იღონა, ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა. ავსტრალიელს საკურთხეველთან რომ მიუხმეს, უცებ რწმენა გამიჩნდა, პეტრუსს უნდა, რომ შემდეგი მე ვიყო-მეთქი. სულ ადვილად შეიძლებოდა ჩემი მახვილის ამ ლეგენდებითა და ძველი სიბრძნით გაცისკროვნებულ კოშკში აღმოჩენა, რადგან ის კოშკი სრულად აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას — დგომით უკაცრიელ ადგი-

ლას იდგა, თანაც წმინდა მიწაზე, სადაც მარტო ლოცვადმავალნი თუ სვდებოდნენ.

მაგრამ საკურთხევლის წინაშე წარდგომა მარტოოდენ ავსტრალიელს ერგო წილად. და პეტრუსმა, უნდა ვიფიქროთ, თავი დამცირებულად იგრძნო, ვინაიდან ხელგამდგარი მეგზური გამოდგა, რომელმაც თავის მეუღლეობაში მყოფს მახვილი ვერ აპოვნინა.

გარდა ამისა, ტრადიციის ცერემონიამ კვლავ განმიახლა დაფარული სიბრძნის ხიბლი, რაც უკვე გულიდან გადამვარდნოდა კიდეც სანტიაგოს უცხოგვარ გზას, ანუ „ჩვეულებრივ ადამიანთა“ გზას ადევნებულს. სულების გრძნებით შეკვრისა თუ შელოცვის ნიჭი, მატერიაზე თითქმის აბსოლუტური კონტროლი, სხვა სოფელ-ქვეყნებთან კავშირი გაცილებით საგულისყურო იყო, ვიდრე RAM რიტუალები. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი ბევრად უფრო პრაქტიკულად წამადგებიან ცხოვრებაში; არც ის არ მაეჭვებს, რომ თავადაც კარგა გვარიანად შეეცვალე იმ დროიდან, რაც სანტიაგოს უჩვეულო გზას ავედევნე. სულაც არა პეტრუსის დაუხმარებლად გავიგე, რომ შეძენილი ცოდნა მშველოდა ჩანჩქერთა დაძლევაში, მტრის დამარცხებაში, მაცნე-მაუწყებლებთან პრაქტიკულ და რეალურ საგნებზე საუბარში. სხვა არა იყოს რა, მოვიხილე ჩემი სიკვდილის ხატი და ქვეყნიერების ამავსებელი ყოველისმომცველი სიყვარულის ცისფერი სფერო და მზად ვარ **სამართლიან ომში** ჩასაბმელად, რათა ჩემი ცხოვრება ერთ გაბმულ ძლევათა წყებად ვაქციო.

ჩემი სულის საკმაოდ დიდი ნაწილი კი ისევ და ისევ ინატრიდა მაგიურ წრეებს, ტრანსცენდენტულ ფორმულებს, საკმლის კმევას, წმინდა საკლავს. რასაც პეტრუსი „ძველთათვის პატივის მიგებას“ აძახდა, ჩემთვის უკვე დავიწყებულ, ადრინდელ გაკვეთილებთან სამკურნალო და ფრიად გამამდიდრებელი შეხვედრა იყო. და მარტო იმის გაფიქრებაც კი, რომ ვაითუ სამუდამოდ, ხელგამოუბრუნებლად დამკარგოდა ამ სამყაროსთან მისადგომი ადგილი, თავგზას მიბნევდა და მრევდა.

ცერემონიის შემდეგ სასტუმროში რომ დავბრუნდი, პორტიემ ნომრის გასაღებთან ერთად „პილიგრიმის გზამკვლევიც“ გადმომცა: პეტრუსი ამ წიგნს მაშინ იყენებდა ხოლმე, როცა ფერგადასულ ყვითელ ნიშანთ თვალი კარგად ვერ არჩევდა, არადა საჭირო იყო მანძილის განსაზღვრა ერთი ქალაქიდან მეორემდე. და დილით უკვე დავაგდე პონფერადა — მთელი ღამე არც დამიძინია — და სანტიაგოს გზას გავუდექი. დღის ბოლოს აღმოვაჩინე, რომ რუკა ზუსტი არ იყო, — და ის ღამე ღია ცის ქვეშ გავატარე, კლდის ნაპრალში შეყუჟულმა.

მეტი რა საქმე მქონდა, ვიდექი და გავლილსა და ჩავლილზე ვფიქრობდი, ყველაფერი თვალწინ დავიყენე, რაც რამ მადამ დებრილთან შეხვედრის შემდეგ თავს გადამხდა, და ვერა და ვერ ვიშორებდი იმ გზარად წამოგონებულ ამბავს, თუ რა ჯიუტად ჩამაგონებდა პეტრუსი — იმის საწინააღმდეგოდ, რასაც მუდამ გვასწავლიდნენ და ჩაგვჩიჩინებდნენ, — მთავარი მხოლოდ შედეგიაო. რაოდენ ფარსაგი და საჭიროც არ უნდა იყოს ძალისხმევა, ყოველგვარი აზრი ეკარგება, თუ

შედეგს რასმე ვერ მივაღწევთო. ჩემი ამდენი ხეტიალისა და ნანახ-განცდილის შედეგი კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო — ჩემი მახვილის პოვნა. ის კი არა და არა ჩანდა. ამასობაში სანტიაგომდე ორიოდე დღის სავალი რჩებოდა.

— თუ პილიგრიმი ბრძანდებით, შენდობის ელამონთან, ეკლესიის რიბჭესთან მიგიყვანთ, — არ მეშვებოდა პატარა გოგო. — ბოლოს კარიბჭეში გაივლის, უკვე შეუძლია, რომ სანტიაგოში აღარც წავიდეს.

აჰა, შენ რამდენიმე პესეტი-მეთქი, ცოტაოდენი ფული გავუწოდე პატარა გოგოს, რათა ჩემთვის თავი დაენებებინა და თავის გზას სწეოდა. მაგრამ საქმეში ხარ! მან შადრევნის ჭავლს დაუწყო თამაში და იმდენი ქნა, ხალთაგუდაც დამისველა და ბერმუდებიც.

— წავიდეთ, წავიდეთ... — ერთსა და იმავეს იმეორებდა პატარა გოგო.

და ზედდატანებაზე წამომაგონდა პეტრუსის ერთ-ერთი საყვარელი გამონათქვამი: „მხვნელმა უნდა ხნას იმედით, მლეწავმა კი — წილის იმედით“. ეს იყო სიტყვები მოციქულ პავლეს წერილიდან.

და მაინც, ცოტა კიდევ საჭირო იყო ბრძოლა. ძებნა-ძიების ბოლომდე გაგრძელება და დამარცხების შიშზე გამარჯვება. მახვილის პოვნის იმედის შენარჩუნება. საიდუმლოს ამოცნობა.

და — ვინ იცის? — იქნებ ეს პატარა გოგო ისეთი რამის თქმას ცდილობდა, რისი გაგებაც არამც და არამც არ მენიაზებოდა. და შენდობის კარიბჭემ, ეკლესიაში დაყენებულმა, ეგება მართლაც ისეთივე სულიერი ზემოქმედება მოახდინოს, როგორსაც სანტიაგოში მისვლა მოახდენდა. ანდა ჩემი მახვილი თუ სულაც იქ არის?

— კარგი წავედით, — ვუთხარი პატარა გოგოს.

მერე მთას გავხედე, საიდანაც ის-ის იყო დავეშვი: კვლავ უნდა ამევლო, ამეაღმართებინა. აქეთ მომავალმა ის შენდობის ელამონი კი გამოვიარე, ოღონდ არ დავგულისყურებულვარ, რამეთუ ჩემი ერთადერთი მიზანი სანტიაგოში მისვლა იყო. და აი ახლა, ზაფხულის ამ გავარვარებულ საღამოს, გზად მავანი გოგუცანა გადამეყარა, რომელიც აგრე ჯიუტად ისევ უკან მეწევა იმის გასაგებად, რაც ჩემი თვალოვნობის, ანუ ყურადღების ღირსადაც არა ვცანი. იქნებ მოჩქარეობამ და სულით დაცემამ მიხიმანეს და ამაცდინეს ჩემი მსხემობა-მოგზაურობის მიზანს? ბოლოს და ბოლოს, ფული რატომ არ გამომართვა და არ გაიქცა, თავის გზას არ ეწია პატარა გოგო?

პეტრუსი სულ იმას მეუბნებოდა, მეტისმეტად აღვირაწყვეტილი წარმოსახვა გაქვსო. მაგრამ ის რა, შეუმცდარი ხომ არ არის!..

პატარა გოგოს ადევნებული გზადაგზა შენდობის ელამონის ამბავს ვიხსენებდი. ვინაიდან ამ ადგილიდან მოკიდებული კომპოსტელამდე გზა მთის ხევხუვებს მისდევდა და ძნელად სავალი იყო, ეკლესია თითქოსდა ერთგვარად გაურიგდა ლოცვადმავალთ. XII საუკუნეში რომელილაც **პაპმა რომისამ** განაცხადა: ვისაც სნეულებისა თუ სხვა რამ მიზეზისა გამო გზის განგრძობის თავი არა აქვსო, საკმარისია, რომ შენდობის ელამონი გაიაროს და ისევე მიეტევება და შეენდობა

ცოდვები, როგორაც კომპოსტელაში მისულთო. ვითომც ჯადოსნური რამ ჯოხი გაექნიოს, ისე იოლად გადაწყვიტა იმ დალოცვილმა პონტიფიკემ ხიფათიანი მთის გზების პრობლემა და ახალ მსხემ-ლოცვადმავალთ შეესხა ფრთები.

იმავე ბილიკით მივუყვებოდით, რომელთაც სულ ახლახან მოვდევდი, — მიხვეულ-მოხვეულთ და დაცერებულთ. პატარა გოგო წინ ისეთი წარმოუდგენელი სიმკვირცხლით მიხტოდა, რამდენიმეჯერ ვთხოვე კიდეც, ცოტა უფრო ნელა იარე-მეთქი. თავიდან მისმენდა, მაგრამ ძალიან მალე კარგავდა სიჩქარის შეგრძნებას და კვლავ დოსტოღრივ იწყებდა ფრენას. და ჩემი გაუთავებელი ჩივილ-წუწუნისა და თხოვნა-მოთხოვნის შემდეგ ნახევარ საათში მივატანეთ შენდობის კარიბჭეს.

— ეკლესიის კლიტე მე მაქვს, — თქვა პატარა გოგომ. — მე პირველი შევალ და კარიბჭეს გაგიღებ, რათა იქიდან შემოსვიდე.

გოგონა შიგნით შევიდა, მე კი გარეთ დავიწყე ტორღიალი. ეს ეკლესიაც არ იყო, უფრო მცირე ეგვტერი თუ ეთქმოდა, და ჩრდილოეთისკენ მიქცეული კარი ნიჟარებითა და წმინდა იაკობის ცხოვრების სცენებით ჰქონდა შემკობილი. საკლიტეში კლიტე რომ გაჩხაკუნდა, სად იყო, სად არა, ვეება გერმანული ქოფაკი გაჩნდა, მომეახლოვა და ჩემსა და კარიბჭის შუა აღმოჩნდა.

მთელი ტანსხეული უმალ დამეძაგრა, საბრძოლველად განმეწყო. „ისევ, — გავიფიქრე, — ჩანს, ამ ამბავს დასასრული არ ექნება. კვლავ განსაცდელი, ჭიდილი, დამცირება. მახვილზე კი ერთი გადაკრული სიტყვაც არ ისმის“.

მაგრამ უცებ, როგორც ძველად იტყოდნენ, განიხვნა შენდობის კარიბჭე და ზღურბლზე პატარა გოგო გამოჩნდა. ქოფაკის დანახვისას, რომელიც თვალში თვალგაყრილი მიმზერდა, მან რამდენიმე ალერსიანი სიტყვა წარმოთქვა, და ძაღლს ერთბაშად დაუცხრა მძვინვარება. კუდი ააქიცინა და ეკლესიაში შერგო თავი.

ვინ იცის, პეტრუსი იქნებ სწორია და მართლაც ნამეტანს ვოცოდობდობ? ჩვეულებრივი გერმანული ქოფაკი წამს ზებუნებრივ მხეცად გარდავსახე და საფრთხე დავინახე. ეს კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს, უცილოდ დაღლილობის ნიშანია, რომელ დაღლილობასაც მარცხთან მივყავართ.

თუმცაღა, იმედი ჯერეთ კიდევ არის. გოგონამ უკან გამიყოლა. ვგრძნობდი, როგორ მევსებოდა მოლოდინით გული, და აგრე გადავაბიჯე ზღურბლს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეც ისევე შემენდობოდა და მიმეტევებოდა ცოდვები, როგორც სანტიაგოს გზას დამწყემსებულ სუყოველ მსხემსა და ლოცვადმავალს.

იმ ერთი საგნის ძებნა-ძიებაში, რომელიც აგრერიგად მაგულისყურებდა, სულ მივჩხრიკ-მოვჩხრიკე თვალით მთელი ტაძარი, სადაც ერთი რა არის, ერთი წმინდანის ალალმაც კი არ იდგა.

— აქ თქვენ ხედავთ, რომ სვეტისთავებს ნიჟარის სახე აქვთ, — ექსკურსიამძღოლის ხმით დაიწყო პატარა გოგომ. — წმინდა აგედს ხატი განეკუთვნება...

და ძალიან მალე მივხვდი, რომ სულ ტყუილად ამოვბრუნდი აქ.

— ეს კი წმინდა იაკობ მეომრის ხატია, სპათაგანის. ხედავთ მახვილი მოუღერებია და თავისი ცხენის ფლოქვთ ათელინებს მავრთ. ეს ქანდაკება შექმნილია...

დიახ, ეგ სანტიაგოს მახვილია, ოღონდ არა ჩემი. მე კიდეგრეთ[illegible] დენიმე პესეტი გავუწოდე ჩემს თანამგზავრს, მაგრამ მან არ [illegible] თვა. ცოტა არ იყოს, გაწყრა კიდეც, ახსნა-განმარტებას შეეშვა და, მიბრძანდითო, მითხრა.

კვლავ დავითავდაღმართე და კომპოსტელას მხარეს წავედი. ვილიაფრანკა-დელ-ბიერსოს ერთ დღეში მეორედ რომ ვკვეთდი, გზად კაცი ვინმე შემომხვდა, რომელმაც მითხრა, ანხელი* მქვიანო, და მკითხა, წმინდა იოსებ სასწაულმოქმედის ტაძრის ნახვას ხომ არ ისურვებდიო. ანხელის სახელის მაგიამ, ცხადია, თავისი ზემოქმედება იქონია, მაგრამ ჯერეთ წინა იმედის გაცრუება არ მომენელებინა და დავრწმუნდი, რომ პეტრუსი საოცრად ერკვეოდა ადამიანებში. ადამიანებს კი ერთობ იმის გამოგონება ახასიათებთ, რაც არ არსებობს და ვერცრა სასარგებლოს ვერ სწავლობენ იქიდან, რაც თვალწინ გვიძევს.

და ახლა — განსაკუთრებით იმის გულისთვის, რათა ეს ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ დამედასტურებინა — დავეთანხმე ანხელს ეკლესიაში ერთად წასვლაზე. მაგრამ ეკლესია დაკეტილი დაგვხვდა, გასაღები კი ანხელმა ვერ მოიძია. მან შესასვლელის თავზე გამოკვეთილი წმინდა იოსების ქანდაკი დამანახვა, წმინდანს ხელთ ფურგლის სამუშაო იარაღი ეჭირა. ქანდაკი გულდაგულ შევათვალიერე, ჩემს მასპინძელს მადლობა ვუთხარი და რამდენიმე პესეტი შევთავაზე. მან ფულზე უარი თქვა:

— როგორ გეკადრებათ, ფულის გულისთვის სულაც არ მომიყვანიხართ. აქაურთ გვეამაყება ჩვენი ქალაქი.

მე კვლავ ჩემს ძველ გზას დავუბრუნდი და თხუთმეტ წუთში უკან მოვიტოვე ვილიაფრანკა-დელ-ბიერსო თავისი ქუჩებიანად, კარიბჭეებიანად და იდუმალ გიდებიანად, რომელნიც მომსახურებისთვის არაფერს არ იღებენ.

კარგა დიდხანს მივუყვებოდი მთის გზას, — ჯაფა, იცოცხლე, მადგა, შედეგს კი მაინცდამაინც ვერ ვხედავდი. თავდაპირველად მხოლოდ ჩემს ამბებზე ვფიქრობდი — ჩემს მარტოობაზე, პეტრუსს რომ იმედს გავუცრუებდი და შემრცხვებოდა, იმაზე, არც კიდევ მახვილზე და იმის საიდუმლოზე ფიქრი მანებებდა თავს. მაგრამ მერე პატარა გოგოსა და ანხელის სახეები დამიდგნენ თვალწინ და ფიქრმა ახლა იმათკენ გადაინაცვლა. სანამ განკერძოებით საკუთარ ამბებს ვუტრიალებდი, ეს ორი ადამიანი ყოვლის უფრო ძვირფას რასმე მძღვნიდა, რაც აგრერიგად ჰქონდა ორივეს მომადლებული — ჩემთვის არც ერთი იშურებდა თავის ქალაქის სიყვარულს და არც მეორე. თანაც სრულიად უანგაროდ. სადღაც ჩემი არსების სიღრმეში ბეუტვა დაიწყო ჯერხანად კიდევ ბუნდმა აზრმა. რაღაც ისეთმა, რაც ყველაფერს ერთად უყრიდა

თავს. პეტრუსი ყოველთვის მიმტკიცებდა, იმისათვის, რათა გავიმარჯვოთ, კანონიერ ჯილდოზე ფიქრი უაღრესად აუცილებელია. და მუდამ, როცა კი სრულიად სოფელ-ქვეყანა მავიწყდებოდა და მახვილის გარდა სხვა აღარცრა მახსოვდა ხოლმე, ჩემი ეტიკი აუტანელ გამოცდას რასმე მიწყობდა და ნიადაგ ისევ სინამდვილის [illegible] მიმაბრუნებდა. ჩვენი მსხმეობა-ლოცვადმავლობის ჟამს აგრეთვე [illegible] მომხდარა.

არა, ისინი შემთხვევით, ბედიავად არ შემხვედრიან, ამ შეხვედრას აშკარა კავშირი აქვს ჩემს მახვილთან, მითქვამდა გული. და რაც კი რამ ჩემს სულში დაძირული იყო, უცებ შეირხა, შეთრთოლდა და გაკაშკაშდა. ჯერეთ, ალბათ, თავადაც არ ვიცოდი, რაზედაც ვფიქრობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სწორ გზას ვადექი.

და ჩემი ბედის მიმართ მადლიერების განცდა დამეუფლა, რადგან პატარა გოგოსა და ანხელს შემახვედრა: იმ ნალაპარაკევში, როგორც ისინი თავ-თავიანთ ეკლესიებზე ლაპარაკობდნენ, ყოვლისმშთანთქმელი სიყვარულის ხმა ეღერდა. და ორივემ იმდენი ქნა, იძულებული გავხდი, რომ ორგზის გამეევლო დღეისთვის გათვალისწინებული გზა. ამ ამბავმა კი მეხსიერებიდან ამომშანთა ტრადიციის რიტუალთა ხიბლი და ესპანეთის მიწაზე დამაბრუნა.

და გამახსენდა ის ახლა უკვე შორეული დღე, როცა პეტრუსმა მითხრა, პირენეებში ერთსა და იმავე ადგილას ვტრიალებთო. ნათელი სევდით გამახსენდა. ის მოგზაურობის კარგი დასაწყისი იყო — და, ვინ იცის, გამეორება ეგება იღბლიანი დასასრულის მომასწავებელიც გახდეს.

ბევრი ვიარე, თუ ცოტა ვიარე, საღამოს ერთი მოხუცი გლეხის ქალის სახლს მივადექი, რომელმა ქალმაც ერთ ღამეში, თავის ჭამიანად, სათქმელადაც არა ღირს, იმდენი გამომართვა. სანამ დავიძინებდით, როგორც იტყვიან, ხან ამ მთისა ვთქვით, ხან იმ ბარისა. დედაბერმა მიამბო, რარიგ სწამდა იესოს წმინდა გული და ზედვე ისიც დააწონა, წლეულს გვალვიანი ამინდები დაიჭირა და ზეთისხილის მოსავალმა ცოტა გვიმტყუნაო. შეჭამანდს შევექეცი, ღვინოც მივაყოლე და ადრე დავწექი დასაძინებლად.

ვგრძნობდი, რომ ჩემში მწიფდებოდა და სადაც იყო! თავს იჩენდა რაღაც იდეა, და ამიტომ ბოლოსა და ბოლოს სულიერი სიმშვიდე დამეუფლა. ცოტა ვილოცე, პეტრუსისგან ნასწავლი რამდენიმე სავარჯიშო შევასრულე, მერე კი ასტრაინის გამოხმობა გადავწყვიტე.

მაცნე-მაუწყებლისთვის ახლა მაინც უნდა ჩამეწვლილა ყოველივე, რაც ნაგაზთან შეტაკებისას გადამხდა. მაშინ მან ყველაფერი იღონა, რათა ვევნე, ხოლო ჯვრის წამოყენებისას ხელის წაშველებაზე რომ უარი მტკიცა, ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ უნდა გავაძევო-მეთქი, ვიზრახე. არადა, ხმით რომ არ მეცნო, სულ ადვილი შესაძლებელი იყო, ნაგაზთან შებმული, ამ ჩემი მაცნე-მაუწყებლის იმედად დავრჩენილიყავი, ცდუნებას ავყოლოდი და თავიც წამეგო.

— შენ ყველაფერი იღონე, რათა ლეგიონს გაემარჯვა, — ვუთხარი.

— მე ძმათა ჩემთა წინააღმდეგ არ ვიბრძვი, — მომიგო ასტრაინმა.

პასუხს დიახაც ასეთს ველოდი. ამ ამბავს წინასწარ ვხედავდი ჯერეთ კიდევ დიდი ხნით ადრე — და სისულელე იქნებოდა, რომ ჩემს მაცნე-მაუწყებელზე გული მომსვლოდა იმის გამო, რატომ შეხვედრილი თარ ბუნებას არ იცვლი-მეთქი. დიდი-დიდი ამხანაგობის გაწყვეტა-მუთხოვა, თანაც ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში, ახლა რა დროსაც ვანვიცდიდი და რა ვითარებაშიც ვიყავი, სხვა რამის თხოვნას არავითარი აზრი არა ჰქონდა, ის ერთადერთ თავის დანიშნულებას მაინც არ უღალატებდა. მეც ავდექი, ხელი ჩავიქნიე ძველ ჯავრზე და სიტყვა ჩამოვაგდე სანტიაგოს გზაზე, პეტრუსზე, ჩემი მახვილის საიდუმლოზე, რომელი საიდუმლოც, როგორც წინასწარ ვგრძნობდი, უკვე სულში დამბუდებოდა. ასტრაინს არცრა მნიშვნელოვანი არ უთქვამს, მით უმეტეს, ყოველგვარ საიდუმლოზე ლაპარაკი აკრძალული აქვს. აყოლით, იცოცხლე, ამყვა, და ჩვენი ჭუკჭუკი მანამ გაგრძელდა, სანამ მოხუცმა დიასახლისმა კარზე არ მომიკაკუნა და არ შემომძახა, ძილში ლაპარაკი გცოდნიაო.

კარგ გუნებაზე გავიღვიძე, თავს მხნედ ვგრძნობდი და ფილაადრიანადვე გავუდექი გზას. ჩემი ვარაუდით, საღამოსთვის უკვე გალისიაში უნდა შემებიჯებინა, სადაც სანტიაგო-დე-კომპოსტელა მდებარეობს. გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ასე რომ მთელი ოთხი საათი გაორკეცებული სიჩქარით ვიარე, რათა ჩვეული რიტმი არ დამრღვეოდა. მივდიოდი და თან ვფიქრობდი, აი ამ მთის წვერსაც გადავივლი და თავდალმართიც დაიწყება-მეთქი. მაგრამ თავდალმართი არა და არა ჩანდა. ის კი არა, შორიდან კიდევ უფრო მაღალი მთები გამომცქეროდნენ. და ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან სუყველა ჩემი გადასავლელი იყო. სამაგიეროდ ფიზიკური დაძაბულობა უქმ აზრებს მიფანტავდა, და თანდათან საკუთარ თავთან უჩვეულო შეხმატკბილებას ვგრძნობდი.

არა, მაინც რამდენი კაცი იქნება ქვეყანაზე, ისევ ამეკვიატა ფიქრი, ვისაც ღიმილს არ მოჰგვრის რაღაც მახვილის საძებნელად ლაჯაღებული შერეკილი? ისე, კაცმა რომ თქვას, ვითომ რა, ქვეყნიერება დაინგრევა, თუკი იმ მახვილს ვერ ვიპოვი? სანაცვლოდ RAM ორდენის უკვე არაერთ პრაქტიკულ საქმეს დავეუფლე, ჩემს მაცნე-მაუწყებელს შევხვდი, ნაგაზს შევებრძოლე, საკუთარ სიკვდილს სახეში შევხედე, — ვთვლიდი სხვადასხვა დროს გადახდენილ ამბავთ და თავს ვირწმუნებდი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის სანტიაგოს გზა. მახვილი კი მხოლოდ შედეგია. რასაკვირველია, იმიტომ დავეძებ, რომ პოვნა მინდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იმის გაგება მსურს, როცა ვიპოვი, მერე რა უნდა ვუყო. რამეთუ უეჭველად უმალ საქმეში უნდა მოვივარგო, ისევე უნდა გამოვიყენო, როგორც პეტრუსისგან ნასწავლ სავარჯიშოებს ვიყენებდი.

და სუნთქვა შემეკრა. აზრი, რომელსაც მთელი ეს დრო ზედაპირზე ამოწვერვა უნდოდა, უცებ აფეთქდა. ირგვლივ ყველაფერი თითქოს გასინათდა და **აგაპეს** დაუოკებელმა ტალღამ სულ ერთიანად დამიტბორა სული. და ძალიან, ძალიან მომინდა, რომ პეტრუსი ჩემ გვერდით

ყოფილიყო და ის ერთადერთი მთავარი რამ გამეგებინებინა, რისი გაგებაც ჩემ შესახებ აგრერიგად ეწადა: რა ერთადერთი მთავარი რამეც დააგვირგვინებდა სანტიაგოს უცხოგვარ გზაზე შეძენილ შეცნობის გამოცდილებას — ჩემი მახვილის საიდუმლოს.

ეს კი, ეს საიდუმლო, როგორც რომ სუყოველი მონაპოვრის საიდუმლო, რომელი მონაპოვრის მოპოვებასაც მთელი ცხოვრება ლამობს ადამიანი, უბრალოზე უბრალო იყო და კითხვად მიტრიალებდა თავში — მერე რა უნდა ვუყო ნაპოვნ მახვილს?

ამ ამბისთვის წინათ არცროდის არ შემიხედავს ასეთნაირად. სანტიაგოს უჩვეულო გზას დამწყემსებულს მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, სად იყო ჩემი მახვილი გადამალული. და არც ვკითხულობდი, რისთვის ვეძებდი და, როცა ვიპოვი, მერე რა უნდა ვუყო-მეთქი. მთელი ჩემი სულიერი ძალმოსილება იქით იყო მიმართული და ოდენ იმას ვესწრაფოდი, ამდენი ხეტიალი დამფასებოდა, და აზრადაც არ მომდიოდა, რომ რისამე გიჟურად მნდომელი თუ მოსურნე კაცი ძალიან ნათლად უნდა ერკვეოდეს, მაინც რა უნდა, რის მნდომელია. აი, რა არის გაწეული შრომისა და გარჯისთვის საზღაურის ძებნის ერთადერთი მიზეზი, და ჩემი მახვილის საიდუმლოც ეს იყო.

პეტრუსს უთუოდ უნდა სცოდნოდა, რომ მივაგენი ამ საიდუმლოს, მაგრამ რატომღაც სავსებით დარწმუნებული ვიყავი, ერთმანეთს აღარ შევხვდებით-მეთქი. არადა, როგორ ელოდა ამ დღეს — და ვერ მოილოდინა.

მაშინ მდუმარედ მოვიყარე მუხლი, ბლოკნოტიდან ფურცელი ამოვხიე და დავწერე, რის ქმნასაც ვეპირებოდი ჩემი მახვილით. მერე ფურცელი ფრთხილად შუაზე გავკეცე და ქვის ქვეშ შევდე, რადგან ქვა პეტრუსის სახელს* და იმისი მეგობრობის სიმაგრეს მაგონებდა. დრო, ცხადია, თავისას იზამს და ძალიან მალე მოსპობს იმ ქაღალდს, მაგრამ არც იმით დაშავდება რამე, რადგან სიმბოლურად ის უკვე გადავეცი პეტრუსს.

ახლა მან იცის, რასაც მოვიშოვებ ჩემი მახვილით. მე კი ჩემი ვალი მოვიხადე იმის წინაშე.

კვლავ ავუყევი მთის კალთას, და ჩემი სულის წიაღიდან ამოფრქვეული **აგაპე** მკვეთრი, ხასხასა ფერებით ღებავდა მთებს ჩემ ირგვლივ. ახლა, როცა საიდუმლო ამოხსნილი იყო, ის უნდა მეპოვა, რასაც ვეძებდი. რწმენა, ურყევი რწმენა დაეუფლა მთელ ჩემს არსებას. და ჩემდა უნებურად იმ იტალიური მელოდიის ღიღინი დავიწყე, თბომავლის საფეხურზე ჩამომჯდარ პეტრუსს რომ წამოაგონდა. სიტყვები არ ვიცოდი და ამიტომ თავად ვიგონებდი გზადაგზა. ირგვლივ არცრა სულდგმული არ ჭაჭანებდა, და, როგორც კი ხშირ ტყეში აღმოვჩნდი, უფრო ხმამაღლივ ავღიღინდი. ამ ღიღინ-ღიღინში კი მალე მივხვდი, რომ ჩემს თავში გაჩენილი იწილობიწილო სოფელ-ქვეყანასთან ჩემი ურთიერთობის საშუალება ხდებოდა, რადგან ეს სოფელ-ქვეყანა, მარტოოდენ ჩემთვის ცნობილი, რიგს მაძლევდა, მასწავლიდა და ჭკუაში მაგდებდა.

---

* **პეტრუს (*petrus*) — ლათინურად ქვაა.**

ეს ერთხელ უკვე გამოვცადე — მართალია, ცოტა სხვაგვარად — ლეგიონთან ჩემი პირველი შეხვედრის დროს. მაშინ ჩემში ენების ნიჭი გამოვლინდა. იქ გონის მსახური ვიყავი, რომელი გონიც იმისათვის მიყენებდა, რომ დედაკაცი გადაერჩინა, მტერი შეესაქმა და ჩემთვის **ხამართლიანი ომის** ყოვლის უფრო სასტიკი სახე ეჩვენებინა. ახლა, ცდა-დია, სხვანაირად იყო საქმე: ახლა ჩემი თავის მოძღვარი თავადვე ვიყავი და ცამყართან ლაპარაკს ვსწავლობდი.

და ყოველსავე ველაპარაკებოდი, რაც რამ გზად მხვდებოდა: ფოთოლგაცვივნულ ხის ტოტებს, წყლიან დარნებს, ადგილ-ადგილ მოდებულ ხვართქალას. ეს იყო ჩვეულებრივ ადამიანთა გაკვეთილი, რომელსაც პატარები სწავლობენ, მოზრდილნი კი ივიწყებენ. და ჩემი თანამოსაუბრენი ყურიყურ, ანუ იდუმალ მეხმიანებოდნენ: თითქოსდა რასაც ვეუბნებოდი, ყველაფერი ესმოდათ და პასუხად ყოვლისმომცველ სიყვარულს მაფრქვევდნენ. ერთგვარ ტრანსში ვიყავი ჩაძირული, და საკუთარი თავისა მეშინოდა, თუმცა ამ თავდავიწყების თამაშის დამთავრებას მანამ არ ვაპირებდი, სანამ სულ არ გამიწყდებოდა ილაჯი.

და ერთხელ კიდევ დადასტურდა პეტრუსის სიმართლე: როცა საკუთარ თავს ემასწავლებლები, მოძღვრად გადაიქცევიო.

სადილობის დროც დადგა, მაგრამ არ დავფერხებულვარ. გზად ხან ერთი სოფელი მხვდებოდა, ხან მეორე, მივდიოდი და ვდუღღუნებდი, თანაც ჩუმ-ჩუმად ვიცინოდი, და უკეთუ მავანი შემთხვევით ყურადღებას მომაქცევდა, უთუოდ იფიქრებდა, ჩანს, წმინდა იაკობის ტაძარში ამჯერად დამთხვეულნი ლოცვადმავალნი იყრიან თავსაო. მაგრამ აინუნშიც არ მომდიოდა, ვინ რას იტყოდა, რადგან სიცოცხლით ვტკბებოდი და ვიცოდი, რაც უნდა მექნა ჩემი მახვილით, როცა ვიპოვიდი.

მთელი დღე საღამომდე აგრე თავდავიწყებული მივუყვებოდი გზას და მაინც კარგად მესმოდა, სადაც მივისწრაფოდი, მაინც კიდევ უფრო სწორუტყუვრად აღვიქვამდი ჩემს გარემომცველ საწუთროს და ჩემს გამსინათებელსა თუ დამტბორავ **ავაპეს.** ცაზე კი ამასობაში კარგა ხნის მანძილზე პირველად წამოფუვდა შავი, საწვიმარი ღრუბელი, და უმალ ვუხმე წვიმას, რომელიც პაპანაქებაში გამოვლილი მომქანცველი გზის შემდეგ ნამდვილი ცხონება იქნებოდა ბუნების მხრიდან.

სამ საათზე უკვე გალისიის მხარეში შევაბიჯე და რუკაზე განვსაზღვრე, რომ ერთი მთალა მრჩებოდა გადასავლელი — და მთის კალთაზე შეფენილ პირველსავე სოფელში დავიღამებდი, რომელ სოფელსაც ტრიკასტელა ერქვა, და დიდი მეფე ალფონს XIII სწორედ იქ ეპირებოდა ოდესმე დიდი ქალაქის აშენებას, მაგრამ სოფელი სოფლადვე დარჩა თავისი მცირე თანასახლობით.

და მივღიღინებდი, ისევ ისე ვდუღღუნებდი სოფელ-ქვეყანასთან ურთიერთობისთვის ჩემგანვე მოგონილ უცნობ კილოკავზე და ბოლო მთასაც შევუტიე, სახელად სებრეიროს. ეს სახელი ამ მთას ძველთუძველეს რომაულ ახალშენთაგან შემორჩა და სიტყვა „თებერვლის“ ნამსხვრევს რასმე შეიცავს: როგორც ჩანს, უხსოვარ დროს ამ თვეში აქ რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო. ძველად ეს მთა

სანტიაგოს გზის ყველაზე რთულ მონაკვეთად ითვლებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეცვლილია. აღმართი მართლაც კარგა გვარიანად დაცერებული იყო, სამაგიეროდ მეზობელ მთის წვერზე აღმართული უზარმაზარი სატელევიზიო ანტენა ლოცვადმავალთ ჩინებულ ორიენტირობას უწევდა და გზა-კვალს არ აარევინებდა, რასაც წარსულში ძნელად თუ ვინმე ასცდებოდა.

ღრუბლები კი სულ დაბლა და დაბლა იწევდნენ, და ბალე, ალბათ, ხშირ ნისლში აღმოვჩნდებოდი. ტრიკასტელაში მოსახვედრად ყვითელ ნიშანთლა უნდა მივყოლოდი, ვინაიდან ანტენა სრულებით აღარა ჩანდა რძისფერ ნისლში. გზა-კვალი თუ ამერეოდა, კიდევ ერთი ღამის გატარება კი არ მომიწევდა უბრალოდ ღია ცისქვეშ, არამედ თავსხმაში უნდა მეყურყუტა, რაც კარგს არაფერს მიქადდა. სულ სხვა ამბავია, როცა წვიმის წვეთები გახურებულ თავ-პირს გიგრილებენ, სულმობრუნებულ ბუნებასთან ერთად შენც ლაღად სუნთქავ და იშვებ, თანაც იცი, რომ წინ გელოდება თბილი კერა, ღვინიანი სასმისი და ლოგინი, სადაც ლაზათიანად გამოიძინებ და ხვალ დასვენებული შეუდგები კიდევ ერთი მომდევნო მთის გადავლას. და სულ სხვაა, როცა წინ უძილო ღამეა, რამეთუ მიდი და დაიძინე, აბა, ტალახში, თუ ბიჭი ხარ. ამასთანავე საზვეველდალტობილს, ვინ იცის, რა ინფექცია შემჭროდა.

ერთი სიტყვით, სასწრაფოდ გადაწყვეტა იყო საჭირო. ან უნდა წინ მემოძრავა და მყინვარი გადამევლო, სანამ არ ჩამობნელებულიყო, ანდა უკან უნდა მივბრუნებულიყავი ისევ იმ სოფელში, საიდანაც სულ რამდენიმე საათის წინ წამოვედი, ხოლო სებრეიროს გადავლა დილამდე უნდა გადამედო.

სასწრაფო გადაწყვეტილების აუცილებლობა როგორც კი შევიგნე, ჩემთვის ისიც საკვლევით ნათელი გახდა, რომ რაღაც უცნაური რამ მემართებოდა. რაკიღა იმის რწმენა გამიჩნდა, ჩემი მახვილის მუღამს მივაგენი-მეთქი, ერთგვარად გულმოცემული ვიყავი, და შინაგანი ძალა წინ მეწეოდა მყინვარისკენ, რომელიც ბალე ყოველი მხრიდან უნდა შემომრტყმოდა. და ეს გრძნობა საოცრად განსხვავდებოდა იმ გრძნობისგან, პატარა გოგოს რომ ამადევნა შენდობის კარიბჭისკენ ანდა ანხელს — წმინდა იოსებ სასწაულმოქმედის ეკლესიისკენ.

გამახსენდა, ბრაზილიაში დროდადრო მაგიას რომ ვასწავლიდი, დამსწრეთ უფრო თვალსაჩინოდ ავუხსნა-მეთქი, მაგიის დაუფლებას იმ ყველასათვის ცნობილ ამბავს ვამსგავსებდი, თუ როგორ იწაფავს ადამიანი თავს ველოსიპედის ტარების სწავლაში. მოახტები ანჩახს, თუ გინდ უნაგირი თქვი, დააჭერ პედალს ფეხს და ჩამოვარდები. წამოდგები, ისევ მოახტები და ისევ ჩამოვარდები, მერე ისევ, მერე ისევ, მერე ისევ, ვინაიდან წონასწორობის უნარი თანდათანობით არ მოდის. მაგრამ უცებ ზედმიწევნით ეუფლები, წონასწორობას აღარ კარგავ, და ველოსიპედიც სრულად ემორჩილება შენს ნებას. გამოცდილება არ გროვდება, ის თითქოს „რაღაცა ჯადოსნობით“ მოდის იმ დროს როცა შენ კი არ მიგყავს, არამედ, პირიქით, ველოსიპედს მიჰყავხარ, ანუ სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, როცა უცებ შენში აღმოაჩენ თავის შემაგრების უნარს და აღარ ვარდები, კორპუსს საჭირო მხარეს გადახრი

ანდა პედალს უფრო მაგრად დააჭერ ფეხს, თუმცაღა გეგონა, რომ უეჭველად ჩამოვარდებოდი.

და აი მაშინ, დღის ოთხ საათზე, სებრეიროს ფერდობზე შევამჩნიე, რომ ეს სასწაული განმეორდა. ამდენი ხანი თუ მე მოვდევდი სანტიაგოს გზას, ახლა თვითონ სანტიაგოს გზამ წამიტანა, წამაკითხა [illegible] მე მხოლოდ იმას ვემორჩილებოდი, რასაც ზეშთაგონებას ვუწოდებთ. და ყოვლისმომცველი სიყვარულის წყალობით, რასაც მთელი დღე განვიცდიდი იმის გამო, რომ ჩემი მახვილის საიდუმლოს ბოლოსა და ბოლოს მივაგენი, და კიდევ იმის გამო, რომ ადამიანი კრიზისულ წუთებში ნიადაგ სწორად წყვეტს გადასაწყვეტს, ნისლს პირდაპირ ეგრევე შევერიე უშიშრად.

ერთხელაც ხომ გაიფანტება-მეთქი, ვფიქრობდი ჩამოწოლილ ნისლზე და თვალებგაფაციცებული დავეძებდი გზის ყვითელ ნიშნებს ქვებსა და ხის ტოტებზე. უკვე თითქმის ერთი საათი იყო, რაც ხილვადობა ლამის ნულამდე შემცირდა, მაგრამ მაინც მივლილინებდი, შიშს ვაფრთხობდი და ვიმედოვნებდი, რაღაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო. კი არ მივდიოდი, ხშირ ნისლში მივცურავდი, მარტოდმარტო დარჩენილი მივუყვებოდი ზმანებისდამაგვარ ქვეყანას და კვლავ მოვიხილე სანტიაგოს გზა, როგორც კინოფილმი — როცა გმირი ისეთ რასმეს სჩადის, რისი თავიც არავის აქვს, ხოლო მაყურებელი დარწმუნებულია, რომ მსგავსი რამ მხოლოდ კინოში ხდება. თუმცა ეს კინო კი არა, უტყუარი სინამდვილე იყო. ტყის მდუმარება სულ უფრო გაუჯდა არემარეს, ნისლი კი უკვე ისე ხშირი აღარ იყო, მაგრამ უცნაური შუქი, რომელიც ირგვლივ ყოველსავე იდუმალებისა და შიშის ზარის ელფერსა ჰფენდა, იმის საშუალებას არ მაძლევდა, რომ დამენახა, კიდევ დიდხანს უნდა მეხეტიალა თუ არა ამ ჯანლის მორევში.

რომ იტყვიან, სიმსი არ ისმოდაო, მართლაც ისეთი სიჩუმე იდგა ირგვლივ, როცა მოულოდნელად ჩემგან მარცხნივ ქალის ხმა გაისმა. მყისვე გავჩერდი და ყური დავუგდე, იქნებ კიდევ განმეორდეს-მეთქი. მაგრამ არ ისმოდა არც ხმელი ფოთლების შარიშური, არც მწერთა ზუილ-წუილი და არც ტყისთვის ჩვეული სხვა რამ ხმა. საათს დავხედე, ექვსის თხუთმეტი წუთი იყო. ჩემი ვარაუდით, ტრიკასტელამდე ოთხიოდე კილომეტრი თუ იყო დარჩენილი და სრულიად ადვილად შემეძლო იქ მზიურ მისვლა.

ხოლო ციფერბლატს თვალი როგორც კი მოვაცილე, ქალის ხმა კვლავ გაისმა. და ამწუთას ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამბის დაწყება მეწერა.

ის ხმა საიდანმე გარედან კი არა, თავად ჩემგან მოდიოდა. მკაფიოდ და ნათლად ისმოდა. თანაც, რასაც ზეშთაგონებას ვუწოდებთ, იმას უფრო და უფრო აძლიერებდა. და არც მე მეკუთვნოდა, არც ასტრაინს. თქმით მხოლოდ ის მითხრა, წინ იარე და დამიმორჩილე, როგორც იტყვიან, თვალის დაუხამხამებლადო. მეჩვენებოდა, რომ პეტრუსი გაჩნდა საიდანღაც და ისევ ბრძანებასა და მორჩილებაზე ჩამომიგდო სიტყვა, მე კი ამწუთს მხოლოდ და მხოლოდ იარაღად ვიქეცი, ჩემზე გამავალი გზის იარაღად. ნისლი სულ უფრო იფანტებოდა და

თხელდებოდა, იცრიცებოდა. მარჯვნივ და მარცხნივ რამდენიმე მარტოხე მომყვებოდა, ფეხქვეშ კი ლიჭყი ნიადაგი მედებოდა და ნაბიჯს მიმოკლებდა ციცაბო ალმართი, რომელსაც უკვე საკმაოდ დიდხანს ვიყავი შეჭიდებული.

და აი ერთ წამში, მართლაც ჯადოსნურად, [illegible] ბოლოოდ სულ გაიფანტა და ჩემ თვალწინ მთის წვერზე ჯვარი [illegible]

თვალი შევავლე ნისლის ზღვას, საიდანაც ის-ის იყო გამოვცურე, და ახლა მეორეს ავხედე, რომელიც ბოლქვ-ბოლქვად დამტრიალებდა მაღლა თავზე. ამ ორ ზღვას შუა კი ცადაზიდული მთების მწვერვალებსა და სებრეიროს წვერს ვხედავდი. და წამერთ ლოცვის დაუძლეველმა ჟინმა დამრია ხელი. ვიცოდი, ეს ტრიკასტელასკენ მიმავალ პირდაპირ გზას ამაცდენდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მთის წვერზე ასვლა და ჯვრის ძირას ლოცვის აღვლენა. ასვლამ სრულ მდუმარებაში გავლილი ორმოცი წუთი დაიჭირა, ვდუმდი მე, და დუმდა ყველაფერი ირგვლივ. ჩემი გამოგონილი ენაკავი გულიდან გადამვარდა და უკვე ვეღარ მაკავშირებდა ვეღარც ადამიანებთან, ვეღარც მამაუფალთან. სანტიაგოს გზას მივყავდი და იქ უნდა მივეყვანე, სადაც ჩემი მახვილი იდო. პეტრუსი კვლავ მართალი გამოდგა.

წვერზე კი, ჯვრის გვერდით, მავანი კაცი იჯდა და რასღაც წერდა. თავდაპირველად მოჩვენება მეგონა, ცათა მოციქული, მაგრამ ზეშთაგონებამ წამჩურჩულა: არაო, — და იმწუთას თვალში მეცა კაცის სამოსელში ჩაკერებული ნიჟარა. ჩემისთანა უბრალო ლოცვადმავალი იყო, მსხემი: ჯერეთ კარგა ხანს მიცქირა, მერე კი, ჩემი გამოჩენით აფორიაქებული, გაუჩინარდა. ალბათ, ჩემი არ იყოს, ისიც ანგელოზს ელოდა აქ, მაგრამ ხელთ კაცი შევრჩი. კაცი, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანთა გზას მიუყვებოდა.

ლოცვის ჟინი კიდევ უფრო გამიმძაფრდა, სიტყვას კი ვერა და ვერა ვძრავდი და ჯვართან კარგა ხანს მდგარი ეკლესიოდი მთებსა და ღრუბლებს, რომელთაც ასე დაებურათ ცაცა და დედამიწაც, მარტო მწვერვალ-კინჭუხებსღა არჩევდა თვალი. ეს მეტრში ქვევით ერთმანეთის გვერდიგვერდ მიმდგარი ოდა-სახლები და პატარა ეკლესია დავინახე, სადაც აქა-იქ სინათლეც გაკრთა. უკეთუ გზა ინდომებს, ჩანს, ღამის გასათევსაც ვიშოვი-მეთქი, ვფიქრობდი გულში. არ ვიცი, ეს როდის მოხდებოდა, და თუმცა პეტრუსი გვერდით აღარა მყავდა, მაგრამ უმეგზურად მაინც არ ვიყავი დარჩენილი. მეგზურობას თუ ეტიკობას თვითონ გზა მიწევდა.

გზააბნეულმა კრავმა მთის კალთა ამოიღმართა და ჩემსა და ჯვარს შუა დადგა. საკმაოდ შეშინებულმა დამიწყო მზერა. მე კიდევ უფრო საკმაოდ დიდხანს ვუმზერდი თითქმის სულ მთლად ჩაშავებულ ცას, ჯვარსა და ჯვრის ძირას განაბულ თეთრ კრავს. მერე როგორღაც ანაზდად მუხლის მომჭრელი დაქანცულობა ვიგრძენი, რაც ესოდენ გაჭიანურებული მთა-მთა ხეტიალისგან, ამდენი გზისაცდელისა და ამდენი ჭკუის სასწავლო გაკვეთილისგან მჭირდა. მწვავე ტკივილი, რო-

მელიც სადღაც მუცლის არეში დამეწყო, ნელინელ ყელისკენ წამოვიდა და მშრალ, უცრემლო ქვითინად მექცა, და საცოდავად ავზლუქუნდი ჯვრისა და ამ თავისიანი ჩამორჩენილი კრავის წინაშე. არა, ამ ჯვარს ჩემი წამოყენება არ ეჭირვებოდა, ამაყად აღმართული იდგა, უზარმაზარი, მარტოსული, დრო-ჟამის ღვართქაფს შეჭიდებულ[illegible] ყველა გაკვეთილმა, რომელიც კი სანტიაგოს გზისგან მქონდა [illegible] ღვარი, ზედმიყოლებით გამირბინა თავში, ვიდრე ერთადერთი მოწმის — ამ კრავის წინაშე ვქვითინებდი გულამომჯდარი. ხოლო მერე, როცა ბოლოსა და ბოლოს ლოცვის დაწყება შევიძელი, ვთქვი:

— უფალო, მე არა ვარ ამ ჯვარზე გაკრული, და ზედ ვერც იმასა ვხედავ, ვინც გაკრული იყო, აწ ცარიელია და ასეთი იქნება უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ ჟამი სიკვდილისა ამცდა, და ღმერთი ახლა ჩემს სულში აღდგება მკვდრეთით. ჯვარი ასე უსაზღვრო სიძლიერის სიმბოლოა, რომელი სიძლიერეც მომადლებული აქვს სუყველ ჩვენგანს. აწ ეს სიძლიერე მკვდრეთით აღდგება სიცოცხლის გულისათვის, ქვეყანა გადარჩენილია, და შენთა სასწაულთა მოხდენის უნარი მე შემწევს. რამეთუ ჩვეულებრივ ადამიანთა გზით ვიარე და იმ ადამიანებში აღმოვაჩინე შენი საიდუმლო. ასე რომ შენც ჩვეულებრივ ადამიანთა გზაზე ხარ ნავალი. ამქვეყნად შენ იმისათვის მოხვედი, რათა ჩვენთვის გესწავლებინა ის ყოველივე, ვისაც რისი თავი გვაქვს, ჩვენ კი არ ვისურვეთ შენი მოძღვრების შესმენა. შენ გვიჩვენე, რომ დიდება და ძალა ხელმისაწვდომია სუყველასთვის, და ანაზდად მოვლენილმა იმ დიდებამ და ძალამ დაგვაბრმავეს ყოველნი. და ჯვარს გაცვით არა იმიტომ, რომ უმადურნი გამოვდექით ღვთის ძისა მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი საკუთარი შესაძლებლობის აღიარებამ შეგვაშინა. ჩვენ ჯვარს გაცვით იმის შიშით, რომ თავად არ გავმხდარიყავით ღვთის სწორნი. დრო-ჟამისა და ტრადიციის ზემოქმედებით შენ კვლავ ერთ-ერთ მორეულ ღვთაებად იქეცი, ჩვენ კი ჩვენსავე კაცობრიულ ბედს დავუბრუნდით.

სულაც ცოდვის ჩადენა არ არის, უკეთუ ადამიანი ბედნიერი გადგება. ხუთიოდე სავარჯიშოსა და მახვილ სმენას შეუძლიათ, რომ ადამიანს თავისი ყველაზე უფრო გაბედული ოცნებები განახორციელებინონ. მე მეტისმეტად ვცუდმედიდობდი ჩემი სიბრძნით, და ამიტომ თითოეულისთვის მისაწვდომი გზის გავლა მაიძულე და ის აღმომაჩენინე, რაც სუყველასთვის საცნაურდება, უკეთუ ცოტა მეტი თვალოვნობით, ანუ ყურადღებით ჩავუკვირდებით ცხოვრებას. შენ შემაგნებინე, რომ თითოეული თავისებურად ეძებს ბედნიერებას, და არ არის ისეთი რამ ნიმუში, რომლის გადაცემა სხვისთვისაც შეიძლებოდეს. ვიდრე ჩემს მახვილს ვიპოვიდე, ჯერეთ მულამი გავუგე, — საიდუმლო, რაც უჩვეულოდ უბრალო გამოდგა: საჭიროა მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ვუყო, როცა ვიპოვი. ლაპარაკი მაქვს მახვილსა და იმ ბედნიერებაზე, რომელსაც ის მახვილი განასახიერებს ჩემთვის პოვნის შემდეგ.

ამდენი კილომეტრი იმიტომ გამოვიარე, რათა ის აღმომეჩინა, რაც უკვე ადრევე ვიცოდი, — მეც ვიცოდი, და სუყველამ ვიცოდით.

განა ადამიანისთვის, უფალო, კიდევ უფრო ძნელია რამე, ვიდრე ანაზდეულად იმის მიხვედრა, რომ თურმე ხელეწიფება ძლიერების მიღწევა? ტკივილი, რომელიც აგრერიგად მიგლეჯს გულს და ტარიგისდა დამაფრთხობლად მაქვითინებს, ადამიანისთვის ჩვეულია პირველშექმნიდანვე. ამქვეყნად ცოტა ვინმეს თუ ძალუძს მოკვეთილი გამარჯვების ტვირთის ზიდვა — ძალიან ბევრი უმალ უარს ამბობს თავის ოცნებაზე, როგორც კი იმ ოცნებას ახდენის პირი დაუჩნდება. ადამიანები ხშირად უარს ამბობენ **სამართლიან ომზეც,** რომეთუ არ უწყიან, რა უნდა უყონ თავიანთ საკუთარ ბედნიერებას, და მეტისმეტად არიან მიბმულნი მიწიერსა და ნივთიერს. ზუსტად ისევე, როგორც მე, რომელსაც საკუთარი მახვილის პოვნა მეწადა, ოღონდ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა, როცა ვიპოვიდი.

ჩემში მთვლემარე ღმერთი ნელინელ იღვიძებდა, ტკივილი სულ უფრო მიმწვავდებოდა. და რაკი გვერდით მოძღვრის ყოფნა ვიგრძენი, როგორც იქნა, ცრემლად ავღვარღვარდი. მადლიერება მატირებდა, მადლიერება იმის გამო, რომ მან სანტიაგოს გზას ჩემი მახვილის საძებნელად ამადევნა. ვტიროდი და მადლსა ვწირავდი პეტრუსს, რომელმაც სიტყვის წარმოუთქმელად ჩამაგონა, რომ ოცნება აუცილებლად ამიხდებოდა, უკეთუ წინათვე განვსაზღვრავდი, რა უნდა მექნა, როცა ჩემს მახვილს ვიპოვიდი. ვიდექი და თვალწაბზირებული ვუცქეროდი ცარიელ ჯვარს. და კრავს, რომელსაც შეეძლო, სადაც უნდოდა, იქ ებაკუნა ამ მთებში, და თავზევითაც მოეხილა ღრუბლები და ფეხებქვეშაც.

კრავი წამოზეზეურდა, და მეც უკან ავედევნე, ვიცოდი, საითაც მივყავდი, და სოფელ-ქვეყანა, თუმცაღა ნისლში გახვეული, ჩემთვის მზესავით ნათელი შეიქმნა. მართალია, ცაზე ირმის ნახტომს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ის არსებობდა და ვისთვისაც უნდა მიესწავლებინა, ასწავლიდა კიდეც სანტიაგოს გზას. კრავს უკან მივდევდი, ქალაქისკენ დაგეზილს, რომელ ქალაქსაც იგივე სახელი ერქვა, რაც ამ მთას — სებრეირო. იქ ოდესღაც სასწაული მოხდა — რასაც იქმ, იმის იმად ფერისცვალების სასწაული, რაცა გწამს. და იქნებ, სულაც ეს იყო ჩემი მახვილისა და სანტიაგოს საოცარი გზის საიდუმლო?

და ვინემ ფერდობს ჩავდევდი, ერთი ამბავი წამომაგონდა. მეზობელი სოფლიდან მავანი და მავანი გლეხკაცი არ შეეპუა იმ დღით უცაბედად ამოვარდნილ ქარაშოტს და სებრეიროში წავიდა წირვის მოსასმენად. ბერი, რომელიც წირავდა, თითქმის სრულიად ურწმუნო იყო და სულის სიღრმეში აბუჩადაც კი იგდებდა თავგანწირულ გლეხკაცს. თუმცაღა ზედ ზიარების ჟამს პური ქრისტეს ხორცად გადაიქცა, ხოლო ღვინო — იმის სისხლად. ეს რელიკვიები დღესაქამომდე ინახება პატარა უბრალო ეკლესიაში, და იმათი ფასი ვატიკანის სუყოველი განძის უმეტესია.

კრავი ცოტა შეყოვნდა, ვიდრე საზღვარს მიატანდა ქალაქისას, სადაც მხოლოდ ერთი ქუჩა იყო, ისიც ეკლესიისკენ მიმავალი. უცა-

ზედად მოურეველმა შიშმა ამიტანა და ავძრახდი: „უფალო, არა ვარ ღირსი, რომ შენს ჭერქვეშ შემოვიდე“. მაგრამ კრავმა ისეთნაირად შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, დაანებე მაგ ლაპარაკს თავი, ნუღა იძახი, არა ვარ ღირსიო, — და ჩემში აღდგა ძალთაძალი, როგორც სუყოველ ადამიანში, ვინც კი თავისი ცხოვრების **სამართლიან ომად** დაქცევას შეიძლებს .დადგება დღე — ვკითხულობდი კრავისთვალებში, — როცა ადამიანი დაბრუნდება და სიამაყით აევსება გული საკუთარი თავისა გამო, ხოლო სრულიად ბუნება განადიდებს ღმერთს, რომელიც თვლემდა ამ ადამიანში, აწ კი გამოიღვიძა.

დიახ, ყოველსავე ამას ვკითხულობდი ჩემკენ მოპყრობილი კრავის თვალებში, რომელი კრავიც ამჟამად სანტიაგოს გზის ეტიკი გამიხდა. წამიერ ჩემ გარშემო ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა და თავში ისეთმა სურათებმა გამირბინეს, ძალიან რომ ჰგავდნენ აპოკალიფსურთ: მოვიხილე დიადი კრავი ტახტსა ზედა მჯდომარე და უდანდარი, გინდ უთვალავი თქვი, თეთრად შემოსილი ხალხი, რომელიც თავის სამოსელს კრავის სისხლით ღებავდა. აგრერიგად ხდებოდა თითოეული ჩვენგანის სულში მთვლემარე მამაზეციერის გამოღვიძება. მოვიხილე აგრეთვე მრავალი ბრძოლა-საგრობა, გაჭირვებისა და სამყაროს კატასტროფათა წლები, რომელი კატასტროფანიც უახლოეს ხანს შეარყევენ დედამიწას. მაგრამ ყოველივე კრავის გამარჯვებით დასრულდება, და თითოეული ადამიანი, რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი დედამიწის ზურგზე, მთელი თავისი ძალმოსილებით გამოაღვიძებს მთვლემარე ღმერთს.

და წამოვდექი, ნელი ნაბიჯით ავედევნე კრავს პატარა საჟამნოსკენ, რომელიც იმის მერე აეშენებინათ გლეხსა და ბერს, რაც ბოლოსა და ბოლოს თავიანთი ხელგამომავლობა ერწმუნათ. არავინ უწყოდა, ვინ იყო ან ერთი, ან მეორე. ერთსაც უზედწარწერო საფლავის ქვა ედო, მეორესაც, — იქვე შორიახლო, უკვე ბალახგადავლილ საფლავზე. თუმცა უცნობია, რომელი რომელი ქვის ქვეშ განისვენებს. რამეთუ სასწაულის მოსახდენად საჭიროა, რომ ორი ძალა ჩაებას **სამართლიან ომში.**

საჟამნოს კარს რომ მივუახლოვდი, სულ მთლად შუქით ბდღვრიალებდა. დიახ, ღირსი ვიყავი და წამიერადაც არ მიჭოჭმანია, საჟამნოს ზღურბლს გადავაბიჯო თუ არა-მეთქი, — მივაგენი, ჩემს მახვილს მივაგენი და ვიცოდი, რაც უნდა მექნა. და ეს ალარ იყო შენდობის კარიბჭე, რამეთუ უკვე შენდობილი ვიყავი და სამოსელი კრავის სისხლით შევიღებე. აწ ოდენ ერთი რამელა მეწადა — მახვილი ხელთ ამეღო და **სამართლიან ომში** ჩავბმულიყავი.

საჟამნოში ჯვარი არ იყო. ხოლო საკურთხეველზე სასწაულის რელიკვიები ეწყო — დისკოსი და ჯამფილა, ცეკვისას რომ მოვიხილე, და ვერცხლის გვადრუცი, რომელშიც იესოს სისხლი და ხორცი ინახებოდა. კვლავ დამიბრუნდა სასწაულთა მოხდენისა და იმ დაუჯერებელ თუ გაუგონარ ამბავთა რწმენა, რომელ ამბავთათვისაც ხორცის შესხმა წამისად ძალუძს ადამიანს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩემი გარემომცველი მთების მწვერვალები კი თითქოს მიმტკიცებდნენ, ჩვენ იმიტომ ვარსებობთ, რათა ადამიანი ბრძოლაში გამოვიწვიოთო, ხოლო ადამიანი იმიტომ არსებობს, რათა ამ გამოწვევას ღირსეულად შეხვდესო.

კრავმა ორიდან ერთ-ერთი მერხი გვერდზე მიაცურა, მე კი წინ გავიხედე. საკურთხეველთან მოძღვარი იდგა, სანთლებს ანთებდა. ეფინა, ხელთ ჩემი მახვილი ეჭირა.

გავჩერდი. ის მომეახლოვა, გვერდზე ჩამიარა, საყამნო გადაჭრა და გარეთ გავიდა. მეც უკან მივყევი. ავად მოქურუშებულ ცას გახედა, ჩემი მახვილი ამოიწვადა და, ხელი ვადასა ჰკარო, მიბრძანა, მერე მახვილი მაღლა აღმართა და წმინდა ფსალმუნი წაიკითხა იმ კაცთა გამარჯვების თაობაზე, ვინც მიწყივ გზებსა კეცავს და საგრობს:

დაეცემა შენ გვერდით ათასი და ათი ათასი შენ მარჯვნივ;

შენ კი არ მოგეკარება,
არ შეგემთხვევა სიავე,
და წყლული ვერ მოეკარება შენს კარავს;
რამეთუ ანგელოზთ უბრძანა შენზე —
დაგიცვან ყველა შენს გზაზე.

დავიჩოქე, მან მახვილი მხრებზე შემახო და ჩაილაპარაკა:

„ლომსა და უნასს ფეხს დაადგამ,
ლომის ბოკვერს და ურჩხულს ფეხქვეშ გაიდებ“.

და როგორც კი გაასრულა ეს სიტყვები, წვიმაც წამოვიდა. მოდიოდა და წყურვილს უკლავდა, ანაყოფიერებდა მიწას, და წვიმის წყალი ცას ცვარ-ცვარ მხოლოდ იმის მერე უბრუნდებოდა, როს თავის კეთილისმყოფელ ძალას დამორჩილებულ მარცვალს გააღვივებდა, ხეს ტანს აარყევინებდა, ყვავილს გაშლიდა. დიდი, გვიან მომდარებელი წვიმა ასხამდა, დელგმად სახელდებული, მე კი, თავაბლეჩილი ვიდექი და, რაც სანტიაგოს გზას ვიყავი ადევნებული, მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად ვგრძნობდი ცით ჩამოდენილ ჟანტსა და ტენს. გავიხსენე გვალვისგან დაჭმაქული, გაგერანებული ველ-მინდვრები და გავიხარე, რამეთუ ეს წვიმა ამ საღამოს იმათაც გაახარებდა. გავიხსენე ლეონის ქვა-ლოდები, ნავარის პურის ყანები, კასტილიის გადიხაშხოებული ნიადაგი, რიოხის წყალმოწყურებული ვენახები, რომელთაც ამაღამ გულს მოუოხებდა ეს მადლიანი წვიმა, მაცოცხლებელ ციურ ძალთა მბოძებელი.

გამახსენდა, როგორ წამოვაყენე ჯვარი, და გავიფიქრე, რომ ეს ქარნარევი ძლიერი წვიმა, ალბათ ისევ ძირს დასცემდა, რათა ახლა სხვა

ვინმე მსხემი თუ ლოცვადმავალი ჩასწვდომოდა ბრძანებისა და მორჩილების საიდუმლოს. გამახსენდა ჩანჩქერი, რომელიც ამ წვიმის წყალთაბით კიდევ უფრო გაძლიერდებოდა და გაძალუმდებოდა. არ მიგულისხმავიწყია არც ფონსებადონი, სადაც იმის გულისათვის, რათა ხელახლა განაყოფიერებულიყო ნიადაგი, იმდენი სიძლიერე დატოვა [illegible] გულიდან არ გადამვარდნია არც ერთი ფშა თუ წყარო, [illegible] წყალი შემესვა და უზომოდ მსიამოვნებდა, რომ ისინი ახლა უკვე აღარ დაშრებოდნენ. და თავი საკუთარი მახვილის ღირსად მივიჩნიე, რადგან ვიცოდი, რაც უნდა მექნა.

მოძღვარმა მახვილი გამომიწოდა, ხელი ჩავბღუჯე და თვალებით კრავს დავუწყე ძებნა, მაგრამ ის სადღაც გამქრალიყო, თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა: მაცოცხლებელი წყალი დიოდა ცით და ამ საოცარი წყლის წვეთებში ელავდა ჩემი მახვილის მსწრაფლმკვეთელი რკინა.

ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ-ᲓᲔ-ᲙᲝᲛᲞᲝᲡᲢᲔᲚᲐ

ეჩმი ნომრის ფანჯრიდან წმინდა იაკობის კათედრალურ ტაძარსა და შესასვლელთან მოჩოჩქოლე ტურისტებს ვხედავ. კარგად ვარჩევ, ბლომად ირევიან სტუდენტები, შუა საუკუნეების შავი სამოსელი აცვიათ. ფერეზიანი, ანუ ათასგვარი სასაჩუქრო შეშუდით მოვაჭრენი სახელდახელო ქულბაქებსა და ფარდულებს მართავენ. სისხამი დილაა და, თუ მგზავრთა ჩანაწერებს არ ჩავთვლით, ეს სტრიქონები პირველია, მე რომ სანტიაგოს გზაზე დავწერე.

აქ გუშინ ჩამოვედი, სარეისო ავტობუსს ჩამოვყევი, რომელიც სებრეიროს ახლოს მდებარე პედრაფატასა და კომპოსტელას შორის მიმოდის. ორი ქალაქის დამშორიშორებელი ას ორმოცდაათი კილომეტრი ოთხ საათში გამოვიარეთ და, აბა, როგორ არ გამხსენებოდა, რომ მე და პეტრუსი ასეთ მანძილზე ხან ორ კვირასაც ვკარგავდით. მალე სასტუმროდან გავალ და სანტიაგოს აკლდამა-ტაგრუცთან გამოცხადების ყოვლადწმინდა ქალწულის ხატს დავასვენებ, სამ ნიჟარაში ჩასმულს. მერე პირველი შესაძლებლობისთანავე ბრაზილიაში გავფრინდები, რადგან ათასი საქმე მიცდის. მახსოვს, პეტრუსმა რომ მითხრა, ლოცვადმავლობის სუყოველი შთაბეჭდილება ტილოზე გადავიტანეო, და უკვე მეც გამიჩნდა აზრი, რო წიგნად შევკრა, რაც ვნახე. მაგრამ ეს აზრი ჯერხანად ბუნდოვანი და შორეულია, თანაც ახლა, როცა ჩემი მახვილი დავიბრუნე, უამრავი რამ საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

ჩემი მახვილის საიდუმლო მარტო მე, ერთმა ვიცი, და არცვის სხვას არ გავუმხელ. ქალალდზე კი დავწერე და ქვის ქვეშ დავტოვე, მაგრამ ასეთი თავსხმისა თუ მერეხის მერე საეჭვოა, რომ ის ნაწერი გადარჩენილიყო. ძალიანაც კარგი. პეტრუსს სულაც არ უნდა იმისი ცოდნა.

ჩემი ჩამოსვლის თარიღი როგორ გაიგე-მეთქი, ვკითხე მოძღვარს. თუ უკვე დიდი ხანია, რაც აქა ხარ-მეთქი. მან გვიცინა და, წინადღეს დილით ჩამოვედიო, მითხრა, და რომც არ გამოჩენილიყავი, მეორე დღეს მაინც წავიდოდიო.

მაგას როგორ ასერხებ-მეთქი, ვკითხე, მან არ მიპასუხა, წამიყრუა. მაგრამ გამომშვიდობების ჟამი რომ დადგა, მოძღვარმა, უკვე მადრიდში წასასვლელად მანქანაში რომ ჯდებოდა, წმინდა იაკობ-მახვილოსნის ორდენის პაწაწინა რამ ნიშანი გამომიწოდა. და მითხრა, კრავს თვალებში რომ ჩახედე, დიადი ზეაღმაფრენით განისმჭვალეო.

ვინ იცის, უკეთუ საკვლაოდაც ცდას არ დავაკლებ, იქნებ ოდესმე ჩავხვდე კიდეც, თუ როგორ ხდება, რომ სადაც მიგველიან, იქ მუდამ დაუგვიანებლივ მივდივართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანჯეი ბურსა

ლექსები

პოლონურიდან

თარგმნა რენე კაღანღიამ

კეთილი ადამიანი

კეთილი გახდე! ვის არ უნდა
კეთილად იქცეს?
ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, რომ ვიცხოვროთ
თანხმობაში და სჯა-ბაასში, მაგრამ
გარემოებანი არაა იმგვარი.

ბერტოლტ ბრეხტი*

ბა მდინარესთან ზის ანკესით
კეთილი ადამიანი
ბებერი ცხვრის ცისფერი თვალებით
წყალზე ლივლივა ფეთქავს ბევრად უფრო ჩუმად ვინემ გული
ნიადაგ განშლად
ზეთოვანსა და მღვრიე ტალღებზე

კურთხეულია ტალღა რომელიც არ მობრუნდება

იგი წყნარი კეთილი ადამიანია
როცა 17 წლისა იყო
მან იმპერატორის მოოქროვილ ძვირფას მაუდში
გამოწკიპულ-ჩაკვეხებულმა
ალპებში ხიშზე მუცელში ზუსტი სროლით მოკლა
ჭაბუკი — იტალიელი

სხივოსანი როგორც დავითი

კურთხეულია ტალღა რომელიც არ მობრუნდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ის 22 წლის იყო
დანა გაურჭო უცხო მამაკაცს
და დაღვარა ერთი ლიტრი მისი სისხლისა
თავად ხახაში კი ჩაისხა 100 ლიტრი ცეცხლი — არაყი
გრძელფეხა ქალიშვილის გამო
რომელიც შემდეგ მის ცოლად იქცა

კურთხეულია ტალღა რომელიც არ მობრუნდება

როცა ის იყო 30 წლის
მისმა ცოლმა ვერ აიტანა სიღატაკე და ლანძღვა-გინება
და გაექცა
გაიპარა ერთ მუქთმიან მოტოციკლისტთან
სასიკვდილო ტრიუკების ჩემპიონთან
რომელიც მიწას აცილებული ათიოდ მეტრზე
შვეულ კედელზე დაქროდა
სწორედ ამგვარი სიმაღლიდან
ჩამოვარდა ცოდვილ მიწაზე მარიამი

კურთხეულია ასჯერ მაინც
ტალღა რომელიც არ მობრუნდება

მეზობლებ-ებრაელებისგან
რომლებიც შემდეგ სტრეცხ საპონად გადააქციეს
ხოლო მას დარჩა ძონძების გროვა
ვაჟებისგან კი — არავითარი ცნობები
ცოლისგან — საოცრად ფაფუკი და ოქროსფერი თმის ბღუჯა
იგი ჩუმი კეთილი ადამიანია
ბამბაზიის ლურჯ ბლუზაში
დაკლაკნილი როგორც ცხრაფეხა
მას უკვე არაფერი არ სურს
უმზერს ლივლივას
მდინარის ზეთოვან ტალღებზე
რომლებიც ნელა იყრებიან ან შორდებიან ერთიმეორეს
იგი კეთილი თან ჩუმი ადამიანია
ოჰ დიაღ დასტურ მართლა...

1956.

---

* ბ. ბრეხტი „სამგროშიანი ოპერა“. (მთარგმნელი).

ცხენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო ბატონებო, გინახავთ კი ოდესმე ცხენი, გაუნძრევლად მდგარი კალოზე, გარშემორტყმულის ცარიელი თავლებითა და სამეურნეო ნაგებობებით? ამგვარი ცხენი გაშეშებული დგას, სვეტივით დარჭობილი, რადგან უკვე მას არა აქვს არავითარი მუშა საქონლის დანიშნულება, ღირებულება-ღირსება. იგი არაფრის მაქნისია და არავის გამოადგება. გაგდებული წვიმაში, ქარში, ყინვასა თუ პაპანებაში, ხოჭოების და მაწუხელების შესაჭმელად განწირულია, მათრახითა და შოლტით ნაცემი იტანჯება ესაა მისი ხვედრი — ცხენის მოვალეობა: ამაშია — მისი ფუნქცია.

ცხენის ტყავი — ალაგ-ალაგ დამწვარი და ნალვარის კვალით აჭრელებული, — ტკივილის ნამდვილი რუკაა, — სავსე გეოგრაფიული აღმოჩენებით-უცაბედობით და საოცარი პარადოქსებით. მაგალითად, დასანახად საზარელი, შიშის მომგვრელი საშინელება — ვეებერთელა დამწვრობა — ეგ მარტოოდენ დაბრუჟეებული და უგრძნობელი ნაფლეთია ტყავისა, ხოლო ერთი შეხედვით, თითქოს კიდეც შეუმჩნეველი წყლული საზარდულის არეში, ღრმა ჭრილობა. იგი ინახავს თავის თავში — გამოუთქმელი ტკივილების უმდიდრეს მარაგს.

რამდენადაც ჩვენ, როგორც ადრე ვთქვით, ცხენი ფლოქვებით ჩარჭობილია მიწაში და თანაც ისე ღრმად, რომ არ შეუძლია გადაადგილდეს, ხოლო მისი მთელი ძალის მოკრება ანუ საბრალოს ვაინაჩრობა, რასაც ის ლამობს შოლტით ცემისას, მხოლოდ ამრავლებს და ამძიმებს მის უსასრულო ტანჯვა-წამებას. ამგვარად ცხენი — ტანჯვის აკუმულატორია. ის საკუთარი ძალდატანებით ავტომატურად იმუხტება და იტენება ტკივილით. ამ ცხენს ტკივილის იმდენად დიდი მარაგი აქვს, რომ მთელ ოჯახებს ეყოფოდა — ამ უსწორმასწორო და გაუტანელ წუთისოფელში.

მაგრამ მიჩვენეთ დღეს, ჩვენს დროში, პატივცემულო ბატონებო, თქვენ ისეთები, რომლებიც ტანჯვას დაეძებდნენ.

ყველაფრისდა მიუხედავად, ცხენი მაინც საჭიროა, რადგან ძნელიც კი იქნებოდა რეალურობის ჩვეული სვლის წარმოდგენა, თუნდაც ერთი ცხენის გარეშე.

1957.

კარნავალი

საკარნავალო სიფხიზლე
საოცრად ჰგავს
დასაფლავებას
როგორც აჩრდილი ფიგურას
როგორც გამოსახულებას სარკეებიან დარბაზებში

იქ სადაც ბერწი რეალობა რატომღაც კარგავს თავის ფაქტურას
ცელოფანებით შეფუთული სარიტუალო გვირგვინები
იპრანჭებიან — დიდებული და ფუმფულა პლუმაჟით ჯოხზე
ეი მიდის აუჩქარებლად
მიდის მდიდრულად
კარნავალი კატაფალკით მიემგზავრება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რახრახი ოთხით რახრახი
დაცარიელდა ქუჩა
მეეტლეს თვლემა ერევა უკვე ნაწნავიც ჩამოუცურდა და
კონწიალობს შუბლზე
მაპატიეთ აქ ხომ არაა ნეტავ სასტუმრო გვამებისთვის
ნერვიულად ხითხითებს თავი ვერცხლის ლანგარზე
მაგრამ რატომ ასე გვიან თუმცა მობრძანდით გთხოვთ გეთაყვა
მკვეთრად ანათებს რესტორნის ჩონჩხი
ანთია ლამპიონები ფერადი ციებ-ცხელებით

ეი ახლა კი... ინავარდებს მხიარულება
წვრილ ნამსხვრევებში ვიბრაცია კრთება სიცილის
და სირჩებს ისევ ავსებს ვიღაცა
ის ვისაც ესმის საქმე ლოთურად.

ჩემი დღე

დილით გავრბივარ სასამართლოში
და უწინარეს ყოვლისა
ღიპოსან ძიებს და მათ ძვირფას ქალბატონებს ანუ
ძუკნებს — დედლებს — ჭაკებს
უმალ ვთავაზობ ჩემს სამსახურს
ჩამოვუსწორებ კოსტიუმს ნდობას მოვიპოვებ
მოკლედ რომ გითხრათ — შევუძვრები და ვეპრანჭები თანაც:
თქვენ არ გჭირდებათ გამცემი?
აჰა გრძელ რიგში დგანან უძრავი ქონების მეპატრონენი
ანუ საშუალო წოდების გადაგვარებული ფაუნა
და მათთან უფრო მოურიდებლად მივდივარ
უბოდიშოდ ხელს ვადებ მხარზე როგორც კელნერი ღამის ბარისა
და პირდაპირ ყურში ვაჯახებ:
— სიმონ ჩამშვები არ გჭირდება?
შემკრთალნი ზურგს შემაქცევენ და უკან იხევენ ბღავილით
მთელი მათი პირუტყვეული ნატურა და უზრდელობა
გარეთ მოჟონავს —
გადმოდინდება
და დასასრულს კი ხეპრე გლეხებს ვუახლოვდები —
გაუთლელები და ბრიყვები

რომელიღაც საუკუნიდან აქამომდე მობობღებულან
შეუტანიათ რაღაც სარჩელი სასამართლოში და ერთმანეთს ეცილებიან
მიწის ნაგლეჯს და ცოდვილნი
ბნელ კუთხეებში მიკუჭულნი ჩაცუცქებულან ბოღჩებზე
ამგვარ გაგრიებს სახელოში ვტაცებ ხელს და ბალნიან ყურებს
გამოვუჭედავ ჩაძახილით:
ჰეი მამილო ეშმაკის მუშა არ გჭირდება?
და თუკი აქაც არ გამომდის
სამორიგეო ჯიხურისკენ მივჩანჩალებ თავჩაქინდრული
და საღამომდე ვჩხირკედელაობ იქ
ჩემს ნაცნობ პოლიციელთან
ხვალ ნაღდად უკეთ იქნება საქმე
ვეუბნები საკუთარ თავს
ღმერთმანი
ხვალ ჩემს ქუჩაზეც დადგება დღესასწაული

1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ო ე ტ ი

10.00 დან 13.20 მდე
პოეტს აწუხებს მსოფლიო სევდა
11.10 ზე
იგი გადის ფეხისადგილში
ჩაიხდის შარვალს
შემდეგ აიწევს და შეიბნევს
ხოლო შემდეგ დაუბრუნდება მაგიდას
და „ისთევლე“*
პოეტს აწუხებს მსოფლიო სევდა

ი მ ე დ ი

თუ ახდა ჩვენი ოცნებები
თუკი კამერულ საუბრებში და ჩვენს ჩამორჩენილ გონებაში —
კვალსათბურებში მოყვანილი ყველა ვარსკვლავი ბოლოს და ბოლოს
მართლა ამოვა ჰორიზონტს ზემოთ
და ჩვენ უკვე არ მოგვიხდება არავისი დარწმუნება რომ
ჩვენ მართლაც ვართ გენიალურნი
თუნდაც იმიტომ რომ ჩვენს ნაცვლად ამას იტყვიან სხვები

———————

*** ლექსის პერსონაჟი „პოეტი“ მართლწერაში მოიკოჭლებს (მთარგმნელი).**

ანუ შარავანდები
ნათელი შარავანდები
... ეჰ რა უნდა თქვა
თუ ყველაფერი ასე მოხდა
ბიჭებო ჩვენ ხომ მაშინ ისე მაგრა დავთვრებით ეშმაკმა ულის როგორ

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

ჯალათის ნაამგოები

ყველაზე უფრო სასაცილოა — რომ მათ არ სჯერათ
დამნაშავეებს — დიდი სტაჟით
დროც ხომ ჰქონდათ რომ ყველაფერი გაეგოთ კარგად
და უეცრად გაოცება
            როგორ — მე ცოცხლად ტყავს გამაძრობენ
            განა ეს შესაძლებელია რომ ამომთხარონ თვალები
            მაპატიეთ და ცოცხლად დაწვას მე მიპირებენ კოცონზე
შემდეგ ისინი ხმას ჩაიწყვეტენ
თუმცა რაღაცას ბუტბუტებენ თვალდაჭყეტილნი
სანამ
უცებ არ გაიხსენებენ
            თვით ღმერთების სახელებს და
            თვითმარქვია მეფეებისა
            ფრაზებს — ნაგლეჯებს წაუკითხავი წიგნებიდან
ისინი მათ გაყვირიან გვიან ღამემდე.
და თავს ურტყამენ უხათქუნებენ ყრუ კედლებს გასახდელისა
            სანამ არ წაათრევენ წამების კამერაში.

1957.

●

მე ხომ სიკვდილი სულ სხვაგვარად წარმომედგინა
გულუბრყვილოდ მჯეროდა
რომ შიშის უმაღლესი ორგაზმი
ბოლოს მაინც გამტყორცნის და მომისვრის სადმე —
ჩაწნულ-ჩახლართულ ტკივილის ზონიდან

მაგრამ აღმოჩნდა: თურმე ყველაფერს ვხედავ
            ყოველივეს ვგრძნობ
თუნდაც გვამადაც გადაქცეული —
            ნებისმიერი მოძრაობის უფლების გარეშე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანკალის გარეშე
და კვნესის გარეშე
მთლიანად ჩემი ტკივილით და საშინელებით — ძრწოლით
მე ისევ ვმონაწილეობ
წვერებიან ანეკდოტში დოქტორი ტულპის შესახებ
მორცხვი ჭაბუკი სტუდენტი კი გულმოდგინედ იჩიჩქნება
ჩემს ტანჯულ ტვინში
უიშვიათეს ინსტრუმენტით
ვუმზერ რა ასე მორიდებულ და წარმოუსადეგ პირისახეს —
საცოდავ ფიზიონომიას
შემდეგ უბადრუკ ტანსაცმელს
და ბუსუსს ტუჩს ზემოთ
ნიშნის მოგებით ვფიქრობ
რომ იგი ალბათ ჯერ კიდევ არის უმანკო
და ამის გამო ვგრძნობ ცოტაოდენ უკეთ ვხდები
(თუ საერთოდ შესაძლოა რომ ცოტათი უკეთ გახდე
როდესაც შენს ტვინს ბურღავენ)
მე ვიცი ყველა შეცოდება-დანაშაული
მუხლივით მელოტ და მოხუცი პროფესორისა
სათითაოდ ვიცი უხეში ხუმრობები
სხვათა ქირდვა და ოინბაზობა სტუდენტებისა
დავიმახსოვრე თვით უაზრო სამედიცინო ტერმინებიც კი
რომელთაც ვითომ აქვთ რაღაცა ურთიერთობა
ჩემს ასე ტანჯულ სხეულთან —
გვამთან რომელსაც მისჯილი აქვს აღმოაჩინოს სულ უფრო ახალი
და უფრო მეტად დახელოვნებული
წამების თაიგულები.
1957.

ი ს ლ ა მ ი

მე რომ მოხუცი — ძველი თურქი ვყოფილიყავი
და რომ მჯეროდეს ავტომატური ემიგრაციის
იქ — სერაიში
ურჯულოების მიერ დაცხრილულ სხეულით
მე ფეხებსაც არ დავისვრიდი გამწვევი კომისიის წინაშე
რათა ამ საქონელს — ფერშ...ს
ვინაც გაეცნო რა ჩემს ნაკვალევს მუყაოზე
დაადასტურა: ბრტყელტერფობა
და გულს არც კი გავიხსენებდი

მაგრამ დღეს ვის შეუძლია რომ დაუდგეს თავდებად სერაის

განა დაჭკვიანებული ახალწვეული ჯარისკაცები?
ან თუნდ გამოსულელებული მოსამსახურენი?

●

... შენ იცი ყველა ჩემი ფანდი, მე — შენი,
ჩვენ დროს ვკარგავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიჟე ვაიანი

შენ იცი ყველა ჩემი ფანდი
ძვირფასო ჩემო
იცი თუ როდის დავიწყებ ყვირილს ღრენას ღმუილს
ლანძღვა-გინების კორიანტელს
და კედელზე შუბლით ხეთქებას
იცი თუ როგორ შემიძლია ვიყო ბოლომდე ჯიუტი და თავმოუხრელი
და როგორი უძლური ვხდები იმ დღეებში
რომელთაც არ აქვთ არავითარი გემო და
არ გააჩნიათ სურნელი
შენ მუდამ წამლავ ჩემ ძილს კოშმარით
რათა წამართვა უკანასკნელი იმედიც
მე ვიცნობ ყველა შენს სატყუარას და მაინც ვკენკავ
მათ ხარბად და კეთილშობილის რაინდობით
თუმცა ამგვარი საკვების შემდეგ
სწორედ მათ გამო მეწყება პირის ღებინება
მე მივეჩვიე შენს სასიკვდილო ხელის მოჭერა-ჩაბლაუჭებას
ისიც ვისწავლე რომ საკუთარ გვამს მწარედ დავსცინო
(შენთვის კარგად ცნობილია ეს ჩემი გამოგონება
ერთ-ერთი უკანასკნელი ფანდი)
სიცოცხლევ ჩემო
და მტერო ჩემო
ჩვენ მოვაბეზრეთ ერთმანეთს თავი
შენ შებორკე და შეჭედე ჩემი ყბები —
გაუსაძლისი ტკივილით და
რა მოხდა მერე
იცოდე გინდა თუ არა მაინც არ შევწყვეტ მთქნარებას.

1957.

მოლარე

რაზე ფიქრობს ნეტავ ეს ტიპი
ეგ ფერმკრთალი და ზაფრა
როცა არჩევს კუპიურებს და გულმოდგინედ ახარისხებს
თანაც კბილებით ჩაჭიდებულა ბუტერბროდს
და რომლის გულისთვის
მას მოუხდა უარი ეთქვა ჰალსტუხისთვის
რაზე ფიქრობს ნეტავ ეს ტიპი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდესაც ჰალსტუხს ისწორებს ყელზე —
ფერად ნაჭერს რომლის გამო თუ სასარგებლოდ
მან უარი თქვა ბუტერბროდზეც
ჰალსტუხი ჰალტო ტაბურეტები კვირის საღამო
ყველაფერს: მტკიცე უარი
რაზე ფიქრობს ნეტავ ეს ტიპი
როცა ინერწყვავს თითებს და
ყოფს-ანაწილებს და ალაგებს ახალ გროვებად ამ
ზეუმაღლეს სილამაზეს —
მხოლოდ შეგრძნებით მოცემულს მისთვის
რაზე ფიქრობს ნეტავ ეს ტიპი
ეგ პირნასი და
უარის პროდუქტი
რომელიც ასე გამრავლებულა — უარის თქმის გზით
რაზე ფიქრობს ნეტავ ეს ტიპი
როდესაც იგი ახარისხებს გრავიურებს
როცა ცალკეული მათგანი ბევრად უფრო საუცხოოს ვინემ ჯოკონდა
ნეტავ რომელი რელიგია
აკავებს მას რომ არ გაგიჟდეს საწყალი.

სიმღერა კიბოთი სნეულისა, ვინაც რწყავს ყვავილებს

კიბო უკურნელი სნეულებაა
სიკვდილი გარდაუვალი მოვლენა
მე — სასაცილო ზოლიან პიჟამაში
ვარ და ვრწყავ ბალბიფოთოლას

ბალბიფოთოლები ძოწისფერია
ბალბიფოთოლები თეთრია რძესავით
ზაფხულის მწუხრის ზარებში — ლურჯ მოჩვენებაში
საავადმყოფოს აივანზე ვარ

ჩვენ ფრინველები გვაუწყებენ ცვარ-ნამის ყამსაც
ხოლო ცვარ-ნამი — პაპანების თეთრ შეშლილობას
მაგრამ მე თავად ვარ ბრძენი და თეთრი ექიმი
ჰოდა კიდეც ვრწყავ ბალბიფოთოლებს

კიბო უკურნელი სნეულებაა
სიცოცხლე განუწყვეტელი მოვლენა
თვალის დევნება მომიხდება — გაუსაძლისად ცხელ დღეებში
არ დაჭკნენ ჩვენი ბალბიფოთოლები

1957.

დილით პარკში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილით პარკში სეირნობისას
განცალკევებულ მერხზე ჩამომჯდარ ადამიანს ვხედავ ჩემოდნით
ვიხედები რაჩემოდანში
ბრრ — ღებინება ამივარდა —
შიგ ნაკუწ-ნაკუწ დაჩეხილი თოთო ბავშვია
სუნთქვაშეკრული
უმალ ვუხვევ ხეივანში
და მეფეთება ვილაც უცხო
რომელიც რაღაც ბოხჩას მოათრევს
და უცებ —
თხლაშ!..
ბოხჩიდან მიწაზე ვარდება ქალის ფეხი
საკმარისია! —
ყელამდე ვარ საშინელებით
და გავრბივარ თავქუდმოგლეჯით ყველაზე უშორეს კუთხეში
საღაც პარკი მყრალ სანაგვეს ესაზღვრება
და ვიცი იქ თუ ვინმეს შევხვდები
მხოლოდ ბებერ და ახირებულ ბუხჰალტერს
რომელიც როგორც ყოველთვის
ჩუმად აგროვებს ჰერბარიებს
მაგრამ მოიცათ ეგ ვინაა მოხუცის გვერდით —
ცხენი?
ძაღლი?
ვილაც-რალაც ცხენზე ნაკლები და ძაღლზე დიდი
ეჰე... ეს ხომ ქიმერაა
ის ასეირნებს თავის ქიმერას
საბრალო მოხუცი.

1957.

უხეში სილოგიზმი

უფასოდ შენ კარგ ვერაფერს ვერ დაინახავ
ვერასდროს
მზის ჩასვლა მუქთად
მაშასადამე ეგ დაისი სისულელეა
მაგრამ რათა კატეგორიის სამიკიტნოს კლოზეტში რომ ამოარწყიო
მანამდე უნდა გადაიხადო არყისთვის
ერგო* კლოზეტი
საუცხოოა
ხოლო დაისი არა

---

* მაშასადამე (ლათ.).

მაგრამ აი მე თქვენ გეტყოდით რომ ეგ ყველაფერი ბოდვაა

რა დაისი და რა კლოზეტი
ვერ ვხედავ დიდ განსხვავებას

1957.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეთილი ფსიქიატრი

(ქაროაეროთერაპია)

თავდაპირველად ყველაფერი ისე იყო როგორც ვფიქრობდი
კბილებში დარტყმა
ცივი შხაპი
აყროლებული კომპანია
პროვინციელი ლოთმანიჟების
მაგრამ აჰა კეთილი ფსიქიატრიც მოვიდა
მას ჩვენ სულაც არ დავუტანჯივართ იდიოტური შეკითხვებით

მოგვეცა უფლება
საოცრად გრძელ-უგრძეს თოკებზე
ლაღად გვეფრინა ბაღს ზემოთ
თოკების სიგრძე აღემატებოდა
ჩვენს ყველაზე თამამ-გაბედულ იმედებს

და ჩვენც ძალიან კარგად ვგრძნობდით თავს
ის კი უფრო გვაქეზებდა
აბა ბიჭებო მიაწექით — მაღლა და მაღლა
ოჰ რა ხოშიანად ვიყავით ყველანი

ამ მეთოდს ჰქვია
ქაროაეროთერაპია
ქა-რო-აე-რო-თე-რა-პი-ა
ქა-რო-ბა-ი-ა
აე-რო-ბა-ი-ა
ია! ია! ია!

1957.

იმედის უკანასკნელი სხივი

შავუბერე და დავრჩი ჯიბეგამოფხეკილი —
ჩიტის სკინტლიც კი აბაზი მეგონა
თუმცა მრჩებოდა ბოლო იმედი
და დავახეთქე დახლზე

პატრონი ნაღდად არ ელოდა ამნაირ სვე-ბედს
მიხვდა რომ მაგრა გაუმართლა
რადგან მან უკვე კარგად უყწოდა რომ აქ აზრია ჩადებული
შემდეგ ხელდახელ იმასაც მიხვდა
რომ მის წინაშე რაღაც უბრალო ნაყარნუყარი — ჩალა-ბუსუსი აგდია
და არც მემკვიდრის ანგარიში
არც ვაჭრის სარფა
არც მოქირავნეს გაუმაძღრობა
არამედ მართლაც უკანასკნელი სასტიკი და აბსოლუტური იმედი
მშვენიერი
მრავალჯერადი
და არისტოკრატიული
ქვეყნიერების დაქცევის და უეცარი წარღვნის იმედი
და სულელური პაეროვანი კოშკების ახლად აშენებისა

ოჰ ნეტავი თქვენც გენახათ იმ იდიოტის კოტიტა თითებში
რა სასწაულებრივ აკაშკაშდა
ელავდა
კრთოდა
ჩემი ერთადერთი იმედის უკანასკნელი სიხვი.

1957.

სიარულის გაკვეთილი

სულაც არ იყო ჩემთვის ადვილი
დაძლევა მიზიდულობის კანონის მაგრამ
მაინც ვფიქრობდი
ბოლოს როდესაც წამოვდგები და მტკიცედ დავდგები ფეხზე
ყველანი ჩემს წინ მოწიწებით დახრიან თავებს
ისინი კი კვლავაც სიფათში მილაწუნებდნენ
რატომ ხდება რას აკეთებენ
მე ვერაფერი გამიგია — შტერივით ვდგავარ
მაგრამ მაინც გმირულად ვცდილობ შევინარჩუნო წონასწორობა
„აი სულელი“ — სისინებენ ნამეტნავად კეთილები (აკი ესენი
ყველაზე უარესი არამზადებია)
„ცხოვრებაში საჭიროა ბობღვა-ფოფხვა-ჩოჩვა-ხოხვა“
ჩამესმის და მაშინათვე პირქვე ვწვები
წინ გამოვზნიქავ სქელ და ფუმფულა უკანალს როგორც ანგელოზი
და ცხოვრებაში პირველად ვცდილობ
ბობღვით როგორმე მივაღწიო
დაბალყელიანი ჩექმებიდან ქოშებამდე
ხამლებიდან კი ფოსტლებამდე
ანუ ვსწავლობ სიარულს
მიწაზე.

1957.

რწმენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მწამს რომ ღმერთი მტრედს ჰგავს
ადამიანს კი შეუძლია გადაიქცეს მანქანის ნაწილად
მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს რომ მას
არ შეიძლება გაეზარდოს ლომის ფაფარი
ანდა ფრთები (მე ანგელოზებისაც მჯერა)
მე მწამს ყოველი სახელმწიფოს რეგალიების
მწამს ყველა იდეალის ერთბაშად და განურჩევლად
როგორც მათი უგუნურების და შეშლილობის ვინაც ისინი მოიფიქრა —
ნაცრის ქექვისას გამოიგონა
და მე ვუშვებ შესაძლებლობას:
წარმოშობისა
ანუ უბიწო ჩასახვისა
მოკლედ: განაყოფიერების თუნდ მანდილოსნის უკანალის
ერთი უბრალო შეხებისგან
სკამთან რომელზეც კარგა ხანია არ დამჯდარა მამაკაცი
მე მწამს რომ თუნდაც ბედუკულმართს
შესაძლოა მოულოდნელად ეწვიოს ბედი
მწამს რომ ჩვენი ქვეყნის უდიდესი პოეტი
ნაღდად არაა ის ჭაღარა ვაჟბატონი — კუპონების მპარსავ-მომხვეჭი
და არც ეგ — უფრო ასალგაზრდა — გაბოზებული რომ ისწრაფვის
ტაშ-ტუშიან შემოსავლისკენ
არამედ აი ის ბებერი მტვირთავი
რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება
არაფერიც არ დაუწერია —
წყვილი განცხადების გარდა
მე მწამს მსოფლიო სულისა და მატერიის პირველადობის
მე მწამს ყველა შემოსული და გასული დოკუმენტისა
ყველა მომხრესი და მოწინააღმდეგესი მწამს მათი ანტი და კონტრა
არ მწამს მხოლოდ ის რომ რაღაცა შეუძლებელია მოხდეს
ამ სამყაროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს რადგანაც
იქ სადაც ყველაფერი შედგება
ჰი-ჰი-ჰი-ხი-ხი-სგან
მკრთომარე წერტილებისგან რომლებიც
ჰი-ჰი-ჰი...
საერთოდ არავის უნახავს არასდროს

პაექრობა გრძენთან

ის-ის იყო, მან დაიწყო საუბარი, რომ ჩემგან უცებ ავსულებმა იწყეს გადმოსვლა. მე კი თავი ისე მეჭირა, თითქოს მთელი გულისყურით მივსდევ მისი მსჯელობის გზის სვლა-მიმართულებას (რადგან იგი, ეჭვი არაა, რომ ჭეშმარიტად აზროვნებდა — დამაჯერებლად), ვუსმენდი და თვალს ვადევნებდი ჩემს ბოროტ სულებს. მათი რიცხვი

თანდათან უფრო მატულობდა, რაც მეტი იყო ბრძენის სიტყვები, ის კი უძლურდებოდა, რა გონს კარგავდა. ბოლოს ავსულების რიცხვმა ასტრონომიულ ციფრს მიაღწია. მათ ოთახიდან გააძევეს ან შეისრუტეს მთელი ჰაერი. ეს მეტისმეტად მძიმე იყო, თუნდაც ბრძენისთვის. გაფითრებულმა ნაძალადევი რიდით იკითხა:

— ხომ არ გაგველო ფანჯარა?

არ შევმკრთალვარ, არც განვძრეულვარ. ის არეული ნაბიჯებით მიუახლოვდა ფანჯარას, როცა აღმოაჩინა, რომ ღია ყოფილა, ანთებული მზერა ჩემზე გადაიტანა. მე გაბედულად დავუქნიე მას თავი.

— აჰ-ოჰ-ოხ, რა სტვენა ატყდა ოთახში... ჰოი, როგორ ხალისიანად იცინოდნენ-ხარხარებდნენ და ქირქილებდნენ ჩემი ცელქი ავსულები... როდესაც იგი შლიგინ-ზლართანით... ზუსტად მეოთხე სართულიდან... როცა ტყაპანი მოადინა და დაებერტყა ტყვიისფერ ასფალტზე.

ვარშავის მოჩვენება

როგორც კი მე ჩამოვედი მატარებლიდან ქალაქ ვარშავაში
უცებ მივხვდი რომ ჩემს წინაშე მისტიფიკაციაა და
ეს სრულიად არაა ქალაქი ვარშავა
(ისევე როგორც მატარებელი არაა მატარებელი)
არამედ მხოლოდ ვეებერთელა მირაჟია
მონუმენტური ფატა-მორგანა
ვილაცის ძალზე სულელური და ძვირად ღირებული ხუმრობა
თანაც გათვლილი იმაზე რომ თავგზააბნეულს მხარი მეცვალოს
ყველგან სიყალბე
ყოველ ნაბიჯზე თვალთმაქცობა და მოღორება
თუნდაც საღებავის იმიტაციაში გამოჭვივის ფირფიცარი
ჭკუის კოლოფი ვინაც მიმიღო თავის დიდებულ კაბინეტში
არსებობს მხოლოდ სანახევროდ
ეგ მაგიდასთან თუ მაგიდას მიხრახნილი მორის ნაჭერი
„ალმაფრენითი“ რჩება ბოლომდე
მაგრამ ადგომა არ შეუძლია
ხოლო ისინი ფიქრობდნენ რომ მე ვერ შევამჩნევ:
სკამს ქვემოთ ფეხები საერთოდ არცაა
ო ეგ მუყაოს პროფილები
და ნახერხით გამოტენილი ფიტულები
პროლეტარები — თაბაშირისგან
და ეგ კაროჟნა კინობოზები
ყველაფერი სასაცილო და ბანალურია
თითოეული საღამო
სარკმლის იქით
ერთი და იგივე საშინელი მოჩვენებაა —
ვარშავა

არარა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის არარაა
იგი არაა სათვალავში ჩასაგდები
სრული არარაობა
არის მხოლოდღა პიჯაკი
მახინჯი შავი ხამლები და
ტომარასებრი შარვალი
რასაც ზიზღი ან სიბრალული შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში
თუმცა სახეს არა აქვს მნიშვნელობა
არც თვალებს ტუჩებს ხელებს
არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ
ის საათობით იცდის ჭიშკართან
და იმედოვნებს რომ მოხვდება
იქითა მხარეს
მაგრამ იგი ხომ არარაა
ამიტომაც სულერთია
რომელ მხარზე იქნება
ის არარაა
კითხულობს გაზეთს იგი თავისი არარაობის ნიჟარაში
შეძვრება როგორც ლოკოკინა
ხანაც თავისი უბადრუკობით გაიბღინძება ფარშევანგივით
თუმცა გაზეთში მსჯელობაა ძალზე რეალურ საგნებზე
ის კი არაა
იგი საუბრობს
მაგრამ მისი არავის ესმის
რადგან მისი ხმის ბგერები
ყურისთვის განურჩეველი გახლავთ
იმიტომ რომ ის არარაა
არარაობა
თუმცა ამ წუთას იგი სადილობს
თუმცა მასაც აქვს პიჯაკი შარვალი და ხამლები
ხანდახან
ხდება ისეც რომ
იგი კარგ გუნებაზეა

ყელისმიერი ღიმილი

ჰა გამოღადრული ყელი
იგი მღერის თუმც ხმადაბლა
მაგრამ გრძნობით — სულით გულით
ხოლო ღამე — პირქუში და ბანჯგვლიანი შავი მკერდით
კვირა გაბმით ლოთობისგან დარბილდა და წუხს ხიხინებს
და — ეცემა გალეშილი სარკის ნატეხების ქვემოთ

ჰა გამოლადრული ყელი
წყალი ჩხრიალებს და მღერის
წივის — მილში და ონკანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარს მიჭედებული საბნით
ალისფერი აფრის გწამდეს
მიწას მიკრულ-მიჭყლეტილი-მიწოლილ-ჩახუტებული უფლის
ქუთუთოებით და
იცინოდე სისხლით სავსე ყელით

1957.

●

რა ლამაზი კოხტაპრუწა და ჭკვიანია
ზედგამოჭრილი ჭკუის კოლოფი
ზედგამოჭრილი ჭკუის კოლოფი
თუმცა ჭკუას ძალას არ ატანს
არ სჭირდება მეტიჩრობა —
არ ბანდიბუსტობს იმიტომ რომ
კარგად იცის თუ რას აკეთებს რისთვის
გამოჯაქულ-გამობრძმედილი ადამიანი —
თან როგორი თავაზიანი
ანდა როგორი ლმობიერი
ხოლო მთლიანად მისი სახის ანატომია
ამჟღავნებს მსუბუქ ძალდატანებას
პირის არეში:
რათა რაც შეიძლება ზრდილობიანად თუმცა
ცრუ აურადღებით
მისმინოს
ჰო, მართლა... პატიოსნად ვაღიარებ რომ შევცოდე და
ვერ შევძელი არ მიმეფურთხებინა მისი ქლესა სიფათისთვის.

1957.

უგიწოება

მე გავიარე ლურჯი დარბაზი სადაც სვამდნენ ალისფერ ღვინოს
და გადავჭერი ზურმუხტოვანი დარბაზიც სადაც გაჩაღებული იყო
პოკერის თამაში შემდეგ გავიარე ზაფრანისფერი დარბაზი სადაც
უცხო ტიპები ნებიერად ეწეოდნენ ოპიუმს
მოვხვდი ჩაის ოთახში სადაც ღეჭავდნენ პეიოტს
ვიყავი აკლდამასავით ჩაბნელებულ
და პირქუშ მეწამულ კაბინეტში
რომლის დანიშნულება იყო საზიზღარი და დამათრობელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ გვიან — შუალამისას
როდესაც მივხვდი რომ უკვე ყელში ამომდის ეს ფერები
უცებ გავბედე ქუჩაში გამოსვლა

რას იზამ თუკი თვით ამქაშადაც
ჩემი კუთვნილი სულმდაბლობა-გულნამცეცობის
უძრახველ სითეთრემაც კი
მიიქცია პოლიციელის ყურადღება
სახელმწიფოსთვის ძვირად ღირებული

1957.

ქ ა ლ ა ქ ი

თავდავიწყებით — სიკვდილის ფასად თამაშობს ბანქოს კოჭლი
ქარის წისქვილებთან
მიკიტანი ქალის სიფათი და ყვრიმალებიც კი მოთხუპნულია
ეოლოს ლაქებით
აქ მარტოოდენ სვიანი ლუდი და მშრალი წვრილი ძეხვებია
და კიდევ ლაქის ბზინვა კედლებზე — ელვარება ზაფრანისფერი

სოციალიზმმა ქვის სამტეხლოში მუშაობით გული იჯერა.
მოყანყალე დრეზინზე შეჯდა და გააქროლა ბუდრუგუნისკენ
ბედაურები უკვე ქუჩებში ჭარბად ყრიან მშრალ-ხეშეშ ფაფარს
და ყაძახები ლოთობაში ცხენის ძალას უხვად ხარჯავენ

ასეთი არის ეს ქალაქი — დინჯია და ამპარტავანიც
საიდანაც ყველა გზები-ბილიკები რომისკენ მიდის —
თამბაქოსთვის და ასანთისთვის თუნდაც ცეცხლივით არაყის გამო
ქუჩების ღია ორმოებში უკვე წვიმების ონკანები მოშვებულია

იქ წვერიანი ობი ჩარჩოში ზის და კუთხეში იცდის
ყეფან ღუმელთა მილები ტოლჩაში ძოწის ანაბზინია
ძეხორციელნი როგორც ქარის წისქვილები ფქვავენ დროს ფქვავენ
სანამ მსუქანი ჯვრის მეფე ხელს აქნევს მძიმედ — დროგამოშვებით

1956.

●

დოქტორი № მდიდარი და სასწაულმოქმედია
რადგან ყველაფერს მიაღწია თავისი უნარით

(ძნელი ბავშვობა და ასე ფხიანი
სწავლა გიმნაზიაში და ასე მოხერხებული

დოქტორის დიპლომი და ასე ნიჭიერი
ორი ავტომანქანა — თავისი მუღამით
მოკლედ: ყველაფერი — თავისი ჭკუით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქტორი № ცნობილი კოლექციონერია
იგი აგროვებს მახინჯებს — ფეხებისა და ხელების გვრეტეს
ისინი მასთან 22-ია
ფეხბურთელთა ორი გუნდი — თითოეულში 11
დოქტორი ამბობს:

აბა ბიჭებო დღეს ვითამაშებთ ნამდვილ ფეხბურთს
— მაგრამ აკი ჩვენ არა გვაქვს ფეხები — ხიხინებენ
გაოცებული მახინჯები
— წისულელეა რას მიქარავთ — იჭმუხნება კუშტი დოქტორი
ჩემი ცხოვრება მე შევქმენი ჩემივ ხელებით
დიახ საკუთარი ხელებით და მოხერხებით შეიძლება სასწაულების
ჩადენა და იგი თვალით ანიშნებს თავის გამოცდილ სანიტარს —
მწვრთნელს ანუ თადარიგის სერჟანტს

და იწყება...
მთელი ნახევარი წელი გადიოდა წვრთნა ეკლიანი მავთულებით
შემოღობილ სანატორიუმში
და მე არ ვიცი იქნებ მათ მართლა გამოეხარდათ ფეხები
არც ის ვიცი თუ საერთოდ როგორ მოხდა მაგრამ
გაზაფხულზე თავად ვხედავდი —
პოეტის დასავსები თვალებით
თამაშობდნენ ბიჭები ფეხბურთს და თანაც როგორ: ერიჰა!

1957.

•

ქუჩები სადაც ჩვენ არ გველიან
და სადაც კარია ჭრიალა საკეტით
იქ აქეთ-იქით ვეხეტებოდით
ჩვენი უიღბლო ბავშვობის წლებში

ქუჩები სადაც ჩვენ არ გველიან
იქ არაფერი არ ავიწყდებათ
რომ აქეთ-იქით ვეხეტებოდით
ჩვენს მშიერ-ტიტველ სიჭაბუკეში

1955.

ვასილ ა. დიმოვი

ექსპრომტი № 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ის იყო პატარა წერტილი მიუწვდომელი ჰორიზონტის თავზე, პატარა წერტილი, რომელიც არ ახლოვდებოდა და დიდდებოდა, და როცა მზე მის ზურგს უკან რჩებოდა, მარადისობაც დროებით უკან იწევდა, და მაცოცხლებელი სახე მას მრავალ ასეულ კილომეტრზე აჩენდა. ეს სინათლე ყველაფერს აბრმავებდა და არ არსებობდა ძალა, რომელსაც მისი ჩაქრობა ძალუძდა.

მტერს არჩაბარებული, ტყვედ ჩავარდნილი ქალაქის პირველი ღამე. შორი და ახლო ბრძოლების ფეთქებადმა ტალღამ ის შორს მოისროლა და იქ, ფრონტის ხაზის იმ მხარეს დატოვა. თვითმფრინავები უკვე სხვა ქალაქებს ბომბავდნენ, არტილერიული ზალპები მიყუჩდნენ, მხოლოდ ავტომატების იშვიათი ჯერი და კივილი ისმოდა. ქალაქი მსხვერპლად მიიტანეს, ის თამაშიდან ისე გავარდა, ომის საჭადრაკო დაფა ისე დატოვა, რომ გულმტკივნეული ცრემლები არ ულვრია, და ის შიშისა და როყიო ტყვიების პოლიგონად გადაიქცა. ომის ველიდან გამოქცეული ის ტყვიები ცივად ტკაცუნებდნენ ცარიელ ქუჩებსა და შესახვევებში, ცოცხალ სამიზნეებს ეძებდნენ, და როცა ვერ პოულობდნენ, ადამიანთა მკერდების შეუნგრევლად ქვის კედლებს ესობოდნენ, ქალაქი დაემშვიდობა ომს, ძარცვებსა და დახვრეტების სიკვდილისწინა მოლოდინში ღამის შავ სუდარაში მიიმალა, ტყვე ქალაქის პირველი ღამე. როცა იბის ბაქნიდან შიშისმომგვრელი ბრახაბრუხი მოისმა, ანდრეი მოკუნტული იჯდა მისი მშობლების ფართო საწოლის კიდეზე. ის ელოდა, ყოველ წამს ელოდა, რომ უკვე მისი რიგი დადგებოდა, და მოუწევდა მტრისთვის თვალის გასწორება, და არ უნდა დასტყობოდა შეშინება, უნდა ეჩვენებინა მისთვის, რომ არ შეშინებულა. ის იცდიდა და ესმოდა, თუ როგორ აბრახუნებდნენ კონდახებითა და ფეხებით მეზობელი ბინის კარზე, როგორ გამოგლიჯეს საკეტი, და ის ისევ შეძაგძაგდა, არ გაიქცა, ყველასთან ერთად არ წავიდა, და არც უნდოდა წასვლა. მამის დაბრუნებას უნდა დალოდებოდა, არ შეეძლო, არ შეეძლო დედის საფლავის მიტოვება, სახლის მიტოვება არ შეეძლო. გუშინწინ მთელი დღე ეძებდა დეიდამისი, რომელიც ბოლო ეშელონით აღმოსავლეთისკენ მიემგზავრებოდა. დირექტორი და კლასის დამრიგებელი ეძებდნენ, მთელი კლასი ეძებდა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვნეს. მას არ შეეძლო მოეტყუ-

ებინა მამა, რომელიც უკვე მეორე წელია იბრძოდა, და რომელსაც შეჰპირდა, რომ მას აქ, სახლში დაელოდებოდა. წერილები ფრონტიდან? ისინი მხოლოდ აქ მოსდიოდა. არ გაიქცა.

ანდრეი ელოდა კარის გამოღებას. მეზობელი [illegible] ასმოდა სასოწარკვეთილი, მსასოებელი ხრინწიანი ბღავილი, რომელიც ტყვიამ მიაყუჩა — სული ამოხდა დადამბლავებულ დეიდა ლიზას, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია არ ენახა. რა ელის ახლა მის გონნაკლულ შვილიშვილ ვიკას, იქნებ ისიც ძალლივით მიახვრიტონ. გაუთავებლად ილეწებოდა ჭურჭელი, გაუგებარ ენაზე ყვიროდნენ, ავეჯი ჭრაჭუნებდა — ოქროს ეძებდნენ. პირდაპირ ორმოცდამეოთხეში შეიჭრნენ, მაგრამ ამ ბინის პატრონები — მთელი ოჯახი — აქედან ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გაემგზავრნენ და ყველაფერი წაიღეს. ორმოცდამეექვსის რიგი მოვიდა. ანდრეი ელოდა.

კარზე არ დაუკაკუნებიათ, ერთი დარტყმით შემომტვრევას აპირებდნენ, მაგრამ ეს საჭირო არ გახდა. კარი მაშინვე გაიღო — ზღურბლზე იდგა ოთხი კასკიანი ჯარისკაცი, რომლებიც გარეგნულად რაღაცით ბურჟუინებს ჰგავდნენ, მაგრამ უფრო საშინელნი და უფრო რეალურნი იყვნენ. ოთხი გაწვრთნილი ნაგაზი, რომლებიც მზად იყვნენ დაენაკუწებინათ ყველა და ყველაფერი — ცოცხალიცა და არაცოცხალიც, ოთახის ყველა კუთხეს მიესივნენ. ახალი ცენტურიონები სულსწრაფად გაშეშდნენ.

— აბა, ჩვენთან რა ხდება? — მოისმა კიბიდან აქეთკენ მომავალი კაცის ხმა. — ეს, მგონი, ორმოცდამეექვსეა.

ზღურბლზე გამოჩნდა საშუალო სიმაღლის, მოხდენილი შავსამკლავურიანი ოფიცერი — გესტაპოელი. მან ფართოდ გაფარჩხა ფეხები და გაჩერდა.

— მე მგონი, აქ რაღაც სიახლეა.

— ბატონო ოფიცერო, ნება მომეცით ამ ვითარებაში გარკვეულობა შემოვიტანო, — მკვეთრად, მკაფიოდ მიმართა მას კასკიანმა სახემ.

— მიდი.

ავტომატიანი კასკა საწოლთან მიიჭრა.

— არა! სდექ! არაა საჭირო. ნუ ჩქარობთ, კურტ. დღეს თქვენ მთლად გაწონასწორებული არა ხართ. ჩვენ ჯერ ბევრი დრო გვაქვს, თან დიდი სამუშაო გველის. ძალა უნდა გამოიზოგოთ; წინ მთელი ღამე და ხვალინდელი დღე გვიდევს. ეს ბავშვი კი, ვფიქრობ, ჩვენ დიდ ზიანს არ მოგვაყენებს. ისედაც ჩვენ აქ მაინცდამაინც ვერ მოვითბობთ ხელს.

ჯარისკაცმა უკან დაიწია.

— უამრავი ასეთი ბინა უნდა დავიაროთ. აი რა მინდა გითხრათ... ჯარისკაცი თავის ადგილზე დაბრუნდა.

— ბიჭებს გაუფრთხილდით, კურტ. მეოთხე სართულზე ადით, შემდეგ კი მეზობელ სადარბაზოში გადადით. სიის მიხედვით, ამ სახლში კიდევ ორი ებრაელთა ოჯახი უნდა ცხოვრობდეს, თუ ისინი არ გაქცეულან, მე კი თქვენ ცოტა ხანში დაგეწევით. თქვენი ნება-სურვილის შესაბამისად იმოქმედეთ, მაგრამ გახსოვდეთ ის, რაც მე გასწავლეთ: თავი დაიზოგეთ, ყველაფერი ძალის დაუხარჯავად აკეთეთ. ეს

ჩვენივე ინტერესებში შედის. ჰო, სხვათა შორის, ამ ბინაში, ორმოცდამეექვსეში, ჩემი სპეციალური ნებართვის გარეშე არავინ შემოვიდეს. დღესაც, და შემდეგაც ვიდრე ამ ქალაქში ვიქნებით. ეს ყველას გადაეცით. იმოქმედეთ, კურტ.

— გმადლობთ ნდობისათვის, ბატონო ოფიცერო.

— გახსოვდეთ ჩემი მითითებები და თხოვნა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თხელ, დალიანდაგებულ საბანში შეფუთნული ანდრეი ცოცხალმკვდარი იჯდა, ეშინოდა არ განძრეულიყო, არ შემკრთალიყო, არ ეტირა. შეშინებულ თვალებს არ აცილებდა ოფიცრის შავად მოპრიალე ჩექმებს, მათი ჭრაჭუნი კი ყურში ეკლებივით ერჭობოდა. მან გერმანელთა დიალოგებიდან ერთი სიტყვაც კი ვერ გაიგო, და მაინც, მაინც ვერ ახსნა, ისე რატომ წავიდნენ ისინი, რომ მისთვის ერთხელაც კი არ გაურტყამთ, ხელი არაფრისთვის არ უხლიათ და მშვიდად მიიხურეს კარი, მაგრამ ყველაზე უცნაური რამ მაინც ის იყო, ოფიცერი აქ დარჩა, ახლა ბოლთას სცემდა, ერთმანეთზე მიყოლებით აფუილებდა სიგარეტს, ზოგჯერ კედელზე ჩამოკიდებულ ანდრეის ახალგაზრდა დედის პორტრეტს და კუთხეში მდგარ პიანინოს ავლებდა თვალს. კიბის ბაქნიდან მოისმოდა რვა წლის ვიკას კრუსუნი და შეყვირებები, — ეტყობა, ისიც მიხვდა, რომ ბებიას უკვე ვერ დაუძახებდა და მას თავზე ხელს ვერ გადაუსვამდა. მაგრამ მისთვის არავის სცხელოდა, ყველას თავისი უბედურება ბურლავდა, უბედურება, რომელიც მოიტანა ამან, ამ შავსამოსლიანმა, ჯვრებიანმა, ნაპატივებმა წელში აკვართულმა არსებამ. ანდრეის თავის აწევისა და მისი სახისთვის თვალის შევლებისა ეშინოდა, ეშინოდა მასთან თუნდაც ასეთი შეხებისა — შესაძლოა, უბედურება ახლალა აპირებდა დატრიალებას და ის ჯერ მის თვალებში გაიელვებდა. ისა სჯობია, რომ თვალი მის ჩექმებს ადევნოს და ელოდოს, ელოდოს ოფიცრის წასვლას, და თვალებს მაღლა არ ასწევს, არ შეამჩნევინებს, რომ ეშინია და უმწეოა. იწყებოდა ახალი ომი, პირადად მისი ომი, ომი ამ ბინაში, მის ბინაში, მამამისის ბინაში, დედამისის ბინაში. ის არ დაიჩოქებს, მაგრამ როგორ გაიმარჯვოს, როგორ გააგდოს აქედან ის, როგორ მიუხუროს კარი, როგორ დარჩეს აქ მარტო. მამას რომ შესძლებოდა წარმოედგინა ის, რომ ახლა მისი ვაჟიშვილი უიარაღოდ დგას მტრის პირისპირ თავის სახლში... „შვილო! წერისთვის დრო სულ არ მრჩება. ჩვენ უნდა გადაგვისროლონ. ყოველი დღე ერთმანეთს გავს. სულ წვიმს. ბოლომდე ვიბრძოლებთ. ამის შემდეგ უფრო დაწვრილებით მოგწერ. დედის საფლავს მიაკითხე. აბა, შენ იცი“. ჩექმები განაგრძობდნენ კუთხიდან კუთხემდე დიაგონალების ხაზვას. ფანჯრის იქიდან აფეთქების ხმა მოისმა.

— გეშინია? — დუმილი დაარღვია ოფიცერმა.

ბავშვის თითები კიდევ უფრო დაიკრუნჩხნენ, მას კრიჭა ისე ძალიან შეეკრა, რომ კბილები ასტკივდა, შიში და გაკვირვება ერთმანეთში აირია და ყველაფერი თავდაყირა დადგა. ის უცხო არსება ალაპარაკდა და სიტყვებს რაღაცნაირად განსაკუთრებული მანერით წარმოთქვამდა, მაგრამ რუსული სიტყვებით, ანდრეისთვის ასე მშობლიური და გასაგები სიტყვებით ალაპარაკდა.

— ვხედავ, რომ თავზარდაცემული ხარ. შენ უნდა გეშინოდეს

როდესაც ისვრიან და ერთმანეთს ხოცავენ, ყოველთვის გეშინია ადამიანს.

— . . .

— შენ მშობლებთან ერთად რატომ არ წახველ? მეგატოვეს? ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... თქვენს [illegible] მუსიკოსი ვინ იყო? ნოტების ასეთი ხვავები მხოლოდ პროფესიონალს შეიძლება ჰქონდეს. შუბერტი, ლისტი, მალერი... უცნაურია, მაგრამ აქ ძირითადად გერმანელი მუსიკოსების ნოტებია. ჩვენს ოჯახში კი ჩაიკოვსკის ანიჭებდნენ უპირატესობას. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ის ამ სახლშიც უყვარდათ. არ შეიძლება ის არ გიყვარდეს... ამ პორტრეტზე დედაშენია? საინტერესოდაა დახატული, საინტერესოდ... სადაა ახლა ის? შენ მასთან რატომ არა ხარ?? დიახ, მას კარგი, ძალიან კარგი ხელები აქვს. ის პროფესიონალი მუსიკოსია. აქ ის რამდენი წლისაა? თვალები, თვალები... ვნებით აღგზნებული თვალები. სადაა ის ახლა?

— . . .

— მე შენ გეკითხები, სადაა ის? რატომ მიგატოვა შენ? ნუ მაიძულებ, რომ გიყვირო.

— . . .

— დედა სადაა?!!

— მოკვდა.

ის კედელთან შეჩერდა, პიანინოს ნიდაყვით დაეყრდნო, ანდრეის შეხედა, ხელის მსუბუქი მოძრაობით სცადა სახიდან მოეცილებინა დღის დარჩენილი ბოლმა, სიავე და გულგრილობა, დაღლილობის უხილავი ნაფქვი, და თან დაუდევრად ბოდიშობდა თავისი თავის წინაშე. რამ აიძულა ის ამ ბინაში დარჩენილიყო, რატომ არ წავიდა სხვებთან ერთად, თუ მას მობეზრდა ქვითინები და ყვირილი, კეფაში სროლები, მაგრამ დღეს ხომ ომის ბოლო დღე არაა და, შესაძლოა, არც ბოლო თვეა, არც ბოლო წელიც კი, ხოცვა-ჟლეტა გაჭიანურდა, ახლა ის ეშმაკმა იცის ვის ბინაში აბოლებს და შესაცქერის საშინლად შეშინებულ ბიჭს, რომლისთვისაც ის დამპყრობი და მკვლელია. დიახ, ის დამპყრობი და მკვლელია, რადგან ომია, ყველანი ძარცვავენ და ხოცავენ, ყველას ხოცავენ, და ისიც ამას აკეთებს, მაგრამ ისიც საშინელ დღეშია, ისიც თავზარდაცემულია, რადგან გაცილებით უფრო თავზარდაცემულია, ისევე, როგორც ეს არც არაფერში დამნაშავე ბავშვი, ოღონდ გაცილებით უფრო თავზარდაცემულია, რადგან მოკვლა ყოველთვის უფრო საზარელი რამეა, ვიდრე ის, რომ უბრალოდ სიკვდილის მოწმე იყო. საშინელებაა დაქუცმაცებული თავის ნახვა, საშინელებაა თითი დააჭირო იმ ავტომატის ჩახმახზე, რომელიც მიბრჯნით სროლის ჯერით დახოცავს ადამიანებს, საშინელებაა სისხლის, შენ რომ გაქვს, ისეთივე წითელი სისხლის თბილ ჭოჭში სუფთა ჩექმით ჩაბიჯება. საშინელებაა. პიანინოს თავი გაჯახუნდა. იქუხა პირველმა ბგერამ, რომელიც თანდათან შეერწყა მომდევნოებს და ამან გუსტავისთვის დამახასიათებელ ჭოჭმანს წერტილი დაუსვა. ის გაავებით და ვნებიანად უკრავდა, თუმცა კლავიშებთან მისი ყოველი შეხების დროს იგრძნობოდა სიფრთხილე, იგრძნობოდა თავის თავთან, თავის გარემომცველ ყველაფერთან

ბრძოლა. ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში ის პირველად მიუჯდა ინსტრუმენტს, და ცდილობდა ამ ხანმოკლე ქმედებით შეეჩერებინა დროის, ჩექმებით გათელილი, გაქელილი, ცეცხლითა და სისხლიანი ძეძგილი დროის მდინარება, რათა მას გაუთავებელი თვეებისა ზე არ ეზოზინა, ის მდინარის გადალახვისას წყლით არ გაგუდულიყო, სანგარში არ ამოხუთულიყო, სხვის სახლში არ ჩაფერფლილიყო. ზედაპირზე ამოტივტივდა ყველაფერი, ყველა ფიქრი, რომლებსაც ომი ჩვეულებრივ თავისი მძიმე მასით ნთქავდა, ნანგრევებში მალავდა, დაძახინჯებულ გვამებსა და ცეცხლწაკიდებულ რკინას შორის მიმოპყრიდა, ხევდა კავშირს მოვლენების, ყოველი დღისა და თვის, და უწინდელებისაც, სისასტიკეებს შორის, რომლებიც მას ყველა ცალ-ცალკე და დეტალებში ახსოვდა, და ახლებისაც, რომლებიც უცაბედად წარმოიქმნა აგერ ახლა, ამ წუთებში, წარმოიშვა. და ეს ყველაფერი მას დაეხვა, და ელვის სისწრაფით შეკავშირდა, შეჯგუფდა სატურნის ერთიან სისხლიან რგოლში, არნახული სარჩილავი ლამპის — სინდისის, თეთრად გავარვარებული სინდისის მკვდარ შუქში.

ანდრეიმ ჩაიკოვსკი იცნო. ის იცნობდა ამ რომანსს, რომელსაც ოდესღაც დედამისი უკრავდა, მაგრამ მისი ზუსტი სახელწოდება არ ახსოვდა, და არც ცდილობდა მის გახსენებას, ამიტომ მეხსიერება არ დაძაბა. შავმა ჩექმებმა თავშესაფარი პიანინოს ქვეშ ჰპოვეს და ახლა აქ ოთოქმის არ ინძრეოდნენ, მხოლოდ ზოგჯერ აჭერდნენ ინსტრუმენტის პედალს. ახლა თვალს უფრო შავი მხრებიდან მსკუპველი მოუსვენარი ხელები აწუხებდნენ. ისინი უსასრულოდ გრძელნი იყვნენ და მათ ოთოქოს შეეძლოთ ოთახში ნებისმიერ რამეს მიწვდომოდნენ, დაერბიათ ის, დაეჭმუჭნათ, ჩაელეწათ ფანჯარა და ისედაც ცივ ოთახში შემოებერათ ახალი სიცივე, ან კარი გაეღოთ და იარალმომარჯვებულნი დაებრუნებინათ ისინი, რომლებიც ეს-ესაა წავიდნენ. ეს ხელები უშველებელი შავი ფრინველის მუსიკის აყოლებით მობობოქრე ფრთები იყო. ვაითუ, ამ წუთს ოფიცერი მოტრიალდეს, და დაინახოს, რომ მას უთვალთვალებენ, მიხვდეს, რომ ის წარმოსახული აქვთ მტაცებლად, სისხლით გაუმაძღარ მხეცად, და ეს გრძელი ხელები მოწვდეს მას, ანდრეის, იატაკზე დააზღართოს ის და გრძელი ფრჩხილებით ფხაჭნა დაუწყოს მას, ფხაჭნოს ფხაჭნოს და სისხლი ადინოს, ადინოს. ჯობია თვალები დახუჭოს, არაფერი არ დაინახოს, და მხოლოდ ელოდოს იმას, რაც მოხდება, — ეს იყო ის ერთადერთი რამ, რასაც ანდრეი ფხიზლად აცნობიერებდა, და რაც ძალუძდა.

მუსიკა ოთახის კედლებიდან გაიჭრა, ის მთელ სახლს აზანზარებდა და მიგრიალებდა დაჩეჩქვილი ქალაქის თავზე გადავლით ბრძოლის გონდაკარგული ველებისკენ, რომლებსაც განთიადზე რაკეტების ზალპი შეაყენებს ყალყზე, და ისინი, ის ველები, სინდისისა და სამშობლოს, სამშობლოს სინდისის დასაცავად ისევ გადავლენ, შეტევაზე, ისე გადავლენ, რომ თავიანთი თავი ოდნავადაც კი არ ეხსომებათ. ეს გალეული დასახიჩრებული თავზეხელაღებულობა მას ახლალა გაახსენდა, როცა ისე, როგორც არასდროს, იგრძნო, რომ ის ისეთივე მოკვდავია, როგორც სანგრების ორივე მხარეს მყოფი ყველა სხვა. ის დაკვრას გა-

ნაგრძობდა და თვალწინ უდგებოდა ყველა მოკლულის სახე, რომლებიც მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, და რომლებიც მას მუდამ თან სდევდნენ, სადღაც მის ტვინში ფუთფუთებდნენ, თუმცა [illegible] მათგანი მან მხოლოდ ერთხელ ნახა, და ისიც, უმეტეს შემთხვევაში, თვალის მოკვრითღა. ისინი მის თვალწინ, მიცურავდნენ, [illegible] ნაცვრად გახრწნილი თევზები ბინძურ მორევში, რომელშიც [illegible] ნაცვლად ზოგჯერ მთლად ზედაპირამდე ამოშვერილი მავთულხლართები მკვიდრდებოდნენ. მეხსიერება შეშფოთებით ტრიალებდა იმ წვრილ თევზებს შორის, რომლებიც ტბორეში ფუთფუთებდნენ, და რომლებიც ზოგჯერ ანკესს ეკიდებოდნენ. ღამე თავის სიღრმეში ინთქმებოდა, იგუდებოდა. აქ აღარც ძველი ავეჯი იყო, აღარც კედლები, აღარც სახლი, აღარც ქალაქი იყო და აღარც ომი. მის თვალწინ იყო ის, ცოცხალი, გაცილებით უფრო ცოცხალი, ვიდრე ის ფლორენციაში გირლანდაიოს ერთ-ერთ ფრესკაზეა, იმიტომ, რომ ის ახლა რეალური, ცოცხალი იყო. დეკორაციების მკვეთრი ცვლა სუნთქვას უკრავდა. სადა ვარ მე? რა მოხდა? არა-არა, ეს შეუძლებელია... და მხოლოდ ნაზი ძილით შეფუთნული ბავშვის სახე აცხრობდა მის უმწეობას. პირველად მიეცა ამ სახის, მისი ყოველი წერტილის ცალ-ცალკე გულმოდგინედ შეთვალიერების შესაძლებლობა. ოფიცერი ძლივს წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი წადგა მოზარდის საწოლისკენ, მიუახლოვდა მას: ახლა ის უკვე ისე გრძნობდა მძინარე ბავშვის სუნთქვას, თითქოს თვითონ სუნთქავდა, მაგრამ ვერანაირად ვერ იჯერებდა, რომ მას ცხადლივ ხედავდა, ჰოდა, ბიჭის ხელი თავის ხელში მოიქცია, იგრძნო მისი სისხლის სითბო, ცერით მაჯისცემა მოუსინჯა და ნელა თვლას შეუდგა. იმ მაჯაში გული სცემდა.

ოფიცერს არ ახსოვდა თუ რამდენ ხანს იჯდა ის იქ. ფანჯრის იქით ღამეული სირენის აუტანელმა ჭყივრილმა აიძულა გონს მოსულიყო. მან სწრაფად დააძრო ჯიბიდან ულუფის მოკოლადის ფილა და, ბოლოს, როცა თავისი სახელი გაახსენდა და ამ ფილის გარეკანზე წითელი ფანქრით მსხვილი რუსული ასოებით წააწერა: **გუსტავ.**

დილით ანდრეიმ თვალები გაახილა და ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა, რა მოხდა გუშინ... თითქოს სახლშია, მაგრამ ამავე დროს... დიახ, დიახ, სახლშია, რასაკვირველია. აკურატულად დაკეცილი ტანსაცმელი ელაგა საწოლის გვერდით მდგარ მაგიდაზე. ვინ გახადა მას, ვინ იყო ბინაში და, როდის წავიდა ის, შავოსანი. სულ არ ახსოვდა, როდის დაიძინა, აი, მუსიკა კი ახსოვდა, მაგრამ შემდეგ რა იყო... ეს კიდე რაა? ანდრეიმ მოკოლადი გადაატრიალ-გადმოატრიალა — როგორ შეიძლებოდა ის აქ გაჩენილიყო? ნამდვილად უნდოდა ის შეეჭამა, და ძალიანაც ისიამოვნებდა, მაგრამ ვის შეეძლო ის აქ მოეტანა? მას!!! მხოლოდ მას შეეძლო ამის დატოვება. არა, არა, არა, ის ამ ფილას არ მიეკარება, მას სხვისი არაფერი სჭირდება, მას ვერ იყიდიან. თანაც, ერთიც ვნახოთ და, მოწამლულია?.. გუსტავი?! რას შეიძლება ეს ნიშნავდეს? ეს, იქნებ, მისი სახელია? დიახ, ეტყობა. მალერსაც გუ-

სტავი ერქვა. მაგრამ ეს მისი სახელი თუ არაა? გუსტავ... გუსტავ მალერი...

ფანჯრის იქიდან მარშით მიმომავალთა ბრაგაბრუგი მოისმოდა. მახვილმა მუსიკალურმა სმენამ ამაში რაღაც უხეში, ტლანქი, [illegible] კეთო, რაღაც ღრიალა და მკვდრისებური, უსიცოცხლობა და [illegible] რივე დაიჭირა, — მას ვაებად, ასაფეთქებელი მექანიზმის მრიცხველის რიტმად აღიქვამდა. ჯარისკაცები შეკრული მწყობრით მიაბიჯებდნენ, და ნაბიჯები ხან რინდდებოდნენ, ხან ისევ, ფურგონების შიშისმომგვრელი გრუხუნით დახშულნი, ღორძინდებოდნენ. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე დღის წინათ ანდრეი მის მეგობრებთან ერთად, რომლებსაც იმ არემარეში რატომღაც ნაძირალებს ეძახდნენ, მიმორბოდა მის მშობლიურ ქუჩაზე, დღეს კი აქ უკვე იყო მტერი, ხალხის მტერი, მისი მეგობრებისა და მამამისის მტერი, პირადად მისი მტერი. ტელეგრაფის ბოძზე რეპროდუქტორი უკვე არ გადმოსცემდა ცნობებს დამარცხებებსა და გამარჯვებებზე, ცოცხალი ძალებისა და ტექნიკის დანაკარგებზე. ის ახლა ნაღვლიანად და ჩუმად ადევნებდა თვალყურს მტრის უსასრულო შემოსევას, თუმცა, შესაძლოა მან ისევ განაგრძოს გამარჯვებებსა და დამარცხებებზე მაუწყებლობა, ოღონდ სხვა სიტყვებით განაგრძოს ტროტუარზე ადგილობრივი გამვლელები არ ჩანდნენ, გამვლელები მხოლოდ გარმანელები იყვნენ, რომლებიც, ავტომატებიანები, მიმორბოდნენ და რაღაცეებს გაჰყვიროდნენ. ერთნი რაღაც ბრძანებებს აქუხებდნენ, სხვები თავქუდმოგლეჯით გარბოდნენ მათი მხედრული მამაცობით შესასრულებლად. ოდესღაც, ორი-სამი წლის წინათ, ისიც ასახიერებდა ხმლიან და ავტომატიან წითლებსა და თეთრებს, მაგრამ ახლა უკვე ომი იყო, აქვე, სარკეში მისი მჭრქალი ანარეკლის გვერდით იყო ის, უშველებელი და უთავბოლო, გაუგებარი უკვე დავიწყებული დასაწყისით და ჯერ უჩინარი დასასრულით. ანდრეის მამა გაახსენდა. „შვილო! წერისთვის დრო სულ არ მრჩება. ჩვენ უნდა გადაგვისროლონ. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. სულ წვიმს დედაშენის მიერ მოქსოვილი ნაცრისფერი სვიტერი ახლა ორჯერ უფრო მათბობს. ერთი თვის შემდეგ უკვე ორი წელი იქნება, რაც ის ჩვენთან არაა. მოუარე მის საფლავს, ჩემო ჭკვიანო ბიჭო. თავს მიხედე“.

სადაა ახლა მამა, რომელ ფრონტზეა, უტევს თუ ალყაშია მოქცეული, მიიღო თუ არა ჩემი ბოლო წერილი. ვაითუ, ის დაჭრილია, ჰოსპიტალში წევს და ასე ხშირად იხსენებს დედაჩემს? კიდევ უამრავი კითხვა უტრიალებდა, და ვერცერთზე ვერ ღებულობდა პასუხს. უნდა იცადოს, უბრალოდ უნდა იცადოს და ისევ ამ ფანჯარასთან, ისევ და ისევ ამ ფიქრით გაძეძგილმა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს პურის მაღაზიასთან ჯარისკაცი ორივე ხელით რის ვაი-ვაგლახით აკავებდა გერმანულ ნაგაზს. ძაღლი გააფთრებით იქაჩებოდა ხორცის ნაჭრისკენ, რომელიც მას ჩავლილი სატვირთოდან ჩამოუგდეს, მაგრამ ვერ წვდებოდა მას, და მხოლოდ მაშინ, როცა პატრონს ის შეებრალა და ორი ნაბიჯი მარჯვნივ წადგა, მშიერმა ძაღლმა შესძლო პირველი სიხარულით გულის ჯერება. მან ხორცი კბილებით აიტაცა, მაგრამ მას კი არ ღრღნიდა და კი არ გლეჯდა, მი-

სიანად გულზვიადად დააბოტებდა ჯარისკაცის ირგვლივ, რითაც აგიყებდა ორ სხვა ძაღლს, რომლებიც ცოტა მოშორებით ეყალყნენ. ჭიშკრის ქვეშიდან მეზობლის ვიკას ცივი წარმოუდგენელი ყმუილი მოისმოდა. ის ცალი ხელით ჩამღრძვალ კნუტს იხუტებდა, მეორით კი ცხვირს იჩიჩქნიდა, და თითს ხანდახან გაზინზლულ კბილებს იწმენდდა. და როცა მის ცხვირში არაფერი დარჩა, ის კატის ბალნის ნაფლეთების გამოგლეჯას შეუდგა და ნეტარებით ყნოსავდა მათ. გოგონამ, როცა დაინახა მეზობელი ნაგაზითურთ, გაჩერდა, ჩაიკუზა და უკვე სუნთქვაშეკრული, ნელა ეპარებოდა ნაგაზს, თან, მისი ასაკის კვალობაზე, გათქვირებულ ტუჩებს ილოკავდა. ხორცს ჩაჭიდებული მისი წინ გამოშვერილი რკინის ყბები ისევ აკავებდნენ ხორცს. უცაბედად ბავშვის პატარა ხელი შეეცადა... და უკვე ვერავითარი ბუნებრივი ძალა ვერ შესძლებდა მხეცური სიხარბის დაცხრომას. ახლა ძაღლს პირში ხორცის ორი ნაჭერი ჰქონდა მოქცეული.

დაძაბულობა აუტანელი გახდა და მან იფეთქა. კასკებიანი გრიმასები თვალების წინ ხტუნაობდნენ, თავიანთი ვიწრო ჩარჩოებიდან ძვრებოდნენ, აბობღდებოდნენ და ადგილებს უცვლიდნენ ერთმანეთს, ძაღლის ყეფას ენაცვლებოდნენ, თითქოს სქელ გამჭვირვალე სითხეში ცურავდნენ. შავი სისხლის შენადედები ვერცხლიწყალივით ზოზინით ზავდებოდნენ მტვერში. გული ერეოდა. ცრემლები სასუნთქ გზებს ახშობდნენ. რატომ აყოვნებს მტერი, რატომ არ აფეთქებს აქაურობას? მე ხომ დაუცველი და უმწეო ვარ. დაე მეც მაქციონ ნაჭრებად, მეც მომჩვარულ და უძვლო რაღაცად მაქციონ. ოღონდ ჩქარა ჰქნან ეს. ანდრეიმ, რაკი არ იცოდა, ხელები საით წაეღო, ისინი თმებს შემოუჭირა .არამზადები და მკვლელები არიან. მაგრამ არა, მე მათ ასე იოლად არ დავნებდები. მე თავს დავიცავ. გრძელი ძველი სანადირო დანა კარს იქით გაფრინდა, და მისი მიყოლებით შოკოლადის ფილა ნაკუწებად იქცა. რჩებოდა გადარჩენის ერთი გზა: გაქცევა. მაგრამ საით გაქცევა? ტყისკენ? ველისკენ? ანდრეის სასოწარკვეთამ დარია ხელი და ის საწოლზე დაემხო. უკვე ეჩვენებოდა, რომ საითაც არ უნდა გაქცეულიყო, თუნდაც სამყაროს კიდისკენ გადაბარგებულიყო, მტრები მას ყველგან მოძებნიდნენ. მასში თითქოს მოქცეულია მაგნიტი, რომელიც მის მტრებს იზიდავს. ისინი, ის მშიერი მგლები, მე ყველგან მიპოვნიან... კარი გაიღო.

ოთახში იატაკი გაჭრაჭუნდა, აკვნესდა, ის ყოველ შემოტევით ნაბიჯზე რეაგირებდა. იდგა ის, შავოსანი, და ხელში შეკვრა ეჭირა. გუსტავი იდგა.

— რა მოხდა? შენ ვინმემ გაგანაწყენა?.. აქ ვინმე იყო?.. რა მოხდა?

— . . .

— მე მინდა, რომ შენ მიპასუხო.

— . . .

— შენ ნახე ქუჩაში რაც მოხდა? — გუსტავმა მახვილი სიტყვაზე „ქუჩაში“ გააკეთა და ფანჯრისკენ გაიხედა.

— გარეწარი!.. მკვლელი!..

— დამშვიდდი... მე გამეგება, რომ შენ გეშინია. როცა გვერდით ჩავიარე, მეც კი ჩემი დამემართა. ეს ნამდვილად საშინელებაა. მაგრამ ომში რაღა არ ხდება. ამბობენ, ჯარისკაცის ბრალი არაფერი არ იყო, გოგონა თვითონ წაეტანა ძაღლს, როცა ის ძვალს ღრღნიდაო...

— მომკალი მე!.. მომკალი!!! და წაეთრიე აქედან. მე თქვენ ყველანი მძულხართ. შემსანსლეთ მე, შემსანსლეთ...

— გაჩერდი, ანდრეი, კმარა...

— სიძულვილის ამ შემოტევის დროსაც კი ანდრეის თავისი სახელის გაგონება ეუცნაურა. ის ხმამაღლა აქვითინდა და თავი ბალიშში ჩარგო — ის პირველად ვერ აცნობიერებდა რას ამბობდა, და რას აკეთებდა.

— მე შენი შოკოლადი არ მჭირდება... არ მჭირდება... მე... მე მირჩევნია შიმშილით მოვკვდე... ჩავძაღლდე...

გუსტავმა სიგარეტი გააბოლა და ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ ქუჩაში კი არა, მის ზევით იყურებოდა — მას უბრალოდ ის სჭირდებოდა, რომ საითკენღაც ეცქირნა.

— მე მიჭირს ახლა შენთან ლაპარაკი... შენ მე გოგონას სიკვდილში დამნაშავედ მიმიჩნევ... დიახ, მე დამნაშავე ვარ ამაში, სხვა რამეშიც, ყველაფერში, რაც ირგვლივ ხდება... მეც ვარ დამნაშავე.

დიდხანს დუმილის შემდეგ გუსტავი ნერვიულად მოსცილდა ფანჯარას, ინსტრუმენტს მიუჯდა, უცაბედად ორივე ხელი კისერზე მოიხვია, თავზე ხელი სათუთად მოისვა და ნელა დაუკრა რაღაც ძალიან-ძალიან შორეული.

მცხუნვარე მზით დამძიმებული გრძელი გზა იყო გასავლელი. და არსად არც ხე ჭაჭანებდა და არც ბუჩქნარი, რომ თუნდაც წამით შეფარებოდნენ ჩრდილს, არც ნაკადული, არც ტბორე, რათა რამდენიმე ყლუპით მაინც ვითომ მოეკლათ წყურვილი, გზაც კი არ ჩანდა — იყო მხოლოდ ქვიშა, ბორცვებიანი დამსკდარი მიწა, სივრცე და ხვატი, და მათ შორის ის. ფეხშიშველას უწევდა სიარული, ფეხსაცმელი მთლად შემოაცვთდა, ტანისამოსი შემოეფლითა, სხეული დაეხრუკა, ფეხები დაუსისხლიანდა. ახალ ჭრილობებზე ქვიშა მოიყარა, რომ სისხლიანი ნაკვალევით ეს გზა არ ამოეცნოთ. ეს წარმოუდგენელი ტანჯვა მხოლოდ მას ერგუნა, და ის ამ გზას მარტო თვითონ გაივლის, სულ ბოლომდე გაივლის, და მხოლოდ ამის შემდეგ დადგება შვების ღამე, რასაც მან უკვე შეალია ამდენი წელი, და რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო რწმუნდება თავის სისწორესა და დაუცხრომლობაში. მან ხომ ის უკვე რამდენჯერმე ნახა, შორიდან ნახა, მაშასადამე, კიდევ არაერთხელ და, შესაძლოა, უფრო ახლოდანაც ნახავს. შესაძლოა უცებ ხელი გაიწვდინოს და მასში სხვა ხელისგული შეიგრძნოს. ამას შესძლებს. მას ეს სჯერა და შესასვენებლად წამითაც კი არ ჩერდება. მისი რწმენა მისი ერთადერთი ტვირთია, და ის მას ატარებს ამაყად, ისე ამაყად, როგორი სიამაყითაც თვითონ ის მოევლინა ქვეყნიერებას, როგორი სიამაყითაც მან პირველად წარმოთქვა „მე“. შიმშილის გრძნობას ის ყოველთვის იყუჩებდა მხოლოდ დაღლილობით, და ის მაძღარი და ბედნიერი იყო იმით, რომ მას არ სჭირდებოდა თავისი თავის დატვირთვა დანით, ჩანგლით და თეფშით, ყბების ზედმეტი მოძრაობებით. მას ეზიზღებო-

და ის საკვები, რომელსაც იღებდა მისი ორგანიზმი, და ეს იყო საწინდარი მისი ჯანმრთელობისა, რომელიც ასე აუცილებელია ამ გზაზე. სხვები მას არ შემოჰყრიან, იქნებ, მით უფრო მოკლე ან სხვა, არამიწიერი მარშრუტი აირჩიეს. მაგრამ უცებ, როცა მივა, **ის** იქ იქნება უკვე არა ერთი, ის დააგვიანებს და მას ვერავინ ვერ გაუგებს, მხოლოდ ის, **სხვა** შეიბრალებს მას, როგორც წაგებულს, და **ისინი,** ზურგისკენ შემობრუნებულნი, წავლენ და **მათ** უკვე ვერავინ ვერასდროს ვერ დაეწევა. ფლობის, თავგამოდების, მასთან ერთად ყოფნის, მისთვის სამუდამოდ პირველ და უკანასკნელ არსებად ყოფნის სიხარბე მის ყველა ზეადამიანურ უნარს ხდიდნენ ერთ ზეადამიანურ ამტანობად, გამძლეობად. ოფლი იყო ტენი, რომლითაც შეიძლებოდა დაბანა, ქარის მიერ სისხლისგან დაცლილი ტუჩები მარილით დაპურდნენ, ხელები, თუმცა კი სიცოცხლის ნიშნებისგან დაცლილნი, სხეულის პარალელურად ეკიდნენ, ყოველთვის მზად იყვნენ თავის ნებისმიერი მტრისგან დასაცავად, მაგრამ ამ საჰარაში იყვნენ მხოლოდ ორნი — ორი მსაჯული — სიცარიელე და დროის არარსებობა. აქამდე ისინი მხოლოდ თავიანთ თავს ეკუთვნოდნენ, მაგრამ **გზაზე** შემდგარს მას მოუნდა მისთვისაც ეცოცხლა, **მისი** მონა და ძალა ყოფილიყო, **მასთან** ერთად ეტანჯა... და აი ჰორიზონტზე გამოჩნდა პატარა წერტილი, რომელიც ადგილზე სულ ცოტა ხანს დარჩება, მაგრამ თუ უფრო ჩქარა, კიდევ უფრო ჩქარა ივლიან, შეიძლება მის ზურგს უკან დაკიდებული მზე ჩაესვენოს, და ის მას, მის სახეს და ფიგურას სრული ზომით იხილავს. ეს ყველაფერი სულ ერთ წამს გასტანს, და ამისთვის ღირს ფეხის აჩქარება.

— ჯარისკაცს უჭირს ადამიანი იყოს... — გუსტავი შემოტრიალდა და ანდრეის შემოხედა, ხელები კი ისევ კლავიშებზე ედო. — მიხარია, რომ უკვე არ ტირიხარ... შუბერტის გენია ყოველთვის გვამშვიდებს. ხომ ასეა?.. რამდენი წლისა ხარ?

— . . .

— მე ოცდათხუთმეტისა ვარ, შენა?

— თორმეტისა.

— მამა რამდენისაა?

— ერთი კვირის წინათ ორმოცისა გახდა.

— ისიც მუსიკოსია?

— არა, არქიტექტორია.

— ფრონტზე უკვე დიდი ხანია?

— ივლისიდან.

— და შენ მთელი ამ ხნის მანძილზე მარტო...

— ჩემთან ადრე დეიდა კლავა მოდიოდა, საჭმელი მოჰქონდა, ზოგჯერ მირეცხავდა, ცოტ-ცოტა ხანს უკრავდა. ორი დღის წინათ კი მისი ოჯახი მთელ ეშელონთან ერთად აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა.

— დეიდა კლავა მუსიკოსია?

— დიახ... როცა დედა ცოცხალი იყო, ისინი ხშირად ერთად უკრავდნენ. მერე კი ისე მოხდა, რომ ის ჩვენთან სულ უფრო და უფრო იშვიათად მოდიოდა. დეიდა კლავას მამაჩემი არ უყვარდა და ცდილობდა ჩვენთან მაშინ მოსულიყო, როცა მამა სახლში არ იყო.

— ეს ვაშლი გამომართვი. — ცოტა ხანს დუმილის შემდეგ თქვა გუსტავმა, ჯიბიდან დიდი ყვითელი ვაშლი ამოიღო და ანდრეის გაუწოდა. — ძალიან მინდა, რომ შენ ის შეჭამო. ნუ გეშინია, ეს გერმანული არაა, რუსულია, შენია, რუსულია. მე ის შენ მოგიტანე...

— ანდრეი გაოგნდა, აზრზე არ იყო როგორ მოქცეულიყო, რა ექნა: ვაშლი გამოერთმია მტრისთვის თუ უარი ეთქვა. ერთი ხელი მეორეს აკავებდა, ეშინოდა, ვაითუ, რომელიმემ ვერ გასძლოს და ეს ძვენი მიიღოს. თუმცა, მას ახლა გაახსენდა, რომ მას უკვე მთელი დღე-ღამეა არაფერი უჭამია, მაგრამ, რისკზე წასვლა მაინც არ შეიძლებოდა — ისედაც უკვე ბევრი რამ უთხრა. და ვის? მტერს და მკვლელს. მაგრამ ფიქრის დრო არ ჰქონდა, უნდა ეპასუხა, და ანდრეიმ თავი ასწია, და იმ მტერსა და მკვლელს ხელი კი არ გაუწოდა, მზერა შეაგება.

მტრის, მკვლელის თვალები ჩვეულებრივი თვალები იყო, ისეთები, როგორნიც ხშირად უნახავს: ქუჩაში, სკოლაში, კონცერტზე. დიახ, ჩვეულებრივი თვალები იყო, მაგრამ მას ეს სულის მჩხვლეტელი უნიდურმა რომ არ ცმოდა, ვიკა რომ არ მომკვდარიყო, ომში სროლები რომ არ ყოფილიყო...

ანდრეიმ ხელი გაუწოდა.

აი ის, ჯარისკაცი, რაიხის გმირი, ცისქვეშეთის დამპყრობი, ვინც შიშს აღუძრავს ყველა სულიერს. აი ის, ცივილიზაციის კეთილშობილი მძღვნელი, სწორუპოვრად ძლიერი და ღირსეული არსება. დიახ, ბევრი დაიხოცა, ბევრი ვინმე და ბევრი რამ გაიძარცვა, ბევრი დაიჭრა და ჩამოიხრჩო, ამას ჰიტლერი და დრო მოითხოვდნენ, მას ვინ რას ეკითხებოდა, ის ფრონტმა დაიმორჩილა, დაიქვემდებარა. მაგრამ ის ცდილობდა თავისი თავის ერთგული ერთ რამეში მაინც ყოფილიყო — მიეცა ყველასთვის ყველაფერი, დაელევინებინა ძალლისთვის, რომელმაც პატრონი დაკარგა, მათარაში ჩარჩენილი წყალი, ნაძარცვი ავლა-დიდება დაერიგებინა თავისი ჯარისკაცებისთვის, — აჰა, ინებეთ, ინებეთო. ის თავს სიმაძღრეზე მაღლა აყენებდა, მას არ სჭირდებოდა სხვისი ყოფა, ისევე როგორც, სიტყვამ მოიტანა და, თავისიც. მას თავისი თავიც ჰყოფნიდა. თავისი თავი. მხოლოდ თავისი თავი. საკუთრების სილრმიდან ამოზრდილი სიკეთე. გუსტავი იჯდა ტყვე თავისუფალი მოზარდის პირისპირ და უმზერდა მას, ვაშლის მღრღნელს. ის ფიქრობდა თუ არა ახლა ყველაფერ ამაზე? ფიქრობდა თუ არა თავის თავზე? მას ეჩვენებოდა, რომ არა, რომ ამ მომენტში ის არ ცრუობს, მხოლოდ სხვისი შიმშილის ოდნავ-ოდნავ დაცხრომა ეწადა. მას ასე ეჩვენებოდა. მაგრამ ოთახში მიმოყრილი შოკოლადი... ამ შოკოლადის ნამტვრევებმა ის უფრო მტკივნეულად დაჭრა, ვიდრე პირველმა აფეთქებულმა ნალმმა, უფრო მტკივნეულმა, ვიდრე საველე ჰოსპიტალში ყოფნის მთელმა ოვემ. მისგან, მისი გულისგან მიუღებლობა?!. მას ასე ეჩვენებოდა.

— მეც მინდა, რომ ომი ჩქარა დამთავრდეს. მაგრამ გვიწევს ამის, ისევე როგორც სხვა ყველაფრის, დალოდება.

— . . .

— და შენ ისევ დაინახავ მამაშენს... ომი ხომ მაინც დამთავრდება.

— დამთავრდება.

— მამაჩემი კი უკვე ამ რვა წლის წინათ, როცა ორმოცდაათი წლისა გახდა, იმის შემდეგ მეოთხე დღეს გარდაიცვალა. ის ბოლო ნახევარი წლის შემდეგ თითქმის არ დგებოდა, მე, დედაჩემსა და ჩემს ძმას როგორღაც გვწამდა, რომ ის გამოჯანმრთელდებოდა. მაგრამ ექიმები სწორი აღმოჩნდნენ... როგორ ხშირად მართლდება მათი ვარაუდები...

— . . .

— ვილჰელმ ფონ ლაუტერბახ.

— . . .

— ვილჰელმ ფონ ლაუტერბახ... ჩვენ ბერლინის ახლოს ვცხოვრობდით, ქალაქამდე ოც წუთში ვაღწევდით. მამაჩემი პროფესიონალი მუსიკოსი არ იყო, მაგრამ მან მთელი თავისი სიცოცხლე მუსიკას გადაადგა. ის დღე-ღამეში ზოგჯერ ხუთ, ზოგჯერ კი ექვს საათსაც უკრავდა. იქნებ, მე და ჩემი ძმა იმიტომ გავდიოდით შინიდან იშვიათად, რომ ვისმენდით პრაქტიკულად ყველაფერს, რასაც მამა უკრავდა. გვავიწყდებოდა გაკვეთილები, საშუალოზე ვსწავლობდით, მაგრამ მშობლები ამის გამო არ გვლანძღავდნენ, მათ ჩვენ სხვაგვარად აღგვზარდეს იმით, რომ ჩვენ თავიანთი მუსიკა გვიბოძეს...

— . . .

— ეს გაგრძელებაა. შუბერტის ექსპრომტ № 2 მი ბემოლ მაჟორი. დაე, მან შენ მეტი შვება მოგგვაროს.

ის ჩქარობს, ბორძიკობს, ბორცვებზე გადარბის, ხელებს ჰორიზონტისკენ იწვდის, მზეს ეწევა, ოღონდ კი მიასწროს, დაიჭიროს, მოიხელთოს ის მზერა, რომელიც ყოველ წამს შეიძლება გაკრთეს. შუალედებიანი ნაბიჯები, საზღვარი შესუნთქვასა და ნაბიჯს შორის, უწონადობის შეგრძნება, იმპულსი ახალი ნაბიჯისკენ — ამოსუნთქვა, წყვეტები, მთელი ძალის გამცლელი მრუდი, და თუ ის ჩაკეტილია, შეკრულია... სისხლძარღვებში თხევადი მარილი, ის ჭამს, ანადგურებს სისხლძარღვების კედლებს, ყოველ ბირთვს, უჯრედს, ნერვს, საპარსის ბლაგვი პირით იჭრება რბილ ხორცში... კრუნჩხვა... ისევ იჭრება, უკან არ იხევს, მთელ სხეულს სერავს, მზრუნველად ედება ყოველ უჯრედს, ყოველ მყესს, ყოველ კუნთს. შემადგენელ ნაწილებად დაშლა. ტკივილი კეფას უმიზნებს და არ აცდენს. ტვინს ხრუკავს, ტვინსა და სხეულს შორის გრძელ პალოებს არჭობს, ტვინი ტკივილით იმუხტება, ტკივილის ორი ნახევარსფერო... ის დუღს შავ კარდალაში, ზოგჯერ კბილებიდან უკანასკნელ წყურვილს აშხეფებს. ის ჩქარობს, ბორძიკობს, ჩქარობს. მას ცოტა დრო აქვს, და თუ ეს უკანასკნელი შანსია, უკანასკნელი შესაძლებლობაა, მისი გამოუყენებლობა ჩემი თავის ღალატია, მისი ღალატია, მისთვის კი ვარ მას პლუს მე. სიარული ჭირს, მძიმეა ყოველი ნაბიჯი, მძიმეა მხოლოდ სიარულს დაქვემდებარებული მაჯის ყოველი ფეთქვა, მაგრამ მიახლოების ყოველი სანტიმეტრი მონახვის იმედს გჩუქნის, დიახ, რასაკვირველია, შემდეგ კი მონახულის ისევ დაკარგვა იგულისხმება, რასაკვირველია. და თუ ეს ასე არაა, მაშინ ის ასე დიდხანს რისთვის დაბორიალებდა...

როცა გუსტავი გონს მოვიდა, ზურგით პიანინოსკენ იჯდა. არც კი უფიქრია, რომ ასე თითქმის მთელ საათს იჯდა და არ უკრავდა, შუ-

ბერტი მეხსიერებით, წარმოსახვით მოისმინა ბოლომდე. წინ გაშვერილმა მარჯვენა ხელმა მკვეთრად დაუსვა წერტილი უწონადობას, ყვავით დაეშვა და სადღაც თვით მასში ჩაიკარგა.

— . . .

— მაპატიე, ცოტა წავთვლიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე უბრალოდ სიზმარი ვნახე. დიახ, დიახ, ყველაზე ნამდვილი სიზმარი. ბევრი ჯარისკაცი თვალებგახელილი ხედავს სიზმარს, მაშინაც კი ხედავენ, როცა არ ძინავთ. ომი სხვაგვარად გაგონებას და ნახვას ასწავლის მას. კარგი სიზმარი ვნახე. ძალიან კარგი. შესაძლოა, მხოლოდ დიდი დროის შემდეგ შევძლო მისი ჯეროვნად დაფასება. თუმცა, არ ვიცი, იქნებ, ადრეც, სულაც გაცილებით უფრო ადრეც შევძლო... ვაშლი არ მოგეწონა?

— კი, გმადლობთ.

— აგერ პაკეტით ცოტა ძეხვი მოგიტანე, შეჭამ. მე ხომ ვიცი, რომ შენ არაფერი გიჭამია... არა-არა-არა. მე შენ არაფერს არ გაძლევ. უბრალოდ აიღე და ჭამე.

— თქვენ შუბერტი ბოლომდე არ დაგიკრავთ.

— შენ დამშვიდდი და თქვენობით მომმართავ... კი, ახლავე ჩავთავებ. უბრალოდ აიღე და ჭამე. პიანისტები ამ ნაწარმოებს ძალზე იშვიათად უკრავენ. მე ის მხოლოდ მამაჩემის შესრულებით მოვისმინე.

ანდრეი ესპრომტ № 2 მი ბემოლ მაჟორს უსმენდა და ძეხვსა და შიშს ერთმანეთის შენაცვლებით ღეჭავდა. მას ეჩვენებოდა, რომ ვიღაც თავისიანი უთვალთვალებდა და ხედავდა, თუ როგორი სიამით მიირთმევს ის მტრის მიერ მორთმეულ ხორცს და მას ამას არასოდეს არ აპატიებს, ყველას უამბობს, სკოლაშიც, ქუჩაშიც მოჰყვება, მოუყვება მამას, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება მოკვდეს ეს რომაა, ამისთანა არსების ხელით.

ანდრეი მოტრიალდა.

— გმადლობთ, გავძეხი, მეტის ჭამა არ შემიძლია.

— ნუ გეშინია, არც ეს ძეხვია გერმანული, პოლონურია.

— მე ნამდვილად გავძეხი.

— შენ სახლში სადილს ვინ გიკეთებდა?

— მე თვითონ ვიკეთებდი, ზოგჯერ მამა ან დეიდა კლავა მეხმარებოდა.

— . . .

— . . .

— ჯერ კიდევ ომამდე, ჩემს სახლში, გერმანიაში, ჩემს ბევრ სიზმარს ვიწერდი. საუზმის შემდეგ, როცა მამაჩემი ინსტრუმენტს უჯდებოდა, ვიღებდი სქელ რვეულს, რომელსაც ჩემს ოთახში ბალიშს ქვეშ ვინახავდი, და მუსიკის ფონზე ვიხსენებდი ყველაფერ კარგს, რაც ღამე მესიზმრა. ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, მაშინ მე გაცილებით შენზე უმცროსი ვიყავი. ჩემი ძმა თავიდან დამცინოდა, შემდეგ კი თვითონვე ასე იქცეოდა. ის ჩემზე სამი წლით იყო უფროსი.

— ის ახლა სადაა?

— ჰელმუტი ორი წლის წინათ დაიღუპა პოლონეთში. ბრესლაუში ჩვენი ჯარების შესვლისთანავე დაიღუპა. პოლონეთში გერმანელები

ცოტანი დაიღუპნენ, მაგრამ მათ შორის ჩემი ძმაც იყო, დედა ამით დიდხანს იტანჯებოდა და ყოველთვის, როცა კი მე მხედავდა, — მაშინ ჯერ ისევ ბერლინში ვიყავი, — ქვითინებდა. მას ერთადერთი ახლობელი არსება მე დავრჩი. მე კი, როცა ჩემს უფროსებს [illegible] შევეწყვეტ და ფრონტზე გამომგზავნეს, სწორედ მაშინ დაიწყო [illegible] ომი. ჩვენი ბოლო შეხვედრისას მან მითხრა, ვგრძნობ, რომ ჩვენ ერთმანეთს უკანასკნელად ვხედავთო. მაგრამ მე ეს არ მჯერა, არ მინდა დავიჯერო. მე არ შემიძლია ავადმყოფი დედაჩემი მარტოკა დავტოვო. მას გული სტკივა. მე თუ მომკლავენ, ის ამას ვერ გადაიტანს... როგორც ხედავ, მხოლოდ შენ არა ხარ ცუდ დღეში.

— მე...

— არა, ახლა არაფრის თქმა არაა საჭირო.

ანდრეიმ არ იცოდა, რისი თქმა უნდოდა, არ იცოდა, როგორ გამოეხატა სათქმელი. არადა, რა შუაშია, რა შუაშია აქ მისი სახლი, რა შუაშია ვიკა და მისი ბებია, რა შუაშია აქ ის, ან მამამისი? რა შუაშია???

— მოდი, სხვა რაზეზე ვილაპარაკოთ.

— . . .

— მოდი! — გუსტავი მას ისე სთხოვდა, თითქოს ერთდროულად თავისი თავისა და ანდრეას წინაშე დაჩოქილი დგასო.

— . . .

— შენ, ალბათ, გაკვირვებს ის, რომ მე ასე კარგად ვლაპარაკობ რუსულად. ვიცი, რომ ცოტა აქცენტი მაქვს, მაგრამ რუს ტყვეებსაც კი ეგონათ, რომ მე წარმომავლობით რუსეთიდანა ვარ. თორმეტ წელში მამაჩემმა მოახლედ რუსი ქალი აიყვანა. ჩემს მშობლებთან ის გერმანულად ლაპარაკობდა, მე და ჩემს ძმას კი რუსულის შესწავლის ნება დაგვრთეს. მე ეს პროცესი ისე მომწონდა, რომ ზოგჯერ მთელი დღის მანძილზე გერმანულად ერთ სიტყვასაც კი არ წარმოვთქვამდი. ელიზაბეტა ჩვენ ლექსებს გვიკითხავდა, ზღაპრებს გვიყვებოდა. საკმაოდ წიგნიერი და ნიჭიერი ქალი იყო. ჩვენთან ცხოვრების ერთი წლის შემდეგ გერმანულად თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა, თუმცა ზოგიერთი სიტყვის აზრი ჯერ არ გაეგებოდა. მან გერმანიაში ბევრი რუსული წიგნი ჩამოიტანა, და მე და ჩემი ძმა მათ გატაცებით ვკითხულობდით. ძალიან საინტერესო იყო გოეთეს, ლერმონტოვისა და ჟუკოვსკის ერთმანეთთან ერთდროულად ორ ენაზე შედარება. ჩვიდმეტ წელში კი, როცა რუსეთში რევოლუცია დაიწყო, ელიზავეტა პეტერბურგში გაემგზავრა, და ჩვენ ის უკვე არასოდეს არ გვინახავს. მთელი ამ წლების მანძილზე როგორ მინდოდა მას შევხვედროდი და მეთქვა: ჩემო ძვირფასო ელიზავეტა, „ნუ დაძრახავთ ამ სიყვარულს, ის კურთხეული და ნაყოფიერია...“ — აი ვინ გამიგებდა მე. იმ დროს გერმანიაში ბევრი რუსი ემიგრანტი იყო, და მამაჩემმა ისევ რუსი მოახლე აიყვანა. *ოცდასამი წლის შემოდგომაზე ჩვენი ოჯახი იტალიაში ისვენებდა, მა*მაჩემი იქ მკურნალობდა, და ჩვენ ერთი რუსი მხატვრის ოჯახი გავიცანით. მისი გვარი ახლა არ მახსოვს, მაგრამ ჩვენთან სტუმრად მყოფ ბევრ სტუმარს მე მისი შვილი ვეგონე, ისე თავისუფლად ვლაპარაკობდი რუსულად...

— თქვენს მოახლეს რა ერქვა?

— ეკატერინა მატვეევა. ის ისევ ჩვენთან ცხოვრობს. დეკემბერში ორმოცდაათისა გახდება... შენ გერმანელი მწერლებისა რა წაგიკითხავს?

— მხოლოდ „პატარა ცახესი“.

— ჩინებულია, ჩინებული... ხა-ხა-ხა-ხა... ჩინებულია, ეს ... აქამდე უმოძრაო ლოყები ოდნავ გავარდისფერდა და ტუჩები აუტოკდა, — დიდი ხანია ასე ხალისიანად არ მიცინია.

— სასაცილო აქ რაა? — განაწყენებით ჰკითხა ანდრეიმ, რომელიც თავის თავს გაუბრაზდა იმის აღიარების გამო, რომ გერმანელი მწერლებისა სხვა არაფერი წაუკითხავს.

— არა-არა, სასაცილო არაფერია, არაფერი, პირიქით, ჩინებული რამაა, რომ შენ ჰოფმენით დაიწყე.

გუსტავს მოეჩვენა, რომ ბინაში ცხელოდა. მან კიტელი გაიხადა, მაგიდაზე დააგდო და ოთახის შუაში ჩაცუცქდა. სიცილმა მისი სხეულის ტემპერატურა გაზარდა, მაჯისცემა გაუხშირა, მეხსიერება დაუცხრო. მაგრამ ვითომ დიდი ხნით? ვნახოთ, როგორც გამოვა.

ოფიცერი პიანინოსა და საწოლს შუა მდგარი იღიმებოდა. ჩვეულებრივმა თვალებმა ახლა ის, უკიტელო, როცა მისი შავი გალიფე და ჩექმები არ ჩანდა, ელექტროშუქის გარეშე, სულის მღაფავი სანთლის შუქზე ჩვეულებრივ ადამიანად აქცია.

— შენ ჩემი ძალიან გეშინია?

— უკვე, ნაკლებად მეშინია.

ასეთი საშინელებიდან უნდა გაიმიჯნო... მერწმუნე, რომ...

— არავინ არაფერი არ იცის, შენ მომავალი უნდა გექნეს. შენ

— არაფერია, ის დროც მოვა, როცა ჩვენ მეგობრები გავხდებით.

— ეს შეუძლებელია, იმიტომ...

— მოდი, მე შენ გერმანიაში წაგიყვან. მოიცა, ნუ გამაწყვეტინებ. შენ იქ ისე იცხოვრებ... როგორც მოგეწონება, ისე იცხოვრებ... შენ ყველაფერი გექნება. მე დიდი სახლი მაქვს, ბიბლიოთეკა, შენ შეგეძლება იკითხო, ითამაშო, მოისმინო ყველაფერი, რაც კი მოგესურვება. დედაჩემი შენ შვილივით მიგიღებს. კატერინას რუსულად ელაპარაკები.

— არა-არა...

— შემდეგ ომი დამთავრდება, მე ფრონტიდან დავბრუნდები, შინ დავბრუნდები, შენ წამოიზრდები.

— არა, — ანდრეის ხმა თრთოდა.

— დრო ძალიან სწრაფად გარბის, შენ იქაურობას მიეჩვევი, ჩემი სახლი შენთვის მშობლიური სახლი გახდება, მამაჩემთან ერთად მიუჯდები ინსტრუმენტს. შენ არაფერზე არ გექნება საზრუნავი. შენ უნდა დაფიქრდე და დამეთანხმო, „კი“ უნდა თქვა, მე ხომ არ შემიძლია ძალდატანებით, იძულებით წაგიყვანო“. დაფიქრდი.

— . . .

— არაფრის შემპირებელი დუმილი გუსტავს იმედით მსჭვალავდა.

— შენ არ უნდა დაიკარგო. მე შენს დაკარგვას არ დავუშვებ. მესმის, რომ შენ ფიქრობ დედაზე, მამაზე, მაგრამ ომში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— მამა დაბრუნდება.

არავინ არაფერი არ იცის. შენ მომავალი უნდა გექნეს, შენ ასეთი საშინელებიდან უნდა გაიმიჯნო... მერწმუნე, რომ...

— მამა დაბრუნდება.

— მე არ შემიძლია შენ ის შეგიცვალო, მაგრამ...

— დაბრუნდება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— არ იჩქარო... არ იჩქარო... მე შენი მტერი არა ვარ...

— ქუჩაში პანიკურმა შეძახილებმა, ყვირილმა გუსტავი ფეხზე წამოაგდო. გაძრობილმა კიტელმა ისევ მონახა თავისი სხეული, „მე დავბრუნდები", — გაჯახუნდა კარი.

— რა უნდა მას ჩემგან, რაში მჭირდება მე მისი ზრუნვა. დედა-ჩემი აქაა, მამა მყავს, აქაა ჩემი სახლი. გუსტავი მტერი და მკვლელია. ნუ დაბრუნდება თავის სახლში... მე არსადაც არ გავემგზავრები, მე ვერ მიყიდიან, მე მოლალატე არა ვარ. გერმანიაში წავიდე?! გიჟია... ეს რომ მამაჩემმა გაიგოს... გუსტავის მუსიკა მე არაფერში მჭირდე-ბა, გაუშვი, მოკლან, რათა მან სხვები არ დახოცოს. დასანანია, რომ მამაჩემი შორსაა... რა მოვიფიქრო ამ გერმანელის მოსაცილებლად, რა გავაკეთო?.. — ანდრეი ეძებდა საშველს, და ისე იბლანდებოდა და იხლართებოდა მისთვის უცნობ სიტუაციაში, როგორც ოდესღაც უც-ნობი ქალაქის შესახვევებში თავგზაარეული დაბორიალებდა მანამ, სა-ნამ მამამისმა არ მოძებნა, ახლა კი არავის დახმარებას არ ელოდებოდა.

დილაბინდის ბურუსი ცუდი რეცხვით ჩაყვითლებული დაჭმუჭნუ-ლი სახვევის სიბნელიდან ღივოდა. ის იქ, ქვევით, თავისიანებს შორის იყო და მსხვერპლს ეძებდა. ცრემლების ფენის იქით მხოლოდ სახლების კედლებს შორის მორიალე მჭრქალი, ბუნდოვანი ლაქები ილანდებოდა. ფანჯრის მინას მიკრული ანდრეი დიდხანს უთვალთვალებდა მას. გუს-ტავი თავდჯერებულად ბრუნდებოდა, მაგრამ მან თავის ზურგს უკან კარის მიკეტვა ვერ მოასწრო — ის მოპირდაპირე ბინიდან ორმა უეცა-რმა გასროლამ შეაჩერა. მისი სახე ავტომატის კონდახმა დამანჭა, მა-რცხენა ფეხი წინისკენ ფრთხილად წასწია, — თავის სიცოცხლეში უკა-ნასკნელი ნაბიჯი გადადგა.

ის მიწაზე მის ფეხებთან წევს. ცხელი ქარი ქვიშას ჰაერში ატრი-ალებს, და თვალების გახელა სულ უფრო და უფრო უძნელდება. რო-გორც წყალში ჩასაძირად განწირულ ხომალდს ტოვებენ ადამიანები, ისე ეცლებოდა მის სხეულს ძალები. მიიღებს კი ის იმ ძალებს, სჭირ-დება კი მას ისინი? ამის შეტყობას ის უკვე ვერ მოასწრებს. ცრემლე-ბის მარილი, რომელიც ელვის სისწრაფით ხმება, სახეს კვერავს და ანიღბებს. და ეს ნიღაბი შეშდება... იმ სიცოცხლიდან კი მონეტების ჩხა-რუნი აღწევს — აღიარებები და ჯილდოები ახლოვდება.

დაღესტნური პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვიმოგზაურე დაღესტანში. თითქმის მთლიანად მაქვს შემოვლილი მისი აულები და ქალაქები. იქვე გადავწყვიტე, დაღესტნელი პოეტების ლექსები მეთარგმნა, რაშიც დახმარება გამიწიეს ჩემმა იქაურმა მეგობრებმა. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ უფროსი თაობის გამოჩენილ შემოქმედთა პოეტურ ნიმუშებს. ციკლი იხსნება პოეტ-აშულის სულეიმან სტალსკის ლექსით. ცნობილია, რომ მ. გორკიმ მას „მეოცე საუკუნის ჰომეროსი" უწოდა. აქვეა გამზათ წადასას, მისი შვილის რასულ გამზათოვის და სხვა ცნობილ პოეტთა ლექსები.

მთარგმნელი.

სულეიმან სტალსკი

ძველი მტერი მეგობარი არ არის

ძველ მტერზე არ თქვა, არის
ძმაკაცი,
მასთან მეგობრობა არ შეიძლება.
მოვა დრო — ნახე, რა დღე
დაგაწიოს,
მასთან სიტკბოება არ შეიძლება.

თუმცა ყურს არ მიგდებ
არასდიდებით,
მოსისხარს ყონაღად ნუ ეკიდები,
გახსოვდეს, იცოდე, საზღვარს
სცილდები,
ვერაგი ქომაგად არ შეიძლება.

მის კვალს ნუ დაჰყვები და შენთვის
იყავ,
ხაფანგს დაგახვედრებს აქაც და
იქაც,
არა, არ მიენდო დაშაქრულ
სიტყვას,
შიგ იყოს სიკეთე, არ შეიძლება.

მტერს ძველ იარაზე დაჰკარი,
გირჩევ,
რომ დარტყმა იგემოს პასუხად
ისევ:
სადაც სამასი წლის გუბეა მქისე,
იქ წყლის სიანკარე არ შეიძლება.

თუ დაგემუქროს, მიუხურე კარი,
მის მუხანათობას უქციე მხარი,
ხეირის მაგიერ დაგყვება შარი,
მასთან სხვანაირად არ შეიძლება.

და მე, სულეიმანს, წიგნი არ მესმის,
თუმცა ჭეშმარიტების ვიპოვე თესლი:
არ იბადება ჰაიჰარად ლექსი,
უმაქნისი ლექსი არ შეიძლება.

ᲒᲐᲛᲖᲐᲗ ᲬᲐᲓᲐᲡᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

რას ჩამაცივდით, რატომ ხართ
ნეტავ
უცნაურ ამბის მაუწყებელი,
თითქოსდა, ხალხნო, მოვხუცდი
მეტად,
არ დაიჯეროთ, რომ ვარ ბებერი.

სტუმართმრავლობას დავხვდი
ლაზათით
და სადღეგრძელოც არ არის
გრძელი:

ხანში შესულა ჩემი გამბანი.
სამოცდაათი გაბრდავლო წელი.

რამდენმა წყალმა იარა არმად,
გამისხლტა ბევრი დღე და საათი,
ორმოცი წელი წაიღო ქარმა
და მე მგონია, ვარ ოცდაათის.

და თუკი ვინმე მოხუცს მიწოდებს,
ვიტყვი, რომ საქმე შემოლევია,
ვინც ამას ფიქრობს, უნდა იცოდეს,
რომ ცუდუბრალოდ სტუმრად
მწვევია.

ᲕᲘᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲗ ᲬᲘᲒᲜᲗᲐᲜ

ყველა შენი მეგობარი როდია,
შენს სუფრაზე ვინც დაგიწყებს
შექებას,
თუ ფული გაქვს, ჯარა-ჯარა
მოდიან,
თუ ქესატობ, ყველა შემოგეცლება.

შვილო ჩემო, დაიმოყვრე წიგნები,
მათი სიბრძნე შეუცნობელს
გაგაცნობს,
მდიდარი თუ უქონელი იქნები,
არ დაგტოვებს წიგნი მაინც
არასდროს.

წინამძღვარი მასზე კარგი სად არი,
შეიყვარე მისი ყველა ფურცელი,
წიგნი არის ცოდნის დიდი ლამპარი,
მეგობარი ულალატო, უცვლელი.

ეს აბჯარი სასიკეთოდ გეძლევა,
ის დაგიცავს, გაჭირვების კვესია,
უწიგნურ კაცს ქვა ალმართში ეწევა,
სინანულით ბევრჯერ დაუკვნესია.

იყავ ცოდნის განუყრელი ყონაღი,
არ ჩაქრება მისი კერა ქებული,
მის ბალნარში ხეხილები მონახე
და დაკრიფე ხილი დამწიფებული.

ქვეყანაზე წიგნის სხივით იარე,
ბრძნული სიტყვით გზას გაგიხსნის
მგოსანი,
პოეზიის მადლი გაიზიარე,
მოგეცხება გულზე მალამოსავით.

ᲠᲐᲡᲣᲚ ᲒᲐᲛᲖᲐᲗᲝᲕᲘ

ᲬᲔᲠᲝᲔᲑᲘ

შინმოუსვლელნი, მტერს რომ
კაფავდნენ
თავგანწირულად და ღირსეულად,
ასე მგონია, გასცდნენ საფლავებს,
თეთრ წეროებად გადაქცეულან.

და ლაჟვარდებში უსაზღვრო ზეცის
ფრენენ გუნდ-გუნდად,
წალიკ-წალიკად,
ფრენენ იმგვარი მხედრული წესით,
რომ მათი მწყობრი ღრუბლებს
წალეკავს.

დაუსაბამო სივრცენი ლახეს,
ვილაცას თითქოს უხმობენ ფრენად
და მესმის, რადგან წეროთა ძახილს
ავარიული ჩამოჰგავს ენა.

ყველა იმ შორეთს გადავარდნილი
ჩემი ძმობილი გახლავთ ნატრული,
მათ გუნდში არის ერთი ადგილი,
ეგებ საჩემოდ გადანახული.

დადგება დღე და წეროს წერტილი
მე თვით გავხდები, მათ[illegible]
რომ მეც მოვიხმო აქ [illegible]
მეგობრები და ამხანაგები.

შვილო, ამქვეყნად შენი გზა ნახე

მამა ალიონს მუდამ ასწრებდა,
დილის ბინდბუნდზე წამოდგებოდა,
შორ მწვერვალისკენ რწმენით
გასწევდა
და თავის ბილიკს დაადგებოდა.

იმ ვიწროებშიც ახლდა ნათელი,
როგორც მას სურდა, ვიდოდა
გზნებით
და გვერდს უვლიდა შარას
გათელილს,
ეჯავრებოდა იოლი გზები.

ერთხელ როგორლაც შევყევი
კამათს,
ეშმაკურ ღიმით გავუკარ ასე:
„უფრო ადვილი არ არის, მამავ,
რომ გაიარო გატკეპნილ გზაზე?“

მითხრა: „ჩემი გზა არის ცნობილი,
რა ვუყოთ, თუა ძნელი, ხვეული,
იქ, ჩემი ლექსის კვალს მინდობილი,
მასზე სიარულს ვარ მიჩვეული.

მერე ბევრმა დრომ იცვალა მხარი
და ბევრიც იქცა ჟამთასვლის
ნავლად,
მამამ დატოვა ის გზა და კვალი,
მოვიწადინე მეც მასზე გავლა.

ბილიკო მთისავ, როგორ შველოდი
ჩანგის ჟღერაში ნეტავ მამაჩემს?
მივდევდი ბილიკს, ვერკი
ვმღეროდი,
არ ჰქონდა ბოლო იმ გზას
დანაჩვევს.

მაგრამ ბოლოს კი, მადლობა
გამჩენს,
მე გავიგონე ნაცნობი ხმები:
„შვილო, ამქვეყნად შენი გზა ნახე,
ნუ ივლი სხვისგან გათელილ
გზებით“.

დ ა ღ ე ს ტ ა ნ ს

ო, დაღესტანო, შენი შეძლებით
რაც კი მხვდა მადლი, შენვე
გებაროს,
მინდა, რომ ჩემი ორდენ-მედლები
შენს მწვერვალებზე ავაელვარო.

მიიღე ჩემგან, რაც მაბადია,
ლექსი, ნამღერი გულის კარნახით,
ოღონდ მაჩუქე ტყეთა ნაბადი
და თოვლიანი მთების ფაფახი.

ᲐᲒᲣᲗᲐᲚᲘᲒ ᲒᲐᲤᲣᲠᲝᲕᲘ

ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ

ცად აწვდილო ჩემო მხარევ,
რით ამაყობ, რით?
ეგებ იმით, რომ ქვეყანას
გადმოჰყურებ მთით?
ეგებ იმით, რომ მიწაში
განძს ინახავ ღრმად,
ან ყვავილებს აბრიალებ
ნაირნაირფრად?
— არც ფერები, არც განძები,
მე ვამაყობ მით,
რომ გამრჯეა ჩემი ხალხი,
დალოცვილი ღვთით.
მე ვაძოვებ ცხვრების ფარას,
დავტრიალებ ბატკნებს,
ხეობებში, მთის ძირებში
ცინცხალ წყაროს ვავლებ,
არც ქვევ-ქვევით ქვას ვანვავებ,
ვემუქრები არვის,
ხალხს ვუგზავნი ცივ-ცივ შხეფებს,
როგორც მძივებს ქარვის.
ჩვენს მჩქეფარე მდინარეებს
რით ვაცოცხლებ, რით?
ჩვენი მწვერვალების თოვლით,
დაუშრეტი წყლით.
უფრო დიდი სიამაყე
არის ჩემთვის ის,
რომ გავზარდე ვაჟკაცები —
არწივები მთის.

ᲛᲐᲒᲝᲛᲔᲓ ᲒᲐᲛᲘᲓᲝᲕᲘ

●

განთიადისას გავდივარ გზაზე
და თოვლიანი მელიან მთები,
როგორც კოკურას იმედით სავსეს,
ისე ვატარებ დილის მზეს მხრებით.

ყოველგან დაჰქრის ფიქრი
ჯომარდი,
მინდოდა მუდამ მთელი ქვეყანა —
ჩვენი პლანეტა, როგორც ხომალდი
ქარიშხლებიდან გამომეყვანა.

მისთვის აღვდგები, თუნდაც
ბრძოლითაც
და დაივიწყებ შიშსა და იჭვებს,
უჩემოდ იქნებ ასცდეს ორბიტას
და ნაცრად იქცეს, და ფერფლად
იქცეს.

განუზომელი რწმენა მეძლევა,
დავემორჩილო სხვის მიზანს,
არ მსურს,
ჩვენს დედამიწას რაც შეემთხვევა,
ასე მგონია, მე ვაგებ პასუხს.

სამსჯავრო ყველას მოგვკითხავს
მკაცრად,
არც გადაცდენა გვეპატიება,
თუ დედამიწა ორბიტას ასცდა,
ამაო არის გზათა ძიება.

სადღაც ზეცამდე ადის ხანძარი
და განსაცდელის რეკენ ზარები,
ჩვენც ვართ მხილველი ცეცხლში
დამწვარი
სოფელ-ქალაქის, სისხლის
ღვარების...

ეს ფიქრი მახლავს შინ და გარეთაც
და ვარ აღვსილი ურყევი ნებით —
მსურს, მოსვენება ჰქონდეს
პლანეტას,
მის ბედს ვატარებ საკუთარ
მხრებით.

მუტალიბ მიტაროვი

მეგობრობა

ერთხელაც ბრძენ კაცს მიმართეს
კითხვით:
— ქვეყნად ძვირფასი რაა საგანი?
თქვა აღსაკალმა მცირე ხნის
ფიქრით:
— მეგობრობაა ძვირფასთაგანი.

მაშინ მას უთხრეს: — რვალზე
უმტკიცესს
თუკილა გვეტყვი, შენს პირს
შაქარი!
და ბრძენი ყველას ასე უმტკიცებს:
— მეგობრობაა უფრო მაგარი!

— თუკი გრიგალმა წამოუარა
მუხებსაც მოთხრის შმაგი ქარიანი,
გრიგალზე მძლავრი რამე თუ არი?
— მეგობრობაა უფრო ძლიერი!

— მოხუცო, თაფლი, მისგან სიამე?
მზეებრ მჭვირვალე, ნუგბარი,
ლბილი...
თაფლზე უტკბესი თუ არი რამე?
— მეგობრობაა ყველაზე ტკბილი.

შამილ კაზიევი

●

ნუ გგონივარ ღარიბი,
შვილო, არ გეხუმრები,
ჩემს სიმდიდრეს უწონელს
ვერ გაზიდავ ურმებით.
აი ჩემი ქონება:
ცინცხალ წყაროს ვერცხლები,
მოოქრული მთა-ველი,
ვერცერთს ვერ გავეცლები.
კლდეთა სალი კედლები,
ცისარტყელის საყურე,
უსაზღვრო ცის ფირუზი,
ყოველდღე რომ გავყურებ.

ბავშვობიდან ნაჩვევი
ვარსკვლავებთან თამაში,
მთვარის სხივთა ალერსი
ღამით ჩემს ფანჯარაში.
შვილო ჩემო, გახსოვდეს,
რა სიმდიდრე მქონია,
განძეული ამგვარი
არვის აუწონია.
აღარა თქვა, მამა მყავს
უქონელი, ღარიბი,
შენც ეგ მხრები გაშალე,
შეხსენ განძის კარები.

გაზიმ-ბეგ გაგანდოვი

●

თუ ვინმეს მწარე სიტყვას ვახლიდი
და ჩემგან რამე წყენა მისდევდა,
მამა მაგდებდა უმალ სახლიდან
და დამნაშავეს ყურებს მიწევდა.

და ოღონდ ვინმეს ჩემგან რგებოდა
საქმე კეთილი, საქმე ქებული,
ყოველთვის დედა კართან
მხვდებოდა,
გახარებული, გაღიმებული.

ერთხელ როგორლაც ველარ
ვივარგე,
ჩამქრალ კერისკენ მივეშურები...
მამა არ დამხვდა, მე კი ვინატრე,
რომ აეწია ჩემთვის ყურები.

ანვარ აჯიევი

●

მე პაპაჩემი მეტყოდა ასჯერ:
ნაუცბათევი არარა ვარგა,
ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერ,
რათა სიმართლე შეიგრძნო კარგად.

რომ ერთადერთი შემეცნო კვალი,
ბედმა ასი გზა გადამატარა,
მე ასი წყაროს გავსინჯე წყალი
და ერთი იყო მხოლოდ ანკარა.

ხილის ბაღნარში ასი ხე მედგა,
ერთი გამოდგა ნაყოფიერი,
მე ასი გულის ვისმენდი ფეთქვას,
რომ ერთი ფეთქვა მეგრძნო
ძლიერი.

რომ მეკუთვნოდა მადლობა ბედად,
სახლში დავბრუნდი გამხნევებული,
მაგრამ კარის წინ არ დამხვდა დედა,
ტკბილი ღიმილით დამშვენებული.

ᲔᲠᲠᲝᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უღელტეხილზე ასჯერ ავედი,
რომ მზის ამოსვლა მეხილა
ერთხელ,
ასჯერ გავკვეესე ტროფობის აბედი,
მისი ანთება ერთხელღა შევძელ.

ლამაზ თვალებში ას მთვარეს
ვეძვრეტდი,
რათა მეპოვა ერთი მნათობი
და მეგობარი შემომრჩა ერთი,
თუმცა კი მყავდა ასი ნაცნობი.

მე ას მხარეში მომიხდა გავლა
და სიყვარულზე სიმღერებს ვწერდი
და ასი ენის რომც შევძლო სწავლა,
მშობლიურია მხოლოდღა ერთი.

აგდულმაჟიდ ხაჩალოვი

მადლობა

მადლობა იმას, წყარო ანკარა
ვინც მთების ძირას ააწანწკარა
და დასიცხულის საჩრდილობელი
უდაბნოეთში ალვა ახარა!

ვინც უპოვართა არის მშველელი,
მათთვის ანთია, როგორც სანთელი,
ვინც შეიძულა ფარისეველი,
ზურგს მოფარებით ორმოს
გამთხრელი!

მადლობა, ვისაც ამ ჩვენს აულში
მოყვასისათვის კარი აქვს ღია,
ვინც მეგობარზე არ თქვა აუგი,
ყველგან მართალი ამბავი მიაქვს!

ვინც არ აკარებს სტუმარს ცივ
ნიავს,
ხვდება გულღიად, ახლობლის
დარად,
ვინც მის ბედაურს დაუყრის შვრიას
და თავის გარჯას ჩააგდებს არად!

მადლობა იმას, ვისი სახლ-კარიც
არ გამოილევს ნაღვერდლის კიაფს,
ვისაც ხალხისთვის, როგორც
ლამპარი,
ბედნიერების ნათელი მიაქვს!

ბაგრატ შინკუბა

გაპობილი ქვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

●

როგორც გადამწიფებულმა ალუჩამ იცის ერთბაშად ძირს დაშვება, ისე ერთბაშად და უცბად შემეშვა ციება, მისი გამტანჯავი შეტევები, ყოველ წელიწადს რომ მიმეორდებოდა. დღითი-დღე ვმაგრდებოდი, ღონე მემატებოდა; სახსრებმა ძველებური მოქნილობა დაიბრუნეს, უსისხლო ლოყები ამივარდისფერდა, ისევ გამიწია გულმა თამაშისა და გართობისკენ. ერთ დროს მშვილდისარი და დამბაჩა შემაყვარა ბაბუამ, ახლა ცდილობდა, ცეკვებით მოვეხიბლე.

ცეკვის ხელოვნებას მადგუა მასწავლიდა. ერთხელ უკვე ვახსენე იგი. ვინც ერთხელ ნახავდა მადგუას, თავის სიცოცხლეში ვერ დაივიწყებდა. გრძელი, გაძვალტყავებული, საოცრად ვიწრო მხრებითა და თეძოებით; ცოცხალი მკვირცხლი თვალები დამბაჩის ლულაზე უფრო შავი ჰქონდა, ხმა კი ისეთი წვრილი და გამყინავი, იფიქრებდით, ნებისმიერ კედელში ატანს და გარეთ ლურსმანივით არის გამოჩრილიო. სხვათა შორის, მადგუა ჩვენში ძალიან ცნობილი მოცეკვავე და კომენდიანტი იყო. ჩემს გაწვრთნას რომ მოჰკიდა ხელი, მადგუამ თვითონ შემიკერა გამოქნილი ტყავისგან წუღები. ამ წუღებით საოცრად ადვილი იყო ცერებზე სიარული. სამუხლეებიც თვითონ შემიკერა. სხვანაირად გამიჭირდებოდა მუხლებზე დაცემა და ისევ სწრაფად წამოხტომა.

— აბა, როგორ არის საქმე? — იკითხავდა ბაბუა.

— ოო, ეს ბიჭი შორს წავა! — ამაყად ეუბნებოდა ჩემი მასწავლებელი.

ასე რომ ჩემს პირველ წარმატებას ცხენოსნობაში, ცეკვაში წარმატებაც დაემატა. სროლითაც გვარიანად მარჯვედ ვისროდი და ხანჯალსაც კარგად ვხმარობდი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ეტყობა, ეშმაკსაც არ ეძინა, კუთხიდან მითვალთვალებდა და ჩუმჩუმად ქირქილებდა...

მოულოდნელად მაჩიჩს წითელა შეეყარა. მესამე დღეს მეც გავხდი ავად.

— წითელა ბატონები ღვთის ნებითაა და კეთილი იყოს მისი მობრძანება. ჩვენ კი ღირსეულად უნდა დავხვდეთ. — თქვა ბაბუამ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1-2 2007 წ.

გამომაყარა თუ არა ტანზე, დედაჩემმა ზანდუკში დაიწყო ქექვა და ერთი პატარა შუაში გახვრეტილი ქვა იპოვნა. ნახვრეტში შავი თასმა იყო გაყრილი.

— ეს თილისმა, შვილო, ბებიაჩემისგან მაქვს გადმოცემული და ძალიან ვაფასებ. იმიტომ, რომ ეს წითელასთვის უებარი წამალია. დაიკიდე, არ მოიხსნა და მალე მომჯობინდები. — დამლოცა დედამ და თილისმა ჩამომკიდა. მკერდზე ცივი ქვა დამედო.

უებარმა წამალმა შვება არ მომიტანა; სიცხისგან ვიწვოდი და თვალსა და ხელს შუა ვდნებოდი.

შემოდიოდნენ მეზობლები, სასთუმალთან მისხდებოდნენ და თანაგრძნობით ოხრავდნენ.

რა თქმა უნდა, ჩემი ავადმყოფობის გამო ცხოვრება არ გაჩერებულა და არ ჩამკვდარა. მაგალითად სტუმრები ძველებურად ხშირად მოდიოდნენ და ღირსეული დახვედრა იყო საჭირო; უნდა გამასპინძლებოდნენ, გაერთოთ. წინა დღეებში ვილაცები მოვიდნენ... ამხარში ვიწექი და მათი მხიარული ხმები ჩემამდე აღწევდა: მესმოდა როგორ მღეროდნენ, ხარხარებდნენ, ერთი-ორჯერ გაისროლეს კიდეც.

მეორე დღეს, სტუმრები თავის გზას რომ გაუდგნენ, ბაბუა ჩემთან შემოვიდა.

— სახლში წითელა ბატონები გვყავს და ჩვენ სტუმრებს ცხვარი დავუკალით, — თითქოს თავს იმართლებსო, ისე ჩაილაპარაკა ბაბუამ და თვალები ზეციისკენ აღაპყრო. — მაგრამ ეს არც უვიცობისგან მომსვლია და არც გულგრილობისგან. სტუმრები შორიდან იყვნენ მოსულები და თავს ხომ ვერ შევირცხვენდი. ო, თეთრო ხანია, მოოქროვილ ცხენზე ამხედრებული ოქროს ზოსხანის დედავ, ნუ მოაკლებ ავადმყოფ ბავშვს შენს მოწყალებას!

ლოცვა რომ აღასრულა, ბაბუა ეზოში გავიდა. დიდხანს ვერ დაწყნარდა, საკუთარ თავს წყევლიდა და შეაჩვენებდა.

ჩამთვლიმა, ბურანში წავედი, მაგრამ ძილ-ღვიძლში მაინც მესმოდა სასთუმალთან დედაჩემისა და ჩვენი მეზობლის ლიზას ჩურჩული.

— წითელა უფრო ხშირად იმ ოჯახში მობრძანდება, სადაც უქმე დღეებს არ იცავენ — დამრიგებლურად ამბობდა მეზობელი.

— ჩვენი უქმე დღე შაბათია და გეფიცები, არასოდეს დამირღვევია იგი! — ეუბნებოდა დედა.

— ასეა, ასე, ჩვენ რომ დილიდან საღამომდე საქმეში ვართ გართული, მთელი დღე ვტრიალებთ, გვავიწყდება ხოლმე... არაფერი დაშავდება, რომ მოვინანიოთ და ღმერთს აღთქმა მივცეთ...

— არა, ლიზა, არა, არ შეიძლება უქმე დღე რომ დამვიწყებოდა. ჩვენს გვარში ათა-ბაბადან შაბათია უქმე, ძვალსა და რბილში მაქვს ეს გამჯდარი და სხვა ცოდვას უფრო ჩავიდენ, ვიდრე ამას ვულალატებდე. მგონი ასჯერ გიამბე, როგორ დაიღუპა ჩვენთან ერთი ქალიშვილი.

მეზობლის უსაფუძვლო ეჭვით აღელვებულმა დედამ თეთრი თავსაფარი მოიხსნა, მუხლებზე დაიდო და ხელისგულით დაიწყო გასწორება. ამით იმშვიდებდა თავს.

მე ვიცოდი, როგორ დაიღუპა ის ქალიშვილი, დედამ რომ ახსენა. ის შავმა ღრუბელმა წაიყვანა უქმეს დარღვევისთვის. შაბათის წმინ-

დად დაცვას რომ უნერგავდა დედა ჩემს დებს, ამ ამბავს უყვებოდა ხოლმე. აი, რა შეიძლება დაემართოს გაუგონარ და ურჩ ადამიანს. შეიძლება იმიტომ, რომ სიცხემ დამიწია და უკეთესად ვაზროვნებდი, უცბად საოცარი სიცხადით წარმოვიდგინე, როგორ მოხდა ყოველივე ეს.

აი, ის აივანზე ზის, ახალგაზრდა და მშვენიერი; რალაცით [illegible] ჩემის უმცროს დას ნასის ჩამოჰგავს. ზის და ტარსიკონის ფეხსაცმელებს იკერავს. შაბათია, მაგრამ მას არ ახსოვს ეს, ან არაფრად მიაჩნია. უცბად მზემ ბინდი გადაიკრა, ჩამობნელდა, თითქოს დაღამდა და შავი აბოლქვებული ღრუბელი აივანზე ჩამოწვა. „ღმერთო ჩემო, როგორ ბნელა", — შეშინდა ქალიშვილი და საქმეს თავი მიანება. წამოხტა და კალთიდან შეკერილი ცალი ფეხსაცმელი ჩამოუვარდა, მეორე კი ხელში შერჩა. დგას ამ ფეხსაცმელით წერწეტა, მოხდენილი და უმწეო, უცბად მოსული ღამით შეშინებული. შავი ღრუბელი კი თითქოს თავის ფრთებს ახვევს და მასთან ერთად ცაში მიფრინავს. ამის მერე ქალიშვილისთვის თვალიც არავის მოუკრავს. მის მშობლებს კი მხოლოდ ის ფეხსაცმელი დარჩათ, ძირს რომ დაუვარდა ქალიშვილს...

აი, ასე მეხატებოდა ეს სურათი ცნობიერებაში. ღრუბლისგან მოტაცებულ ქალიშვილზე ვფიქრობდი, მეგრალებოდა და მის გადარჩენაზე ვოცნებობდი, სანამ ძილმა არ წამართვა თავი. თვალი რომ გავახილე, ჩინის შვილი ჩიჩინი დავინახე, თავზე მადგა და ჩემს გაღვიძებას ელოდებოდა. ჯიბიდან ორი დიდი ლოყაწითელა ვაშლი ამოიღო და ჩემი საწოლის ახლოს სკამზე დადო.

— როგორც ვხედავ, ძალიან ყოჩაღი ბიჭი ხარ, ლაგან. მალე მოიკეთებ, რა თქმა უნდა, ბატონების სურვილი თუ იქნება, — მითხრა და შეთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა.

ჩინის შვილი ჩიჩინი რომ დავინახე, თითქოს უცებ მოვმჯობინდი. ჩიჩინი ისე არ წავიდოდა, ჩემთვის რომ არ ემღერა...

— აბა, რა გიმღერო, ჩემო პატარა მეგობარო? — შემომხედა და თვალებით გამიღიმა. რა დიდებულად უსვამდნენ ხაზს მის ფართო მხარბეჭს ჩოხის თეთრი ქილები. როგორ უხდებოდა მის წვრილ წელს ქამარ-ხანჯალი, რა ლამაზად ერწყმოდა ჩონგურს მისი გრძელი თითები, რომლებიც დაჭკნებოდნენ, ალბათ, ჩონგურის აბრეშუმის სიმებს რომ არ შეხებოდნენ, მოფერებოდნენ...

— ნება მიბოძე, ცოტათი გაგართო წასვლამდე... თქვენც პატივცემულებო, ვინც ავადმყოფის სანახავად მობრძანებულხართ, ერთ ახალგაზრდა ფრანტზე მოგასმენინებთ სიმღერას...

ამღერდა ჩონგური და ჩინის შვილის ჩიჩინის ხმაც აჰყვა.

ჩინის შვილს ჩიჩინს არ უყვარდა იმის გახსენება, რამაც, როგორც თვითონ ამბობდა, „უდროოდ დააბერა". შეკითხვებს გაურბოდა და როგორც არ უნდა ეთხოვათ, მტკიცე უარს ამბობდა: „ეს იგივეა, ჭრილობას მარილი რომ დააყაროთ".

მაგრამ ზოგჯერ ზომაზე მეტს რომ დალევდა, თვითონ დაიწყებდა თხრობას, ყოველგვარი თხოვნისა და ხვეწნის გარეშე. ჩურჩულებდა, თითქოს მხოლოდ ერთ ვინმეს უამბობდა. გაუნძრევლად იჯდა და გულზე ხელებგადაჭდობილი ერთ წერტილს მიშტერებოდა. მისი მხიარუ-

ლი სახე, ხუმარისა და მახვილგონიერის სახე, მოქუფრული ხდებოდა, თვალებზე ბინდი ეფარებოდა.

მისი შაირების, ხუმრობებისა და იავნანების მილმა რომ დარდი და გაუნელებელი ტკივილი იმალებოდა, მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ მოგვიანებით, კარგა ხნის შემდეგ თვითონ მისგან შევიტყვე ყოველივე.

რა ხშირად არის ხოლმე, უსმენ ვილაცას და ესე საინტერესოდ გიყვება, ვერ შორდები, მაგრამ გაივლის ერთი დღე, მეორე და ძლივს იხსენებ, რას გიყვებოდნენ. ჩინის შვილის ჩიჩინის ნაამბობი კი ისეთი არ იყო. მისი ნაამბობი ღრმად ჩამრჩა სულში და გარკვევით მახსოვს დღევანდლამდე. მისი საყვარელი სიტყვებიც მახსოვს, ინტონაციაც კი... მინდა თქვენც გიამბოთ. ვეცდები, მისივე სიტყვებით გადმოგცეთ...

— მას, ჩემს ბედკრულს ხშიასა ერქვა. ოცდაერთი წლის იყო. მაღალი, მშვენიერი, თეთრი სახე, ცისფერი თვალები, იქიდან კი ისეთი შუქი მოდიოდა, პირდაპირ სულში მელვრებოდა... ისეთ დროს დავინახე პირველად, ვიცოდი, კარგი არაფერი გველოდა.

ხშიასას სამი ძმა ჰყავდა. უმცროსს სუნარი ერქვა. ის მდინარე პალაში დაიღრჩო... სწორედ იმ დღეს იხმობდნენ მის სულს მდინარიდან და ვისაც ეკუთვნოდა, ყველა მდინარის პირას იყო თავმოყრილი. მეც მათთან მისვლას ვჩქარობდი. სუნარის დედა და და მდინარის ნაპირს მიუყვებოდნენ. დედას ჩოხა და ახალუხი ჰქონდა გადაკიდებული ხელზე, დას კი ჩაბალახი. ეს სუნარის ტანსაცმელი იყო.

„სუნარ, შვილო, წავიდეთ სახლში!“ იძახდა დედა, დაც ხმას აყოლებდა.

იმ დღეს ძალიან ცხელოდა, მდინარის პირასაც კი არ გრილოდა. ქალიშვილმა სახიდან შავი თავსაფარი მოიხსნა, სული რომ მოეთქვა, სწორედ მაშინ შეხვდა ერთმანეთს ჩვენი თვალები. მე მეხდაცემულ ხესავით ავბრიალდი და ალბათ მისი ძმის სიცოცხლის წამლები მდინარეც ვერ ჩამიქრობდა გულში გაჩენილ ხანძარს.

იმ დღიდან ცხენიდან აღარ ჩამომვხტარვარ, სულ უკან დავსდევდი, შემთხვევას ვეძებდი, შევხვედროდი, დავლაპარაკებოდი.

ერთხელ იმათი მეზობლები ვილაცის ქელეხს იხდიდნენ; დაპატიჟებული არ ვიყავი, მაგრამ იქითკენ შევუხვიე, ვითომ ვილაცას ვეძებდი. ჭირის სუფრასთან ჩემთვისაც გამოინახა ადგილი. ხშიასა არაყს არიგებდა. ჩემთან რომ მოვიდა, ლანგრიდან ჭიქის აღებაც ვერ მოვახერხე, რალაცამ გამაშეშა. „სულის მოსახსენიებელი იქნებ დალიო?“ — მითხრა მან. გონს მოვეგე, ჭიქა ავიღე და ჩავუჩურჩულე: „რალაც უნდა გითხრა, იქ მოდი“. მოვიდა და იმ დღიდან ფარულად ვხვდებოდით ერთმანეთს — მისი სახლის ახლოს ვენახის ბოლოში.

მეც გამიელვა მოულოდნელად იმედის სხივმა. ერთხელ პაემანზე ხშიასა მომიახლოვდა, ახალუხის ღილები შემიკრა და მითხრა: „არ დაგიმალავ და, დაგინახე თუ არა, მეც იმ დღიდან დავკარგე მოსვენება“ წუხილამდე და ტკივილამდე შეგვიყვარდა ერთმანეთი. ან შეიძლებოდა კი სხვანაირად?

მალე ცოლობაზე დამთანხმდა და დროც იმავე დღეს დავთქვით. ხშიასას სიხარულის დაფარვა არ შეეძლო და ერთმანეთს რომ დავშორდით, ისე ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა, გეგონებოდათ, ჩიტის ბარტყია და

ფრენას ახლა სწავლობსო. რომ მცოდნოდა, ვისთან მირბოდა!.. ხშიასამ სიხარულის გასაზიარებლად მამიდასთან მიირბინა — პემბასთან, რომელიც მარტოდმარტო ცხოვრობდა სუნარის სახლში. ხშიასა უმცროსი იყო, მაგრამ მაინც მეგობრობდნენ, ერთმანეთთან ახლოს იყვნენ და ხშიასა ყველა თავის საიდუმლოს ანდობდა ხოლმე.

ხშიასამ არ იცოდა, რომ დედამიწაზე სიყვარულის, სინათლის და სიმართლის გარდა ვერაგობა, თვალთმაქცობა, შური და სიცრუეც არის; ყველაფერი ჩაუკაკლა მამიდას ჩვენს შესახებ და ჩვენი გადაწყვეტილება გაანდო, რაც მართლა გულში უნდა ჩაემარხა. „შაბათ ღამეს სახლიდან მივდივარ. ჩემმა ძმებმა რომ არ იდარდონ და არ შეშინდნენ, უთხარი, რომ გავთხოვდი. ვის მივყვები და რატომ, შენ უკვე იცი". აი, ასე ჩაუგდო ხშიასამ ჩვენი ბედი ხელში პემბას.

გველი რო შემოეხვიოს ყელზე ჩვილს მიხვდება? ვერა, მძივები ეგონება, რომელიც დედამ მისცა სათამაშოდ და ყელზე ჩამოჰკიდა.

ხშიასასაც ასე მოუვიდა.

„ჩემო საყვარელო, როგორ მიმალავდი გულისნადებს, მე ხომ შენი მეგობარი ვარ. ახლა მორჩა, აღარაფერზე იჯავრო, არაფერზე იზრუნო! ბედნიერებას გისურვებ ახალ ცხოვრებაში!" ასეთ სიტყვებს ეუბნებოდა პემბა, ეხვეოდა და ეფერებოდა ძმისწულს. დილით კი ირიჟრაჟა თუ არა, თავისი შხამიანი ნესტარი გაუყარა. პემბა მის ძმებთან მივიდა და უთხრა: „ეი, თქვე სქელკანიანებო, სისხლი რომ გაგყინვიათ ძარღვებში და ძილის მეტს არაფერს აკეთებთ, აზრზეც არა ხართ. თქვენი ერთადერთი და, ვისაც ცივ ნიავსაც კი არ აკარებდით, თავის მოჭრას რომ გიპირებთ". „რა მოხდა, რა ამბავია?" — შეშფოთდნენ ძმები. „დიახ, დიახ, პემბამ ცეცხლზე ნავთი დაასხა შაბათს თქვენი და სახლიდან გაპარვას აპირებს, ვილაც ვიგინდარას მიჰყვება ცოლად". პემბამ დასხა ძმები და ყველაფერი ჩაუკენჭა, რაც ხშიასამ გაანდო. მერე როგორ უამბო! ბოროტი სიტყვა მართლაც რომ პირველი იარაღია კაცისთვის, რომელსაც ბოროტება განუზრახავს... რაღა არ უთხრა პემბამ ძმებს ჩემზე; „არც სახლი გააჩნია და არც კარი, შეთითხნილი გარეგნობის გარდა არაფერი აბადია! ლაპარაკი იცოცხლე, ბრტყელ-ბრტყელი და ლამაზი იცის, მაგრამ სხვა რა მოგახსენოთ... თავისი გვარი და წინაპარი რომ იცოდეს, დედის სახელითაც არ მოიხსენიებდნენ..." ამას მაინც დასჯერებოდა. გაგიგონიათ? თურმე ჭლექიანი ვარ, ფილტვები დამპალი მაქვს. თანაც ეს საშინელი სენი მემკვიდრეობითი ყოფილა და მთელი ჩემი ოჯახი ამიტომ ამოწყვეტილა!..

ძმები გაცოფდნენ და დას დაუძახეს. ხშიასა რომ შევიდა, ძმებმა ხანჯლები დააძვრეს და დას მკერდზე მიაბჯინეს. ეკითხებოდნენ: გვითხარი რატომ გამოგვღალატე ყელიო. ჩემი ხშიასა კი მშვიდად ეუბნებოდა: „თქვენ კი შემოგევლეთ, ძმებო, რა დანაშაული მიმიძღვის, ასე მკაცრად რატომ მექცევით, ასე გაბოროტებულები რატომ მიყურებთ? არაფერი სამარცხვინო არ ჩამიდენია. მიყვარს ეს კაცი და იმაზე უკეთესი ქვეყანაზე არავინ მეგულება. იცოდეთ, ან მაგას გავყვები ცოლად, ან არასოდეს არავის!"

ძმებმა ხშიასა ოთახში გამოკეტეს და დარაჯობა დაუწყეს.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. პემბას კი ეს ეცოტავა და ისევ გამოცხადდა ძმებთან.

— რამდენ ხანს აპირებთ ასე გამოკეტილი რომ გყავდეთ? განა არ იცით, ქალიშვილმა თუ მოინდომა, ბროლის კოშკიდანაც რომ გაიქცევა?

— მაშინ გვირჩიე, როგორ მოვიქცეთ!..

პემბამაც ურჩია: „დაასწარით და სხვა ვინმეს მიათხოვეთ.“

ძმებმა იფიქრეს, იფიქრეს და დათანხმდნენ.

ერთი აზნაურიშვილი გაასხენდათ მერხეულიდან, სამოცი წლის ქვრივი, რომელსაც წინა წელს უთხოვია ხშიასას ხელი, მაგრამ უარით გაუსტუმრებიათ. ახლა კი სასწრაფოდ აცნობეს ძმებმა თავიანთი გადაწყვეტილება. საქმის ასე შეტრიალებამ, რა თქმა უნდა გაახარა იგი და მაშინვე დაიწყო ქორწილისთვის მზადება. ძმები ხშიასასთან მივიდნენ და უთხრეს: ხვალ მერხეულელ აზნაურს უნდა გაჰყვე ცოლადო... ბებერი ქვრივი აზნაური კი ხშიასაზე სამჯერ უფროსი იყო, თანაც თვალითაც არ ენახა არასოდეს. ხშიასას თვალთ დაუბნელდა, სადაც იდგა, იქვე ჩაიკეცა. საწყალმა შეშლილივით დაიწყო თვალების ცეცება, ლოყები დაიხოკა, საჭმელზეც უარი თქვა და სასმელზეც, ყველაფერი ალიკვეთა... „არა უშავს! ქალწულის ცრემლები ცვარივითაა!“ თქვეს ძმებმა და ისევ გამოკეტეს საწყალი ხშიასა.

ძმები უცოლოები იყვნენ, ხშიასასთან ერთად ცხოვრობდნენ. იმ დროისთვის დედა აღარ ჰყავდათ. დილით საუზმე მოამზადეს და დას წაუღეს, კარი შეაღეს და... ხშიასა გაცივებული დახვდათ...

ვერც ნაკაწრი, ვერც ჩალურჯებული ადგილი ვერ უპოვნეს სხეულზე. „ალბათ გული გაუსკდა“ — დაასკვნა ძმების ყვირილზე მოცვენილმა ხალხმა. სხვა არაფერი უთქვამს ხშიასას იდუმალ სიკვდილზე.

ვერ გეტყვი, რა მომივიდა, ამის ძალა არ შემწევს... შაბათს ხშიასა რომ არ მოვიდა დათქმულ ადგილას, მივხვდი, რაღაც საშინელება რომ იყო ჩვენს თავს. როგორ ვეცადე მის ნახვას, მაგრამ ამაოდ. მერე მისი სიკვდილი გავიგე... დაკრძალვაზე არ წავსულვარ, არც მიფიქრია. შვიდი დღე და ღამე გაშხლართული ვეგდე ბაბუას დანატოვარ დანგრეულ ქოხში. არც ვჭამდი და არც ვსვამდი, მხოლოდ თუთუნს ვეწეოდი. ჩემს თავს ვაბრალებდი ხშიასას სიკვდილს, ვისი გულიც ჩემი სიყვარულით იყო ალვსილი. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ კაცის გული მხდალია, ვერ გავბედე და აი, ვცოცხლობ.

ერთ საღამოს, კარგად რომ ჩამობნელდა, როგორც იქნა, წამოვდექი, ჩრდილივით გამოვედი სახლიდან და ცხენზე ავბობღდი. სამი სიცოცხლეც რომ მომცეს ღმერთმა, გაზაფხულის იმ მკვდარ ღამეს ვერ დავივიწყებ, მარტოდმარტო რომ ვიდექი ჩემი ხშიასას საფლავთან. თვითონაც გაქვავებული ვიდექი მისი საბარის ქვის წინ. საფლავის შემოღობვა ვერ მოესწროთ. მიწის ბორცვი მიმანიშნებდა, სად იყო დამარხული.

იმღამინდელი სასაფლაოზე მისვლა ბილიკის დასაწყისი აღმოჩნდა, რომელზეც მთელ ჩემს სიცოცხლეს უნდა გაევლო. ყოველდღე დავდიოდი ხშიასას საფლავზე. მის გვერდით მთვრალი კაცივით მავიწყდებოდა მწუხარება, მაგრამ შევჯდებოდი თუ არა ცხენზე და იქაურობას

გავეცლებოდი, მთელს ქვეყანაზე მარტოდმარტო ვგრძნობდი თავს, ადგილს ვერ ვპოულობდი და უაზროდ დავეხეტებოდი.

სამშაბათს დაკრძალეს უბედურ დღეს გაჩენილი და მეც ყოველ სამშაბათს დავდიოდი სასაფლაოზე, მერე თვეში ერთხელ მივდიოდი, ბოლოს კი მხოლოდ წლისთავზე. ვასუფთავებდი ხშიასას საფლავს, უძილო ღამეს ვატარებდი მის სიახლოვეს. ჩემი წინაპრებივით მეც ილორის ღვთისმშობელზე ვლოცულობდი, თუმცა, გამოგიტყდები, ეკლესიაში ხშირად არ დავდიოდი. ახლა კი აღარც მჭირდებოდა, ჩემი ხშიასას საფლავმა შემიცვალა ეკლესია. იქ რომ მივდიოდი, მეგონა, საკუთარ ცოდვას ვინანიებდი მის წინაშე, ცოდვას რომელიც ლოდივით მაწვა გულზე.

ძმებმა, რა თქმა უნდა, შენიშნეს მათი დის საფლავზე ღამ-ღამობით ვიღაც რომ დადიოდა და დაუდარაჯდნენ. როცა მიხვდნენ, მე რომ ვიყავი, მწარედ ინანეს და ისე ატირდნენ, როგორც ხშიასას გარდაცვალების დღეს ტიროდნენ. გული ჩაუწყვიტათ იმ გამოუსწორებელმა დანაშაულმა, დის წინაშე რომ ჩაიდინეს.

ძმები არ დაოჯახებულან, ცხოვრობდნენ მარტოდმარტო და ერთმანეთს აბერდებოდნენ. აღარც პემბა იყო ცოცხალი.

ცხენიდან რომ ჩამოვქვეითდებოდი და საფლავისკენ წავიდოდი, ერთმანეთზე ჩაბლაუჭებულები ძლივს მობობლავდნენ ჩემკენ. მერე საჭმელი მოჰქონდათ და იქვე მიმასპინძლდებოდნენ. ზოგჯერ მიპატიჟებაზე უარს ვერ ვეუბნებოდი და სახლშიც მივყვებოდი. ერთმანეთის პირდაპირ ვსხდებოდით და მდუმარედ ვსვამდით ხშიასას შესანდობარს.

მე არ გამიგონია, მსგავსი რამ სადმე მომხდარიყოს, თუმცა ჩვენი გულქვა სამყარო ცოტა საიდუმლოს როდი ინახავს. ჩემსა და ხშიასას ძმებს შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდა, რომ უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით. თითქოს ხშიასა ამდგარიყოს სასიკვდილო სარეცელიდან, სამივე ერთმანეთის გვერდით დავეყენებინოთ და ფიცი ჩამოერთმიოს, რომ ამიერიდან ძმადნაფიცები ვიქნებოდით. ერთმანეთის დიდი ხნით უნახაობა გვიჭირდა. მე, როგორც ყოველთვის, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. დავეხეტებოდი ხან საქმეზე და ხან უსაქმოდ. რამდენიმე დღე რომ არ გამოვჩენილიყავი, ძმები აწრიალდებოდნენ, რაიმე ხერხს გამოძებნიდნენ და მაცნობებდნენ, სასწრაფოდ ჩამოდიო. მეც მაშინვე ვანებებდი თავს საქმეს და თავქუდმოგლეჯილი მივრბოდი ძმებთან. შევვარდებოდი ეზოში ცხენით, მომაძახებდნენ: „კარგად ხარ, ძვირფასო? ცუდი სიზმრები გვქონდა და... შორს ნუ წახვალ, შეიბრალე ჩვენი სიბერე, შენ ერთიღა დაგვრჩენიხარ ნუგეშად". ტირილით შემიყვანდნენ სახლში და გვერდით მომისხდებოდნენ.

ეხ, მაშინ რომ ყოფილიყო ვინმე კეთილი კაცი, როცა მე და ხშიასა ერთმანეთის სიყვარულით ვიწვოდით, ვინც ჩვენს ამბავს გულთან მიიტანდა, იქნებ ეს უბედურება აგვცდენოდა კიდეც. ის გულს გაუთბობდა ხშიასას უგრძნობელ ძმებს და ბოროტი პემბას მოსათოკავ გზებსაც გამონახავდა. მაგრამ არ იყო ასეთი კაცი და არც გვიფიქრია, თუ დაგვჭირდებოდა იგი. განა მარტო ჩვენ ვიყავით ამ დღეში? განა ცოტანი არიან გულწრფელად და ძლიერად რომ უყვართ ერთმანეთი? მაგრამ სა-

ჭირო კაცი არ არის ახლოს და მინის ჭურჭელივით იმსხვრევა ეს სიყვარული...

ასეთი ფიქრები მეხვია გარს ხშირასას საფლავთან რომ ვალამებდი და ვათენებდი. ერთხელ მიწის სიღრმიდან ხმა შემოესმა: „ცინც ორ კაცს გააბედნიერებს თვითონაც ბედნიერი იქნება". გამაჟრჟოლა; ხშირასას ხმა იყო! მაგრამ ახლა მისი ხმა წინანდელივით ნაზი და ალერსიანი კი არა, მბრძანებლური იყო. ავდექი, ცხენი შევკაზმე და გზას გავუდექი. დაპატიჟებული და დაუპატიჟებელი სტუმარი გავხდი. ქორწილებშიც დავდიოდი და ქელეხებშიც, დღესასწაულებზეც და კრებებზეც. სიძოების ძმობილი ვიყავი და მეჯვარე.

უფრო მეტად რომ ჩავწვდომოდი ადამიანის გულს, ჩონგურზე დაკვრა ვისწავლე. ბევრი სიმღერა შევისწავლე. ვცდილობდი, ხალხისთვის არ მეჩვენებინა ჩემი დარდი... ყველასთან მხიარულად ვიქცევი. ვისთანაც არ უნდა მივიდე, მაშინვე ჩონგურს მომაწოდებენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა ნაღვლიან სიმღერებს აღარ ვმღერი; არ მინდა, დარდი და მწუხარება მივუმატო ადამიანებს, ისედაც ბევრი სადარდებელი აქვთ ცხოვრებაში. ჰოდა, ვამშვიდებ მათ ჩემი სიმღერებით, ხუმრობებით ვართობ.

რამდენი კაცი შემხვედრია, რომელსაც ისე გაქვავებული აქვს გული, როგორც ჩემი ხშირასას ძმებს ჰქონდათ. რამდენი დამიხსნია უბედურებისაგან, რამდენჯერ უვნებელმიყვია პემბასნაირი ხალხისგან გადმონთხეული შხამი. რამდენი ხელჩაქნეული, ძალაგამოცლილი კაცისთვის დამიბრუნებია გზა სინათლისაკენ.

ბევრი დამიწყვილებია და გამიბედნიერებია. ამიტომაც მხვდებიან სიხარულით ნებისმიერ სახლში. მიხარია, ბედნიერ ოჯახებს რომ ვხედავ, ჭკვიან და ჯანსაღ ბავშვებს. ჭიქას ვიღებ და სადღეგრძელოს ვსვამ: „ღმერთმა გაამრავლოს თქვენი ოჯახი!" „როგორ დაგძველებია ჩოხა!" — მეტყვის ვილაც და ახალს შემიკერავს, მეორე ახალუხს შემიკერავს, მესამე — ჩაბალახს. მე კი არც წუნია ვარ და არც ამაყი, საჩუქრების მადლიერი ვარ. სიღარიბეზე არასოდეს დამიწუწუნია; ხოლო როცა მოვკვდები, თუნდაც სადმე ხის ძირას დამმარხონ და დამიტირონ. ყველას მიწას აბარებენ და არც მე დამტოვებენ დაუმარხავს. ხოლო თავთან უბრალო შავ ქვას თუ დამიდებენ, ეს საუკეთესო ეპიტაფია იქნება ჩემთვის. ჯერ კიდევ უნდა ვიარო, ვიარო უსასრულო გზაზე... მეც ვჩქარობ... ვინ იცის, იქნებ ვილაც ორს თავდავიწყებით შეყვარებიათ ერთმანეთი და სასწრაფოდ სჭირდებათ ჩემი დახმარება.

XVII

აგვისტოა, მაგრამ სიცხე არ კლებულობს, პაპანაქებაა, ჰაერში სპილენძის სუნი ტრიალებს, ერთი ფოთოლი რაა, ერთი ფოთოლიც კი არ იძვრის.

ერთ საღამოს ეზოში ჩვენი მეზობელი მიხა შემოვიდა. მის შესახვედრად გასულმა მამაჩემმა და მიხამ ამაცურტას ზღურბლს რომ გადმოაბიჯეს, ყველანი ფეხზე წამოვდექით. ამაცურტაში მთელი დღე ნაჯაფარი მეზობლებიც იყვნენ ჩვენთან სალაპარაკოდ გადმოსული. სტუმარს მიესალმნენ და შუაში ჩაისვეს.

ჩვენს სოფელში ბევრს ერქვა მიხა და ერთმანეთისგან რომ განესხვავებინათ, წინ მეტსახელს უმატებდნენ. ეს მეტსახელი ან გარეგნობის თავისებურებაზე მიუთითებდა („დიდი მიხა", „პატარა მიხა", „ცხვირა მიხა"), ან საქმიანობაზე („მიხა მდინარისპირელი", „ქვემოური მიხა", „ზემოური მიხა"), ჩვენი სტუმარი კი, ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცალ ფეხს ვერ ბორიდა, არც „კოჭლ მიხას" ეძახდნენ და არც „ცალფეხა მიხას", „მოხალისე მიხას" ეძახდნენ. ჰქონიათ კიდეც ამის მიზეზი. პირველ მსოფლიო ომში მიხა მოხალისედ წასულა და მეტსახელიც აქედან დაურქმევიათ. მიხა კავკასიის ცხენოსანთა დივიზიაში ჩაურიცხავთ, რომელსაც შინაურულად „ველურს" ეძახდნენ. მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს, ავსტრია — უნგრეთის საზღვარზე ტყვიამ მარჯვენა ფეხი დაუმსხვრია. ჭრილობა შეუხორცდა, მაგრამ მას შემდეგ მუხლს ვეღარ ხრიდა და გაშეშებულ ფეხს მიათრევდა. როცა მიხასთან რაიმეზე გამაგზავნიდნენ, ყოველთვის ვხედავდი კედელზე ჩამოკიდებულ ჩოხას. თეთრი ქილების ზემოთ საბრძოლო ჯილდოები ბრწყინავდა, გვერდით კი გაქექილქარქაშიანი ხმალი ეკიდა.

რომ დაჯდა, ბაბუამ მიხას ასე მიმართა:

— ძვირფასო მიხა, ყველას გვისარია, რომ ვხედავთ, როგორ მეურნეობას ეწევი. მამაშენს ერთადერთი ვაჟი ჰყავდი, შენ კი აი რამდენი გყავს, თანაც ყველა ოქრო ბიჭია.

— ჰო, ჩემო ბეჟან, ჰო, პატივცემულო, — თავს უქნევდა მიხა მოხალისე, — რატომ არ უნდა ვიცოცხლო? ახალმა ხელისუფლებამ მიწა მომცა, შემეწია, როგორც ყველა ღარიბს. მერე რა, რომ მხოლოდ ცალი ფეხი მაქვს სალი, უნდა გავისარჯო, აბა სხვანაირად როგორ შეიძლება?!

— გავიგე, — ბაბუამ მოუთმენლად დაიწყო ჯოხის კაკუნი მიწის იატაკზე, — ქალაქში ყოფილხარ, ახალი ამბები ხომ არ ჩამოგიტანიათ?

მიხამ ყურადღებით შეათვალიერა შეკრებილი ხალხი. ჯერ ერთი, ეტყობოდა კარგ ხასიათზე იყო და მეორეც, მართლა უნდოდა რაღაც ახლის თქმა. ცოტა ხანს მედიდურად დუმდა, მერე ამაყად გადააგდო უკან თავი და ბაბუას შეხედა:

— გახსოვს, პატივცემულო ბეჟან, პირველად ვინ გახარა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება?

— როგორ არ მახსოვს, ჩემო კარგო, განა ასეთი რამის დავიწყება შეიძლება?

— ჰოდა, აი დღესაც შესანიშნავი ამბავი მოგიტანე.

— ღმერთმა სიხარული არ მოგაკლოს, ძვირფასო მიხა! — ბაბუამ ხელისგულები ისე შეატყუპა, თითქოს ლოცვას აპირებდა.

— კარგ დროს მივედი გუშინ ოჩამჩირეში... ნამდვილი მასწავლებელი ჩამოვიყვანე. — ისეთი ამბით გამოაცხადა მიხა მოხალისემ, თითქოს ამის გაკეთება სხვას არავის შეეძლო. — ახლა, ლაგან, შენ და შენს თანატოლებს გყავთ ადამიანი, რომელიც ცოდნას გაზიარებთ.

— რას ამბობ?! ნუთუ ჩვენს ბავშვებს მასწავლებელი ეღირსებათ? მესამე წელია სკოლა დაკეტილია! — აყაყანდნენ ყველანი, ზოგი დაიმედებული და ზოგი დაეჭვებული.

— აბა რას გეუბნებით? თქვენ ხომ კარგად მიცნობთ, მე თუ რაღაც მიხარია, ესე იგი სასიხარულოა. — და მიხა მოხალისემ გვიამბო, როგორ გაიცნო ოჩამჩირეში მასწავლებელი ქალი და როგორ წამოიყვანა ჩვენთან.

ეს ამბავი მთელ სოფელს მოედო და დიდხანს ენა-ბოლოდ ჰქონდა მითქმა-მოთქმა.

— ოჩამჩირის ბაზრის ახლოს ფიჭვის ქვეშ მაღალი, ნათელსახიანი ქალი იდგა, თან ერთი რვა წლის თეთრუა ბიჭი ახლდა.

ეს იყო ვერა ნიკოლოზის ასული ვოლგინა. შორიდან იყო ჩვენთან გადმოხვეწილი. როგორც შემდეგში გამოირკვა პეტერბურგში ყოფილა დაბადებული, იქვე გაუტარებია ბავშვობა და ახალგაზრდობა. ვერა ნიკოლოზის ასულის მამა მასწავლებელი ყოფილა. შვილიც მამის კვალს გაჰყოლია. კურსებზე მოწყობილა. კურსების დამთავრების შემდეგ კი გათხოვილა. ქმარი ოფიცერი გახლდათ, აზნაური, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდა და რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს დაუახლოვდა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მხარეს გადავიდა. ვერა ნიკოლოზის ასულმა, რომელიც ქმრის შეხედულებებს იზიარებდა, მხარი დაუჭირა მის არჩევანს. მაგრამ ძველმა მეგობრებმა და ამხანაგებმა, ოფიცრებმა ვერ აპატიეს, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, წოდების ღალატი. პირველ ხანებში ცდილობდნენ მშვიდობიანად დაებრუნებინათ გზასაცდენილი მეგობარი თავიანთი დროშის ქვეშ, მაგრამ ეს რომ ვერ მოახერხეს, სადღაც ჩაუსაფრდნენ და მუხანათურად მოკლეს. მერე შეიძლება ვერა ნიკოლაევნასაც გასწორებოდნენ, შინ დარჩენა საშიში იყო და საწყალმა ქალმა თავის ოთხი წლის შვილთან ერთად რუსეთში ხეტიალი დაიწყო. მალე სამოქალაქო ომი დაიწყო: ნგრევა, შიმშილი, სიცივე. საკუთარი სიცოცხლისა და შვილის გადასარჩენად ვერა ნიკოლაევნა სამხრეთისკენ დაადგა გზას. როსტოვი, ასტრახანი, პიატიგორსკი, კრასნოდარი, დუაბზე... სწორედ დუაბზედან მოხვდა იგი აფხაზეთში. ამ მხარეში არასოდეს ყოფილა, გაგონილი კი ბევრი ჰქონდა მის შესახებ. იცოდა, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკას მასწავლებლები აკლდა, მას კი დიპლომი ჰქონდა... რა თქმა უნდა, ქალაქელ ქალს, თანაც ინტელიგენტს, ოჩამჩირეში ცხოვრება უფრო გაუადვილდებოდა, სადაც იგი ქვეყანაში უდიდესმა ძვრებმა გადმოაგდო, ასე თუ ისე, მაინც ქალაქი იყო. მაგრამ ვერა ნიკოლაევნამ სადღაც მთებში ჩაკარგული ჩვენი სოფელი აირჩია, სადაც ნათესავი კი არა, უბრალო ნაცნობი რაა, ისიც კი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა.

და ფიჭვის ჩრდილში მდგარ ამ ქალთან მივიდა ორი კაცი. ერთი მათგანი, გახუნებული გიმნასტურა რომ ეცვა, ოჩამჩირის მაზრის განათლების განყოფილების გამგე იყო. მეორე კოჭლი კი, რა თქმა უნდა, მიხა მოხალისე გახლდათ.

— პატივცემულო ვერა ნიკოლაევნა, გაიცანით გეთაყვა, ეს მიხა გახლავთ. იმ სოფლიდანაა, მე რომ გეუბნებოდით, დანიშნულ ადგილას თქვენი ჩაყვანაც ამან იკისრა, — უთხრა განყოფილების გამგემ და თან შეწუხებულმა დაუმატა: — ოღონდ ნუ დაგვემდურებით, ურმით უნდა

გაგამგზავროთ, სხვა ტრანსპორტი არა გვაქვს და, ალბათ, არც გვექნება კარგა ხანს.

— რას ბრძანებთ, შესანიშნავია... ურმით არასოდეს მიმგზავრია. — ღიმილით უპასუხა ქალმა.

მალე ურემი, რომელზეც მიხა მოხალისე, ვერა ნიკოლაევნა და მისი ბიჭი ისხდნენ, ქალაქიდან გავიდა და იქითკენ დაადგა გზას, სადაც ცადატყორცნილი თეთრად მოქათქათე მთები მოჩანდა. ბიჭი გაოცებული ათვალიერებდა უცნაური ცხოველების მსხვილსა და დაგრეხილ რქებს. ურემი ნელა მიგორავდა. ბიჭი ამკარად დამფრთხალი იყო, ცხოველები კი ზლაზვნით ადგამდნენ ფეხებს წინ, ყრუდ აბრაგუნებდნენ მტვრიან გზაზე ფართო, დახეთქილ ჩლიქებს, იცოხნებოდნენ და დრო და დრო დაძაგრულ კუდებს იტყლაშუნებდნენ ფერდებზე.

ურემი ისე მიდიოდა, დაჩაჩანაკებული ბერიკაციც კი გაუსწრებდა. მიხა მოხალისე წინ იჯდა და გაუთავებლად მღეროდა და მღეროდა. ვერა ნიკოლაევნა სიამოვნებით ისმენდა გაუგებარ სიტყვებს.

სიმღერა რომ მობეზრდა, მიხამ მასწავლებელს გაუბა საუბარი. რუსული სიტყვების ძალზე ღარიბული მარაგი ჯარისკაცის ყაზარმული ლექსიკონიდან ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ მაინც გაუგეს ერთმანეთს. მიხამ კი წამოიწყო საუბარი, მაგრამ მალე მხოლოდ პასუხებს იძლეოდა, რადგან სტუმარმა საფანტივით მიაყარა შეკითხვები. ისიც კი ჰკითხა, ფეხში როგორ დაიჭერიო.

მიხამ მეხსიერება დაძაბა, არც ერთი რუსული სიტყვა რომ არ დაჰკარგოდა და თხრობა დაიწყო: — ეს კარპატების მთებში მოხდა. გაზაფხული იდგა. ყველგან დნებოდა თოვლი. მე აფხაზეთის ასეულში ვირიცხებოდი. ორ კილომეტრზე ცოტა მეტით ვიყავი დაშორებული ფრონტს...

ვერა ნიკოლაევნა, მებრძოლი ოფიცრის ქვრივი უსმენდა მიხას; ყველაფერი ესმოდა. მან ცხადად წარმოიდგინა: როგორ გადმოვიდნენ შეტევაზე ერთ დილას ავსტრია-უნგრეთის ჯარები ფრონტის იმ მონაკვეთზე, სადაც აფხაზეთის ნაწილი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა ცოცხალი ძალისა და არტილერიის მხრივ, უკან დახევა არავის უფიქრია. გააფთრებული ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. ზარბაზნების გრიალი აყრუებდა ხალხს, გიზგიზებდა ჯოჯოხეთური ცეცხლი. შეუდრეკელ აფხაზ მებრძოლებს ერთი მტკაველითაც არ დაუხევიათ უკან თავიანთი პოზიციებიდან. ერთი ბრმა ტყვია მიხას მოხვდა ფეხში. ცხენი მოუკვდა.

— აქეთ მე ვწევარ და იქით ჩემი საყვარელი ცხენი. სისხლისგან ვიცლებოდი, მაგრამ მაინც მივცოცდი ცხენთან. „განისვენე, ჩემო მეგობარო, მშვიდობით", — მეთქი ვუთხარი, თავზე ხელი გადავუსვი და უნაგირი და უზანგები ავყარე.

ფრონტიდან დაბრუნებულ მიხას დედ-მამა აღარ დახვედრია. მისი გვიმრით გადახურული, გადაფერდებული ქოხის კარები ყრუდ ამოეგმანათ. გზაში, შინისკენ რომ მოდიოდა, ჭრილობა დაუჩირქდა და მთელი წელიწადი საწოლში გაატარა. მეზობლები დადიოდნენ ყოველ დღე,

საჭმელი მოჰქონდათ და უვლიდნენ. მოარჩინეს კიდეც, მაგრამ წინ სიღარიბისა და გაჭირვების გარდა არაფერი ელოდა...

— ფეხზე რომ წამოვდექი, ჩემთან ყველაფერი გაყვანილი იყო. მიწა გამოფიტული, მოსავალი მცირე, არარა შინაური ... არც კამეჩები, მოკლედ არაფერი აღარ გაგვაჩნდა. სულზე ... ახალისუფლებამ, თორემ ღატაკი ვიქნებოდი. — უამბობდა მიხა მასწავლებელს.

უამბობდა, რომ: ახალმა კანონმა ყველა გლეხს მისცა მიწა, გამონაკლისი არავისთვის დაუშვია. ყველაზე ღარიბებმა კი ფულიც მიიღეს მეურნეობის მოსაგვარებლად. ასე რომ ცხოვრება შეიძლება თუმცა ჯერ მაინც გვიჭირს! ისევ არის ქურდობა და ძარცვა. ხან ეს არა გვაქვს და ხან — ის. აი, მასწავლებლებიც არა გვყავს, მესამე წელია ბავშვები სკოლაში არ დადიან.

მაგრამ მხოლოდ ბავშვები როდი გელოდებიან, ძვირფასო ვერა ნიკოლაევნა, — თითოეული გლეხი გელოდებათ, როგორც უახლოეს ნათესავს ისე გელოდებიან... ჩვენში ერთი ანდაზაა: ცოდნა სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელეო. ჰოდა, აი, ჩვენს ხალხს სწავლა უნდა. ერთიც უნდა იცოდეთ, ჩვენო ძვირფასო სტუმარო, სხვისი შვილის გამზრდელს ჩვენში ძალიან აფასებენ! შენ ჩვენი ბავშვების მოძღვარი იქნები...

ცხელოდა. მზე ისე აცხუნებდა, გეგონებოდათ, ცოტაც და, თავისი სიმხურვალით თვითონვე დაიფერფლებაო. ქანცგაწყვეტილი კამეჩები ფეხებს ძლივს ამოძრავებდნენ, სუნთქვა უჭირდათ, ქშინავდნენ და ურემი როგორც კი მიხას ნაცნობ წყაროს მიუახლოვდა მიხამ კამეჩები გააჩერა.

აკაციების ძირას პატარა წყარო მოროკრაკებდა. მიხამ საპატიო სტუმრები ჩრდილში შეიყვანა. ვერა ნიკოლაევნამ ქილა აავსო წყლით, მოსვა, მერე სახეზე შეისხა, ხელები დაისველა. ამასობაში მიხამ ფოთლები შეაგროვა, აკაციის ქვეშ მიწაზე გაშალა და ზედ ტომრიდან ამოღებული ხმელი ჭადი და შებოლილი ყველი დააწყო, მერე ერთადერთ თეფშზე კიტრი და პამიდორი დათალა.

— ეს ჩიტსაც კი არ ეყოფა საკენკად, მაგრამ მომიტევეთ, რაცა გვაქვს... მიირთვით, ძვირფასო სტუმრებო, ნუ იუკადრისებთ, ჩემს პურმარილს! — მიიწვია მან „სუფრაზე" დედა-შვილი.

ვერა ნიკოლაევნა მგზავრობას დაემშია, კეთილი გულით შემოთავაზებულ მცირე სუფრას გადახედა და თქვა: ამაზე გემრიელი რაღა უნდა იყოსო.

●

სახლში მხოლოდ მე და ბაბუა ვართ და საოცრად მიხარია, ბაბუასთან უფრო ლაღად ვგრძნობ თავს. ბაბუა კალათებს წნავს, დროდადრო გადმომძახებს: „სადა ხარ, ლაგან?" „აქა ვარ, ბაბუ" — ვუპასუხებ და ის სავსებით კმაყოფილდება. მე კი ზედმეტი მზრუნველობისა და შეკითხვებისგან თავისუფალი ვარ.

წითელა რომ მოვიხადე, მის მერე დედაჩემი კიდევ უფრო წუხდა ჩემს ჯანმრთელობაზე. განსაკუთრებით ეშინოდა, წყალში არ ჩავსულიყავი და არ გავციებულიყავი. არც კი ფიქრობდა, რომ მოწყენილობისაგან გული მიწუხდა. ჩემი თანატოლები, რომლებთანაც ვთამაშობდი ხოლმე, უკვე სკოლაში დადიოდნენ. მარტოობა და იძულებითი კარანტინი საშინლად მაწუხებდა და ავადმყოფობაზე ნაკლებად [illegible] მტანჯავდა. და, აი, ვისარგებლე, არც დედა და არც დები რომ [illegible] შინ, წყლის წისქვილის გადამალული ნაწილები გამოვათრიე და ეზოდან გავედი. გზის პირას აქა-იქ პატარ-პატარა ნაკადულები მოროკრაკებდა, ალაგ-ალაგ კი გუბეები იდგა.

პირველ რიგში არხი გავჭერი და ნაკაუდლიდან წყალი გადმოვუშვი. მერე საგუბარი მოვაწყვე და წაბლის ხის ქერქის ღარი დავუგე, საიდანაც წისქვილის ბორბალს ესხმოდა წყალი. მერე მის ლილვზე კბილანა დავამაგრე, ფიქალისგან გამოთლილი დოლაბის ქვეშ გავიყვანე და წისქვილიც მზად იყო. გულისფანცქალით გავხსენი საგუბარი. აქაფებული წყალი ღარზე დაეშვა, ფრთებს დაეცა და ბორბალი ისე სწრაფად დატრიალდა, თვალი ვერ მივატანე. გაქანებული ბრუნავდა ბორბალი და დოლაბს ატრიალებდა. მე კი ბედნიერი და კმაყოფილი მუჭა-მუჭა ვაყრიდი და ვაყრიდი ნესტიან დაკოშტებულ მიწას და ისიც „წმინდად დაფქვილი“ წვრილ ნაკადად ცვიოდა ხვიმირაში.

უცბად ვილაცამ მათრახის ტარი შემახო მხარზე. შევკრთი და მაღლა ავიხედე. თავზე უცნობი კაცი მედგა; ცხენი ალვირით ეჭირა, მხრებზე შავი მბზინვარე ნაბადი ჰქონდა მოგდებული, წვერ-ულვაშში ჭალარა შეპპარვოდა. ისე ვიყავი გართული, რომ ცხენოსნის მოახლოებაც კი ვერ შევნიშნე.

კაცმა ჩემგან წისქვილზე გადაიტანა მზერა.

— წისქვილის დადგმა ვინ გასწავლა, ჩემო ბატონო? — მკითხა მან.

— ძია ელიზბარმა.

— დოლაბი კი, ალბათ, მამაშენმა გამოგითალა, არა? — და კაცმა მათრახის ტარი დოლაბზე მიმითითა, რომელიც გამალებით ბრუნავდა.

— არა, მე თვითონ! ვისწავლე და გავაკეთე. ეგ კი არა და საუნაუს სიმღერებიც ვიცი, — წავიტრაბახე მე.

— ვისი სიმღერებია?

— საუნაუს სიმღერები!

— არც კი გამიგონია, ხომ ვერ მიმღერებდი? — მითხრა კაცმა და ერთი-ორი ნაბიჯით დაახევინა ცხენს უკან, რომელიც ძალზე ახლოს იყო წისქვილთან, ხელი ისე მოვატრიალე, თითქოს ხელის წისქვილს ვაბრუნებდი და დავიწყე:

სწრაფად იბრუნე დოლაბო,
ხორბალი დაფქვი წმინდად,
მდინარესავით დიოდეს,
ქათქათა ფქვილი მინდა.

კაცი მდუმარედ მომჩერებოდა და რაღაცაზე დაძაბული ფიქრობდა. ცხადი იყო ჩემს სიმღერას არც უსმენდა. მერე უცბად ჩემკენ დაიხარა, თვალებში ჩამხედა და მკითხა:

— შენ ბეჟანის შვილიშვილი არა ხარ?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— წამომყევი, მგონი ბაბუაშენი აივანზე ზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდაყვზე მომკიდა ხელი და გამიყოლა. ეზოში შევედით, ცხენი უკან მოგვყვებოდა აღვირის აქეთ-იქით ქნევით.

ბაბუამ დაგვინახა თუ არა, მოუმთავრებელი კალათი გვერდზე გადადო, ძირს ჩამოვიდა და შემოგვეგება.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ხაბიჯ! — დაიძახა, როგორც კი ნაბდიანი კაცი იცნო და მიბრძანა: — ჩამოართვი სტუმარს აღვირი და წაიყვანე ცხენი!

— არა, არა, ბეჟან, ერთი წუთით შემოვიარე, ძალიან მეჩქარება და მიხარია, შინ რომ დამხვდი. საქმე მაქვს შენთან.

— როგორც არ უნდა გეჩქარებოდეს, სახლში მაინც უნდა შემოხვიდე. დაჯექი და იქ მითხარი რა ამბავია.

ხაბიჯი არაფრით არ შეევიდა სახლში და ეზოში დაიწყო საუბარი:

— ნუ დამძრახავ, პატივცემულო ბეჟან, და აქამდე ბრძენ კაცად გთვლიდი, ახლა კი დავრწმუნდი, თურმე ტყუილად ვფიქრობდი ასე...

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა, ხაბიჯ?!

— ძალიან ხარბი გახდი, ბეჟან! მთელი ვორაკის ორივე მხრიდან გადახვნაზეც კი არ იტყვი უარს. დღე რომ არ გყოფნის, შუაღამისას დგები და თოხნას იწყებ. შვილებიც ასეთებად დაზარდე, ახლა შვილიშვილსაც ასე ზრდი. არ იცი და ეტყობა, არც გინდა იცოდე, რომ ქვეყანაზე თოხისა და კავის გარდა სხვა რამეც არსებობს.

— რაშია საქმე, პატივცემულო ხაბიჯ, აზრზე ვერ მოვდივარ, რისი თქმა გინდა! — აღელდა ბაბუა.

— ერთადერთი მემკვიდრე გყავს, სანთელივით მისჩერებიხარ და მემკვიდრეობასაც იმას დაუტოვებ, მაგრამ რატომ არ გინდა შენი შვილიშვილისთვის ნამდვილი ბედნიერება? წისქვილის დადგმისა და ძველი სიმღერების გარდა სხვაც არსებობს. სკოლაში უნდა შეიყვანო და სინათლეს აზიარო. სწავლა ხომ სინათლეა. თუ ისწავლის, მთელ ხალხს მოუტანს სარგებლობას, შენ კი ეწინააღმდეგები...

— წისქვილის დადგმასაც სწავლა უნდა, ძვირფასო ხაბიჯ! — მკვახედ მოუჭრა ბაბუამ.

— ნუ გეწყინება, ბეჟან და ეს სიტყვები დაუფიქრებლადაა ნათქვამი... შენ ზიხარ და ახლაც კალათებს წნავ, როგორც მთელი ცხოვრება წნავდი, შენი შვილიშვილი კი ახლა ამის გამო შუა გზაში გუბეში ჩხირკედელაობს და რაღაც ხარა-ხურისგან წისქვილებს დგამს. გინდა გეწყინოს და გინდა არა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შენ ველარაფერი გამოგასწორებს, მაგრამ შვილიშვილს რას ერჩი, შენკენ რომ ექაჩები და გასაქანს არ აძლევ? არა, ჩემო კარგო, თუ მოჰკიდე ხელი მაგის სწავლა-განათლებას, მაშინ ისე ასწავლე, როგორც საჭიროა, თუ არ შეგიძლია, ისეთ

ხალხს მიეცი, ვისაც შეუძლია, ვისთვისაც შესაფერისი ცოდნა მიუცია?
ნუთუ არ გაგიგია, რომ სოსუმში აფხაზური სკოლა გაიხსნა?

— შენ ხომ იცი, ხაბიჯ, რომ ეგ ერთადერთი გვყავს და ამ სიმორეს როგორ გავუშვათ?

— ახლა თქვენი სოფლის სკოლას ჩამოვუარე, ფანჯრებიდან ბავშვების ხმები ისმოდა. ანბანს სწავლობენ... იმას ხომ ვერ [illegible] სკოლაც შორს არის ჩვენი სახლიდანო?

— ჯერ ერთი, ლაგანმა ეს ესაა წითელა მოიხადა. მერე კიდევ სკოლის გარეშე თუ მოახერხებს, თავისი წინაპრების კერიაზე ცეცხლი რომ არ ჩაქრეს, ჩემთვის ესეც საკმარისი იქნება!

— შენთვის კი იქნება, მაგრამ ამისთვის?.. კარგად დაუფიქრდი, რაც გითხარი, მეტს აღარაფერს დავუმატებ. — ხაბიჯმა აღვირი თავზე გადაუგდო ცხენს და ცქაფად მოახტა უნაგირს. — დაფიქრდი, ბეჟან, სანამ გვიან არ არის, იმ ქვეყანაში რომ არ გიწიოს შვილიშვილის კრულვამ. კარგად იყავი! — ხაბიჯმა აღვირი მოქაჩა და ჭიშკრიდან გავარდა. ბაბუამ კი ისე დაიდო შუბლზე ხელი, თითქოს უცნაური სტუმრის ბოლო სიტყვებმა მათრახით აუწვეს კანი. წელში მოხრილი იდგა შუა ეზოში და დუმდა. მერე ხელები ზურგზე შემოიწყო და წინ და უკან სიარულს მოჰყვა. ასე იცოდა, როცა რაიმე უსიამოვნო ამბავს შეიტყობდა, ან როცა ძალიან აღელვებული იყო.

იმ დღეს სამუშაოს აღარ მიბრუნებია.

(გაგრძელება იქნება)

რიშარდ კაპუშცინსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაჰინშაჰი

(დოკუმენტური პროზა)

პოლონურიდან

თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა

რვეულიდან (6)

შიიტი უკიდურესობამდე მისული ოპოზიციონერია. თავდაპირველად შიიტები მუჰამედის სიძის, მისი უსაყვარლესი ქალიშვილის, ფატიმას ქმრის — ალის მეგობრების და მომხრეების მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც გვარის გამგრძელებელი, მამაკაცი მემკვიდრე არ დარჩენია და არც გარკვევით დაუბარებია, თუ ვინ იქნებოდა მისი საქმეების გამგრძელებელი, მუსულმანებს შორის დაიწყო ბრძოლა წინასწარმეტყველის მემკვიდრეობისათვის, იმის შესახებ, თუ ვინ იქნებოდა ალაჰის აღმსარებელთა მეთაური (ხალიფა), პირველი პირი ისლამის სამყაროში. ალის მომხრეები (ზუსტად ამას ნიშნავს სიტყვა „შიი") ამ თანამდებობაზე თავიანთ ლიდერს ასახელებდნენ. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ზუსტად ალია წინასწარმეტყველის ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი, მისი ორი შვილიშვილის — ჰასანისა და ჰუსეინის, მამა. მაგრამ მაჰმადიანთა სუნიტური უმრავლესობა უგულვებელყოფდა შიიტთა არგუმენტებს და სამი მომდევნო არჩევნებისას ხალიფად ირჩევდნენ აბუ ბაქრს, უმარს და უტმანს. ბოლოს ალიმ მართალია ხალიფატი მოიპოვა, მაგრამ მხოლოდ ხუთი წლით, რადგან ში ერთმა აჯანყებულმა მოკლა — თავი მოწამლული ხმლით მოკვეთა. ალის ორი შვილიდან ერთი — ჰასანი, მოწამლეს, ხოლო ჰუსეინი ბრძოლის ველზე დაეცა. ალის ოჯახის ამოწყვეტამ შიიტებს ხელისუფლების მოპოვების შანსი ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგა (ის ხელში ჩაუვარდა ომაიანების, შემდეგ აბასიდების, ხოლო ბოლოს — ოტომანების დინასტიას).

ხალიფატი, რომელიც წინასწარმეტყველის წარმოდგენით უბრალო და მარტივი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, მემკვიდრეობით მო-

---

დასასრული. დასაწყისი, იხ. „საუნჯე", № 1-2, 2007 წ.

ნარჩიად გადაიქცა. ასეთ სიტუაციაში უბრალო მაჰმადიანები, ღვთის მოშიში და ღარიბი შიიტები, რომელთაც თვალს სჭრიდა ახლადწამოჩიტული ხალიფების ცხოვრების მდიდრული სტილი, ოპოზიციაში გადავიდნენ.

ეს ამბავი მეშვიდე საუკუნის შუა ხანებში ხდებოდა, მაგრამ ეს ისაც უაღრესად მგრძნობიარე და ცოცხალი ისტორიაა მაჰმადიანებისთვის. ღვთის მოშიშ შიიტთან საუბრისას, მისი რწმენის თემაზე, ის გამუდმებით იმ ძველ, ხანდაზმულ ისტორიას უბრუნდება და თვალებზე ცრემლმომდგარი მოგიყვებათ კარბალასთან მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, როდესაც ჰუსეინს თავი მოკვეთეს. სკეპტიკურად განწყობილი ევროპელი ამ დროს გაიფიქრებს — ღმერთო ჩემო, ახლა ამ ყოველივეს რა მნიშვნელობა აქვს! მაგრამ თუ ხმამაღლა წარმოთქვამ ამ სიტყვებს, ამით უდიდეს შეურაცხყოფას მიაყენებთ შიიტს.

ამ უკანასკნელთა ბედი მართლაც რომ ყოველმხრივ ტრაგიკულია. ისტორიული უსამართლობის ეს შეგრძნება, და კიდევ ის, რომ მათ განუყრელად თან სდევდათ უბედურება, შიიტის შეგნებაში ღრმადაა ჩაჭრილ-ჩაბეჭდილი. არიან ერები, რომელთა მეგზურიც განუწყვეტელი წარუმატებლობა და მარცხია, რომელთაც ყველაფერში ხელი ეცარებათ, გაიელვებს თუ არა მათ გონებაში რაიმე იმედი, მყისვე ქრება, მათთვის ზურგის ქარი არასოდეს არ ქრის. მოკლედ, ეს ხალხი რაღაც ფატალური ნიშნითაა აღბეჭდილი. ზუსტად ასეთია შიიტების ბედიც. იქნებ ამიტომაცაა, ისინი ასეთი სერიოზული, უაღრესად დაძაბული, ყოველთვის თავის შეხედულებაზე მდგომი, ზედმეტად პრინციპული ადამიანების შთაბეჭდილებას რომ სტოვებენ.

იმ დროიდან, როდესაც შიიტები (რომლებიც მუსულმანთა მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ, დანარჩენი სუნიტები არიან) ოპოზიციაში გადავიდნენ, მათი არნახული დევნა დაიწყო. ისინი ვერ ივიწყებენ, როგორ არბევდნენ, ან რამდენი მსხვერპლი აქვთ გაღებული.

ამიტომ შიიტები თავიანთ გეტოებში იკეტებიან, განცალკევებით ცხოვრობენ, ერთმანეთს მხოლოდ მათთვის ცნობილი ნიშნებით ეცნაურებიან და ქცევის კონსპირაციულ ფორმებს იმუშავებენ. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გაურბიან დევნას, თავიდან ვერ იცილებენ დამცირებას. შიიტები ძალზე გამობრძმედილი ხალხია. სუნიტებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოირჩევიან მორჩილი ხასიათით, შიიტები ოპოზიციაში უდგებიან ხელისუფლებას, რომელიც მუჰამედის შემდეგ ძალზე ქედმაღალი და სიმდიდრის მოყვარული გახდა, გამოდიან არსებული ორთოდოქსული წესების წინააღმდეგ და ამიტომ, ცხადია, მუსულმანურ სამყაროში ამას ვერავინ შეეგუება.

თანდათან იწყებენ უსაფრთხო ადგილების ძებნას, რომელიც მათ გადარჩენის მეტს შანსს მისცემთ. იმ დროს, როდესაც ადამიანთა შორის კომუნიკაციური კავშირები უაღრესად ნელა და რთულად ვითარდებოდა, სივრცე და სიშორე, გამყოფი კედლის მეტად შედეგიან როლს თამაშობდა. ამიტომ შიიტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება დაშორებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას (რომელიც ჯერ დამასკოში, ხოლო მოგვიანებით — ბაღდადში იმყოფებოდა). მალე ისინი მთელ მსო-

ფლიოს მოედებიან, დახეტიალობენ უდაბნოსა და მთებში, იმალებიან მიწისქვეშ. ამრიგად, წარმოსდგება მუსულმანურ სამყაროში დღემდე გადარჩენილი შიიტური დიასპორა. თავგანწირვის წარმოუდგენელი მაგალითებით, გაბედულობითა და სულის სიმტკიცით სავსე მათი ეპოპეა, ცალკე წიგნის მიძღვნას იმსახურებს.

მოხეტიალე შიიტების ნაწილი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, გადალახა ტიგროსი და ევფრატი, გადავიდა ზაგროსის მთაზე და სპარსეთის ზეგანის უდაბნოს მიადგა.

ამ დროს სპარსეთი უკვე ბიზანტიასთან საუკუნოვანი ბრძოლით ქანცგაცლილი და გამოფიტული, არაბებს ჰყავდათ დაპყრობილი. ამ უკანასკნელთ სურდათ სპარსელების გამუსლიმანება, რასაც სპარსელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ ამ ქვეყნის გამაჰმადიანება ნელი ტემპით, საშინელი ბრძოლის გზით მიდიოდა. იმ დროს სპარსელთა ოფიციალური რელიგია (ზოროასტრიზმი) გაბატონებულ რეჟიმთან (სასანიდების) იყო დაკავშირებული. ახლა კი არაბები ცდილობდნენ სხვა ოფიციალური რელიგია — სუნიტური ისლამი თავზე მოეხვიათ. მოკლედ, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ დროს: ჯერ არ იყო ძმარიო და ზედ დაასხეს წყალიო.

მაგრამ ზუსტად ამ დროს სპარსეთში გამოჩნდნენ ღარიბი, უბედური შიიტები, რომელთა სახეზეც მთელი განცდილ-გადატანილი ცხოვრება იკითხებოდა. სპარსელებმა გაიგეს, რომ ეს შიიტები მუსულმანები იყვნენ, ამასთან (როგორც ამას ისინი თავად ამტკიცებენ) ერთადერთი მართლმადიდებელი მუსულმანები, წმინდა და შეუბღალავი რწმენის მქონენი, რომლისთვისაც თავის დადებასაც არ მოერიდებოდნენ — კეთილი, ეკითხებიან სპარსელები, მაგრამ ეს თქვენი ძმები არაბები, რომლებმაც ჩვენ დაგვიპყრეს, რა რწმენის არიან? — ძმები? — უკმაყოფილოდ პასუხობენ შიიტები, — ესენი ხომ სუნიტები არიან, უზურპატორები, ჩვენი მტანჯველები. მათ მოკლეს ალი და ხელისუფლება მიითვისეს. არა, ჩვენ მაგათ არ ვცნობთ. მათ მიმართ ოპოზიციაში ვართ.

ამის შემდეგ შიიტები ინტერესდებიან, თუ შეუძლიათ მცირე ხნით აქ გაჩერება და სულის მოთქმა გრძელი და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ. თანაც ჭიქა წყალს ითხოვენ.

ფეხშიშველა მოხეტიალეთა ასეთმა განცხადებამ ირანელთა აზრს სრულიად სხვა მიმართულება მისცა. მათი ფიქრით — შესაძლებელია იყო მუსულმანი, მაგრამ არაა აუცილებელი რეჟიმის მომხრეც გახდე. უფრო მეტიც: იქიდან, რასაც ისინი ამბობენ, გამომდინარეობს, რომ შეიძლება ოპოზიციაშიც კი ედგე მათ. და ასეთ შემთხვევაში საუკეთესო მუსულმანიც კი ხარ! ეს ღარიბი და დაჩაგრული შიიტები სპარსელებს მოეწონებათ. ამ დროს სპარსელებიც მათსავით ღარიბი და დაჩაგრულები იყვნენ. ქვეყანა ომებისაგან განადგურებული იყო და უცხოელებს ჰყავდათ დაპყრობილი. ამიტომ მალე იპოვეს საერთო ენა შიიტებთან, რომლებიც თავშესაფარს თხოვდნენ და მათი სტუმართმასპინძლობის იმედი ჰქონდათ. სპარსელები იწყებენ შიიტთა ქადაგების მოსმენას და ბოლოს მათი რწმენა მიიღეს კიდეც.

ამ სწორ მანევრში, რომელიც სპარსელებმა განახორციელეს, ჩანს მთელი მათი ინტელიგენტურობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის

გამოხატულება, მიუხედავად იმისა, რომ დაპყრობილ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ასობით წელი სპარსეთი უცხო ქვეყნების აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა. საუკუნეების მანძილზე მას ან უცხო მართავდა ან თავისი, რომელიც უცხო ძალების ძალისხმევით იყო ამ ქვეყნის ტახტზე დასმული. მიუხედავად ამისა, მაინც შეინარჩუნა კულტურა და ენა, განუმეორებლობა და იმდენი სულიერი ძალა, რომ ყოველ მესაფერის შემთხვევაში ფენიქსივით ფერფლიდან ამდგარიყო და ძალა მოეკრიბა.

თავისი ისტორიის ოცდახუთი საუკუნის მანძილზე სპარსელები ადრე თუ გვიან, ყოველთვის, უკუაგდებდნენ ხოლმე ყველა დამპყრობელს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მორჩა, უკვე შეუძლიათ მართონ სპარსეთი, როგორც მოესურვებათ. ზოგჯერ მიზნის მისაღწევად სპარსელები აჯანყებასა და რევოლუციას მიმართავდნენ და ბევრ სისხლსაც ღვრიდნენ, ხოლო ზოგჯერაც პასიური წინააღმდეგობის მეთოდებს არჩევდნენ, ამასთან, უჩვეულოდ თანმიმდევრულსა და უკიდურესს. როდესაც ხელისუფლების ატანა მეტად ნამდვილად აღარ შეეძლოთ, მთელი ქვეყანა ყუჩდებოდა, ხალხი თითქოს ქრებოდა, გეგონებოდათ მიწამ უყოთ პირიო. ხელისუფლება ბრძანებებს გასცემდა, მაგრამ არავინ უსმენდა, შუბლს იჭმუხნიდა, ყვიროდა, მაგრამ მისი ყვირილი ჰგავდა ხმას მღაღადებლისას უდაბნოსა შინა. და მაშინ ხელისუფლება იშლებოდა, როგორც ქვიშის სახლი. ამ გზით სპარსელები ახერხებდნენ წინააღსდგომოდნენ მომხვდურთა ყოველგვარ მცდელობას მათი ასიმილიზაციის, ჩაყლაპვის და ამ ერის პირისაგან მიწისა გაქრობის თაობაზე.

სპარსელები მაშინაც ასე მოიქცნენ, როდესაც ისინი არაბებმა დაპყრეს. — გსურთ ისლამი მივიღოთ? — ეკითხებოდნენ ისინი თავიანთ დამპყრობს — კეთილი, გავხდებით მუსულმანები, ოღონდ ჩვენი, ეროვნული ფორმით. ეს იქნება რწმენა, მაგრამ სპარსული, რომელიც გამოხატავს ჩვენს ეროვნულ სულს, კულტურას და დამოუკიდებლობას. აი, ეს ფილოსოფია უდევს საფუძვლად სპარსელთა გადაწყვეტილებას, რომლებიც ისლამს აღიარებენ. — მას მივიღებთ, მაგრამ შიიტური ფორმით (რომელიც ამ დროს არის დამონებულთა და დაჩაგრულთა რწმენა, წინააღმდეგობის გაწევის იარაღი), — ეუბნებოდნენ ისინი დამპყრობთ.

ამრიგად, შიიტიზმი გახდა სპარსელთა არა მხოლოდ ეროვნული იარაღი, არამედ მათი თავშესაფარიც, ეროვნული გადარჩენის და ასევე, — როცა ამის დრო დადგება — ბრძოლისა და გამარჯვების ფორმაც.

ამრიგად, სპარსეთი გადაიქცა მუსულმანური იმპერიის ყველაზე მოუსვენარ პროვინციად. აქ გამუდმებით შეთქმულებებს ამზადებდნენ, აჯანყებებს აწყობდნენ, საიდუმლო პროკლამაციებს თუ წერილებს ავრცელებდნენ. ოკუპაციური ხელისუფლება — არაბი გუბერნატორები მიმართავდნენ დაშინების ათასგვარ ფორმას, აწიოკებდნენ ხალხს, მაგრამ შედეგები იმის საპირისპირო იყო, რაც სურდათ, რომ ყოფილიყო. ტერორის საპასუხოდ სპარსელი შიიტები იწყებენ ბრძოლას, ოღონდ არა მახვილით, საამისოდ ისინი ჯერ ძალიან სუსტები იყვნენ. ამიერიდან შიიტური საზოგადოების ბრძოლის ერთ-ერთი ელემენტი ტერორიზმი

გახდა. ისინი აყალიბებდნენ კონსპირაციულ, მცირე, მაგრამ ისეთ ჯგუფებს, რომელთაც არ იცოდნენ, რა არის შიში და შებრალება. მათ მთელი სპარსეთი ძრწოლაში მოჰყავდათ. ამ ქვეყანაში მომხდარი მკვლელობების ნახევარი, რომელსაც აიათოლებს მიაწერდნენ, სწორედ მათი ნახელავია. მიჩნეულია, რომ მსოფლიო ისტორიაში შიიტები იყვნენ პირველები, ვინც შექმნეს თეორია და პრაქტიკაში განახორციელეს ინდივიდუალური ტერორის, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა.

ისევე, როგორც ყოველ საზოგადოებას, რომელიც გეტოშია გამომწყვდეული და გადარჩენისათვის უნდა იბრძოლოს, შიიტებსაც ახასიათებთ რელიგიური მგზნებარება, ორთოდოქსულობა, თავიანთ რწმენაზე ფანატიკური ზრუნვა და მისი დაცვა. დევნილმა ადამიანმა, თავი რომ გადაირჩინოს, უნდა შეინარჩუნოს ურყევი რწმენა თავისი არჩევანის სისწორისადმი და თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს იმ ღირებულებებს, რომელთა გამოც მან ეს რწმენა აირჩია. ამიტომ შიიტიზმის ყველა მიმდინარეობას (ასეთი კი მრავალია) ერთი ძირითადი რამ ახასიათებს — ყველა ისინი ულტრამემარცხენეებია. ყოველ დროში მოიძებნებოდა ფანატიკოსთა რაღაც ჯგუფები, რომლებიც უტევდა დანარჩენ მორწმუნეებს და მათ რწმენის განელებაში, რწმენის მოთხოვნების შეუსრულებლობაში, ოპორტუნიზმში ადანაშაულებდა. შედეგად ძდებოდა მორწმუნეების გახლეჩა, მათ შორის ყველაზე მგზნებარენი ხელს იარაღს სტაცებდნენ და ისლამის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ (ხშირად თავადაც იხოცებოდნენ), რათა სისხლით გამოესყიდათ თავიანთი განდგომილი ძმების გამყიდველობა.

ირანელი შიიტები მიწისქვეშ, კატაკომბებში რვაასი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ. მათი არსებობა გვაგონებს რომში მცხოვრებ ქრისტიანთა უბედურებასა და ტანჯვას, რომელთაც ლომებს უგდებდნენ რომაელები დასაფლეთად. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ მცირე ხანიც და მათგან აღარავინ გადარჩება, რომ მათ სრული განადგურება ელით. ისინი წლობით მთებს აფარებენ თავს, ცხოვრობენ გამოქვაბულებში და შიმშილით იხოცებიან. იმ დროიდან შემორჩენილი მათი სიმღერები სავსეა ნაღველითა და მწუხარებით, სამყაროს დასასრულის წინასწარმეტყველებით.

მაგრამ დგება მშვიდობიანი წლებიც და მაშინ ირანი ისლამურ სამყაროში ყველა ოპოზიციონერის თავშესაფარი ხდება. ყველა ასეთი ადამიანი იქით მიიწევს, რათა დევნას გადაურჩეს. ამასთან შიიტს ნება ეძლევა დროებით, თავის მოსაჩვენებლად იმ დროს გაბატონებული რეჟიმის რელიგია მიიღოს (ამას ტაგია ეწოდება), თავი იმ რელიგიის მიმდევრად გამოაცხადოს, რათა თვითონაც გადარჩეს და ახლობლებიც გადაარჩინოს. მას შეუძლია ასევე მოწინააღმდეგის დაბნევის, დეზორიენტაციის მეთოდს (კიტმანი) მიმართოს, ეს შიიტს ნებას რთავს საშიშროების შემთხვევაში ყველაფერი უარყოს, რაც წუთის წინ გააკეთა ან თქვა, მტერს თავი გიჟად მოაჩვენოს და სხვ.

ამიტომ შუა საუკუნეების სპარსეთი ყოველი ჯურის არამზადის, ყაჩაღის, წინასწარმეტყველის, მისტიკოსის, მკითხავის სამშობლოდ იქცა, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ ყოველი მხრიდან, ქადაგებდნენ, ლოცულობდნენ და კრებებს მართავდნენ. ეს ყველაფერი სპარსეთში ქმნიდა

ამ ქვეყნისათვის ასე დამახასიათებელ რელიგიური ეგზალტურობისა და მისტიურობის ატმოსფეროს.

— სკოლაში ძალზე რელიგიური ვიყავი, — მეუბნება ირანელი, — და ყველა ბავშვს სჯეროდა, რომ ჩემი თავი ბრწყინვალე შარავანდედით იყო შემოსილი.

ახლა წარმოიდგინეთ ევროპელი ქვეყნის მეთაური, რომელიც ასეთს შემდეგ ამბავს მოუყვება: იგი ცხენით მიდიოდა და უფსკრულში გადაიჩეხა, მაგრამ მყის გამოჩნდა ანგელოზი, ჰაერში ხელი სტაცა და სიკვდილს გადაარჩინა. წარმოუდგენელია, არა? ზუსტად ასეთ ისტორიებს ჰყვება შაჰი თავის წიგნში, რომელსაც ყველა ირანელი დიდი გულისყურით კითხულობს. სასწაულის რწმენა ირანელს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი. მას სჯერა მკითხავების, გამოცხადების, სულ სხვაგვარად აღიქვამს ციფრებს, სიმბოლოებსა და ნიშნებს.

XVI საუკუნეში საფანიდების სპარსული დინასტიის მეთაურებმა შიიტიზმი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადეს. ახლა შიიტიზმი, რომელიც ოპოზიციური ხალხის იდეოლოგია იყო, ოპოზიციური სახელმწიფოს — სპარსეთის იდეოლოგია გახდა, რომელიც ანტაგონისტურ ურთიერთობაშია ოტომანთა იმპერიასთან. მაგრამ დროის გასვლასთან ერთად მონარქსა და შიიტურ ეკლესიას შორის ურთიერთობა თანდათან იძაბება და ფუჭდება.

საქმე იმაშია, რომ შიიტები არა მხოლოდ ხალიფების ხელისუფლებას უარყოფენ, არამედ უარყოფენ ყოველგვარ ხელისუფლებას და მათ შორის, სამოქალაქოსაც. სპარსეთი იქცევა უნიკალურ ქვეყნად, რომელშიც საზოგადოებას მხოლოდ თავისი რელიგიური მეთაურების — იმამების სწამს და სჯერა.

აქ უკვე მივადექით შიიტიზმის არსებით დოქტრინას, მისი მიმდევრების რწმენის მთავარ აქტს. შიიტები, რომლებსაც არავითარი შანსი არ გააჩნიათ, იმისა, რომ ხალიფატი შექმნან, ხალიფებს ერთხელ და სამუდამოდ შეაქცევენ ზურგს და იმ დროიდან მოყოლებული მხოლოდ საკუთარი რწმენის იდეოლოგებს — იმამებს სცნობენ და აღიარებენ.

პირველი იმამია ალი, მეორე და მესამე მისი ვაჟები — ჰასანი და ჰუსეინი და ასე შემდეგ, მეთორმეტე იმამამდე. ამ იმამთაგან არც ერთი არ მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით, ისინი ხალიფებმა გაგუდეს ან მოწამლეს, რადგან მათში ძლიერი ოპოზიციის მეთაურებს ხედავდნენ. მაგრამ შიიტებს სწამთ, რომ ბოლო იმამი — მუჰამედი, კი არ მომკვდარა, არამედ გაქრა უდიდესი მეჩეთის სამარის (ეყაყი) ხვრელში. ეს უნდა მომხდარიყო 878 წელს. შიიტებს სწამთ, რომ სანატრელი და ადამიანთა თვალს მიფარებული იმამი, რომელსაც ასე ელიან, მათ გამოეცხადებათ შესაბამის დროს, როგორც მაჰდი (ღმერთის მიერ მოგვრილი) და დედამიწაზე სამართლიანობის სამეფოს დაამკვიდრებს. შემდეგ სამყაროს დასასრული დადგება.

შიიტებს ღრმად სწამთ, რომ თუ ის იმამი არ იარსებებდა, სამყარო წყვდიადში შთაინთქებოდა. სწორედ ის იმამია შიიტების სულიერი ძალის წყარო, ისინი ამ რწმენით ცოცხლობენ და ამ რწმენით იხოცებიან. ეს არის ძალზე გასაგები ადამიანური სურვილი და მონატრება იმ საზოგადოებისა, რომელიც ასე გატანჯულა მთელი თავისი ისტორიის

მანძილზე. ის ამ იდეაში ჰპოვებს მცირეოდენ შვებას და უპირველეს ყოვლისა — ცხოვრების აზრს.

— არ ვიცით, როდის გამოგვეცხადება ის, მაგრამ შეიძლება მოვიდეს დღეს, ყოველ წუთში, აი, ახლაც კი. მაშინ სამდგომლად შეაშრებათ ადამიანებს ცრემლი და იგი ყველას თავის ადგილს მიჩენს უსვად გაწყობილ მაგიდასთან, — ამბობენ შიიტები.

მხოლოდ ბოლო იმამია ის ბელადი, რომელსაც ყველა შიიტი უსიტყვოდ დაემორჩილებოდა. ამ უკანასკნელთა წარმოდგენაში იმამთან შედარებით გაცილებით დაბალ რელიგიურ საფეხურზე დგას აიათოლა და კიდევ უფრო ქვევით — შაჰი. საპირისპიროდ ბოლო სანატრელი იმამისა, რომელიც შიიტებს გაკულტებული ჰყავთ და თაყვანს სცემენ, უბრალოდ იძულებული არიან შაჰი მოითმინონ და აიტანონ.

შაჰიდების დროიდან სპარსეთში არსებობდა ორხელისუფლებიანობა — მონარქისა და ეკლესიის. ამ ხელისუფლებათა შორის ურთიერთობა სხვადასხვა დროს განსხვავებულია, მაგრამ არასოდეს ყოფილა თბილი და მეგობრული. ამასთან, თუ ამ ძალებს შორის წონასწორობა დაირღვევა, მაგალითად, თუ შაჰი მოიწადინებს თავისი ხელისუფლება ტოტალურად თავს მოახვიოს ხალხს (მით უმეტეს, უცხო სახელმწიფოს დახმარებით), მაშინ ის მეჩეთების ირგვლივ იყრის თავს და ბრძოლას იწყებს.

მეჩეთი შიიტებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ რელიგიური კულტის ადგილი. ის არის ასევე თავშესაფარი, სადაც შიიტს შეუძლია სიცოცხლეც კი გადაირჩინოს. ეს იმუნიტეტით დაცული ტერიტორიაა, რომელზეც ხელისუფლების ძალა და გავლენა არ ვრცელდება. უძველესი დროიდან ირანში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პოლიციისაგან დევნილი დამნაშავე თუ მეჩეთში შეაფარებდა თავს — გადარჩებოდა, მას იქიდან უკვე ვერავინ გამოიყვანდა (ასე იყო უძველეს, კლეოპატრას დროინდელ ეგვიპტეშიც. თუ დამნაშავე მდევარს ტაძარში შეასწრებდა, გადარჩენილი იყო — ა. გ.).

ქრისტიანული ეკლესიისა და მეჩეთის კონსტრუქციას შორისაც ვხედავთ არსებით განსხვავებას. ეკლესია დახურული ტიპის ნაგებობაა, ლოცვის, დაფიქრების და დუმილის ადგილი. თუ ვინმე აქ ლაპარაკს დაიწყებს, სხვები მას ყურადღებას მიაქცევენ. მეჩეთში სხვაგვარადაა მოწყობილი. მის უდიდეს ნაწილს გახსნილი ეზო წარმოადგენს, სადაც შეიძლება ლოცვა, მაგრამ ასევე სეირნობა, ერთმანეთს შორის კამათი და სერიოზული ყრილობის გამართვაც კი. აქ პოლიტიკური და სხვა სახის ცხოვრებაც მიმდინარეობს. ირანელი, რომელსაც სამსახურში ყოველ წუთს აკონტროლებენ, დაწესებულებებში მობუზღუნე მოხელეებთან უწევს ურთიერთობა, წვრილმანი საქმის მოგვარებისთვისაც კი მისგან ქრთამს რომ მოელიან, და ყველგან პოლიცია ჰყავს ჩასაფრებული, მეჩეთში მიდის, რათა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა მოიპოვოს და თავისი ადამიანური ღირსება დაიბრუნოს. აქ არავინ არავის დაჩაგრავს, ვერ დაამცირებს, იერარქია ქრება, ყველანი ერთმანეთის ძმები, თანასწორნი არიან. მეჩეთი ის ადგილია, სადაც ადამიანები ამა თუ იმ საკითხზე, მოვლენაზე, ერთმანეთის აზრს ეცნობიან. ამას ადამიანისათვის გარკვეული შვება მოაქვს და ამიტომ მისთვის იქ სიარული მოთხოვნილებადაა ქცეული.

იმის მიხედვით, როგორ მოუჭერს დიქტატორი თავის ბორკილებს ქვეშევრდომებს, მეტი დუმილი ისადგურებს სამსახურებსა და ქუჩაში, ხოლო მეჩეთი ივსება ხალხით და აქ გაცხოველებული კამათი იმართება. თუმცა ყველა როდია მგზნებარე მუსულმანი, ყველა როდი მოუყვანია აქ ღვთისადმი ღაღადის დაუოკებელ სურვილს; უბრალოდ [illegible] დიან იმისათვის, რომ შვებით ამოისუნთქონ, ადამიანად იგრძნონ [illegible]

მეჩეთის ტერიტორიაზე სავაკსაც კი ეზღუდებოდა მოქმედების რადიუსი. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იგი აპატიმრებდა და აწამებდა მრავალ სასულიერო პირს, რომლებიც აშკარად აკრიტიკებდნენ შაჰის ზღვარდაუდებელ მმართველობას. მან წამებით მოკლა აიათოლა საიდი. ეს უკანასკნელი ელექტრონულ სკამზე დასვეს. ხოლო აიათოლა აზარშარი სავაკოელებმა ადუღებული ზეთით სავსე კასრში ჩააგდეს. აიათოლა ტელეჰამი კი გამოვიდა ციხიდან, მაგრამ ისეთი ნაწამები იყო, რომ მცირე ხანს იცოცხლა. მტარვალებმა მის თვალწინ ქალიშვილი გააუპატიურეს. ტელეჰამი თვალებს ხუჭავდა, არ უნდოდა ჯალათებისათვის ეყურებინა. სავაკოველებმა წამწამები ამოუწვეს, რომ თვალები სულ გახელილი ჰქონოდა და არაფერი გამორჩენოდა მხედველობიდან. ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ კი არა, ჩვენი საუკუნის სამოცდაათიან წლებში ხდებოდა.

შაჰი თავისი მოქმედებებით მეჩეთის მიმართ დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა. ერთი მხრივ იგი დევნიდა სულიერ ოპოზიციას, მეორე მხრივ, დიდი პოპულარობის მოპოვება სურდა და თავი მგზნებარე მუსლიმანად მოჰქონდა, მთელ მსოფლიოში წმინდა ადგილების მოსანახულებლად დადიოდა, მხურვალედ ლოცულობდა, მოლებს დალოცვას სთხოვდა. აბა აშკარად როგორ გამოუცხადებდა ომს მეჩეთებს?

მაგრამ სხვა მიზეზიც იყო, რისთვისაც მეჩეთი შედარებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა. ამერიკელები, რომლებიც ფაქტობრივად მართავდნენ შაჰს (რასაც მონარქისათვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა, რადგან ისინი არ იცნობდნენ ირანელებს და ბოლომდე ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში), მიიჩნევდნენ, რომ მოჰამედ რეზას ერთადერთი მოწინააღმდეგე, შეურიგებელი მტერი პარტია ტუდეჰი და კომუნისტები იყვნენ. ამიტომ, სავაკმა სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართა მთელი თავისი საბრძოლო არსენალი. მაგრამ იმ დროს კომუნისტები მთლიანად მოსპეს, ან აწამეს და დააჩუმეს, ზოგიც აიძულეს, ემიგრაციაში წასულიყო.

შაჰის რეჟიმი ისე გაერთო არსებული თუ გამოგონილი კომუნისტების დევნით, რომ ველარც შენიშნა, იმავდროულად სრულიად სხვა ადგილას და სხვა ლოზუნგებით როგორ წამოიზარდა ახალი ძალა, რომელმაც დიქტატურა დაამხო კიდეც.

(სხვათაშორის, ცნობილი ირანელი პოლიტოლოგი, ემიგრანტი, სტანფორდის უნივერსიტეტის პროფესორი აბას მილანი კითხვაზე — როდის გაძლიერდნენ ფუნდამენტალისტები, მაშინ როდესაც „ცივი ომის" დროს ავტორიტეტული რეჟიმები მაჰმადიანურ ქვეყნებში უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულიო? — პასუხობს: აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად ასეა. ირანის შაჰს მიაჩნდა, რომ მისი ხელისუფლებისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას კო-

შიიტები მეჩეთში იმიტომ დადიან, რომ ის ყოველთვის მეზობლად, გზაზე დგას. მარტო თეირანში ათასამდე მეჩეთია. ტურისტის გამოუცდელი თვალი ალბათ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, ქალაქის ცენტრში მდგარ შედარებით მოზრდილ მეჩეთს შეამჩნევს. გარეუბნებში მეჩეთები გაცილებით უბრალო ნაგებობებია, რომელთაც [illegible] მდგარი ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლისაგან [illegible] ვერ გამოარჩევს ადამიანი. ისინი ისევე ნეხვში შეზელილი თიხითაა აშენებული, როგორც დანარჩენი სახლები. ეს ქმნის საოცრად ინტიმურ ატმოსფეროს შიიტსა და მეჩეთს შორის. არაა საჭირო გრძელი გზა გაიარო მეჩეთში მისასვლელად, არაა აუცილებელი სპეციალურ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოეწყო, მეჩეთი შიიტის ყოველდღიურობაა, თავად ცხოვრებაა.

პირველი შიიტები, რომლებმაც სპარსეთამდე ჩააღწიეს, წვრილი ქალაქელი ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. ისინი იკეტებოდნენ გეტოში, სადაც აშენებდნენ მეჩეთს, ირგვლივ კი სახელოსნოები იწყებდნენ მუშაობას და პატარა მაღაზიები იხსნებოდა. ვინაიდან მაჰმადიანმა ლოცვამდე უნდა დაიბანოს, იქვე აშენდა და ამუშავდა აბანოები. მაჰმადიანს სურს ჩაი ან ყავა დალიოს ლოცვის შემდეგ და ცოტა რაიმე შეჭამოს კიდეც — ამიტომ აქვე, სიახლოვეს გაიხსნა რესტორანი თუ კაფე. ამრიგად, წარმოსდგა სპარსული ქალაქური პეიზაჟი — ბაზარი (სწორედ ამ სიტყვით აღინიშნება მხიარული, ყაყანა, ბრბოს შეგროვების, ერთგვარად მისტიკური სავაჭრო-სამომხმარებლო ადგილი). თუ მაჰმადიანი ამბობს, ბაზარში მივდივარო, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ხელში ჩანთას აიღებს, სადაც ნაყიდ პროდუქტს ჩააწყობს. ბაზარში შეიძლება წახვიდე, რათა შეხვდე მეგობრებს, მოილაპარაკო რაიმე საქმეზე, დაჯდე კაფეში. შეიძლება ასევე მოისმინო ახალი ჭორები და ოპოზიციის შეკრებაზეც კი მიიღო მონაწილეობა. ყველაფერ ამას მოახერხებ ერთ ადგილას, ბაზარზე — არ არის საჭირო ქალაქში სირბილი,

---

მუნისტები და ლიბერალური დემოკრატები წარმოადგენდნენ. ამიტომ ისლამისტ ფუნდამენტალისტებს, როგორც მოკავშირეებს, ისე ეპყრობოდა. 1970-1975 წლებში ირანში გაცილებით მეტი მეჩეთი აშენდა, ვიდრე ოდესმე. ჯერ კიდევ წელიწადნახევრით ადრე, ვიდრე რევოლუცია მოხდებოდა, — ამბობს მილანი, — ციხეში მოლებთან, რომლებმაც შემდეგ რევოლუცია მოახდინეს, ერთად ვიჯექი. იქ მოვიდნენ სავაკელები და მოლებს შესთავაზეს, აქედან გაგიშვებთ, თუკი მემარცხენეებს ისევე აქტიურად შეებრძოლებით, როგორც ჩვენ გვებრძოდითო. შაჰს სულ სჯეროდა, რომ მოლები მისი მოკავშირეები იყვნენ! გარდაცვალების წინ, 1980 წელს იგი კვლავ იმეორებდა, რომ რევოლუცია კომუნისტებმა მოუწყვეს. ცხადია, შაჰს ეზიზღებოდა ჰომეინი, იჭერდა მასთან კავშირში შენიშნულ ყოველ ადამიანს, მაგრამ მოლათა უმეტესობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოქმედებდა — ლეგალურად ამზადებდა თავის კადრს, ხსნიდა ახალ-ახალ სასწავლებლებს, სადაც ახალგაზრდობას თეოლოგიას ასწავლიდნენ. დღეს ირანის ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების 4—5 სწორედ ამ სასწავლებლების მოსწავლეები არიან. — აგ. ო.).

შიიტი სულისა და სხეულის ყველა მოთხოვნილებას ბაზარზე დაიკმაყოფილებს.

აქაა ყველაფერი, რაც საჭიროა მიწიერი არსებობისათვის და ასევე ლოცვითა და მსხვერპლთშეწირვით სამუდამო ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

უხუცესი ვაჭრები, ტალანტით დაჯილდოებული მრეწველები ბაზრის მეჩეთის მოლები ბაზრის ელიტას ქმიან. მათ მოწოდებებს აზრებს მთელი შიიტური საზოგადოება უსმენდა, იზიარებდა და ითვალისწინებდა. ისინი ხომ როგორც ამქვეყნიური, ისე სამუდამო, ზეციური ცხოვრების თაობაზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. თუ ბაზარი გაიფიცებოდა და კარებს დაკეტავდა — შიიტები შიმშილით იხოცებოდნენ, მაგრამ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ ბაზრის ამ ნაბიჯს. აქედან გამომდინარე ბაზრისა და მეჩეთის კავშირი წარმოადგენს უძლიერეს ძალას, რომელსაც ხელეწიფება გაუმკლავდეს ნებისმიერ ხელისუფალს. სწორედ ასე მოხდა უკანასკნელი შაჰის დროსაც. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო — ბაზარმა მას განაჩენი გამოუტანა.

იმის კვალობაზე, თუ როგორ იკრებს ძალას ბრძოლა, შიიტები უფრო და უფრო მეტ მგზნებარებას იჩენენ. მათი ტალანტი ბრძოლაში გამოიხატება და არა შრომაში. დაბადებიდანვე უაღრესად ამაყი და გამოუსწორებელი ოპოზიციონერები სწორედ ბრძოლაში პოულობენ ცხოვრების აზრს, მოტივსა და გამართლებას.

სპარსელისათვის შიიტიზმი ყოველთვის ის იყო, რაც ჩვენი კონსპირატორისათვის სხვენში გადანახული ხმალი.

თუ ცხოვრება ასე თუ ისე გასაძლები იყო, სხვენში დამალული ძონძებში გახვეული ხმალი ელოდა თავის დროს. მაგრამ გაისმებოდა თუ არა საბრძოლო ყივილი, დადგებოდა თუ არა ჟამი, რომ პოლონელი სამშობლოს დასაცავად უნდა გამოსულიყო, დაიწყებდა ჭრიჭინს სხვენისაკენ მიმავალი კიბე, შემდეგ ცხენის ჭიხვინიც გაისმოდა, მისი ფლოქვები გაყრიდა ნაპერწკლებს და ბოლოს, ალესილი ხმალი ჰაერს სისინით გაკვეთდა.

რვეულიდან (7)

მაჰმუდ აზარი თეირანში 1977 წლის დასაწყისში დაბრუნდა. რვა წელიწადი ცხოვრობდა ლონდონში, სადაც წიგნების თუ სარეკლამო ტექსტების თარგმნიდან მიღებული შემოსავლით გაჰქონდა თავი. იგი ასაკოვანი, უცოლშვილო კაცია, რომელსაც მუშაობის შემდეგ ძალიან უყვარდა სეირნობა, თავის თანამემამულეებთან შეხვედრა და საუბარი, რომლის დროსაც ისინი უმთავრესად იმ სიძნელეებზე საუბრობდნენ, რასაც ინგლისელები განიცდიდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ სავაკს ლონდონშიც კი გაშვებული ჰქონდა თავისი საცეცები, ირანელები თავიანთ სამშობლოზე საუბარს ერიდებოდნენ.

1976 წლის ბოლოს მაჰმუდმა ერთი საერთო ნაცნობის საშუალებით ძმის რამდენიმე წერილი მიიღო. იგი წერდა, რომ ქვეყანაში საინტერესო დრო დგებოდა. მართალია, მაჰმუდს ეშინოდა ასეთი საინტერესო დროისა, მაგრამ ძმას მათ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა, ამიტომ თავისი ნივთები ჩემოდანში ჩაალაგა და თეირანში დაბრუნდა.

ქალაქის ცნობა მართლაც შეუძლებელი იყო.

ერთ დროს წყნარი, უდაბნოს ოაზისი, უაღრესად ხმაურიან ადგილად, ჭიანჭველების ბუდედ გადაქცეულიყო. ხუთი მილიონი ერთად შეყრილი ადამიანი ცდილობდა რაღაც გაეკეთებინა, ეჭამა, ეთქვა, სადღაც წასულიყო. მილიონი ავტომანქანა ისწრაფოდა, ვიწრო ქუჩაში სხვა მანქანისთვის გაესწრო, ისინი მოდიოდნენ მარცხნიდან და მარჯვნიდან, ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, ადგილ-ადგილ ქმნიდნენ საცობებს, სადაც იყო ერთი ყვირილი, გაწევ-გამოწევა, ლანძღვა-გინება, დილიდან საღამომდე გაუთავებელი ათასობით ავტომობილის სიგნალი.

მაჰმუდმა ისიც შენიშნა, რომ ადრე წყნარი და მშვიდი ირანელები ახლა პატარა მიზეზის გამოც კი ერთმანეთს შორის ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ და ყელში სწვდებოდნენ ხოლმე.

ეს ადამიანები მას აგონებდნენ რომელიღაც საკვირველ, სიურეალისტურ, გაორებულ მონსტრს, რომლის სხეულის ზოგიერთი ნაწილი უსმენდა და უჯერებდა ვიღაც ძლიერსა და გავლენიანს, ხოლო მეორე იმავდროულად იმისათვის იყო მოწოდებული, რომ ვიღაც, თავისზე უფრო სუსტი დაეჩაგრა, დაებეჩავებინა. როგორც ჩანდა, ეს მონსტრი მის შედეგად იძენდა რაღაც შინაგან წონასწორობას, თუმცა ძალზე საბრალოსა და უბადრუკს, მაგრამ აუცილებელს თავის გასამაგრებლად და გადასარჩენად.

იგი გარკვეულ საგონებელში ჩავარდა იმის გამო, რომ ასეთ მონსტრთან შეხვედრისას, თუ სწორად აუღებდა ალღოს, მისი სხეულის რომელი ნაწილები გააკეთებდნენ პირველად რეაგირებას — ისინი, რომლებიც სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, თუ ისინი, რომლებიც ძალზე აქტიურობდნენ სუსტის დაჩაგვრა-დამონებაში. მალე მიხვდა, რომ მჩაგვრელი ნაწილები გაცილებით აქტიურები იყვნენ, ისინი გამუდმებით წინ გამორბოდნენ და უკან მხოლოდ მნიშვნელოვანი გარემოებების გავლენით ბრუნდებოდნენ.

პირველი სეირნობისას იგი პარკამდე მივიდა. სკამზე დაჯდა, რომელზედაც უკვე ვიღაც კაცი იჯდა და შეეცადა მასთან საუბარი წამოეწყო. მაგრამ ორიოდე სიტყვა თქვა თუ არა, კაცი უსიტყვოდ წამოდგა და იქაურობას გაეცალა. შემდეგ მაჰმუდი სხვას გამოეცნაურა, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. უცნობმა მაჰმუდს ისეთი თვალით შეხედა, თითქოს გიჟი დაინახაო. მაჰმუდიც მოშორდა მას და სასტუმროში წავიდა, სადაც ცხოვრობდა ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ.

სასტუმროში შესვლისთანავე ადმინისტრატორმა უთხრა, რომ პოლიციაში უნდა გამოცხადებულიყო. მაჰმუდმა პირველად რვა წლის განმავლობაში იგრძნო რაღაც შიში. იგი ზუსტად ამ წუთს მიხვდა, რომ ესაა ის გრძნობა, რომელიც არ ბერდება. იგრძნო ზუსტად ისეთივე ცი-

ვი ოფლი და ფეხების ისეთივე დამძიმება, როგორც ეს ადრეულ წლებში მსგავს სიტუაციებში ემართებოდა ხოლმე.

პოლიცია ამავე ქუჩის ბოლოს ერთ ძველ, უბადრუკ შენობაში მდებარეობდა. მაჰმუდი შევიდა იქ და მოლუშულ, უხასიათო ადამიანებთან ერთად დაუწყო თავის რიგს ლოდინი. თხელი კედლის მეორე მხარეს პოლიციელები იყვნენ. დიდ, ჩახუთულ შენობაში სრული სიჩუმე-გამეფებულიყო: პოლიციელები გაზეთის კითხვით ერთობოდნენ, ხოლო რიგში მდგარი ადამიანებიდან ვერავის გაებედა სიტყვის თქმა ან უკმაყოფილების გამოხატვა. მალე, მაჰმუდისათვის რაღაც უცნობი მიზეზის გამო, პოლიციელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს გაზეთის კითხვა, სერიოზული სახე მიიღეს და უჯრებში დაიწყეს ქექვა.

— საიდან ამდენი თავხედობა? — დაფიქრდა მაჰმუდი.

როდესაც მისი რიგი მოვიდა, ანკეტა მიიღო, რომელიც ადგილზე უნდა შეევსო. იგი ყოველ გრაფაზე ყოყმანობდა და შენიშნა, რომ იქ მყოფნი ეჭვით შეჰყურებდნენ. ამით შეშინებულმა, სწრაფად, ნერვიულად, ბატიფეხურით დაიწყო წერა, თითქოს წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილიყო. გრძნობდა, როგორ დაუწყო ოფლმა შუბლზე და სახეზე დენა. ჯიბეში ცხვირსახოციც არ აღმოაჩნდა მის შესაშრალებლად.

ანკეტის შევსებისა და ჩაბარების შემდეგ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა პოლიციის შენობა. ქუჩაში ჩაფიქრებული მიდიოდა და კინაღამ წააქცია შემხვედრი გამვლელი. მან მაჰმუდს ხმამაღლა ჩხუბი დაუწყო. ირგვლივ ხალხი მოგროვდა. როგორც აღმოჩნდა, მაჰმუდმა ამ საქციელით დაარღვია კანონი, რომელიც კრძალავს ნებადაურთველად ხალხის ქუჩაში შეკრებას. მალე პოლიციელებიც გამოჩნდა. მაჰმუდი იძულებული იყო აეხსნა მისთვის, რომ ამ ადამიანს შემთხვევით დაეჯახა. რომ მთელი ამ ხმამაღალი კამათის მანძილზე მონარქიისა და შაჰის წინააღმდეგ არავის ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს. მიუხედავად ამისა, პოლიციელმა ჩაიწერა მისი სახელი, გვარი და თან ათასი რეალი გამოართვა.

სასტუმროში დათრგუნული დაბრუნდა.

უკვე კარგად აცნობიერებდა, რომ პოლიციას უკვე დაფიქსირებული ჰყავდა, თანაც ორჯერ. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, რა მოხდებოდა, თუკი ეს ჩანაწერი ვინმეს თვალში მოხვდებოდა. თუმცა მალე უკუაგდო იგი, რადგან ძნელი წარმოსადგენი იყო, ისეთ არეულობაში, როგორიც მაშინ ქვეყანაში არსებობდა, ასეთი ჩანაწერებისათვის ვინმეს ყურადღება მიექცია.

დილით ძმა ესტუმრა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მაჰმუდმა მას წინა დღით მომხდარი თავგადასავალი უამბო.

— უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ლონდონში დავბრუნებულიყავი? — იკითხა მან.

წლების წინ მაჰმუდის ძმა დიდ გამომცემლობას ხელმძღვანელობდა, რომელიც სავაკმა გაუკოტრა. ეს უკანასკნელი წიგნებს მხოლოდ მათი გამოცემის შემდეგ კითხულობდა. თუ წიგნი მის დაეჭვებას გამოიწვევდა, მთელი ტირაჟი უნდა განადგურებულიყო, ხოლო მისი ხარჯები გამომცემელს აწვებოდა ზურგზე. ამ გზით სავაკმა მარტო მაჰმუდის ძმის გამომცემლობა როდი გააკოტრა. აღნიშნულის გამო სხვა

გამომცემლობები, იმის შიშით, რომ სავაკის რომელიმე წიგნის დაბეჭდვის შემთხვევაში მასაც ასე არ მოექცეოდნენ, მხოლოდ მცირე ტირაჟით ბეჭდავდა წიგნებს — სულ რაღაც ათასი ეგზემპლარის ოდენობით და ეს 35 მილიონიან ქვეყანაში. „დიდი ცივილიზაციის" დროინდელი ბესტსელერი — „როგორ მოვუაროთ ავტომობილს" — ათასი ტირაჟით გამოვიდა, შემდეგ შეწყდა მისი ბეჭდვა. [illegible] ის იყო, რომ იმ თავებში, სადაც გაფუჭებულ საყვირზე, ცუდ ვინტილიზაციაზე და ა. შ. სხვა ტექნიკურ საკითხებზე იყო საუბარი, სავაკმა ქვეყნის ხელისუფლებაში არსებულ სიტუაციაზე მინიშნებად ამოიკითხა.

ძმას სურდა მაჰმუდთან საუბარი, მაგრამ მიუთითა ტელეფონზე, ლამის ნათურაზე, რადიოზე და უთხრა, რომ გარეთ გასულიყვნენ და ქუჩაში გაესეირნათ. ისინი ძველი, ჯაყჯაყა ავტომანქანით მთებისაკენ წავიდნენ. ცარიელ ქუჩაში შეჩერდნენ. მარტო იყო, თოვდა და ყინულივით ცივი ქარი ქროდა. ისინი ერთ დიდ ქვას მიეფარნენ და სიცივისაგან კანკალებდნენ.

(„მაშინ ძმამ მითხრა, რომ ირანში უნდა დავრჩენილიყავი, რადგან მალე რევოლუცია დაიწყებოდა და აქ ვიყავი საჭირო.

— რა რევოლუცია, გაგიჟდი? — გამიკვირდა. ყოველი მსგავსი არეულობა შოკში მაგდებს, არ მიყვარს პოლიტიკა. ყოველდღიურად იოგაში ვვარჯიშობ, პოეზიას ვკითხულობ და ვთარგმნი. რაში მჭირდება პოლიტიკა? მაგრამ ძმა მიმტკიცებდა, რომ მე არაფერი მესმის და სიტუაციაში გარკვევა დამიწყო. ამ შემთხვევაში უმთავრესად ვაშინგტონია გადამწყვეტი ფაქტორი, ჩვენი ბედი იქ წყდება. ვაშინგტონში კი ჯეიმს ბეიკერი ახლა ძირითადად ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობს. შაჰი ვერ შეძლებს ამის უგულებელყოფას! მან უნდა შეწყვიტოს ხალხის წამება, სატუსაღოში ჩამწყვდეული ადამიანები გამოუშვას და ცხოვრების დემოკრატიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები განახორციელოს. ეს კი დასაწყისისათვის საკმარისი აღმოჩნდება.

ჩემი ძმა ძალიან აღელვებული ჩანდა, ვაწყნარებდი, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ კაციშვილი არა ჩანდა. ამ შეხვედრის დროს მან რაღაც ტექსტი მომცა, რომელიც 200 გვერდზე მეტს შეადგენდა. ეს აღმოჩნდა ჩვენი მწერლის — ალი ასფარი ჯავადის მემორიალი — შაჰისადმი მიწერილი ღია წერილი. მასში ჯავადი წერდა ქვეყანაში გამეფებულ კრიზისზე, ირანზე უცხო ქვეყნების გავლენის გაძლიერებაზე, საბჭოთა კავშირზე მომხდარი სკანდალების თაობაზე, კორუფციაზე, ინფლაციაზე, რეპრესიებზე და ხალხის მორალურ დაცემაზე. ძმამ მითხრა, რომ ეს წერილი ხალხში ხელიდან ხელში გადადის და რადგან ირანელები მას ერთმანეთისაგან იწერენ, უკვე მრავალი ასლი ტრიალებს ქვეყანაშიო. ახლა ჩვენ იმას ველოდებით, თუ შაჰი როგორ რეაგირებას მოახდენს მასზე, ჯავადის დაიჭერენ თუ არა. მან ჯერჯერობით ტელეფონით მიიღო მუქარა, მეტი არაფერი. იგი ჩვეულებრივად დადის კაფეში, ისე რომ, გექნება შესაძლებლობა მას გამოელაპარაკო. მე უარი ვთქვი ამაზე და ვუთხარი, რომ მეშინია იმ ადამიანთან საუბარი, რომელიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობს").

ამის შემდეგ ქალაქში დაბრუნდნენ. მაჰმუდი სასტუმროს ოთახში ჩაიკეტა და მთელი ღამის განმავლობაში მემორიალს კითხულობდა. ჯავადი შაჰს იმაში ადანაშაულებდა, რომ მან ჩაკლა, გაანადგურა ერის სული. ყოველი ახალი და საღი აზრი ითრგუნება, — წერდა იგი, — ხოლო ჩვენი საზოგადოების ყველაზე გამოჩენილი ადამიანები ციხეში სხედან. კულტურა გისოსებს იქით აღმოჩნდა ან იძულებული [illegible] ტაკქვეშეთში წასულიყო. ჯავადი შაჰს აფრთხილებდა, რომ პროგრესის განმსაზღვრელად ტანკებისა და მანქანების რაოდენობა არ გამოდგებოდა. პროგრესის განმსაზღვრელია ადამიანი, მის მიერ თავისუფლებისა და ღირსების შეგრძნებაო. მაჰმუდი წერილს კითხულობდა და თან ყურადღებით იყო, დერეფანში ხომ არავინ მოდისო.

მეორე დღეს მაჰმუდი იმაზე ფიქრით გაიტანჯა, რა ექნა ტექსტისათვის. ბოლოს თან წაიღო, რადგან არ უნდოდა ოთახში დატოვება. მაგრამ ქუჩაში სიარულისას იმაზე დაფიქრდა, რა შეიძლება მომხდარიყო, თუ ვილაცის ყურადღებას მიიპყრობდნენ და ეჭვს აღუძრავდნენ. ამიტომ გაზეთი იყიდა და მემორიალი მასში შეახვია. მიუხედავად ამის, ძალზე ეშინოდა ნებისმიერ წუთს არ გაეჩერებინათ და არ გაეჩხრიკათ. განსაკუთრებით სასტუმროს ადმინისტრატორის წინ გავლის ეშინოდა: ხომ შეიძლება ეფიქრა, რა დააქვს ამ კაცს ილლიაში ამოდებულიო. ყოველ შემთხვევაში, მაჰმუდმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება იშვიათად გასულიყო ქუჩაში.

მაჰმუდმა თანდათან თავისი ძველი, სტუდენტობის დროინდელი მეგობრების მოძებნა დაიწყო. სამწუხაროდ, მათი ნაწილი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ბევრიც ემიგრაციაში წასულიყო, ზოგიც — ციხეში იჯდა. ბოლოს ზოგიერთი მათგანის მისამართი მაინც დაადგინა. იგი წავიდა უნივერსიტეტში, სადაც ალი (მუსულმან შიიტთა უმრავლესობას თავიანთ წინასწარმეტყველთა სახელი ჰქვიათ. ალი მაინც განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი სიმრავლით — ა. გ.) კაიდის შეხვდა, ვისთან ერთადაც წლების წინათ დადიოდა მთებში სალაშქროდ, კაიდი ბოტანიკის პროფესორი გამხდარიყო, უხეშფოთლიანი მცენარეების განხრით. მცირე საუბრის შემდეგ ალიმ უთხრა, რომ მას ახლა მხოლოდ ბოტანიკა აინტერესებდა. შემდეგ საუბარი იმაზე დაიწყო, რომ იქ, სადაც უხეშფოთლიანი მცენარეები ხარობენ, ადგილები თავისებური კლიმატით გამოირჩევაო. კერძოდ, ზამთრობით იქ ხშირი წვიმები იცის, ხოლო ზაფხული მშრალი და ცხელიაო და ამ თემაზე კიდევ გააგრძელა საუბარი.

მაჰმუდმა, რომელიც მაინც და მაინც ვერ ერკვეოდა ამ საგანში, პირდაპირ ჰკითხა მეგობარს, არის თუ არა მოსალოდნელი ქვეყანაში სერიოზული მოვლენებიო. კაიდი კარგა ხანს ფიქრობდა და შემდეგ საუბარი კვლავ იმაზე გააგრძელა, როგორი მშვენიერი გვირგვინი აქვს ატლანტიკის კედარს (Cedrus atlantica). მერე კი ისა თქვა — ამ ბოლო დროს მივაკვლიე ჰიმალაის კედარს (Cedrus deodara), რომელიც ჩვენთან იზრდება და, მერწმუნე, ის კიდევ უფრო ლამაზიაო!

რამდენიმე დღის შემდეგ მაჰმუდმა მეორე მეგობარი ნახა, ვისთან ერთადაც სკოლაში სწავლობდა და პიესის ერთად დაწერასაც ცდილობდნენ. ეს უკანასკნელი ახლა ქალაქ ყარაჯის მერად მუშაობდა. მასთან

ერთად საუკეთესო რესტორანში სადილობისას მაჰმუდმა მას საზოგადოების განწყობილების შესახებ ჰკითხა. მაგრამ მერს ეტყობოდა, ამ თემაზე საუბრის სურვილი არ ჰქონდა. ისიც თავის ქალაქს უტრიალებდა. ამბობდა, ყარაჯიში ახლა მთავარ ქუჩაზე ვაგებთ ასფალტს და ისეთი კანალიზაციის მშენებლობა დავიწყეთ, თეირანსაც რომ არა აქვსო. თან იმდენი ციფრები დააყარა მაჰმუდს, რომ ამ უკანასკნელს დიდი სურვილი ჰქონდა, საუბარი როგორმე სხვა თემაზე გადაეტანა. ბოლოს თავს სძლია და შეეკითხა მეგობარს, ყველაზე ხშირად რაზე საუბრობენ ყარაჯელებიო. იგი ჩაფიქრდა. — ბოლოს კი — აბა, რა ვიცი?! — თქვა თავიანთ საქმეებზეო, და დაამატა: არაფერზეც არა ფიქრობენ, მათთვის ყველაფერი სულ ერთია. ძალიან ზარმაცები, აპოლიტიკურები არიან, მხოლოდ საკუთარი ოჯახის ბედი აფიქრებთ. ქვეყნის პრობლემები! რაში აინტერესებთ მათ ეს?

ამის შემდეგ ლაპარაკის საღერღელი აეშალა. ლაპარაკობდა იმის შესახებ, როგორ ააშენეს პარალდეჰიდის (paraldehyd) ფაბრიკა, რომ ამ ფხვნილით მთელ ქვეყანას ამარაგებდნენ. მაგრამ მაჰმუდმა ისიც არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სახელი და თავი ჩამორჩენილ ადამიანად იგრძნო. — როგორ, საერთოდ არა გაქვთ პრობლემები? — ჩაფიქრებული შეეკითხა მეგობარს. — როგორ არა! უპასუხა მან, თავი მაგიდაზე დახარა და ჩუმი ხმით უთხრა — ამ ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქცია კაპიკად არ ვარგა. ხალხს მუშაობა არ უნდა, ყველაფერს რაღაც უხალისოდ, აპათიურად აკეთებს, თითქოს ამით პასიურ წინააღმდეგობას უწევს ზემდგომებს. მთელი ქვეყანა ერთგვარად გაყუჩებულიაო.

— მაგრამ, რატომ? — შეეკითხა მაჰმუდი.

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი, — ორაზოვნად უპასუხა მეგობარმა და მეტი რომ არაფერი წამოსცდენოდა, ოფიციანტს უხმო. მაჰმუდმა შენიშნა, რომ ალალმართალი გული მხოლოდ ერთ მომენტში გაიხსნა, როცა ეს რამდენიმე უჩვეულო სიტყვა თქვა, შემდეგ კვლავ დაიმალა გენერატორების, ტრანსპორტიორების და სხვა ტექნიკური (კონკრეტული!) ნაწილების ბარიკადების მეორე მხარეს.

[„ამ ხალხისათვის კონკრეტული საუბარი თავშესაფრად, სამალავად, თავის საშველად იქცა. კედარი, კი ბატონო, ეს კონკრეტული საუბარია, ასფალტი — ასევე კონკრეტულია. ასეთ კონკრეტულ თემაზე ყოველთვის შეიძლება ილაპარაკო მეტ-ნაკლებად თავისუფლად. კონკრეტულის მიმზიდველობა ისაა, რომ მას აქვს თავისი შემოსაზღვრული დანაღმული საზღვრები. თუკი კონკრეტულ თემებზე მოსაუბრე გონება მიუახლოვდება ამ საზღვრებს, მას დაუყოვნებლივ მიეწოდება ნიშანი, რომელიც გააფრთხილებს, რომ ამის იქით გადასვლა სახიფათოა და უკვე დროა, შეეშვას ზოგად თემებზე საუბარს, დასკვნების გაკეთებას. ამ სიგნალის გაგონებაზე დამფრთხალი გონება უკან დაიხევს და კვლავ კონკრეტულ თემას მიუბრუნდება. მთელი ამ რთული პროცესის შემჩნევა ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მოსაუბრის სახეზე დაკვირვებისას. მოსაუბრეს ეტყობა, რომ მეტად ჩართულია საუბარში და გაცხოველებული გველაპარაკება ციფრებზე, პროცენტებზე, სახელებსა და თარიღებზე. ვხედავთ, რომ ამ კონკრეტულზე იგი ისე ზის, როგორც კარგი მხედა-

რი — უნაგირზე. ამ დროს ვეკითხებით, — კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რატომ არ არის ხალხი კმაყოფილი. — და ვხედავთ, როგორ იცვლება ჩვენი მოსაუბრის სახე (მის გონებას უკვე მიეწოდება საგანგაშო სიგნალები: ყურადღება! ცოტაც და გადაკვეთავ კონკრეტულობის საზღვარს). მოსაუბრე დუმდება და გაცხოველებით ეძებს სიტუაციიდან გამოსვლის გზებს. ცხადია, შექმნილი მდგომარეობიდან ყველაზე ადვილი გამოსავალია კონკრეტულობისაკენ მიბრუნება. კმაყოფილი იმით, რომ ზოგად თემაზე საუბრისას მოსაუბრეს რაიმეში გამოჭერის საშუალება არ მისცა, მან შვებით ამოისუნთქა, და კვლავ გაცხოველებით გააგრძელა საუბარი რაღაც კონკრეტულ მოვლენაზე, საგანზე თუ ამბავზე. კონკრეტულის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი თავის თავში სხვა კონკრეტულთან დაკავშირებისა და ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას არ შეიცავს. მაგალითად, უარყოფით კონკრეტულ საგანსა თუ მოვლენას შეუძლია იარსებოს მეორე უარყოფითი კონკრეტული საგნისა თუ მოვლენის გვერდით, მაგრამ ამით არ იქმნება რაიმე ერთმანეთთან დაკავშირებული სურათი, ვიდრე ამ ორ მოვლენას (საგანს) ადამიანის აზრი არ შეაერთებს. მაგრამ ამ აზრს, რომელიც საგანგაშო სიგნალის მიღების შემდეგ შეჩერდება ყოველი კონკრეტული მოვლენის საზღვართან, არ შეუძლია შეასრულოს თავისი დავალება და ამიტომ ცალკეულ უარყოფით კონკრეტულ მოვლენას შეუძლია დიდხანს იარსებოს ისე, რომ არ ჩაჯდეს არავითარ დამაფიქრებელ პანორამაში. თუ შესაძლებელი გახდება იმის მიღწევა, რომ ყოველი ადამიანი ჩაიკეტება თავის კონკრეტულ საზღვრებში, მაშინ წარმოიშვება ჩაკეტილი საზოგადოება, რომელიც შედგება კონკრეტული მოვლენების N რაოდენობისაგან, რომელთაც არ შეეძლებათ ერთმანეთთან დაკავშირება ურთიერთთანხმობით მოქმედ საზოგადოებაში].

მაჰმუდმა მოძებნა მეგობარი, რომლის შესახებაც სმენოდა, რომ გამოჩენილი პოეტი გამხდარიყო. ჰასან რეზვანიმ იგი თანამედროვე, უმდიდრეს აგარაკზე მიიღო. ისინი საგულდაგულოდ მოვლილ ბაღში დიდი აუზის პირას დასხდნენ (უკვე ცხელი ზაფხული იწყებოდა) და გაყინული ჭიქებიდან gin-tonic-ს სვამდნენ. ჰასანი ჩიოდა, რომ ძალიან დაღლილი იყო, რადგან ზუსტად გუშინ დაბრუნებულიყო მონრეალში, პარიზში, ჩიკაგოში და ათენში მოგზაურობიდან, სადაც ლექციების კურსი წაიკითხა შაჰისა და ირანელი ხალხის „დიდი ცვლილებისა" და „რევოლუციის" თაობაზე. — ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა, — აღიარა ჰასანმა, — რადგან ლექციის დროს წამოძახილებით ხელს უშლიდნენ და გაგრძელების საშუალებას არ აძლევდნენ.

ჰასანმა მაჰმუდს თავისი ახალი ლექსების ტომი უჩვენა, რომელიც შაჰისათვის მიეძღვნა. პირველ ლექსს ასეთი სათაური ჰქონდა:

„სადაც გაიხედავ, იქ ყვავილი აყვავდება".
„შაჰმა თუნდაც რომ მხოლოდ გაიხედოს,
წამსვე აყვავდება ტიტა და მიხაკი.
სამაგიეროდ, სადაც მზერას შეაჩერებს,
იქ ვარდი გაიშლება", — ნათქვამი იყო ლექსში.

სხვა ლექსის სათაური იყო: „სადაც შეჩერდება, ხყარო ამოსჩქეფს“.

„იქ, სადაც მონარქი ფეხს დააბიჯებს,
კრისტალურად წმინდა წყარო ამოხეთქავს
ხოლო თუ შაჰი შეჩერდება
და ცოტას მოიცდის,
მდინარე დაიწყებს დინებას“. — ირწმუნება ავტორი.

ჰასანის ამ ლექსებს რადიოში და სტუდენტებთან კითხულობდნენ. თავად მონარქს ისინი ძალიან მოსწონდა, და მათ ავტორს ფაჰლავების სახელობის ფონდის პრემია მიანიჭა.

ერთხელ, როდესაც მაჰმუდი ქუჩაში გავიდა, ხის ქვეშ მდგარი კაცი დაინახა. მან იცნო (თუმცა ძლივს), მოჰსენ ჯალავერი, ვისთან ერთადაც სტუდენტურ გაზეთში წერილების წერა დაიწყო. მაჰმუდმა იცოდა, რომ მოჰსენი სავაკს ჰყავდა დაჭერილი და აწამეს კიდეც, რადგან თავის ბინაში მეგობარი მოჯახედი შეიფარა.

მაჰმუდი მისთვის ხელის ჩამოსართმევად შეჩერდა. ამ უკანასკნელმა ისე შეხედა, თითქოს ვერ იცნო. მაჰმუდმა თავი შეახსენა. ამაზე მოჰსენმა უპასუხა, რომ ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, კვლავ გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას და მიწას ჩასჩერებოდა. — წამოდი, სადმე წავიდეთ, შენთან საუბარი მინდა, — შესთავაზა მაჰმუდმა. — ეს ჩემთვის სულ ერთია, — კვლავ უპასუხა მან და ისევ ისე გაუნძრევლად დგომა გააგრძელა. მაჰმუდმა იგრძნო, რომ მასთან ურთიერთობა ცივდებოდა.

— მომისმინე, — კვლავ შეეცადა მის დაყოლიებას, — იქნებ სხვა დღეს შევხვედრილიყავით? ამაზე ჯალავერს არაფერი უპასუხია, მხოლოდ მოულოდნელად კბილები გააკრაჭუნა და მოკუმული პირიდან გამოსცრა, — შემეშვი რა!

მცირე ხნის შემდეგ მაჰმუდმა ქალაქის ცენტრში უბრალო ბინა დაიქირავა. ჯერ კიდევ ჩემოდანი არ გაეხსნა, რომ სამი მამაკაცი ეწვია. ისინი მიესალმნენ როგორც მათი უბნის ახალ მოსახლეს, და შეეკითხნენ, თუ იყო შაჰის პარტიის — რასტაკისის წევრი. მაჰმუდმა უარყოფითად უპასუხა, რადგან ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან, სადაც მრავალი წელი გაატარა. ამან მამაკაცების დაეჭვება გამოიწვია, ვინაიდან, ვისაც შეეძლო, ისინი უფრო გადიოდნენ ქვეყნიდან, ვიდრე ბრუნდებოდნენ. ამიტომ დაუწყეს გამოკითხვა, რატომ, რა მიზნით დაბრუნდა, ამასთან ერთ-ერთი მათგანი ყველაფერს რვეულში იწერდა. ცხადია, ეს მაჰმუდს არ სიამოვნებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამ გზით იგი უკვე მესამედ აღმოჩნდა დაფიქსირებული. მოსულებმა მას პარტიის წევრობის განცხადების ფორმა გადასცეს, მაჰმუდმა უთხრა, რომ არ სურდა პარტიაში გაწევრიანება, რადგან მთელი სიცოცხლე აპოლიტიკური იყო და ასეთად სურდა დარჩენა. მამაკაცებმა ისეთი სახით შეხედეს, თითქოს ეკითხებოდნენ, თუ იცი, რას ამბობ. მათ მაჰმუდს მისცეს რეკლამა, სადაც დიდი ასოებით შავით თეთრზე ამობეჭდილი იყო შაჰის სიტყვები: „ისინი, ვინც არ მიეკუთვნებიან რასტაკისს, მოღალა-

ტეები არიან, რომელთა ადგილიც ციხეშია, თუ არ სწამთ შაჰის და საშშობლოსი, არ უნდა მოელოდნენ, რომ მათ სხვა დანარჩენთა მსგავსად მოვექცევით". მაჰმუდმა იმდენი გაბედულება მაინც გამოიჩინა, რომ თხოვა, მოფიქრებისათვის ერთი დღე მიეცათ, რადგან სურდა ამ საკითხზე ძმას მოლაპარაკებოდა.

ძმამ უთხრა, რომ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, პარტიაში შესულიყო. ყველა ამ პარტიის წევრები ვართ! მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, მას უნდა ეკუთვნოდეს. მაჰმუდი სახლში დაბრუნდა და, როდესაც ის მამაკაცები კვლავ ესტუმრნენ, პარტიაში მიღების განცხადება დაწერა. ამგვარად, იგიც ჩადგა ქვეყანაში „დიდი ცივილიზაციის" დამყარებისათვის მებრძოლთა რიგებში.

მალე მან მიწვევა მიიღო რასტაკისის ოფისიდან, რომელიც მისი სახლის ახლოს მდებარეობდა. იქ დანიშნული იყო შემოქმედთა შეკრება, რათა პატივი მიეგოთ მონარქის ტახტზე დაბრძანების 37 წლისთავისათვის. ყველა წლისთავი, რომელიც შაჰის პიროვნებასთან და მის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებთან — „თეთრ რევოლუციასთან" და „დიდ ცივილიზაციასთან" იყო დაკავშირებული, ხმაურითა და ზეიმით აღინიშნებოდა. იმპერიის მთელი ცხოვრება ხომ წლისთავიდან წლისთავამდე სწორედ ასეთ ამაღლებულ რიტმში მიმდინარეობდა. აურაცხელ შტაბებში დასაქმებული ადამიანები კალენდრით ხელში დაყურადებულნი იყვნენ, რომელიმე საიუბილეო თარიღი არ გამორჩენოდათ: მონარქის დაბადების დღე, მისი ქორწინების წელიწადი, ტახტზე დაბრძანების წლისთავი და სხვ. დროთა განმავლობაში ამ საიუბილეო თარიღებს ახალ-ახალი ემატებოდა. ერთი ზეიმი არ დასრულებულიყო, რომ ახალი იწყებოდა, რომლის დროსაც მთელ ქვეყანაში წყდებოდა მუშაობა, ეწყობოდა ბანკეტები, მისალმებებს და მილოცვებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

ამჯერად კრებაზე უნდა განეხილათ შაჰის ახალი ქანდაკების პროექტი, რომლის აღმართვაც მისი დაბადების დღისათვის უნდა მიეძღვნათ. დარბაზში ას კაცამდე იჯდა. თითოეულს თავმჯდომარე ისე არ მიმართავდა, ხაზი რომ არ გაესვა იმისათვის, თუ ცნობილი და გამოჩენილი ადამიანი ბრძანდებოდა. მაგრამ არც ერთი დასახელებული გვარი მაჰმუდს არაფერს ეუბნებოდა. — ვინ არიან, აი, ისინი, — შეეკითხა გვერდით მჯდომს, — ცენტრში, ხავერდის სავარძლებში რომ სხედან?

— ესენი განსაკუთრებით გამორჩეული ხალხია, — ჩურჩულით უპასუხა მან. — მათ ოდესღაც შაჰის წიგნი მიიღეს საჩუქრად, მისივე წარწერით.

კრებას მოქანდაკე კურუს ლაშხაი ხელმძღვანელობდა. იგი მაჰმუდმა ოდესღაც ლონდონში გაიცნო. ლაშხაიმ ლონდონსა და პარიზში მრავალი წელიწადი გაატარა და ცდილობდა კარგად დაუფლებოდა ქანდაკების ხელოვნებას. მაგრამ ტალანტი არ აღმოაჩნდა და მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწია. წარუმატებლობით გაღიზიანებული თეირანში დაბრუნდა. ძალიან ამბიციური ადამიანი იყო, ვერ შეძლო დამარცხებას შერიგებოდა და სულ რაიმე კომპენსაციის მიღებას ცდილობდა. მალე რასტაკისის წევრი გახდა და თანდათან კარიერის გაკეთებაც დაიწყო.

იგი ფაჰლავის ფონდის ერთ-ერთი მთავარ ექსპერტად დანიშნეს და მისი დასკვნის გარეშე ამ ფონდის ჯილდო თუ პრემია არ გაიცემოდა. უფრო მეტიც, ბევრი მას იმპერიალიზმის თეორიის თეორეტიკოსადაც კი აღიარებდა. ირანში სჯეროდათ, რომ მის სიტყვას ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა — იგი ხომ კულტურის საკითხებში შაჰის მრჩეველი იყო.

როდესაც კრების დარბაზიდან გამოდიოდნენ, მაჰმუდს ჟურნალი და მთარგმნელი გოლამ ქაზემი მიუახლოვდა, რომელსაც მრავალი წელი არ შეხვედროდა — მაჰმუდი ემიგრაციაში წავიდა, ხოლო გოლანი ირანში ცხოვრობდა და „დიდი ცივილიზაციის" მაქებ-მადიდებელ ნაწარმოებებს თხზავდა. ფუფუნებაში ამყოფებდნენ, შაჰის სასახლეში ნებისმიერ დროს თავისუფლად შეეძლო შესვლა. მის წიგნებს ტყავის ყდით გამოსცემდნენ. გოლამს უნდოდა მაჰმუდისთვის რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი ეთქვა და თითქმის ძალით წაიყვანა იგი სომხური კაფესაკენ. იქ მან მაგიდაზე რომელიღაც ჟურნალი დადო, გაშალა და მაჰმუდს ამაყად მიმართა — შეხედე, რისი დაბეჭდვა შეეძელი! ეს იყო პოლ ელუარის (Paul Eluar) ლექსის თარგმანი. მაჰმუდმა ლექსს დახედა და შეეკითხა, რა იყო აქ განსაკუთრებული?

— როგორ თუ რა? — იწყინა გოლამმა — ვერ იგებ? დაკვირვებით წაიკითხე.

მაჰმუდმა ყურადღებით წაიკითხა ლექსი და კვლავ იკითხა, რა იყო მასში არაჩვეულებრივი, რა იწვევდა მთარგმნელის ასეთ სიამაყეს.

— ადამიანო, შენ რა, დაბრმავდი? შეხედე, — და ხმამაღლა წაუკითხა ლექსის ორი სტრიქონი:

„სევდის დროა დამდგარი, კუნაპეტი ღამეა,
ბრმებსაც კი არ ვურჩევდი სახლებიდან გამოსვლას".

თან კითხულობდა და თან ფრჩხილით ქაღალდზე ყოველ სიტყვას ალნიშნავდა. — იცი, რამდენი წვალება გამოვიარე, ვიდრე ამის დაბეჭდვას მივაღწევდი, ვიდრე სავაკს დავარწმუნებდი. ამ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ოპტიმიზმით უნდა იყოს გაჟღენთილი, იღიმებოდეს და ყვაოდეს, მოულოდნელად — „სევდის დრო დამდგარა"! შეგიძლია) შენ ამის წარმოდგენა? გოლამს გამარჯვებულის სახე ჰქონდა, ძალზე სიამოვნებდა თავისი გმირობა.

გოლამის მოღუშულ, ამასთან ინტელიგენტურ სახეს რომ უყურებდა, მაჰმუდმა ირწმუნა, რომ ქვეყანაში მართლაც ახლოვდებოდა რევოლუცია და იგრძნო, რომ მხოლოდ ახლაღა ჩაწვდა არსებული ვითარების მთელ სიღრმეს.

ჩანდა გოლამმა იგრძნო კატასტროფის მოახლოება და თავისი ეშმაკური მოქმედებებით ფრონტის შეცვლა დაიწყო. იგი ცდილობდა განწმენდილიყო და მსხვერპლს სწირავდა მოახლოვებულ ძალებს, რომელთა საშიში ნაბიჯები ყრუ ექოდ გაისმოდა მის დამფრთხალ გულში. ჯერჯერობით წითელ ბალიშს, რომელზეც შაჰი იჯდა, გოლანმა მალულად მხოლოდ უჩხვლიტა. არა. ეს არ იყო ასაფეთქებელი ნალმი. შაჰს ამისაგან არავითარი ზიანი არ მიადგებოდა, არ დაიღუპებოდა, სამაგიეროდ გოლამმა იგრძნო თავი უკეთ — იგი ხომ შაჰის წინააღმდეგ გამოვიდა! ახლა ის სალხს აჩვენებს ამ წკმენტას და მოჰყვებოდა. მას სი-

ამოვნებას მიანიჭებდა ის გარემოება, რომ უკვე დამოუკიდებელი და წინააღმდეგობის წევრი იყო.

მაგრამ საღამოს მაჰმუდს კვლავ ძველი ეჭვები ეწვივნენ. თეგის ძმასთან ერთად თითქმის უკვე ცარიელ ქუჩაში სეირნობდა. გზად მოღუშულსახიანი, მოწყენილი და დაღლილი ადამიანები ხვდებოდნენ, რომლებიც სახლისაკენ მიიჩქაროდნენ ან მდუმარედ იდგნენ [illegible] სის გაჩერებაზე. ვილაც კაცები კედელთან ისხდნენ, თავი მუხლებზე დაეყრდნოთ და თვლემდნენ.

— ვინ გააკეთებს ამ შენს რევოლუციას? — შეეკითხა მაჰმუდი ძმას და ხალხზე მიუთითა. — ამათ ხომ ძინავთ.

— ზუსტად ესენი! — უპასუხა ძმამ, — ამ ადამიანებს, ვისაც შენ ახლა აქ ხედავ, ერთ დღეს ფრთები გამოესხმებათ.

თუმცა მაჰმუდს ამის წარმოდგენაც კი უჭირდა.

(„ადრეულ ზაფხულზე უკვე დავიწყე იმის შეგრძნება, რომ რაღაც იწყებდა შეცვლას, რაღაცამ გამოიღვიძა ხალხში, ჰაერში. ეს ძალიან გაურკვეველი განწყობაა, დაახლოებით ისეთი, როგორც კოშმარული სიზმრიდან გამოღვიძება. ჯერჯერობით ამერიკელებმა აიძულეს შაჰი, რათა მას ინტელექტუალების ნაწილი ციხიდან გამოეშვა. შაჰი ყოყმანობდა, თავს იკავებდა, ზოგს უშვებდა, სხვებს — პირიქით, ციხეში ამწყვდევდა. მაგრამ უმნიშვნელოვანესი ის იყო, რომ ერთი ნაბიჯით დათმობამ მტკიცე სისტემაში გამოაჩინა პირველი ღრიჭო, პირველი ნაპრალი.

ამით ისარგებლა მწერალთა ჯგუფმა, რომელთაც სურდათ ირანის მწერალთა ორგანიზაციის (კავშირის) აღდგენა. შაჰმა იგი დახურა 1969 წელს. მაშინ თითქმის ყველა მსგავსი უდანაშაულო ორგანიზაცია დაიხურა. ქვეყანაში მხოლოდ რასტაკისი და მეჩეთი დარჩა. Tertium non datur **(მესამე გზა არ არსებობს).** მაგრამ ხელისუფლება კვლავ არ დათანხმდა, რომ ქვეყანაში ლიტერატორთა კავშირს ემოქმედა. ამის გამო ხელოვნების მოღვაწეებმა დაიწყეს კერძო სახლებში შეკრება, ძირითადად თეირანის გარეუბნებში მდგარ ძველ სახლებში, სადაც მათ კონსპირაციულ პირობებში შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა, რასაც კულტურულ საღამოებს უწოდებდნენ. ჯერ ლექსებს კითხულობდნენ, ხოლო შემდეგ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე იწყებდნენ კამათს. ამ შეხვედრებისას საუბრობდნენ, რომ შაჰის და მისი ხელისუფლების მიერ შეთხზული ქვეყნის განვითარების მთელი პროგრამა ჩაფლავდა, ირანში აღარაფერი ფუნქციონირებს, ბაზარი თანდათან ცარიელდება, ცხოვრება ძვირდება, ბინის ქირა ადამიანთა შემოსავლების სამ მეოთხედს შთანთქავს, შაჰის უსუსური, მაგრამ ხარბი ელიტა ძარცვავს ქვეყანას, უცხო ფირმებს კი ქვეყნიდან უდიდესი თანხები გააქვთ, რაც რჩება ნავთობის შემოსავლიდან, ირანის უაზრო შეიარაღებას ხმარდება. ყოველივე ამის შესახებ აქ შეკრებილები თანდათან უფრო ღიად და უშიშრად საუბრობდნენ.

მახსოვს, ერთ-ერთ ბოლო შეკრებაზე იქ შევნიშნე ადამიანები, რომლებიც ციხიდან სულ ახლახან გამოსულიყვნენ. ესენი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები. ვუყურებდი მათ სახეებს, მაინტერესებდა დამენახა, რა კვალს ტოვებს ადამიანზე დიდი შიში და ტანჯვა.

ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მათ საქციელში რაღაც არანორმალური იყო. ისინი თითქოს ურწმუნოდ, სინათლისაგან და სხვების იქ ყოფნით გიჟებივით იქცეოდნენ. ურთიერთობაში ძალზე ფრთხილობდნენ, თითქოს ეშინოდათ, რომ სხვა ადამიანთან შეხება მათთვის ცუდად დასრულდებოდა. ერთ-ერთი მათგანი საშინლად გამოიყურებოდა. კანი სულ დახეთქილი ჰქონდა, ყავარჯნების დახმარებით დადიოდა. იგი უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. შემოწმების დროს მას ფედაინების მოწოდებები აღმოუჩინეს. მახსოვს, ერთხელ ჰყვებოდა, როგორ შეიყვანეს სავაკელებმა ერთ დიდ დარბაზში, რომლის კედლებიც სიცხისაგან ელვარებდა. იატაკზე ეყარა საბურავები, საბურავების პატარა თვლებზე ლითონის სკამი იყო დამაგრებული, რომელზეც იგი დააბეს. სავაკელმა ღილაკს თითი დააჭირა და სკამმა ნელ-ნელა დაიწყო გაცურება გახურებული კედლისაკენ. სკამი ძალიან ნელა მოძრაობდა, წუთში დაახლოებით სამი სანტიმეტრით. როგორც გამოთვალა, ამ სისწრაფით სკამს კედლამდე დაახლოებით ორი საათი დასჭირდებოდა, მაგრამ უკვე ერთი საათის გასვლის შემდეგ ველარ გაუძლო სიცხეს და დაიწყო ყვირილი, ყვიროდა, რომ ყველაფერს აღიარებდა. თუმცა რა უნდა ეღიარებინა, რაც არ იცოდა, ეს მოწოდებები ხომ მან ქუჩაში იპოვა. ყველანი მდუმარედ უსმენდნენ, სტუდენტი ტიროდა. მახსოვს, ღმერთს როგორ შეჰღაღადა — ღმერთო, რატომ დამსაჯე და ასე საშინლად დამამახინჯე ისეთი სიმახინჯით, რომელსაც აზროვნება ჰქვია! რატომ მასწავლე აზროვნება, იმის ნაცვლად, რომ მორჩილება გესწავლებინაო. ბოლოს ისე დასუსტდა, რომ იძულებული გახდნენ მეორე ოთახში გაეყვანათ. თუმცა სხვები, რომლებიც მასავით ციხიდან იყვნენ გამოსული, ძირითადად დუმდნენ, სიტყვას არა სძრავდნენ".

სავაკმა მალე დაადგინა ამ შეხვედრების კვალი. ერთ ღამეს, როდესაც კონსპირაციის ადგილი დატოვეს და სახლებისაკენ მიდიოდნენ, მაჰმუდმა გზისპირა ბუჩქებში რაღაც ხმაური გაიგონა. მალე იქიდან ვიღაცები წამოხტნენ და დაიწყეს ყვირილი. მაჰმუდმა კეფაში რაღაც მძიმეს დარტყმა იგრძნო. მიწაზე დაეცა და გონება დაკარგა. აზრზე მხოლოდ ძმის ხელებში მოვიდა. თვალები სისხლით ჰქონდა სავსე, ბნელოდა და ძლივს გაარჩია ძმის შავი, მოღუშული სახე. მალე კვნესაც გაიგონა. ვიღაც მშველელს უხმობდა. მან სტუდენტი შეიცნო. როგორც ჩანს, იგი შოკში იყო, რადგან თითქოს მიწის ქვეშიდან ესმოდა მისი ხმა: — ღმერთო, რატომ დამსაჯე და აზროვნება მასწავლე! რატომ დამამახინჯე ასე საშინლად?! მაჰმუდი თავის გვერდზე სხვა გასისხლიანებულ ადამიანსაც ხედავდა. მათ ნელ-ნელა გააგრძელეს გზა, თან სულ იმის შიში ჰქონდათ, კიდევ ვიღაცეები თავს არ დაგვესხნენო.

ღილით მაჰმუდმა სახლში გამოიღვიძა. თავი შეხვეული ჰქონდა, ხოლო შუბლი — გაკერილი. მეთვალყურემ ახალი გაზეთი შემოუტანა, სადაც მაჰმუდმა წინღამინდელი ამბები ამოიკითხა.

„ვასულ ღამეს კანის მახლობლად მრავალგზის სასჯელმოხდილი საზოგადოების ნაძირლებმა ერთ-ერთ სახლში მოაწყეს საშინელი და სამარცხვინო ორგია. პატრიოტულად განწყობილმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაერთხელ თხოვეს მათ, ასე არ მოქცეულიყვნენ, მა-

გრამ აღვირახსნილმა ბანდიტებმა ადგილობრივ პატრიოტებს არ დაუჯერეს. ეცნენ მათ და ჯოხებითა და ქვებით ცემა დაუწყეს. ადგილობრივი მცხოვრებლებიც იძულებული გახდნენ თავი დაეცვათ და თავიანთი საცხოვრებელი უბნისათვის კვლავ დაებრუნებინათ ტრადიციული სიმშვიდე და სიწყნარე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჰმუდს ჭრილობები აწუხებდა, გრძნობდა, ტემპერატურა უმატებდა და იმასაც მიხვდა, რომ ტვინის შერყევა ჰქონდა.

საღამოს ძმამ მოაკითხა. იგი ძალზე აღელვებული ჩანდა. მას მაჰმუდის ჭრილობებისათვის არც დაუხედავს და თითქოს არც კი ახსოვდა წინა ღამეს მომხდარი ამბავიო, ჩანთიდან მანქანაზე დაბეჭდილი ქაღალდების სქელი დასტა ამოიღო და ავადმყოფს წასაკითხად გადასცა. მაჰმუდმა ძლივს გაიკეთა სათვალე.

— კვლავ წერილი, — თქვა უგულოდ და ნაბეჭდი ქაღალდები გვერდზე გადადო, — თავი დამანებე, თუ კაცი ხარ!

— ჰო, მაგრამ, აბა ნახე, რა მნიშვნელოვანი დოკუმენტია! — არ ეშვებოდა ძმა.

მაჰმუდს, თავი სტკიოდა და მიუხედავად იმისა, ამ წერილსაც ძალად აკითხებდნენ, მცირე ხნის შემდეგ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ წერილი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ, იგი კითხულობდა იმ წერილის ასლს, რომელიც მოსადეჰის სამმა უახლოესმა ადამიანმა შაჰს გაუგზავნა. მაჰმუდმა ხელმოწერებიც წაიკითხა — ქერიმ სანდჯაბი, შაჰპურ ბახტიარი და დარიუშ ფორუჰარი. — ცნობილი სახელებია, — გაიფიქრა, — დიდი ავტორიტეტები. ყველანი სხვადასხვა წლებში შაჰის პოლიტიკური პატიმრები იყვნენ, ბახტიარი ექვსჯერაც კი იჯდა ციხეში.

„1953 წლიდან, — კითხულობდა წერილში მაჰმუდი, — ირანი ტერორისა და შიშის ატმოსფეროში ცხოვრობს. ყოველგვარი ოპოზიცია დათრგუნვილი, წელში გადატეხილი, სისხლში ჩახშობილია. დღეები, როდესაც შეიძლებოდა ქუჩაში შეკრებები, დისკუსიები, როდესაც საზოგადოება თავისუფლად ყიდულობდა წიგნებს, დროთა განმავლობაში სიზმარივით გაუჩინარდა და მხოლოდ მეხსიერებასღა შემორჩა. საზოგადოების ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც თუნდაც ოდნავადაც რომ არ მოსწონდა ხელისუფლებას, აიკრძალა. ხალხი მდუმარებისთვისაა განწირული, მას სიტყვის დაძვრის, აზრის გამოთქმის პროტესტის გაცხადების უფლებაც კი არა აქვს. მას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია — იატაკქვეშეთიდან ბრძოლა".

მაჰმუდი განსაკუთრებით წერილის იმ ნაწილს ჩაუღრმავდა, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „ირანში არსებული საგანგაშო მორალური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიტუაცია". მასში საუბარი იყო ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ კრიზისზე, საზოგადოების ფენებს შორის ქონებრივი უფსკრულის უჩვეულოდ გაღრმავებაზე, სოფლის მეურნეობის განადგურებაზე, საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრაზე და მორალურ დეპრესიაზე, როგორშიც ირანელები ჩაცვივდნენ. „მაგრამ საზოგადოების სიჩუმესა და დუმილს მისი მხრიდან გულგრილობად და, მით უმეტეს, მდგომარეობისადმი შეგუებად ნუ აღიქვამთ. საზოგადოების წინააღმდეგობამ სხვადასხვა ფორმა შეიძლება

მიიღოს და მხოლოდ კრიტიკულ მომენტში გადაწყვეტს იგი, თუ როგორი სახით გამოხატოს თავისი უკიდურესი უკმაყოფილება".

ეს იყო ღია წერილი და თავისი პრინციპული ხასიათით ულტიმატუმივით ეღერდა. იგი მთავრდებოდა რეფორმების, დემოკრატიის და თავისუფლების მოთხოვნით.

— ეს ხალხი ნამდვილად ციხეში ჩასხდებაო — [illegible] დასუსტებულმა და გამოფიტულმა მაჰმუდმა და იგრძნო, როგორ უწევდა ტემპერატურა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძმამ ერთი კაცის თანხლებით მოაკითხა. მას მაჰმუდი პირველად ხედავდა. ის ყარაჯის ხელსაწყოების ქარხნის მუშა იყო. მან თქვა, რომ ყველგან იზრდება გაფიცვების რაოდენობა, რომ არასოდეს ყოფილა იმდენი გაფიცვა, რამდენიც წელს. გაფიცვები აკრძალულია და მათ ძალით შლიან, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლის. მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, ცხოვრება უკვე შეუძლებელი გახდა. ქარხანაც და მისი პროფკავშირებიც სავაკის ზედამხედველობის ქვეშაა, ხოლო მუშა მონის მდგომარეობაში ჩავარდა. ხელფასებს კი უმატებენ. მაგრამ ფასები გაცილებით სწრაფად იზრდება, თანდათან ჭირს ოჯახის შენახვა. ამასთან მუშამ ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ვიღაცასთან შეხვედრა უნდოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელიდან უსხლტებოდა. ისიც თქვა, რომ ყარაჯის მუშები თეირანისაკენ დაიძრნენ, რათა შრომის სამინისტრო აეძულებინათ მათთვის ხელფასები გაეზარდა. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ სამხედრო ნაწილები გაგზავნა, რომლებიც მუშებს გზაზე დახვდნენ და ცეცხლი გაუხსნეს. გზის ორივე მხარეს უდაბნო იყო, ადამიანი ვერსად გაიქცეოდა. ვინც გაიქცა და ტყვიების სეტყვას გადაურჩა, მალევე უკან დაბრუნდა, რათა დახოცილებისა და დაჭრილებისათვის ეპატრონა. ოთხმოცამდე კაცი მოკვდა, ხოლო ორასამდე დაიჭრა. ახლა ქალაქი ძაძებშია გახვეული და შურისძიების მოლოდინშია.

— შაჰის დღეები დათვლილია, — წარმოთქვა მტკიცე ხმით მაჰმუდის ძმამ, — შეუძლებელია წლების განმავლობაში უიარაღო ხალხი ასე აწამო.

— დათვლილია? — შეხვეული თავი მაღლა ასწია და ისე იკითხა მაჰმუდმა, — შენ რა, გაგიჟდი? ვერ ხედავ, როგორი არმია ჰყავს?

რა თქმა უნდა, ძმამ იცოდა, როგორი არმია ჰყავდა შაჰს, შეკითხვა უბრალოდ რიტორიკული გამოვიდა. მაჰმუდსაც ხომ ხშირად უნახავს შაჰის დივიზიები კინოსა თუ ტელევიზიით — პარადები, მანევრები, ტყვიამფრქვევები, რაკეტები. ტანკების ლულები მაჰმუდს პირდაპირ გულში უმიზნებდნენ. იგი ზიზღით უყურებდა ამ სამხედრო ნაწილების მეთაურ გენერლებს, რომლებიც ნემსის ყუნწში ძვრებოდნენ, ოღონდ კი შაჰისთვის თავი მოეწონებინათ.

— ისე, საინტერესოა, სინამდვილეში როგორ მოიქცეოდნენ ეს ოფიცრები, მათ სიახლოვეს ბომბი რომ აფეთქებულიყო, — ფიქრობდა მაჰმუდი, — ალბათ ინფარქტს მიიღებდნენ!

წლების მანძილზე, როგორც ეს ტელევიზორის ეკრანიდან ჩანდა, სამხედრო ნაწილებს აღჭურვილობაც ემატებოდათ. მაჰმუდს მიაჩნდა, რომ ეს იყო საშინელი ძალა, რომელიც მტვრად აქცევდა ყველაფერს, რაც კი წინ აღუდგებოდა.

დაიწყო ზაფხულის ცხელი დღეები. უდაბნოდან, რომელიც თეირანს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, ცხელი პაერი იყო მოწოლილი. მაჰმუდი თავს უკვე კარგად გრძნობდა, ამიტომ გადაწყვიტა საღამოობით გაესეირნა ხოლმე და პირველად, ამდენი ხნის განმავლობაში, ქუჩაში გავიდა. უკვე ბნელდებოდა. იგი ერთი უზარმაზარი, ნაჩქარევად აშენებული ნაგებობის სიახლოვეს პატარა ქუჩაზე სეირნობდა. ეს ნაგებობა რასტაკისის ოფისი იყო. ერთ მომენტში მოეჩვენა, რომ სიბნელეში რაღაც მოძრავ საგანს ხედავდა. მალე თითქოს ისიც მოესმა, როგორ გამოვიდა ბუჩქებიდან კაცი. მაგრამ აქ ხომ არავითარი ბუჩქები არ იყო. და შეეცადა თავის დამშვიდებას. მიუხედავად ამისა, უკვე შიშისაგან ატანილმა უახლოეს პარალელურ ქუჩაზე შეუხვია. თუმცა კარგად იცოდა, რომ მის შიშს საფუძველი არა ჰქონდა. მაჰმუდს კანკალი დააწყებინა და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი ქვევით, ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ ქუჩას დაუყვა. მალე უკან მომავალი კაცის ფეხის ხმა შემოესმა. ამან ძალიან ჩააფიქრა, ქუჩა ხომ ცარიელი იყო, ახლოს არავინ დაუნახავს. უნებლიეთ ფეხს აუჩქარა, მაგრამ იმ კაცმაც უმატა სიჩქარეს და, როგორც ჩანს, ახლა უფრო ახლოს იყო მაჰმუდთან, ვიდრე ადრე. — უკეთესი იქნება, თუ ნაბიჯს შევანელებ, — ფიქრობდა მაჰმუდი. მაგრამ შიში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გონების ხმა და ამიტომ, მდევარი რომ ჩამოეტოვებინა, თითქმის სირბილით წავიდა. მაგრამ მდევარი ისე მიახლოებოდა, რომ მაჰმუდს მისი აჩქარებული სუნთქვაც კი ესმოდა. მას უფრო სწრაფი სირბილი აღარ შეეძლო, მისი პერანგი, როგორც დროშა, ისე ფრიალებდა. მალე ისიც კი მოეჩვენა, რომ იმ ერთ მდევარს სხვებიც შეერთებოდნენ და ყველანი ერთად მისდევდნენ. მიუხედავად ამისა, იგი უფრო სწრაფად ველარ მირბოდა, ძლივს სუნთქავდა, ტანისამოსი ერთიანად ოფლით დასველებოდა. გრძნობდა, რომ ცოტაც და მიწაზე უგონოდ დაეცემოდა.

როგორც იყო, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ალაყაფის კარებამდე მიხოხდა და მის საკეტს ჩამოეკიდა. ეგონა, საცაა გული გაუსკდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ვილაცის მუშტმა შეუნგრია ფერდი და იქ, შიგ, აუტანელ ტკივილს აყენებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გონზე მოსვლა დაიწყო. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ქუჩაში კაციშვილი არ ჩანდა. კედელთან შავი კატა ჩაცუცქულიყო. ნელი ნაბიჯებით, თან ისე, რომ გული კინაღამ ხელით ეჭირა, მაჰმუდი სახლისაკენ გაემართა.

(„ყველაფერი იმ გაზაფხულის იმ ღამეს დაიწყო, როდესაც კრებიდან გარეთ გამოსულებს თავს დაგვესხნენ. იმ დროიდან შიშის გრძნობა გამიჩნდა. იგი სშირად მიპყრობდა ხოლმე ყველაზე უფრო მოულოდნელ დროს, როდესაც ამისათვის მოუმზადებელი ვიყავი. ძალიან მრცხვენოდა ამისა, მაგრამ თავისათვის ვერაფერი მომეხერხებინა, შიში ვერ დამეძლია. ეს ძალიან მიშლიდა ხელს. შეძრწუნებით ვფიქრობდი იმაზე, რომ რაკი გამუდმებით ჩემს თავში ვგრძნობდი შიშს, უნებლიეთ იმ სისტემის ნაწილად ვიქეცი, რომელიც შიშზე იყო დაფუძნებული., დიახ, ასეა, წარმოსდგა რალაც საშინელი, განუყოფელი კავშირი ჩემსა და დიქტატორს შორის, როგორც პათოლოგიური სიმბიოზი.

ამ ჩემი შიშის გამო მე გავხდი იმ სისტემის საფუძველი, რომელიც მძულდა და ვერ ვიტანდი. შაჰს შეეძლო ჩემი იმედი ჰქონოდა, სხვაგვარად რომ ვთქვა, ჩემში გაბატონებული შიშის იმედი, იმის იმედი, რომ მე ეს შიში არ მიმატოვებდა, ხოლო მე ამით გავამართლებდი მოხარქიულ იმედებს და გათვლებსაც, კერძოდ კი იმას, რომ ზევიდან წამოსული ყოველი ხმის გაგონებაზე მე შიშით ვკანკალებდი. დიახ, რეჟიმი ჩემზე იყო დაყრდნობილი, მე არ შემეძლო მას გამოვცლოდი. მე რომ ამ შიშისგან განთავისუფლება შემეძლოს, შევარყევდი იმ ფუნდამენტს, რომელზეც შაჰი იდგა, ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს მაინც გამოვაცლიდი საყრდენს, რომელსაც ჩემი შიში უმაგრებდა ძირს, უფრო მეტიც, რომელიც სწორედ ჩემმა შიშმა შექმნა, მაგრამ მე ჯერჯეროობით ეს არ ძალმიძდა".).

მთელი ზაფხულის მანძილზე ცუდად ვგრძნობდი თავს, ყოველ შემთხვევაში, გულგრილი ვიყავი იმ ამბებისადმი, რაც ქვეყანაში ხდებოდა და ჩემს ძმას მოჰქონდა.

ამასობაში მთელი ქვეყანა, როგორც ვულკანზე, ისე ცხოვრობდა, მინავლებულ ნაპერწკალსაც კი ხანძრის გამოწვევა შეეძლო.

ქალაქ კერმანშაჰში გაგიჟებული ცხენი ქუჩაში მოსიარულეებს მივარდა და ტლინკები დაუშინა. თურმე, სოფლიდან გლეხი ჩამოსულა ამ ცხენით და იგი ქუჩაში ხეზე მიუბამს. ცხენი ავტომანქანამ დააფრთხო, საბელი გაწყვიტა და რამდენიმე ადამიანი დაასახიჩრა. ბოლოს ის ვიღაც ჯარისკაცმა მოკლა. მოკლული ცხენის ირგვლივ ბრბომ მოიყარა თავი. მალე პოლიციაც მოვიდა და შეჯგუფებული ხალხის დაშლა დაიწყო.

— მაშინ სად იყავით, როცა ცხენი ხალხს გაეკიდა? — პროტესტი გამოთქვა ერთმა.

ამის თქმა იყო და პოლიციამ ხალხის დარბევა დაიწყო. ხალხი მაინც მატულობდა. ბოლოს პოლიციამ ცეცხლი გახსნა. ქალაქი ყალყზე დადგა და ბარიკადების აგება დაიწყო. ხელისუფლებამ ჯარი გამოიყვანა. ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

— ხედავ, რა ცოტა დააკლდა, რომ იქ აჯანყება არ მომხდარიყო? — შეეკითხა ძმა მაჰმუდს, როდესაც ამ ამბის მოყოლა დასრულა. მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ყოველთვის, მიაჩნდა, რომ მისი ძმა აჭარბებდა.

სექტემბრის დასაწყისში მაჰმუდი რეზა ხანის ქუჩაზე მიდიოდა და რაღაც არეულობა შენიშნა. ცოტა ახლოს მივიდა, უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელთან სამხედრო სატვირთო ავტომანქანები, ჩაფხუტიანი ხალხი, კარაბინები და მწვანე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები დაინახა. ეს უკანასკნელნი სტუდენტებს იჭერდნენ და სატვირთო ავტომანქანებში ყრიდნენ. მაჰმუდს ესმოდა ყვირილი, ხედავდა, როგორ უსხლტებოდნენ ჯარისკაცებს ხელიდან სტუდენტები და თავს გაქცევით შველოდნენ.

აი, ასე დაიწყო ახალი აკადემიური წელი უნივერსიტეტში.

იგი უკან წავიდა და გზა სხვა ქუჩით გააგრძელა. აქ კედელზე გაკრული მოწოდებები დაინახა, რომელთაც რამდენიმე ადამიანი კითხუ-

ლობდა. ეს ადვოკატი მუსტაფა ბაკხერის მიერ პრემიერ ამუზეგარისათვის გაგზავნილი ტელეგრამის ასლი იყო.

„თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ირანს ყველა მთავრობა არღვევს ადამიანის თავისუფლების პრინციპებს. ამის შედეგად ჩვენი უნივერსიტეტები უკვე აღარ წარმოადგენენ ადგილებს, სადაც ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას უნდა იღებდეს. ახლა ისინი ციხეებადაა გადაქცეული და მავთულხლართებით გარსშემორტყმული. ამ დაწესებულებებს პოლიცია მართავს. ცხადია, ამას ახალგაზრდა, მოაზროვნე ადამიანებში მხოლოდ ზიზღი და აღშფოთება უნდა გამოეწვია. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ თეირანშიც და სხვა ქალაქებშიც უნივერსიტეტები დაიხურა ან მხოლოდ ნაწილობრივ ფუნქციონირებენ“.

ხალხი მოწოდებას კითხულობდა და უხმოდ ტოვებდა იქაურობას.

მალე ქუჩაში ავტომანქანების სიგნალი გაისმა და მაჰმუდმა დაინახა, როგორ მიჰყავდათ სატვირთო მანქანებს სტუდენტები. მათ ირგვლივ ჯარისკაცები ჰყავდათ შემოხვეული და ხელები გაკრული ჰქონდათ. ჩანს, მათ უკვე მოათავეს თავიანთი საქმე — გაიფიქრა მაჰმუდმა და გადაწყვიტა ძმასთან წასულიყო, რათა მისთვის ეცნობებინა უნივერსიტეტში მომხდარი ამბავი. ძმის ბინაში ვიღაც ახალგაზრდა კაციც იყო, გიმნაზიის მასწავლებელი ფერეიდუნ განჯი. მაჰმუდს გაახსენდა, რომ პირველად ამ კაცს კულტურული შეკრებისას შეხვდა, როდესაც მათ პოლიცია დაესხა თავს. შემდეგ ძმა მოუყვა მაჰმუდს, რომ მეორე დღეს განჯი ჩვეულებისამებრ გიმნაზიაში მივიდა, მაგრამ დირექტორმა, რომელიც სავაკის მიერ უკვე საქმის კურსში იყო ჩაყენებული, სამსახურიდან გამოაგდო და უყვიროდა, რომ იგი ხულიგანი და ავანტიურისტია, რომ სირცხვილიც კია სტუდენტებთან მისი შეშვება. განჯი დიდი ხნის განმავლობაში უმუშევარი და სასოწარკვეთილი იყო.

ძმამ მათ შესთავაზა, ბაზარში წასულიყნენ და ესადილათ. ბაზრის სიახლოვეს ვიწრო და უჰაერო ქუჩაში მაჰმუდმა მრავალი ახალგაზრდა შენიშნა, რომლებიც ოპიუმით გაბრუებულიყნენ და ბანცალ-ბანცალით დადიოდნენ. ზოგიც კიბეზე იჯდა და ცივი, უსიცოცხლო თვალებით უაზროდ იყურებოდა. სხვები გამვლელებს ეძიძგილავებოდნენ და მუშტებით აშინებდნენ.

— როგორ ითმენს ამას პოლიცია? — იკითხა მაჰმუდმა.

— მოითმენს, აბა რას იზამს. ეს ხალხი ხანდახან მათთვის ძალზე საჭირო ხდება, — უპასუხა ძმამ. — ხვალ რამდენიმე გროშს მიუგდებენ, სამაგიეროდ დაურიგებენ რეზინის ჯოხებს და სტუდენტების დასარბევად გაუშვებენ. შემდეგ გაზეთები დაწერენ ჯანმრთელი, პატრიოტული ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც პარტიის მოწოდებას გამოეხმაურნენ და საკადრისი პასუხი გასცეს უნივერსიტეტის კედლებში შებუდებულ საზოგადოების პარაზიტებს.

ისინი რესტორანში შევიდნენ და დარბაზის შუაში მიუსხდნენ მაგიდას. მათ ჯერ არ დაეწყოთ სადილი, რომ მაჰმუდმა გვერდით მაგიდასთან ორი დაკუნთული ტიპი შენიშნა. სავაკიელები! — გაუელვა თავში ამ აზრმა.

— მოდით, სხვა მაგიდასთან გადავსხდეთ. — სთხოვა მან ძმასა და განჯის.

მართლაც გადასხდნენ და ამასობაში ოფიციანტიც მოვიდა. ვიდრე ძმა სადილს უკვეთავდა, მაჰმუდის მზერა გვერდით მსხდომმა შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა მიიპყრო, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულები ისხდნენ. — ესენიც საფაკიელები არიან და თავს კი ისე გვაჩვენებენ, თითქოს ჰომოსექსუალისტები იყვნენ, — გაიფიქრა ზიზღითა და შიშით მაჰმუდმა. — ალბათ, ეს ფანჯარასთან გადავსხდებით, შევხედოთ ერთი, ბაზარი რითი ცოცხლობს, — სთხოვა მაჰმუდმა ძმას. ისინი კვლავ ახალ მაგიდასთან გადასხდნენ. ის-ის იყო დაიწყეს ჭამა, რომ დარბაზში სამი მამაკაცი შემოვიდა. უსიტყვოდ, თითქოს უკვე შეთანხმებული იყვნენო, ისინიც იმ ფანჯარასთან დასხდნენ. — გვითვალთვალებენ, — ჩაიჩურჩულა მაჰმუდმა და იმავდროულად ისიც შენიშნა, როგორ უყურებდნენ მათ ოფიციანტები, რომლებიც პირიქით დაეჭვდნენ, რადგან მაჰმუდმა და მისმა მეგობრებმა სამჯერ შეიცვალეს მაგიდა. გამორიცხული არ იყო ისინი თავად მათ თვლიდნენ საფაკიელებად, რომლებიც მსხვერპლის მახეში გასაბმელად იცვლიდნენ ადგილს. მაჰმუდს უკვე მადა დეკარგა, საჭმელს ძლივს ყლაპავდა. მეგობრებს ანიშნა გარეთ გასულიყვნენ, და რესტორანი დატოვეს.

ისინი ძმის ბინაში მივიდნენ და ავტომანქანით მთებისაკენ წასვლა გადაწყვიტეს, რათა მცირე ხნით მაინც შვებით ამოესუნთქათ. ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, გზად მდიდარ თეირანელთა საცხოვრებელი უბანი, შემირანი გაიარეს, სადაც მშენებლობა იყო გახურებული. გვერდი ჩაუარეს კომფორტულ რესტორანს, მოდის სახლს, ექსკლუზიურ კლუბს აუზითა და კორტებით. ამ უბანში უდაბნოს (რამეთუ ქალაქს უდაბნო ესაზღვრება) ყოველი კვადრატული საცხოვრებელი ფართობი ასობით, თუ ათასი არა, დოლარი ღირდა, და, მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი იყო აქ ბინის ყიდვა. ეს იყო სასახლის კარის მომხიბლავი სამყარო, სხვა დედამიწა, სხვა პლანეტა. მოულოდნელად ისინი „საცოგში" აღმოჩნდნენ, ეტყობოდა, რაღაც წინაღობა იყო შექმნილი. მანქანები დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას და წინ წასვლა უჭირდათ.

— ბულდოზერების ომი გრძელდება, — თქვა ძმამ.

მანქანა ტროტუარზე გააჩერეს და გზა ფეხით განაგრძეს. მცირე მანძილი ჰქონდათ გავლილი, რომ წინ ცამდე ასული მტვერი დაინახეს. ქუჩის გასწვრივ პოლიციელთა მანქანები იყო გაჩერებული, ხოლო შორს მოჩანდა შავი, გაღიზიანებული ბრბო. მაჰმუდმა ყვირილი და კვნესაც გაიგონა. მალე სატვირთო მანქანა მოვიდა და მასზე ძონძებგადაფარებული ორი ადამიანის ცხედარი დადეს. მაჰმუდმა სროლის ხმაც გაიგონა. როცა შეჯგუფებულ ხალხთან უფრო ახლოს მივიდნენ, დაინახეს, როგორ ანგრევდა ხუთი ძლიერი ბულდოზერი ქოხმახებს. დაინახეს ქალიც, რომელიც ყვირილით ბულდოზერის ქვეშ შევარდნას ცდილობდა, უსუსურ მძღოლებს დროებით შეეჩერებინათ თავიანთი მანქანები, ხოლო პოლიციელები ჯოხებით ერეკებოდნენ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი სხეულით ცდილობდნენ დანგრევას გადაერჩინათ საკუთარი ხელით აჩოჩხილი ქოხები.

(„ — აი, ესაა ბულდოზერების ომი, — უთხრა მაშინ ძმამ მაჰმუდს, — რომელიც თვეობით გრძელდება. აქ მცხოვრებ ღარიბებს ერეკებიან, რადგან ამ ადგილების დაკავება ელიტას სურს. აქაა ქალაქში საუკეთესო ჰაერი და ამ ადგილებს სამხედრო ნაწილები იცავს. ეგ უკვე განაწილებულია, ახლა მხოლოდ აქ მცხოვრები ხალხის აქედან გაყრა და მათი სახლების დანგრევაა საჭირო. ამრიგად შემირჩენია ბაზარი, გურებს მის ირგვლივ რკალივით შემორტყმულ სიღარიბეს და ეს ადგილ-პერდასახლებას გაფართოების საშუალება მიეცემა. მასში სასახლის კართან ახლო მდგომი ხალხი დასახლდება. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, — დაუმატა ძმამ, — ეს საქმე ისე ადვილად არ მიდის წინ, როგორც მათ სურდათ. ამ ქოხმახებში მცხოვრებთა შორის ფედაინელებმა ნამდვილი წინააღმდეგობის მოძრაობა ჩამოაყალიბეს. აი, ნახავ, თუ სწორედ აქედან არ დაიწყოს ნამდვილი გალაშქრება შაჰის სასახლის წინააღმდეგ“.).

მაგრამ მაჰმუდს ძმა ენთუზიასტად მიაჩნდა და მისი წინასწარმეტყველების არ სჯეროდა. ისინი ავტომანქანასთან დაბრუნდნენ და შეეცადნენ შემოვლითი გზებით წასულიყვნენ მთებისაკენ. ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილამდე და კლდეში გამოთხრილ ადგილას დასხდნენ. განჯიმ ჩანთიდან მაგნიტოფონი ამოიღო, კასეტა ჩადო და ღილაკს თითი დააჭირა. მაჰმუდმა დაბალ ხმაზე საუბარი გაიგონა:

„სახელითა ალაჰისათა, მწყალობლისა და მიმტევებლისა!

ხალხო!

გაიღვიძეთ!

უკვე ათი წელიწადია, რაც შაჰი ქვეყნის განვითარებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ხალხი აუცილებელ საგნებსაც კი მონატრებულია. შაჰი ახლა მომავალი ოცდახუთწლიანი გეგმის პროექტს სახავს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მისი დაპირება მხოლოდ ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი. სოფელი დანგრეულია, მუშებისა და გლეხების მდგომარეობა გაუარესებული, დამოუკიდებელი ეროვნული მეურნეობა ფიქციაა. და ეს ადამიანი ჩვენ რევოლუციაზე გველაპარაკება! რა რევოლუციაა, როდესაც ხალხი ასე დააბეჩავა, დაიმონა და უცხო დიქტატურის ხელში ჩააგდო? მოგიწოდებთ სტუდენტებს, მუშებს, გლეხებს, ვაჭრებსა და ხელოსნებს, ჩაებით ბრძოლაში, შეექმნათ წინააღმდეგობის მოძრაობა და გარწმუნებთ, რომ ეს რეჟიმი მალე დაემხობა!

ხალხო!

გაიღვიძეთ!

სახელითა ალაჰისათა, მწყალობლისა და მიმტევებლისა!“

მაგნიტოფონში სიჩუმემ დაისადგურა.

— ვისი ხმა იყო? — იკითხა მაჰმუდმა.

— ჰომეინი ლაპარაკობდა, — უპასუხა განჯიმ.

განჯიმ მაჰმუდი იმ სამყაროში შეიყვანა, რომელიც მის შემეცნებაში დიდი ხანია უკვე დახშული იყო: მეჩეთი, მოლები, ყურანი, ისლამი, მექა. მაჰმუდიც, ისევე, როგორც მისი მეგობრები და ნაცნობები, წლების მანძილზე მეჩეთში არ შესულიყვნენ. მას თავი რაციონალისტად,

სკეპტიკოსად მიაჩნდა, პირფერობა მის შინაგან წინააღმდეგობას იწვევდა, ღმერთი არ სწამდა, არ ლოცულობდა.

(„ამ შეხვედრის დროს განჯიმ გვითხრა, რომ ის ამ კასეტებს ავრცელებს. იგი იმ ადამიანების წრეს მიეკუთვნება, რომლებიც ჰომეინის მოწოდებებს უწევენ აგიტაციას. მაშინ ჰომეინი ერაყში [illegible] ქალაქ ნაჯაფში იყო გადასახლებული. იგი მედრესეში ასწავლიდა. მოწოდებები იქ იყო ჩაწერილი, რაზეც არავინ არაფერი იცოდა, არადა ის კონსპირაციული ფორმით წლების მანძილზე გრძელდებოდა. მოწოდებებში ჰომეინი უტევდა და აკრიტიკებდა შაჰის ყოველ გამოსვლას, მის ყოველ ღონისძიებას. ეს იყო მოკლე, რამდენიმე წინადადების შემცველი კომენტარები, გადმოცემული უაღრესად უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით. ყოველი მოწოდება იწყებოდა და სრულდებოდა ალაჰისადმი მიმართვით და ასევე ფორმულირებით — ხალხო, გაიღვიძეთ!

კასეტები ირანში საზღვარგარეთიდან იყო შემოტანილი, ხშირად შემოვლითი გზებით, პარიზისა თუ რომის გავლით. მაშინ განჯიმ ისიც თქვა, რომ სავაკისათვის თვალის ახვევის მიზნით ხშრად ხალხისადმი მოწოდებები მოთავსებული იყო კასეტის ბოლოში, იგი ძირითადად სხვადასხვა ანსამბლის სიმღერებით იყო შევსებული. კასეტებს ადამიანთა გარკვეული წრე ავრცელებდა, რომელთაგან ერთერთი განჯი იყო. ამ ადამიანებს კასეტები შეჰქონდათ მეჩეთებში და მოლებს ურიგებდნენ. ამრიგად მოლები იღებდნენ მითითებას, თუ რა უნდა ექადაგათ ლოცვის დროს და როგორ მოქცეულიყვნენ. მთელი მოხსენების დაწერა შეიძლება კასეტების როლზე ირანის რევოლუციაში. ჩემთვის ეს ყველაფერი მაშინ სენსაცია იყო, წარმოდგენა არა მქონდა, თუ ასეთი ფართო მასშტაბი ჰქონდა მიღებული შიიტურ კონსპირაციას და ვფიქრობ ამას შაჰიც ვერ წარმოიდგენდა, თუნდაც შესაბამის ორგანოებს ამ თემაზე მისთვის მოხსენებები ეკეთებინათ. იმ დღეს მივხვდი, რომ ჩემს ირგვლივ არსებობს რაღაც სხვა, იდუმალი სამყარო, რომელსაც არ ვიცნობ და თითქმის არაფერი ვიცი მის შესახებ“).

ქალაქში დაბრუნდნენ.

მომდევნო კვირების მანძილზე ქალაქში ახალი მანიფესტები და საპროტესტო წერილები გამოჩნდა. გახშირდა საიდუმლო კრებები და პოლიტიკური დებატები. ნოემბერში დაფუძნდა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი და სტუდენტთა იატაკქვეშეთის კავშირი. მაჰმუდი ხშირად სტუმრობდა ახლომდებარე მეჩეთებს, სადაც უამრავ ადამიანს ხვდებოდა, მაგრამ იქ გაბატონებული უაღრესად ვნებიანი ღვთისმსახურება მისთვის უცხო და მიუღებელი რჩებოდა. მას იმ ადამიანებთან რაიმე ემოციური კავშირის დამყარება არ შეეძლო. — ვის უხმობს ეს ხალხი, საით სურს წასვლა? — ფიქრობდა იგი. მათმა უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა. ისინი ერთი წლის წინ ან იქნებ სულ ორიოდე თვის წინ უდაბნოს ან მთის რომელიმე ღატაკი სოფლიდან ჩამოვდნენ დიდ ქალაქში. მათ სოფელში ათასი წლის მანძილზეც კი არაფერი შეცვლილა. ახლა ისინი აღმოჩნდნენ მათთვის გაუგებარ, მტრულ სამყაროში, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ატყუებდათ და რომლისთვისაც ისინი მიუღებელი იყო. თავშესაფარს ეძებდნენ, მოითხოვდნენ რაღაც

შეღავათებს. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ამ ახალ და მათდამი აბსოლუტურად გულგრილ სამყაროში მხოლოდ ალაჰი იყო ისევე, რაც მათ სოფელში, როგორიც არის ყველგან და ყოველთვის.

მაჰმუდი ახლა ძალიან ბევრს კითხულობდა, ჯეკ ლონდონსა და რუდიარ კიპლინგს ინგლისურიდან სპარსულად თარგმნიდა. ხშირად ფანტენდებოდა ლონდონში გატარებული დრო და ფიქრობდა, რამდენ დიდი განსხვავებაა ევროპასა და აზიას შორის და კიპლინგის სიტყვებს იმეორებდა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი — დასავლეთი. ეს ორი სამყარო ერთმანეთს არასოდეს შეხვდება. აზია უარყოფს რაიმეს შეთვისებას ევროპიდან და მას ისე უყურებს როგორც უცხო სხეულს. ამაზე ევროპელები შეიძლება განაწყენდნენ, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის. ევროპაში ეპოქები იცვლება, ახალი უკუაგდებს ძველს, რაღაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრება წარსულისაგან იწმინდება, ჩვენი საუკუნის ადამიანი ძნელად გაუგებს თავის წინაპარს. აქ სხვაგვარადაა, წარსულიც ისევე ცოცხალია, როგორც თანამედროვეობა, უხეში ქვის ხანა თანაცხოვრობს ცივ, ანგარიშიან საუკუნეში, იგი ცხოვრობს იმავე ადამიანში, რომელიც არის შთამომავალი ჩინგის ხანისა, როგორც მოსწავლე ედისონის, რა თქმა უნდა, თუკი მას ოდესმე საერთოდ შეხება ჰქონია ამ სამყაროსთან.

იანვრის ერთ ღამეს მაჰმუდს კარებზე კაკუნი მოესმა. იგი ლოგინიდან წამოვარდა.

(„ეს ჩემი ძმა იყო. უაღრესად აღგზნებულად გამოიყურებოდა. ჯერ ოთახში არ შემოსულიყო, რომ წარმოთქვა: ხოცვა-ჟლეტა! ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ოთახში დადიოდა და რაღაცა აბდაუბდას ბოდავდა. ამბობდა, რომ კუმის ქუჩებში პოლიციამ ხალხს ესროლა. თქვა, რომ ხუთასამდე მოკლულიაო. ძალიან ბევრი ქალი და ბავშვი დაიხოცაო.

ყველაფერი კი ძალზე უბრალო ამბიდან დაწყებულა. თურმე, გაზეთ „ეტელატ"-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ჰომეინს უტევდა. მას ვიღაც სასახლის ან მთავრობის წარმომადგენელი წერდა. სტატიის ავტორი ჰომეინს უცხოელს უწოდებდა, რაც ირანელის წარმოდგენაში საკმაოდ ზიზღის მომგვრელია. როდესაც გაზეთმა კუმამდე (ჰომეინის მშობლიური ქალაქი) ჩააღწია, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და კამათი დაიწყო. შემდეგ მათ მთავარ მოედანზე გადაინაცვლეს, რომელსაც პოლიციამ იმ წუთსავე ალყა შემოარტყა. პოლიციელები სახლების სახურავზეც გამოჩნდნენ. გარკვეული დროის განმავლობაში არაფერი არ ხდებოდა, სრული სიწყნარე იყო, ალბათ თეირანთან კონსულტაციები მიმდინარეობდა. შემდეგ ვიღაც ოფიცერმა ხალხს მოუწოდა — დაშლილიყვნენ, მაგრამ ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. და ამ სიჩუმეში ერთდროულად სახურავებიდანაც და ქუჩიდანაც ხალხს სროლა დაუწყეს. მოედანზე პანიკა ატყდა. ხალხს გაქცევა უნდოდა, ერთმანეთს აწყდებოდა და თელავდა, მაგრამ ვერსად გაიქცეოდა, ქუჩები კბილებამდე შეიარაღებული პოლიციის მიერ ალყაში იყო მოქცეული. მთელი მოედანი გვამებით მოიფინა, — ამბობდა ძმა. თეირანიდან დამხმარე ძალები ჩაიყვანეს და ახლა იქ ხალხს აპატიმრე-

ბენ. სრულიად უდანაშაულო ხალხი დაიხოცა, მათი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მოედანზე გამოვიდნენო. მახსოვს, მეორე დღეს მთელი თეირანი აგზნებული იყო, იგრძნობოდა, რაღაც შავი და საშინელი დღეები ახლოვდებოდა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკვდარი ცეცხლის ენები (?)

ძვირფასო ბატონო ღმერთო,
რატომ არ ტოვებ მზეს ღამით,
როდესაც იგი უფრო საჭიროა?

ბარბარა

(„ბავშვების წერილი ღმერთისადმი", გამომცემლობა ფაქელი, 1978 წ.)

შაჰის ბატონობას რევოლუციამ დაუსვა წერტილი. რევოლუციამ დაანგრია მისი სასახლე და მონარქია ნანგრევებში შთაინთქა. ეს მოვლენები, ერთი შეხედვით, მცდარი ნაბიჯით დაიწყო, რომელიც შაჰის ხელისუფლებამ გადადგა, ეს მისი უკანასკნელი შეცდომა აღმოჩნდა.

ჩვეულებისამებრ, რევოლუციის მიზეზად ობიექტურ პირობებს ასახელებენ ხოლმე — საყოველთაო სიღატაკეს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, კორუფციას. მაგრამ ასეთი შეხედულება, თუმცა სწორია, თუმცა ცალმხრივია. ამგვარი პირობები ასზე მეტ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ რევოლუცია იშვიათად იფეთქებს ხოლმე. საჭიროა სიღატაკესა და კორუფციის არსის წვდომა, იმის რწმენა, რომ იგი საშყაროს ბუნებრივი წესრიგიდან არ გამომდინარეობს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ წვდომა, თუნდაც ძალზე აშკარა და მკაფიო, სრულიადაც არაა საკმარისი. აუცილებელია სიტყვა, აუცილებელია ამხსნელი აზრი. სახელდობრ, ამიტომაა, რომ ტირანებს, ნალმსა და ხანჯალზე მეტად სიტყვის ეშინიათ. სიტყვაზე, რომელიც იბადება მიწისქვეშეთში, მათ კონტროლის დაწესება არ შეუძლიათ.

მაგრამ ისეც ხდება ხოლმე, რომ სიტყვები საზეიმო ფორმითა და ბეჭდით იწვევენ რევოლუციას.

საჭიროა განვასხვავოთ შეთქმულება და სასახლის კარის გადატრიალება აჯანყებისაგან. შეთქმულება და გადატრიალება შეიძლება დაიგეგმოს, აჯანყება — არასოდეს. მისი აფეთქება და ამ აფეთქების დრო ყველას აოცებს, იმათაც კი, ვინც ყველაფერს აკეთებდა მის გამოსაწვევად. ისინი გაოცებული უყურებენ სტიქიას, რომელიც უცებ წარმო-

იშვება და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს. ამასთან ყველაფერს იმ დონემდე სპობს, რომ ბოლოს შეიძლება მისი წარმომშობი ხალხი და იდეაც კი გაანადგუროს.

მცდარია წარმოდგენა, თითქოს ისტორიის მიერ დაჩაგრულ ერები (ხოლო ასეთები უმეტესობაა) სულ იმის ფიქრში იყვნენ, [illegible] ახდინონ რევოლუცია, რომ მასში ხედავენ თავიანთი პრობლემების გადაწყვეტის გზას. ყოველი რევოლუცია დრამაა, ხოლო ადამიანი ინსტინქტურად ერიდება დრამატულ სიტუაციას. თუმცა თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, ცდილობს როგორმე იქიდან გამოსვლის გზები მონახოს, სიწყნარისაკენ და ხშირად ჩვეულებრივი ყოველდღიურობისაკენ მიისწრაფის. ამიტომაა, რომ რევოლუცია არასოდეს გრძელდება დიდხანს. ის უკანასკნელი სახის იარაღს წარმოადგენს და ხალხი წყვეტს, გამოიყენოს თუ არა ეს იარაღი. თუ ხალხი ამ უკიდურეს გზას აირჩევს, ესე იგი იცის, რომ სხვა გზა აღარ დარჩენიათ, სხვა ცდამ ვერ გაუმართლათ, ყველა იარაღმა უმტყუნათ.

ყოველი რევოლუცია წინ უსწრებს საერთო გამოფიტვის მდგომარეობას და ამ ფონზე — გამოღვიძებულ აგრესიას. ხელისუფლება მასზე გაღიზიანებულ, გაბრაზებულ ხალხს ვერ იტანს, რომელსაც არ უყვარს ხელისუფლება და ეზიზღებათ კიდეც. ხელისფულებამ უკვე გაფლანგა ხალხის ნდობა, ახლა მათ ხელები ცარიელი აქვთ, უკვე დაკარგეს მოთმინება და მუშტებს კუმშავენ. მდგომარეობა თანდათან იძაბება, მძიმდება და იხუთება.

რაც შეეხება რევოლუციური ბრძოლის ტექნიკას.

ისტორიამ ორი ტიპის რევოლუცია იცის. პირველია — რევოლუცია შეტევითი, მეორე — ალყაში მოქცევით.

შეტევითი რევოლუციის დროს მის შემდგომ ბედზე, მის წარმატებებზე, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ის, რა სიძლიერისაა პირველი დარტყმა: დარტყმა აგრეთვე რაც შეიძლება დიდი ტერიტორიის დაკავება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ტიპის რევოლუცია, როგორც წესი, მოულოდნელი და იმავდროულად ზედაპირულია. მართალია, მოწინააღმდეგე დამარცხებულია, მაგრამ მან უკან დახევისას საკუთარი ძალების ნაწილი გადაარჩინა. იგი კონტრშეტევაზე გადმოვა და შეეცდება გამარჯვებულს უკან დაახევინოს. ამიტომ, თუკი პირველი დარტყმა ძლიერი იქნება და აჯანყებულები მეტ ტერიტორიასაც დაიკავებენ, მიუხედავად დათმობებისა, შესაძლებელი იქნება გადარჩენა და მილწეულის შენარჩუნება. შეტევითი რევოლუციის დროს პირველი ეტაპი განსაკუთრებით რადიკალურია. შემდგომი ეტაპები უკვე ნელი ტემპით, მაგრამ განუწყვეტელი უკან დახევით მიმდინარეობს, იმ პუნქტამდე, ვიდრე ორივე ძალა — აჯანყებულიცა და მდგომარეობის შენარჩუნების მოწადინეც — საბოლოო შეთანხმებამდე არ მივლენ.

სხვაგვარადაა საქმე, როდესაც რევოლუცია მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევით ხორციელდება: ამ დროს პირველი დარტყმა სუსტია,

იმდენად სუსტი, რომ ძნელად მოისაზრებს კაცი თუ იგი რისამე კატასტროფის მომასწავებელია. მაგრამ მალე რევოლუციური მოვლენების ტემპები მატულობს და უფრო დრამატულ სახეს იღებს. მასში უფრო და უფრო მეტი ხალხი მონაწილეობს. კედლები, რომლის იქითაც ხელისუფლება იმალება, თანდათან იფჩხვნება და სკდება. [illegible] რევოლუციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აჯანყებულ [illegible]ულობას, მათ სულიერ ძალასა და გამობრძმედულობას ენიჭება. კიდევ ერთი დღე! კიდევ ერთი მონდომება! ბოლოს ალაყაფის კარები იხსნება, ბრბო შიგნით შევარდება და ტრიუმფს ზეიმობს.

სწორედ რომ ხელისუფლება იწვევს რევოლუციას. რა თქმა უნდა, იგი ამას შეგნებულად არ აკეთებს. მაგრამ მისი ცხოვრების სტილი და მართვის მეთოდები რევოლუციური მოვლენების პროვოკაციად იქცევა. ეს მაშინ ხდება, როდესაც ელიტის წარმომადგენლებს შორის დაუსჯელობის სინდრომი ვითარდება: ჩვენ ყველაფერი გვეპატიება, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. ეს ძალზე მცდარი შეხედულებაა, თუმცა არაა რაციონალურ საფუძვლებს მოკლებული. მდგომარეობა რეალურად ისე გამოიყურება, თითქოს მართლაც ყველაფერი ხელეწიფებოდეთ. სკანდალი სკანდალზე, უსამართლობა უსამართლობაზე ეპატიებოდათ. ხალხი დუმდა, იგი მომთმენი და ფრთხილია. მას ეშინია კიდეც, საკმაოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ ძალებს, მაგრამ იმავდროულად ყველა დამცირებასა და შეურაცხყოფას აღნუსხავს და ერთ მშვენიერ დღეს აჯამებს კიდეც. აი, რა დროს აკეთებს ამას, ეს ისტორიის უდიდესი გამოცანაა. რატომ გამოდის ხალხი ქუჩაში ზუსტად იმ დღეს და არა სხვა დროს? რატომ დააჩქარა იგი ამ და არა სხვა მოვლენამ? ხელისუფლება ხომ გუშინ უფრო უარესის გაკეთების უფლებას აძლევდა საკუთარ თავს, მაგრამ ამაზე რეაგირება არავის მოუხდენია. — ახლა ასეთი რა გავაკეთე? — კითხულობს გაოცებული ხელისუფლება, — ხალხი ასე მოულოდნელად რატომ გაცოფდა? გააკეთა: ხალხს მოთმინების ფიალა აუვსო. მაგრამ სად გადის ამ მოთმინების ფიალის ავსების ზღვარი, როგორ განვსაზღვროთ იგი? ალბათ, თუკი შეიძლება მისი დადგენა, იგი ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა იქნება. დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას, რომელმაც იცის ასეთი საზღვრის არსებობის შესახებ და ფრთხილობს მას არ გადააბიჯოს, შეუძლია წყნარად იყოს: მას დიდი ხნის მმართველობა უწერია. მაგრამ ასეთი ხელისუფლება ბევრი არაა.

რანაირად დაარღვია შაჰმა ეს საზღვარი და თავის თავს განაჩენი როგორ გამოუტანა? ყველაფერი გაზეთში დაბეჭდილი ერთი წერილიდან დაიწყო. გაუფრთხილებელ სიტყვას შეუძლია ყველაზე დიდი იმპერიაც კი ძირს დასცეს. ხელისუფალმა ამის შესახებ უნდა იცოდეს. მან ეს თითქოს იცის, თითქოს გრძნობს კიდეც, მაგრამ რომელიღაც მომენტში თვითგადარჩენის ინსტინქტი ღალატობს. საკუთარ თავში დარწმუნებული, მიუტევებელ, თავხედურ შეცდომას უშვებს და იღუპება.

1978 წლის 8 იანვარს სახელისუფლებო გაზეთ „ეტელატში" დაბეჭდა ჰომეინის შეურაცხმყოფელი სტატია. ამ დროს ჰომეინი ემიგრაციაში იმყოფებოდა, შაჰს იქიდან ებრძოდა. დესპოტისაგან დევნილი, შემდეგ კი ქვეყნიდან გაძევებული ჰომეინი, ხალხის სინდისსა და ნამუსს წარმოადგენდა. ჰომეინის შესახებ მითის განადგურება მოასწავებდა ხალხის სიწმინდის განადგურებას, დამცირებულთა და დაბეჩავებულთა იმედის გაქრობას. სწორედ ასეთი გახლდათ ამ სტატიის ძირითადი თემა.

რა უნდა დაწერო ისეთი, რომ მოსპო მოწინააღმდეგე? ალბათ, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ მასზე იტყვი, რომ იგი უცხო ადამიანია. ამ მიზნით ვქმნით ნამდვილი ოჯახის კატეგორიას. ჩვენ აქ, შენ და მე, ხელისუფლება და ხალხი, ნამდვილი ოჯახი ვართ. ვცხოვრობთ თანხმობით, ერთმანეთს ვუგებთ, გვაქვს საერთო ჭერი, საერთო მაგიდა, გაჭირვების დროს ერთმანეთს ვეხმარებით. სამწუხაროდ, ჩვენ მარტო არა ვართ. ირგვლივ მრავლადაა უცხო ადამიანი, რომელთაც სურთ ჩვენი თანხმობის დარღვევა და ჩვენი სახლის დაკავება. კი მაგრამ, ვინაა ის უცხო? უცხო ისაა, ვინც ცუდია და იმავდროულად — საშიშიც. რა უჭირდა, მხოლოდ ცუდი რომ ყოფილიყო, და თავისთვის ყოფილიყო! როგორ გეკადრებათ! იგი ყოველნაირად ცდილობს გვავნოს. მას შენ არ აინტერესებ, ის შენი უბედურების წყაროა. რაში მდგომარეობს უცხო ძალა? იმაში, რომ მის უკან ასევე უცხო ქვეყნები დგანან. შეიძლება იყოს ან არ იყოს დასახელებული ის უცხო ქვეყნები, მაგრამ ერთი კი ნამდვილია — ისინი ძალიან ძლიერნი არიან. ანუ ძლიერნი არიან მაშინ, თუ მათ უგულვებელვყოფთ. სამაგიეროდ, თუკი მათ მიმართ ფრთხილად ვიქნებით და ბრძოლას დავუწყებთ, ჩვენ აღმოვჩნდებით მათზე ძლიერნი.

აი, ვთქვათ, ჰომეინი. ის უცხოა. პაპამისი ინდოეთიდანაა. ამიტომ შეიძლება დაისვას კითხვა — ვის ინტერესებს ემსახურება ამ უცხოელი პაპის შვილიშვილი?

ეს იყო სტატიის პირველი ნაწილი. მეორე ეძღვნებოდა ჯანმრთელობას. რა კარგია, რომ ჯანმრთელები ვართ! ჩვენი ნამდვილი ოჯახიც ჯანმრთელი ოჯახია, სალ-სალამათი სულისა და სხეულის. ვის უნდა ვემადლიერებოდეთ ამას? ხელისუფლებას, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი კარგი, ბედნიერი ცხოვრება და სწორედ ამიტომ იგი ყველაზე კარგი ხელისუფლებაა მზის ქვეშ. საკითხავია, ვინ უნდა იყოს ასეთი კარგი ხელისუფლების წინააღმდეგი? მხოლოდ იგი, ვისაც არეული გონება აქვს. რადგან ქვეყანაში საუკეთესო ხელისუფლება გვყავს, გიჟი არ უნდა იყო, რომ მას ებრძოლო?! ამიტომ ჯანმრთელმა საზოგადოებამ იზოლაციაში უნდა მოაქციოს ასეთი არეული გონების ხალხი, შორეულ ადგილებში უნდა გადაასახლოს ისინი. რა კარგია, რომ შაჰმა ქვეყნიდან გაასახლა ჰომეინი, სხვანაირად საჭირო იქნებოდა მისი საგიჟეთში გაგზავნა.

როდესაც გაზეთმა, სადაც ეს წერილი იყო დაბეჭდილი, კუმშამდე ჩააღწია, ხალხი აღშფოთდა. მათ ქუჩებში და მოედნებზე იწყეს თავშეყრა. ვისაც კითხვა შეეძლო, სხვას ხმამაღლა უკითხავდა. გაღიზიანე-

ბულმა ადამიანებმა ხალხმრავალი ჯგუფების შექმნა დაიწყეს, სადაც ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ირანელთა ვნება ხომ სწორედ ესაა — იკამათონ ყველგან გაუთავებლად, ნებისმიერ საკითხზე და ნებისმიერ დროს. ისინი სხვა ადამიანებზე მაგნიტივით ზემოქმედებდნენ და მათაც იზიდავდნენ თავისკენ. შედეგად კი თითქმის მთელმა ქალაქმა მოედანზე მოიყარა თავი. პოლიციას ასეთი რამე არ ეყვარს. ვინ მისცათ უფლება, რომ ასე ბევრი ადამიანი ერთად შეჯგუფებულიყო? არავინ. ასეთი ნებართვა არ გაცემულა. ვინ აძლევს მათ ასე ყვირილის და ხელების ქნევის ნებას? პოლიციამ წინასწარ იცის, რომ ეს რიტორიკული კითხვებია და უკვე დროა, უშუალოდ საქმეს შეუდგნენ.

დგება უმნიშვნელოვანესი წუთები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის, შაპისა და რევოლუციის ბედი. ეს ის წუთებია, როდესაც პოლიციელთა პოსტს ერთი მათგანი გამოეყოფა და შეჯგუფებული ხალხის განაპირას მდგარ ადამიანს ყვირილით სახლში წასვლას უბრძანებს. ისინი ერთი ჩვეულებრივი, ანონიმური პიროვნებებია, მაგრამ მათი ეს შეხვედრა ისტორიულ ხასიათს მიიღებს. ორივე ასაკოვანი ადამიანია, რომელთაც გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. პოლიციელის გამოცდილება ასეთია: თუ ვინმეს დავუყვირებ და ჯოხს მოვუღერებ, იგი შეშინდება და გაიქცევა. ხოლო ბრბოს წარმომადგენლისა კი ასეთი: მოახლოებული პოლიციელის დანახვაზე შემეშინდება და გავიქცევი.

მოდით, ამ გამოცდილებების საფუძველზე განვავითაროთ შემდგომი სცენარი: პოლიციელი ყვირის, ადამიანი გარბის, მას სხვები მისდევენ და მოედანი ცარიელდება. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. პოლიციელი კი ყვირის, მაგრამ ადამიანი არ გარბის, დგას და შეჰყურებს მას. ეს არის ძალიან მგრძნობიარე, დაძაბული ყურება, მასში ჯერ კიდევ იგრძნობა შიში, მაგრამ ამავე დროს არის მტკიცე და მოურიდებელი ყურებაც. დიახ, ფეხსაც არ მოვიცვლი! დემონსტრანტი ჯიქურ უყურებს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხელისუფლების წარმომადგენელს და ადგილიდან არ იძვრის. შემდეგ იგი ხედავს, თუ როგორი აგზნებულები და ოდნავ დაშინებული სახით უყურებენ სხვები, თუმცა მაინც მტკიცედ დგანან. არავინ გარბის, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელი კვლავ აგრძელებს ყვირილს. ბოლოს დგება წამი, როდესაც ისიც დუმდება და გარკვეული დროის განმავლობაში მთელ მოედანზე სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. არ ვიცი, იცოდნენ თუ არა მათ, რაც უკვე მოხდა, ანუ, ის, რომ ადამიანმა უკვე დაძლია შიში და ეს უკვე რევოლუციის დასაწყისია. დიახ, ზუსტად ამ მომენტიდან იწყება რევოლუცია. აქამდე, რამდენჯერაც ეს ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ დამდგარა, დაუყოვნებლივ გამოჩენილა რაღაც მესამე — შიში. ეს უკანასკნელი გამოჩნდებოდა ხოლმე როგორც პოლიციელის მეკავშირე და რიგითი ადამიანის მტერი. იგი ამ ადამიანს თავს ახვევდა თავის უფლებას, ყველაფერს ის წყვეტდა. მაგრამ ახლა ეს ორი ადამიანი უშუალოდ დადგა ერთმანეთის პირისპირ, შიში გაქრა, სადღაც მიწის ქვეშ ჩაძვრა.

აქამდე მათ შორის ურთიერთობა ემოციით იყო სავსე. ეს ზიზღის, აგრესიის, გაბრაზების და შიშის რაღაც ნარევს წარმოადგენდა. მაგრამ ახლა, როდესაც შიში სადღაც დაიკარგა, ეს წყეული და საზიზღარი კავშირი უცებ დაირღვა, რაღაც გადაიწვა, რაღაც ჩაქრა. ეს ორი ადამიანი ერთმანეთის მიმართ გულგრილი, ერთმანეთისადმი უსარგებლო და. თითოეულ მათგანს შეეძლო თავის გზას გადგომოდა. მართლაც, პოლიციელი შეტრიალდება და მძიმე ნაბიჯებით იწყებს თავისი პოსტისაკენ წასვლას, სამაგიეროდ ის კაცი, ბრბოს წარმომადგენელი რჩება მოედანზე და რაღაც მომენტის განმავლობაში მზერით აცილებს მიმავალს.

შიში ხარბი, დაუნდობელი მხეცია, რომელიც ჩვენში ზის. თავს ყოველთვის გვასხენებს. განუწყვეტლივ განგვაიარაღებს და გვტანჯავს. გამუდმებით გვთხოვს საჭმელს, ჩვენც უნდა ვკვებოთ და ვკვებოთ. თავად ვცდილობთ, რომ მისი საკვები საუკეთესო იყოს. მისი საყვარელი საკვებია — ბოროტი ჭორები, ცუდი ცნობები, საგანგაშო აზრები, კოშმარული ხილვები. ათას ჭორს, ცნობას და აზრს შორის ყოველთვის ყველაზე უარესს ვირჩევთ, ანუ მას, რომელიც შიშს განსაკუთრებით უყვარს. რათა დავამშვიდოთ, მოვეფეროთ ამ მხეცს. აი, ვხედავთ ადამიანს, რომელიც სხვას უსმენს და თან სახე მიტკალივით უთეთრდება, ნერვიულად ტოკავს. რა დაემართა? ის საკუთარ შიშს კვებავს. მაგრამ თუ არ გვექნება მისი მოსაწონი საკვები? დაუყოვნებლივ მოვიფიქრებთ. თუ ვერ მოვიფიქრებთ (რაც იშვიათად ხდება), მაშინ სხვა ადამიანებს მივაშურებთ, მოვძებნით, გამოვიკითხავთ, მოვისმენთ და იმდენ ხანს ვიწრიალებთ, ვიდრე კვლავ არ დავაწყნარებთ ჩვენს შიშს.

ნებისმიერი წიგნი, რომელიც რევოლუციების გენეზისსა და განვითარებას ეხება, იმაზე მოგვითხრობს, თუ რა დამპალი იყო ძველი ხელისუფლება და რა სიღატაკეში ცხოვრობდა ხალხი. არადა, წესით ის ფსიქოლოგიის შესახებ განყოფილებით უნდა იწყებოდეს — ანუ იმით, თუ როგორ ხდება, რომ დაბეჩავებული, გაწამებული, დაშინებული ადამიანები უცებ ძლევენ შიშს და აღარავისი ეშინიათ. აღწერილი უნდა იყოს მთელი ეს უჩვეულო პროცესი, რომელიც ზოგჯერ ერთ წუთში ხდება. ადამიანი სძლევს შიშს და თავს თავისუფლად გრძნობს. ამის გარეშე რევოლუცია წარმოუდგენელია.

პოლიციელი პოსტზე ბრუნდება და თავის უფროსს მოხსენებას უწერს. ეს უკანასკნელი გააგზავნის მსროლელებს და მათ მოედნის ირგვლივ სახლებზე პოზიციების დაკავებას უბრძანებს. თავად ავტომანქანით ქალაქის ცენტრისაკენ მიდის და ხმის გამაძლიერებლით ხალხს მიმართავს, დაიშალონ. მაგრამ მას არავინ უსმენს. მაშინ იგი უსაფრთხო ადგილას დგება და სროლის დაწყების შესახებ იძლევა ბრძანებას. მაშინვე ტყვიის წვიმა მიდის ხალხისაკენ. იქმნება ვანგაში, ხალხი ერთმანეთს თელავს, გარბიან, მოედანზე მხოლოდ დახოცილები რჩებიან.

ცნობილი არაა, აჩვენეს თუ არა შაჰს მოედნის ფოტო, რომელიც პოლიციამ გადაიღო ამ ხოცვა-ჟლეტის პროცესში. ვთქვათ, რომ არ

აჩვენეს. შაჰი ძალიან ბევრს მუშაობდა, შეიძლება ამის დრო არც ჰქონდა. მისი სამუშაო დღე იწყებოდა დილის შვიდ საათზე და შუაღამისას მთავრდებოდა. წესიერად მხოლოდ ზამთარში ისვენებდა, როდესაც წმ. Mortiz-ში მიდიოდა თხილამურებზე სასრიალოდ. მაგრამ იქაც მხოლოდ ერთი-ორი დღე თუ სრიალებდა, შემდეგ [illegible] ბრუნდებოდა თავის რეზიდენციაში და მუშაობდა, ამ დღეებს [illegible] ქალბატონი ლ. ამბობს, რომ შაჰის მეუღლე წმ. Mortiz-ში ძალზე უბრალოდ იქცეოდა. ამის დასამტკიცებელ საბუთად მოაქვს ფოტოსურათი, რომელზედაც ჩანს, თუ როგორ დგას იგი თხილამურებით ჩამსრიალებელთა რიგში. ასე, უბრალოდ, დგას თხილამურებზე დაყრდნობილი მშვენიერი ქალბატონი. არადა, — ამბობს ქალბატონი ლ. — მათ ხომ იმდენი ფული ჰქონდათ, რომ საკუთარი სასრიალებლის აშენება შეეძლოთ.

დახოცილებს თეთრ ზეწრებში ახვევენ და ხის საზიდრებზე აწყობენ. ისინი, ვისაც საზიდარი მიაქვს, სწრაფი ნაბიჯებით დადიან, კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ძალიან ეჩქარებათ ამ საქმის მოთავება. მთელი სამგლოვიარო პროცესია ჩქარობს, ისმის ყვირილი და ტირილი, მგლოვიარეთა შორის იგრძნობა მოუსვენრობა და ნერვიულობა. თითქოს მკვდრები თავიანთი იქ ყოფნით აღიზიანებთ მათ და ამიტომ ჩქარობენ, რაც შეიძლება მალე მიაბარონ მიწას. შემდეგ კუბოზე აწყობენ საკვებს და ატარებენ წირვას. ვინც იქ მივა, სთავაზობენ რაიმეს შეჭმას. თუ მშიერი არაა, ხილს — ვაშლს ან მანდარინს მაინც შესთავაზებენ. მაგრამ რაღაც აუცილებლად უნდა შეჭამოს.

მეორე დღეს იწყება გარდაცვლილთა გახსენება. ხალხი იგონებს გარდაცვლილთ, ამბობენ, რა კეთილი გული და კარგი ხასიათი ჰქონდა მას. ეს პროცესია ორმოც დღეს გრძელდება. მეორმოცე დღეს გარდაცვალებულის ოჯახში ოჯახის წევრები, მისი მეზობლები და მეგობრები იკრიბებიან. სახლის გარშემოც მთელი ქუჩა, სოფელი, ნაცნობები, იყრიან თავს. ესაა გამოსათხოვარი თავმოყრა, ისმის ტირილი და მოთქმაგოდება. იგი ამ დღეს თავის კულმინაციას აღწევს. ეს რომ ბუნებრივი სიკვდილი ყოფილიყო, ანუ რაც ადამიანს ბედით აქვს განსაზღვრული, მაშინ თავმოყრილი ხალხის ქცევა გაცილებით მორჩილი, მომთმენი იქნებოდა. მაგრამ როდესაც ესაა ვილაცის მიერ იძულებით გამოწვეული სიკვდილი, მაშინ ხალხის გული სავსეა ბოღმით, ის შურისძიების წყურვილითაა გამსჭვალული. რისხვითა და ზიზღით დამძიმებულ ატმოსფეროში ისმის მკვლელის — ამ უბედურების ჩამდენის სახელი. ეს უკანასკნელი, თუნდაც აქედან ძალიან შორის იყოს, შიშისაგან უნდა კანკალებდეს: დიახ, მისი დღეები დათვლილია, მას ველარაფერი უშველის.

ერი, რომელიც დაჩაგრული და დამონებულია დესპოტური ხელისუფლების მიერ, თავშესაფარს, გადარჩენის ადგილს ეძებს, სადაც შეძლებს საკუთარი თავის პოვნას, ჩაგვრისაგან გაქცევას. ეს აუცილებელია რათა შეინარჩუნოს საკუთარი სახე, საკუთარი თავისთავადობა. მაგრამ მთელ ერს როდი შეუძლია სხვაგან გადასახლება, ამიტომ იგი მიდის არა სივრცით, არამედ — დროით ემიგრაციაში ანუ უბრუნდება

წარსულს, რომელიც უხეშ რეალობასთან შედარებით, მას გარს რომ არტყია, დაკარგულ სამოთხედ ეჩვენება. და იგი პოულობს თავს ძველ ჩვეულებებში და ისეთ წმინდაში, რომ ხელისუფლებას ეშინია კიდეც მის წინააღმდეგ გამოსვლა, მასთან ბრძოლა. სწორედ ამიტომაც ყოველი დიქტატურის საფარქვეშ ადგილი აქვს — მისდაუნებურად და ძალაუნებურად — ძველი ჩვეულებების, რწმენის და სიმბოლოების აღდგენას. ამასთან ისინი სრულიად ახალი აზრით იკვლებიან. თავიდან ესაა გაუბედავი და ხშირად ფარული პროცესი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება დიქტატურა თანდათან აუტანელი და მძიმე, მატულობს მისი ძალა, ფართოვდება მისი მოქმედების არეალი. შეიძლება მოვისმინოთ კრიტიკული აზრიც, რომ ეს არის შუა საუკუნეებისაკენ დაბრუნება. ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ უფრო ხშირად ესაა ფორმა, რომლითაც ხალხი თავის წინააღმდეგობას გამოხატავს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ის არის პროგრესისა და თანამედროვეობის სიმბოლო, ჩვენ კი ვაჩვენებთ მას, რომ ჩვენი ღირებულებები სრულიად სხვაა. ამიტომ ეს უფრო პოლიტიკური სიჯიუტეა, ვიდრე წინაპართა უკვე დავიწყებული სამყაროსაკენ დაბრუნების სურვილი. საკმარისია ცხოვრება უკეთესობისაკენ წავიდეს, რომ ძველი წეს-ჩვეულებები კარგავენ ემოციურ შინაარსს და იქცევიან იმად, რაც იყვნენ — რიტუალურ ფორმად.

ასეთ წეს-ჩვეულებად, რომელიც მზარდი ოპოზიციის სულის ზეგავლენით მოულოდნელად პოლიტიკურ აქტად გადაიქცა, მოგვევლინა გარდაცვალებულთა სულის მოსახსენიებელი. სამგლოვიარო პროცესიამ, ოჯახურ-მეზობლურმა სამგლოვიარო შეკრებამ საპროტესტო ყრილობის სახე მიიღო. კუმის მოვლენების ორმოცი დღის თავზე ირანის მრავალი ქალაქის მეჩეთში შეგროვდა ხალხი, რათა გაეხსენებინათ მაშინდელი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლნი. ამ დღეს თავრიზში სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ აჯანყებამდე მივიდა. ხალხი გამოვიდა ქუჩაში და შაჰის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. პასუხად ქალაქში ჯარი შეიყვანეს და აჯანყება სისხლში ჩაახშეს. შედეგად რამდენიმე ასეული კაცი დაიღუპა, მრავალი დაიჭრა. ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ქალაქები ძაძებში გაეხვია — დადგა თავრიზში დაღუპულთა სულების მოხსენიების დღე. ერთ-ერთ ქალაქში — ისპაჰანში — გაავებული და ზიზღით სავსე ბრბო კვლავ ქუჩაში გამოვიდა. ჯარმა ალყა შემოარტყა მანიფესტანტებს და ცეცხლი გაუხსნა, რასაც მრავალი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. კვლავ გადის ორმოცი დღე და ქვეყნის მრავალ ქალაქში ისევ იმართება სამგლოვიარო პროცესიები, რათა ისპაჰანში დაღუპულთ პატივი მიაგონ. ამას კვლავ მანიფესტაცია და ხოცვა-ჟლეტა მოყვა. ორმოცი დღის გასვლის შემდეგ იგივე განმეორდა მეშხედში, შემდეგ — თეირანში. მერე ისევ თეირანში, ბოლოს უკვე ირანის ყველა ქალაქში. ამრიგად, ირანის რევოლუცია პიკს ყოველ მეორმოცე დღეს აღწევდა. მას შედეგად კვლავ და კვლავ სასოწარკვეთა, აღშფოთება და სისხლი მოსდევდა. ამასთან, ყოველი შემდეგი ხოცვა-ჟლეტა თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა, ყოველ მათგანს პროტესტის ნიშნად უფრო მეტი

ხალხი გამოჰყავდა ქუჩაში და უფრო მეტი მსხვერპლიც მოსდევდა. ტერორის მექანიზმმა საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყო მოქმედება. ტერორს იყენებდნენ დასაშინებლად, ამ პერიოდის ირანში კი ტერორი ხალხს ახალი შეტევების განხორციელების, შემდგომი ბრძოლებისაკენ უბიძგებდა.

ამ მოვლენებზე შაჰის პასუხი ტიპიური იყო ყოველ ტირანის მოქმედებისა. ჯერ დავარტყათ და ჩავახშოთ, შემდეგ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ მომავალში. ანუ ჯერ მუსკულები, ძალა ვაჩვენოთ, ხოლო შემდეგ დავუმტკიცოთ, რომ გონებაც გაგვაჩნია. დესპოტური ხელისუფლება ხომ სულ იქით ისწრაფის, ძლიერად მიიჩნიონ და უფრო ნაკლებად ცდილობს ხალხს თავისი გონიერება აჩვენოს. ისიც საკითხავია, რა არის დესპოტის გაგებით — გონიერება? ესაა ძალის გამოყენების უნარი. ბრძენია ის, ვინც იცის, როდის და როგორ დაარტყას. ძალის განუწყვეტელი ჩვენება აუცილებელია, ვინაიდან ყოველი დიქტატურის საფუძველი უმდაბლესი ინსტინქტებია, რომელიც მან ქვეშევრდომებში გამოიწვია — ესაა შიში, აგრესია თანამოძმის მიმართ, ესაა მლიქვნელობა და ლაქიობა. ამ ინსტინქტებს კი ყველაზე საუკეთესოდ აღვიძებს შიში, რომლის წარმომშობიც ძალაა.

დესპოტები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანი მდაბიო არსებაა. სწორედ ასეთები ედებიან მას ფეხებში სასახლის კარზე, სწორედ ისინი შეადგენენ მის გარემომცველ საზოგადოებას. ტერორიზებული საზოგადოება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უაზრო და მორჩილ ბრბოდ გადაიქცევა. საკმარისია ის გამოკვებო, მომთმენი და დამჯერი გახდეს, ხოლო თუ გასართობსაც მისცემ, მაშინ ხომ მთლად ბედნიერად იგრძნობს თავს. აქედანაა ამდენი მოყვარული ადამიანი პოლიტიკაში, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ თუკი ხელისუფლება ჩაუვარდებათ ხელში, მართვა შეუძლიათ. და აი, გამოკვებილ და გართობილ ხალხს აღარ სურს მორჩილად ყოფნა, იწყებს უფრო მეტის მოთხოვნას, ვიდრე გართობაა. სურს თავისუფლება, მოითხოვს სამართლიანობას. დესპოტი შეფიქრიანებულია. რეალობა მოითხოვს, რომ ადამიანს შეხედო მის მთლიანობაში, შეიცნო მისი მდიდარი ბუნება. მაგრამ ეს დიქტატურას არ სურს, ასეთი ადამიანი მას ემუქრება, იგი მტერია და ამიტომაც ხელისუფლება ამრავლებს და აძლიერებს ჯარს, რათა მოსპოს და გაანადგუროს ადამიანი.

დიქტატორი, თუმცა ეზიზღება ბრბო, ყველანაირად ცდილობს ხალხის აღიარება მოიპოვოს. მიუხედავად იმისა, რომ არის უკანონო, უფრო სწორად — ვინაიდან არის უკანონო, იგი მიისწრაფის ლეგალურობის ილუზია მაინც შეიქმნას. ამ ასპექტით დიქტატორი ძალზე მგრძნობიარეა, ავადმყოფურად მგრძნობიარე. გავითვალისწინოთ ისიც (თუმცა ეს უაღრესად შეფარულია), რომ მას ბოლომდე არა აქვს თავისი ძალების რწმენა. ამიტომ მცდელობას არ აკლებს, საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცოს, თუ ხალხის როგორი მხარდაჭერა და ნდობა აქვს მოპოვებული. და თუნდაც ხალხის მხარდაჭერა მოჩვენებითი იყოს — ეს მას უჩვეულო კმაყოფილებასა და სიამოვნებას ჰგვრის. მერე რა,

რომ ის ილუზორულია, მოჩვენებითია? განა დიქტატურის მთელი სამყარო ილუზიებით არაა სავსე?!

შაჰსაც ასევე სჭირდებოდა ხალხის მხარდაჭერა. ამიტომ თავრიზში ჯერ კიდევ არ აეღოთ ხოცვა-ჟლეტის ბოლო მსხვერპლის გვამი, რომ ქალაქის ქუჩებში უკვე მონარქის მხარდამჭერი დემონსტრაციები იმართა. დიდ მოედნებზე შაჰის პარტიის — რასტაკისის აქტივისტები შეიკრიბნენ. მათ თავიანთი ლიდერის პორტრეტები მოჰქონდათ, რომელზედაც შაჰის თავს ზევით მზე იყო გამოსახული. ტრიბუნაზე მთელი მთავრობა ავიდა. შეკრებილებს პრემიერ-მინისტრმა ჯამშიდ ამუზეგარმა მიმართა. მომხსენებელმა განსაკუთრებით იმაზე გაამახვილა ყურადღება, თუ როგორ შეუძლია რამდენიმე ანარქისტსა და ნიჰილისტს საფრთხე შეუქმნას ხალხის ერთიანობას და დაარღვიოს მისი მყუდრო ცხოვრება. მან განსაკუთრებით წესრიგის ამრევთა რაოდენობაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა: „ისინი ისე ცოტანი არიან, რომ მიჭირს მათ ჯგუფი ვუწოდო. ესაა ერთი მუჭა ხალხი. საბედნიეროდ, მთელ ქვეყანაში ისმის მათი დამგმობი სიტყვები, ვინც ანგრევს ჩვენს საერთო სახლს და ზიანს აყენებს ჩვენს კეთილდღეობას“.

ამის შემდგომ შეკრებილებმა შაჰის პოლიტიკის მხარდამჭერი მოწოდება მიიღეს. შეკრების ბოლოს მისი მონაწილეები, ვინც კი ადგილობრივი იყო, ჩუმად გაიპარა სახლისაკენ. მათი უმეტესობა ავტობუსებით მეზობელ ქალაქში წაიყვანეს, საიდანაც ჰყავდათ ისინი თავრიზში ჩამოყვანილი.

ამ მანიფესტაციის შემდეგ შაჰმა უფრო ლაღად იგრძნო თავი. ჩანდა, ფეხზე მყარად დგომას იწყებდა. თუ აქამდე სისხლში მოსვრილი კარტებით თამაშობდა, ახლა სუფთა კარტით დაიწყო თამაში. ხალხის სიმპათიის მოსაპოვებლად რამდენიმე ოფიცერი გადააყენა, რომლებმაც თავრიზში ხალხის ხოცვა-ჟლეტის განკარგულება გასცეს. გენერლებს შორის უკმაყოფილების გამომხატველი ხმები გაისმა. მათ დასაწყნარებლად განკარგულება გასცა ესროლათ ისპაჰანის მცხოვრებთათვის. ხალხმა ამას ზიზღით და აღშფოთებით უპასუხა. მათი გულის მოსაგებად შაჰმა სავაკის უფროსი გადააყენა. ამაზე სავაკი გაოგნდა. სავაკისათვის რომ ესიამოვნებინა, ნება დართო, დაეჭირა, ვინც უნდოდა. და აი, ასე, ზიგზაგებით, მიხვეულ-მოხვეული გზებით, შაჰი ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა უფსკრულს უახლოვდებოდა.

შაჰს საყვედურობდნენ, უფრო მეტი პრინციპულობა გამოიჩინეო. — პოლიტიკოსი, — ამბობენ მისი კრიტიკოსები, — უფრო პრინციპული უნდა იყოს. მაგრამ პრინციპულობა — რა გაგებით? შაჰი პრინციპული იყო, რათა ტახტზე მყარად მჯდარიყო და ამის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ხალხსაც ესროდა და რეჟიმის გადემოკრატიულობასაც ცდილობდა, ზოგს ციხეში სვამდა, ზოგს — უშვებდა. ერთს რომ თანამდებობას ართმევდა, მეორეს აძლევდა, ერთს აქებდა, მეორეს პირიქით — აძაგებდა. მაგრამ ყველაფერი ამაო

იყო. ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა შაჰიც და მისი ხელისუფლებაც. მათ, უბრალოდ, აღარ უნდოდა ასეთი მმართველობა.

შაჰი თავისმა მედიდურობამ დაღუპა. საკუთარი თავი მას ხალხის მამად მიაჩნდა, მაშინ, როდესაც ისინი შაჰის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შაჰი ამას განიცდიდა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, უნდოდა ნებისმიერ ფასად (სამწუხაროდ, სისხლის საფასურად) დებრუნებინა წლების მანძილზე ნაფერები სახე ბედნიერი ერისა, რომელიც მუხლს იყრიდა თავისი კეთილისმყოფლის წინაშე. მაგრამ ავიწყდებოდა, რომ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ხალხი ითხოვს უფლებებს და არა — პატივის დადებას.

შესაძლოა ის დაღუპა იმანაც, რომ საკუთარ თავს მეტისმეტად პირდაპირ, ძალზე სერიოზულად უდგებოდა. ნამდვილად სწამდა, რომ ხალხი მას ეთაყვანებოდა, მიაჩნდა თავიანთ უმაღლეს და საუკეთესო წარმომადგენლად, უეცრად კი დაინახა, რომ ხალხი აჯანყდა. ეს წარმოუდგენელი და გაუგებარი რამ იყო მისთვის. ამის ატანა მის ნერვებს ძალიან გაუჭირდა, და ჩათვალა რომ ამაზე აუცილებლად რეაგირება უნდა მოეხდინა. რასაც მისი მოულოდნელი, ისტერიული, გიჟური გადაწყვეტილებები მოსდევდა. შაჰს გარკვეული დოზით ცინიზმი არ ეყო. მას შეეძლო ეთქვა: მანიფესტაციებს მართავენ? დაე, გამართონ. რამდენ ხანს შეძლებენ დემონსტრაციებზე სიარულს? ნახევარ წელიწადს? ერთ წელიწადს? ვფიქრობ, გავუძლებ. სასახლიდან არ გავალ და ხალხი, სასოწარკვეთილი და გასავათებული, ენდომება თუ არა, ბოლოს და ბოლოს, სახლში დაბრუნდება, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს სურვილი ექნეს მთელი სიცოცხლე დემონსტრაციებს შესწიროს. მაგრამ მას ლოდინი არ შეეძლო. ეს კი ნამდვილად აუცილებელია პოლიტიკაში.

შაჰის დაღუპვის უმთავრესი მიზეზი ისიც გახდა, რომ კარგად არ იცნობდა საკუთარ ქვეყანას. ანდა საიდან მოვიდოდა ეს ცოდნა, როდესაც მთელი ცხოვრება სასახლეში გაატარა, რომლის დატოვებისას შაჰს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს თბილი ოთახიდან ყინვაში გაყო თავი. მცირე ხნით გავიდოდა და მალევე უკან ბრუნდებოდა! ისე, მუდამ ასე ყოფილა, — ყველა სასახლის ცხოვრებას ხელისუფლისათვის ხელისშემშლელი, უფრო მეტიც, მმართველობის სისტემის გამანადგურებელი ერთი და იგივე კანონი მართავდა. ასე იყო უხსოვარი დროიდან, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნება. შეიძლება ათასი სასახლე ააგო, მაგრამ ყველა მათგანში მსგავსი კანონი გაბატონდება, ანალოგიური წესი დაისადგურებს, როგორიც არსებობდა ხუთი ათასი წლის წინანდელ სასახლეებში. აქედან ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სასახლე მივიჩნიოთ დროებით სადგომად, ისე, როგორც ტრამვაის ან ავტობუსს მივიჩნევთ, ვსხდებით მასში გაჩერებაზე, გარკვეული დროით ვმგზავრობთ, ხოლო შემდეგ ჩამოვდივართ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს გაჩერებაზე ჩამოვიდეთ და არ გავცდეთ.

დე გოლი ღირსეული ადამიანი იყო. როდესაც რეფერენდუმი წააგო, მოაწესრიგა კაბინეტი, დატოვა სასახლე და არასოდეს იქ აღარ

დაბრუნებულა. იგი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდებოდა ქვეყნის მართვას, თუ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს დაუჭერდა. ხოლო როდესაც დაინახა, რომ უმრავლესობამ უარი თქვა მის პრეზიდენტობაზე — იგი გადადგა. მაგრამ რამდენია ასეთი პოლიტიკოსი? სხვები ტირილს დაიწყებენ, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიან, გატანჯულნი ხალხს, მაგრამ ჯიუტად არ გადადგებიან. ერთი კარებიდან გაგდებულნი, მეორე კარებიდან შევლენ. დაიწყებენ ახსნა-განმარტებას, ქედის მოხრას, ტყუილისა და სიმართლის ერთმანეთში არევას — რათა დარჩნენ, ან — იქნებ დაბრუნდნენ. შლიან ხელებს, აი, ნახეთ, სადაა მათზე სისხლი. მაგრამ თავად ფაქტი იმისა, რომ ხელის ჩვენებაა საჭირო, უკვე დიდი სირცხვილია. ჯიბეებს ამოიტრიალებენ — ნახეთ, არის რამე? მაგრამ თავად ფაქტი — უკვე დამამცირებელია. როდესაც შაჰმა სასახლე დატოვა — გზაში ტიროდა. აეროპორტშიც ტიროდა. შემდეგ ინტერვიუებში ამბობდა, გაცილებით ნაკლები ფული მაქვს, ვიდრე ფიქრობენო. რა საცოდავი, რა საზიზღარი, გულისამრევი სანახაობა იყო ეს ყველაფერი.

მთელი დღეები თეირანში დავდიოდი. სრულიად უმიზნოდ და უაზროდ. ჩემი სასტუმროს სიცარიელეს გავურბოდი, ვერიდებოდი თავხედსა და მომაბეზრებელ დამლაგებელ ქალს. იგი გამუდმებით ფულს მთხოვდა. საამისო მიზეზი რომ ჰქონოდა, აიღებდა ჩემს სუფთა, გაუთოებულ, ქიმწმენდიდან გამოტანილ პერანგს, ჩააგდებდა წყალში, გაათეთრებდა, გასაშრობად გაფენდა და ფული უნდოდა. რატომ? პერანგის გაფუჭებაში? გამხდარი ხელი სულ გამოწვდილი ჰქონდა. ვიცოდი, რომ უჭირდა, მაგრამ მეც ხომ უფულოდ ვიყავი დარჩენილი?! მას ამის გაგება არ შეეძლო, არ სურდა. მისი აზრით, ადამიანი, რომელიც ასე შორიდან ჩამოდის მის ქვეყანაში, მდიდარი, ფულიანი უნდა იყოს. სასტუმროს მეპატრონე უსასოოდ შლიდა ხელებს: მაგ ქალს ვერაფერს ვუხერხებო.

— ეს რევოლუციის შედეგია, ჩემო ბატონო, ახლა ძალაუფლება მაგ ქალს აქვს! სასტუმროს მეპატრონე მე, როგორც თავის ბუნებრივ მეკავშირეს, როგორც კონტრრევოლუციონერს, ისე მეპყრობოდა. მას მიაჩნდა, რომ მე ლიბერალური შეხედულებები მაქვს, ხოლო ლიბერალებს ყველაზე მეტად ებრძოდნენ. ოფიციალური პროპაგანდა ყოველი ადამიანისაგან მოითხოვდა გარკვეულ განცხადებას, იწყებოდა წმენდის პერიოდი და ყველასათვის ხელებში ყურება.

აი, ყოველდღე ასე დავხეტიალობდი ქალაქში და ამასობაში დეკემბერიც მიიწურა. მოახლოვდა 1979 წლის ბოლო დღე (კათოლიკურად — Sylwester — ა. გ.). ერთმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ აწყობენ ნამდვილ საახალწლო საღამოს, თუმცა შეფარული ფორმით და მთხოვა, მივსულიყავი. მე უარი ვუთხარი და მოვიმიზეზე, რომ სხვა გეგმა მაქვს-მეთქი. — რა გეგმა? — გაუკვირდა, რადგან მართლაც სხვა რა უნდა გამეკეთებინა თეირანში ასეთ საღამოს? — ძალზე საკვირველი გეგმა, — მივუგე. და ეს სიმართლესთან ახლოს იყო. გადაწყვეტილი მქონდა, საახალწლო საღამოს ამერიკის საელჩოში წავსულიყავი. მაინტერესებდა, მენახა, როგორ გამოიყურებოდა ამ დღეს ადგილი, რომლის შესახებაც მაშინ მთელი მსოფლიო საუბრობდა. მართ-

ლაც ასე მოვიქეცი. თერთმეტ საათზე სასტუმროდან გამოვედი და საელჩოსაკენ, რომელიც სასტუმროსთან ახლოს იყო, გავემართე. ყინავდა, მშრალი, ცივი ქარი ქროდა. მივდიოდი ცარიელ ქუჩაში, გზაზე კაციშვილი არ შემხვედრია. ერთი მილიციონერიც კი, მხოლოდ ვალაჰდის მოედანზე ქალი თხილს ყიდდა. იგი შალში ისე შეფუთულიყო, როგორც ჩვენი მოხუცი გამყიდველები შემოდგომაზე [illegible]ებში. მისგან ერთი პარკი თხილი ავიღე და მუჭით რეალები მივეცი, ბევრი რეალი, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ჩემი საახალწლო საჩუქარი. ვერ მიხვდა ჩემს განზრახვას. აიღო, რაც ერგებოდა, ხოლო დანარჩენი ამაყი, სერიოზული სახით უკან დამიბრუნა. ამრიგად ჩემი სურვილი, რომელსაც შეეძლო დამხმარებოდა, თუნდაც მცირე ხნით. ერთ ადამიანს მაინც დავახლოვებოდი ამ გაყინულ და ჩამკვდარ ქალაქში, მარცხით დასრულდა. გავაგრძელე გზა, რათა დამეთვალიერებინა თანდათან გამოცარიელებული მაღაზიათა ვიტრინები, ჩავუხვიე ტახტე-იამშიდისკენ, გვერდი ავუარე დამწვარ კინოთეატრს, გადაბუგულ ბანკს, ცარიელ სასტუმროს, აეროპორტის ჩაბნელებულ სალაროებს და ბოლოს საელჩოს მივადექი. დღე ეს ადგილი უდიდეს ბაზარს მოგვაგონებს, სადაც უამრავი ხალხი ირევა. აქ უფლება გაქვს თავს ნება მისცე და იყვირო, იხმაურო. შეიძლება აქ მოხვიდე და ყველაფერი გაუბედო ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ამის გამო ადამიანს არაფერი მოუვა. ამიტომაც აქ მრავალი ხალხიც გროვდება. მაგრამ ახლა, შუალამით, არავინ არ იყო. აქ ისე დავდიოდი, როგორც ვრცელ, დაცარიელებულ სცენაზე, რომელიც უკანასკნელმა მსახიობმა კარგა ხანია, რაც მიატოვა. დარჩა მხოლოდ უწესრიგოდ განლაგებული დეკორაციები და რაღაც უჩვეულო განწყობა, რომელიც ყოველთვის გეუფლება ასე მიტოვებული ადგილის ნახვისას. ქარი ტრანსპარანტებს და ერთ დიდ ნახატს აფრიალებდა, რომელზედაც გამოსახული ეშმაკების ჯოგი ჯოჯოხეთის ალში იწვოდა. ცოტა მოშორებით კარტერი იდგა ცილინდრით ხელში, რომელზედაც ვარსკვლავები იყო გამოსახული. იგი მარჯვენა ხელით ტომრიდან ოქროებს ბერტყავდა, ხოლო მის გვერდით გასპეტაკებული იმამი ალი მოწამებრივი სიკვდილისათვის ემზადებოდა. პლატფორმაზე, რომელზედაც ეგზალტირებული ორატორები აღაგზნებდნენ ბრბოს ზიზღისა და გაბრაზებისათვის, მიკროფონი იდგა. ამ დადუმებული ხმის გამაძლიერებლების შეხედვა კიდევ უფრო აღრმავებდა სიცარიელისა და მდუმარების შთაბეჭდილებას. საელჩოს მთავარ კარებამდე მივედი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ურდულით და ჯაჭვით იყო დაკეტილი, ვინაიდან კლიტე, რომელიც საელჩოზე იერიშის დროს დაიმსხვრა, შემდეგ ალარავის გაურემონტებია. ალაყაფის წინ, ორი თბილ ქურთუკში გამოწყობილი მამაკაცი იდგა. მათ მხარზე ავტომატი ჰქონდათ გადაკიდებული. ისინი იმამის მიმდევრები იყვნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თვლემდნენ. კარებს იქით, სიღრმეში განათებული შენობა მოჩანდა, სადაც მძევლად აყვანილი ხალხი დაემწყვდიათ. მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარაში შეხედვა შევძელი, იქ ვერავინ დავინახე. საათს დავხედე. შუა ღამე იყო, ყოველ შემთხვევაში — თეირანში. ახალი წელი იწყებოდა, სადღაც ახლა საათი თორმეტს აჩვენებდა და შამპანურის ბოთლი იხსნებოდა, სიხარული დამკვიდრებულიყო,

ათასფერად აელვარებულ დარბაზში ხალხი დღესასწაულობდა. და ეს ყველაფერი ხდებოდა თითქოს სხვა პლანეტაზე, საიდანაც თეირანში არ აღწევდა არავითარი ხმა, შუქის ნაპერწკალიც კი. და მოულოდნელად, როდესაც ვიდექი და ვიყინებოდი, უცებ იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რატომ მოვედი აქ, ამ მიტოვებულსა და უდაბურ ადგილას. საღამოთი მ�მივიდა აზრი, რომ ახლა აქ ვყოფილიყავი. არავის არ ვიცნობდი, [illegible] საელჩოში მყოფ იმ ორმოცდაათ ამერიკელს, არც ამ ორ ირანელს, მათთან საუბარიც კი არ შემეძლო. შეიძლება ვფიქრობდი, რომ აქ რაიმე მოხდებოდა? მაგრამ არაფერიც არ მომხდარა.

ახლოვდებოდა შაჰის გაქცევისა და მონარქიის დაცემის წლისთავი. იუბილესთან დაკავშირებით ტელევიზორში რევოლუციისადმი მიძღვნილი მრავალი ფილმის ნახვა შეიძლებოდა. ისინი სულ ერთმანეთის მსგავსი იყო. მათში ერთი და იგივე სახეები და მოვლენები მეორდებოდა.

პირველი ნაწილი დიდ დემონსტრაციას ეძღვნებოდა. ძნელია მისი ზომების განსაზღვრა. ზღვა ხალხი იღებს მასში მონაწილეობას. ვერ გაარკვევდა, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ხალხის ეს ტალღა. ისინი მთავარ ქუჩაზე მთელი დღის განმავლობაში მიდიოდნენ. მაგრამ მოულოდნელი წარღვნა და ამ ყველაფერს წალეკავს. შემდეგ რიტმულად, ზევით, მუქარის ნიშნად აწეული მუშტები აღიმართება. ბრბოთან მღერის და თან ყვირის — სიკვდილი შაჰს! ამ კადრებს ახლოდან იშვიათად უჩვენებენ, სახით გარკვევით ვერავის დაინახავ. ოპერატორები აღფრთოვანებულები არიან ამ მოვლენის მასშტაბებით და მას ისე განცვიფრებით შეჰყურებენ, თითქოს მოულოდნელად ევერესტის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. ამ სახის დემონსტრაციები ქვეყნის ყველა ქალაქში ეწყობოდა. ეს იყო უიარაღო ადამიანების ბრბო, რომელთა ერთადერთ ძალას მათი რაოდენობა შეადგენდა. ირანის მთელი მოსახლეობა იმ დღეებში ქუჩაში იყო გამოფენილი.

მეორე ნაწილი კიდევ უფრო დრამატული იყო. ოპერატორები სახლების სახურავზე დგანან. სცენა, რომლის ნახვის შესაძლებლობაც ახლა მოგვეცემა, სწორედ იქიდანაა გადაღებული. ჩვენ ჯერ იმას გვაჩვენებენ, რაც ქუჩაში ხდება, სადაც ორი ტანკი და ჯავშანტრანსპორტირი დგას. ქუჩის სავალ ნაწილზე და ტროტუარებზეც ჯარისკაცებს საბრძოლო პოზიცია მიუღიათ. ისინი ბრძანებას ელოდებიან. შემდეგ ოპერატორები უფრო ახლო პლანით გვაჩვენებენ მანიფესტაციას. მას ჯერ ძლივს გაარჩევ, მაგრამ მალე კარგად დაინახავთ. დიახ, აი მსვლელობის პირველი რიგები. მოდიან მამაკაცები, თუმცა მათ გვერდით ბევრი ბავშვიანი ქალიც ჩანს. ისინი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილან. ოპერატორები მათ სახეებს და თვალებს გვაჩვენებენ. ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. მრავალი მათგანი ბავშვია, დაქანცულები, გამოფიტულნი ჩანან, თუმცა ცოცხალი და მოძრავი თვალებით, დაინტერესებულნი იმით, თუ შემდეგ რა მოხდება. ბრბო, რომელიც ტანკების წინააღმდეგ მიდის, არაფერს ეპუება, თითქოს ჰიპნოზირებული, მოჯადოებული იყოს, თითქოს წინ ვერაფერს ხედავდეს, უკაცრიელ მიწაზე ხეტიალობდეს. ეს იყო ბრბო, რომელიც წამიც და ცაში გაე-

მართებოდა. მათი სახეები უკვე კანკალებს, რადგან კანკალს აუტანია ოპერატორის ხელები. ისმის წყევლა, ტირილი, ყვირილი, ტყვიების სისინი. გვაჩვენებენ ჯარისკაცს, იგი ავტომატს ახალი ტყვიებით ტენის, აგრეთვე ტანკების ლულებს, რომლებიც აქეთ-იქით ტრიალებენ. ვხედავთ ჩაფხუტჩამოფხატულ ოფიცერს, რომელიც საგმაოდ კომიკურად გამოიყურება. დამრბევებს მალე ცხენოსანი არმიაც ეშველებოდა. მომდევნო კადრი საპირისპირო მხარეს მდგარ სახლის კედელს გვიჩვენებს, მის სახურავს, საბუხრეს, შემდეგ ცას, პატარა-პატარა ღრუბლის ფთილებს, შემდეგ ფირი მთავრდება და სიბნელე ისადგურებს. ეკრანზე წარწერა გვამცნობს, რომ ეს იყო ამ ოპერატორის უკანასკნელი გადაღება, მაგრამ სხვები გადარჩნენ და ისინი შეძლებენ მისი საქმის გაგრძელებას.

მესამე აქტი წარმოადგენს სცენებს ხალხის დარბევის შემდეგ. წვანან დაჭრილები, სასწრაფო დახმარების მანქანები აქეთ-იქით მიდიმოდიან, ქალი ტირის, გაოფლიანებული მამაკაცი ვიღაცის გვამის გადატრიალებას ცდილობს. დაბნეული, დარეტიანებული, გაავებული ბრბო მიმდებარე ქუჩებით ტოვებს იქაურობას, სახლების სახურავების სიახლოვეს თვითმფრინავი გადაიფრენს. რამდენიმე ქუჩის იქით იწყება ნორმალური მოძრაობა, ყოველდღიური ცხოვრება.

მახსოვს კიდევ ასეთი სცენა: მიდის მანიფესტაცია. როდესაც ის საავადმყოფოს მიუახლოვდა, ბრბო დადუმდა. მას არ უნდა, რომ ავადმყოფებს მყუდროება დაურღვიოს.

ანდა სხვა სცენა: დემონსტრაციის ბოლოში მიდიან გლეხები, რომლებიც გზაზე დაყრილ ნაგავს კრეფენ და ტომრებში ყრიან: გზა, რომელზედაც ხალხმა გაიარა, სუფთა უნდა იყოს.

ესეც იმ ფილმის ფრაგმენტია: ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან. ისმის სროლის ხმა. მოსწავლეები ტრიალდებიან და ტყვიების წვიმაში უშიშრად გაიქცევიან იქით, საითაც მანიფესტანტები ეგულებათ. შემდეგ ჩანთიდან რვეულებს იღებენ, იქიდან ფურცელს ამოხევენ, მიწაზე დაქცეულ სისხლში ჩაასველებენ, მაღლა ასწევენ და ასე დარბიან ქუჩაში, რათა ის ხალხმა დაინახოს. ეს გამაფრთხილებელი ნიშანია — ფრთხილად იყავით, იქ ისვრიან!

განსაკუთრებით ბევრჯერ აჩვენებენ ისპანეთში გადაღებულ ფილმს. დიდ მოედანზე დემონტრაცია მიდის. მასში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. უცებ ჯარი მათ ყოველი მხრიდან ცეცხლს უხსნის. ხალხი ყვირილით გარბის და მოედანი ცარიელდება. და უცებ, როდესაც იგი უკანასკნელმა დემონსტრანტმა დატოვა, რომელიც ისე იყო გადაფარებული ტელეაპარატის ეკრანს, რომ მის გამო ამხელა მოედანი არ ჩანდა, ვხედავთ, ცარიელი მოედნის შუაგულში დარჩენილ მოხუცს, ინვალიდის ეტლში, მასაც უნდა გაქცევა, მაგრამ მიდის. ეტლის ერთი ბორბალი ვეღარ ბრუნავს (ფილმში არ ჩანს, რატომ გაფუჭდა), სასოწარკვეთილი კაცი ცდილობს ეტლი ადგილიდან დაძრას, მაგრამ ამაოდ. ეტლი წრეზე ტრიალებს.

ეს ისეთი თავზარდამცემი სურათია, რომ ჯარისკაცები დროებით წყვეტენ სროლას, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ბრძანების მოლოდინში არიანო. სიჩუმე ისადგურებს. ვხედავთ ფართო, ცარიელ კაბინას და მხოლოდ მის სიღრმეში ძლივს გასარჩევ, წელში მოხრილ ფიგურას, შორიდან ის თითქოს ბადეში გაბმულ მწერს ჰგავს, რომელიც [illegible] ალებს, ჯერ კიდევ ებრძვის ქსელს, რომელშიც ისაა გაბმული. ეს ყველაფერი დიდხანს არ გრძელდება. კვლავ ისვრიან, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი მიზნით, რომელიც როგორც ქანდაკება, მალე გაქვავდება და გარკვეული დროის განმავლობაში მოედნის შუაგულში დარჩება.

ოპერატორები დიდ ყურადღებას უთმობენ ზოგად კადრებს, რის გამოც მნიშვნელოვანი წვრილმანები იკარგება. არადა, წვრილმანებით უკეთ შეიძლება ყველაფრის ჩვენება. წვეთში ხომ მთელი სამყაროა. წვრილმანები, ანუ კერძო და კონკრეტული, უფრო ახლოსაა ჩვენთან, ვიდრე ზოგადი. ადვილად ვამყარებთ მასთან კონტაქტს. ახლოს არ გვაჩვენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც დემონსტრაციაზე მიდიან და მათი საუბარი ვერ გვესმის. რამდენი იმედია დემონსტრაციაზე მიმავალ ადამიანში! ის იმიტომ მიდის იქ, რომ რაღაც საქმის მოგვარების იმედი აქვს. დარწმუნებულია, რომ ცხოვრებას გაიუმჯობესებს. მიდის და ფიქრობს — თუ გავიმარჯვეთ, ისე ველარავინ მომეპყრობა, როგორც ძაღლს; ცოლსაც და ბავშვებსაც ახალ ფეხსაცმელებს ვუყიდი; ბინაზეც ფიქრობს — იქნებ გველირსოს ადამიანური ცხოვრება, საბინაო პირობებს გავიუმჯობესებთ. მაშინ სულ შეიცვლება ყველაფერი, მე, უბრალო ადამიანს, მინისტრთანაც კი შემეძლება თავისუფლად შესვლა და საქმეების მოგვარება. ანდა მინისტრი რა საჭიროა, ჩვენ თავად ვერ შევქმნით საბჭოს და ხელისუფლებას ვერ ავიღებთ ხელში?! მას სხვა გეგმებიც აქვს, რომლებიც ჯერ კიდევ არაა საკმაოდ ნათელი და გამოკვეთილი, მაგრამ ყველა კარგია, ყველა იმედის მომგვრელია, რადგან ყველა მათგანს ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება გააჩნია — შესრულებადია. მიდის კაცი და კარგ ხასიათზეა, გრძნობს, როგორ ემატება ძალა. იგი ხომ ცხოვრებაში პირველად გახდა საკუთარი ბედის გამომჭედელი.

ერთხელ საკუთარი თვალით ვნახე დემონსტრაციის დაწყება. აეროდრომისაკენ მიმავალ ქუჩაზე კაცი მიდიოდა და ალაჰისადმი მიძღვნილ სიმღერას — ალაჰ აკბარს ბიიმღეროდა. მშვენიერი, ტკბილი, უჩვეულო ტემბრის ხმა ჰქონდა. მიდიოდა თავისთვის და არავის და არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. მეც გავყევი მას უკან, მისი სიმღერის უფრო დიდხანს მოსმენა მინდოდა. მცირე ხნის შემდეგ ჩვენ ქუჩაში მოთამაშე ბავშვები შემოგვიერთდნენ და მათაც წამოიწყეს სიმღერა. შემდეგ მამაკაცების ჯგუფი შემოგვიერთდა, შემდეგ — მორცხვად და გაუბედავად — რამდენიმე ქალიც. როდესაც ასე ას კაცამდე მოვგროვდით, მას შემდეგ ჩვენმა რიგებმა გეომეტრიული პროგრესიით იწყო ზრდა. ბრბო იზიდავს ბრბოს, როგორც ეს სწორად შენიშნა ცანეტიმ (Canetti). ირანელებს უყვართ ბრბოდ ყოფნა, ერთად ყოფნა მათ ახალი ძალით ავსებს, ღირსებას მატებს. ბრბოს ფორმით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს. მარტო ყოფნის დროს თავს კარგად ვერ გრძნობენ.

იმავე ქუჩაზე (რომელსაც ადრე შაჰი რეზას სახელი ერქვა და ახლა ენგელობის სახელობისაა) ერთი სომეხი კაცი რაღაც სანელებლებს და გამხმარ ხილს ყიდის. ვინაიდან მაღაზია ძალზე ვიწროა, ის თავის საქონელს ქუჩაში, ტროტუარზე გამოფენს ხოლმე. დგას აქ ტომრები და ქილები ნუშით, ფინიკით, ზეთისხილით, ბროწეულით, ფეჯყგვარი წიწაკით და სხვადასხვა სახის ხილით და სანელებლით, რომელთა სახელი მე არ ვიცი. რუხ და ჩამოფხაჭნილ-ჩამოკაწრული და ჩამოცვენილი თაბაშირის ფონზე შორიდან ისე ჩანს, როგორც ფერებით სავსე, მდიდრული ფერწერული ტილო, გემოვნებითა და ფანტაზიით შესრულებული მშვენიერი ნახატი. ამასთან ხანდახან ვაჭარი ამ ფერებს ადგილს უცვლის, რადგან ზოგჯერ ყავისფერი ფინიკი დგას მოწითალო მიწის თხილთან და მწვანე ზეთისხილთან, სხვა დროს თეთრი, ლამაზ ფორმიანი ნუშები ხორციანი ფინიკის ადგილს იკავებენ, ხოლო იქ, სადაც ადრე ნიორის გალა იყო ჩამოკიდებული, ახლა წითელი წიწაკის წნულებია. მე ამ სომხის ფარდულის სანახავად იმიტომ კი არ დავდივარ, რომ თვალს სიამოვნებს ასეთი ლამაზი ფერების ყურება, არამედ იმიტომ, რომ ამ გამოფენის ყოველდღიური ბედი ჩემთვის გარკვეული ინფორმაციის მომცემია იმის შესახებ, თუ რა მოხდება პოლიტიკაში. ენგელობის ქუჩა ხომ დემონსტრანტების საყვარელი ადგილია. თუ სომეხი დილით ადრე თავის საქონელს არ გამოამზეურებს, მაშასადამე, იგი ცხელი დღისათვის ემზადება — დემონსტრაცია იქნება. ამიტომ უმჯობესია, თუ მაღაზიის კედლებს შეაფარებს საქონელს, რათა დემონსტრანტებმა არ გათელონ. ასეთ დღეს მე მუშაობას უნდა შევუდგე, ანუ დავადგინო, ვინ აწყობს დემონსტრაციას და რატომ. თუ ენგელობის ქუჩაზე მივდივარ და შორიდან ლამაზად გამოფენილ საქონელს დავინახავ, უკვე ვიცი, რომ იქნება ჩვეულებრივი დღე, ყოველგვარი ექსცესების გარეშე და სუფთა ნამუსით შემიძლია ლეონთან წასვლა და ერთი ჭიქა ვისკის დალევა.

თუ ენგელობის ქუჩაზე გზას გააგრძელებთ, მცირე მანძილის გავლის შემდეგ პურის საცხობს მიადგებით, სადაც ახალი, ცხელი პურის ყიდვა შეიძლება. ირანში პურს დიდი ბრტყელი ლავაშის ფორმა აქვს. ღუმელი, სადაც ამ პურს აცხობენ, წარმოადგენს სამმეტრიან ჭას, რომელიც მიწაშია ამოშენებული. მის ძირში ცეცხლს ანთებენ. ამ ქვეყანაში თუ ცოლი ქმარს უღალატებს, მასაც ასეთ ჭაში აგდებენ.

ფურნეში რაზაკ ნადერი მუშაობს. იგი ოცი წლის ბიჭია. კარგი იქნებოდა ვინმეს მასზე ფილმი რომ გადაეღო. თორმეტი წლის იყო, როდესაც სამუშაოს საძებნელად თეირანში ჩამოვიდა. მშობლიურ სოფელში, ზანიანის ახლოს (დედაქალაქიდან ათასი კილომეტრის დაშორებით), მან დატოვა დედა, ოთხი უმცროსი და-ძმა. რაზაკი იძულებულია თეირანში იმუშაოს და ოჯახი შეინახოს.

რაზაკი დილის ოთხ საათზე დგება და ღუმელის დანთებას იწყებს. ასე ხუთი საათისათვის ცეცხლი მძლავრდება და ფურნეში აუტანლად ცხელა. გრძელი ნიჩბის მსგავსი ფიცრის ნაჭრით რაზაკი თონის გახურებულ კედლებზე ცომის გუნდას აკრავს და ყურადღებით დაჰყურებს, რომ გამოცხობისთანავე ამოიღოს. ასე მუშაობს საღამოს ცხრა საათამ-

დე. გამომუშავებულ ფულს დედას უგზავნის. აქ მთელ მის ავლა-დიდებას შეადგენს სამგზავრო ზურგჩანთა და საბანი, რომელშიც ღამე გაეხვევა ხოლმე. რაზაკი ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს და ზოგჯერ უმუშევარიც რჩება. იცის, რომ ამაზე ვერავის დაადანაშაულებს. უბრალოდ, სამი-ოთხი თვის შემდეგ ძალიან მოენატრება ხოლმე დედა და-ძმები. რამდენიმე დღე უძლებს ამ გრძნობას, შემდეგ კი [illegible] ბუსში და მშობლიურ სოფელში ჩადის. ძალიან სურს რაც შეიძლება დიდი ხანი დარჩეს აქ, მაგრამ შეუძლებელია. იგი ხომ ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. ამიტომ ბრუნდება დედაქალაქში, მაგრამ მის ადგილზე სხვა მუშაობს. ამიტომ რაზაკი მიდის გომრუკის მოედანზე, სადაც უმუშევრები იყრიან თავს რაიმე სამუშაოს მოლოდინში. ესაა იაფი სამუშაო ძალის ბაზარი, ვინც აქ მოდის, თანახმაა ჩალის ფასად იმუშაოს. მიუხედავად ამისა, რაზაკს მაინც უხდება ერთი ან ორი კვირა ლოდინი, ვიდრე მას ვინმე დაიქირავებს. მანამდე კი მთელი დღე მოედანზე დგას, სცივა, აკანკალებს, აწვიმს და შია. ბოლოს, ვიღაც გამოჩნდება, რომელიც მას ყურადღებას მიაპყრობს. რაზაკი ბედნიერია — კვლავ შეუძლია მუშაობა. მაგრამ მისი სიხარული ძალზე ხანმოკლეა, მალე კვლავ მოენატრება დედა და და-ძმები, ისევ ანებებს სამუშაოს თავს და მშობლიურ სოფელში ბრუნდება. შემდეგ კვლავ ბრუნდება ქალაქში და კვლავ გამოდის გომრუკის მოედანზე. რაზაკის გვერდით არსებობს უდიდესი სამყარო — სამყარო შაჰის, რევოლუციის, ჰომეინის და მძევლების. ყველა მათზე ლაპარაკობს. მაგრამ როგორც ჩანს, რაზაკის სამყარო კიდევ უფრო დიდია, რადგან იგი დახეტიალობს მასში და გამოსავალი ვერ უპოვია.

1978 წლის შემოდგომა-ზამთარში ენგელობის ქუჩაზე განუწყვეტელი საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო. ზუსტად ასეთივე მდგომარეობა იყო ირანის სხვა ქალაქებში. საპროტესტო მოძრაობას მთელი ქვეყანა მოეცვა. დაიწყო გაფიცვებიც, გაჩერდა მრეწველობა და ტრანსპორტი. მიუხედავად ათიათასობით მსხვერპლისა, დემონსტრაციები და გაფიცვები უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ შაჰი მაინც ტახტზე რჩებოდა, სასახლეს არ ტოვებდა.

ყოველი რევოლუცია ორი ძალის დაჯახებას იწვევს (ან პირიქით, მათი დაჯახების შედეგია): ძველი სტრუქტურისა და ახალი ძალის. ეს უკანასკნელი უტევს სტრუქტურას, მისი განადგურება სურს. ორივე ძალას, ერთნაირად ძლიერს, სხვადასხვა თვისება ახასიათებთ: ახალი ძალისათვის დამახასიათებელია სპონტანურობა, მგზნებარება, დინამიური ექსპანსიურობა და ამასთან — მოკლევადიანობა. სამაგიეროდ სტრუქტურისათვის დამახასიათებელია აპათია, ინერტულობა, სიმყარე, ჯიუტობა და გასაოცრად დიდი უნარი თავის შენარჩუნებისა. გაცილებით ადვილია სტრუქტურისათვის სულის ჩაბერვა, ვიდრე მისი განადგურება. თუმცა იცვლება მისი წარმომშობი აზრი, მაგრამ იგი მაინც აგრძელებს არსებობას. შექმნილა მრავალი სუსტი, მხოლოდ ფიქციური ხასიათის სახელმწიფო, მაგრამ იგი უკვე სტრუქტურადაა ჩამოყალიბებული და ველარ გააქრობ რუკიდან. თითქოს სტრუქტურათა ერთიანი სამყარო არსებობდეს და თითოეული მათგანი ერთმანეთს ეხმარებო-

დეს. საკმარისია ერთ მათგანს რაიმე საფრთხე შეექმნას, რომ სხვა ყველა დანარჩენი, მისი მსგავსნი, მის დასახმარებლად მიისწრაფიან. სტრუქტურისათვის დამახასიათებელია უაღრესი ელასტიურობა, რაც ასევე გადარჩენაში ეხმარება მას. შევიწროებულსა და შეზღუდულს შეუძლია, მუცელი შეკუმშოს და დაელოდოს, თუ როდის [illegible], რომ კვლავ თავის ძველ მდგომარეობას დაუბრუნდეს, კვლავ [illegible] თავისი გავლენა. საინტერესოა, რომ მისი ხელახალი გაფართოება სწორედ იმ მიმართულებით მიდის, საიდანაც იგი შევიწროებულ იქნა. ერთი სიტყვით, ყოველი სტრუქტურის მისწრაფებას წარმოადგენს თავისი სტატუს კვოსაკენ დაბრუნება, რომელიც მას იდეალურად, ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნია. ამაში გამოიხატება ასევე სტრუქტურის უძლურებაც. მას მოქმედება მხოლოდ დაპროგრამებული კოდის თანახმად შეუძლია. თუკი მას ახალ სამოქმედო პროგრამას მისცემ — ამაზე რეაგირებასაც კი არ მოახდენს. ერთ ადგილას იდგება წინა პროგრამის მოლოდინში. სტრუქტურას შეუძლია ასევე ვანკა-სტანკასავით მოქცევა. ვითომ დაეცა, მაგრამ მალე კვლავ ფეხზეა. მოძრაობა, რომელმაც არ იცის სტრუქტურის ამ თვისებების შესახებ, დიდხანს ეჭიდავება მას, ვიდრე ბოლოს არ დასუსტდება და ძლეული თავად არ დაეცემა.

შაჰის თეატრი. შაჰი რეჟისორი იყო, რომელსაც სურდა უმაღლეს, მსოფლიო დონეზე მდგარი თეატრი ჩამოეყალიბებინა. მას უყვარდა ხალხის თვალწინ ყოფნა და ყველასთვის თავმოწონება. ოღონდ იმის გაგება უჭირდა, რა არის ხელოვნება, რა არის რეჟისორის სიბრძნე და წარმოსახვა. იგი ფიქრობდა, რომ საკმარისი იქნებოდა მისი ტიტული და ფული. ეს ყველაფერი მას მართლაც თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ... ამასთან მის განკარგულებაში იყო ასევე უდიდესი სცენა, სადაც მოქმედება შეიძლება მრავალ ადგილას ერთდროულად წარმართულიყო. მან გადაწყვიტა, რომ ამ სცენაზე დაედგა წარმოდგენა, სათაურით: „დიდი ცივილიზაცია". ფანტასტიური თანხების საფასურად საზღვარგარეთიდან შემოიტანა დეკორაციები. ეს იყო მრავალი სახის მანქანადანადგარები, აპარატურა, ცემენტის მთელი მთები, სადენები და ა. შ. დეკორაციის მნიშვნელოვან ნაწილს სამხედრო ტექნიკა — ტანკები, თვითმფრინავები, რაკეტები წარმოადგენდა. შაჰი ამ სცენაზე კმაყოფილი და ამაყი დადიოდა. ესმოდა, მრავალი რეპროდუქტორიდან როგორ გადასცემდნენ მის ქება-დიდებას. რეფლექტორების შუქი დეკორაციებს ანათებდა, რის შემდეგაც შაჰის სხეულზე ჩერდებოდა. ისიც იდგა ან მოძრაობდა მათ შუქზე. ეს იყო ერთი მსახიობის თეატრი. ყველა დანარჩენნი სტატისტის როლით კმაყოფილდებოდნენ. სცენის ყველაზე მაღალ სართულზე მოძრაობდნენ გენერლები, მინისტრები, ელეგანტური ქალბატონები, ლაქიები — სასახლე დიდი იყო. შემდეგ იწყებოდა შუა საფეხური, ხოლო ყველაზე დაბლა უმდაბლესი კატეგორიის სტატისტები იდგნენ. აქ ყველაზე მეტი ხალხი ირეოდა. ისინი ქალაქში ღარიბი სოფლებიდან იმ იმედით ჩამოდიოდნენ, რომ ცოტა მეტი ფული გამოემუშავებინათ. შაჰიც მათ ოქროს მთებს ჰპირდებოდა. მთელ დროს შაჰი სცენაზე ატარებდა და სტატისტების თამაშს ხელმძღვანელობდა. მისი ხელის მოძრაობაზე გენერლები „სმირნაზე" დგებოდნენ, ხოლო მინისტრები ხელზე კოცნიდნენ. ქალბატონები რევერანსებს უკეთებდ-

ნენ. როდესაც ქვემო საფეხურზე ჩადიოდა და თავს დახრიდა, მოხელეები, რომლებიც დაწინაურებასა და ხელფასის მომატებას ელოდნენ, მისკენ მირბოდნენ. იგი იშვიათად, ისიც მცირე ხნით, ჩადიოდა [illegible]ში. ყველაზე მეტად აპათიურად აქ მყოფი სტატისტები იქცეოდნენ. [illegible]ნი დაბნეულები, დიდ ქალაქში ორიენტაციადაკარგულები, [illegible]ლები და გაცურებულები იყვნენ, თავს უცხოდ გრძნობდნენ [illegible] მიუღებელ დეკორაციაზე, ამ აგრესიულ სამყაროში, რომელიც ახლა გარს ერტყათ. ერთადერთი ადგილი, რომლის მიმართაც მათ ორიენტაციის გაკეთება შეეძლოთ, მეჩეთი იყო, იგი იდგა მათ სოფელშიც, ამიტომ მიდიოდნენ იქ. მათთვის ერთადერთ ახლობელ ადამიანს მოლა წარმოადგენდა, რომელსაც ასევე სოფლიდან იცნობდნენ. სოფელში მოლა ყველაზე დიდი ავტორიტეტია — მეგობრებს შორის ჩხუბი ატყდება, წყლის გაყოფაა საჭირო თუ სხვა რამ, იგი სულ მათთანაა დაბადებიდან სიკვდილამდე. ამიტომ აქაც მოლასკენ მიისწრაფოდნენ, უსმენდნენ მას და ესმოდათ ხმა, რომელიც მათი ბავშვობის ხმა იყო, მშობლიური და დაკარგული მიწის იმა.

მოქმედება რამდენიმე სართულზე ერთდროულად მიმდინარეობს. სცენაზე რამდენიმე მოქმედება ხდება. ცვლიან დეკორაციებს, ტრიალებენ ბორბლები, ბოლი ამოდის, გრუხუნით მიდი-მოდიან ტანკები, მინისტრები შაჰს კოცნიან, მოხელეები მიწაზე ხოხავენ, რომ ხელფასი გაუზარდონ და სამსახურში დააწინაურონ, პოლიციელები წარბებს იჭმუხნიან, მოლები ქადაგებენ, სტატისტები დუმან და მუშაობენ. საზოგადოებაში თანდათან მეტი მოძრაობა შეინიშნება. შაჰი დადის, იქით ხელს დაუქნევს, აქეთ თითით მიანიშნებს. იგი მთელი დრო რეფლექტორების შუქზეა. მაგრამ მალე სცენაზე რაღაც ჩოჩქოლი ატყდება, თითქოს ყველას დაავიწყდა, რა უნდა ითამაშოს. დიახ, ძველ სცენარს სანაგვეში ისვრიან და ახალს თავად იგონებენ. თეატრში ბუნტია! სპექტაკლი სახეს იცვლის და ბობოქარ, მხეცურ სანახაობად იქცევა. ქვედა სართულის სტატისტებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმედგაცრუებულნი იყვნენ იმით, რომ ცუდად უხდიდნენ, დაიწყეს ზედა სართულებზე ასვლა. შუა სართულების მსახიობებიც ებუტებიან შაჰს და ქვედა სართულების მსახიობებს უერთდებიან. სცენაზე გამოჩნდება შიიტების შავი დროშა, იმის გამაძლიერებელში ისმის დემონსტრანტების საბრძოლო სიმღერა — ალაჰ აკბარ! ტანკები სცენაზე მიდი-მოდიან, პოლიციელები ისვრიან. მინარეთიდან მუეზინის გაბმული მოწოდება ისმის. ყველაზე მაღალ სართულზეც უჩვეულო დაბნეულობაა! მინისტრები ფულს ჩემოდანში აწყობენ და გარბიან, ქალბატონები ხელს სტაცებენ თავიანთი ოქროულობის ხელჩანთას და ქრებიან, ლაქიებმაც არ იციან, რა ქნან. მალე სცენაზე ჩნდებიან მწვანე ქურთუკებში გამოწყობილი ფედაინები და მოჯაჰიდები. მათ უკვე იარაღი — არსენალი აუღიათ. ჯარისკაცები, რომელიც აქამდე ბრბოს როლას არ ერიდებოდნენ, ახლა ხალხს ძმობას ეფიცებიან და ავტომატის ლულაში წითელ მიხაკებს არჭობენ. სცენაზე ვაჭრები კამფეტებს ყრიან და საერთო მხიარულებას უერთდებიან. მიუხედავად იმისა, რომ შუადღეა, ყველა ავ-

ტომობილს შუქი აქვს ანთებული. სასაფლაოზეც ხალხი იკრიბება. ყველანი მოვიდნენ, რომ აჯანყების მსხვერპლნი დაიტირონ. ლაპარაკობს დედა, რომლის შვილმაც თავი მოიკლა, რადგან, როგორც ჯარისკაცს, თავისი მოძმე დემონსტრანტებისათვის სროლა არ უნდოდა. გამოდის ჭაღარა აიათოლა ტელეპანი. რეფლექტორების შუქი [illegible] ქრება. წარმოდგენის ბოლო სცენა: სულ ზედა, უკვე ცარიელ, [illegible] ტელიდან პარტერში ჩამოდის ფარშევანგივით ათასფერი ქვით აჭრელებული შაჰის ტახტი. მას მთვარის შუქი სცემს და კიდევ უფრო ჭრელდება. ტახტზე ზის უზარმაზარი ზომის საოცარი, გაბლენძილი არსება. რომელსაც ასევე თვალისმომჭრელი შუქი ანათებს. მას კისერზე, მკლავებზე, ხელებზე და ფეხებზე შემოხვეული აქვს სადენი, მსხვილი თოკი და მავთულები. ამ ურჩხულის ერთი შეხედვაც კი ადამიანს შიშის ისეთ კანკალს აწყებინებს, რომ მუხლები ეკეცება და მზადაა დაიჩოქოს. მაგრამ მალე სცენაზე გამოჩნდებიან ელექტროშემკეთებლები, რომლებიც გადაჭრიან სადენს და თოკებსაც ერთმანეთის მიყოლებით მოაცილებენ მას. შუქი, რომელიც ამ ურჩხულს ანათებდა, ნელ-ნელა ჩაქრობას იწყებს და იგიც თანდათან პატარავდება. ბოლოს ელექტროშემკეთებელი გვერდზე გადგება და ტახტზე დგება გამხდარი მოხუცი კაცი, დაახლოებით ისეთი, რომლის მსგავსსაც მრავჯალს შეხვდებით კინოთეატრში, კაფეში თუ რიგში. ის ადგომისთანავე იბერტყავს კოსტიუმს, ჰალსტუხს ისწორებს და სცენას ტოვებს. ის აეროდრომისაკენ გასწევს.

შაჰმა ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემა შექმნა, რომ მხოლოდ მისი დაცვა შესძლებოდა, სამაგიეროდ უძლური იყო რაიმეთი დაეკმაყოფილებინა ადამიანების მოთხოვნილებები. სწორედ ეს იყო მისი სისუსტე და უმთავრესი მიზეზი მისი ტახტიდან ჩამოგდების, რომლის ფსიქოლოგიური საფუძველია საკუთარი ხალხის ზიზღი და უგულვებელყოფა, იმის რწმენა, რომ ყოველთვის შეიძლება ამ ბნელი მასის მოტყუება, გამუდმებით მათთვის რაღაც ამაო დაპირებების მიცემა. მაგრამ ირანული ანდაზა ამბობს: „დაპირებას მხოლოდ მისთვის აქვს რაიმე ფასი, ვინც მას იძლევა“.

ჰომეინი ემიგრაციიდან დაბრუნდა და ვიდრე კუმში წავიდოდა, თეირანში შეჩერდა. ყველას სურდა მისი ნახვა, მილიონობით ადამიანს უნდოდა მასთან მისალმება, მისთვის ხელის ჩამორთმევა. სკოლის შენობა, სადაც ის შეჩერდა, ხალხით გაივსო. ყველას მიაჩნდა, რომ მას აიათოლასთან შეხვედრის უფლება ჰქონდა. ისინი ხომ მის დასაბრუნებლად იბრძოდნენ, სისხლს ღვრიდნენ. ქვეყანაში ეიფორიული განწყობა გაბატონებულიყო, ადამიანები ერთმანეთს მხარზე ხელს ისე უბარტყუნებდნენ, თითქოს ამით ერთმანეთისთვის უნდოდათ ეთქვათ — ხედავ? ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!

მართლაც იშვიათად განიცდიან ადამიანები მსგავს წუთებს! მაგრამ ახლა გამარჯვების შეგრძნება ბუნებრივი და დამაჯერებელი ჩანდა. შაჰის „დიდი ცივილიზაცია“ ნანგრევებად ქცეულიყო. რას წარმოადგენდა იგი თავისი არსით? უცხო სხეულს, უცხო ნერგს, რომელმაც

სპარსულ ნიადაგზე ვერ გაიხარა. ეს იყო უცხო ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ღირებულებების ირანელ ხალხზე თავსმოხვევის ცდა, ეს იყო იძულება, ქირურგიული ოპერაცია, რომლის უმთავრეს მიზანსაც პაციენტის გადარჩენაზე უფრო ის წარმოადგენდა, რომ თავად ეს ოპერაცია განხორციელებულიყო, უპირველეს ყოვლისა კი — ტახტის შენარჩუნება.

ერეკენული
ბიბლიოთეკა

უცხო სხეულის უარყოფა — როგორი დაუნდობელი და გარდუვალია ეს პროცესი, თუკი იგი დაიწყება. ამისათვის კი საკმარისია საზოგადოებამ ირწმუნოს, რომ მის თავსმოხვეულ არსებობის ფორმას ბოროტება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ამის შემდეგ იგი თავისი წინააღმდეგობის გამოხატვას დაიწყებს. თავიდან — მალულად და პასიურად, შემდეგ თანდათან ღიად და დაუნდობლად. ვერ მოისვენებს, ვიდრე თავის ორგანიზმს ამ ახალი სხეულისაგან არ გაითავისუფლებს. იგი ყრუ დარჩება ნებისმიერი არგუმენტის მიმართ, გახდება ვნებიანი, დაკარგავს ფიქრის უნარს. „დიდი ცივილიზაციის" საფუძვლად ხომ მრავალი კეთილშობილური იდეა, გონივრული აზრი იდო, მაგრამ ხალხი მას მხოლოდ ირონიულად უყურებდა, ანუ ხედავდა იმ ფორმით, როგორიც მათ პრაქტიკაში შეიძინეს. ამიტომ მშვენიერი იდეების მიმართაც კი ხალხს ეჭვი გაუჩნდა.

და შემდეგ? რა მოხდა შემდეგ? რის შესახებ უნდა დავწერო ახლა? იმის შესახებ, თუ როგორ მთავრდება ძლიერი განცდები? სევდიანი თემაა. რადგან აჯანყება ნამდვილად დიდი განცდაა, გულის თავგადასავალი. შეხედეთ იმ ხალხს, რომლებიც მასში მონაწილეობენ. როგორ აღტკინებულნი, აღგზნებული გამოიყურებიან, თავის შესაწირად არიან მზად. ამ დროს ისინი ცხოვრობენ ერთფეროვან სამყაროში, რომელიც მხოლოდ ერთი აზრით იმის სურვილითაა შეპყრობილი — რომ სასურველ მიზანს მიაღწიონ, ახლა ყველაფერი ამას ექვემდებარება, ამ გზაზე ყოველგვარი წინააღმდეგობა ადვილად გადასატანი ხდება, არავითარი მსხვერპლი არაა ამ საქმისათვის შეუძლებელი. ამბოხი გვათავისუფლებს ჩვენ საკუთარი „მეს"-გან, ყოველდღიურობისაგან, რომელიც ახლა თანდათან უფრო და უფრო პატარად, არარაობად და ჩვენთვისვე უცხოდ გვეჩვენება. განცვიფრებულები, ენერგიის აქამდე ჩვენთვის უცხო მარაგს ვნახულობთ, ისეთი კეთილშობილური ქცევების უნარს ვამჟღავნებთ, რომ თავად გვიკვირს. და მერე რამდენი სიამაყეა იმის გაფიქრებაში, რომ შევძელით ასე ავმაღლებულიყავით. როგორი კმაყოფილი და ნასიამოვნები რჩება ადამიანი იმის გაფიქრებით, რომ ასე ბევრი რამის გაკეთება შესძლებია! მაგრამ დგება დრო, როდესაც ეს განწყობა ქრება და ყველაფერი მთავრდება. კვლავაც ჩვეულებისამებრ, ინსტინქტურად, ვიმეორებთ იმ ჟესტებსა და სიტყვებს, კვლავ გვსურს, რომ ძველებურად, როგორც „გუშინ", ისე იყოს. მაგრამ უკვე ვიცით — და ეს აღმოჩენა შიშის გრძნობით გვავსებს — რომ ეს „გუშინ" მეტად აღარ განმეორდება. ირგვლივ ვიყურებით და ერთ ახალ აღმოჩენას კიდევ ვაკეთებთ — ისინი, ვინც გუშინ ჩვენთან იყვნენ, მა-

თშიც რაღაც ჩაქრა, რაღაც გადაიწვა. მოულოდნელად ჩვენი ერთობა, კავშირი და თანამეგობრობა იშლება, ყველა თავის ყოველდღიურ „მე“-ს უბრუნდება, რომელიც თავიდან ეხამუშებათ, ისევე, როგორც ცუდად შეკერილი ტანსაცმელი, მაგრამ იციან, რომ, სწორედ, ესაა მათი და სხვა არ ექნებათ. ყოველგვარ სურვილს ვკარგავთ ერთმანეთს თვალებში შევხედოთ, საუბარს გავურბივართ, ვგრძნობთ, რომ უკვე აღარ ვართ ერთმანეთისათვის ძველებურად საჭირო.

ტემპერატურის ეს დაცემა, კლიმატის ცვლილება, ყველაზე ცუდ და დამთრგუნველ განცდებს განეკუთვნება. იწყება დღე, როდესაც რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ არაფერიც არა ხდება. არავინ გვიხმობს, არ გველოდება, უკვე ზედმეტი გავხდით. თავს უკვე ძალიან დაღლილად ვგრძნობთ, თანდათან აპათია გვეუფლება. საკუთარ თავს ვეუბნებით — უნდა დაისვენო, ძალა უნდა აღიდგინო. რა თქმა უნდა, გვინდა სუფთა ჰაერი ჩავისუნთქოთ, სახლი დავალაგოთ, ფანჯარა გავარემონტოთ. ყველა ეს საქმიანობა თავდაცვითია, მათ იმიტომ ვაკეთებთ, რომ თავი დეპრესიისაგან დავიცვათ. ამიტომ ძალას ვიკრებთ მათ გასაკეთებლად. მაგრამ თავს მაინც ვერ ვგრძნობთ კარგად, რაღაც მოწყენილები ვართ, რადგან გვაწუხებს ის, თუ როგორ მჭიდროდ გვაწვება სევდა, დარდი, რომელსაც ჩვენ საკუთარ არსებაში ვატარებთ.

ეს განწყობა მეც გამომიცდია, როდესაც მინავლებულ კოცონთან ვმჯდარვარ. დავდიოდი თეირანში, საიდანაც გამქრალიყო გუშინდელი განცდების კვალიც კი. გამქრალიყო მოულოდნელად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ უკვე აღარაფერი აღარ ხდებოდა. რამდენიმე გადამწვარი კინოთეატრი, რამდენიმე განადგურებული ბანკი — უცხო გავლენათა სიმბოლოები. რევოლუცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ, ანგრევს ერთ ქანდაკებას და მის ადგილას აუცილებლად დგამს მეორეს — საკუთარს, რადგან სურს მყარად იდგეს და ამ მეტაფორული გზით გადარჩეს. ქუჩაში შემთხვევითი გამვლელები დადიოდნენ. ზოგიც ქუჩაში დანთებულ კოცონთან მისულიყო და ხელებს ითბობდა. აქაც ყველა თავისთვის იდგა, გულჩათხრობილი და მდუმარე. ვინ იცის, იქნებ ელოდებოდნენ, იქნებ სურდათ კიდეც, რომ რამე კიდევ მომხდარიყო, რაღაც უჩვეულო რამ? არ ვიცი, არ შემიძლია ამის თქმა.

ის ყველაფერი, რაც რევოლუციის გარეგან, აშკარა მხარეს წარმოადგენს, სწრაფად ქრება. ცალკეულ ადამიანს აქვს ათასი მეთოდი, რომლითაც შეუძლია გამოხატოს თავისი გრძნობა და აზრი. ის უსასრულო სიმდიდრეა, სამყაროა, რომელშიც განუწყვეტლივ რაღაცას აღმოვაჩენთ. სამაგიეროდ ბრბო ამცირებს, აკნინებს ინდივიდის უნარს, მის პიროვნებას, ადამიანი ბრბოში რამდენიმე ელემენტარული მოქმედებით შემოიისაზღვრება. ფორმები, რომელთა საშუალებითაც იგი თავის მისწრაფებას გამოხატავს, უჩვეულოდ მწირია და ამასთან, გამუდმებით მეორდება — მანიფესტაციები, გაფიცვები, შეკრებები, ბარიკადები. ამიტომაა, რომ ადამიანის შესახებ მთელ რომანს დაწერ, ბრბოს შესახებ კი — ვერაფერს. თუ იგი დაიშლება, სახლებში წავა და მეტად აღარ შეიკრიბება, ვამბობთ, რომ რევოლუცია დასრულებულია.

კომიტეტების ოფისებში ვიყავი. კომიტეტი — ასე ერქვა აიალი ხელისუფლების ორგანოებს. ვიწრო და აქოთებულ ოთახებში მაგიდებს წვერმოშვებული ხალხი უსხდა. მათ სახეებს პირველად ვხედავდი. აქ რომ მოვდიოდი, მახსოვდა იმათი გვარები, რომლებიც შაჰის ეპოქაში ოპოზიციაში იყვნენ ან აქტიური პოლიტიკიდან შორს იდგნენ. ... რობდი, რომ ისინი ლოგიკურად, ქვეყნის მმართველობაში ინტენსიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ. ვიკითხე, ეს ხალხი სად შეიძლება ვნახო-მეთქი, მაგრამ არავინ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. დიდხანს და მყარად არსებული მთელი წყობა, რომელშიც ერთი ხელისუფლებასთან იდგა, მეორე — ოპოზიციაში, მესამე — ბიზნესში, ხოლო მეოთხე — ხელისუფლებას აკრიტიკებდა, მთელი ეს წლობით დალაგებული სტრუქტურა და კონსტრუქცია, რევოლუციამ, როგორც სათამაშო კარტისაგან აწყობილი სახლი, ისე დაშალა. ამ წვერებიანი ახმახებისათვის, რომლებიც ძლივს ახერხებდნენ წერასა და კითხვას, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის ვკითხულობდი. ყველა იმ ადამიანებს, რომელთა შესახებაც ვეკითხებოდი, მათ სულაც არ აინტერესებდათ, რომ რამდენიმე წლის წინათ ჰაფეზ ფარმანი შაჰს აკრიტიკებდა, რის გამოც თანამდებობა დაკარგა, ხოლო კულსუმ კიტაბი როგორც უკანასკნელი მატყუარა, ისე იქცეოდა და კარიერას იკეთებდა. ეს ხომ წარსულში მოხდა, ის სამყარო კი უკვე აღარ არსებობდა.

რევოლუციამ ხელისუფლებაში სულ სხვა, ახალი ხალხი მოიყვანა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სრულიად ანონიმურები, საზოგადოებისათვის უცნობნი იყვნენ. ეს წვერებიანი ადამიანები მთელი დღე კომიტეტებში ისხდნენ და თათბირობდნენ. რაზე? იმაზე, თუ რა ეკეთებინათ. აბა, როგორ, კომიტეტმა ხომ რაღაც უნდა აკეთოს. ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცდიდნენ. ყველას უნდოდა გამოსვლა, რაღაცის თქმა. იგრძნობოდა, რომ მათთვის ეს ძალზე არსებითი იყო და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შემდეგ თითოეული მათგანი მეზობელთან წაიტრაბახებდა — მოხსენებით გამოვედით. მისი ნაცნობები ერთმანეთს დაეკითხებოდნენ — მოისმინე მისი მოხსენება? როდესაც ქუჩაში გაივლიდა, ნაცნობები გააჩერებდნენ და აღფრთოვანებით ეტყოდნენ — მართლაც კარგად გამოხვედი! თანდათანობით დაიწყება არაფორმალური იერარქიის ჩამოყალიბება — მის მწვერვალზე დადგებიან ისინი, რომელთაც ყოველთვის საინტერესო მოხსენება ჰქონდათ, დაბლა კი მოქუჩდებიან ინტროვერტები, ანუ ისინი, რომელთაც არ ეხერხებათ საუბარი, მით უფრო მოხსენებებით გამოსვლა, ისინი მთელი არმიაა, რომელთაც არ შეეძლოთ დაეძლიათ მღელვარება, ხოლო ბოლოს ისინი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ დაუსრულებელ ლაყბობას არავითარი აზრი არა აქვს. მეორე დღეს კვლავ იწყებდნენ თათბირობას, თითქოს გუშინ არაფერი გაკეთებულიყო და თითქოს ყველაფერი აუცილებლად თავიდან უნდა დაეწყოთ.

ირანი — ეს იყო ოცდამეშვიდე რევოლუცია, რომელიც მესამე სამყაროს ქვეყნებში მინახავს. ცეცხლში და ბოლში იცვლებოდნენ ხელისუფლებები, ეცემოდნენ მთავრობები, სავარძლებში ახალი ხალხი იკალათებდა. მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩებოდა, რაც მუდმივ არ-

სებობას განაგრძობდა, — ეს იყო: უსასოობა, უიმედობა, უპერსპექტიობა. რა ძალიან წააგავდა ირანში ნახული კომიტეტები, იმას, რაც მინახავს ბოლივიაში, მოზამბიკში, სუდანსა თუ ბენინში. რა ვაკეთოთ? შენ იცი, რა ვაკეთოთ? მე? რა, არ ვიცი. იქნებ შენ იცი? მე? საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. კი მაგრამ, როგორ? [illegible] მივიყვანოთ საქმე ბოლომდე? დიახაც, ესაა პრობლემა. ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ ესაა რთული საკითხი, რომელზედაც მსჯელობა აუცილებელია. უჰაერო, ბოლით სავსე დარბაზი. კარგი და ცუდი მოხსენებები, ზოგიერთი ნამდვილად მშვენიერი. ასეთი მოხსენების მოსმენის შემდეგ ყველა კმაყოფილი გამოიყურება — მათ ხომ რაღაც ისეთში, რაც ნამდვილად იდეალური და ღირსეული იყო, მონაწილეობა მიიღეს.

ამ კომიტეტების საქმიანობამ ისე დამაინტერესა, რომ ერთ-ერთ მათგანში დავჯექი იმ მიზეზით, ვითომ აქ ვიღაცას ველოდებოდი. ვაკვირდებოდი, როგორ აგვარებდნენ მომსვლელთა თუნდაც უმნიშვნელო საქმეებს. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ საქმეების მოგვარებაზეა დაფუძნებული, ხოლო პროგრესის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა საქმეები კარგად და სამართლიანად მოვაგვაროთ, რათა ისინი კმაყოფილები დარჩნენ.

მალე ოთახში ერთი ქალი შემოვიდა და რაღაც ცნობა მოითხოვა. კომიტეტის ის წევრი, რომელსაც ეს საქმე ეხებოდა, კამათში იყო ჩაბმული. ქალი იცდიდა. ხალხს აქ ლოდინის საოცარი უნარი აქვთ, მათ შეუძლიათ ქვად იქცნენ და ასე მდუმარედ იდგნენ უსასრულოდ. ბოლოს ის კაცი მოვიდა და მათ საუბარი დაიწყეს. კაცი ეკითხებოდა, ქალი პასუხობდა. ქალი ეკითხებოდა, კაცი პასუხობდა. ბოლოს რაღაცაზე შეთანხმდნენ და ქაღალდს დაუწყეს ძებნა. მაგიდაზე უამრავი ქაღალდი იდო, მაგრამ ამ მიზნისათვის არც ერთი არ გამოდგებოდა. უცებ კაცი გაქრა, ალბათ ქაღალდის მოსაძებნად, თუმცა არც ისაა გასაკვირი, რომ გვერდით ოთახში ჩაის დასალევად შესულიყო (ძალზე ცხელოდა). ქალი წყნარად ელოდებოდა. კაცი დაბრუნდა, ტუჩებს კმაყოფილი ილოკავდა (ნამდვილად ჩაი დალია), თუმცა ქაღალდიც მოიტანა. ახლა დაიწყო ყველაზე დრამატული ნაწილი — კალმის ძებნა. არსად არ ჩანდა კალამი — არც მაგიდაზე, არც უჯრებში, არც იატაკზე. ჩემი კალამი გავუწოდე. ქალმა შვებით ამოისუნთქა, კაცმა გაიღიმა და დასაწერად დაჯდა. როდესაც წერა დაიწყო, გამოირკვა, რომ კარგად აღარც ახსოვდა, თუ რა ცნობა სჭირდებოდა ქალს. დაიწყეს საუბარი, კაცი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. ბოლოს დოკუმენტი მომზადდა. მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირის ხელის მოწერა აკლდა. მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილზე არ აღმოჩნდა. ის სხვა კომიტეტში კამათობდა. მასთან დაკავშირება ძნელი აღმოჩნდა, რადგან ტელეფონზე არ პასუხობდა. მის მოსვლამდე ქალს უნდა დაეცადა. იგი კვლავ ქვად იქცა და ლოდინი დაიწყო. ეს კაციც კვლავ სადღაც გაქრა. მეც დავტოვე ოთახი და ჩაის დასალევად წავედი.

ეს კაცი ისწავლის ცნობების დაწერასაც და კიდევ მრავალ სხვა საქმესაც. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება გადატრიალება, იგი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ — გადადგება, მის ადგილს სხვა დაიკა-

ვებს, ისიც დაიწყებს კალმისა და ქაღალდის ძებნას. იგივე ან სხვა ქალი ქვად ქცეული ლოდინს დაუწყებს. ვიღაც თავის კალამს ათხოვებს, ყველანი კამათში იქნებიან ჩართულნი. ეს ყველანი კვლავ დაიწყებენ მოჯადოებულ და უიმედო წრეზე ტრიალს.

ვინ შექმნა ეს წრე? ირანში ის შაჰმა შექმნა. ის ფიქრობდა, რომ ქვეყნის გათანამედროვეობის გასაღებს ქალაქი და მრეწველობა [illegible] მოადგენდა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მისი წინსვლის გასაღები სოფელში იდო. შაჰი ძალიან გაიტაცა ატომურმა ელექტროსადგურებმა, კომპიუტერების საშუალებით მომუშავე ტექნოლოგიურმა ხაზებმა და დიდმა ნავთობქიმიამ. მაგრამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ეს ყოველივე თანამედროვეობის ბუტაფორიას წარმოადგენს და მეტს არაფერს.

ასეთ ქვეყნებში მოსახლეობის უმეტესობა ღარიბ სოფლებში ცხოვრობს, რომელსაც ტოვებს და ქალაქში მირბის. ისინი ქმნიან ახალგაზრდა, ენერგიულ ძალას, რომელთაც ცოტა შეუძლიათ (ესენი ძირითადად უკვალიფიკაციო, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხია), მაგრამ დიდი ამბიცია აქვთ და მზად არიან ყველაფრისათვის იბრძოლონ. ქალაქში უკვე არსებულ სტრუქტურას ნახულობენ, რომელიც ასე თუ ისე ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ისინი თავდაპირველად ვითარებაში ერკვევიან, ცოტა მოშინაურდებიან, დაიკავებენ საწყის მდგომარეობას და — იერიშზე გადადიან. ბრძოლისათვის იყენებენ იმ იდეოლოგიას, რომელიც თავიანთი სოფლიდან ჩამოიტანეს — როგორც წესი, ეს რელიგიაა. ვინაიდან ეს ადამიანები წარმოადგენენ ძალას, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ცხოვრებაში წინსვლას, ხშირად წარმატებას აღწევენ კიდეც — ძალაუფლება მათ ხელში გადადის. მაგრამ რაში უნდა მოიხმარონ ის? იწყება კამათი, შედიან გამოუვალ მდგომარეობაში, ლაბირინთებში. ხალხი როგორღაც ცხოვრობს და როგორღაც არსებობს, სხვა რა გზა აქვთ, მაგრამ ეს ახალი ხელისუფლება თანდათან უკეთესად ცხოვრობს. ამასთან, გარკვეული დროის განმავლობაში წყნარად, უშფოთველადაც არის. მათი შემცვლელები ჯერ კიდევ მინდორში დარბიან, აქლემებს დასდევენ და ცხვრის ფარას მწყემსავენ. მაგრამ მალე გაიზრდებიან, ისინიც ქალაქში წამოვლენ და ხელისუფლებას ბრძოლას დაუწყებენ.

რა არის ამაში ყველაზე მნიშვნელოვანი? ის, რომ იმ ახლებს უფრო მეტი ამბიცია შემოაქვთ თავიანთ ბრძოლაში, ვიდრე ცოდნა. შედეგად ყოველი გადატრიალებისას, ქვეყანა, როგორღაც ამოსავალ მდგომარეობას უბრუნდება, ნულიდან იწყებს ცხოვრებას, ვინაიდან გამარჯვებულმა თაობამ თავიდან უნდა ისწავლოს ის ყველაფერი, რისი სწავლაც ასე დიდ ჯაფად დაუჯდა იმ თაობას, რომელიც მან სავარძლებიდან ჩამოყარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, ვინც მათ შეცვალეს, სამართლიანები და გონიერები იყვნენ? სრულიადაც არა. წინა თაობის გენეზისი ანალოგიური იყო იმათი წარმომავლობისა, რომლებიც ახლა მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. რა გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან? მხოლოდ სოფლის განვითარება. მანამდე, ვიდრე სოფელი ჩამორჩენილი იქნება, ვერც ქვეყანა განვითარდება, თუნდაც იქ ათასობით ქარხანა ააშენო. მანამდე, სანამ ქალაქში გადასახლებული შვი-

ლი მშობლიურ სოფელს, როგორც ეგზოტიკურ მხარეს, ისე მოინახულებს, მანამდე მისი მშობელი ხალხი თანამედროვე ვერ გახდება.

კომიტეტებში მიმდინარე დისკუსიებზე, — ყველა თანხმდება იმაში, რომ ჯერ აუცილებელია შური ვიძიოთ, ჯავრი ვიყაროთ. ამიტომ იწყება დასჯების მთელი სერია. ამისაგან გარკვეულ სიამოვნებას ღებულობენ. გაზეთების პირველ გვერდზე ათავსებენ ხელოვნურ ფოტოებს აკრული ადამიანის და გლეხებისას, რომლებიც მას კოცნიან. დიდ ხანს და დეტალებში აღწერენ მთელ ამ შემთხვევას. რა თქვა სიკვდილმისჯილმა სასჯელის აღსრულების წინ, როგორ იქცეოდა, რა დაწერა თავის ბოლო წერილში. ევროპაში ამ დასჯებმა ხალხის უდიდესი წყრომა გამოიწვია. მაგრამ ვის ესმოდა აქ ევროპელთა გულისწყრომა? მათთვის შურისძიების პრინციპი ისევე ძველი იყო, როგორც სამყარო და მისი საწყისი შორეულ წარსულში იკარგებოდა. შაჰი მართავდა ქვეყანას, შემდეგ მას თავი წააჭრეს, მოვიდა შემდეგი, ამათ მოკვეთა თავები და ა. შ. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გათავისუფლებულიყვნენ შაჰისგან. დაეტოვებინათ იგი ან მისი ხალხი ცოცხლები? მაშინ ისინი შექმნიდნენ ჯარს და ხელისუფლებისათვის ბრძოლას დაიწყებდნენ. ციხეში ჩაესვათ? მოისყიდიდნენ დარაჯებს, გამოვიდოდნენ გარეთ და დასჯიდნენ მათ, ვინც ისინი თანამდებობიდან გამოყარა. ასეთ სიტუაციაში სიკვდილით დასჯა თავის გადარჩენის ყველაზე უმარტივესი გზაა. ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სამართალი გაგებულია, არა როგორც ადამიანის დაცვის საშუალება, არამედ, როგორც მოწინააღმდეგის განადგურების ინსტრუმენტი. ჰო, რა თქმა უნდა, ეს საშინლად ეღერს, არის მასში რაღაც კოშმარული დაუნდობლობა, მაგრამ რას იზამ?

აიათოლა ხალკალი ჩვენ, ჟურნალისტების ჯგუფს, მოგვიყვა, თუ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჰოვეიდის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შემდეგ, როგორ დაეჭვდა იმ სამხედრო ჯგუფის ნდობაში, რომელსაც მისთვის განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანა. ეშინოდა, მათ ყოფილი პრემიერი არ გაეშვათ. ამიტომ ჰოვეიდი ავტომანქანაში ჩაისვა. ღამე იყო. ხალკალიმ გვითხრა, რომ ერთმანეთში საუბრობდნენ, ოღონდ არ უთქვამს — რაზე. არ ეშინოდა, რომ გაქცეოდა? არა, არაფერი ამის მსგავსი მას გონებაში არ მოსვლია. დრო გადიოდა, ხალკალი ფიქრობდა, თუ ვის ნდობოდა და ვისთვის ჩაებარებინა ჰოვეიდი დასასჯელად, „ნდობოდა", ანუ ისეთი ხალხისათვის დაეტოვებინა, ვინც განაჩენს აუცილებლად სისრულეში მოიყვანდა. ბოლოს გაახსენდა, რომ ასეთი ხალხი ერთ-ერთ კომიტეტში ეგულებოდა, ბაზართან ახლოს. მართლაც ჰოვეიდი მათთან მიიყვანა და დაუტოვა.

ძალიან მსურს ამ ხალხის გაგება, მაგრამ ამასობაში ვაწყდები შავ სფეროს, სივრცეს, რომელშიც გზა მებნევა და ვერ გავრკვეულვარ. მათ სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ სიცოცხლე-სიკვდილისადმი, სხვაგვარად რეაგირებენ სისხლზე, რომლის დანახვა მათში უდიდეს შინაგან მღელვარებას იწვევს, ისინი თითქოს მოიხიბლნენო, თითქოს ერთგვარ ტრანსში ვარდებიან, უფრო სხვანაირად, აგზნებულად იქცევიან, ყვირილს, უცნაურ მოძრაობას იწყებენ.

ერთხელ ჩემს სასტუმროსთან ახლოს მდებარე რესტორნის მფლობელმა სალონიდან თავისი ახლად გამოყვანილი, მშვენიერი, ოქროსფერი „Pontiac"-ი გააჩერა. იმწამსვე ხალხი შემოეხვია, ახლო-მახლო ქუჩების ეზოებში დაერივნენ ქათმის დედლებს და რამდენიმე დაკლეს. შემდეგ მათი სისხლით ჯერ ერთმანეთი გაწუწეს, ხოლო შემდეგ მთელი მანქანის ძარა სისხლით ისე შეღებეს, რომ ეს ოქროსფერი ავტომობილი უკვე წითლად გამოიყურებოდა. ეს, მათი გაგებით, „Pontiac"-ის მონათვლა, დასველება იყო. ირანელები ერთმანეთს ასწრებენ, რომ იქ, სადაც სისხლია, ხელი დაისველონ. ვერავინ ვერ ამიხსნა, თუ რისთვისაა ეს საჭირო.

კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში აქ უჩვეულო წესრიგი ისადგურებს. ეს ხდება პარასკევს, ერთობლივი ლოცვის დროს. დილით ადრე დიდ მოედანზე მოდის პირველი, ყველაზე მგზნებარე მორწმუნე მაჰმადიანი, გაშლის ხალიჩას და დაიწყებს ლოცვას. შემდეგ მოდის შეორე და თუმცა მოედანი ცარიელია, ისიც მის გვერდით გაიშლის ხალიჩას. შემდეგ მოდიან და მოდიან მლოცველები. ათასობით, ათიათასობით მლოცველი გროვდება აქ. შლიან ხალიჩებს და მუხლებზე დგებიან. ჩამუხლულები სწორ რიგებად, მდუმარენი, სახით მექისაკენ. დაახლოებით შუადღისით, პარასკევის ლოცვის წამყვანი იწყებს რიტუალს. ყველა დგება და თაყვანისცემის ნიშნად შვიდჯერ თავს ძირს, მუხლებამდე ხრის, შემდეგ სწორდებიან და კვლავ მუხლებზე ეცემიან, კვლავ სახეს მიწას ახებენ. სრულყოფილი, აუმღვრეველი რიტმი მილიონობით ადამიანის სხეულისა ძალიან ძნელი აღსაწერია და ჩემთვის — ცოტა საშიშიც. საბედნიეროდ, როდესაც ლოცვა მთავრდება, მწყობრი რიგები მაშინვე იშლება, იწყება ყაყანი, ხმაური და მყარდება ერთობ სასიამოვნო, თავისუფალი ატმოსფერო.

მალე რევოლუციის ბანაკში ურთიერთშორის კამათი დაიწყო. ყველანი შაჰის წინააღმდეგნი იყვნენ, მისი გადაგდება სურდათ, მაგრამ მომავალი მათ ყველას სხვადასხვანაირად წარმოედგინათ. ხალხის ნაწილს სჯეროდა, რომ ქვეყანაში ისეთი დემოკრატია დამყარდებოდა, როგორსაც ისინი იცნობდნენ შვეიცარიაში და საფრანგეთში ყოფნის დროს. მაგრამ შაჰის გაქცევის შემდეგ ზუსტად ამ ხალხმა წააგო პირველმა ბრძოლა. ეს იყო ინტელიგენტი ხალხი, გონიერები, მაგრამ სუსტები. ისინი მალევე მოექცნენ პარადოქსულ სიტუაციაში — დემოკრატია არ შეიძლება ძალით დაამყარო, დემოკრატიული სისტემის ამენება მოსახლეობის უმრავლესობის ნება-სურვილი უნდა იყოს, მაგრამ უმრავლესობას სურდა ის, რასაც ჰომეინი მოითხოვდა — ისლამური რესპუბლიკა. ლიბერალების ბრძოლის ველიდან გასვლის შემდეგ ასპარეზზე დარჩნენ ისინი, ვინც რესპუბლიკის დამყარებას უჭერდა მხარს. მაგრამ მალე მათ შორისაც დაიწყო ბრძოლა. ამ ბრძოლაში მაგარმა, კონსერვატიულმა ხაზმა თანდათან უპირატესობა მოიპოვა ლიბერალურ და გამჭვირვალობის მომხრე ხაზთან დაპირისპირებაში. მე, როგორც ერთი, ისე მეორე ხაზის წარმომადგენლებს შორის მყავდა ნაცნობები,

და რამდენჯერაც არ დავფიქრებულვარ მათზე, რომელთა მიმართაც სიმპათიები გამაჩნდა, ყოველთვის პესიმიზმი მიპყრობდა.

სინათლისა და გამჭვირვალობის მომხრე ხაზის ლიდერი იყო ბანი სადრი, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი კაცი, სულ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა, გამუდმებით ვილაცასთან ერთად არწმუნებდა, სულ ერთთავად კამათობდა, ათასი აზრი ... თავში, ბევრი ლაპარაკი უყვარდა, წერდა წიგნებს რთული, გაუგებარი ენით. ასეთ ქვეყნებში ინტელიგენტი პოლიტიკაში, როგორც ჩანს, ვერ არის მაინც და მაინც თავის ადგილზე. ინტელიგენტს მეტისმეტად მდიდარი ფანტაზია აქვს, დაბნეულია, სულიერ გაორებას განიცდის, აქეთ-იქით აწყდება. რა ხეირია წინამძღოლისაგან, რომელმაც თავადაც არ იცის, თუ რომელი გზა აირჩიოს?

ბეჰეში (მტკიცე ხაზის ლიდერი) ასე არასოდეს იქცეოდა. შეკრებდა თავის ხალხს და კარნახობდა, რა და როგორ ეკეთებინათ. ყველა მისი მადლიერი იყო, რადგან იცოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, საით წასულიყვნენ. ბენეშს მხარს შიიტები უჭერდნენ, ბანი სადრს — მეგობრები და თანამოაზრეები. ბანი სადრის მხარდამჭერთ ინტელიგენცია, სტუდენტები, მოჯაჰედინები წარმოადგენდნენ, ბეჰეშისას — მოლების ერთ დაძახილზე ყველაფერზე წამსვლელი ბრბო. ცხადი იყო, რომ ბანი სადრი ამ ბრძოლას წააგებდა. თუმცა ბოლოს ბეჰეშსაც წასწვდა კეთილისმყოფელისა და ყოვლადლმობიერის ხელი.

ქუჩებში მებრძოლები გამოჩნდნენ. ეს იყო ჯანიანი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთაც შარვლის უკანა ჯიბეში დანები ჰქონდათ გარჭობილი. ისინი თავს დაესხნენ სტუდენტებს, სასწრაფო დახმარების მანქანამ დაჭრილი გოგონა წაიყვანა საავადმყოფოში. დაიწყო მანიფესტაციები, ბრბო მუშტით ვიღაცას ემუქრებოდა. კი, მაგრამ, ახლა მაინც ვის ემუქრებიან? იმ ადამიანს, ვინც წიგნებს რთული, გაუგებარი ენით წერს. მილიონობით ადამიანი სამუშაოს ვერ პოულობდა, გლეხები მიწურებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ბეჰეშის ხალხი სრულიად სხვა რამით იყო დაკავებული — ის კონტრრევოლუციას ებრძოდა. დიახ, მათ ბოლოს იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, რა ეთქვათ. საჭმელი არა გაქვს? არ იცით, თავი სად შეაფაროთ? ჩვენ დაგანახვებთ მას, ვისი ბრალიცაა ეს ყველაფერი. ესაა კონტრრევოლუციონერი. ვიდრე მას არ გაანადგურებ, მანამდე ადამიანურად ვერ დაიწყებ ცხოვრებას. კი მაგრამ, რანაირი კონტრრევოლუციონერია, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ გუშინ ერთად ვიბრძოდით შაჰის ჩამოსაგდებად?! ეგ გუშინ იყო, მაგრამ დღეს ის შენი მტერია. და გაავებულ ბრბოსაც მეტი რა უნდოდა, მათ უსმენდა, უჯერებდა და ამ ადამიანის წინააღმდეგ თავდასხმაზე ისე გადადიოდა, რომ მაინც და მაინც თავს არ იტკივებდა იმაზე ფიქრით, იგი ნამდვილი მტერი იყო, თუ არა.

მაგრამ ამაში ბრბოს დადანაშაულება ნამდვილად არ შეიძლება, ვინაიდან მათ, მართლაც უკეთესი ცხოვრება სურთ და უკვე დიდი ხანია, რაც ამისკენ ისწრაფიან კიდეც. არ იციან და ვერ იგებენ, რომ მსოფლიოში მიუხედავად გამუდმებული ჩავარდნებისა, მსხვერპლისა და

ბევრ რამეზე უარის თქმისა, უკეთესი ცხოვრება კვლავაც ცხრა მთის იქითაა.

ბევრი ჩემი მეგობარი მეტად დათრგუნვილი გამოიყურებოდა. მათი თქმით, ქვეყანას კატაკლიზმები ემუქრებოდა. როგორც ყოველთვის, როდესაც მძიმე დრო დგება, ინტელიგენტები, ძალისა [illegible] კარგავდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. დაბნეულები და დაშინებულები [illegible] ნდნენ. მათ, რომლებიც ადრე ერთ დემონსტრაციას არ გამოტოვებდნენ, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ, ახლა ბრბოს ახლოს გაკარებაც კი ეშინოდათ. მათთან საუბრისას შაჰზე ვფიქრობდი. შაჰი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა. ხანდახან მისი პორტრეტი გაზეთშიც დაიბეჭდებოდა ხოლმე, იგი თანდათან გახდა. სიკვდილამდე იმედი ჰქონდა, რომ ირანში დაბრუნდებოდა. ვერ დაბრუნდა, მაგრამ ბევრი რამ იქიდან, რაც მან გააკეთა — დარჩა. დესპოტი წავიდა, მაგრამ არც ერთი დიქტატურა არ დასრულებულა. ამ უკანასკნელის არსებობის პირობა ბრბოს სიბნელე, მისი გაუნათლებლობა იყო. ამიტომ ცდილობენ დიქტატორები, რომ რაც შეიძლება დიდხანს ამყოფონ ხალხი სიბნელეში. საჭიროა მთელი თაობების შეცვლა, რათა მდგომარეობა გამოსწორდეს, ხალხში სინათლე გაბატონდეს. ვიდრე ეს არ მოხდება, ხშირად ვინც დიქტატორი შეცვალა, თავისდა უნებურად ზუსტად ისე იქცევიან და იმისი მემკვიდრე ხდებიან, ვისაც ასე სასტიკად ებრძოდნენ. ისინი თავიანთი პოზიციითა და აზროვნების წესით აგრძელებენ იმ ეპოქას, რომელიც თავად გაანადგურეს. ეს მათი მხრიდან იმდენად გაუცნობიერებლად ხდება, რომ მათთან ამის შესახებ სიტყვაც რომ დაგცდეს, ძალიან გაანაწყენებ. მაგრამ განა შეიძლება ყველაფერში შაჰი დაადანაშაულო? იგი გარკვეული ტრადიციების, დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების ფარგლებში მოქმედებდა, იმ ტრადიციების და წეს-ჩვეულებების, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა. ძალიან ძნელია ასეთი საზღვრების გადალახვა, ძნელია წარსულის შეცვლა.

განწყობილების გამოსაკეთებლად და დროის საინტერესოდ გასატარებლად ფირდიუსის ქუჩაზე მივდივარ, სადაც ბატონი ფირდიუსი სპარსული ხალიჩებით ვაჭრობს. მან მთელი ცხოვრება სილამაზესთან და ხელოვნებასთან ურთიერთობაში გაატარა და გარშემო მყოფ რეალურ სამყაროს ისე უყურებს, როგორც არც თუ ისე ხარისხიან ფილმს სოფლის კინოთეატრში.

— ყველაფერი გემოვნების საკითხია, ჩემო ბატონო, — მეუბნება იგი, — ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გემოვნება უნდა გქონდეს. ჩვენი სამყარო ნამდვილად უკეთესად გამოიყურებოდა, ხალხის უმრავლესობა ამ მხრივ უფრო დახვეწილი რომ იყოს. ყველაფერი საშინელება (მე ამას საშინელებას ვუწოდებ), ისეთები, როგორიცაა სიცრუე, ღალატი, დანაშაული, დაბეზღება, საბოლოოდ ერთ მნიშვნელამდე დადის — ასეთ რამეს მხოლოდ უგემოვნო ადამიანები სჩადიან. მათ სწამთ, რომ ხალხი ყველაფერს აიტანს. მშვენიერებას ვერაფერი გაანადგურებს. უნდა გახსოვდეთ, ჩემო ბატონო, — მეუბნება და თან მორიგ ხალიჩას შლის (რომელსაც, ვიცი, რომ არ ვიყიდი, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ დავატკბო თვალი მისი თვალიერებით), — რომ ის, რამაც ჩვენ შეგვაძლებინა სპარსელებად დარჩენა 25 საუკუნეზე მეტი

ხნის განმავლობაში, ის, რამაც შეგვაძლებინა საკუთარი ორიგინალურობის შენარჩუნება, ათასგვარი მომხდურისათვის გაძლება, იყო ჩვენი სულიერი და არა მატერიალური სიმტკიცე, ჩვენი პოეზია და არა ტექნიკა, ჩვენი რელიგია და არა ფაბრიკები.

ჩვენ რაღა მივეცით სამყაროს?

ჩვენ მივეცით პოეზია, მინიატურები და ხალიჩა. ... თქვენ ხედავთ, ჩემო ბატონო, ძალზე უსარგებლო საგნებია მოხმარების თვალსაზრისით, მაგრამ სწორედ ამით გამოვხატავდით ჩვენს მეობას. მსოფლიოს მივეცით ეს სასწაულებრივი, განუმეორებელი უსარგებლო ნივთები, რომლებიც არ აიოლებს ცხოვრებას, სამაგიეროდ ალამაზებს და ამკობს, თუკი საერთოდ აზრი აქვს ასეთი განსხვავებების გაკეთებას. თქვენ ხალიჩას გადამწვარ-გადახრუკულ უდაბნოში შლით, მასზე სხდებით და თავს ისე გრძნობთ, თითქოს მწვანე, ხასხასა ტყეში იყოთ. დიახ, ჩვენი ხალიჩები ყვავილოვან მინდვრებს მოგვაგონებს. თქვენ ხედავთ ყვავილებს, ხედავთ ბაღჩა-ბაღებს, ტბებსა და შადრევნებს, ბუჩქებს შორის ფარშევანგები დაგოგმანობენ. ხალიჩა კი უკვდავი რამაა, კარგი ხალიჩა დიდხანს ძლებს, საუკუნეობით ინარჩუნებს თავის ხასხასა ფერებს. ამგვარად, თუმცა ცხოვრობთ ტიტველსა და მონოტონურ უდაბნოში, მაგრამ თავს ისე გრძნობთ, თითქოს ლამაზ პარკში იყოთ, რომელიც მუდმივია, უკვდავია, რომელიც არ კარგავს ფერებს და არც სიხასხასეს. თქვენ კიდევ იმის წარმოდგენა შეგიძლიათ, რომ ბაღი სასიამოვნო სურნელსაც გამოსცემს, შეგიძლიათ წყაროების რაკრაკიცა და ჩიტების გალობაც მოისმინოთ. და მაშინ თქვენ თავს აუცილებლად კარგად, ცაში ამაღლებულად იგრძნობთ, პოეტად იგრძნობთ.

კრაკოვი.
4 ნოემბერი, 5.30 საათი.

ბაბრიელ ბარსია მარკესი

ესპანურიდან

თარგმნა ნინო მესტვირიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იცხოვრო, რათა მოკვდე“

თავი I

(ფრაგმენტი)

დედამ მთხოვა, სახლის გასაყიდად გავყოლოდი. დილით ბარანკილიაში იმ მიყრუებული სოფლიდან ჩამოვიდა, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობდა, და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მომძებნიდა. აქა-იქ ნაცნობებში მკითხულობდა, როცა მიასწავლეს, რომ ჩემს ნახვას მხოლოდ წიგნების მაღაზია „მუნდოში“ ან ახლომდებარე კაფეებში შეძლებდა, სადაც მეგობარ მწერლებთან ერთად სასაუბროდ დღეში ორჯერ დავდიოდი. ამასთან, დედა გააფრთხილეს კიდეც: „ფრთხილად იყავით, საბოლოოდ შეიშალნენ“. ზუსტად თორმეტ საათზე გამომეცხადა. თავდაპირველად საგამოფენო წიგნებით სავსე მაგიდებს შორის მარდად დააბიჯებდა, შემდეგ უეცრად ჩემს წინაშე ადგილზევე გაშეშდა, თვალებში ჩვეული, ეშმაკური ღიმილით ჩამხედა და, სანამ გონს მოვეგებოდი, მითხრა:

— დედაშენი ვარ.

ერთი შეხედვით ვერც კი შევიცანი. თითქოს ეს ქალი რაღაცამ შეცვალაო: ორმოცდახუთი წლის ასაკში თერთმეტ მშობიარობას, ორსულობის ათ წელიწადსა და ჩვილების გამოკვებაში გატარებულ ამდენივე წელს ითვლიდა. სრულიად უდროოდ გაჭაღარავებულიყო, სათვალიდან კი გაცილებით ფართო და განცვიფრებული თვალები უჩანდა. ეტყობოდა, დედას ჯერ კიდევ გლოვობდა, თუმცა ქორწინების სურათზე აღბეჭდილი რომაული სილამაზის კვალი ისევ შერჩენოდა. სანამ გადამეხვეოდა, ჩვეული მოკრძალებით მითხრა:

— მოვედი, რომ გთხოვო, სახლის გასაყიდად გამომყვე.

განმარტებაც კი ზედმეტი იყო, რამეთუ ამქვეყნად ჩვენთვის მხოლოდ ერთი სახლი არსებობდა: წინაპართა ძველი სახლი არაკატაკაში, სადაც ღვთის წყალობით დავბადებულვარ და რვა წლის ასაკამდე ვიზრდებოდი. ის-ის იყო ექვსი სემესტრის გასრულებისთანავე სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მივატოვე. გულმოდგინედ ვკითხულობდი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, და ესპანეთის ოქროს საუკუნის განუმეორებელ პოეზიასაც ზეპირად ვსწავლობდი. წაკითხული მქონდა ყველა იმ წიგნის თარგმანი, წერის ტექნიკის ასათვისებლად რომ ვითხოვე. გაზეთის „დამატებაში“ ექვსი მოთხრობაც გამოვაქვეყნე, რამაც ჩემი მეგობრების აღტაცება და ზოგიერთი კრიტიკოსის ყურადღებაც დაიმსახურა. მომდევნო თვეს ოცდასამი წელი მისრულდებოდა. სამხედრო სამსახურის კანონდამრღვევი და ორჯერ გონორეამოხდილი ვეტერანი, ყოველდღიურად

ბარბაროსული თამბაქოს სამოცდერს ვეწეოდი. მოცალეობისას დროს ბარანკილიასა და კარტახენა დე ინდიასში, კარიბის ზღვის სანაპიროზე ვატარებდი, თავს კი იმით ვირჩენდი, რასაც „ელ ერალდოში“ ყოველდღიური უწყებებისთვის მიხდიდნენ. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში იქ მეძინა, სადაც მიღამდებოდა.

უფრო სიმწირის, ვიდრე გემოვნების გამო, მოდას ოცი წლით გავუსწარი: ველური ულვაშები, გაწეწილი თმა, ჯინსები, ორაზროვანი ყვავილებით შემკული პერანგები და პილიგრიმის სანდლები. ერთხელ, ჩემმა მეგობარმა გოგონამ ჩაბნელებულ კინოდარბაზში ვერ შემნიშნა, როცა ვიღაცას ჩადაულაპარაკა: „საწყალი გაბიტო, მთლად წყალწაღებულია“. ასე რომ, დედაჩემის თხოვნას, სახლის გასაყიდად გავყოლოდი, დაუყოვნებლივ დავთანხმდი.

ყოველდღიურ „უწყებანში“ სამ პესოს მიხდიდნენ, ოთხს კი იმ მოწინავე სტატიაში, რომელიმე რედაქტორის არყოფნის შემთხვევაში დავწერდი. ეს თანხა ძლივს მყოფნიდა. ვცადე ფული მესესხა, მაგრამ გამგემ შემახსენა, რომ ჩემი ვალი რეალურად ორმოცდაათ პესოს აღემატებოდა. სწორედ იმავე საღამოს ბოროტმოქმედების ჩადენა განვიზრახე, რასაც, ალბათ, ვერცერთი ჩემი მეგობარი ვერ შესძლებდა. კაფე „კოლუმბიის“ გასასვლელში, წიგნების მაღაზიასთან, კატალონელ წიგნებით მოვაჭრეს, მოხუც მაესტრო დონ რამონ ვინიეს წამოვეწიე და ათი პესო ვთხოვე, თუმცა მას მხოლოდ ექვსი აღმოაჩნდა.

ვერც მე და, რა თქმა უნდა, ვერც დედაჩემი ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ის ორდღიანი, გულმოდგინე გასეირნება ისეთი გადამწყვეტი და ხანგრძლივი გამოდგებოდა ჩემთვის, დროც რომ არ მეყოფოდა მოსაყოლად. ახლა კი, სამოცდათხუთმეტს გადაცილებულმა, კარგად ვიცი, რომ ეს ჩემი სამწერლო მოღვაწეობის, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო.

მოზარდის მეხსიერება უფრო მეტ ინტერესს წარსულის კი არა, მომავლისადმი იჩენს. ასე რომ, იმხანად ჩემი სოფლის მოგონებანი ჯერ კიდევ არ იყვნენ ნოსტალგიით იდეალიზებულნი. მახსენდებოდა საცხოვრებლად ხელსაყრელი ადგილი კამკამა მდინარის პირას, რომელიც ისტორიამდელი კვერცხის მსგავს უზარმაზარ ქვიან კალაპოტში ჩაედინებოდა, ის ადგილი, სადაც ყველა ერთმანეთს სცნობდა. შებინდებისას, განსაკუთრებით დეკემბერში, როცა წვიმები გადაივლიდა და ჰაერიც გრილდებოდა, სანტა მარტას სიერა ნევადა თეთრი მწვერვალებით თითქოს, მოპირდაპირე მხარეს გაშენებულ ბანანის პლანტაციებს ერწყმოდა. მოჩანდნენ მთაგრეხილიდან მწყობრად მომავალი, ჯანჯაფილით[1] დატვირთული ინდიელი არუაკები[2], კოკაინის ღეჭვით

1. ჯანჯაფილი — მცენარე.
2. არუაკები — სამხრ. ამერიკაში ინდიელ ტომთა ლინგვისტური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი, რომელსაც ევროპელები დაპყრობის შემდეგ პირველად შეხვდნენ სამხრ. ამერიკაში. ამჟამად არუაკები ცხოვრობენ დასავ. ვენესუელაში, კოლუმბიასა და პერუს აღმ. ოლქებში. შეინარჩუნეს გვაროვნული წყობილება და ანიმისტური რელიგია.

ცხოვრების შემსუბუქებას რომ ლამობდნენ. მარადიული თოვლის დანახვისთანავე ბავშვებს გუნდაობის, სიცხისაგან გავარვარებულ ქუჩებში კი „ომობანას" თამაშის სურვილი გვამოძრავებდა. აუტანელი სიცხის გამო, განსაკუთრებით სიესტის დროს, უფროსები ჩივილს ისე მოჰყვებოდნენ, თითქოს ეს მათთვის ყოველდღიური სიურპრიზი იყო. ჩემი გაჩენის დღიდან მესმოდა, რასაც დაუღალავად იმეორებდნენ, რომ „იუნაითიდ ფრუთ კომპანის"[3] ბანაკები და რკინიგზაც ღამით აუშენებიათ, რადგან დღისით, მზეზე გავარვარებული ხელსაწყოების გამოყენება შეუძლებელი ყოფილა.

ბარანკილიადან არაკატაკაში მისაღწევად ერთადერთი გზა არსებობდა: კოლონიის პერიოდში ტყვეთა ხელით გაჭრილი საზღვაო არხი ჯერ მოტორიანი დაშლილი ნავით უნდა გადაგელახათ, შემდეგ მღვრიე, გამოცარიელებული და ვეებერთელა ჭაობნარის გზით „სიენაგას" მისტერიულ დასახლებამდე მიაღწევდით, საიდანაც ჩვეულებრივი მატარებელი, იმხანად ქვეყანაში საუკეთესოდ რომ ითვლებოდა, ბანანის უზარმაზარი პლანტაციების, მტვრით დაფარული სოფლების, განმარტოებული სადგურების ბაქნებზე ამაო გაჩერებების შემდეგ ფინალურ მგზავრობას ასრულებდა. სწორედ ამ გზას დავადექით მე და დედა 1950 წლის 18 თებერვლის, ბამათ სალამოს შვიდ საათზე. ჩვენი მგზავრობა კარნავალის წინადღეს, კოკისპირული წვიმის ფონზე წარიმართა. ჯიბეში სულ 32 პესო გვქონდა და, თუ სახლი წინასწარი გათვლით არ გაიყიდებოდა, ეს თანხა უკან დასაბრუნებლადაც არ გვეყოფოდა.

სამდინარო პორტში იმ ღამით ქარი ისე მძვინვარებდა, რომ დედა დიდი თხოვნის შემდეგ გემით მგზავრობაზე დამთანხმდა. ეს ნიუ-ორლეანის გემის იმიტაცია იყო, საწვავზე მომუშავე მოტორით, რომლის წყალობით ყველაფერი ციებცხელებიანივით ცახცახებდა. პატარა სალონში ჰამაკის ჩამოსაკიდებელ სხვადასხვა სიმაღლის საბრჯენებსა და ხის საზურგიან სკამებზე იდაყვდაყრდნობილი მგზავრები ცოცხალი ღორებით, ქათმის გალიებითა თუ ნავაჭრით დატვირთული ჩემოდნებიანად შეექუჩებულიყვნენ. დახუთულ კაიუტებში, როგორც ყაზარმებში, ორ-ორი საწოლი იდგა, სადაც ულირს მეძავებს თითქმის ყოველთვის შეეძლოთ „სასწრაფო დახმარების" აღმოჩენა. რაკი ცარიელი ადგილი ვერ ვიპოვეთ და არც ჰამაკები გვქონდა, მე და დედამ ცენტრალური დერეფნის ორი რკინის სკამი იერიშით ავიღეთ და ღამის გასათევად მათზე მოვკალათდით.

დედაჩემის შიში ამაო არ გამოდგა. ქარიშხლისაგან აღელვებული ზვირთები ჩვენს გემს ეხეთქებოდა. გადავცურეთ მდინარე მაგდალენაც, რომელიც ოკეანის ტემპერამენტით გამოირჩეოდა. იაფფასიანი სიგარეტი და თუთუნი პორტშივე მქონდა მოშარაგებული და მოწე-

3. „იუნაითიდ ფრუთ კომპანი" — ევროპისა და ამერიკის ბაზარზე ბანანი პირველად მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში გამოჩნდა. 1889 წელს კი „იუნაითიდ ფრუთ კომპანი" ჩამოყალიბდა, რომელმაც ცენტრალური ამერიკის უზარმაზარი ტერიტორიები ჩაიგდო ხელთ. კომპანიამ ეს მიწები მოგვიანებით ბანანის პლანტაციებად აქცია და სულ მალე ა.შ.შ.-ში ბანანის მწარმოებელ მონოპოლისტად იქცა.

ვასაც ჩვეული მანერით შევუდექი. უილიამ ფოლკნერის „აგვისტოს ნათელის“ ხელმეორედ გადაკითხვით გართული, სიგარეტს სიგარეტზე ვაბოლებდი. უილიამ ფოლკნერი იმხანად ჩემს მფარველ ყველაზე ერთგულ დემონად მიმაჩნდა. უეცრად დედა თავის კრიალოსანს ჩაებღაუჭა და ღმერთს საკუთარი თავისთვის არაფერი, სამაგიეროდ თერთმეტი მიუსაფრის ხანგრძლივი სიცოცხლე და იღბალი შესთხოვა. მისი ვედრება უფალმა ნამდვილად შეისმინა, რადგან არხში შესვლისთანავე წვიმამ იკლო, სიოც ხანდახან, მოსკიტების დასაფრთხობად თუ დაუბერავდა. დედამ კრიალოსანი შეინახა და დიდი ხნის მანძილზე მდუმარედ აკვირდებოდა ჩვენს ირგვლივ ატეხილ ცხოვრებისეულ ალიაქოთს.

მართალია, დედაჩემი მოკრძალებულ სახლში დაიბადა, სამაგიეროდ, ბანანის კომპანიის ეფემერული დიდების ფონზე გაიზარდა. მდიდარი გოგონას მსგავსად, სანტა მარტას ღვთისმშობლის სახელობის კოლეჯში შესანიშნავი განათლების მიღებაც მოასწრო. საშობაო არდადეგების დროს მეგობრებთან ერთად ფანჯრის რაფაზე ქარგავდა, საქველმოქმედო ბაზრობებზე კლავიკორდზე უკრავდა, ხოლო მდიდარ მამიდასთან ერთად, ადგილობრივი, ღვთისმოშიში არისტოკრატიის ყველაზე უმწიკვლო ცეკვებს ესწრებოდა. ამის მიუხედავად, მშობლების ნება-სურვილს მაინც წინაღუდგა, როცა სოფლის ტელეგრაფისტზე დაქორწინდა. თავიდანვე იუმორის გრძნობა და რკინის ჯანმრთელობა მოსდგამდა, რომელსაც ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე დაგებული მახეები ვერაფერს აკლებდა. გასაოცარი იყო, რომ ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული, შიშისმომგვრელი ძალის შენიღბვას როგორ ახერხებდა, სწორედ ამ თვისების დამსახურებით, სამზარეულოდან, მზის სისტემის მსგავსად, წვრილი ხმითა და თვალის დაუსამხამებლად მატრიარქატული ძალაუფლება დაამყარა, რომელიც ყველაზე შორეულ ნათესავზეც კი ვრცელდებოდა.

დედა ყოველგვარი აღელვების გარეშე, მოთმინებით იტანდა იმ ულმობელ მგზავრობას, და მე საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ შეძლო ასე სწრაფად სიღატაკის უსამართლობას დამორჩილებოდა. სხვა თუ არაფერი, იმ ავადმოსაგონარი ღამის გახსენებაც კმარა: სიცხლმოწყურებული მოსკიტები, სულის შემხუთავი და გულისამრევი სიცხე, უძილო მგზავრთა გაუთავებელი ბორიალი, საკუთარ ტყავში უცხოდ რომ გრძნობდნენ თავს და უფრო თბილი ადგილისათვის ჩხუბსაც არ თაკილობდნენ. დედაჩემი გაუნძრევლად იჯდა და იმ დაქირავებულ გოგონებს აკვირდებოდა, რომელნიც გვერდითა კაიუტებში კარნავალის წყალობით ხან მამაკაცის, ხანაც მადრიდელი ქალბატონის სამოსში გადაცმულნი, შემოსავალს იღებდნენ. ერთ-ერთი მათგანი სხვადასხვა კლიენტთან ერთად კაიუტაში უამრავჯერ შევიდა. თავდაპირველად მეგონა, რომ დედას ის არც კი შეუმჩნევია, მაგრამ მეოთხე თუ მეხუთე ჯერზე გამოსულს კორიდორის ბოლომდე სიბრალულით მიადევნა თვალი და:

— საბრალო გოგონებიო, — ამოიოხრა. — ის, რითაც თავი უნდა ირჩინონ, მუშაობაზე უარესია.

ეს ყველაფერი შუაღამემდე გაგრძელდა. კორიდორის მკრთალი სინათლისა და აუტანელი ჯანჯღარის გამო კითხვით დაღლილმა მოწევა გადავწყვიტე. გასულ წელს

უნივერსიტეტი უგუნური ილუზიის წყალობით მივატოვე, მეგონა ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ხარჯზე თავის რჩენას უსწავლელადაც შევძლებდი. ამასთანავე ბერნარდ შოუს ფრაზაც მამხნევებდა: „სკოლაში რომ წავსულიყავი, პატარაობიდანვე განათლების მილება შევწყვიტე". შეუძლებლად მიმაჩნდა ამ თემაზე დისკუსია მომეწყო, რადგან ისედაც ნათელი იყო, რომ ჩემი არგუმენტები მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე გასამართლებლად თუ გამომადგებოდა. მშობლები, რომლებმაც ამხელა იმედი დაამყარეს ჩემზე და ამდენი ფული დამახარჯეს, მსგავს სიგიჟეს ნამდვილად ვერ შეეგუებოდნენ. განსაკუთრებით მამაჩემი, რომელიც ყველაფერს მაპატიებდა, კედელზე ჩამოკიდებული დიპლომის გარდა, თვითონ ვერასდროს რომ ვერ მოიპოვა. ჩვენ ურთიერთობა გვქონდა გაწყვეტილი. თითქმის ერთი წლის შემდეგ მის მონახულებას ვაპირებდი, რათა ყველაფერი დამესაბუთებინა, ამ დროს დედაც გამოჩნდა და მთხოვა, სახლის გასაყიდად გავყოლოდი. შუაღამემდე დედა საქმეზე არც დამლაპარაკებია. მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის წყალობით შეძლო გულახდილად გამსაუბრებოდა, რითაც მგზავრობის ჭეშმარიტ მიზანსაც ნათელი მოჰფინა. ჩვენი დიალოგი ზომიერების ფარგლებში წარიმართა, რამაც ცხადყო, რომ დედას სათქმელი გამომგზავრებამდე დიდი ხნით ადრე, უძილობით დაღლილს, მარტოობაში მოუმწიფდა.

— მამაშენი ძალიან დალონებულია,-თქვა.

ამ სიტყვების გაგონებას ჯოჯოხეთს ვამჯობინებდი. დედას ყოველთვის ასე სჩვეოდა: საუბარს მაშინ იწყებდა, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდი, და თან ისეთი მშვიდი ხმით, რომ წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ამიტომაც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ვკითხე:

— ვითომ რატომ?

— სწავლა რომ მიატოვე.

— არ მივატოვე, მხოლოდ პროფესია შევიცვალე.

დისკუსიამ დედას განწყობა აუმაღლა.

— მამაშენი ამბობს, რომ ეს ერთი და იგივეა. აშკარად ვგრძნობდი, ცრუობდა და ამიტომაც ვუთხარი:

— მამაჩემმაც ხომ მიატოვა სწავლა, ვიოლინოზე რომ დაეკრა.

— ეს სულ სხვა რამ იყო, — მკვირცხლადვე შემეკამათა დედა. ვიოლინოზე მხოლოდ დღესასწაულებისა და სერენადების დროს უკრავდა. სწავლა კი იმიტომ მიატოვა, რომ პურის ფულიც არ ჰქონდა. ტელეგრაფიის შესასწავლად ერთი თვეც არ დასჭირვებია. იმხანად ეს ყველაზე ხელსაყრელი პროფესია იყო, განსაკუთრებით არაკატაკაში.

— მეც გაზეთებში სტატიების გამოქვეყნებით ვსულდგმულობ, — ვუპასუხე.

— ამას იმიტომ მეუბნები, საბოლოოდ რომ არ გამანადგურო, — თქვა მან. — თუმცა გასაჭირს კაცი შორიდანვე მიგიხვდება. წიგნების მაღაზიაში რომ დაგინახე, ვერ გიცანი.

— ვერც მე გიცანით, დედა.

— სულ სხვა მიზეზის გამო, — თქვა მან. მე კი გლახაკს მიგამსგავსე.

— ჩემს გაცვეთილ სანდლებს გადმოხედა და დასძინა: — წინდაც არ გაცვია.

— ასე გაცილებით მოსახერხებელია, — ვუთხარი. ორი პერანგი და

ორი საცვალი: თითო ჩასაცმელად და თითო გასაშრობად ჩამოკიდებული. მეტი რა საჭიროა?

— უფრო ღირსეულად მოქცევა გმართებს, — მითხრა მან და მაშინვე ტონი შეარბილა: — ყოველივე ეს შენდამი უსაზღვრო სიყვარულმა მათქმევინა.

— ვიცი, მაგრამ ერთი რამ ამიხსენით: ჩემს ადგილას თქვენ იგივეს არ გააკეთებდით?

— თუ ამით მშობლებს დავუპირისპირდებოდი, არ გავაკეთებდი, — მითხრა მან.

გამახსენდა, როგორ დაჟინებით ცდილობდა დედა ოჯახის წინააღმდეგობა დაეძლია, ტელეგრაფისტზე რომ დაქორწინებულიყო, და ღიმილით ვუთხარი:

— თვალი გამისწორეთ.

მან თვალი ამარიდა, რადგან კარგად იცოდა, რაზეც ვფიქრობდი.

— მხოლოდ მშობლების ლოცვა-კურთხევით დავქორწინდი; ნებით თუ დაჟინებით, ეს დალოცვა მაინც დავიმსახურე.

დედამ დიალოგი შეწყვიტა. არა იმიტომ, რომ ჩემმა არგუმენტებმა დაამარცხა, არამედ საპირფარეშოში გასვლა დასჭირდა. სანიტარულ პირობებს უნდობლობა გამოუცხადა და მე ბოცმანს გამოველაპარაკე, მაგრამ ამაოდ. მან უმალვე განმიმარტა, რომ თავადაც საერთო საპირფარეშოთი სარგებლობდა და საუბარი ჯოზეფ კონიადის სიტყვებით დაასრულა: „ზღვაში ყველანი თანასწორნი ვართ“. ასე რომ, დედაჩემი საერთო კანონს დამორჩილდა, უკან დაბრუნებული კი სიცილს ძლივს იკავებდა:

— წარმოიდგინე, რას იფიქრებს მამაშენი, დასნეულებული რომ დავბრუნდე?

შუაღამე გადავლილი იყო, როცა სამი საათით გავჩერდით. საზღვაო არხის წყალმცენარეებმა გემის პროპელერის მოძრაობა შეაფერხა, რის გამოც მანგროს[1] ტყით დაფარულ, ტროპიკულ სანაპიროზე განსაცდელში აღმოვჩნდით. უამრავმა მგზავრმა თავს გაქცევით უშველა. აუტანელი სიცხისა და მოსკიტების მიუხედავად, დედა დრო და დრო თვლემდა კიდეც. როდესაც გზა განვაგრძეთ და გრილმა სიომაც დაბერა, საბოლოოდ გამოფხიზლდა.

— ყოველ შემთხვევაში, — ამოიოხრა, — რაღაც ხომ უნდა ვუპასუხო მამაშენს.

— უმჯობესია, თუ არ შეწუხდებით, — გულუბრყვილოდვე ვუპასუხე. დეკემბერში ჩამოვალ და ყველაფერს ავუხსნი.

— იქამდე ათი თვეა, — თქვა მან.

— წელს უნივერსიტეტში მაინც აღარაფერი მოგვარდება, — ვუპასუხე.

— მპირდები, რომ მართლა ჩამოხვალ?

— გპირდები, — ვთქვი და პირველად შევნიშნე, დედაჩემის ხმას მღელვარება რომ დაეტყო.

— ესე იგი მამაშენს გადავცე, რომ ეთანხმები?

— არა, — გადაჭრით ვუპასუხე.

ცხადი იყო, დედა გამოსავალს ეძებდა, მაგრამ გასაქანი არ მივეცი.

---

[1] მანგროს ტყე — მარადმწვანე ტყე ტროპიკულ სანაპიროზე, რომელიც მხოლოდ ზღვის მოქცევისას იფარება წყლით. ძირითადად გავრცელებულია აფრიკის აღმ. სანაპიროზე, მადაგასკარზე, სამხ. აზიასა და ავსტრალიის სანაპიროებზე, გვხვდება აფრიკის ცენტრალურ და სამხრ. ამერიკის ატლანტის სანაპიროებზე.

— მაშინ უკეთესი იქნება, სრულ სიმართლეს თუ ვუამბობ, რასაც სიცრუესთან არანაირი კავშირი არ ექნება, — თქვა მან.

— კეთილი, — შვებით ვუპასუხე, — უამბეთ ყველაფერი.

საუბარი შევწყვიტეთ. ვიღაც იფიქრებდა, ყველაფერი დასრულდაო, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ეს პაუზა სულის მოსათქმელად იყო საჭირო. ცოტა ხანში დედას ღრმად ჩაეძინა. როდესაც სიომ მოსკიტები დააფრთხო და ჰაერი ყვავილების სურნელით გაიჟღინთა, იალქნიანი გემიც მწყობრში ჩადგა.

სიენაგა გრანდეს — ჩემი ბავშვობის მითიურ ადგილს მივადექით. ამ ადგილს გადაცურვა ბევრჯერ გვიხდებოდა, როცა ბაბუას, პოლკოვნიკ ნიკოლას მარკეს მეხიას, რომელსაც შვილიშვილები „პაპალელოს" ვეძახდით, არაკატაკადან ბარანკილიაში მშობლების მოსანახულებლად მივყავდი. „ჭაობნარს კი არ უნდა უფრთხოდე, პატივს უნდა სცემდე", — მითხრა ერთხელ ბაბუამ, როცა მას დაუოკებელ ოკეანეს ადარებდა და დინების მოულოდნელობით აღსავსე ხასიათზე მესაუბრებოდა.

იმ ღამით, საბედნიეროდ, ჭაობნარი ერთ წერტილში გაყინულიყო. ფანჯრიდან ჰაერი რომ ჩამესუნთქა, გემის ცხვირს მივუახლოვდი. თენდებოდა. თევზსაჭერი ნავების მოციმციმე შუქი წყლის ზედაპირზე მოტივტივე ვარსკვლავს მაგონებდა. იქვე, შორიახლოს უჩინარ მეთევზეთა საუბარიც ისმოდა. მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილს, სიერას კონტურული მონახაზის დაკვირვებით გართულს, ნოსტალგიის პირველმა ტალღამ გადამიარა.

იმდროინდელი გარიჟრაჟი გამახსენდა, სიენაგა გრანდეს გავლისას, „პაპალელომ" კაიუტაში ჩაძინებული რომ დამტოვა თავად კი ბუფეტში გავიდა. არ ვიცი, რომელი საათი იქნებოდა, როდესაც ხალხის აურზაურმა გამომაღვიძა. მაშინ ხუთი წლისაც არ ვიქნებოდი, ისეთ ადგილას საშინელმა შიშმა შეგვიპყრო. საბედნიეროდ, სულ მალე სიმშვიდემ დაისადგურა, მე კი უმალვე ყოველივე სიზმარს მივაწერე. შევეცდები ეს მოგონება დაწვრილებით აღვიდგინო: დილით „სიენაგას" ნავსადგურში გავჩერდი. წვერის გაპარსვით გართულ ბაბუას პერანგიც არ ეცვა, თუმცა მაისურზე ფართო, მწვანე ზოლიანი თასმები გადაეჭიმა. ვიღაც კაცს ესაუბრებოდა, რომლის ამოცნობაც, ერთი შეხედვით, ახლაც კი შემიძლია. პროფილში ყორანს ჰგავდა, მარჯვენა ხელს მეზღვაურის სვირინგი, კისერსა და მაჯას კი ოქროს ჯაჭვები და სამაჯურები უმშვენებდა. ის იყო ტანთ ჩავიცვი და საწოლზე ჩამომჯდარი ფეხსაცმელს ვიცვამდი, როცა ამ მამაკაცმა ბაბუას უთხრა:

— ეჭვი არ შეგეპაროთ, პოლკოვნიკო. თქვენი წყალში გადაგდება სურდათ.

ბაბუას ჩაეცინა. აზრადაც არ მოსვლია, წვერის გაპარსვა შეეწყვიტა და თავისი ჩვეული ქედმაღლობით უპასუხა:

— არ ულირდათ გაბედვა.

მაშინ კი მივხვდი, თუ რა მოხდა გასულ ღამეს. ვიღაცის იდეამ, ბაბუა წყალში გადაეგდოთ, ძალიან ამაღელვა.

ამ ბურუსით მოცული ეპიზოდის მოგონებამ კიდევ ერთხელ გამაოგნა იმ დღის გარიჟრაჟზე, როცა დედას სახლის გასაყიდად მივყვებოდი. სანამ დათოვლილი, მზის პირველი სხივებით გაცისკროვნებული სიერას მზერით ვტკბებო-

დი, საბოლოოდ ინათა და მეთევზეებით დასახლებული ქვიშის თავთხელიც გამოჩნდა: ძალზედ შთამბეჭდავი იყო სანაპიროზე გასაშრობად გამოკიდული ბადეების, იალქნისგან შეკოწიწებულ ფეხბურთის ბურთით გართული, ჭუჭყიანი, გაძვალტყავებული ბიჭების, უდროოდ გადაგდებული დინამიტისაგან დასახიჩრებული მეთევზეებისა და გემიდან გადაყრილი მონეტებისათვის წყალში მყვინთავი ბავშვების დანახვა.

შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც სიენაგას დასახლებამდე ოდნავ მოშორებით, გახრწნილ ჭაობს მივადექით. მუხლამდე ტალახით მოსვრილმა მტვირთავებმა ნავსადგურამდე წყალში ჭყაპა-ჭყუპით, ხელჩაკიდულებმა გადაგვიყვანეს. პორტში მაგიდას მივუსხედით. საუზმედ მწვანე ბანანის შემწვარ ნაჭრებს შევექცეოდით, როცა დედამ ისევ ომი გამომიცხადა და შეკითხვებით თავს დამესხა:

— ბოლოს და ბოლოს არ მეტყვი, რა გადავცე მამაშენს? ვცადე მოსაფიქრებლად დრო მომეგო და ამიტომაც ვკითხე:

— რას გულისხმობთ?

— ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, — თქვა წყრომით, — შენი განათლებაა.

უეცრად ბედმა გამიღიმა, როდესაც გაცხარებული დიალოგით დაინტერესებულმა ერთმა კადნიერმა მუქთახორამ ჩემი არგუმენტების მოსმენა განიზრახა. მე დედას დაუყოვნებელმა პასუხმა კი არ დამაშინა, არამედ მისმა ემოციურობამ გამაოცა.

— ესე იგი მწერლობა გადავწყვიტეთ, — თქვა მან.

— კარგი მწერალი კარგ გასამრჯელოს იღებს, — წამოიძახა მთელი სერიოზულობით მუქთახორამ. — განსაკუთრებით, თუ ის მთავრობასთან თანამშრომლობს.

არ ვიცი მახვილგონიერების წყალობით, თუ მოულოდნელად გამოჩენილი თანამოსაუბრის არგუმენტებით დამონებულმა დედამ თემა მარჯვედ შეცვალა. ისინი თანაუგრძნობდნენ, ეჭვის თვალით შეჰყურებდნენ ჩემს თაობას და ერთმანეთს სევდას უზიარებდნენ. ბოლოს, საერთო ნაცნობების ნუსხასაც გადახედეს და დაასკვნეს, რომ ჩვენ იგუარანებისა და კოტესების ორმხრივ ნათესავებად ვითვლებოდით. იმხანად, კარიბის ზღვის სანაპიროს ყოველი სამი დამხვდურიდან ორი მაინც იგივეს გვეუბნებოდა. დედა კი ამ ფაქტს ყოველთვის უჩვეულო მოვლენად აღიქვამდა.

ლეგენდარული წარმოშობის, მოძველებული და მსოფლიოში ალბათ უკვე უკანასკნელი ერთი ცხენის ძალის სიმძლავრიანი მანქანა „პობედით“ რკინიგზის სადგურამდე მივაღწიეთ. დედაჩემი გვარჯილით გადამწვარ, ხრიოკ დაბლობს გაჰყურებდა, რომელიც ჭანჭრობით იწყებოდა და ჰორიზონტს ერწყმოდა. პირადად ჩემთვის ეს ისტორიული ადგილი იყო: სამი თუ ოთხი წლის ასაკში ბაბუასთან ერთად ჩემი პირველი მოგზაურობისას ბარანკილიაში სწორედ ამ მცხუნვარე, უდაბური ადგილის გავლით მოვხვდი. მახსენდება, ჩვენს თვალწინ ფართოდ გადაჭიმული, დამხრჩვალი ქათმებით მოტივტივე, მწვანე ფერის წყლის ზედაპირი რომ გადაიშალა.

— ეს ზღვაა, — მითხრა ბაბუამ.

იმედგაცრუებულმა ვკითხე, მეორე ნაპირას რა ხდება-მეთქი. მან კი უყოყმანოდ მიპასუხა:

— მეორე მხარეს ნაპირი არა აქვს.

დღესდღეობით კი, ზღვის უთვალავჯერ ნახვის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ, რომ ეს ბაბუას ყველაზე გონივრული პასუხი იყო. ყოველი შემთხვევისათვის, არც ერთი ჩემი ურიცხვი წარმოსახვიდან არ შეესაბამებოდა ამ ჭუჭყიან, ბილწ, გაშლილ ზღვას, რომლის გვარჯილით, დამპალი მანგროს ხის ჩამოკაფული ტოტებითა და ნიუარის ნამსხვრევებით მოფენილ სანაპიროზე გავლა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ყველაფერი ამაზრზენად გამოიყურებოდა.

შესაძლოა, „სიენაგას“ ზღვაზე დედაც იგივეს ფიქრობდა. მხოლოდ მაშინ, როცა მანქანის მარცხენა მხრიდან ზღვის კვალი უეცრად გაუჩინარდა, ამოიოხრა და თქვა:

— არ არსებობს უფრო დაკლაკნილი ზღვა, როგორიც რიოაჩაშია!

მეც დრო ვიხელთე და დამხრჩვალი ქათმების მოგონება ვუამბე. სხვების მსგავსად, მან ეს ყველაფერი ბავშვობის ჰალუცინაციად აღიქვა. დედა გზაზე შემხვედრ ყოველ კუთხე-კუნჭულს ისეთი დაკვირვებით ათვალიერებდა, რომ სახის გამომეტყველებიდანვე ვხვდებოდი, რასაც ფიქრობდა. სარკინიგზო ხაზის მოპირდაპირე მხარეს „ბარიო დე ტოლერანსიას“ ჩავუარეთ, რომელიც, ერთის მხრივ, ფერადი ქოხების ჟანგმოკიდებული სახურავებით იწონებდა თავს, მეორე მხრივ კი, ფარდულზე დაკიდებული რგოლებიდან პარამარიბოს ბებრუხანა, პორტუგალურ ენაზე მოლაპარაკე თუთიყუშებით კლიენტებს იზიდავდა. ორთქლმავლების სარწყულებელ, უზარმაზარ რკინის სარდაფსაც გავცდით, რომელიც გადამფრენი ჩიტებისა და გზააბნეული თოლიების თავშესაფრად ქცეულიყო. ქალაქი ისეთი მიხვეულ-მოხვეული გზებით შემოვიარეთ, რომ არც კი შევსულვართ. სამაგიეროდ, კარგად დავინახეთ დაცარიელებული ფართო ქუჩები, ერთსართულიანი, ძველებური ყაიდის სახლები, რომლის ფანჯრებშიც გამთენიიდან პიანინოზე უწყვეტი დაკვრის ხმა ისმოდა. უეცრად დედამ თითით მიმანიშნა:

— შეხედე, — მითხრა. აი, სწორედ იქ არის სამყაროს დასასრული.

მე მის საჩვენებელ თითს თვალი გავაყოლე და სადგური დავინახე: ეს იყო გამოფიტული ხის შენობა თუთიის სახურავით, დაკიდებული აივნებითა და იმ პატარა, ხრიოკი მოედნით, ორას ადამიანს ძლივს რომ იტევდა. როგორც დედამ განმიმარტა, სწორედ აქ, ამ მოედანზე, 1928 წელს ჯარმა ბანანის პლანტაციების მუშათა დაუდგენელი რაოდენობა ამოჟლიტა. ბაბუასგან ეს ამბავი ათასჯერ მაინც მსმენია და მეხსიერებაში ისე ჩამებეჭდა, თითქოს მეც ამ მოვლენის მონაწილე ვიყავი: სამხედრო პირი იმ დადგენილებას კითხულობდა, რომლის მიხედვითაც გაფიცულ მუშათა რაზმი ბოროტმოქმედთა პარტიად გამოცხადდა. მცხუნვარე მზის ქვეშ მდგომ სამი ათას კაცს, ქალსა თუ ბავშვს, ოფიცრის ბრძანებით, ხუთ წუთში მოედანი უნდა გაეთავისუფლებინა. ამას მოჰყვა ცეცხლის გახსნის ბრძანება, ტყვიამფრქვევის ჯერის ხმა, პანიკისაგან დამფრთხალი ბრბო, რომელსაც საფანტი, გაუმაძღარი და გეგმაზომიერი მაკრატლის მსგავსად, მტკაველ-მტკაველ აცოტავებდა.

სიენაგას მატარებელი დილის ცხრა საათზე ჩამოდგებოდა ხოლმე, რომელსაც გემებიდან ან სიერადან

გადმოსული მგზავრები თხუთმეტ წუთში ბანანის პლანტაციების ზონაში გადაჰყავდა. რვა საათს გადაცილებული იყო, როცა მე და დედა სადგურს მივადექით. მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო, რომლის მგზავრებიც მხოლოდ ჩვენ გახლდით. დედამ ცარიელ ვაგონში ასვლისთანავე მხიარული ტონით წამოიძახა:

— რა ფუფუნებაა! მთელი მატარებელი ჩვენს განკარგულებაშია!

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დედაჩემის ეს მოჩვენებითი სიხარული უფრო იმედგაცრუების შენიღბვას ემსახურებოდა, რადგან ვაგონებს დროის მსახვრალი ხელი ერთი შეხედვითაც ეტყობოდა. უწინდელი მატარებლისაგან მხოლოდ მოჩვენებაღა დარჩენილიყო: მოძველებულ, მეორე კლასის ვაგონებში მინებისა და ტირიფის ხის სკამების ნაცვლად, ღატაკებისთვის განკუთვნილი ცხელი და ხის თხელძირიანი სკამები დაგხვდებოდათ; მესამე კლასის ვაგონი უფრო ხის ყუთს მაგონებდა, სადაც ბანანისა და მსხვერპლშეწირული პირუტყვის გვერდით, ღატაკნი გრძივ, უხეშ ხის სკამებზე მგზავრობდნენ. მეორე კლასის ვაგონს უწინ ტირიფის ხის სკამები და ბრინჯაოს ჩარჩოები ამშვენებდა. დერეფანში დაგებული ნოხებითა და წითელი ხავერდის სავარძლებით მოწყობილი პირველი კლასის ვაგონით კი, ძირითადად, მთავრობის წევრები და ბანანის კომპანიის მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ. თუ კომპანიის სუპერინტენდანტი, მისი ოჯახი ან საპატიო სტუმარი მგზავრობდა, მატარებელს უკან მდიდრულ ვაგონს ჩაუბამდნენ ხოლმე, რომელსაც მზისგან დამცავი, მოოქროვილ ჩარჩოიანი ფანჯრები და ჩაის მისართმევი ღია ვერანდა ჰქონდა. თუმცა დღემდე ერთი მოგზაურიც კი არ მინახავს, ასეთი საფლესასწაულო კარეტის წარმოსახვა რომ შესძლებოდა. ბაბუაჩემს ალკალდის თანამდებობა ორჯერ ეკავა, გარდა ამისა, არც უსახსრობას უჩიოდა, თუმცა მეორე კლასის ვაგონით მხოლოდ მაშინ სარგებლობდა, როცა ოჯახის წევრი ქალი ახლდა. შეკითხვას, რატომ მგზავრობდა მესამე კლასით, პასუხობდა: „იმიტომ რომ არ არსებობს მეოთხე კლასის ვაგონი“. თუმცა იმხანად ყველაზე დასამახსოვრებელი, ალბათ, მატარებლის პუნქტუალურობა იყო. სოფლის საათებს ხომ სასტვენის ხმაზე ასწორებდნენ.

იმ დღეს, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მატარებელი საათნახევრის დაგვიანებით ზანტად, ჭრიალით დაიძრა. დედამ პირჯვარი გადაისახა, მაგრამ მალევე რეალობას დაუბრუნდა და თქვა:

— ამ მატარებლის რესორები დასაზეთია.

ვაგონში ჩვენ გარდა არავინ იყო, შესაძლოა მთელს მატარებელშიც კი, ამიტომაც ჩემს ინტერესს არც არაფერი იწვევდა. უილიამ ფოლკნერის „აგვისტოს ნათელის“ კითხვამ ისევ გამიტაცა, თან დაუღალავად ვეწეოდი და გზადაგზა ზოგიერთი ადგილის გასახსენებლად თვალიც გამირბოდა. მატარებელმა გაბმული საყვირის თანხლებით სიერას დაბლობები გადაიარა და მთელი სისწრაფით ალისფრად მოელვარე კლდეებს შორის მოექცა, სადაც ვაგონების გრუხუნის ხმა უფრო აუტანელი გახდა. სულ რაღაც თხუთმეტ წუთში სვლა შეანელა და მშვიდი ქშინვით პლანტაციების მკრთალი ჩრდილის სიგრილეს შეერწყა. ზღვიდან მონაბერი სიო

აღარ იგრძნობოდა და დროც გაირინდა. მართალია, ბანანის პლანტაციების ჰერმეტულ სამეფოში შევაღწიეთ, მაგრამ კითხვა მაინც არ შემიწყვეტია.

აქაური სამყარო მართლაც შეცვლილიყო. სარკინიგზო ხაზების გასწვრივ ხეივნები უსასრულოდ გადაჭიმულიყო. იქვე ურემში შებმული, მკვახე მტევნებით დატვირთული ხარებიც მოჩანდნენ. უნათესო მიწებზე წითელი აგურით ნაშენი ბანაკები და ჭერზე ვენტილატორდაკიდებული ოფისები წამოუჭიმავთ, ყაყაჩოებით მოფენილ მინდორს კი განმარტოებით მდგარი საავადმყოფო ამშვენებდა. აქ ყოველ სოფელს თავისი მდინარე ჩამოუდიოდა. კივილით მიმავალი მატარებლის ხმის გაგონებაზე ყოველი მდინარის ხიდზე ყინულივით ცივ წყალში მობანავე გოგონები საბალოსავით[1] ამოხტებოდნენ ხოლმე, თავიანთი დიდებული ძუძუებით მგზავრებისათვის გული რომ მოეკლათ.

რიოფრიოს დასახლებიდან მატარებელში არუაკების რამდენიმე ოჯახი ამოვიდა. სიერას ყველაზე გემრიელი ავოკადოს პირთამდე სავსე ზურგჩანთები მხარზე მოეგდოთ. თავდაპირველად ვაგონი სულ ხტუნვა-ხტუნვით შემოირბინეს, თითქოს დასაჯდომად ხელსაყრელ ადგილებს ეძებდნენ. როდესაც მატარებელმა გზა განაგრძო, ორი თეთრკანიანი ქალბატონი ჩვილი ბავშვით და ახალგაზრდა მღვდელი დარჩნენ. მთელი გზის მანძილზე ბავშვი გამუდმებით ტიროდა. მღვდელს ჩექმები, მკვლევარის მუზარადი და უხეში ტილოს ოთხკუთხედებად შემოკერებული ანაფორა მიჰქონდა. ჩვილის ტირილს მისთვის ხელი არ შეუშლია და ისე საუბრობდა თითქოს ამბიონზე დგასო. მისი ქადაგების ძირითადი თემა ბანანის კომპანიის დაბრუნების შესაძლებლობას ეხებოდა, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი [illegible] პლანტაციების ზონაში სალაპარაკოდ სხვა თემა აღარ არსებობდა. შესაბამისად, აზრიც ორ ნაწილად გაიყო: ერთნი, ვისაც უნდოდა და მეორენი, ვისაც არ უნდოდა კომპანიის დაბრუნება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ორივე მხარე ამ შესაძლებლობას იმედის თვალით შეჰყურებდა. მღვდელი მოწინააღმდეგეთა ბანაკს განეკუთვნებოდა, ხოლო საკუთარი პოზიცია ისეთი სუბიექტური არგუმენტით გამოხატა, რომ ქალებს უაზროდაც კი მოეჩვენათ:

— სადაც კი კომპანია შეაღწევს, ყველაფერი გაჩანაგდება.

თუ მისი საუბრიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ეს ერთადერთი ორიგინალური ფრაზა იყო. მღვდელს მეტი აღარაფერი განუმარტავს, ამიტომაც ბავშვიანმა ქალმა ის უმალვე შეარცხვინა და დაუდასტურა, რომ მისი არგუმენტები უფლის ნებასაც კი ეწინააღმდეგებოდა.

ნოსტალგიამ, ბუნებრივია, ავბედით მოგონებათა კვალიც გააქრო, ტკბილი მოგონებანი კი — განადიდა. მიყენებულ ზარალს ვერავინ გადაურჩა. ვაგონის ფანჯრიდან მამაკაცები მოჩანდნენ. ისინი საკუთარი ჯიშკრის წინ ისხდნენ და ერთი შეხედვითაც ეტყობოდათ, რასაც ელოდნენ. გვარჯილით განოყიერებულ პლაქებზე გამოსული მრეცხავებიც მიმავალ მატარებელს იმედის თვალით გასცქეროდნენ. აქ საქმიანი პორტფელით ჩამოსული ყოველი მამაკაცი ხომ „იუნაითიდ ფრუთ კომპანის" წა-

[1] საბალო — კარიბის ზღვის თევზი.

რმომადგენლად მიაჩნდათ, ის ვისაც მათთვის წარსულის დაბრუნება შეეძლო. ყოველ წერილობით ტექსტში, ვიზიტისა თუ შეხვედრის დროს, ადრე თუ გვიან, ეს საკრალური ფრაზა მაინც გაიელვებდა ხოლმე: „ამბობენ, რომ კომპანია დაბრუნდება". არავინ იცოდა, ეს სიტყვები ვინ, როდის ან რატომ წარმოთქვა, თუმცა ამ ფრაზის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეჰქონდა.

დედაჩემს თავი ყოველთვის უშიშრად მოჰქონდა. მშობლების გარდაცვალებისთანავე არაკატაკასთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა. თუმცა მისი გამოტეხვა მხოლოდ სიზმრებს შეეძლოთ. ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, საუზმობისას ხანდახან სიზმრის გამხელას მოისურვებდა ხოლმე, რომელიც უთუოდ ბანანის ციებ-ცხელების ნოსტალგიით იყო გაჯერებული. თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი დედამ სახლის გაყიდვაზე ფიქრს შეალია, იმ ილუზიას, რომ კომპანიის დაბრუნების შემთხვევაში, ის ოთხჯერ მეტ სარგებელს მოუტანდა. საბოლოოდ კი ამ მიზანმა რეალობის აუტანელ ზეწოლას ველარ გაუძლო. როცა მატარებელში მღვდელმა კომპანიის დაბრუნების ჭეშმარიტებას ხელმეორედ გვაზიარა, დედა დანაღვლიანდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— საწყალია, მოსაცდელად ცოტაოდენი დროც კი არ გვრჩება, სახლი უფრო ძვირად რომ გაგვეყიდა.

სანამ მღვდელი საუბრით იყო გართული, ხალხმრავალ მოედანსაც გავცდით, სადაც ორკესტრი მომქანცველი მზის ქვეშ მწუხრის მელოდიას ასრულებდა. ჩემთვის ყველა სოფელი ერთნაირი იყო. როცა „პაპალელოს", დონ ანტონიო დაკონტის ახლად გამომცხვარ კინო „ოლიმპიაში" დავყავდი, ვამჩნევდი ხოლმე, რომ ვესტერნებში ასახული სადგურები ჩვენი მატარებლისას ძალიან ჰგავდა. უფრო მოგვიანებით კი, როცა უილიამ ფოლკნერის კითხვა დავიწყე, მის რომანებში აღწერილი სოფლებიც ჰქაურთან გავაიგივე. გასაკვირი არც იყო, ისინი ხომ „იუნაითიდ ფრუთ კომპანის" მსგავსად, მესიანური შთაგონებით, დროებითი, სახელდახელოდ აღმართული ¡ბანაკების სტილში იყო გადაწყვეტილი. უკლებლივ ყველა სოფელი მახსოვს: მოედანზე მდგარი ეკლესიითა და ჯადოსნური ზღაპრებიდან გაცოცხლებული, პრიმიტიული საღებავებით შეღებილი ქოხმახებით; მახსენდება შებინდებისას მომღერალ შავ მუშათა ბრიგადა; საკარმიდამო ფარდულების ქვეშ სატვირთო მატარებლის მომლოდინე გუშაგები; უქმეებზე ხმაურიანი დროსტარებით მოქანცული ტყის მჭრელები; მახსენდება არაკატაკასა და სევილიაში რკინიგზის მოპირდაპირე მხარეს გაშენებული გრინგოების[1] კერძო ქალაქები: ელექტროფიცირებული საქათმის მსგავსად, უზარმაზარი მავთულხართით გარშემორტყმულნი, მზისგან მეტისმეტად შებრაწული მერცხლების წყალობით შავად რომ ანათებდნენ; მახსენდება მათი უსიცოცხლო, ფარშევანგებითა და მწყერებით სავსე ცისფერი მდელოები, მავთულხლართით შემოღობილი ფანჯრები და წითლად გადახურული რეზი-

[1] გრინგო — ესპ. მექსიკაში: უპატივცემულობის გამომხატველი მეტსახელი უცხოელისა (უპირატესად ა.შ.შ. წარმომადგენლისა), რომელიც არ ლაპარაკობს ესპანურად.

დენციები, ტერასებზე, დამტვერილ პალმებსა და ვარდის ბუჩქებს შორის სასადილოდ ჩადგმული მრგვალი მაგიდები; ხანდახან, მავთულხლართის მიღმა, გაზის თავსაბურავსა და მუსლინის სამოსში გამოწყობილი ქალბატონებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, საკუთარ ბაღებში ყვავილებს ოქროს მაკრატლით რომ კრეფდნენ.

ბავშვობიდანვე მიჭირდა ერთი სოფლის მეორისაგან განსხვავება. არც ოცი წლის შემდეგ მიადვილდებოდა, რამეთუ არც ერთი სადგურის აბრას აღარ ამშვენებდა ეს იდილიური სახელები — ტუკურინკა, გუამაჩიტო, ნეერლანდია, გუაკამაია. ისინი ხომ მხოლოდ ჩვენს მეხსიერებას შემორჩნენ. მატარებელი სევილიაში დაახლოებით დღის თორმეტის ნახევარზე ჩამოდგა. მას ორთქლმავლის გამოცვლა და წყლით მომარაგება ესაჭიროებოდა. სიცხეც სწორედ აქ ვიგრძენით. მატარებელი მალევე დაიძრა. ახალი ორთქლმავალი ყოველ ბრუნზე ნახშირის მტვრით გვაჯილდოვებდა, რომელიც შეუმინავი ფანჯრიდან ადვილად აღწევდა და შავი თოვლივით გვეფინებოდა. მღვდელი და ქალები რომელიღაც გაჩერებაზე ისე ჩავიდნენ, ვერც კი შევამჩნიეთ. იმ ფაქტმა, რომ მე და დედა ისევ მარტონი ვმგზავრობდით ამ ეულ მატარებელში, განწყობა უფრო მეტად დამიმძიმა. დედა ჩემს წინ იჯდა და ფანჯარაში მომზირალს ორ-სამჯერ ჩასთვლიმა კიდეც. თუმცა სწრაფადვე გამოცოცხლდა და კიდევ ერთხელ, შიშისმომგვრელი შეკითხვა მტყორცნა:

— მაშ, რა ვუთხრა მამაშენს?

ასეც ვფიქრობდი, რომ დედა არასდროს დათმობდა და ჩემი გადაწყვეტილების საბოლოო დასამარებისთვის სუსტ წერტილს ეძებდა. ცოტა ხნით ადრე კომპრომისისკენაც მომიწოდა, მე კი დაუსაბუთებლად უარი განვუცხადე. ვიცოდი, დიდი ხნით უკან რომ არ დაიხევდა. ახალი გამოცდა მომიწყო, მე კი ამაო ბრძოლისთვის განწყობილმა, უწინდელისგან განსხვავებით, მშვიდად ვუპასუხე:

— გადაეცით, ერთადერთი, რასაც ცხოვრებაში ვესწრაფვი — მწერლობაა და მივაღწევ კიდეც.

— ვინც არ უნდა გამოხვიდე, თუ აკადემიურ ხარისხს მოიპოვებ, არასდროს შეგეწინააღმდეგება.

დედა ისე მელაპარაკებოდა, არც კი მიყურებდა, თითქოს ჩვენს დიალოგზე მეტად ფანჯრიდან დანახულმა ცხოვრებისეულმა დინებამ გაიტაცაო.

— არ ვიცი, ასეთ შეუპოვრობას რატომ იჩენთ; ხომ იცით, არაფერს დავთმობ, — ვუთხარი მას.

მყისვე თვალებში ჩამხედა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა მკითხა:

— რატომ გგონია, რომ ვიცი?

— იმიტომ რომ, მე და თქვენ ერთნაირები ვართ, — ვუთხარი.

მატარებელი უკაცრიელ სადგურზე გაჩერდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ბანანის პლანტაციის იმ ერთადერთ სამფლობელოს ჩაუარა, რომლის აბრაზეც შემდეგი სახელი იკითხებოდა: „მაკონდო". ამ სიტყვამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ ბაბუასთან ერთად პირველი მოგზაურობისას მიიქცია, მაგრამ მხოლოდ მოზრდილმა აღმოვაჩინე, რომ მე ამ სიტყვის პოეტური ელერადობა მომწონდა. შემთხვევით ენციკლოპედიაში ამოვიკითხე, რომ მაკონდო სეიბას[1] მსგავსი ტროპიკუ-

[1] სეიბა — მსხვილტანიანი ტროპიკული ხე.

ლი ხეა, რომელიც არც ყვავილს იძლევა და არც ნაყოფს, სამაგიეროდ მის პოროვან მერქანს თურმე კარჭაპებისა და ჭურჭლეულობის დასამზადებლად იყენებდნენ. უფრო მოგვიანებით, ბრიტანულ ენციკლოპედიაში აღმოვაჩინე, რომ ტანგანიიკაში მაკონდოელებისაგან წარმომდგარი ეთნიკური ჯგუფი არსებულა და მეც სიტყვის წარმოშობა ამ ფაქტს დავუკავშირე. თუმცა ეს ხე არასდროს მინახავს. ბანანის პლანტაციების ზონაში ბევრჯერ ვიკითხე და პასუხი ვერავისგან მივიღე. შეიძლება ის არც არასდროს არსებულა.

მატარებელმა მაკონდოს სამფლობელოს თერთმეტ საათზე ჩაუქროლა, ათ წუთში კი არაკატაკაში უნდა გაჩერებულიყო. ის დღეც, როცა მე და დედა სახლის გასაყიდად მივდიოდით, საათნახევრით გვიან მიილია. მე საპირფარეშოში გახლდით, როცა მატარებელმა სიჩქარეს უმატა. ჩატეხილი ფანჯრიდან მონაბერი პირქუში და მწველი ქარი მოძველებული ვაგონების გრუხუნისა და ორთქლმავლის დაფეთებული სასტვენის ხმას შეერწყა. გული ისე მიცემდა, კინაღამ გონება დავკარგე, გულისრევის შეგრძნებამ კი — შიგნეულობა გამიყინა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მიწა იძრაო და საპირფარეშოდან მთელი სისწრაფით გამოვვარდი. დედა აუღელვებლად იჯდა და ხმამაღლა იმ ადგილებს თვლიდა, ფანჯრიდან წუთისოფლის მსგავსად, წამიერად რომ უჩინარდებოდნენ.

— ეს ის ნაკვეთებია, მამაშენს ოქროს ფასად რომ მიჰყიდეს, — თქვა დედამ.

მატარებელმა ელვის სისწრაფით ჩაუქროლა იმ უცხოელი მასწავლებლების სახლს, რომელსაც ერთი მხრივ, აყვავებული ბაღი, მეორე მხრივ კი ჭიშკარზე გაკრული ინგლისურენოვანი აბრა ამშვენებდა: „*The sun shines for all*“.[1]

— ეს იყო პირველი აბრაზა, ინგლისურ ენაზე [illegible] — მითხრა დედამ.

— პირველი არა, ერთადერთი, — ვუპასუხე.

ბეტონის ხიდი და ის მღვრიე სარწყავი არხიც გავიარეთ, თავის დროზე გრინგოებმა პლანტაციების მოსარწყავად რომ გაიყვანეს.

— ეს კი სიცოცხლით სავსე ქალების უბანია, სადაც მამაკაცები სანთლების ნაცვლად აგიზგიზებულ ქაღალდის დასტით ხელში კუმბიამბას ცეკვავდნენ და განთიადს ასე ეგებებოდნენ, — თქვა დედამ.

თვალის დახამხამებაზე თებერვლის იმ კაშკაშა კვირა დღეს მატარებლის ფანჯარაში სოფლის სრული სურათი აირეკლა: მზისგან გადამწვარი ნუშის ხეები, ხის ვარცლები სკამების ნაცვლად და სოფლის იმ პატარა სკოლის ბაღი, სადაც წერა-კითხვა შევისწავლე.

— სადგური! — წამოიძახა დედამ. რამ შეცვალა ასე ეს ქვეყანა, მატარებელს არავინ რომ არ ელოდება.

ორთქლმავალმა სტვენა შეწყვიტა, სვლა შეანელა და ბოლოს, ხანგრძლივი ქოთქოთის შემდეგ, გაჩერდა კიდეც. პირველი, რამაც ამაღელვა, მდუმარება იყო. ის ყოფითი მდუმარება, მსოფლიოს დუმილთა ფონზე თვალებახვეულს რომ ჰგავდა. გავარვარებული მზის ათინათი იმდენად გაძლიერდა, რომ

[1] „The sun shines for all“ — ინგ. „მზე ყველასთვის ერთნაირად ანათებს“.

ყველაფერმა ირგვლივ გამდნარი მინის ფორმა მიიღო. სიცოცხლის ნიშანწყალიც კი არსად იგრძნობოდა. ყველაფერს მზეზე მოციმციმე მტვრის თხელი ფენა ფარავდა. მიყრუებული ქუჩებისა და დასამარებული სოფლის მზერით შეძრწუნებული დედა რამდენიმე წუთით გაუნძრევლად იჯდა, ბოლოს კი, თავზარდაცემულმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო!

ეს ერთადერთი ფრაზა იყო, მატარებლიდან ჩასვლამდე რომ წარმოსთქვა.

სანამ მატარებელი უძრავად იდგა, ვგრძნობდი მთლად მარტონი არ ვიყავით. მალევე გულგამგირავი საყვირის ხმა გაისმა და მატარებელიც დაიძრა. მწველი მზისგან დაუცველებს თითქოს მთელი სოფლის მწუხარებაც თავს დაგვატყდაო. თუმცა ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. თუთიის სასურავითა და დაკიდებული ანტენებით თავმომწონედ მდგარმა ხის ძველმა სადგურმა ვესტერნებში ნანახი ტროპიკული ვერსია გამახსენა. მიტოვებულ სადგურსაც გავცდით, რომლის მოძველებული ფილებიც ამოსულ ბალახს დაეხეთქა და სიესტის ხვატში ჩანთქმულნი ყოველ წუთს ნუშის ხეების ჩრდილქვეშ შეფასებას ვლამობდით.

2002 წ.

ლევ ტოლსტოი

თარგმნა ანზორ სახვაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მაინც, რა ვაკეთოთ!

ეკითხებოდა მას ხალხი, მაშ რაღა ვქნათო? პასუხად ეტყოდა მათ: „ვისაც ორი მოსასხამი აქვს, მისცეს უქონელს. ვისაც საზრდო აქვს, ისიც ასე მოიქცეს" (ლუკა III, 10, 11).

ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.

დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ.

ვინაიდან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იწყება.

სხეულის სანთელი თვალია; ჰოდა, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება.

ხოლო თუ შენი თვალი ბოროტია, მთელი შენი სხეულიც ბნელი იქნება. ამრიგად, თუკი ნათელი, რომელიც შენშია, სიბნელეა, სიბნელე რამდენად დიდი იქნება?

არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონისაც.

ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ჭამოთ ან რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისათვის, თუ რითი შეიმოსოთ. განა სული საზრდოზე მეტი არ არის და სხეული — სამოსელზე?

ამრიგად, ნუ ზრუნავთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ? ან: რა ვსვათ? ან: რითი შევიმოსოთ?

ვინაიდან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ; ვინაიდან თქვენმა ზეციურმა მამამ იცის, რომ თქვენ გჭირდებათ ყოველივე ეს.

თქვენ კი უწინარეს ეძიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ.

ამრიგად, ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი (მათე VI, 19-25, 31-34).

კიდევ გეუბნებით თქვენ: უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში (მათე XIX, 24; ლუკა XVIII, 25; მარკოზი X, 25).

I.

მე მთელი ცხოვრება ქალაქში არ მიცხოვრია. როცა 1881 წელს საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი, ქალაქურმა სიღარიბემ გამაკვირვა. მე ვიცნობ სოფლურ სიღარიბეს; მაგრამ ქალაქისა ჩემთვის ახალი და გაუგებარი იყო. მოსკოვში არ შეიძლება ქუჩაში ისე გაიარო, რომ ღარიბებს არ შეხვდე, თანაც განსაკუთრებულ ღარიბებს, რომლებიც

სოფლელებს არ გვანან. ეს ღარიბები — არ არიან გუდიანი და ქრისტეს სახელით მოწყალების მთხოვნელი მათხოვრები, როგორც თავის თავს უწოდებენ ხოლმე სოფლის ღარიბები, არამედ ესენი არიან გუდისა და ქრისტეს სახელის გარეშე მოწყალების მთხოველი მათხოვრები. მოსკოველი ღარიბები გუდას არ ატარებენ და მოწყალებას არ ითხოვენ, ისინი, უმეტესწილად, როცა გვხვდებიან ან გვერდზე ჩაგვივლიან [illegible] ლოდ თქვენთან თვალებით შეხვედრას ცდილობენ. და თქვენ [illegible] დვიდან გამომდინარე, ისინი ან გთხოვენ ან არა. მე ვიცნობ აზნაურული წარმომავლობის ერთ ასეთ ღარიბს. მოხუცი ნელა დადის და თითოეულ ფეხზე იხრება. როცა ის გხვდებათ, ერთ ფეხზე იხრება და თითქოსდა თავს გიკრავთ. თუკი თქვენ ჩერდებით, ის კოკარდიან ქუდზე ხელს იკიდებს, თავს გიკრავთ და გთხოვთ; თუ თქვენ არ ჩერდებით, ის ცდილობს ისეთი სახე მიიღოს, თითქოს მხოლოდ მან იცის ასეთი სიარული, ისევ აგრძელებს გზას და მეორე ფეხზე იხრება. ეს ნამდვილი მოსკოველი ნასწავლი ღატაკია. თავიდან არ ვიცოდი, მოსკოველი მათხოვრები პირდაპირ რატომ არ ითხოვენ, მაგრამ შემდეგ გავიგე, თუ რატომ არ ითხოვენ ისინი, მაგრამ ვერ გავიგე მათი მდგომარეობა.

ერთხელ აფანასევის შესახვევში გავლისას დავინახე, რომ ქალაქის პოლიციელი ეტლზე სვამდა წყლულებისაგან გასიებულ და დაძონძილ კაცს. მე ვკითხე:

— რისთვის?

— ქალაქის პოლიციელმა მიპასუხა:

— მოწყალების თხოვნისათვის.

— ნუთუ ეს აკრძალულია?

— როგორც ხედავთ, აკრძალულია, — მიპასუხა პოლიციელმა.

წყლულიანი ავადმყოფი ეტლით წაიყვანეს. მე მეორე ეტლი გავაჩერე და მათ გავყევი. მინდოდა გამეგო, მართლა აკრძალულია თუ არა მოწყალების თხოვნა და როგორ არის ეს აკრძალული. მე არ შემეძლო გაგება, როგორ შეიძლება აუკრძალო ერთ ადამიანს რაიმე სთხოვოს მეორეს, გარდა ამისა, არ მჯერა, რომ აკრძალული იყო მოწყალების თხოვნა, მაშინ როცა მოსკოვი სავსეა ღატაკებით.

შევედი იმ განყოფილებაში, სადაც ღარიბი მიიყვანეს. განყოფილებაში მაგიდასთან ხმლიანი და პისტოლეტიანი კაცი იჯდა. ვკითხე:

— რისთვის დაიჭირეთ ეს კაცი?

ხმლიანმა და პისტოლეტიანმა კაცმა მკაცრად შემომხედა და თქვა:

— რა თქვენი საქმეა? — მაგრამ გრძნობდა ჩემთვის რაიმეს განმარტების აუცილებლობას, დასძინა: — უფროსობა გვავალებს, რომ ასეთები დავიჭიროთ; მაშასადამე, საჭიროა.

მე წამოვედი. პოლიციელი, რომელმაც მათხოვარი მოიყვანა, წიგნაკში ფანჯრის რაფაზე იჯდა, და რომელიღაც უბის წიგნაკში უხალისოდ იყურებოდა. მე მას შევეკითხე

— მართალია, რომ ღარიბებს ქრისტეს სახელით მათხოვრობას უკრძალავენ?

პოლიციელი გამოფხიზლდა, შემომხედა, შემდეგ კი არა თუ დაიბღვირა, თითქოს ხელახლა დაიძინაო და ფანჯრის რაფაზე დაჯდომისას თქვა:

— უფროსობა გვავალებს — მაშასადამე, საჭიროა, და კვლავ თავის უბის წიგნაკს მიუბრუნდა.

მე პარმალიდან გამოვედი და მეეტლესთან მივედი.

— მაშ, აიყვანეს? — შემეკითხა მეეტლე. ამ საქმემ, როგორც ჩანს, მეეტლეც დააინტერესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აიყვანეს, — ვუპასუხე მე.

მეეტლემ თავი გადააქნია.

— როგორ, თქვენთან, მოსკოვში, ქრისტეს სახელით მათხოვრობა აკრძალულია თუ რა? — შევეკითხე მე.

— ვინ იცის? — თქვა მეეტლემ.

— როგორ, — ვთქვი მე, ღატაკი ქრისტიანია, ის კი განყოფილებაში მიჰყავთ?

— ეს ახლა უკვე მიატოვეს, აღარ ავალებენ, — თქვა მეეტლემ.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ვნახე, პოლიციელებს როგორ მიჰყავდათ ღარიბები განყოფილებაში და იქიდან იუსუპოვის მუშათა სახლში.[1]

ერთხელ ასეთი ღარიბების ბრბოს მიასნიკოვის ქუჩაზე შევხვდი, დაახლოებით ორმოცდაათ კაცს. წინ და უკან პოლიციელები მიჰყვებოდნენ. შევეკითხე:

— რისთვის?

— მოწყალების თხოვნისათვის.

გამოდიოდა, რომ კანონით მოსკოვში მოწყალების თხოვნა აკრძალული აქვს ყველა ღატაკს, რომლებიც მოსკოვში თითოეულ ქუჩაზე რამდენიმე გვხვდება და რომელთა მწკრივებიც დგას ხოლმე ყოველ ეკლესიასთან წირვის, განსაკუთრებით კი გასვენების დროს.

მაგრამ რატომ არის, რომ ზოგიერთს იჭერენ და სადღაც ამწყვრევენ, ხოლო სხვებს ტოვებენ? მე ამის გაგება მაინც ვერ შევძელი. ან მათ შორის არიან კანონიერი და უკანონო ღარიბები, ან ისინი ისე ბევრია, რომ შეუძლებელია ყველას დაჭერა, ან ზოგიერთებს იჭერენ, ხოლო სხვები კვლავ გროვდებიან?

ღარიბები მოსკოვში ბევრია, ყველანაირი: არიან ისეთები, რომლებიც ამით ცხოვრობენ; არიან ნამდვილი მათხოვრებიც, ისეთები, რომლებიც რატომღაც მოხვდნენ მოსკოვში და ზუსტად გაჭირვებაში.

ამ ღარიბებს შორის ხშირად გვხვდებიან გლეხურ ტანსაცმელში გამოწყობილი უბრალო გლეხები და დედაკაცები. მე ხშირად შევხვედრივარ ასეთებს. ზოგიერთი მათგანი აქ დაავადმყოფდა, საავადმყოფოდან გამოვიდა და არც თავის რჩენა შეუძლია, არც მოსკოვიდან წასვლა. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი ლოთობდა კიდეც (ალბათ ასეთი იყო ის დაწყლულებული ავადმყოფიც). ზოგიერთი არ იყო ავადმყოფი, მაგრამ იყო სახლ-კარ დამწვარი, ან მოხუცი, ან ბავშვებიანი

---

[1] **რუსეთში „მუშათა" სახლები წარმოიშვა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და იარსება ოქტომბრის რევოლუციამდე. წარმოადგენდა იძულებითი შრომის ადგილს ღატაკებისა და უსახლკაროებისათვის. აქ აღნიშნული სახლი აშენდა 1836 წელს თავად ბ. ნ. იუსუპოვის საქალაქო მამულში (ხარიტონოვის დიდ შესახვევში. სუფთა ტბების მახლობლად).**

დედაკაცი; ზოგიერთი კი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანი იყო. მე განსაკუთრებით მაინტერესებდა, ეს, სრულიად ჯანმრთელი, მოწყალების მთხოვნელი კაცები. ეს ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ლატაკი — კაცები მე კიდევ იმიტომ მაინტერესებდა, რომ მოსკოვში ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ჩვევად გავიხადე მოციონისათვის ეკლესიების მთებზე სამუშაოდ იმ ორ კაცთან მივსულიყავი, რომლებიც იქ ეწყოთ შას ხერხავდნენ. ეს ორი კაციც ზუსტად ისეთივე ლატაკი იყო, როგორც ისინი, ვისაც ქუჩებში ვხვდებოდი. ერთი იყო კალუგელი ჯარისკაცი — პეტრე, მეორე — ვლადიმირელი გლეხი, სიმონი. მათ, თავიანთი ხელებისა და იმ სამოსის გარდა, რაც ზედ ეცვათ, არაფერი გააჩნდათ. და ამ ხელებით, ძალიან მძიმე შრომით ისინი დღეში 40-დან 45 კაპიკამდე გამოიმუშავებდნენ, რომლიდანაც ორივენი გარკვეულ ნაწილს ინახავდნენ — კალუგელი ქურქისათვის, ხოლო ვლადიმირელი იმისთვის, რომ სოფელში გასამგზავრებელი ფული დაეგროვებინა. ამიტომ ქუჩაში ასეთივე ადამიანების ნახვისას მე განსაკუთრებით ვინტერესდებოდი მათით.

რატომ არის, რომ ისინი მუშაობენ, ესენი კი მათხოვრობენ?

ასეთი კაცის ნახვისას მე, ჩვეულებრივ, ვეკითხებოდი, როგორ მივიდა ის ასეთ მდგომარეობამდე. ერთხელაც ვხვდები წვერებში ჭაღარაშერეულ, ჯანმრთელ კაცს. ის მათხოვრობს; ვეკითხები, ვინ არის, სადაურია. ამბობს, რომ სამუშაოდ კალუგიდან ჩამოვიდა. თავდაპირველად იშოვეს სამუშაო — ძველმანების შეშად დაჭრა. ამხანაგთან ერთად ერთ მეპატრონესთან ყველაფერი დახერხეს; ეძებეს სხვა სამუშაო, ვერ იპოვეს, ამხანაგმა მიატოვა, და აი უკვე მეორე კვირაა, ასე იბრძვის, ყველაფერი, რაც ჰქონდა, გამოჭამა — არც ხერხის, არც საპობი ცულის საყიდელი ფული არ გააჩნია. მე მას ვაძლევ ხერხის ფულს და ვუჩვენებ ადგილს, სადაც სამუშაოდ უნდა მივიდეს. წინასწარ უკვე მოველაპარაკე პეტრესა და სიმონს, რათა მათ მიიღონ ამხანაგი და მას მეწილე მოუძებნონ.

— აუცილებლად მიდი. იქ ბევრი სამუშაოა.

— მივალ, როგორ არ მივალ! განა მეხალისება მათხოვრობა, — ამბობს იგი. მე მუშაობა შემიძლია.

გლეხი იფიცება, რომ მივა და, მე მგონია, რომ ის არ იტყუება, არამედ განზრახული აქვს მისვლა.

მეორე დღეს მივდივარ ნაცნობ კაცებთან. ვეკითხები, მოვიდა თუ არა გლეხი. არ მოსულა. და ასე რამდენიმე კაცმა მომატყუა. მე ისეთებმაც მომატყუეს, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ ფული მხოლოდ ბილეთისათვის სჭირდებათ, რათა სახლში გაემგზავრონ, ხოლო ერთი კვირის შემდეგ კვლავ ქუჩაში მხვდებოდნენ. ბევრი მათგანი უკვე ვიცანი და მათაც მიცნეს, ხოლო ზოგჯერ, თუ აღარ ვახსოვდი, იმავე ტყუილს მიმეორებდნენ, ზოგჯერაც, როცა თვალს შემასწრებდნენ, მიდიოდნენ. ასე, მე ვნახე, რომ მათ შორისაც ბევრი მატყუარაა; მაგრამ ეს მატყუარებიც ძალიან საცოდავები იყვნენ; ყველა ისინი ნახევრად შიშველი, ლატაკი, გამხდარი, ავადმყოფური გარეგნობის ადამიანები იყვნენ; ესენი სწორედ ისინი იყვნენ, რომლებიც, როგორც ჩვენ გაზეთებიდან ვიცით, მართლა იყინებიან ან თავს იხრჩობენ.

შემეცნება

მირზაკარიმ ნორბეკოვი

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი მედიცინაში, რუსეთისა და საზღვარგარეთის რიგი აკადემიების ნამდვილი წევრი და წევრკორესპონდენტი, უამრავი დაპატენტებული მეცნიერული გამოგონებებისა და აღმოჩენების ავტორი.

მაგრამ ამაზე მოგვიანებით...

●

მოსკოვის ადამიანის თვითაღდგენის ინსტიტუტის ამიერკავკასიის წარმომადგენლობა გთავაზობთ უნიკალურ წინგ-ტრენინგს, რომელიც მიმართულია ადამიანის ორგანიზმის თვითრეგულაციისა და თვითაღდგენისკენ, მისი შინაგანი პოტენციის ამოქმედებისა და გამოყენებისაკენ, ასევე წიგნში თქვენ შეძლებთ მოიპოვოთ პასუხი უამრავ კითხვაზე და იმ პრობლემებზე, რომელიც გაწუხებთ, თუმც ხშირად ვერც კი აცნობიერებთ მათ.

წიგნი დასაბეჭდად მოამზადეს და რედაქციას მოაწოდეს მოსკოვის ადამიანის თვითაღდგენის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ამიერკავკასიაში: ხათუნა მუზაშვილმა და გეჭა თოფურიამ. ტელ: 98.36.76.

●

თარგმნა ჯემალ ჭელიძემ

სულელის გამოცდილება, ანუ თვალის ახელის გასაღები
როგორ გადავაგდოთ სათვალე

რეკლამა წიგნისა, რომელიც ხელში გიჭირავთ

უმორჩილესად გთხოვთ, იუმორზე აცრილ ადამიანებს, ადამიანებს კასტრირებული ოპტიმიზმის გრძნობით, ჰიპერტროფირებული გაბუტულობით, სიცრუის ხელოვნების, ანუ ეთიკის სპეციალისტებს, სამსახურიდან გამოგდებულებს ან გამოგდებადაპირებულებს, სიბერე შეპარებულებს, ან სიბერეზე მოფიქრალთ, განქორწინებულებს ან მათ ვინც განქორწინებას აპირებს, ვისაც საერთოდ არ გააჩნია სექსუალურობა, ასევე მეტეორიზმით დაავადებულ ჭკუისკოლოფებს და განსაკუთრებით ცხვირზე მოდურ სანტექნიკა დაკოფსებულ „აჩკარიკებს“

ამ წიგნის
ხელში აღებას,
წაკითხვას
და, მითუმეტეს, ამ წიგნით ვარჯიშს
არ გირჩევთ!

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ყველა ამ პრობლემას ვწყვეტთ დადებითად, იგი მაინც არაა თქვენთვის დაწერილი!

ავტორის შესახებ

მირზაკარიმ ნორბეკოვი კურსებზე ხშირად იმეორებს: „მე ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, როგორიც ყველა, არც თქვენზე მეტი, და, ვიმედოვნებ, არც ნაკლები. რასაც მე მივაღწიე ცხოვრებაში, თქვენც შეგიძლიათ მიაღწიოთ, მთავარია მონდომება!"

მან კი მართლაც ბევრს მიაღწია. დღეს ნორბეკოვი არის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი მედიცინაში, რუსეთისა და საზღვარგარეთის რიგი აკადემიების ნამდვილი წევრი და წევრკორესპონდენტი, უამრავი დაპატენტებული მეცნიერული გამოგონებებისა და აღმოჩენების ავტორი.

მირზაკარიმ ნორბეკოვი — ჭეშმარიტი მეცნიერი მკვლევარი.

მისი ინტერესების სფერო ფართოა. უკვირთ, როგორ ითავსებს ყოველივე ამას ერთი ადამიანი — მხატვარი, კომპოზიტორი, მწერალი, კინორეჟისორი, მსახიობი, სპორტსმენი, მწვრთნელი, შავი ქამრის მფლობელი კარატეში მეორე დანი და შავი ქამრის მფლობელი სამ-ჩონ-დო-ში მეცხრე დანი, რაც მთავარია, წიგნის ავტორი — სპეციალისტი, სუფისტური მედიცინისა და პრაქტიკის, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ყველა არსებულთ შორის.

სუფიზმი — სიბრძნის მოძღვრებაა, რომელიც აღმოსავლური კლასიკური ფილოსოფიის ტრადიციას მიეკუთვნება.

მან მისცა მსოფლიოს ალგებრა, დამწერლობა, მისგან იღებს სათავეს სამი ძირითადი რელიგია.

სუფიები ღრმად მორწმუნენი არიან. თუმცა საკუთარი წმინდა ქალაქები, ტაძრები, იერარქია და ატრიბუტიკა არ გააჩნიათ. ტაძარი ღვთის გულშია. ისინი არ უარყოფენ არც ერთ რელიგიას, ღმერთის შესახებ მსჯელობა კი ფარისევლობად მიაჩნიათ. ყველას შეუძლია სიკეთეზე ლაპარაკი!

ეს ადამიანები სიტყვას საქმეს ამჯობინებენ! მოქმედებით, საქმიანობითა და საკუთარი ცხოვრებით ირგვლივ სიყვარულს თესენ და ყველგან იცავენ ღვთიურ სინათლეს. სუფიები — სინათლის რაინდები არიან, სიკეთის, სიყვარულის, ჰარმონიის, სილამაზისა და სიბრძნის მცველნი. გარეგნულად არაფრით გამოირჩევიან ჩვეულებრივი ადამიანებისგან. ცხოვრობენ ჩვეულებრივად: მუშაობენ, ბავშვებს ზრდიან,

ახლობლებზე ზრუნავენ; მათი მთავარი წესია „გული ღმერთთან, ხელები — შრომაში“.

მირზაკარიმ ნორბეკოვი სუფიაა, ანუ მოხეტიალე დერვიში. მან აირჩია შემოქმედებითი გზა მსახურებისა, გზა ცოდნის შეძენისა და გადაცემისა მასწავლებლიდან მოსწავლემდე, რათა ადამიანურობით დაგროვილი სიბრძნე ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის — [illegible] ამის მისაღებად.

ყველა სფეროში ჰყავს მიმდევრები, მისი გზის გამგრძელებელნი. ეს აძლევს მას საშუალებას, არ იდგეს ერთ ადგილას, იაროს წინ, დაიპყროს ახალი სიმაღლეები.

მის გვერდით ყოფნა არ არის ადვილი. მის მხარდამხარ მუშაობა მოითხოვს მუდმივ სრულყოფილებას, შინაგან ცვლილებებს, რათა მასთან ერთად იარო წინ და წინ.

იგი მომთხოვნი, მკაცრი და გაბედულია, როცა საქმე ჩანაფიქრის განხორციელებას ეხება. ყველა ადამიანს აძლევს შანსს, გაიხსნას და წარმოაჩინოს ღვთითმომადლებული ბუნება. თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ეს შესაძლებლობა ამ წიგნის საშუალებით გეძლევათ.

უძველესი ადამიანები ზეცას ერთიანობისა და მარადისობის სიმბოლოდ აღიქვამდნენ. როცა ადამიანები ვარსკვლავებს შესცქერიან, თუნდაც ერთმანეთისგან შორს მყოფნი, მაინც ერთნი არიან. დაე, ამ წიგნის ფურცლები იქცნენ მცირე სიმბოლოებად, რომლებიც გაგვაერთიანებს ჯანმრთელობისა და წარმატების გზაზე და ყოველთვის, როცა ამ წიგნს ხელში აიღებთ, გახსოვდეთ — ჩვენ ერთად ვართ!

ლიტერატურული რედაქტორი.

მჯღაგნელისაგან, ანუ ჩემგან

ძვირფასო მკითხველო!

თქვენს ხელთაა წიგნი, რომელიც დაიწერა თქვენთვის, რათა დაგეხმაროთ მხედველობის აღდგენაში, გაგიღვიძოთ სულში ფარული უნარი და მოახდინოს თქვენი, როგორც პიროვნების რეალიზება.

მზად იყავით, წიგნის პირველივე სტრიქონებიდან შეცბუნდებით, სულში უარყოფითი ემოციების ქარიშხალი ამოვარდება, ავტორის მიმართ შეგექმნებათ უკმაყოფილების, არაკეთილგანწყობის, ბრაზის, წყენისა და აგრესიის გრძნობა.

მზად ვარ ყველაფერი საკუთარ თავზე ავიღო. და თუ მართლაც ყოველივე ასე მოხდება, ჩავთვლი, რომ მიზანი მიღწეულია.

წინასწარ ვიცი, იტყვით, რომ წიგნები ასე არ იწერება!!!

ის, რაც ზეპირად შეიძლება ითქვას, დაუშვებელია ბეჭდურ გამოცემაში!!!

რომ ყოველგვარი შეურაცხყოფა და უხეშობა ვულგარულია და ავტორსა და მწერალს არ შეეფერება!!!

რომ არსებობს ეთიკის გარკვეული საზღვრები, ნორმები და მორალი, რომლის გადალახვა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება და რომ წარმოუდგენელია ამის გამართლება!!!

რომ ეს ყოველივე შეიძლება დელიკატურად აიხსნას, ინტელიგენტურად განიმარტოს, მაშინ ყველა ყველაფერს გაიგებს და მიხვდება და ა. შ.

მეც ასე ვფიქრობდი 20 და მეტი წლის წინ, როცა ექიმებზე, მათ პროცედურებზე და წამლებზე ვიყავი დამოკიდებული, ცხოვრებაში არარეალიზებული, უპერსპექტივო, თვითმკვლელობაზე მფიქრალი ადამიანი.

დიახ! იყო ასეთი მომენტი!

აბა, სხვა რა უნდა მოსთხოვო სისხლის ხელოვნურად გამწმენდ აპარატთან „მიჯაჭვულ" პირველი ჯგუფის ინვალიდს?! სასიკვდილოდ განწირულს?! და ეს მხოლოდ 20 წლის ასაკში!

ოფიციალური მედიცინა, ასეთ დაავადებას ვერ ჰკურნავს, მომაკვდავს მხოლოდ აკვირდებიან, არსენალში არსებული საშუალებით ეხმარებიან და უყურებენ, როგორ ქრება ნელ-ნელა სიცოცხლე.

განა, ეს საშინელება არაა?!

იმდენად ვაფასებ სიცოცხლეს, რომ რევერანსების, ქედის მოხრისა და კუდის ქიცინის დრო არ მაქვს, მითუმეტეს მაშინ, როცა დრო საერთოდ აღარ რჩება, როცა საჭიროა სწრაფად დაგეხმაროთ, რათა გათავისუფლდეთ იმ ბორკილებისაგან, რომლითაც ავადმყოფობის ჭაობს და არარეალიზებულობას ხართ მიჯაჭვული.

თქვენ ფუსფუსებთ, რაღაცას აკეთებთ, მუდამ სადღაც მიიჩქარით, სულაც არ ფიქრობთ, ერთი წუთით შეჩერდეთ და ჩაფიქრდეთ: „რისთვის ვაკეთებ ყოველივე ამას? საით მივდივარ, რა დარჩება ჩემს შემდეგ?" თუმცა სულის სიღრმეში, სადღაც ძა-ა-ლიან ღრმად, ხანდახან ყრუ ტკივილი გაგკრავთ ხოლმე, თითქოს რაღაც მთლად ეგრეც არაა!

მაგრამ დრო არა გაქვთ! საჭიროა, საჭირო მუდამ სადღაც გაქცევა. საინტერესოა, სად და რისთვის? სინამდვილეში, ერთ ადგილს ვტკეპნით, დავრბივართ წრეზე და თავად ვერც ვგრძნობთ ამას. ყოველგვარი გარჯა საწყის წერტილს უბრუნდება.

შესაწყვეტად, პრობლემათა და წარუმატებლობების მოჯადოებულ წრეზე უაზრო სირბილი, შეგნებულად გაცლით ფეხქვეშ ნიადაგს. ამაში მდგომარეობს მეთოდის არსი.

ეს არის მხედველობის სწრაფად აღდგენის მეთოდი, რომელიც ნებაყოფლობითი ემოციური თვითდაალების გზით მიიღწევა.

ადამიანების უმრავლესობა ემოციურნი და შებორკილნი, უფრო სწორად, ემოციურად კასტრირებულნი არიან. დადიან სამუშაოდან სამუშაოზე, სამუშაოდან სამუშაოზე როგორც მოსამართი თოჯინები. განცდები კი შიგნითაა და თუ რამე გარეთ ამოხეთქავს ხოლმე, ეს, როგორც წესი, აგრესიაა.

ჩემი ამოცანა იმ ბოროტების გარეთ გამოთრევაა, რომელიც ღრმადაა ჩაფლული თქვენში და შიგნიდან გხრავთ. დაჩირქებული სულით დადიხართ, ამ პარკუჭს გახეთქვა და გარეთ გამოშვება უნდა, გაწმენდაა საჭირო! მაშინ გაიხსნება აღმშენებლობის, შექმნის, ჩანაფიქრის განხორციელების ნიჭი და უნარი.

ძალიან არ მინდა, წიგნის წაკითხვის შემდეგ გულგრილნი დარჩეთ, თან იმავე სათვალეებით, რომელსაც ახლა ატარებთ. წიგნში შეგნებულად შექმნილი ემოციათა ცვალებადობა — „ქირურგიული“ ინსტრუმენტია.

არსებობს უბრალო ფორმულა — ხასიათი და ბედი ავადმყოფობის ტოლფასია.

ე. ი. ბუასილიან ადამიანს როგორი ხასიათი ჰქონია?

ეს დამტკიცებულია დროში და პრაქტიკული გამოცდილებით, მათ შორის საკუთარითაც. ანუ, იმისათვის, რომ საკუთარი ჯანმრთელობა და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალო, საჭიროა ხასიათის შეცვლა. მხოლოდ დაპირებებით კი ამას ვერ მიაღწევ.

ხასიათის შინაგანი გადადნობა თქვენივე აუცილებელი მონაწილეობით ხდება. მე მხოლოდ კატალიზატორის როლს ვასრულებ. ასე რომ მოემზადეთ ბეჭდური გამოცემისათვის ყველაზე მოულოდნელი და არატრადიციული თავდასხმებისათვის.

თქვენში უდიდესი ალმასია ჩადებული, საჭიროა მხოლოდ მისი მოძებნა, რათა ისე დავამუშავოთ, რომ მთელი თავისი წახნაგებით აკიაფდეს. მაშინ სრულიად სხვა თვალით შეხედავთ ყველაფერს, აღმოაჩენთ ცხოვრების ახალ-ახალ ჰორიზონტებს. მიგულეთ ამ გზაზე თქვენს სამსახურში!

ცხოვრება არც ისეთი ცუდი და რთული რამაა. იგი არის ის, რაც არის!

გულწრფელი და გულითადი პატივისცემით
მირზაკარიმ ნორგეკოვი.

წინასიტყვაობის მაგიერ, ანუ საკუთარი თავისათვის გილიოტინა თქვენ შეუკვეთეთ?

ყურადღება!

წიგნში ინფორმაცია გადმოცემულია დაჩქარებული სწავლების ტექნიკის გამოყენებით! რათა გამოვრიცხოთ შესაძლებელი წყენა ავტორის მიმართ, ძალიან გთხოვთ, გაეცანით გეთაყვა თავს: **„ჩაშუშული დაჩქარებული სწავლების მეთოდისაგან და მისი მოხმარების წესი!“**

თქვენს ხელთ არის მცირე მოცულობის სახელმძღვანელო, გენიალობა მისი კი იმაშია, რომ იგი ზარმაცებისთვისაა დაწერილი.

ანუ თქვენთვის!

მხედველობის გამოსწორება ძალზე ადვილი და მარტივია. თქვენგან მხოლოდ პატარა სურვილი, მონდომება, გონების ხვეულების ერთი ბეწოთი განძრევა და ოდნავი შრომაა საჭირო. თუ თქვენ ეს ძალიან დიდ რამედ არ მოგეჩვენებათ, მაშინ — მორჩა! მიზანი მიღწეულია: ხოლო გონების მინიმალური რაოდენობა, ჩვენი გამოთვლებით, ასე, 50 გრ. იმედი მაქვს გექნებათ (თუმცა იმედის აუცილებლად ფაქტი არაა).

დღეისათვის გამოსაცემად მზადდება წიგნი სპეციალისტებისათვის, დაახლოებით 600 გვერდიანი თალმაუდი. იქ ყველაფერი თანმიმდევრუ-

ლადაა განხილული: ფსიქოფიზიოლოგიური და მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების მიხედვითაა უჯრა-უჯრა დალაგებული.

გჭირდებათ ეს რამეში? ვფიქრობ რომ არა!

ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი ამოცანა მხედველობის აღდგენაა. სახელმძღვანელო მათთვისაა დაწერილი, ვისაც [illegible] მიანად მიაჩნია, საკუთარი ძალებითა და შრომით იღვწის, მხედველობის [illegible] გამოსწორებისა და აღდგენისათვის.

ამიტომ აქ მთავარი კოზირი იქნება გულწრფელობა. აგრეთვე მოკლე ახსნა, აზრის გამჭვირვალობა, პოპულარული ენა, ადვილად გასაგები აზროვნება, ანუ, შინაურულად გადმოცემული, ხანდახან თქვენი მისამართით გამოყენებული იქნება გალეშილი პროვინციელის ლექსიკა!

ასე რომ, მოემზადეთ!

დაჩქარებული სწავლების ტექნიკა მოიაზრებს „უხეშობას“ და ადვილად გასაგებ განმარტებებს ორი სიტყვით 500 გვერდზე! ნუ გეშინიათ, ზედმეტად უხეში არ ვიქნები. უბრალოდ, გიწოდებთ იმას, რაც ხართ სინამდვილეში, რადგან მრავალი წლის განმავლობაში ზუსტად ატარებთ საკუთარ გადაუჭრელ პრობლემებს!

მუშაობისას ვეცადეთ, წიგნი რაც შეიძლება მცირე ზომის ყოფილიყო, მაგრამ ძალიან ზარმაცებს რომ ვასიამოვნო, შემიძლია კიდევ შევკვეცო და მხედველობის აღდგენის მექანიზმი შევამცირო ზუსტად სამ სიტყვამდე!

ძალიან ჭკვიან და განსაკუთრებულად გამორჩეულ ზარმაცებს, ვისაც ესეც გრძლად მოგეჩვენებათ, მაშინ სამ სიტყვას სამ ასომდე დავიყვან და ვთხოვ, რაც შეიძლება სწრაფად, სწრაფი მატარებლით გაემგზავრონ იქ სამუდამოდ!!!

აბა, ახლა, რას გრძნობთ, შეურაცხგყავით?!

გეწყინათ? — ეგრე გინდათ!

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქამდეც უნდა მიგეხედათ თავისთვის! მეორეც, მინდა გაგახაროთ — დაგერხათ!

თუ ამან გაგაღიზიანათ, ე. ი. საკუთარ თავს თვითონვე მიიჩნევთ ნიჭიერ ზარმაცად. ადამიანს წყინს მხოლოდ ის, რაც სიმართლეა.

თუ უხეშ სიტყვას ვიტყვი, თქვენთვის უცხო ენაზე, ვერ გაიგებთ. მაშ, არც წყენის საფუძველია. ეს კანონია. ასე რომ, ნუ გაიმეორებთ ასეთ შეცდომებს მომავალში!

... დაავადდა იმპერატორი. შეძრწუნდა ამალა, გაიხარა ამალამ. ავადმყოფობამ სნეული საწოლს მიაჯაჭვა. ექიმები ძალიან ცდილობდნენ, მაგრამ საშველი არ ჩანდა“.

მიჰქროდნენ დღენი, გადიოდნენ თქვენი, იწურებოდნენ წლები, ის კი, როგორც იწვა პარალიზებული, ასევე დარჩა. რამდენი ქვეყანა დაიპყრო, რამდენი ხალხი დააჩოქა! ნახევარი დედამიწა დაიმორჩილა, მაგრამ ავადმყოფობის წინაშე უძლური აღმოჩნდა!

ერთხელაც უიმედობამ განარისხა:

— მკურნალებს, რომელთაც ჩემი მორჩენა ვერ შეძლეს, თავი მოჰკვეთეთ და ქალაქის კედლებზე ჩამოჰკიდეთ.

გავიდა დრო. ჩონჩხადქცეული სწავლულთა თავებისაგან კილომეტრიანი კედლები გადათეთრდა. ერთხელაც იმპერატორმა მთავარი ვეზირი იხმო:

— ვეზირო! სად არიან შენი მკურნალები?

— ჩემო მბრძანებელო! ისინი აღარ არიან. თავად თქვენ არ ბრძანეთ მათი დასჯა?

— ნუთუ ერთიც არ დარჩა?

— დიახ, ჩემო მბრძანებელო, თქვენი საკადრისი მკურნალი მთელს სამფლობელოში არავინ დარჩა.

— ეგრეც მოუხდებათ...

და კვლავ გრძლად გაიწელა უსიხარულო დღეთა რიგი. ერთხელ, კიდევ იკითხა იმპერატორმა:

— ვეზირო, გახსოვს, შენ მითხარი არავინ დარჩა თქვენი საკადრისი მკურნალიო, მითხარი, რას გულისხმობდი?

— ჩემო მბრძანებელო, თქვენს სამფლობელოში ერთადერთი მკურნალიღა დარჩა. იგი აქვე ცხოვრობს.

— მკურნალობა შეუძლია?

— დიახ, მბრძანებელო, ვიყავი მასთან, ძალიან უკულტურო, უზრდელი ვინმეა! პირის გაღებისთანავე უშვერ სიტყვებს აფრქვევს. ამას წინათ კი თქვა, რომ იცის იმპერატორის განკურნების საიდუმლო.

— აქამდე რატომ არ მომახსენე?!

— თუ მოგიყვანთ, მაშინვე ჩამომახრჩობთ მისი საქციელის გამო.

— პირობას გაძლევ, ამას არ ვიზამ. მომგვარე დროზე!

რამოდენიმე ხანში ვეზირმა მკურნალი მიჰგვარა იმპერატორს.

— შენზე ამბობენ, მკურნალობსო.

მკურნალი დუმდა.

— ხმას რატომ არ იღებ, მიპასუხე! — ბრძანა იმპერატორმა.

— ჩემო მბრძანებელო, მე ავუკრძალე პირის გაღება, — მიუგო ვეზირმა.

— ილაპარაკე, უფლებას გაძლევ! ნუთუ შენი შესაძლებლობები საკმარისი იქნება ჩემს მოსარჩენად?!

— ეგ შენი უტვინო თავის საქმე არაა! შეგიძლია ეჭვი შეიტანო ჩემს მიერ სახელმწიფოს მართვის საქმის ცოდნაში, რადგან მეფე ხარ. მაგრამ მეფური გონებით ცხვირს რად ჰყოფ მედიცინაში? შენ ამის რა გესმის? შენს საქმეში ხარ დიდი, მაგრამ მედიცინაში მეწაღეზე მეტი არ გაგეგება.

— მცველებო!!! — დაიღრიალა გამხეცებულმა იმპერატორმა — თავი მოჰკვეთეთ... არა... ჯერ მარგილზე წამოაგეთ, შემდეგ მდულარე ზეთში ჩააგდეთ, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ აკუწეთ.

არავის არასოდეს გადაკვრითაც კი არ გაუბედავს ისეთი რამ, რაც სასახლის ეტიკეტის ფარგლებს სცილდებოდა, მით უმეტეს ასე ეპასუხათ თავად იმპერატორისათვის!

დაცვამ მკურნალი შეიპყრო, ხელები გადაუგრიხა და გასასვლელისაკენ წაათრია, მან პირუკულმა დაცინვით წამოიძახა:

— ეი! მე შენი უკანასკნელი იმედი ვარ! შეგიძლია მომკლა, მაგრამ ჩემს გარდა აღარავინაა, ვისაც შენი მორჩენა შეუძლია. მე კი დღესვე შემიძლია ფეხზე დაგაყენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალვე დაცხრა იმპერატორი:

— ვეზირო, უკან მომგვარეთ!

მკურნალი დააბრუნეს.

— დაიწყე მკურნალობა. შენ თქვი, რომ დღესვე დამაყენებ ფეხზე.

— კი, მაგრამ, ჯერ სამი პირობა უნდა შემისრულო, მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგები მკურნალობას.

კვლავაც ჩაიკლა სიბრაზე იმპერატორმა, სიბრაზისგან კბილებში გამოსცრა:

— თქვი!

— უბრძანეთ, შემოსასვლელ კარიბჭესთან თქვენს სამეფოში ყველაზე ფეხმარდი რაში დააბან და ერთი ტომარა ოქროც მოამზადონ.

— რატომ?

— საჩუქრად, ცხენები ძალიან მიყვარს.

— თუ მომარჩენ, ოქროთი სავსე ტომრებით დატვირთულ ორმოცი ცხენისგან შემდგარ მთელ ჯოგს გაჩუქებ.

— ამას მერე, მერე... მერე გამომიგზავნი. მეორე პირობაა: მკურნალობის დროს სასახლეში არავინ იყოს.

— ვითომ რატომ?

— მკურნალობის დროს შეიძლება ტკივილი მოგაყენო, ყვირილს მორთავ. არ მინდა, ვინმემ ასეთ მდგომარეობაში გნახოს.

— კარგი, კიდევ?

— მესამე. უბრძანე დაცვას, სიკვდილის დასჯის მუქარით, ერთი საათის განმავლობაში არ გამოეხმაურონ შენს ბრძანებას.

— რატომ, ამიხსენი!

— ისინი ხელს შემიშლიან, მკურნალობას ვერ დავასრულებ.

იმპერატორი მკურნალის პირობებს დათანხმდა და ყველას უბრძანა სასახლის დატოვება. ისინი მარტონი დარჩნენ.

— აბა, დაიწყე!

— რა უნდა დავიწყო, შე ბებერო ვირო! ვინ მოგახსენა, რომ მკურნალი ვარ? გაები საფანგში?! ერთი საათი მაქვს დრო. ამას დიდი ხანია ველოდი, ყველაფერი უნდა გაზღვევინო შე სისხლისმწოველო, ბილწო! სამი დიდი ხნის ოცნება უნდა ავიხდინო. 1-ლი: მაგ მეფურ სიფათს მივაფურთხო!

ჰოდა, მკურნალმა მთელი მონდომებით, კარგა ბლომად მიაფურთხა იმპერატორს სახეში.

გაფითრდა მბრძანებელი უსუსურობისა და სიბრაზისაგან, მიხვდა რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა.

თავის განძრევა სცადა, ცოტათი რომ მაინც გაეწია წინააღმდეგობა ასეთი გაუგონარი და დახვეწილი თავხედობისათვის!

— შე დამპალო ბებერო და მყრალო ძუკნავ, უყურე ამას... თავსაც რომ ანძრევს?!. ტფუ, შენი! მიიღე კიდევ ერთხელ! მეორე ოცნება იყო, ო-ო-ო-ო! როგორ ვოცნებობდი, დამეფსა მაგ იმპერატორულ სიფათზე!

და მან დაიწყო მეორე სანუკვარი ოცნების ასრულება.

— ჰეი, მცველნო!!! ჩემთან!!! — აფეთქდა იმპერატორი, მაგრამ შარდის ნაკადმა ხმა ჩააწყვეტინა. თავის მორიდება სცადა, ბარები შეათამაშა, რათა კბილებით ჩაფრენოდა ყანყრატოში შეურაცხმყოფელს. დაცვას ესმოდა იმპერატორის ხმა, მაგრამ ვერ გაეგო [illegible] ბრძანების დარღვევა.

— შე აყროლებულო საქონელო! — თქვა მკურნალმა და წიხლი ჩააბიჯა.

იმპერატორმა ტკივილი იგრძნო, უმალ გაიხსენა, რომ ბალიშთან ახლოს ხანჯალი იდო. გაიფიქრა, მივწვდები და დავაჭრი ფეხებს. შეურაცხმყოფელის დასჯის ერთადერთი სურვილით ანთებულმა იარალისკენ იწყო გაწევა.

— აა, შენ თურმე განძრევაც შეგძლებია? — ზიზღით გამოსცრა მკურნალმა, — მესამე ჩემი ოცნებაა...

და როდესაც იმპერატორს თვითმარქვია მკურნალის მესამე სურვილი ჩაესმა ყურში, დაჭრილ მხეცივით დაიღრიალა, კბილები გააღრჭიალა! ტიტანური ძალა მოიკრიბა, ადგილიდან წამოიწია, იდაყვებზე დაყრდნობილი დაიკლაკნა, გაფოფხდა იარაღისკენ.

— აგჩეხავ, — ღრიალებდა იმპერატორი — ნაკუწნაკუწ აგჩეხავ!!!

მოჩვარულ ფეხებზე წამოდგა, კედელ-კედელ დაყრდნობილმა შეძლო დგართან მისვლა. აკანკალებული ხელით მისწვდა ხმალს, იმიშვლა და როცა შემოტრიალდა, სასახლეში აღარავინ იყო... იმპერატორი ძლივს გალასლასდა კარისკენ.

ოი, როგორ ინანა, რომ ამ ნაძირალას ჩაუვარდა ხელში და ყველაზე ფეხმარდი ცხენი მისცა. მიხვდა რა თავის გამოუვალ მდგომარეობას, ძლივსძლივობით მივიდა პირველივე შემხვედრ ცხენთან და უნაგირზე შეჯდომა სცადა, მაგრამ სადღაა ის ძალები! კბილებით ჩააფრინდა ფაფარს, დაუძლურებულ მკლავებზე აიწია და უნაგირზე შეჯდა.

გაიღვიძა ბუმბერაზი მეომრის სულმა, გამოიღვიძა დიადი მბრძანებლის, დიადი სარდლის სულმა.

— სად არის? — შეჰყვირა ირგვლივ შემოგროვილ მსახურთ.

შეშინებულები ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ, ამიტომ უხმოდ, თავის მოძრაობით უჩვენეს გზა, საითკენაც გაჰქუსლა მკურნალმა.

იმპერატორი მკურნალს დაედევნა. თანდათან გრძნობდა თუ როგორ ემატებოდა ძალ-ღონე. გასცდა ქალაქის კარიბჭეს, ჭენებით მიჰქროდა შორს და შორს.

უცბად იაზრა: „ღმერთო ჩემო! ოცი წელია, რაც უნაგირზე არ ვმჯდარვარ! ოცი წელია გაფრენილი ცხენის ფაფარი არ დამინახავს! ოცი წელი ხელში მახვილი არ მჭერია! ოცი წელი ჩემს სახეს ნიავის ქროლვა არ უგვრძნია!"

უცბად, ზურგიდან დიდი ხნის მივიწყებული ხმები შემოესმა. ცხენის ფლოქვების თქარა-თქური და მხედართა ყიჟინის ხმა უახლოვდებოდა, ასობით ამხედრებული მხედართმთავარი ხმალამოწვდილი კვალში მისდევდა მას ყიჟინით და ჟრიამულით:

— გაუმარჯოს იმპერატორს!

როდესაც იმპერატორს მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ იგი გზაზე გაწოლილი მტვერში გორაობდა, ფეხებსა და ხელებს იქნევდა, ძოლას სუნთქავდა და სიცილისგან იგუდებოდა:

— ოი, შენი დედა...! მკურნალო! შე, ძაღლის შვილო! ფარმაცევტი ქარავანი ოქრო! ბიბლიოთეკა

ახლა მიხვდი, მკითხველო, რაში ყოფილა საქმე?!

იმისათვის, რომ თქვენი ჭეშმარიტი მბრძანებლური სული გამოვაღვიძო, მობილიზება ვუყო, სახეში გაფურთხებთ, მაგრამ თავზე დაფსმას ვერ დამაბრალებთ, მით უმეტეს...

ახლა კი, ზეციდან ჩამოვხსნათ მბრძანებლის და აღმაშენებლის გვირგვინი და სწრაფად, ყურებამდე ჩამოვიფხატოთ.

ნებისყოფის დატანებით გავშალოთ მხრები, რათა ამ წუთიდან ცხოვრებას მბრძანებლისა და შემოქმედის თვალით ვუყუროთ.

არ გეწყინოთ, განწყობის შესაცვლელად თქვენში აგრესიის გამოწვევა უფრო ადვილია, ვიდრე თქვენი გაღიმება. ჩემი ამოცანა თქვენი წონასწორობიდან გამოყვანაა.

როცა ქათქათა პერანგზე ჭუჭყიანი ლაქაა, თქვენ პირველ რიგში მას აქცევთ ყურადღებას. ასე არ არის? ასე თუ ისე, მსგავსი მსგავსს ეძებს!

ამიტომაც, ჩემთვის თქვენში წყენის შეგრძნების გამოწვევა უფრო იოლია, როცა ვამბობ, რომ თავანკარა ალმასი ხართ, ამას ჩემგან თქვენი განწყობის ხელოვნურად ასამაღლებლად მიიჩნევთ, თითქოს კომპლიმენტებს გეუბნებოდეთ, ა. შ. და ა. შ. ამიტომ თქვენ დაეჭვდებით, არ დამიჯერებთ.

ხოლო, როცა დამპალ მძორს გიწოდებთ, უმალვე რეაგირებას მოახდენთ, და ეჭვისათვის უკვე დროც აღარ დაგრჩებათ! ახლა ჩვენ ერთად ერთი წუთით მაინც მივაღწიეთ საჭირო მდგომარეობას!

რა მდგომარეობაა ეს? დაე, ეს ჯერ-ჯეროობით დაჩქარებული სწავლების პედაგოგის ერთ-ერთ საიდუმლოდ დარჩეს.

ჩაშუშული დაჩქარებული სწავლების მეთოდისაგან და მისი მოხმარების წესი

მიპასუხეთ, თუ შეიძლება, რა დროში შეიძლება უცხო ენის შესწავლა?

ერთ წელიწადში? ორში? იქნებ მეტში?

გპასუხობთ!

თქვენში დაფარული გენიალური შესაძლებლობების გამოყენებით ერთ თვეში პინგვინების ენასაც ისწავლით! საკითხავი ის არის, როგორ აღმოვაჩინოთ და ავამოქმედოთ ეს შესაძლებლობები?

აი, სწორედ ამ საკითხებით დავკავდებით მე და თქვენ.

სახელმძღვანელო შედგენილია იმგვარად, რომ ათვისებულ იქნას დაჩქარებული სწავლების ხერხები, რომ მკითხველმა ერთხელ და სამუდამოდ აითვისოს და მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰქონდეს სისტემის ყველა ძირითადი მომენტი, სწორად და სასარგებლოდ გამოიყენოს და გამყაროს საჭირო ინფორმაცია.

ასე, რომ, როცა უხეშ სიტყვებს, მკვახე, არასერიოზულ [illegible] გამაოგნებელ გამონათქვამებს წააწყდებით (რომლებიც უკვე [illegible] შეგხვდათ), გახსოვდეთ — ეს სპეციალურადაა!

დიახ, დიახ სპეციალურად ვიცილებ ეთიკას და ყველა საგანს თავის სახელს ვარქმევ.

თუ გნებავთ, აი, პირველი საშინაო დავალებაც, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოთ, თუ, რა თქმა უნდა, იუმორის გრძნობა არ გაგაჩნიათ.

შეეცადეთ, დეტალურად გაიხსენოთ ყველა ადამიანი, რომელიც გუშინ ნახეთ, მანქანაში, ქუჩაში, — ყველგან. რა ეცვათ, რა ფერის თვალები ჰქონდათ, რა ფერის თმა, რაზე საუბრობდნენ და ა. შ.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი გულმავიწყობა 100%-ით გაგიმართლებთ! მე კი გთავაზობთ დღეს ჩაატაროთ ექსპერიმენტი და გააანალიზოთ შედეგი.

ჩაჯექით ავტობუსში, ან ნებისმიერ სხვა ტრანსპორტში, რომელსაც კარები ავტომატურად ეკეტება. შედით და მოიცადეთ. როცა კარი დახურვას დაიწყებს, ეგრევე გაყავით თავი ისე, რომ კარებებს შორის მოექცეს თქვენი კისერი.

ასე უნდა გაიაროთ მთელი გაჩერება. შეკითხვა: როდესმე დაგავიწყდებათ ეს მომენტი?

არა! იმიტომ, რომ შემთხვევა არაორდინალურია და თითქმის წარმოუდგენელი. თქვენ მკაფიოდ და სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ ყველა ადამიანი, ვინც თქვენს დახმარებას ცდილობდა, არ დაგავიწყდებათ კომპლიმენტები თქვენს სისულელეზე, ზოგიერთის პახმელიის სუნი, დაიხსომებთ ყოველ გამვლელ ავტომანქანას. ერთი სიტყვით, იმ მოგზაურობის ყველა წვრილმანი მყარად გაჯდება მეხსიერებაში.

დაჩქარებული სწავლების ტექნიკაშიც ასეთი მექანიზმებია გამოყენებული, ნუ, რა თქმა უნდა, არა პირდაპირი გაგებით, ნუ გეშინიათ, თუმცა მაინც მოგელიტინებათ!

უბრალოდ დადგენილია, რომ მცირე სტრესის შედეგად ინფორმაციის მიღება და დამახსოვრება ძლიერდება დაახლოებით ათასჯერ!

ეს ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენგანი შეიძლება ერთი წამით აქციო გენიალურ, ბრწყინვალე მახსოვრობისა და აღქმის მქონე ადამიანად. თქვენნაირ გენიას ვერ ნახავთ ვერსად! ასე, რომ მომიშვირეთ თავი, უნდა მოვრწყა...

და თუ საკუთარი თავის მოტყუებას თავს დაანებებთ, გულზე ხელს დაიდებთ, ამბიციებს, წყენას უკუაგდებთ, გამოიჩენთ გამბედაობას და საკუთარ თავს გვერდიდან შეხედავთ, თუ დამეთანხმებით, რომ არის რაღაც ისეთი, რაზეც ღირს მუშაობა, ეს უკვე იქნება პირველი ნაბიჯი წარმატებისაკენ.

ვიდრე ახალი სალსის მშენებლობას შევუდგებით, თავდაპირველად ძველი ხუხულას დანგრევა, ადგილის მოსუფთავება და ნაგვის გატანაა

საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავიწყოთ საძირკველის ჩაყრისათვის მზადება.

მაგრამ, თუ თქვენ მაინც რაღაც გეწყინათ, გეტყვით: კაცს, რომელიც წყენის მიზეზს ეძებს, ან ეძებს საბაბს, რომ არ იმუშაოს და არ გაანძრიოს... რა?

თქვენ იფიქრეთ — ტვინი, მაგრამ მე პირდაპირ [illegible] ბანალი — რა უნდა ველაპარაკო?! ასე, რომ დაახვიეთ თქვენი გზით! კეთილი მგზავრობა!

ამრიგად, როგორიც არ უნდა გამოვიდეს წიგნი, ნება მიბოძეთ, გადმოვალაგო მასალა ისე, როგორც ამას მეცადინეობებზე ვაკეთებ.

და მათთვის, ვინც „იქით" არ დაახვია და წინ სიარული გადაწყვიტა, ვაგრძელებ!

ჩემი მოძღვარი ხშირად იმეორებდა: „ნუ მკვებავ შხამით სხვისი გამონათქვამების გამეორებით". ევროპაში მიღებულია „დიდი ბრძენი ადამიანების პირით" საუბარი, ანუ მათი ციტირება.

აღმოსავლეთში ეს ცუდ ტონად ითვლება, რადგან ორატორის გონებაგამოვლილი ციტატა უკვე მეორადი მოხმარების ინფორმაციაა. მუცელში გატარებულ ნებისმიერ საჭმელს აქვს საკუთარი არსის ცვლის ტენდენცია.

თუ არ გჯერათ, შეჭამეთ გემრიელი ტორტის ნაჭერი, დააცადეთ მუცელში გადამუშავება და შეეცადეთ ამ ნაჭრის ხელმეორედ ჭამა. აი, ესაა ციტატა.

ჰა, როგორია? მოგეწონათ სუნი და გემო?

ჩემო ძვირფასო! ომარ ხაიამის ოთხსტრიქონიან სასიყვარულო ლექსს, მხოლოდ მის ბაგეთაგან წარმოთქმულს აქვს სულის აღმაფრენისა და მარადიულობის განცდის შეგრძნება.

აზრი გასაგებია?

თუ კიდევ ვერ გაიგეთ, მაშინ ჩამჭრელი კითხვა: რაზე ფიქრობდა დეზდემონა, თავისი სიცოცხლის ბოლო წუთებში? გაქვთ რაიმე ვერსია?

რა თქმა უნდა, ახლა ათას სისულელეს მოროშავთ: „ცხოვრებაზეო, მთავრობაზეო, ამინდზეო".

თუ ოტელო პირადად თქვენ არ გახრჩობდათ, მაშინ ყველა მოსაზრება იქნება თქვენს მიერ შეთხზული. მაგრამ, თუ გახრჩობდათ, მაშინ უნდა დაეხრჩვეთ! ამ შემთხვევაში მიკვირს, როგორ კითხულობთ ამ წიგნს?

ანდა მეორე კითხვა: რაზე ფიქრობს ადამიანი, როცა ის მეათე სართულიდან ქვასავით ვარდება ძირს?

როდესაც ამ კითხვას აუდიტორიაში დავსვამ ხოლმე მსმენელები სხვადასხვანაირად მპასუხობენ: მთელი ცხოვრება გაირბენს შენს თვალწინ, შიში გიპყრობს, საშინელებაა და ა. შ.

და ჯერ არც ერთხელ არავის აზრი არ დამთხვეევია ჩემს საკუთარ განცდებს. სტუდენტობის დროს მესამე სართულიდან გადმოვარდნის პირადი გამოცდილება მაძლევს უფლებას ვთქვა, თუ რაზე ვფიქრობდი ამ მომენტში. მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოვასწარი და მერე ძალიან დიდხანს, დიდხანს ველოდი.

მიუხედავად იმისა, რომ უკულტურო ადამიანი ვარ, ამ სიტყვის წარმოსათქმელად ენა მაინც არ მომიბრუნდება, მითუმეტეს ხელი, ეს სიტყვა რომ დავწერო.

გა-და-კრუ-ლად კი გეტყვით!

რა ჰქვია რუსულად თეთრს ციმბირულ მელას!

ერეკენულის ბიბლიოთეკა

ამრიგად, ჩემი დასკვნა: ადამიანს თავისუფალი ვარდნის დროს გული მეცნიერებისაკენ მიუწევს, ჩემს შემთხვევაში — ზოოლოგიისაკენ!

ამის გამოა სწორედ, რომ წიგნში მხოლოდ ისეთი შეხედულებებია განხილული და განმარტებული, რომლებიც პირად გამოცდილებაზეა დაყრდნობილი, ან ჩემს მსმენელ-პაციენტებს გადახდომიათ თავს.

რამოდენიმე ისტორია უაღგილო ადგილას

მოყოლას ერთ-ერთი ჩემი პირველი მოძღვრიდან დავიწყებ.

თავიდან იგი კარგა მაგრად მაქოთავებდა ხოლმე, მერე კი ცოდნითაც მიმასპინძლდებოდა, რისი დასმარებითაც, მადლობა ღმერთს, ცხოვრებაში რაღაცას მივაღწიე.

მაშ ასე, სეიდ მუჰამედ ჰასანი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, გარდაიცვალა 112 წლის ასაკში.

იგი უზბეკეთში დაიბადა, ჯერ კიდევ ბავშვი დიპლომატ მშობლებთან ერთად ინგლისში აღმოჩნდა. იქ შესანიშნავი განათლება მიიღო. გაიკეთა კარიერა, მაგრამ, ავადმყოფობის გამო ორმოცდაექვსი წლის ასაკში დატოვა დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური კორპუსი.

სერიოზულად დაინტერესდა აღმოსავლური ფილოსოფიით. 47 წელი ნეპალისა და ინდოეთის ტაძრებში გაატარა, აქედან 19 წელიწადს შიშველი, განდეგილად ცხოვრობდა მაღალ მთებში.

95 წლის ასაკში სამშობლოს, წინაპრების საფლავს დაუბრუნდა.

იგი გამორჩეული პიროვნება იყო. მისთვის ადამიანი გადაშლილ წიგნს წარმოადგენდა. ხანდახან ამოიოხრებდა ხოლმე: „რა ბრწყინვალე ყდა აქვს ამ ადამიანს. საწყენია, რომ შიგნით მსხვილი ნაწლავის გარდა არაფერი გააჩნია“.

ახალგაზრდობისას, როდესაც პირველად შევხვდი მას, დამამახსოვრდა ერთი ფრაზა, რომელიც დღემდე არ ამოდის ჩემი ყურებიდან:

— წადი, შვილო, იარე მშვიდობით! მე მიცვალებულებს არ ვკურნავ. შენ იმიტომ მოხვედი ჩემთან, რომ საკუთარი დაჩამიჩებული სხეული ჩემს ბებერ ძვლებს აჰკიდო... რომ შენი სნეულების გამოსასვლელი გზების ძიებაში ვიტანჯო — არ გამოგივა! მოდი — როცა გამოცოცხლდები!“

რაღა უნდა მექნა? წამოვედი და თან ერთი მაგრადაც შევუკურთხე. მაგრამ ავადმყოფობამ მაინც მაიძულა ჩემს „სასტიკ“ მოძღვართან შეხვედრა.

თუმცა, მასთან ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი, მაგრამ ამ მოხუცის ნათქვამის აზრს „ძალიან მალე“ — სადღაც, ათი წლის შემდეგ მივხვდი. როდესაც თავად ჩავწვდი ქრონიკულ ავადმყოფთა ხასიათს, მივხვდი, რომ ისინი დახმარებას მხოლოდ გარედან ელიან, ხოლო საკუთარ თავს — როგორც შემოქმედ პიროვნებას, ბლოკავენ.

ოხ, რა ძნელი იყო საკუთარი სიზარმაცის დაძლევა, [illegible] მისი უბრალო რჩევა-დარიგებების შესრულება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. მან, თავისი უზარმაზარი სულითა და სიყვარულით საკუთარი ძალების რწმენა დამიბრუნა და მერე უკვე ერთად, ერთი წლის შემდეგ, დაფამარცხეთ ინვალიდობა, ექვსი წლის შემდეგ კი სრულიად გამოვჯანმრთელდი.

შემდეგ კი მის მოწაფედ გახდომას ვცდილობდი, რა თქმა უნდა, მან დიდი სიამოვნებით, კისრისტეხით მომისროლა. მაინც არ ვეშვებოდი. ვთხოვდი და ვთხოვდი მოწაფედ აყვანას. აშკარად ვგრძნობდი ჩემი ყოველი მისვლა როგორ უფუჭებდა ხასიათს. ერთხელად ველარ გაუძლო და თხუთმეტი წუთი დამითმო, აიხსნა, რომ ღმერთის წინაშე ვერ აიღებდა ვალდებულებებს ჩემზე, რადგან უკვე 106 წლის იყო და დღეს თუ ხვალ სულს მიაბარებდა გამჩენს. და რომ სხვების დასამახინჯებლად უსწავლელს დამტოვებდა.

თუ ფიქრობთ, რომ მოვეშვი, ძალიან შემცდარხართ. ძველი ხურჯინივით გადავეკიდე, რადგან არც ერთ სიტყვას არ დავუჯერე. რა სიკვდილი, რის სიკვდილი, იგი ისეთ ჯანზე და მხნედ იყო, მისი უფროსი ვაჟის წლოვანება რომ არ მცოდნოდა, რომელიც 86 წლის გახლდათ, ჩემს მწვალებელს სამოცზე მეტს არ მივცემდი.

მოკლედ, კედელთან მივიმწყვდიე! ჩემს შეუპოვრობას რომ ველარ ვაუძლო, ტაქტიკა შეცვალა. წარმადგინა თავის ამხანაგებთან და განაცხადა, მოსწავლედ ამყავს და მოწმეები იყავითო. მოხუცებმა რალაცნაირად ჩაიცინეს, თავი დაუქნიეს, მე კი სიხარულისაგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი! როგორც იქნა!

ჩემმა მომავალმა მოძღვარმა აბუ რაიხან ბირუნის სქელი წიგნი გამოაძვრინა და მიბრძანა, დამეზეპირებინა. თუ ვერ მოვახერხებდი, ამ ხალხის წინაშე პირობა უნდა დამედო, რომ ამ ადგილს აღარ გავეკარებოდი.

ხრიკის არსებობა არ მიგრძვნია და დავთანხმდი, თუმცა სხვა რა გზა მქონდა? მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მან ლიქნად გამილიმა, ხელი ჩამომართვა და გამახარა — გამოცდა... ხვალ იქნებაო.

— რა-ა-ა-ო? — გაოცებისაგან ყბა ჭიპამდე ჩამომივარდა, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ სულ ცოტა ერთ წელს მაინც მომცემდნენ მოსამზადებლად. ერთ დღეში შეიძლება რამოდენიმე ლექსი დაიზეპირო და არა უზარმაზარი ტრაქტატი. ეს აბსურდია! ჩემს გაკვირვებას მან ყური არ ათხოვა და გადაჭრით მითხრა:

— თუ თანახმა არა ხარ, დაახვიე აქედან!

მეორე დღისთვის რომ რაიმე საპატიო მიზეზი არ მომეფიქრებინა,

მაგალითად ნახევარი საუკუნის წინ გარდაცვლილი ბებიის დასაფლავება, მიბრძანა გამოცდისთვის აქვე მოვმზადებულიყავი...

მან შუა ეზოში, დაბალ მაგიდასთან, ვაზის ხეივნის ქვეშ დამსვა, თავად მეგობრებს დაუბრუნდა და ლაყბობა განაგრძო, ვითომც აქ არაფერიაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ზუთხვას შევუდექი. დავიზეპირე ერთი ფურცელი, ორი, სამი, ათი...

დაღამდა. მათ უკვე დიდი ხნის წინ ივახშმეს (მე არ დამპატიჟეს). ერთი დასაძინებლად მოემზადა, ორმა ჩაის სმა გააჩაღა, თან თვალს არ მაცილებდნენ. ადგომა და გაზმორება მინდოდა, მაგრამ მათმა ცინიკურმა რეპლიკებმა განზრახვაზე ხელი ამაღებინეს:

— რა, მოთმინება ხომ არ დაგელია? — და ამდაგვარები.

— კარგი, ვიფიქრე, ვიჯდები ჯინაზე, ასე გიქნიათ, ჩაითი ვამსკდარხართ!

დილა, შუადღე. მე დაბინდული თვალებით ჩავცქერი წიგნს. უნებლიედ ცხვირში სამზარეულოდან გამომავალი სუნი მცემს. წამოვიდა რძის სუნი, შემდეგ ფლავის... ოო, როგორ მომაწვა ნერწყვი და თავბრუ დამესხა...

მოხუცებმა ჭამეს, დალიეს და დასასვენებლად წამოგორდნენ, თან დროდადრო ჩემსკენ აპარებდნენ მხიარულ მზერას, გამოცდა კი ჯერ არ ჩანს. მოსაღამოვდა. თვალები მეხუჭება, ერთი ზედამხედველი მითვალთვალებს, დანარჩენები კი ხვრინავენ...

თავში მომივიდა აზრი და თანდათან ფესვიც გაიდგა, რომ დილამდე გამეძლო, მერე ავმდგარიყავი და ყველა წვერებით მეთრია. ნათლად წარმოვიდგინე, თუ როგორ ვათრევ რიგრიგობით ამ თხელწვერიან მოხუცებს, შემდეგ როგორ ვიშხლართები ხეივნის ქვეშ და ხვრინვას ვუშვებ.

არ მახსოვს, როგორ გავძელი ის ღამე. გულში ზიზღი თუხთუხებდა, ამომავალი მზის სხივების შემყურეს, უკვე აღარ მახსოვდა წიგნი, დასისხლიანებული ხარის თვალებით მივჩერებოდი მწვალებლებს და ვფიქრობდი, პირველად რომელს მივმწვდარიყავი ყელში, მიმეხრჩო, მწვალებელი მასწავლებელი თუ მისი მეგობარი, რომელიც ნახევარი ეზოს მომცველ გაღრეჭვაზე ერთადერთ კბილს მაჩვენებდა.

... მანჯღრევდნენ, უცებ ვერ მივხვდი, თურმე უკვე მიხმობდნენ. ეზოში კი სახლის პატრონის შვილები, შვილიშვილები და მეზობლები მოგროვილიყვნენ, რათა უფასო წარმოდგენით ეხალისათ.

მინდოდა ღირსეულად წამოვმდგარიყავი, მაგრამ ტომარასავით ჩავიჩუტე და გვერდზე გადავვარდი. თავში მხეცურმა აზრმა გამიელვა, ვაი, თუ ფეხები აღარა მაქვს. შეშინებულმა ხელებით მოვისინჯე, ფესები ადგილზეა, მაგრამ მომჩვარულია. ხუმრობა საქმეა ორი დღე და ღამე გაუნძრევლად ჯდომა?

ვდგებოდი, ისევ ვიქცეოდი, მაყურებელთა ჩუმი სიცილის თანხლებით ფეხზე დავდექი, ისევ დავეცი. წყენისა და ტკივილისაგან ტუჩები მოვიკვნიტე, დავწყევლე მწვალებლები, ის დღე და საათი, როცა ამ სახლის ზღურბლს გადმოვაბიჯე.

უკვე თავს ველარ ვფლობდი, დაწყეველილი წიგნის თრევა-თრევით მივბობლავდი მოხუცებისაკენ. ლიმილით წამომაყენეს და შეკითხვები დამაყარეს.

არ მახსოვს, რამდენი კითხვა დამისვეს, არც წაკითხულიდან მაგსოვდა რაიმე. ბოლოს და ბოლოს მოძღვარმა მთხოვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წიგნის სათაური მაინც მითხარი, მაშინ მოწაფედ ავიყვანო.

ბევრი ვეცადე, დავიძაბე, იქნებ როგორმე გამეხსენებინა, მაგრამ ამაოდ, არაფერი გამოვიდა!

— უტვინო ხარ! — დაასკვნა სიხლის მთავარმა მწოველმა, სხვებმაც თავის კანტურით დაუმოწმეს.

უკვე ფეხებზე მეკიდა, ამიყვანდა თუ არა მოწაფედ. მინდოდა სწრაფად გავცლოდი ამ სირცხვილს და წვალებას. ჩემმა მოძღვარმა კი უეცრად ირგვლივ მყოფთ განუცხადა, რომ მოწაფედ ავყავარ, ვინაიდან მე ჯიუტ უტვინოთა შორის იშვიათ გამონაკლისს წარმოვადგენ და რომ მისთვის ძალიან საინტერესოა, როგორც ხოჯა ნასრედინმა, გამოსცადოს ვირის (ამ შემთხვევაში ორფეხას) სწავლება...

სწავლების მთელ პერიოდში ერთხელაც არ შევუქივარ, არც დაუტუქსივარ, მხოლოდ მცემდა, მისი ხელჯოხი უფრო ხშირად იყო ჩემს ზურგზე, ვიდრე მის ფეხებთან.

მახსოვს, ერთხელ, მასთან ანგარიშის ჩასაბარებლად წარვდექი. ძალიან მიხაროდა, ასი კაციდან ორმოცი გამოვაჯანმრთელე.

ასწავლებელმა მომისმინა და დაასკვნა:

— მკვლელო! ტრაბახობ, რომ ორმოცი განკურნე, დანარჩენს რა ეშველება? შეიძლება მათში განკურნების უკანასკნელი იმედიც კი ჩაკალი!

შევეწინააღმდეგე, ვუხსნიდი, რომ დანარჩენებზე ოფიციალურმა მედიცინამ ხელი ჩაიქნია.

— ხანდახან თქვენც ხომ შეგხვედრიათ ასიდან ორი-სამი უიმედო...

დიდხანს არ შემკამათებია — ბაბას! და ჯოხი კვლავ ჩემს ზურგზე დაეშვა. მაშინ აღზრდის ეს მეთოდი ძალიან შემზიზღდა, მაგრამ მალე მივხვდი, ეს სრულიად გამართლებულია.

ჩემს პრაქტიკაში, ადრეც და ახლაც, ძალიან ხშირად გამჩენია ხელში ჯოხის აღების სურვილი.

ე-ე-ეჰ! დიდი სიამოვნებით გადავუჭერდი ზურგზე ისეთ ჭკუისკოლოფს, თავისი ავადმყოფობის განუმეორებლობაზე ფილოსოფიურად რომ მსჯელობს და თან თითზე თითის დაკარება არ უნდა გამოსაჯანმრთელებლად.

ხელის გატოკება არ უნდათ — ეზარებათ! აბის გადაყლაპვა, ნემსი უკანალში — უფრო ადვილი არაა? მაგრამ ჯანმრთელობას ვერ იყიდი, მუქთადაც ვერ მიიღებ. იგი ოფლით უნდა მოიპოვო; თუ არადა, სამი თითის კომბინაცია მშობელი ბუნებიდან და პროფკავშირებიდან.

მე ამის თქმის სრული უფლება მაქვს, თავად გავიარე გზა წუწუნა ინვალიდობიდან აკადემიკოსობამდე. ამიტომაც არ მჯერა თქვენი მოურჩენელი დაავადების! ა-რ მჯე-რა!

გზას დაძლევს მიმავალი!

ჩემი მოძღვრის საშუალებითა და დაუღალავი შრომით სიკვდილის კლანჭებს თავი დავაღწიე. ხოლო, როცა მუშაობა დამოუკიდებლად დავიწყე, მრავალი წლის განმავლობაში ვატარებდი ექსპერიმენტებს, ვაკვირდებოდი, ვადარებდი, ვაანალიზებდი ათეულ ათასობით სხვადასხვა სტაჟისა და ნაირგვარი სიმძიმის ავადმყოფთა უთვალავ [illegible]

ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ აღმოგვეჩინა [illegible] ცალკე გაგვეყო იმ ადამიანთა დამახასიათებელი თვისებები, რომლებმაც დასძლიეს ავადმყოფობა. რითი განსხვავდებიან ისინი დანარჩენებისაგან?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მინდოდა გამარჯვებული ადამიანის დეტალური პორტრეტი.

ვიცოდი რა, თუ რა შეცდომებს უშვებდნენ გამოჯანმრთელების გზაზე მყოფი ტიპიური ქრონიკული, უიღბლო ადამიანები, ჩემთვის ძნელი აღარ იყო მათი წარმოშობის მიზეზებისა და თავიდან აცილების შესაძლებლობების პოვნა.

ვინც ეძიებს — პოულობს! ნაპოვნი იქნა II კანონზომიერება, რომელთა მეშვეობითაც შეიქმნა სასწავლო-გამაჯანსაღებელი და სხვა სისტემები.

გაგრძელება იქნება